

K 5186
4

თელი სახიპია

ქართული
ხატოვანი
სიტყვა-თქმანი

ტყეპი

სახელგამი
თბილისი
1950



თარგმანი

499.9621-3



ქართული ხაზოვანი სივრცე-თქმანი

წიგნი I

1-3

საქართველოს
საბავშვო

R5.186
4

საბავშვო
საბავშვო
1950



ჩელოქოვისაზანი

ი. ბ. სტალინის ფუძემდებელ ენათმეცნიერულ ნაშრომში — „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ — გრანტიკის, სიტყვათწარმოების, ენის ისტორიის, ისტორიული დიალექტოლოგიის ძირითად საკითხებთან ერთად გადაჭრილია ლექსიკოლოგიის ამოსავალი მნიშვნელობის საკითხებიც. ი. ბ. სტალინის განსაზღვრებით, ლექსიკური შედგენილობა ენის საშენ მასალას წარმოადგენს; ენის საფუძველს გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი შეადგენს. ისტორიული ლექსიკოლოგიის პრობლემატიკა ღრმა მარქსისტულ გაშუქებას პოულობს ი. ბ. სტალინის გენიალურ ნაშრომში.

ი. ბ. სტალინის მოძღვრება ენის ლექსიკური შედგენილობის შესახებ ბრწყინვალე ნიმუშია ენის სიტყვიერი მარაგის ანალიზის დროს მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდის გამოყენებისა.

წინამდებარე ლექსიკოგრაფიული ნაშრომი შეიცავს საყურადღებო მასალას ქართული ენის ლექსიკური შედგენილობის შესასწავლად, და იგი მოკლებული არაა ზოგად მნიშვნელობასაც, რომდენადაც გვაჩვენებს, რა გზებით მკვიდრდება ენაში კონკრეტული ცნებების გამომხატველი სიტყვა-თქმანი განზოგადებული მნიშვნელობის ლექსიკურ ფორმებად.

ი. ბ. სტალინი აღნიშნავს, რომ სიტყვებისა და თქმების შინაარსობლივ მხარეს სერიოზული მნიშვნელობა აქვს ენის შესწავლის საქმეში. წინამდებარე წიგნში კი მოცემულია ენის სემანტიკური (სემასიოლოგიური) განვითარების საინტერესო ნიმუშები, და ეს მასალა გამოადგება მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის.

ქართული ენა თქმის ხატოვანობის თვალსაზრისით ერთი უმდიდრესი ენათაგანია. ხატოვანობის ნიადაგზე აღმოცენებული ლექსიკური ტიპები კი შედიან ლექსიკის საგანძურში, ამდიდრებენ და ამრავალფეროვანებენ ენის საერთო ლექსიკურ შედგენილობას. ი. ბ. სტალინი გვასწავლის, რომ „ლექსიკური შედგენილობა ასახავს ენის მდგომარეობის სურათს: რაც უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია ლექსიკური შედგენილობა, მით უფრო მდიდარია და განვითარებულია ენა“¹.

ენაში ბევრია ისეთი სიტყვა-თქმანი, რომელთაც დროთა ვითარებაში გადატანითი მნიშვნელობა მიუღიათ და დანოჟილებელ ლექსიკურ ერთეულებად დამკვიდრებულან მეტაფორული სახეცვალების გზით. ასეთ სიტყვა-თქმებს პირდაპირი მნიშვნელობით აღარ ვხვარობთ, და დავიწყებულცივა მათი თავდაპირველი შინაარსი. მაგალ., ვამბობთ — „თავლაფლასხმულიო“, და სიტყვის პირდაპირი გაგება თავზე ლაფის დასხმა დავიწყებულია; ვამბობთ — „ყურებზე ხახვი არ დამაქრაო“, ხოლო თანამედ-

¹ ი. სტალინი, მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში, 1950, გვ. 23.



როვე მეტყველის ცნობიერებაში ამ თქმას გამოცლილი აქვს მისი პირვან-
დელი სემანტიკა; ვაშობთ—„ერთ ბერაში გაყოყვანაო“ (ნიშნავს: ყველა გა-
თანასწორა, ყველა ერთ, გამოუვალ, მდგომარეობაში ჩააყენა), და დავიწყე-
ბული კი გვაქვს ამ თქმის დასაბამი, — საყოველთაოდ ცნობილი არაა ბერა-
სიტყვის მნიშვნელობაც.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ, ერთი მხრით, გვქონია ისეთი ცალკეულ
სიტყვები, რომელთაც გადატანითი მნიშვნელობით ვხმარობთ; ეს გადატანი-
თობა პირველ რიგში კონტექსტის საფუძველზე იქმნება. მეორე მხრით, გვქო-
ნია გადატანითი მნიშვნელობის სიტყვათშეხამებანიც.

რაკი სიტყვა ჩვეულებრივ ფრაზაში იხმარება, ამ ნიადაგზე ზოგჯერ
კონტექსტი გაქვეავებული სახით ყალიბდება და ვლენულობთ იდიომებს, იდიო-
მატურ თქმებს (ფრაზეოლოგიას). იდიომატურ შესიტყვებაში წემაველ კომპო-
ნენტებს — ცალკე სიტყვების სახით — დაკარგული აქვთ თავისი ლექსიკური
ფორმა და მნიშვნელობა და ერთ სემანტიკურ მთლიანობად წარმოგვიდგე-
ბიან. ამგვარი სიტყვათშეხამება ფუნქციურად ცალკე სიტყვის მაგივრობას
სწევს: სხვანაირად რომ ვთქვათ, იდიომია ისეთი „გაქვეავებული“ კონტექსტი,
სიტყვათშეხამება, რომელიც ენაში გამოყენებულია როგორც მთლიანობა
(მასში შემაველი ელემენტების გადაადგილება ჩვეულებრივ არ შეიძლება), და
ამ მთლიანობას თავისი სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს. მაშასადამე, ფრა-
ზეოლოგიური შეხამებანი ენაში წარმოშობენ სემანტიკურ მთლიანობებს.

ისტორიულად ხატოვანი სიტყვა-თქმები ისეთი ლექსიკური ელემენტებია,
რომლებმაც, ი. ბ. სტალინის განმარტებით, ენის განვითარების პრო-
ცესში „ახალი აზრობრივი მნიშვნელობა მიიღეს“¹. დროთა ვითარებაში ამ-
გვარი ფრაზეოლოგიური ერთეულები მკვიდრდებიან ენაში, მტკიცედ იკიდე-
ბენ ფეხს ლექსიკაში და ისინი შემდეგ მიეკუთვნებიან იმგვარ ლექსიკურ ელე-
მენტებს, რომლებიც დიდ გამძლეობას იჩენენ ენის განვითარების მანძილზე.

იდიომი ხშირად შეიცავს ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც თანა-
მედროვე საერთო სიტყვახმარებაში აღარ გვხვდება (ან იხმარება მხოლოდ
დიალექტობრივ) და შემონახული კია მოცემულ გაქვეავებულ კონტექსტში,
როგორც გადმონაშთი ენის ძველი ლექსიკური შედგენილობისა (შდრ. „ზოგი
აღთას, ზოგი ბაღთას“; „ერთ ბერაში გამოიყვანა“ და მისთ.).

ამგვარად, არქაიზში იდიომის სტრუქტურის ძირითადი განმსაზღვრელი
ნიშანია. აქედან გასაგებია მისი მნიშვნელობა ენის ისტორიის კვლევა-ძიები-
სათვის.

იდიომატიკა უფრო ახასიათებს მხატვრულ და სასაუბრო მეტყველებას.
წინამდებარე ლექსიკონი ამგვარი სიტყვა-თქმების კრებულია.

ხატოვანი სიტყვა-თქმანი რამდენადმე ჩვენი წარსული საზოგადოებრივი ცხოვ-
რების ამსახველია. ლექსიკა-ფრაზეოლოგიის აკც ერთ სფეროში არა ჩანს ისე
მკვეთრად ხალხის თავგადასავალი, ურთიერთობანი, ზნე-ჩვეულებანი, ყოფის რეა-
ლიები, როგორც ე. წ. ფიგურალურ სიტყვა-თქმებში. იგივე „თავდადინაშული“
სიტყვიერი მოწმეა იმ დროსა, როდესაც სოფელი საზოგადოებრივი აღთ-
ჩვეულებისა და ზნეობის დამრღვევს საჯაროდ გამოიყვანდა. და ყველა ვალდე-
ბული იყო ლაფი დაესხა დამნაშავისათვის... ძველ დროს დასასჯელს ყურს და-
ნით დაუსერავდნენ, ხოლო სისხლის შესაჩერებლად მიწაზე გართხმულს ხახვს

¹ ი. სტალინი, მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში, გვ. 4.



დაპირიდან ყურზე, — აქედან მომდინარეობს თქმა: „ყურებზე ხახვი არ და-
მაჭრაო!“ იმერეთში დადასტურებულია ფიგურალური თქმა — „კაკას ხიდი
გაიარაო“. ეს ნიშნავს: უკვალოდ დაიკარგა, გადაიხვეწა, აღარ დაბრუნდება.
კაკას ხიდი არის ბალდადის (აწ მიაიკოვსკის) გზის გაყოლებით, საირმისაკენ.
გარკვეულ ხანაში ეს იყო საზღვარი იმერეთისა და ოსმალეთისა, სადაც მი-
ჰყავდათ ოსმალთათვის მისაყიდად ახალგაზრდა ქალ-ვაენი. ოსმალო აგენტები
ამ გზით გაატარებდნენ იმ შვა-ბნელ დროს ტყვეებს და ტრაპიზონ-სტამბუ-
ლის ბაზრებისაკენ გაემართებოდნენ. აქედან დარჩა თქმა: „კაკას ხიდი გაი-
არაო“ — დაკარგვის, სამუდამოდ დაღუპვის სინონიმად.

თედო სახოკის ნაშრომში — „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, რომლის
ერთი ნაწილი წარმოდგენილია ამ წიგნის სახით, მოქცეულია ქართული ენის
ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის ერთი მნიშვნელოვანი სექტორი, — ისეთი სი-
ტყვა-თქმები, რომელთაც დაკარგული აქვთ თავდაპირველი მნიშვნელობა და
ჩვენი ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე სხვა, განზოგადებული მნი-
შვნელობა მიუღიათ, იდიომატურ თქმებად დამკვიდრებულან.

ავტორს დროდადრო უგროვებია ხალხში ამა თუ იმ სიტყვა-თქმასთან და-
კავშირებული ვადმოცემები, გააზრებანი, დაკვირვებები. ეს ხალხური ინტერ-
პრეტაციები უმეტეს შემთხვევაში საყურადღებოა, მაგრამ არ არის ყოველ-
თვის ზუსტი და სანდო, — ბევრი მათგანი გულუბრყვილო შთაბეჭდილებას ახდენს.
ზოგი ასეთი ახსნა წიგნში მაინც დარჩა, რადგანაც, ვფიქრობთ, მასალა
ინტერესმოკლებული არ იქნება მეცნიერული ძიებისათვის.

ამ წიგნში, გარდა ენათმეცნიერისა, საყურადღებო ცნობებს ამოიკითხავს
კულტურის ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, მხარეთმცოდნე, ლიტერატურის მკვლევ-
არი და სხვ.

ლექსიკონში უხვად არის მოცემული ფრაზეოლოგია ახალი ქართული
მწერლობიდან. ამ თვალსაზრისით შესწავლილია ილია ქავჭავაძე, აკაკი წერე-
თელი, ვეა-ფშაველა, ალ. ყაზბეგი, რ. ერისთავი, ლ. არდაზიანი, ს. მგალობლი-
შვილი, ნ. ლომოური და სხვ. მე-20 საუკ. მწერლობიდან გამოყენებულია
ვ. ბარნოვის, შ. არაგვისპირელის, შ. მღვიმელის, ეკ. გაბაშვილის, გ. ლეო-
ნიძისა და სხვათა ნაწარმოებები.

ბატოვან სიტყვა-თქმებზე ჩვენს მხცოვან ავტორს დაკვირვება უწარმოე-
ბია რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. ამ ხანგრძლივ მუშაობას თავისი
გავლენა მოუხდენია წყაროების დამოწმებაზედაც: ფრაზეოლოგია ზოგჯერ
ამოღებულია ერთი და იმავე მწერლის სხვადასხვა გამოცემიდან.

ქართულ ბატოვან სიტყვა-თქმებს პირველად ყურადღება მიაქცია ჩვენი
ზებირსიტყვაობის მასალათა ცნობილმა შემკრებმა პეტრე უმიკაშვილმა. 1876 წ.
გამოცემული ანდაზების წიგნაკის ბოლოს პ. უმიკაშვილს მოუთავსებია
ისეთი სიტყვები და ფრაზები, რომლებიც, ავტორისავე სიტყვით, „თუმცა
ნამდვილი ანდაზები არ არის, მაგრამ ძალიან ხშირად ანდაზასავით ხმარო-
ბენ“. ამგვარ ფორმებს პ. უმიკაშვილი „სიტყვის მასალებს“ უწოდებს. ამის
შემდეგ აღსანიშნავია ყურნ. „მოამბეში“ (№ 4, 1909 წ.) მოთავსებული წერილი
„ქართული ფრთოვანი სიტყვები“, რომელიც ეკუთვნის ალ. მირიანაშვილს.

დამოწმებული ძეგლების გამოცემათა სრული დასახელება მოცემული იქ-
ნება შემდეგ.

შემოკლებანი: ი ხ. — იხილე, მ გ ლ. — მაგალითად, პ რ დ. — პირდაპირი
მნიშვნელობით, შ დ რ. — შეადარე, ს ტ ვ. — ხატოვანად.

I

ს-წ

აბრუნა წისქვილი პრ. წისქვილი იამფ-
შავა. სტვ. დაიწყო დაუსრულებელი
ლაპარაკი. „კაია, ნულარ გამახსენებთ,
თუ ღმერთი გწამთ!—აბრუნა ამან
თავის წისქვილი!—ლიმილით მია-
ძახა არისტომ“ (დ. კლდიაშვილი, სამა-
ნიშვილის დედინაცვალი, 67).

ზოგიერთის დაუსრულებელი ლაპა-
რაკის დაწყება შედარებულია აბრუნე-
ბულ წისქვილთან, რომელმაც ერთ-
ხელ დაიწყო ტრიალი და მერე თავისით
ველარ გაჩერდა.

აბაშიძეების გზა პრ. გზა, რომლითაც
აბაშიძეები დადიოდნენ. სტვ. ტყვედ
გაყიდვა ქართველებისა ოსმალეთში.

ძველად, განსაკუთრებით მე-19 სა-
უკუნის დასაწყისში, ე. წ. აბაშიძე-
ების გზა სოფ. ქვიშხეთიდან ქედ-ქედ
გადადიოდა და ბორჯომის მთაზე,
გოგოას ციხესთან თავდებოდა. ამ
გზით მოჰყავდათ ხოლმე ქართველი
ტყვეები ოსმალეთში წაასყვანად და
იქ გასაყიდად. რაკი აქ უნდა გავე-
ლოთ ტყვედგასაყიდლებს, აბაშიძე-
ების გზა გადაიქცა სინონიმად ქართ-
ველის ტყვედ გაყიდვისა ოსმალეთში.

აბლაუბა-გადასკუბდა პრ. ცუდ რა-
ზედმე გადახტომა. სტვ. ლაპარაკსა
თუ საქმეში გზა-კვალის არევა; უაზ-
როდ, არევით ლაპარაკი. „...ეს წყნა-
რი და ტკბილი მოუბარი ყოველ
აბლაუბდისა და გადასკუბ-
დისა—წამოდგა და განა ერთხელ
და ორჯელ?!“ (ილ. ჭაჭავაძე, IX, 279).

ზოგიერთი აღამიანი ერთ რამეზე
რომ დაიწყებს ლაპარაკს, ხელად მეო-
რე უტნაურ, საკვირველ, დაუჯერებელ
ამბავს გამოაბამს კუდივით, რომელსაც
პირველთან კავშირი არაფერი აქვს,
მეორე ამბიდან მესამეზე გადასკუბდ-
ება, მოჰყვება ამ მთისას, იმ მთისას, გა-
მოაბამს ძალის ყბას, დაგიძიმებთ
სმენას, და სათქმელს მაინც ვერ გე-

ტყვით. ასეთ კაცს ეტყვიან: „შენ, ჩემო
ძმაო, აბლაუბდა-გადასკუბდა
ხომ გაგიგონიაო!“ და ეცდებიან ამით
დააყოფინონ პირი.

სიტყვა აბლა ნიშნავს უტნაურს.
საკვირველს, დაუჯერებელს, მოკურობს.

**აბელას ფეხების გაკეთება, აბელას ფე-
ხებზე შედგომა** პრ. ნამდვილი ფე-
ხებისათვის ხის ფეხების მიმაგრება
ვინმე აბელას მიერ. სტვ. განვებ ამაღ-
ლება დაბალისა, მოსაჩვენებლად მი-
კუთვნება ისეთ თვისებათა, რაც არ
გააჩნია მიკუთვნებულს. „ცრუებტუ-
ლა კაცი ყველგან ასეთია: რაკი საუა-
ნელი შემოაკლდება, საგზალი ჭკო-
დამჯდარი საუბრისა გაუწყდება. მი-
შინ, აქაო და მიზეზ-მიზეზ — დოს მა-
რილი აკლიაო, ყალყუდ შედგება,
აბელას ფეხებს გაიკეთებს,
გაბფუდდება, გადიდგულდება და უა-
ვირს, რატომ ვერა მიხევენ, რა სი-
მაღლეზე ვდგევარო?!...“ (ილ. ჭაჭავაძე,
IX, 300); „შემოესია ვითომ თათარი
ჯარი ამ ჩვენს ხეობასა, აუარებელი
ჯარი, რო სულ მოაბნელებდნენ; შე-
აში ბელადი იდგა, მაღალი, თითქო
აბელა შემდგარა ხის ფეხებ-
ზედო“ (ს. მაკაოზაშვილი, ნენაც
მოკდა, „ივერია“, 1892, № 202).

თბილისში, მე-19 საუკუნის სამო-
ციან წლებში, აბელა ვინმე ყოფილა,
რაქიდან ჩამოსული, კაცი მაღალი. თა-
ვად მაღალი, მაღალ ორჩოფეხებზე შე-
დგებოდა ხოლმე და დადიოდა ქუჩებში
სეირისათვის. სამ ადლიან ორჩოფეხებზე
შემდგარი რომ ჩამოვივლიდა ანჩახატის
უბანში, ბაღლებს დღესასწაული დაუდ-
გებოდათ ხოლმე. აუარებელი ხალხი
დაედევნებოდა უკან, როგორც ჯამბაზს
ვისმე. აბელა ფულსაც შოულობდა
ამით.

აბელა ეკლესიების სამრეკლოების
შემკეთებელ-მემამკობელიც ყოფილა,
თავზე ჯვარის დამსმელი. თამამად და-

დიოდა თურმე ეკლესიების გუმბათებზე, თითქოს კუკიის ხიდზე დასერილობდაო...

აქედან დარჩა სიტყვა „აბელას ფეხები“, ე. ი. მაღალი ფეხები, ანუ ხატოვანად—კაცი, რომელიც ცდილობს სხვებზე მაღლა იდგეს ყველაფრით, სხვებს ზემოდან დაპყრობდეს, სხვებს დასციროდეს.

აბის (აბების) ჩაყლაპვა პრ. პატარა ბურთულას სახით წამლის ჩაყლაპვა. ზტვ დაჯერება რაიმე ტყუილისა, დამორჩილება რაიმე საძნელო საქმისა, შეურაცხყოფის შერჩენა, პასუხის მოუთხოვნილობა შეურაცხყოფილისათვის. „ნუ თუ ეს აბები ხმაამოუღებლივ უნდა გადააპყლაპონ „Кавказ“-ის მკითხველებმა?“ (ილ. ჰეკუაძე, IX, 325).

აბი არაბულია და უდრის ლათინურ pilula-ს. ავადმყოფისათვის რაიმე მწარე წამლის გადაყლაპვის გასაადვილებლად აფთიაქში ამ წამალს გარეგნობას უცვლიან, აბებად აკეთებენ. ხატოვანად ამ აბებს ადარებენ ხოლმე უსიამოვნებას, შეურაცხყოფას, წყენას, რომელიც გულის მოსვლის დროს ერთმა მეორეს უნდა მიჰაყენოს გარეგნულად თითქოს უწყინარის ფორმით.

აბრაამის ბატკანი პრ. ცხვრის შვილი, აბრაამის კუთვნილი. ზტვ. უღანაშაულო, უბრალო.

თანახმად „დაბადებისა“, მამამთავარი აბრაამი დიდი ერთგული იყო ღვთისა. ერთხელ ღმერთმა მიიხილა მისი გამოცდა და უთხრა: შემომწიროე მსხვერპლად ერთადერთი ძე შენი ისაკიო. აბრაამი დააწვინა თავისი შვილი, ყელი გადაუწვია და, ის იყო, დანა უნდა გამოეწვია, რომ ანგელოზმა დაუშალა და უჩვენა ჯავში დაბნეული ვერძი, რომელიც უნდა შეეწირა ღვთისათვის მამას, ისაკის ნაცვლად. აქედან მივიღეთ თქმა: აბრაამის ბატკანი.

აბრაამის ტაბლა ზტვ. უხვი, ყოველგვარი სიწოვანო პირთამდე სავსე სუფრა; სტუმართმოყვარეობა, გულუხვობა. „სახლთუხუცესმა შელოკარი და მიართო აბრაამის ტაბლა: ვერცხლის სინზედ მცხვარი, ბასილა, ბედისკერი, აბრაამიანი, გოზინაყი, ალენახი, ხილეულობა; მოხარული თავი ეშვისა; ჩოღრათო ღვინო; ზროვანმანხული ისარი; წმინდა სანთელი

სამსავ მხარესა“ (გ. ბარნოვი, გიორგი სააკაძე, 121); „შენს თვიურ ჯამაგირს, ოცდახუთ მანეთს, არ შეეძლო იმოდენა ბარაქა გამოეღო, რაც ორ აბრაამის ტაბლას შეუძლიან“ (მელანი, მამა ქრისტეფორე, 18).

აბრაამის ტაბლას ეძახდნენ აგრეთვე ვისიმე გარდაცვალებულის წლის თავზე მისი სულის მოსახსენებლად გამართულ ტაბლას, რომელიც სავსე იყო ყველა სახის საქმელ-სასმელით. ვარადა ამისა, ზედ ელაგა: ქალის ლეჩაქი, წინდები და სხვა ნაწილები ადამიანის სამოსლისა. ტაბლაზე გალაგებულის როგორც ერთისა, ისე მეორის უმეტესი წილი ამ ტაბლის მაკურთხებელ მღვდელს მიჰქონდა, როგორც მისი კუთვნილი.

აბრუნდი პრ. მიატრიალე, შემობრუნე. ზტვ. უკვე გაკეთებულის თუ ნათქვამის უარყოფა, მართლად გასაღება ტყუილისა, დამახინჯება ფაქტისა. „ამა ზოილის ნათიხნი გასინჯეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ სანათლიღებო ნომერში, თუ იმასვე არ იძახდეს, რომ „საპრაზნიკო დანოსი“ ტირაცუა ვანუასი „დანოსი“ კი არა, „ობლიჩენიე“ არისო. აი, ამას ჰქვია მდაბიურის ერთი „აბრუნდი“ (ილ. ჰეკუაძე IX, 353).

აბრუს არ იტეხს პრ. პირწყალს არ იტეხს. ზტვ. სახელს არ იტეხს, თავს არ ირცხვენს, საჩოთიროს არ იფერებს. „გოგრა გაბლენძილი წავიდა და ერთი პატარა საარაყე ყანწი გადააპყრა. გოგრას არაყი ეწწარება, მაგრამ აბრუს არ იტეხს, რადგანაც მეცხვარეა“ (ვაფა-ფშაველა, V, 220).

აბრუს სპარსული სიტყვაა და ნიშნავს: აბ—სახე, პირი და რუ—წყალი ანუ ერთად: პირწყალი, რაც ქართულად, ხატოვანად უდრის პატრიოსნებას, სინდისს, სახელოვნებას, პატრივისცემას, კეთილშობილებას, მშვენიერებას.

აბრუს აგან წარმოებულია: ბიბ-რუ (ბი—უ, აბ—პირი, რუ წყალი)—უპირისწყლო, ე. ი. უსირცხვილო; გაბ-ბი აბრუსევა — შერცხველა, თავღვთის დასხმა, თავის მოჭრა, გალანძღვა, ქულის მოხდა.

აბუგება პრ. ბუს თვისების მიკუთვნება. ზტვ. ათვალწუნება, დაცინვა. წვალება, მასხარად აგდება, ტანჯვა. „ამიტომ ჩვენც, ადამიანები, როცა



ერთს ვისმე აწვალბენ, სტანჯავენ მრავალნი, ვამბობთ — აიბუჯის საწყალი კაციო“ (ვათა-ფთხველა, VI, 242).

ამ სიტყვის განმარტებას ვპოულობთ ვათა-ფთხველას მოთხრობაში „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზედ“ (VI, 242). პატარა და-ძმანი უოფილან, რომელნიც დედინაცვალს ერთ ბნელ ღამეში გარეთ გაუვდია საქონლის საძებნელად. ტყეში ბავშვებს ნადირის შეშინებით და უნატრიათ ფრინველად გადაქცევა, რომ ხეებზე შეფარებოდნენ და ნადირს გადარჩენოდნენ. ნატვრა ასრულებით და ბუებად გადაქცეულან. დედინაცვლის შიშით ისინი დღე კარში ვერ გამოდიან და ხის ფულურაში იმალებიანო. ფრინველებს იმიტომ ეჯავრებათ ბუები, რადგან თვისტომად, თავისიანად არ სცნობენ და სულ მუდამ ეჩხუბებიანო.

აბუჩად ჩაგდება პრდ. დაუპატიჟებელ, უწვევ სტუმრად ჩაგდება. სჭვ აგდება, უპატივცემლობა, შეურაცხყოფა, გამასხარავება. შტრ. „დაუპატივებულ სტუმარს აბუჯი აქვიან“ (ანდახა).

აგვიშენდება ოჯახი პრდ. ჩვენს ოჯახს წარემატება. სჭვ. ირონიულად: დავიღუპებით, დავიქცევით, გავანადგურებებით. „ჯერ ხომ ახლა ხეირი გვაყრია, და აბა მაშინ აგვიშენდება ოჯახი“ (ფა. მენთაშვილი, „ფ.“, 1903, № 255).

აგლია თავი პრდ. თავი აგიწევია. სჭვ. ამდგარხარ სასიარულოდ. „აი, მეხი დავაყარე მაგ ქეციან თავზედ! შე ოხერო, რომ აგლია თავი და დაეხეტები სათხოვრად, ნამუსი აღარა გაქვს?!“ (ილ. ჭავჭავაძე, III, 39).

აგორებული პრდ. გორებით მავალი, ერთი ადგილიდან დამრული. სჭვ. დაუდგარი, ერთ ადგილას გაუჩერებელი, გულს რომ ვერაფერს უდებს ხოლმე. „ფუჟი კაცი იყო, აგორებული“ (ვ. ბარნოვი, ტფილ. აზრდილები, 100); შტრ. „ნეტა რა არი, რა არი, — აგორებული ქვა არი“ (ხალხური).

აღამის ფამის პრდ. როცა აღამი ცხოვრობდა, აღამის დროისა. სჭვ. ძველისძველი, სულ დიდი ხნისა. „ჩამოსაჯდომი აღაგი ძნელი სანდო იყო იმ უსუფთაობის გამო და ამისათვის დედა და შვილი მივიდნენ დანჯერულს. გახუნებულ, აღამის ეამის გაქეთებულ დილიყანთან და ჩასხდნენ შიგ“ (ფა. გაბაშვილი, გამარჯვებული ნიკო).

აღამი, თანახმად „დაბადებისა“, სახელია ქვეყანაზე გაჩენილი პირველი აღამიანისა. დღეს, როცა გვინდა ვისიმე ან რისიმე ძალზე მოხუცებულობის ან მეტისმეტ სიძველის აღნიშვნა, ხატოვანად ვამბობთ ხოლმე: აღამის ეამისა ან დროისა არისო.

აღამის შვილი პრდ. „დაბადების“ აღამის შვილი. სჭვ. აღამიანი, სულიერი არსება, კაცი, ძე-ხორციელი. „მეცა აღამის შვილი ვარ, თქვენივით შვილი ქართლისა, თავდადებული ქვეყნისთვის, მაძიებელი მართლისა“ (აკაკი, რჩეული ნაწერები, 165).

თანახმად „დაბადებისა“, დედამიწაზე პირველად გაჩენილ კაცს აღამი ერქვა; მის შთამომავალს უწოდეს აღამის შვილი ანუ აღამიანი.

ადვილად იტყვის ენა პრდ. სათქმელად ადვილია. სჭვ. მეტად მძიმე შესასრულებელია (რამე საქმე). „თავის შეკავება, ზომიერება... აბა ერთს სცადე! ადვილად იტყვის ენა“ (ვ. ბარნოვი, ტფილისის აზრდილები, 58).

ადვილი ხამხახურია პრდ. ძნელი სასამახურო არ არის. სჭვ. მზადა ვარ გემსახუროთ, სურვილი აგისრულოთ, პატივი გცეთ. „ბაქია (თავს უყრავს), ადვილი სამხახურია! ხელში რომ „მოამბე“ მიჭირავს, ამისას რას მიბრძანებთ?“ (ილ. ჭავჭავაძე, IV, 116).

ადიდაში გამოხული პრდ. გამოხული ფოლადის დაფის ხერგლში, რომელშიც ატარებენ ხოლმე მავთულს. სჭვ. გაიძვერა, ეშმაკი, გაქნილი, დაუნდობელი, ვერაგი, სათოკე, ქლესა, გველაძეო.

ადიდა არაბული სიტყვაა. ნიშნავს ფოლადის ფიცარს, რომელსაც სხვადასხვა სიღრმის ნახვრეტები აქვს და ამ ნახვრეტებში ლითონის მავთულს გამოჰყავთ ხოლმე გაჭიმვით. ყველაზე ადვილად სპილენძის მავთული კეთდება ადიდას საშუალებით. ადიდაში გამოხული ანუ გამოყვანილი კაცი, ლითონის მავთულს მიმავავსებთ, ეწოდება ხატოვანად მეტად გაქნილ და გაიძვერა აღამიანს. იგულისხმება, რომ ვინც ადიდაში მოაქერხებს გაძრომას, ასეთი კაცი მეტად მოხერხებულ და ეშმაკი უნდა იყოს. ხელიდან ყველაფერი უნდა გამოუდიოდესო.

ავადმყოფობამ დამიგდო პრდ. ავადმყოფობამ ძირს დამცა. სჭვ. ავადმყოფობამ ძირს დამცა. სჭვ. ავადმყოფობამ ძირს დამცა.



ფობა მომერიკა, დამზავრა; დიდხანს ვერ მოვრჩი; დავსნეულდი. „მე ეს ოთხი თვეა, რომ ასე ვარ,—დაიწყო კიდეც, დამიგდო ავადმყოფობამ და ამ დღემდინ ძიმიყვანა. ასე უპატრონოდ ამ დაქვეულ ჩარდახის ქვეშ ამომდის სული“ (ილ. ჰამპაძე, II, 40).

ავანანთ ხევში ხომ არა ხარ? სტვ. რა ხმამალა ყვირი, ნელა ილაპარაკე!

თბილისის სამხრეთით, ოქროყანიდან, ჩამოდის ხევი, რომელიც შემდეგში დაჰყვება ამალღების ქუჩას. ამ ხევის ეწოდება ავანანთ ხევი. ხევის სათავეში მოსახლეობა ერთი-მეორეხე დაშორებული იყო. ერთმანეთს მეტისმეტი ხმამალა ყვირილით აგონებდნენ. დღეს, როცა უნდათ ხმამალა მოლაპარაკეს აგრძობინონ, რომ საჭირო არ არის ასე ყვირილი, ეტყვიან: **ავანანთ ხევში ხომ არა ხარო?**

ავდრის ვადმოყრა ჰრდ. ავდრის აშორებდა თავიდან, თავიდან ვადაყრა. სტვ. დაცდა ავდრის ვადალეზამდე, თავის შეფარება ავდრის აააცდენდა. „გზახედ ერთი კაცს თავის გობა დავინახეთ. მე და ჩემი ძმა შიგ შეეძვერით: ერთ ერთ თვალში და მეორე — მეორეში. აქ ვადმოვიყარეთ ავდარი“ (თ. რახიკაშვილი, ზღაპრები, I, 69).

ავენთე და დავენთე ჰრდ. ცეცხლი მოგვიკიდა. სტვ. ძალზე ვაგვრახდი, საშინელი ჯავრი მომივიდა. მგლ, „ეს რომ მითხრა, ავენთე და დავენთე!“

ავი და კარგის ცოდნა ჰრდ. ცოდნა—რა არის ავი და რა არის კარგი. სტვ. შეგნება, ცოდნა ყველაფრისა, მიხედროლობა, სიჭკვიანე. „თორემ ხომ იცი ჩვენი ესლანდელი ანაბანიანი დედ-მამა: აქაო და ყური რალაცისათვის ალალებდად მოუყარეთ, თავის უთავბოლო სიბრძნით ყველგან წამოეჩინებოდა, ვითომც ჩვენი გვესმის ავი და კარგიო“ (ილ. ჰამპაძე, III, 279).

ავი დღის წაღება (ვისიმე) ჰრდ. თან წაღება ვისიმე უბედურებისა. სტვ. სიკვდილი, სიცოცხლის შეწყვეტა, უბედურება, ტანჯული ცხოვრება.

„გარდაუბდა წლის თავზე და ეხლა შემოვხვდით გზახედა, თქვენი ავი დღე წაიღოს, — იქვე ჰკილია ხენედა“ (პ. უშიკაშვილი, I, 34).

ავი თვლით დანახება იხ. ავი თვლით ყურება.

ავი თვლით ყურება ჰრდ. არაკეთილი თვლით მხერა. სტვ. მტრულად, ბოროტად ყურება, სიავის მონდომება ვისთვისმე. „ქრისტიანები და მაჰმადიანები თითქოს ყოველთვის ავის თვლით უყურებენ ერთ მანეთს და კრიტის კუნძულს თვლი საბერძნეთისაკენ უქირავს“ (ილ. ჰამპაძე, X, 162).

ავი ქარი აქვს ნაცემი ჰრდ. მავნე ქარი მოხვედრია. სტვ. სატყუარი რამ ამსული; ცუდად გამხდარა. „ამას ავი ქარი აქვს ნაცემი, თორემ ისე არ დაროშავს!“ (ხ. ანტონოვი, 33).

ავ თვალს არ ენახება ჰრდ. ავის (მანებელის) თვალის პატრონი კაცი ვერ ვაბედავს შეხედოს (რაიმე კარგს). სტვ. მეტად კარგი, მშვენიერი რამაა (უფრო ლამაზ ქალზე ითქმის). „ყანა წამიხდა, რა ყანა! ავ თვალს არ ენახებოდა!“ (რუფ. გრისთავი, I, 165).

ხალხის ძველი რწმენით, ზოგ ბოროტ და თვალთმაქც ადაძიანს თვალთ ავი აქვს, ე. ი. ვისაც ან რასაც შეხედავს ამ თვალებით, უეჭველად ვნება და ზარალი რამ მიადგებათ, სიყვდილიც კიო (დაწვრილებით იხ. თვალის კვრა).

ავს თვალს არ შეეხედება იხ. აეს თვალს არ ენახება.

ავ ცხვირს არ დასცემს ჰრდ. ცხვირის დაცემინება ავის მომასწავებელი არ ექნება. სტვ. რა მავისი საქმეა, ღირსი არ არის ბედნიერებისა, სიყვითისა, ყელზე დაადგება. „გამარავლის მითქმა-მოთქმა გარეთუბანში. ვაამწარა ქალის დედა მათმა ვანგაშმა.—ვილაც ლატაქს სალომეს შვილი ნანიანაბტი დღინეზედ ჰბედავს და ჰფიქრობს! ავ ცხვირს არ დასცემს...“ (გ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 64).

ხალხის ძველი რწმენით, ჩვენი სხეულის ორგანოები ამა თუ იმ სახითა გვშველიან: გვანიშნებენ, წინაწინ ვავტუბინებენ და გვაფრთხილებენ ხოლმე ჩვენი მომავლის ბედ უბედურების, გამარჯვება-დამარცხების. მოკვება-ზარალის შესახებ. ამ წინასწარმეტყველებაში, სხვათა შორის, ცხვირის დაცემინება, ან დაცემინების დრო და რაოდენობა თითქოს დიდ როლსა თამაშობს.

ცხვირის დაცემინება ლაპარაკის დროს გამოდის რაიმე ნათქვამის დამოწმებლის როლში. ვთქვათ, სადმე აპირებთ წასვლას და ყოყმანში ხართ: არ იცით, წახვიდნეთ თუ არა. ამ დროს ერთხელ დაგაცემინათ ცხვირი: მარცხი უეჭველია, გვეუბნება ცრურწმენა, და მგზავრობა უეჭველად უნდა ვადიდოს სხვა დროისათვის. ამბობენ აგრეთვე: მოხა ცხვირს არ დასცემს.

მაშასადამე, ცხვირის დაცემინება ანუ მარტივად ცხვირი, ორნაირია: ავი და კარგი, ე. ი. მომასწავებელი სიავისა და სიკეთისა.

აწამზარში გამოყვანა ჰრღ. ტვირთის თანასწორად განაწილება. ზტვ. ნადიმის დროს შემოსწრებელი სტუმრის მიერ იმდენი ღვინის დაღვევა, რამდენიც დამხვდურებს მის მისკლამდე დალეული აქვთ. „ყოჩაღ, ყოჩაღ, ტატო, — ასე ეძახდნენ ნაცვალს, — შესძახეს ყველამ ერთხმად და დაუმტეს: — შენ უფრო კარგი საქმე გაგაკეთებია ჩვენზედა, კაი მელაც დაგიქერია და დირსი ხარ აზამზარში გამოგაყვანოთ“ (მარ. წინამძღვრისწილი, მოხელენი, „ივერია“, 1902, № 119).

აზამზარი სპარსულია და ნიშნავს: თანასწორი მეტვირთე.

ათადან-ზაზადან ჰრღ. მამა-პაპიდან. ზტვ. უსოვარი დროიდან. „... ვგრედწოდებულ არმენია... ყოფილა ათადან-ზაზადან დღევანდლამდე“ (ილ. ჰაქავაძე, ჰვათა ლაღადი, 5).

ათანიშნავს მამას, ბაბა—პაპას, ე. ი. მამა-პაპითვე.

ათახად იჭრებოდა ჰრღ. ათას ნაწილად გაიჭრებოდა. ზტვ. ერთი კაცის მიერ მრავალჯვარი საქმიანობისათვის ხელის მოკიდება; ბევრი გაჭრვებისათვის პასუხის გაცემა. „შედარებით პაწია გუნდი (ახალგაზრდობის) მესამოცე წლებისა ვერ ასდიოდა მუშაობასა, ათასად იჭრებოდა, ყველა დარგში მუშაობდა, რადგან მუშა ხელი არა ჰყოფნიდათ“ (ს. მაგლოზისწილი, მოგონებანი, 123).

ათახი ქისა მარჩილი ჰრღ. ათასი ქისა მარჩილით სავსე. ზტვ. სულ ბევრი, აურაცხელი ფული, უთვალავი სიმდიდრე. მარჩილი (24 ბისტი) ძველებური ქართული ფული იყო, უდრიდა ქართულისავე ვერცხლის სამ

აბაზს. ფულს ძველად ქსოვილისაგან შეკერილ ქისებში ინახავდნენ. როცა უნდოდათ რაიმე საგნის ღირებულება გამოეზატათ, იტყოდნენ: „იმას ათას ქისა მარჩილიად ვერ მოგცემო“.

ათას ქისად ჰრღ. ათასი ქისისათვის. ზტვ. არაუბრის გულისათვის. ახ. ათასი ქისა მარჩილი.

ეს თქმა შემოკლებულად იხმარება. უნდა ვიგულისხმოთ: ათასი ქისა მარჩილიად.

ათასში ერთხელ, ერთს ჰრღ. ათას შემთხვევიდან ერთ შემთხვევაში თუ გავაკეთებ ისე, როგორც საუბროა. ზტვ. მეტად იშვიათად. „ჩვენნი — სწავლულნი განათლებულნი“, დარჯინის თეორიას ზედმიწევნით გაცოდინებენ, ჰეგელის ესტეტკას, ლესინგისა და ტენის ფილოსოფიას ხელოვნებისას თავისის ხელისგულისავეთ გადაგიშლიან; შექსპირზედ, გოეტზედ, ბაირონზედ და თუნდა პომპროსზედაც, რომელნიც, — ჩვენში კი ითქვას, — ათასში ერთს არ წაუკეთებენ, თუნდა მთელს უზარმაზარ წიგნებს დასწერენ“ (ილ. ჰაქავაძე, IV, 164).

ათახი თოკიდან გამომშვრალი ჰრღ. ათასი თოკისაგან დაბრძობას გადარჩენილი. ზტვ. მეტად გამოკლილი, ბევრი გაჭირვების მნახელი და გადარჩენილი. „გაიგონე ჩემი ძმური რჩევა: ჩვენ ქალაქელები ვართ, ათას თოკიდან გამომშვრალელები, შენ ან სხვა რას გაიტანო ჩვენგან!“ (ავტ. ცაგარული, კომედიები, 309).

ძველად, როცა თოკის ხმარება გიცნო ადამიანი, შეპურობილი მტრის უძრავსაყოფად, მის საბოლოოდ დასამორჩილებლად, თოკით შეუკავებდნენ ხელებს. როცა ადამიანი ფხას განოიჩენდა და მის შესაკრავ თოკს რამდენიმეჯერ თავს დაასწერდა, ამით გამოკდილებას იძენდა, ეცნობოდა სამშალეობას, როგორც ეხსნა თავი კარზე მომღვარე გაჭირვებისაგან. ასეთი კაცი სხვებისათვის დიხადაც რომ შურის საგნად ხდებოდა, მოყვასთა შორის მისი სიმარჯვე მისაბაძი და თითოთი საჩვენებელი იყო ხოლმე. ამიტომაც ამბობდნენ ხოლმე: ეს, ძეაო, ათას თოკიდან გამომშვრალი!

ათენ-აღამებს ბრძოლის ველზე (ანუ სხვაგან) ჰრღ. დღესა და ღამეს ატა-



რებს. ზტვ. სულ მუდამ შეუსვენებელი იბრძვის. „საუტუნეების განმავლობაში ხელში ფარხშალის მეტი არა გჰერიათ-რა, ბრძოლის ველზე ათენ-აღამებდით, ფული ხელში არა გჰერიათ ისე, როგორც ნიეთი რამა“ (აქკი, I, 300).

აინუნშიაც არ ავღებს აბ. აინუნში მოსვლა.

აინუნში მოსვლა პრ. შეხედვა, თვალების მიპყრობა, თვალეში მოსვლა. ზტვ. დანახვა, მოწონება, რადმე მიჩნევა, ანგარიშის გაწევა; მორიდება, შიში. „რაც მე იმ დაწიოკების დროს მამაძაღლობას ვმგრებოდი, და, კაცო, ერთი აინუნში მანც მომსვლოდა“ (დ. მანანელი, ძმური სიტყვა, 89); „მე ეს კარგათ ვიცოდი და აინუნშიაც არ მომდიოდა. ვამბობთი,—ამისთანა ბოდვას ვინ ათხოვებს ყურს-პეთქი“ (ილ. პავაძეძე, IX, 133).

აინუნი არაბულად თვალეზია (აი — თვალად და უნ მრავლ. რიცხვი), უდრის ქართულ „თვალში მოსვლას“.

აკანილიპირიანი პრ. ვისაც აკრული აქვს პირი თავსაბურთით ან სხვა რაიმეთი. ზტვ. ვინც ვერ ლაპარაკობს, მდუმარეა.

აი, ინა დავადე იმათ ჭკუას! პრ. ინის საღებავი დავადე იმათ ჭკუახე! ზტვ. უმოძრაოდ გამიჩერებია მათი ჭკუა, მათთვის ჭკუისა და მიხვედრილობის უნარი წამირთმევი, უჭკოდ დამიტოვებია. „მარები ჩემი უქმური კი არ არის ჭკვიანი. აი ინა დავადე იმათს ჭკუას!“ (გ. ერისთავი, 439).

ინა ერთგვარი საღებავი მცენარეა. ხმარობენ თმისა, წვეკრისა და ფრჩხილების წითლად შესაღებად. ინის დაღების შემდეგ უმოძრაოდ უნდა იყოს ერთხანს, ვისაც შეღებვა უნდა თმისა თუ ფრჩხილებისა. ასე რომ, ინის დაღება ხატოვანად გულისხმობს გაჩერებას, უმოძრაოდ ყოფნას, მოქმედების უნარის წართმევას.

აირია მონასტერი პრ. მონასტერში უწესრიგობა გაჩნდა. ზტვ. წესი დაირღვა, არეულობაა, უპირობო უფროსს აღარ მორჩილობს, უმცროს-უფროსობა გაუქმდა. „გასკრა ღვირვამ, აირია მონასტერი: ყველა მღვროდა, ცეკვავდა; ერ ამანეთს ვეხვეოდით, ალთქმას ვაძღვდით, კე-

თილს ვაირღებოდი“ (ვ. ბარბოვი, ფრადაფრადი, 91).

ძველად ბერების საცხოვრებელ მონასტერებში მკაცრი წესები იყო დამყარებული ცხოვრებისა. ეს წესები გულისხმობდა უმთავრესად სიტყვაშემტრუნებელ მორჩილებას უმცროსისას უფროსისადმი. თუ ხსენებული წესები დირღვევოდა, მონასტერი და მისი წესები აირეოდა. ასე რომ, „აირია მონასტერი“ გულისხმობს საზოგადოდ ერთხელვე შემოღებულ წესრიგის დარღვევას და უგულბებელყოფას.

ალაზანი პრ. დღი მდინარე კახეთისა, რომელიც მტკვარს ერთვის. ზტვ. სიმრავლე, სიდიდე. „აფხუშო, ქუჩახევაზე სამასს ლექს მოსკრეს თავია. აფხუშურაზე გამოჩნდა სისხლისი ალაზანი“ (ვაეა-ფნაველა, ეთნოგრაფიული წერილები, 152).

ამ შემთხვევაში ალაზანი იხმარება, როგორც მტკვარი, კალაპოტში ბევრი წყლის შეცულობის აღსანიშნავად.

ამ მდინარის სახელთან არის დაკავშირებული კახური თქმა: „რა ალაზანი ჩაგივარდა მუცელში“, რომელსაც ხმარობენ, როცა ნასვამი ადამიანი იხმარდება და დიდხანს ვერ თავისუფლდება შარდისაგან.

ალაიაში გატარება პრ. ორ-წყებად დამღვარ ადამიანთა შუა გადაჯვარედინებულ თოფებ ქვეშ გატარება დამარცხებულისა. ზტვ. შერცხვენა, საჯაროდ გალანძღვა, განიხლება, განიბარებება, სახელის გატეხა, გამასხარავენა. „მამაჩემისაგან გამიგონია, რომ გურულუმს ჩვეულეზად აქეთ, მტერს რომ დაიმოჩილებნენ, თოფებს ქვეშ გააფერენენ, და შემდეგ მისცემენ თავის ქვეყანაში დაბრუნების ნებანაო. ამ გვართ, თოფებს ქვეშ გაფერენას ალაია ჰქვია თურმე იმათეურათ,—ვითომ-და ალაიაში გადაძვინესო“ (გვ. ნინოშვილი, ჯანყი გურიაში, 99).

ალაია თურქული სიტყვაა და ნიშნავს რაზმს, წყობას; აგრეთვე ნიშნავს ხუმრობას, გამასხარებას, შერცხვენას, დამორჩილებას.

თავდაპირველად სამხედრო მნიშვნელობა ექნებოდა ამ ჩვეულებას, — ეგრძნობინებინა მომრევთა მხრივ მორეულთათვის, — იცოდეთ, დამორჩილებულები ხართ, ჩვენს ხელთაა თქვენი



სიცოცხლეო! შემდეგში ეს ჩვეულება გადაიქცა დამცირების, შერცხვენის, გამასხარავების გამოშხატელებად.

ილია ქუჩია თავის „სიტყვის-კონაში“ (1910) ასე აღწერს ალას: „(ალაია არის) ორ წყებათ დაწყებულ (მწყრივით დამდგარ) ადამიანთა შუა ადგილი. ალაიაში გატარება უწინ ნიშნავდა ადამიანის წკებლით, ჯოხით ანუ მთრახის ცემით გატარებას ორ წყებათ დარაზმულ ჯარის მიერ. ახლა ნიშნავს საჯარო შეოცხვენას“.

• **ალალმა დაჰქროლა** ჰრდ. მტაცებელმა ფრინველმა ალალმა წამოიქროლა. ზტვ. მოულოდნელი, სწრაფი უბედურება შეემთხვა, მარცხი მოუვიდა, მოულოდნელად დაბრკოლდა, შეაშინა, თავზარი დასცა, გული გაუხეთქა. „აქ რა იმისთანა ალალმა დაჰქროლა (ეზოეს), რომ ჰქუა-გონება დაჰზნეო“ (ილ. ჰაგვაძე, ქვათა დალდი, 94); „ნეტამც არ დადძინებოდა, ჩიტო ნიბლიავ, ნარზედა, წამოგვიქროლებს ალალი, წაგვიყვანს მილლა მთაზედა“ (იალზური).

ალალი — *Tenunculus auladarius* — მტაცებელი ფრინველია. მეტად სწრაფი და მარჯვე წიწილებისა და პატარა ჩიტების მოტაცებაში; მინიმუმ პატარა და ყომრალი ფერისა.

• **ალიფა** ჰრდ. ალის ყუდიანი. ზტვ. ეშმაკი, გაიძვერა ქალი. ზგლ., ჩვენი მეზობლის ქალი ნამდვილი ალიკულაა! ალი, ძველი რწმენით, ერთი სახეა აესულთა, მაგნიეთა. მღერობითი სქესისა, იზვიათი სილაშხისა, გრძელთმიანი, შემაცდენელი ადამიანისა.

• **ალილო და ხვალაო** ჰრდ. ალილოს ხვალ გიგალობებთ. ზტვ. სულ მალე იქნება, ადვილად მოვიცდით. „აი ალილო და ხვალაო, — მანც არ იშლიდა თავისას პეპია, მე კი მიყივლია...“ (ილ. ჰაგვაძე, I, 110); „ადე, ადე. ჭალიავ! ხვალე მარიაშობაა ბოდების-ხევში, დღეობას უნდა წავიდეთ ყუელანი დიდღდაშენის მახლის-წულთან და ქუდი ქერსა ვკრათ. ალილო და ხვალაო, დმერთო შეგვიწყალო“ (დ. მაჩხანელი, „იფერია“, 1903, №№ 23, 24).

ალილო დამახინჯებულად წარმოებულა ბერძნული სიტყვისაგან ალილია, რაც ნიშნავს: აქებდით უფალს! ეკლესიაში წირვა-ლოცვის დროს ხშირად გაისმოდა ალილითა. ალილო

კი სახელია სასიმღეროსი, რომელსაც ძველად მღეროდნენ საქართველოს სოფლებში შობის წინაღამეს. თქმა: ალილო და ხვალაო წარმოდგარია შემდეგე ამბიდან. ერთი კაცი მეორეს დაპირებია: ალილობას, ე. ი. როცა ალილოს სასიმღეროდ გვივლი, მაშინ გაგიკეთებ გასაკეთებელსაო. ალილობა კი მეორე დღეს ყოფილა და ვისაც დაპირდნენ, იმას უთქვამს: ეგ ალილოც ხვალ იქნება და ვნახოთო! შოგიც ამბობს ხოლმე: ალდგომა და ხვალაო! ალდგომა ალილოს მაგიერ იხმარება იმავე მნიშვნელობით.

საერთოდ, ეს თქმა იხმარება, რამდენადმე, ყვედრების, ნიშნისმოგების კილოთი, როცა უნდათ მიახლოებული დრო აღნიშნონ, აგრძობინონ დამპირებელს: მოვითმენთ, დანიშნული დროც მალე მოვა და ვნახოთ, როგორ აასრულებ პირობასო, მე კი ექვს მიქვს, ვაი თუ მომატყულო!

• **ალილოზე სიარული** ჰრდ. ქრისტეს შობის მისალოცავად სიარული. ზტვ. კარდაკარ სიარული, შინგაუჩერებლობა. „დიდ სასახლეებში არ იღებდნენ მიმლოცველებს, კარებს არ უღებდნენ. თუმცა აკრძალული იყო ალილოზე სიარული, მაგრამ პატარები მაინც ახერხებდნენ მილოცვას“ (ე. ბარნოვი, ტული. არქივები, 37).

ქრისტეს შობის (დეკემბრის 25) წინა საღამოს სოფლის ბიჭები კარდაკარ დადიოდნენ და სიმღერით ულოცავდნენ სოფელეთ ქრისტეს დაბადების ამბავს. აქედანაა წარმოდგარია თქმა ალილოზე და დისო — ისეთ კაცზე, ვისაც ერთ ალაგზე არ ეჯდომებოდა და კარდაკარ დადიოდა მეზობლებში, ხან ვისთან და ხან ვისთან.

• **ალის აღებინება მუგუშლისათვის** ჰრდ. ალის ზევით აშვებინება მუგუშლისათვის (ალი ააღებინა მუგუშინა). ზტვ. ცუცხლის დანთება, ვალკივება. ზგლ., „ერთი კარგად შეუჩიხვირე და ალი ააღებინე მაგ მუგუშალსა!“.

• **ალისქარის ჩაგდება** (ვინმეს) პირში ჰრდ. ქაჯისაგან მოღენილი ქართი გამოვსება ვინმეს პირისა. ზტვ. ძალათი გაჩუმება, დადუმება, ლაპარაკის უნარის წართმევა, შეშინება.

ხალხის ძველი რწმენით, ტყისა და ლაღალულებში ბინადრობენ, სხვა ავ-

სულთა და მაცნეთა შორის, ალები ანუ ქაჯები, დაუძინებელი მტრები ადამიანისა. ამათ შეუძლიათ ადამიანს, როცა სადმე ახლოს მოიხელებენ, მიუშვან ისეთი ქარი, რომ ადამიანს მყისვე ენა ჩაუვარდეს და დადუმდეს. აქედან ალი ს-ქარის ჩავეარდნა ადამიანის პირში—გადაიქცა სინონიმად უზომო შეშინებისა, გაჩუმებისა, ხმის ამოუღებლობისა.

აღმაცერად ყურება ჰრღ. არაპირდაპირ, განზე ყურება. სტვ. მტრულად, ექვიით, ხიზლით, მტრულად, იქვიანად, უნდობლად ყურება. შგლ., „რა აღმაცერად მიყურებ, არა გჯერა, რასაც გუებნებნი?“

აღმურის მოკიდება ჰრღ. ცეცხლის ალისა და მურის მოღება. სტვ. გაბრაზება, გაცხარება, გაფიცება. გულმოსულობა. „როგორ თუ: ბიჭი რაღაა და გოგო!“—მოეკიდ და აღმური ნატალოს.—ბიჭს ქრთამი მოურდება, მზითევი, თუ გათხოვება?.. მე იმის განხილვის თაფი არა მაქვს“ (ფგ. ყარა-მანიშ, ნატვითვალა, „ივ.“, 1904, № 269).

აღჩუ დაუჯდა ჰრღ. კოკის ჩაღრმავებული გვერდი ზევით მოექცა. სტვ. მიოგო, ხეირი ნახა, გაუპარჯდა, წარმატება მოიპოვა. „მოდით და ნუ გაეციება სიხარულისაგან ამისთანა ოსტატს, რომ ამ შემთხვევაში აღჩუ დაუჯდა და ჩვე წაგვიტყუა!“ (ილ. კეჭეაძე, V, 174).

საათამაშო კოკის ზევითა ჩაღრმავებულ გვერდს აღჩუ ჰკედა, ხოლო მის მოპირდაპირე ჰკედა მხარეს—თოხანი. როცა მოთამაშე კოკს მაღალ ისერის, თუ აღჩუ ზევით მოექცა, მოგებას ნიშნავს და იტყვიან: აღჩუს დაუჯდა კოკი ანუ აღჩუ მოუვიდაო.

ამაზე მეტი აღარა ჩავიდა ყელში ჰრღ. მეტი ვერ ჩაერთა ყელში. სტვ. მეტის მოთმინა აღარ შეიძლება! „ემანდ ხმა გაკმინდე, სასა გაიჭრე, თორემ ამაზე მეტი აღარ ჩავიდა ყელში“ (ფგ. მენთემაშვილი, თაფლო, „ივ.“, 1902, № 264).

როცა ადამიანი ძალზე გულმოსულია, პირი უშრება და ნერწყვი ადივლიად არ ჩადის.

ამ დღეთა და ამ ღამით ჰრღ. დღე და ღამე. სტვ. გაუწყნარებლივ. ამიდის, მიდის, კაცებო, რო უყუროთ, ამ დღეთა და ღამით ქიზიყის ოთ-

ხივ კუთხიდან გაყიდული ძროხა ქალაქისაკენ, რომ ფეხს ვერ აღუქცევთ!“ (დ. მანხაგელი, ქიზიყ. მწუხარება, „ივ.“, 1901, № 202).

ამ ხოჯლის გაშვება ჰრღ. სოფლისაგან გაშორება. სტვ. ხორციელ ცხოველებისათვის ზრუნვაზე ხელის აღება, სულის ცხონებისათვის ზრუნვა. „მელამ უთხრა: ჩემნი დღენი ცოდვის ქმნით დავაღამე. ახლა ქეუა მოვიხმარე, ეს სოფელი გავუშვი, ბერად შევედგე“ (საბა ორბელიანი, 31).

ამას რა ტარჭრელი კოვზი უნდა ჰრღ. ქრელტარიანი კოვზი არ სჭირდება ამ საქმის გაკეთებას. სტვ. რა დიდი საქმეა, ადვილია, დიდი დავიდარება არ უნდა, ამის მიხვედრა და გაკეთება არავის გაუჭირდება. შგლ., „შენც ერთი! ნუ იცი ხოლმე საქმის განზვიადება! ამას რა ტარჭრელი კოვზი უნდა!.. სულ ადვილი გასაკეთებელია“.

სანამ ლითონის კოვზები გაჩნდებოდა, ძველად ხის ტლანქად გაჩორკნილ კოვზებს ხმარობდნენ.

ეს კოვზი თავის მოკრძალებულ დანიშნულებას (ლობობის ამოზელება ქოთანში, წვენის გადაღება ჯამიდან თუ ქვაბ-ქოთნიდან, იმითი ხეოვა წვენიანისა და სხვ.) პირნათლად ასრულებდა და ადამიანს უადვილებდა თხელი საქმლის ჩაშვებას პირში. ჩვენი წინაპართაგანი არ დასჯერდა ამ წილად გათლილ კოვზს. მის თვალს დიდაც ეამებოდა—ხელში სჭეროდა ისეთი კოვზი, რომელსაც ტარი ნახარატევი ჰქონდა, ზემოთ ამოკრილი ყოფილიყო ოსტატის ფანტაზიის მიერ შექმნილი სახეები. ამ აქრელებულ ტარიან კოვზს, გარეგნულ განსხვავებულ სახესთან ერთად, ბუნებრივად მიაკუთვნებდნენ სადა, უზბრალოდ გაჩორკნილ ტარიან კოვზთან შედარებით, მეტი საძნელო საქმის გაკეთების შნოსა და შეძლებას.

შემდგომში ამ ტარჭრელ კოვზს პატრონი გამოსაჩენ აღაგას სდებდა სუფრაზე, რომ სტუარს თვალში მოახვედროდა და მოსწონებოდა მისი გარეგნობა. ჯამიდან წვენის გადაღება ასეთ კოვზს უნდა დაეკისრებოდა. მასპინძელი თითქოს ცდილობს აგრძნობინოს ყველას, რომ თუ არ ტარჭრელი კოვზი, ასეთს, აშკარად უზბრალო საქმეს, სხვა, აუჭრელებელ ტარიანი კოვზი აბა როგორ გააკეთებსო!



ბოლოს, ამ ტარქრელი კოვზის როლი გადატანილ იქნა საერთოდ რისაზე გაკეთებაზე ან რისამე ძოსაზრებაზე. არის საქმე, რომლის შესრულებას დიდი ფიქრი და მიხედვრილობა ან თავისმტკრევა არ სჭირდება; ხოლო გამკეთებელი მანაც ახეიალებს საქმის კეთების სიძნელეს. ამ დროს ასეთს მოკლედ მოუჭრიან სიტყვას: „შენც ერთი, რალა, გააჭირე საქმე! ამას რა ტარქრელი (ან ქარელი) კოვზი უნდაო?“

ამალა თევზებს დაიჭერს ჰრდ. თევზებს მოინადირებს ამალამ. ჰრდ. ძილში შარდი გაედინება უნებურად.

იტყვიან ბავშვზე, როცა დაწოლის წინ ბევრ წყალს დაღვეს, ვითომც წყალში შესტოპავს თევზის საჭურადალ!

ამბავი ტარიელისა ჰრდ. ტარიელისა რა იცი? ზტვ. რა ამბავი? რას იტყვი ახალს?

ძველად ტარიელის, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ გმირის, ამბის კითხვა დაპარაკში ჩვეულებრივი გახლდათ. შემდეგში ეს თქმა გადაიქცა საერთოდ ამბის ან მოკითხვის ფორმულად. შეხვედრის დროს ერთი მეორესა ჰკითხავს: ამბავი ტარიელისა? ვისაცა ჰკითხავენ, თუ თავის თავზე სათქმელი საიმისო არაფერი აქვს, „ტარიელს“ ურითმებს „გაბრიელს“ და დაცინვით ეტყვის: „მშვილობა გაბრიელისა“ მუცელი ცაბრიელისა, ე. ი. გაბრიელი კი მშვიდობით გახლავართ, თუ მშვიდობით ყოფნა ეთქმის მუცელცაბრიელობას და დაუშვდილობასაო...

ამერიკის მშოვნელი ჰრდ. ვინც იპოვნა, ვინც აღმოაჩინა პირველად ამერიკა. ზტვ. რისამე აღმოაჩინა. „ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ჩვენის მიმოხილვის დასაწყისში ასეთი აზრები უნდა წარმოესთქვათ, რომელნიც სხვა ქვეყნებში დაურღვეველ ქეშპარიტებად გადაქცეულან და ვინც კი მათ განიმეორებს, იქნება, სასაცლოდ აიგდონ და ამერიკის მეორედ მპოვნელი დაუძახონ (ილ. ჰაუპჰაუბი, VII, 299).

ეს თქმა დაკავშირებულია ქრისტეფორე კოლუმბის სახელთან, რომელმაც 1492 წელს აღმოაჩინა ამერიკა, და ამ დროიდან, რისამე ახალის, მანამდე უცნობის, აღმოაჩინელზე ამბობენ: ამერიკა აღმოაჩინაო! დაცინვითაც ამბო-

ბენ ისეთზე, ვინც უკვე აღმოაჩინის აღმოაჩინას დაიჩემებს, ან ისეთს რასმე იტყვის, რაც ყველასათვის ცნობილია, მაგრამ მას მაინც უნდა ახალ ამბად გაასალოს.

ამილახვრიანში გადასწვდება ჰრდ. ამი-ლახვრიანთ მამულშიც კი გადავა. ზტვ. წინდაუხედავად, დაუფიქრებლად იქცევი, წააგებ, იზარალებ, სიფრთხილე გმართებს. ზგლ., „ეი, სულელი, რას სჩადი, ეს ამილახვრიანში გადასწვდება!“

ერთ გლესს სოფ. მოხისში (ხეშო ქართლი) ოსართი თევზის ქერა გაეწურაბავს. წყალში მარგილები ჩაუყრია, ზედ ხე გაუდგია და მარგილების თავებზე მიუმაგრებია. თვითონ მარგილებისათვის ფიჩხი, ძეძვი, ღორღი, მიწა მიუყრია ისე, რომ შიგ წყალი არ გასულიყო და განგებ დატოვებულ ვიწრო სადინელით ედინა. მარგილებს თავებზე გადებული ხე ცოტა გრძელი გამოსულა და ორ ადგილამდე თავად ამილახვრიანთ მამულში გადაცდენილა. მამულის პატრონს ეს რომ გაუგია, მისულა, რაც თევზი მიჰყოლია ოსაროს ქვევით მიმარგებულ ბაღეში, გლეხისათვის სულ წაერთმევეა და ოსაროზე გადებული ხეც წაუღებინებია— შეშად გამოდგებაო.

ამას შემდეგ, როცა ვინმე წინდაწინ გამოუანგარიშებლად, აუწონ-დაუწონავად აკეთებს რასმე ისე, რომ ზაოალი, წაგება თუ მარცხი აუცილებელია, ეტყვიან: ამილახვრიანში გადასწვდებაო!

ამინ და კირიელისონ! ჰრდ. ასე იყავნ და, უფალო, შეგვიწყალებს! ზტვ. თანხმობის გამოცხადება: სწორედ ასეა, მორჩა, გათავდა. „ავიღოთ ხელში საცეცხლურები და საკმელი ვეკმიოთ, მინამ საქმე არ გამოგვიჩნდება, ცუდად ჯდომას ცუდად ზრომა სჯობია. ამინ და კირიელისონ. მორჩა და გათავდა“ (ილ. ჰაუპჰაუბი, IX, 279).

ამენ—ებრაული სიტყვაა, ნიშნავს: ეგრე იყოს! ებრაელთაგან ქრისტიანებმა შეითვისეს და ეკლესიაში ხმარობენ მღვდელმსახურების დასრულებისას. კირიელისონ — ბერძნულია: კირიე — უფალო, და ელვისონ — შეგვიწყალებს. ამინსა და კირიელისონს ხმარობდნენ ჩვეულებრივი ლაპარაკის, რისამე ამბის დასასრულს და ამით

უნდოდათ ეთქვათ: მორჩა და გათავდა, ასე იყო.

ამინდი დაუღდა ჰრე. ვისმე ან რასმე კარგი დარი შეესწრო. სტვ. ხელი მოემართა, გაუმარჯვდა, წარემატა. „ამ სეზონში ჩვენ ქართულ თეატრს თითქო კარგი ამინდი დაუღდაო. საკმაოდ შესანიშნავი ამბავია, რომ ჩვენმა ღარიბმა სცენამ რამდენიმე ახალი პიესა მოიპოვა და ჩვენმა სათეატრო დასმა ეს ახალი პიესები ითამაშა“ (ილ. პეჭავაძე, IV, 201).

ამირანის ხმალს აქნევს ჰრე. გმირ ამირანის ხმალს უღერებს ვინმეს. სტვ. დიდი ვაჟაკია, გულმაგარია, მხნავა. „ხშირ ქალარაშერთულ ცხოვრებას ბევრი ენახა ნამდვილი ბუმბერაზიც, მაგრამ მძლავრად დაედუნა იგი და დაეშუხლისთავებინა: რა ყურადღებას მიაქცევდა იგი რალაცა თავადებულ ჭიას, რომელიც აღელვებდა ულვაშს და ეგონა ამირანის ხმალს ვაქნევდა და ვაეღვარებ“ (ფ. ბარნოვი, ფრად-ფერადი, 257).

ლეგენდარული ამირანის ხმალი ქართველებში დიდი ხანია გადაქცეულია სინონიმად ვაჟაკობისა და მძლევამძლეობისა, რომლისათვისაც არავინაა მოურევნელი და შეუშუსვრელი.

ამ მთისა და იმ ბარისა ის. ამ მთისა, იმ მთისა.

ამ მთისა, იმ მთისა ჰრე. ამ მთის ამბავი, იმ მთის ამბავი. სტვ. სხვადასხვა ამბავი, ნაირნაირი, ბევრი ამბავი, ზოგი ახლობელი, ზოგი შორეული ამბავი. „მაგდანასაცა სიამოვნება დაეტყო და ზალიკა ხომ სულ ლაპარაკად გადაიქცა, სიხარულით ამოიდგა ენა და ხან იმ მთისას გაიძახოდა და ხან იმ მთისასას“ (ს. მგალობლიშვილი, I, 133).

მთა, ისე როგორც ზღვა, უძველეს დროში აღამიანისათვის ითვლებოდა საზღვრად, რომლის იქით, მისი აზრით, ან სულ არ ცხოვრობდა მისი მსგავსი აღამიანი, ან, თუ ცხოვრობდა, ყოველ შემთხვევაში, ძალზე შორეული იყო. ამგვარად: „ამ მთის ამბავი“, „იმ მთის ამბავი“ გულისხმობდა მეტად შორეულ, გასაგონად განსაცვიფრებელ თხრობას ვისსამე ან რისსამე შესახებ.

ამომავალი მზეა, ჩამავალი მთვარეა ჰრე. ამომავალი მზისა და ჩამავალი მთვარის მსგავსი. სტვ. მეტად ლამა-

ზი, მშვენიერი. „ცოლი გამიხდა ავად, ცოლი — მზე ამომავალი, დავჯექ და ბევრი ვიტრიე, თავშიც ვეცი მრავალი“ (დ. მაჩხაიანი, „იგ.“, 1897, № 44).

როგორც ვიცით, მომზიბლავი სანახავია, როდესაც მზე ამოდის, ახლად იბადება ცისკიდურზე და მთვარე ჩაესვენება ხოლმე იმავე (ცისკიდურზე. აქედან გასაგებია შედარება ჩვენთვის სათაყვანო აღამიანისა ან ლამაზი ქალისა ამომავალი მზისა და ჩამავალი მთვარის მშვენიერებასთან.

ამოფერდება (ამოვიფერდე, ამოვიფერდა) ის. ფერდის ამოღება.

ამოღებული ხმალი ჰრე. ქარქაშიდან ამოსული, გაშიშვლებული ხმალი. სტვ. მზადმყოფი საბრძოლველად, მისაშველებლად, დასახმარებლად. „ვინც ბიჭი და მას საერთო საკაცო საქმეში აჯობებს! დაგვჯერდება რამ და, ღმერთმანი, ხელს არ გავიშართავს!... ამოღებული ხმალია ეგ მამაცხოვნიებული, სწორედ“ (ვაჟა-ფშაველა, V, 208).

ამოყორვა მუცლისა, კუჭისა სტვ. ზომანზე მეტად ამოვსება მუცლისა. მგლ., „მუცლი ისე ამოვიყო რე, რომ ვეღარ ვიძროდი“; „ეს სოფლის მგლები (დიამბეგის იასაულები) თუ სხვა სოფელში ამოყორავდნენ კუჭებს, სერში გოგიალთან გამოაშურებდნენ“ (ს. მგალობლიშვილი, წარსულიდან, „მოამბე“, 1899, II, 78).

მღაბიური და უბოდიშო თქვაა. იხმარება, როცა გვინდა გამოვხატოთ, რომ მეტის ქამა არ შეგვიძლია; ძალზე გეშოდა, საქმელი შეგვხვდა და ჩვენც, უკაცრაული პასუხია, ჩავიყარეთ და ჩავიყარეთ მუცელში ისე, რომ მეტიც არც ჩავვეტეოდაო.

ამოწვდილი ხმალი ის. ამოღებული ხმალი.

ამოკმა ჰრე. სულ შექმა, შიგ არაფრის ჩატოვება. სტვ. დახოცვა, მოკვლა, მოსპობა, სხვისი აკრობა და თვითონ გადარჩენა, მოღნობა. „გენაცვალე, ბიყუში შეიქნა ეს დალუპულის შვილი! იმისმა მოთქმამ ილაჯი წაილო, სახეობა დაგვიკარგა — ნახამ, თუ კიდევ არ ამოიქამოს ვინმე!... თავის თავი ამოიქამოს! თვითონვე იყო დამნაშავე, რომ ის საწყალი



ცალკე გაიგდო და ააზავთა, — ამბობ-
დნენ განაყოფები“ (ვ. ბარნოვი, ფერად-
ფერადი, 215).

ამქარი ჰრღ. თანამოხელე. სტვ. თანამო-
აზრე, მომხრე. „სულით გაძლიერება
ჩვენის“ დედლაკაცებისა“ — გაძლიერე-
ბა ოჯახისა, ერისა, ქვეყნისა, და ეს
რომ მოხდეს, ხომ აირია მონასტერი
თ. გ. თუმანოვის ამქარისა, ხომ
დაეფანტათ დევთრები და ძალმა
პატრონი ველარ იცნო“ (ილ. ჰავჭავაძე,
IX, 334).

ამ ქვეყნისა აღარ არის ჰრღ. ამ ქვეყა-
ნის აღარ ეკუთვნის, ამ ქვეყნის
მცხოვრებელთა რიცხვში არ არის
ჩასათვლელი. სტვ. სასიცოცხლო აღარ
არის, მალე მოკვდება. „კაცმა რომ
ნახოს (ავადმყოფი), იტყოდ; ეს ამ
ქვეყნისა აღარ არის, პირი იმ
ქვეყნისაკენ აქვს მიბრუნებულიო“
(ილ. ჰავჭავაძე, III, 267).

ამღრევა გულია ჰრღ. არევა, სიწმინ-
დის დაკარგვა. სტვ. შეუფოთება, და-
ნალვლიანება, დადარდიანება, მოუ-
სვენრობა. „ყური მოჰკრა (გიორგიმ)
ბავშვის გულმომჯდარს ტირილსა.
შეიტყო მიზეზიცა და აემღკრა
პაწაწა გული“ (ილ. ჰავჭავაძე, III, 50).

ამ ჩემ ფეხსა ჰრღ. თუნდ ჩემ ფეხს მო-
ხვდეს. სტვ. დარდი არა მაქვს, რა
მენალვლება, რა ჩემი საქმეა! „მარტ-
მა სთქვა: მე ზვალ მივდივარ, თუ არ
მორჩება, ამ ჩემ ფეხებსა!...“
(პ. ზვიგაშვილი, I, 235). იხ. ფეხებზე მკი-
ლია.

ამხანაგები ჰყოლია იხ. ბატონები ჰყო-
ლია.

ანაბანა, ანბანი ჰრღ. ანი და ბანი. სტვ.
საფუძველი, კანონები ხელოვნებისა
ან ცოდნის რომელიმე დარგისა.
„სულ სხვისა საქმეზე ჰხარჯავს თა-
ვის ღონეს და ძალასა, თავისებურად
ჰკითხულობს ცხოვრების ანა-ბა-
ნასა“ (ვათა-ფშაველა, IV, 268).

ან ბანი ეწოდება ამა თუ იმ ენის
ყველა ასოს, რომელიც განრიგებული
არის ამ ენის მიერ დადგენილი წესის
თანახმად. საკუთრივ სიტყვა ან ბანი
სახელია ქართული ანბანის ორი პირ-
ველი ასოსი: ა (ან) და ბ (ბან). ან ბა-
ნი ეწოდება აგრეთვე წიგნს, რომელიც
წერისა და კითხვის ნიშნებს შეიცავს;
ამ ნიშნების ცოდნაზეა დამყარებული
წერა-კითხვის შესწავლა.

ანგელოზების დაფრთხობა ჰრღ. ანგე-
ლოზების შეშინება ვისთვისმე. სტვ.
შეშინება, ჯავრის ამოყრა, დამარც-
ხება. „არ იქნება და გავიხაროან,
მიხას ჯერ კომბლის ხმარება არ და-
ვიწყებდით! ასე დავეფრთხობე
დი ანგელოზებსა, რომ ჰქმნას
კი არა და მერტივ მოუვიდეს!“ (ს. მგა-
ლობლიშვილი, I, 73).

ანგელოზები ჩამოვატაროთ ჰრღ. ისე
მოვაწყვით, რომ ჩვენ კარწინ ანგე-
ლოზებმა ჩამოიარონ. სტვ. დავუშ-
დეთ, ხმა არ ამოვიღოთ. შტრ. „ჩუმაღ,
აბა ერთი ანგელოზი ჩამოკა-
ტაროთ, სთქვა თხუენლამ“ (ს. მგა-
ლობლიშვილი, წაოსულიანი). შტრ. ანგე-
ლოზებმა ჩამოიარეს.

ანგელოზებმა ჩამოიარეს (ჩამოიარა)
ჰრღ. ანგელოზებმა ჩვენი სახლის გზით
გამოიარეს. სტვ. სიჩუმეა, ხმას არა-
ვინ იღებს. „დარბაზში გაისმა: „შშშ“
და წამს ისევ სიჩუმე ჩამოვარდა
— ანგელოზებმა ჩამოიარა.
გამობრძანდა ამალით დიდი ბატონი“
(ს. მგალობლიშვილი, II, 78).

ხალხს სწამდა, რომ ანგელოზები ამ
ქვეყანას ჩამოდიან ზეციდან ღმერთის
სხვადასხვა დავალების შესასრულებ-
ლად. სოფელთა სახლებში მაშინ ჩა-
მოვიდნენ, როცა შიგ სრული სიჩუ-
მეაო. ამიტომაც, რომ, როცა სახლში
ყველანი ერთბაშად დაჩუმდებიან, იტყ-
ვიან: ანგელოზებმა ჩამოიარესო.

ანგელოზი ჰრღ. მოამბე, მახარობელი,
არსება სულიერი, ზეციერი, ხორც-
უსხმელი, უსქესო. სტვ. მშვიდი, მორ-
ჩილი, ტკბილი, კეთილი, მშვენიერი.
„ვის არ მოესხენება როგორც თა-
ვადანაურობაში, ისე გლეხაკობაში
ყველა ანგელოზი არ არის, ჩვენ-
და სამწუხაროდ“ (ილ. ჰავჭავაძე).

ანგელოზი ბერძნული სიტყვაა
(ანგელოს) და ნიშნავს მოამბეს. თანახ-
მად სარწმუნოებრივი გადმოცემისა,
ღმერთმა ანგელოზები გააჩინა სხვადა-
სხვა დავალების შესასრულებლად. ისინი
ხშირად იზნავენ ბოლნის ღმერთის
მიერ ზეციდან დღეადმიწახე ადამიანე-
ბისათვის თავისი ნებისა და ბრძანების
გადასაცემად.

სურათბატონად ანგელოზი ეწო-
დება მშვიდ, უწყინარ და კეთილ ადა-
მიანს, განსაკუთრებით ფიზიკურ სი-
მშვენიერით შემკულ და გულკეთილ
ქალს.

ანდწყედ (სიარული, საქმის გაკეთება) ჰრდ. საეგებოდ, სათუოდ სიარული. ზტვ. საექვოდ, საეინიცობოდ საქმის კეთება. მგლ., „ანდწყედ საქმის კეთება არავის გამოსდგომია“.

ანდერძი ჰრდ. მომაკვდავის უკანასკნელი სურვილი, დანაბარები, რომლის შესრულებას მოითხოვს ცოცხლად დარჩენილისაგან. ზტვ. მისწრაფება, სურვილი, ზდეალი. „ჯერ კიდევ იყო, როგორც წინად ვსთქვით — თითო-ორიოლა მამულიშვილი, რომელთაც ასულდგმულებდა ჩვენის ძველის ცხოვრების ან დერკები“ (ილ. ჭავჭავაძე, IV, 267).

ანდერძის აგება (ვისთვისმე) ჰრდ. მიცვალებულისათვის უკანასკნელი საექლესიო ლოცვა-ვედრების შესრულება მღვდელმსახურთა მიერ. ზტვ. მოკვდელა, საქაოს გაშორება.

ან—ერთი ბისტი, ბან—ორი ჰრდ. სწავლება ფულის ანგარიშისა. ზტვ. პირველდაწყებითი ცნობების სწავლება. „მარტო ამით არ ათავებს“—НОВОЕ ОБЩАНИЕ“ თავისის სიბრძნის გულზედ მოწოლას და, თითქო მსურს დაგვიმტკიცოს, რომ მართლა უჩარხავს თავისი გონება ბეგრ სხვა მაღალ ფარდების საგნებზედაც; მოპყოლია და გვიქადაგებს: ან ერთი ბისტი — ბან ორიო“ (ილ. ჭავჭავაძე, V, 192).

ბისტი ქართული ფულია, უდრიდა 2 1/2 კაპიკს.

ანთებული სანთელი ჰრდ. სანთელი ცეცხლმოკიდებული. ზტვ. მწველი, ვზის მაჩვენებელი, წინამძლოლი, მეთაური, გაპირვებისაგან მხსნელი. „ანთებულ სანთელ, სააქაოს ცხოვრებაც, საიქიოს ცხოვრებაც“ (პ. ზმიკაშვილი, I, 200); „ძვალსხვითი (კეკელი) და მოიდაბლეს, მაგრამ მხენ არის, დაუდალავი, ოჯახში შეეა ანთებული სანთელი ვით შეანთებდა“ (ვ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 61).

ანთებული სანთელი ხატოვანად წარმოდგენილია, როგორც ადამიანის მშველელი, გამხარებელი, გაპირვებისაგან მხსნელი, შვება-ლხენის მომნიჭებელი.

ანთებულ საქირეში გადავარდნა (ვისთვისმე). ზტვ. თავის გაწირვა ვისთვისმე, უზომო სიყვარული მოყვასისა. „ქინტო ბიკებს ძლიერ უყვარდათ

(დემეტრე). თუ მითთვის არა შურლას რა, არცა რას ისინი იშურებდნენ. დემეტრე ძმაბიჭებისათვის ანთებულ საქირეში გადავარდებოდა“ (ს. მვალიშვილი, II, 5).

ანკების გადაგდება ჰრდ. ნემსკაის ჩაგდება წყალში თევზის დისაქრობა. ზტვ. ცდა ვისიმე არ ჩასამე ბელში ჩასაგდებად (მოტყუებით, ცბიერობით). „იმ დღიდან ჩემი გრძობა-გონება საქუთრად იმან მიიხილა და ჩვეულგბრივად იმედიანად გადავუტვი ამქვისი“ (აკაკი, I, 173).

ანწუხწე აგება ჰრდ. ანწუხწე სხეულის ჩამოცემა. ზტვ. უზომოდ დატახჯვა, წამება, გვემა. „მოკრილი ნეკის წვერი სტაქანში ჩაუგდო, ზედ კახური ღვინო დააყოლა და სთქვა თურმე: ეს ღმერთმა იმ ძმა-კაცს გაუშარჯოს, რომელიც ძმა-ბიჭისათვის შემწეარ ხობობს კი არ შესჰამს, ანწუხწე ეგება“ (აქვ. ცაგარული, 70).

ანწუხი გახურებული მოგრძო რკინია.

აპრიალებულ ჩაღახავით ჩაქრობა ჰრდ. უცბად, მყისვე ჩაქრობა. ზტვ. დიდინით თავის ვერ დაქერა. „ცოტა ხანს იფართაშა (ავტორიტეტების წინააღმდეგ პოლემიკამ) და მერე აპრიალებულ ჩაღახავით ჩაჭქრა“ (ილ. ჭავჭავაძე, VIII, 125).

ჩაღამ როგორც ერთბაშად იცის აპრიალება, ისე უცბადვე იცის ჩაქრობა.

არამგამა ჰრდ. არ მენადლება. ზტვ. უდარდელი, უზრუნველი ადამიანი, ყველაფერი ფეხზე რომ ჰკილია. „ულონობით სქირს ცრემლთა ღვრა ქაცხა მას არამგამასა“ (ნ. ციციშვილი, შვიდი მთები, 50).

არამკითხვამაზებობა ჰრდ. არავინ ჰკითხავდეს ამბის თქმას, და მაინც ამბობდეს. ზტვ. მეტიჩრობა, ძალად გასალება თავის აზრისა. „მან (ქუციანმა უტოლნიარმა) თავისი ყალირი და ადგილი იცის და სხვისაც, ერთნაირად მორიდებულთა ყოყონობას, ზვიადობას და ნაპეტქავად მეტიჩრობას, არამკითხვამაზებობას“ (ილ. ჭავჭავაძე, IX, 111).

არაფერი დაშვარდება ჰრდ. ხელიდან არაფერს გაუშვებს ძირს დასაგდებად. ზტვ. ხელმოკერილია. სხვას არაფერს მისცემს, არ დაეხმარება გაპირვებულს, თავისკერძია.



არაფერი შეიღია ის. არაშვილი.

არაშვილი, არასშვილი ჩაგ. ცუდი, უფარ-
გისი. რაც არა ვშობე — არაშვი-
ლი, რაც არ გაეზარდე — არაყმა“
(ანდახ).

არახუნებს მოშლილ წისკვილსავეთ ჰრდ.
აუწყობელი წისკვილის მსგავსად
ხმაურობს. სტვ. უაზროდ რასმე ლა-
პარაკობს. „უფრო სამწუხარო არ
არის, რომ ამ საქციელების მოქმედ-
სა კარი ღია აქვს ჩვენს ჟურნალ-
გაზეთებში და აქაო და კარი ღია
არისო, ვისაც რა მოხვდება, არა-
ხუნებს მოშლილ წისკვილი-
სა ვით“ (ილ. კავკავაძე, VI, 226).

არ ითენა და აღარ იღამა ჰრდ. მისთვის
არც ვათენება იყო და არც დალა-
მება. სტვ. ზოუსვენრად, გაუწყნარებ-
ლოვ საქმიანობდა.

არ მოვთქვა ჩემი (ნათესავი თუ მოკე-
თე ვინმე) ჰრდ. მოთქმით არ ვიტყვო
მიცვალებული. სტვ. არ მომიკვდეს,
მის სიკვდილზე არ ვიტყვო. „აი,
სამც წელიწადს აღარა მიკლია-
რა და არ მოვთქვა ჩემი შაქარა
და მაროი, რომ არ მოვსწრებოდე
ამისთანა ზაფხულს!..“ (ან. ერისთავ-ხოშ-
ტარია, მიწა, 52).

ფიცის ფორმულაა. როცა ვისმე უნ-
და მსმენელი დაარწმუნოს რაშიმე, ამ
სიტყვებს მოიშველიებს.

თითონ მოთქმა ნიშნავს სიტყვე-
ბით თქმას უბედურებისა თუ სამწუხა-
რო ამბისას, განსაკუთრებით ვისიმე
სიკვდილის გამო. შემდეგ მოთქმა
დაერქვა სიკვდილს, მიცვალებულის
დასვენებას მოტირალის წინაშე და მის
დაბრუნებას სიტყვებით.

არნადით მოხახვეტია ჰრდ. მხოლოდ არ-
ნადს შეუძლია იმის თავის მოყრა.
სტვ. ბლომდაა, ბევრია. „უწინდელს
დროში, .ფულის მეტი სხვა ყველა-
ნაირი სიმდიდრე არნადით მო-
სახვეტი ყოფილა“ (ბებნიხელი, ივ.,
1903, № 198).

არნადი სამეურნეო იარაღია. კა-
ლოს ლეწვისას კალოზე გაღეწილი ჰუ-
რის და ნამჯის კარგად მოსახვეტად
არნადს ხმარობენ ხოლმე; რომელიც
თითქმის არაფერსა სტოვებს მოუგრო-
ვებელს და მოუხვეტელს.

არნაუტი ჰრდ. ალბანეთის მცხოვრები.
სტვ. მხეცი ადამიანი, საშინელი, სა-
ზიზღარი, უღმობელი, გულქვა, სი-

სბლით გაუმაღლარი, თავზე ხელადე-
ბული. ზგლ., „ინისმა გულმა გაქირე-
ბულის შებრალება არ იცის, რა სა-
ჭიროა, ნამდვილი არნაუტი“.

1919 წლამდე, როცა ალბანეთი
თურქეთის ნაწილს შეადგენდა, ამ მხრი-
დან მოკრებილი ჯარისკაცებისაგან
ცალკე რაზმები დგებოდა და არნაუ-
ტები ერქვათ. ისინი ცნობილი იყე-
ნენ გულქვაობით და უღმობელობით.
ქართლში ეს სიტყვა დაერქვა ისეთ
ადამიანს, ვისაც კაცის მოკვლა ჩალად
უჩანს, ვის გულსაც სხვისი შებრალება-
გაკითხვა არ ეკარება.

არხენას ადლი ჰრდ. ფართლის გადასა-
ზომად არსენას დაწესებული ადლი.
სტვ. მეტად გრძელი საზოთი სიგრძი-
სა, შეიდმტკავლიანი ადლი. „შინდის
ჯოხი განოუქრა (არსენამ ურიგებს),
რომელიც რომ გრძელი თქვესა,
შეიდი მტკავლით გაუზომა, მისხალი
არ დააქლდეს!..“ (პ. უშიკაშვილი,
I, 24).

ხალხის გმირი არსენა ოძელაშვილი
უკმაყოფილო იყო ვაჭრებისა, მას 16
გოჯიან (სამი მტკაველია, ანუ 72 სანტ.)
ადლით მოზომილი ფართლის გაყიდვა
ხალხის მოტყუებად მიიჩნდა და ამიტომ
თვითონ გამოსქრა ტყეში გრძელი შინ-
დის ჯოხი, შეიდი მტკავლით (16მ
სანტ.) გადაუზომა ვაჭრებს და უთხრა:
დღეიდან ამ ადლით ჰყიდეთ საქონე-
ლიო. დაემტკრა: თუ ასე არ მოქცეულ-
ხართ, განიებთაო! მასუთან ყოველ სიკრ-
ძის გადასწრებულ ზომას სურათხატოვა-
ნად არსენას ადლი დაერქვა.

არტახში მიბაა ხელი ჰრდ. ხელს არტახი
აქვს შემოქირებული. სტვ. ძალიან
მიჭირს, ხელი თავისუფალი არა მაქვს
სამოქმედოდ, რისამე გასაკეთებლად.
ზგლ., „ვაზოვ არ დამემდურო, რომ
ვერას გშველი, ამქამად არტახში
მიბია ხელი“.

არ შეგცივდეს! ჰრდ. სიცივე არ გინი-
ცადო. სტვ. არა დავიშავდეს რა,
ცუდი არ შეგემთხვეს. „აბა შეგ-
ცივდეს“ ვის ველაპარაკები! გაი-
გებ, ვისაც ველაპარაკები! შე-კი გირ-
წევ, ცოტაც არის, მოშინაურდე“
(ავტ. ცაგარელი, კომედიები, 300).

დაცინეთი თქმაა — ვითომ არაფე-
რი დავიშავდესო! ნამდვილად კი მუტა-
რაა — შეგცივა კიდევცა და მეტიც მო-
გივაო!



არსია მწყურთია პრ. კაბეზისათვის შე-
მოსავლები არსიების წყურვილი
მაქვს. სტვ. გარეგნული სიმშვენიე-
რის, კობტაობის მოყვარული ვარ.
მგლ., „არაფერი გასაფიქრებელია, ჩე-
მისთანა ახალგაზრდას არსია
სწყუროდეს!“

არ ჩამყლაპო პრ. ყანყაროთი სტო-
მაქანდე არ ჩაიყვანო ჩემი სხეული.
სტვ. არ მომსპო, არ გამანადგურო!
ნუ ხარ უზრდელი!

ამ ფრაზას იტყვიან, როცა ვინმე
მეტრსმეტად დამთქნარების დროს პირს
ძალზე ფართოდ დაადებს და ხელს არ
მოიფარებს. ამით დაცინვით უნდა გა-
მოსთქვან შიში, ვაი თუ დამთქნარე-
ბელმა დამსწრე გადაყლაპოსო!.. ამითვე
დამთქნარებელს მოაგონებენ ზრდი-
ლობის წყის.

არც ავიღე და არც დავიღე პრ. არც
ზევით ამიწვევია და არც ქვევით და-
მიწვევია. სტვ. ბევრი არ მიფიქრია,
ასე ვუთხარ, ან შეეუღდექი საქმეს.
მგლ., „არც ავიღე და არც და-
ვიღე, პირდაპირ მივახალე პირში,
ოაც სათქმელი მქონდა“ (შარ. არც
იწვრილა — არც იკითხა; აღარც ვა-
ციე — აღარც ვაცხელე).

არც ამაშენებს, არც დამაქცევს პრ.
არც გამდიდრება შეუძლია ჩემი და
არც გაღარიბება. სტვ. ბევრი არ
არის (თანხა), ანგარიშში ჩასაგდები
არც კია! „ძალიან კარგი, ცხრა თუ-
მანი არც ამაშენებს, არც და-
მაქცევს, მაგრამ თქვენ პატიოსნე-
ბას კი ქვეყანა შეიტყობს!“ (ავტ. ცაგა-
რელი, კომედიები, 68).

არც ამ მთისა, არც იმ მთისა პრ. არც
ამ მთის ამბავს შეეფერება, არც იმ
მთისას. სტვ. შეუფერებელი, ქკუაში
მოუხველი: არც ავი, არც აკარგი.
„რადგანაც რუსეთის ანბანს ავლია
ხუთმეტამდე ნიშნები ჩვენთვის ხმების
გამოსახატავად, ამიტომაც უფალს
ნათიეგს თავისით მოუგონია ახალი
ასოები, არც რუსული, არც ქართუ-
ლი, არც ამ მთისა, არც იმ
მთისა. და ამ ახალის ასოებით
შეუვსია რუსულის ანბანის ნაკლი და
ჩვენი ანბანიც გაუმდიდრებია“ (ილ.
პავლუაძე, VII, 191).

**არც არავის ყმად ვყოფილვარ, არც
არავინ ყმად მყოლია** პრ. არც მო-
ნად ვყოფილვარ ვისიმე, არც ვინმე

ჩემი მონა ყოფილა. სტვ. დამოუციდე-
ბელი ვიყავ, ჩემი შრომით ვცხოვ-
რობდი, ალალ ლუქმასა ვჰამდი. „არც
არავის ყმად ვყოფილვარ, არც არა-
ვინ ყმად მყოლია“ (ბალხური).

არც აცივა, არც აცხელა პრ. იმდენი
დრო არ დაახანა, რომ გაცივება
მოესწრო (საქმეს), ან გაცხელბა.
სტვ. პირდაპირ, მაშინათვე, ხელად,
დაუყოვნებლივ. „მაშინ დედაჩემმა
აღარც აცივა, აღარც აცხე-
ლა: ვაიტანა ბალიში და მიჰყიდა
ახლო მეზობელს სამ პურად“ (ლ. არ-
დახანი, 7).

არც დღე, არც ღამე პრ. არც დღის
განმავლობაში (კეთდება რამე) და
არც ღამისაში. სტვ. თავის დღემე,
არას დროს, სულ არა. „ერთი დე-
დაბერი გდიანთ მათეს შეჰყოდა:
ი ჩვენმა სამიწე გოგომ სიცოცხლე
ჩავვაძწარა, არც დღე სძინავს,
და არც ღამე“ (ქვიტი, საბავშვო
მოთხრობები, 61).

არც იწვრილა, არც იკითხა პრ. არც
წვრილად გაიგო რამე, არც ჰკითხა
ვისმე. სტვ. დაწვრილებითი ცნობები
არ შეკრება, კარგად არ გამოიძია.
„—უიმი, გენაცვალეთ, ამ დედაქაცმა
რა ჰქნა ესა! — ამბობდა ერთი: — არც
იწვრილა და არც იკითხა და
ისე გადავიდა იმ ქოფაკის სახლში!“
(ს. მგალობლიშვილი, II, 24).

არც კუჭსა ხვდეს, არც ხულსა პრ.
არც კუჭს ერგოს რამე (საქმელი) და
არც ხულს. სტვ. მეტად მცირე სა-
ქმელი, რომელიც შიმშილის სრულე-
ბით ვერ დააყურებს. „ზოგიერთი
მოიგონებს მკვდრის ხულსა, სულ-
თაობის სადილს მომცენს და ფულ-
სა, მაგრამ მცირეს, რომ არც
კუჭსა ხვდება, არც ხულსა“
(რად. ერისთავი, I, 25).

არც მკვდრებშია და არც ცოცხლებში.
პრ. არც მკვდრებში ურევია და არც
ცოცხლებში. სტვ. გამოუსადეგარია,
არაფრად მისაჩნევია. „ის არის, ჩემო
ნათლიდედა ელეჩე, საწუხარი, რო
არც მკვდრებშია ახლა ჩემი კობ-
ტა ცეცო და არც ცოცხლებშია;
დედა მოუკვდეს ჩემს ღამეს, კობწია
და ექრიალა ბიჭსა სალდათების
ხელშია“ (ს. მგალობლიშვილი, I, 129).

**არც ქვანა აქვს და არც ქოთანა (ოჯახ-
ში)** პრ. ოჯახში ჭურჭელი არაფერი
მოეძებნება. სტვ. მეტად ღარიბია,

საქართველოს
ისტორიული მემკვიდრეობის
სამსახური

უქონელი. „შენ რაღას იტყვი, შვილო? პაეღე კარგი ბიჭია, მაგრამ ღარიბია, ოჯახში არც ქვაბი აქვს და არც ქოთანია“ (გვ. გაბაშვილი, ჩივილი ნაწერები, 50).

სოფლად, რა ოჯახშიც ქვაბი და ქოთანი, ეს უსაქიროესი ჭურჭელნი საქმელის მოსახარად, არ იყო, ის ოჯახი ოჯახად არ მიაჩნდათ, მეტად გაჭირვებულად ითვლებოდა.

არც ჩვენ გვიძოვია ბალახი ჰრდ. პირუტყვები არა ვართ. სჭვ. არც ჩვენ ვართ უმეცრები, დასაბრძოლებლები, თქვენი დასცინი არ გახლავართ. მგლ., „არც ჩვენ გვიძოვია ბალახი, სურც ვგრე დაგვიბრძოვით!“

არც ცისა იცის, არც ქვეყნისა ჰრდ. არც ცის ამბავი იცის და არც ქვეყნისა. სჭვ. არაფერი იცის, სრულებით უფიცია, უგუნურიცა. „შენ არა იცი — უჭყო ხარ, არც ცისა, არც ქვეყნისა“ (გაბაშვილი, III, 318).

ახავალ-დახავალი ჰრდ. ზეით ასისვლე-ლი თუ ქვეით ჩამოსასვლელი ადგილი. სჭვ. სადაობა, სადმყოფობა, საითმიმავლობა. „მაგრამ ბატონის მებალემ, ეშმაკმა იმერელმა, თავისი ძალადმაცხონე სატრფო, გვირისეული, მალე მიატოვა, და სადღაც გადაიხეწა, ასე რომ მისი ასავალ-დასავალი ვერა მიაგნეს“ (ს. მაგალიძე, I, 164).

როცა ვინმე წავა ერთი ადგილიდან და ილარ გამოჩნდება, ეძებენ, მაგრამ ვერ იპოვიან, იტყვიან; მაგისი ასავალ-დასავალი ვერა გავიგეთო!..

ახაფრენწეა ჰრდ. ფრინველი რამ უნდა აფრინდეს. სჭვ. მზად არის რისამე გასაკეთებლად, სადმე წასასვლელად; უნდა წავიდეს. „სხვისაგან თუ ასაფრენზე იყო ხოლმე გარსევეანი ცოტახნობით და ხელის დაქნევას ელოდებოდა, №-ის ნაწილში გული ბუდეს დაიდგა, კარგა ბანს უდგნო, დვრიტა მოიკიდა, თეხი მოიბოძიწეა“ (გვ. მენთეშვილი, კოლა მშველიშვილი, „გ.“, 1903, № 253).

ეს გამოთქმა უდგება ყველას, ვიცაც ერთ ადგილას გული არ უჩერდება და ცმუკავს, უნდა მოარიდოს თავი იქაურობას.

ახე, ჩემო მანახეო, ხან ასე და ხან ისეო ჰრდ. ჩემო მანახე, ხან ასე შერე-

2. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი.

ბი და ხან ისე! სჭვ. დაუდგრომლობა, ორგულობა; მოწმობა უკვე უარყოფილსა, რაც კეწმართებას უარყოფს, რაც მას ხელს აძლევს. „ჩვენ არა ერთი და ორი მაგალითი მოვიყვანეთ იმისი, რომ აეტორი იმისთანებში იმ მანახესა ჰგავს, რომელსაც თეიმურაზ მეფე ხშირად ეტყოდა ხოლმე: „ასე ჩემო მანახეო, ხან ასე და ხან ისეო“ (ილ. ჯავახიძე, V, 60).

მეფე თეიმურაზ მეორეს, ერეკლე მეორის მამას (გარდაიცვალა 1762 წ.) ჰყოლია ერთი ორკოფული ლაპარაკის მოყვარული, ხუმრობისა და მკვერთე-ტყველების გამო თავისთან დაახლოვებული ბერი, სახელად მანახეო. როცა თეიმურაზ მეფე ამ მანახე ბერთან საუბრით ასრულდებოდა, დამოლოცების დროს, როგორც თეიმურაზ მეფე და მოლოცეს, ამ ბერს ლექსით მიმართავდა: ასე, ჩემო მანახეო, ხან ასე და ხან ისეო!

არის მეორე ვერსიაც ამ თქმის განმარტებისა.

მეფე გიორგი XIII-ს მოუტრავდა ჰყოლია ვინმე მანახე. მეტად მოყვარული ხუმრობისა. ერთხელ ეს მანახე მეფესთან სწორედ იმ დროს შესულა, როცა მეფე, მისი სახლობა და სტუმრები სადილად მსხდარან სუფრაზე. მეფეს უკითხავს: რა ამბავია, ჩემო მანახე, ახალს რას იტყვი? მანახეს რაღაც მოუხსენებია. მეფეს მისი ნათქვამი არ მოსწონებია. მაშინ მანახეს სიტყვა გადაუსხეფერებია. მეფეს გასცინებია და უბრძანებია: „ასე, ჩემო მანახეო, ხან ასე და ხან ისეო!“

ასი-ასი ჰრდ. ასობით. სჭვ. მრავალი, სულ ბერო.

ამას ჰტყვიან მონადირეს, როცა ნადირობიდან დაბრუნდება და მის ხელში ნანადირევს დაინახავენ. დალოცვის ფორმულა: ასობით მოგაკვლევინოს ნადირო!

ასი ენა დაილაპარაკებს, ასი პირი დაიჩველებს ჰრდ. ასი ენის პატრონი კაცი ენას ათქმევინებს რასმე, ასი ადამიანი თავის გაჭირვებას გამოსიტყვამს. სჭვ. ყველა დაემოწმება, ყველა იტყვის, რომ ეს ასეა.

ეს თქმა მაშინ იხპარება, როცა ვინმე რაიმე სიმართლეს, ცხადს, უცილობელს, უტყუარ ამბავს ამბავს და მსმე-





ნელნი კი ეკვის თვალით უყურებენ მის ნათქვამს, დასცინიან და არ უჯერებენ.

ახი თვალი უყურებს პრ. ბევრი უცქერის. სტვ. რისამე დამალვა ან მითვისება არ შეიძლება.

როცა ვინმეს მითვისება უნდა რისამე, მეორე აფრთხილებს: ხუ იზამ, ამას ასი თვალი უყურებსო! სიტყვა ასი აქ ნახმარია ბევრის, მრავლის მნიშვნელობით.

ახი მზე მიდგა ცაშია პრ. ზეცაზე ჩემთვის ასი მზეა მიკრული, ზეციდან ასი მზე დამცქერის. სტვ. უმეტესად ბედნიერი ვარ, უზომოდ გახარებული მაქვს გული. ჩვენზე უნეტარესი ქვეყანაზე არავინაა. „სანამდე მყევბარ, სულ დღე მაქვს, ასი მზე მიდგა ცაშია“ (ბაჩანა, 193).

ასკილი რომ თავს დაიქნევს ის. ასკილის ყვავილობა.

ასკილის ყვავილობა პრ. როცა ასკილი დაიყვავილებს. სტვ. კირნახულის შემოღვევის დროს, გაქირვება. „მეტადრე მაშინ უღარებდა ხუცესს დღე, როდესაც სოფელს რაიმე ვასაჭირი დაატყუებოდა თავს: ან ხარჯის ამკრეფნი შეესვენოდნენ, ან ასკილის ყვავილობა მოატანდა და მთლად გამოიფიტებოდა სოფელი“ (გ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 274).

ასკილი სხვა მცენარეებზე გვიან ჰყვავის (პარილში). როცა წინა წლის კირნახული, უმეტეს შემთხვევაში, სოფლად გამოღეუღია და ახალის შემოსვლამდე ჯერ კიდევ შორსაა. ვისაც სულადი არ ყოფნიდა და მინც იკვებნადა — მაქვსო, იმას ეტყოდნენ: ასკილის ყვავილობას (ან ასკილი რომ თავს დაიქნევს) ვნახავთ შენს ქონასაო...

კახეთში ასკილის ყვავილობას იცოდნენ ასკილობა, ანუ ლოცვა ბელლიდან თავგების გასაძეველად. მონარშადენ ფლავს, ზედ ასკილის ყვავის დასდებდნენ, და დააქირვდნენ ხელში პატარას და გააქცივდნენ ტყისაკენ. ბიჰს ეს ფლავი უკანმოუხედავად უნდა წაეღო და ტყეში დაეტოვებინა. ასკილობის მომწყობთ სწამდათ, რომ თავგები ბიჰს უკან დაედევნებოდნენ ამ ფლავის საქმელად, ხოლო ბედელი, საცა კირნახული ინახებოდა, მათგან განთავისუფლდებოდა.

ასლი და კვალი მამაა პრ. ნამდვილი მამაა. სტვ. სულ მამასა ჰგავს (შვილი). მგლ., „ეს ყმაწვილი ასლი და კვალი მამაა“.

ასლი ნიშნავს ნამდვილ, სწორ რასმე. იხმარება ეს სიტყვა, როცა უნდათ გამოხატონ ზედმიწევნობა, ნამდვილი მსგავსება ორიგინალთან, მაგალითად, შვილისა მამასა ან ღედასთან. ხოლო კვალი არის ანაბეჭდი ანუ ტყეფარი (აღსანიანს ან ცხოველის ფეხისა, ურმის თელვისა) მიწაზე, თოვლზე ან რისამე ზედაპირზე; სადაც ნაკვალევი ან ფეხის სახე დააჩნდება.

ასლი და კვალი, ერთად დართიმებულიად ხმარებული, წარმოგვიდგენს ერთის ღიდ მსგავსებას მეორესთან.

ას მთას იქით პრ. ეს (რაიმე უბედურება) ას მთას იქითამც მოხდება სტვ. გადაგვარჩინოს უბედურებას, საშინელება დაე ჩვენგან ძალიან შორს მოხდეს, აგვედეს მწუხარება.

ეს თქმა იხმარება, როცა რაიმე უბედურებაზე ჩამოუარდება ლაპარაკი, მაგ., სიკვდილზე, ცეცხლზე, ქირზე.

ასუნებინა პრ. რისამე სუნი მიადინა. სტვ. ცოტა რამ მისცა. ოდნავ დაანახვა. ის. სუნის მიდენა. შტრ. „აი ამგვარად ჩაიდგო აბალომ ხელში მთელი წარმოება თამბაქოსი და სხეას სუნი ც ალარ მიადინა“ (მელანი, ნავრობა).

ასქეივა პრ. ვისაც ასნიირი ქეიფი აქვს. სტვ. ხუმტურიანი, ახირებული, უზიადი, ტინიანი. მგლ., „შენ ჩემო ძმაო, ასქეივა ვინმე ხარ, კაცი ვერ გაგიგებს, რა გინდა“.

ითქმის ისეთზე, ვინც წამდაუწყუმ გუნებას იცვლის: ამ წუთს კარგს გუნებაზე რომ იყოს, მეორე წამს სულ საწინააღმდეგოდ შეიცვლის ამ გუნებას; კაცი ვერ გაუგებს, რა უნდა, რა მოსწონს, ან რა ეჯავრება...

ატალახინება კარებისა ის. კარების ატალახიანება.

ატოცის გლახახებრ სიარული პრ. სოფელ ატოცის გლახის მსგავსად სიარული (სამათხოვროდ). სტვ. თავგანწირვით, დაეინებით მთხოველი. მგლ., „რა ატოცის გლახახებრ და ის!“

სოფ. ატოცი შიდა ქართლშია, გორს ზემოდან. იქაურები ღარბები იყვნენ

და ამ სოფლის გელესის დღეობაში იცოდნენ თავის მოყრა გელესის კარებთან სამათხოვროდ და მლოცველთა თავის მოსახერხებლად.

ატუჩვით ყურება ჰრ. ტუჩის აწევით ყურება. სტვ. დაცინვით, ზიზოით, აგდებულად, უკადრისად ყურება ვისგანმე ვისთვისმე ან რისთვისმე. მგლ., „რა ატუჩვით მიყურებ ვერ მიცანი? შენი ცალი არ გეგონო?!...“

როცა ვისმე ან რასმე ზიზოით ვუყურებთ ან დაცინვით ცხვირის ქვედა აწილს და ზედა ტუჩს მაღლა ავწევთ. ანუ ავიტუჩვებით, ამით ვანიშნებთ ჩვენი დაცინვის საგანს, რომ გვეზიზღება, ჩვენთან ლაპარაკის ღირსად არ მიგვაჩნია, ასევე ვშერებთ, როცა საგანი რამ არ მოგვწონს, ვწუნობთ. — ერთი სახეა მიმიკით, სახის ამა თუ იმ მოძრაობით ლაპარაკისა.

აუგობაში ჩამორთმევა ჰრ. აუგობის ქმედების დაბრალება. სტვ. ცუდკაცობა, სასირცხვილო საქმის ჩადენა, საძრახისობა. „რუსულ მწერლობაში რომელიც კი თავისთავის პატივისმცემელია, — ამბობს ავტორი, — არ არის მიღებული, რომ სხვადასხვაობა აზრისა აუგობაში ჩამოერთვას კაცსა“ (ილ. ჭავჭავაძე, IX, 313).

აუტკივარი თავის ატკივება ჰრ. თავი არა გტკივოდეს და ცდილობდე ატკივოდეს. სტვ. არ გიკირდეს და გაკირვებას ძალად იჩენდე, დარდი არა გქონდეს და სადარდებელი იჩენდე. „დიდებულმა ჯერ ვინაობა გამოემკითხა და მერე მიბრძანა: „რა თ იტკინე აუტკივარი თავი და ან ჩვენ რათ შეგვაწუხეთო“ (აკაი, I, 216). აზ. თავის ატკივება.

აუღებელი სუფრა ჰრ. სუფრა, რომელიც აღებული არ არის, ისევ თავის ალაგზევა. სტვ. განუწყვეტელი, გაბმული ქვიფი, სმა-ქამა, სუფრასთან ერთადვე ჯდომა. „მუდამ აუღებელი სუფრა ედგათ, არც მუშაობდნენ და მუდამ უქმად ეყარნენ“ (თ. რაზივაშვილი, ზღაპრები, II, 72).

აფრაცად ყოფნა ჰრ. პირმრუდე ფიცარივით ყოფნა. სტვ. როცა ქვეა სწორედ არ მუშაობს, თავში უქრის, თავში აკლია მგლ., „შენ, ჩემო ძმაო, აფრაცად ხომ არა ხარ?“

აფრაცად ითქმის ისეთ აღამიანზე, ვისი ქვეა-გონება ნორმალურ მუშაობას ვადამცდარია. ამ შემთხვევაში ამ ქვეა-გონების მდგომარეობა დაღარებულია მზისაგან დაკლანკილ, დაღრეცილ ფიცრის სიმრუდეს, მის სისწორე-დაკარგულობას, ე. ი. უნდათ სთქვან, რომ მავანი კაცი მრუდედ მსჯელობს, მრუდედ ფიცრობს, სწორად ვერ აზროვნებსო.

აფრთობა ხიზარულით ჰრ. ფრთების შესხმა ხიზარულით. სტვ. მეტისმეტად გახარება და უხომო ხიზარულის განცდა. „აღლქმაღლრა აფრთობს ხიზარულით, თითქოს ბარბარეში ხედავდა მისნელს და მთარეულსა, რომელიც მასთანვე დასჯიდა თეიმურაზსა იმის დედამისის მოტყუებისათვის“ (ლ. არდახიანი, მორჩილი, 227).

აფრის აწევება ჰრ. აფრის გაშლა ანძაზე, ნავის წასაყვანად. სტვ. პირში თქმა ზევაზე სიტყვისა. ჩხუბი, ანჩალობა. „მე ჩემთვისაც არა ვლოცულვ, ღმერთი არ შევაწუხო-მეთქი და თქვენთვის სად ვილოცებდი! — უთხრა მკვებელ ოთარანთ ქვრივმა და სიტყვა მოუჭრა. — ჰა, აფრა არ აუშვა შენებურად, — უთხრა დიმილით ქალმა (კესომი)“ (ილ. ჭავჭავაძე, III, 72).

აქაფვა ჰრ. ქაფის მოხდა რისგანმე, პეროს მოშორება. სტვ. წართმევა, წაგლეჯა, მოტყუებით მიითვისება სხვისი თუ საზოგადო საკუთრებისა.

ქაფი — მოთეთრო გაუმჟვირვალე პეროა, რომელსაც მოიგდებს ხოლმე ესა თუ ის სითხე, აქანჟყარებული თუ გაცხელებული. ქაფი დაერქვა ჩამონარჩენს, რომელსაც მიითვისებს ხოლმე ესა თუ ის პირი სხვის ან სახალხო ქონებას. აქედან მივიღეთ სახელწმინა აქაფვა.

აქ გატყდა ტაბიკი ჰრ. დაიხსვრა ის ჯოხები, რომლებითაც უღელი დამაგრებულია ხარის კისერზე. სტვ. გაქირდა საქმე, მის ასრულებას დიდი დაბრკოლება აღმოუჩნდა. „ბოლოს ჩამოვარდა ლაპარაკი, საქირთა თუ არა — აწარსებული სკოლაც იყოს და ამასთან ერთად სამეურნეო სკოლაცო. აი აქ გატყდა ტაბიკი! აქ გამოვწო სიტრუვე სიბრძნის უღლიდანა“ (ილ. ჭავჭავაძე, IX, 279).



როცა ურმის უღლის ტაბიკი გატყდება, ხარების მიერ ურმის გაწვევის საქმე შეუფერხებულა, რადგან უტაბიკოდ ხარის უღელი კისერზე არ გაუჩერდება, პირუტყვი უღლიდან გამოეშვება და ურემიც თავისთავად დადგება ხოლმე.

აქედან და აშურიანიო ჰრღ. აქედან აშურიანიმდე მდებარე დიდი მანძილი. ზტვ. მიხვეულ-მოხვეული ლაპარაკი, სიმართლეს დაშორებული, ტყუილი. ზგლ. „შენი ნათქვამი, ჩემო ძამო, რომ იტყვიან — აქედან და აშურიანიო! სწორედ ის არის; მეტად მიკიბულ-მოკიბულია და სიმართლეს ძალიანა შორავს. გირჩევენია, მოკლედ მოსკრა“.

აშურიანი წინანდელი საამილახვრო და საერისთაო დიდი მამულია, გორს ქვემოთ, მტკვრის მარცხენა მხარეს, გრაკალის პირდაპირ. თქმა აქედანა და აშურიანიო, ე. ი. ძალიან შორს არის (რამე) მოლაპარაკისაგანო, უნდა გაჩენილიყო მტკვრის მარჯვენა ნაპირის მცხოვრებთა შორის, რადგან ესენი აშურიანს, ჯერ ერთი, მანძილით შორავენ და, მეორეც, შუაში ჩაუღლით მტკვარი, რომელიც ამ ადგილას უფანოა, ზედ ხიდი არ არის და, უნდა ვიფიქროთ, როცა ეს გამოითქვა, აღარც ნავი იქნებოდა და მით უფრო ბოროანი, მეორე ნაპირას გასასვლელად. ასე რომ, აშურიანი სიშორის სინონიმად დარჩა მტკვრის მარჯვენა მხარის მცხოვრებთათვის.

საყოველღეო ლაპარაკში ეს თქმა იხმარება, როცა ვინმე ამბავს რასმე მოჰყვება და იმის მაგიერ, რომ მოკლედ მოსკრას და სიმართლე სთქვას, ათასნაირად მოუხვევს, და მისი ნათქვამი სიმართლესე მიინც დაშორებულად რჩება. ან კიდევ, როცა ვინმე რამე სიმართლის თქმის მაგიერ მიკიბ-მოკიბავს შეუდგება, მოკლედ მოუქრიან: აშურიანი შენუ წაახველიო!

აქედან და ახალციხესაო ჰრღ. ის მანძილი, რაც აქედან ახალციხემდეა. ზტვ. ძალიან შორს. ზგლ., „ისე შორსა ვართ ერთმანეთზე, როგორც აქედან და ახალციხეო“.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქალაქი ახალციხე, როგორც განაპირა ადგილი ძველი მესხეთისა, ქვემოქართლელისათუ კახელისათვის თავის სამოსახლო

ადგილიდან მეტად შორეულ პუნქტად ითვლებოდა. ამიტომაც ახალციხე ლაპარაკში იხმარებოდა, როგორც ამ სიშორის, გადაკარგულობის აღსანიშნავად. როცა ორი მოლაპარაკის აზრი ერთმანეთს არ უდგებოდა, მოკლედ მოსკრიდნენ: აქედან და ახალციხეო!

აქეთაცაა და იქითაცაა ჰრღ. ამ მხარისაკენაცაა და იმ მხარისაკენაცაა. ზტვ. ყველას მომხრეა და ერთგული კი არაისი, ორგული. „ერთ დღეს ბიძამისი ჯანდიერი ესტუმრა. ეს ჯანდიერი ისეთი კაცთაგან იყო, რომელიც აქეთაც არის და იქითაც: დროს შეჰყურებს...“ (აკაკი, I, 242). შტვ., „ასე, ჩემო მანასეო, ხან ასე და ხან ისეო“.

აქეთ ვეცი — იქით ვეცი ჰრღ. ამ მხარესაც მიეაწყდი და იმ მხარესაც. ზტვ. ყოველმხრივ ვეცადე, ყოველი ღონე ვილონე, ყველასა ვთხოვე დახმარება. „მიმოვიხედე ჩემს გარშემო, დაეცითხე ძველსა და ახალსა, აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მრავალი ქვეიანი კაცი ვნახე, მრავალი წიგნი წაეკითხე და ვცან, რომ აღამიანის უბედურება დღემდე იმაში ყოფილა და დღესაც იმაშია, რომ ვერ მიუგვინა, რა არის ცოდვა და რა არის მალეო“ (ილ. ჭავჭავაძე, VII, 74).

აქეთ-იქით მისხედა ჰრღ. ყველა მხარის თვალღერება. ზტვ. საფრთხის, ან მტრის თვალღერება შეშინებულის მიერ. „მისმა (ინგლისისამ) საომრად გაფიცებულმა მზადებამ მთელს დიპლომატიას ეგროპისას ძილი დაუფრთხო, ააყაყანა და შიშით იქით-აქეთ მიახედა“ (ილ. ჭავჭავაძე, X, 219).

აქლემი და გალია ჰრღ. აქლემისათვის გალის გაკეთება ვის გაუგონია! ზტვ. შეუფერხებელი, შეუსაბამო. ზგლ., „ისეთი რამე სთქვი, რასმე ჰგავდეს, აქლემი და გალია ვის გაუგონია?!“.

აქლემის გაკეთება ჰრღ. აქლემის სახის გამოყვანა. ზტვ. მოტყუება, გატარება, ვისიმე ქონების შექმნა გაიძვერობით.

ქართლში როცა ბავშვს პური უჭირავს და სჭამს და იმაზე მოზრდილს კი უნდა დასცინცლოს, ეტყვის: ეგ პური მოიტა და აქლემს ვაგვიკეთე-

ბო! ბავშვიც პურს უთმობს. მთქმელი პირში ჩაიდებს პურს და ერთს მხარეზე მოკმეჩს და ჩაალრმავებს, მერე ამასვე უხაღს მეორე მხარეს, სანამ ოთხივე მხრიდან არ ამოსკამს პურსა და მერე აქლემის სილუეტს მიმსგავსებულ და განახევრებულ პურს დააყენებს და ეტყვის ბავშვს: აი აქლემიო! თვითონ ირგებს პურს და ბავშვსაც დააჯერებს, რომ შარალა აქლემი გაუკეთა და ამრიგად მოტყუებული რჩება ბავშვი. ასეთ შემთხვევაში იტყვიან: მავანმა მავანს აქლემი გაუქეთაო...

ალამაჰმად-ხანობა, მამათხანობა ჰრდ. ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა საქართველოში. სტვ. საქვეყნო უბედურების, ხალხთა შეუბრალებლად, უღმობელოდ ელტვის დრო. „ქარაბეტა, ვა, გესმის? ვა, ალა! განა ალა-მაჰმად-ხანობა არაი?!... ქალს ძალით მართმევს!“ (გ. ერისთავი, 277); „შე ოხერო, შენა, — მიუბრუნდა ნიბლიას მიხა, — ერთი მასწავლე. ერთი მასწავლე, სადა აქვს იმას შენახული იმოდენა ხილი და მაშინ მიყურე; რა დღე დაეაყენო, მგონი თქონ — მამათხანობააო!“ (დ. ნახუციანი, დაკრებულთა მაჰეს, „ივ.“, 1903, № 1).

სპარსეთის შაჰი ალა-მაჰმად-ხანი, შეფე ერეკლეს დროს, ურიცხვი ჯარით შემოესია საქართველოს. მეფე ერეკლე მცირე ჯარით კრწანისზე (ხედ თბილისთან) დაუხვდა. კრწანისზე ქართველთა ჯარი დამარცხდა. სპარსთა გამარჯვებული ჯარი თბილისს შემოესია, გადაუწვავი და გადაუბუფავი არაფერი დაუტოვებია. ქართველთა მახსოვრობაში ისეთი ცვალი დასტოვა ალა-მაჰმად-ხანის შემოსევამ, რომ დარჩენილა თქმა: ალა-მაჰმად-ხანობა.

ალარც ცისა ვიყავ, ალარც მიწისა ჰრდ. არც ცის მცხოვრებლად ჩავითვლებოლად და ალარც მიწისად. სტვ. არც ცოცხალი ვიყავ, ალარც მკვდარი. „მთლად დამებნა დავთარი, ალარც ცისა ვიყავ, არც მიწისა, არც მკვდრებისა, არც ცოცხლებისა“ (ი. მკვდრიშვილი, მონადირის დღიური, 92).

ალას შნო მოგცეს! ჰრდ. ბატონის გამპრიახობა და უნარი მოგცეს. სტვ. მოგცეს მიხვედრილობა. სიმარჯვე, ხელგამომავლობა, წარმატება. გამარჯვება, მოხერხება. „არა ღირს-ვარ, შეილო, ღმერთმა ალას შნო

მოგცეს, ყაირათი და გეტა“ (გ. ერისთავი, 167).

ალა ნიშნავს უფროსს, ბატონს. კონტექსტის მიხედვით უნდა ეთარგმნოს ასე: ბატონისთანა სრული ვავხადოს, ბატონს დაგამსგავსოს. დროცვის ფორამულაა (შოქველებული).

აღღგომა გაუთენდა ჰრდ. აღღგომის დღე დაუღვა. სტვ. დღი სისხიარულო დღე დაუღვა, ბედნიერება ეწია, ბედნიერ, სასარგებლო მდგომარეობაში ჩავარდა. „ამ ხანებში მამაჩემი კახეთს წავიდა ერთის კვირით. ეთურემს აღღგომა გაუთენდა: დრო დარჩა მამაჩემის თოფი ეტარებინათან, საქონელში“ (ვაჟა-ფშაველა, V, 316).

აღღგომა და ხვალაო იხ. ალილო და ხვალაო.

აღღგომის კვერცხი ჰრდ. ქათმის კვერცხი, რომელსაც ღებავდნენ წითლად აღღგომისათვის. სტვ. გულის გამხარებელი, სალოლავებელი, სასიამოვნო. „ქარგი. კაცო, გეყოფა, ჩემი შიშველ-ტიტველა ცოლშვილი მაგ საბანე ღვინოს შეხარის აღღგომის კვერცხივითა, მაგრამ ამა, შააგლო ქვა და შაუშვირა თავი“ (დ. ნახანელი, ქიხიის ავაგრი, „ივ.“, 1899, № 274).

აღღება, დაღება ჰრდ. ზევით აწევა, ქვევით დაწევა. სტვ. ბევრი მოფიქრება, კარგად მოსაზრება საქმის გადასაწყვეტად. მოსავარებლად, ანგარიშება, გამოზომება. „მიწა ვართ, მაინც მიწა ვართ, ბევრი აღღეთ და აღღეთ მიწობას ვერ ავიცილებთ, ათასჯერ ქრთამიც გაიღეთ“ (ვაჟა-ფშაველა, IV, 135).

აღღირაშვებული ჰრდ. ვისაც აღღირი პირიდან გამოგდებული აქვს. სტვ. ლაღი, თავისნებაზე მოსიარულე, უგულუმბელმოფი ყოველგვარი წესიერებისა, კანონისა და მოვალეობისა, უსირცხვილო, უნამუსო. „ეთქვათ არც ეს იკადრეს და არ დაიმდაბლეს აღღირაშვებული თავი, თვით ქალაქის მოურავის მოადგილემ რატომ არ დინახა საჭიროდ, რომ ამისთვის დღეს (ერეკლე მეფის გარდაცვალების ასის წლის თავი) პატივი ეცა ქართველებისათვის და მიბრძანებულყო ეკლესიაში“ (ილ. პავლეაძე, VII, 176).



ცხენს, ჯორს, სახედარს პირზე უკეთებენ ალვირს. ვაფიცებულნი, ვაჯავრებულნი, მაგრამ ალვირამოდებული საქონელი თავს ვერ გადის. პატრონის ნება-სურვილზე უნდა გაიაროს. ალვირამწვებული კი სინონიმი და გამომხატველია ადამიანისა თუ საქონლისა, რომელთაც არაფერი აკავებთ და თავის ნებაზე არიან მიშვეებული, არავის ემორჩილებიან, მათთვის კანონიერების რამე წესები, შეშკავებელი, ზომიერების კალამოტში ჩამყენებელი არაფერი არსებობს.

ალვირის ამოდება პირში პრ. პირში ვაკეთება ალვირისა თავის ნებაზე წასაყვანად სჭვ. თავის ნებაზე არგანვება ვისინე, დამორჩილება. შგლ., „იმ თავგასულ კაცს ალვირი ამოხდეს და დაიმორჩილეს“.

ალვირის მიშვება პრ. პირიდან ალვირის გამოცლა. სჭვ. თავისუფლად გაშვება, უგულვებელყოფა ყოველგვარი კანონისა, წესიერებისა და მოვალეობისა. „ლუარსაბიცი დაითვრა, მიუშვა ალვირი ღვინისაგან მოღუნებულს ენასა და მოჰყვა უგზო უკვლო ტიტიანს“ (ილ. ჰაჰაჰაჰე, II, 254).

აღმა-დაღმა და ვაღმა-გამოღმა პრ. ზევით და ქვევით, წყალს იქით და წყალს აქეთ. სჭვ. ყველგან, ყველასთან. „დაიწყეს ყაყანი აღმა-დაღმა და ვაღმა-გამოღმა“ (იო. სოწლულაშვილი, ტრიუმფირი, 142).

აღმა მხვენელი და დაღმა მფარცხველი პრ. ვისაც აღმა მიაქვს სახსინი მიწის მოსახნავად და დაღმართისაგან ფარცხი მიაქვს მიწის საფარცხავად. სჭვ. საქმის უკუღმართად მკეთებელი, უნაყოფო შრომის გამწევი, არაფრის გამკეთებელი, ცუდა, ავის მოქმედი, საკიცხვ საქციელის კაცი. „ეს, რაცა ესთქვით, იმას კი არ ჰწინავს, რომ აღმა მხვენელს და დაღმა მფარცხველს საქციელი უსათუოდ მოვუწონოთ ან გავუჩუმდეთ, ავის მთქმელი არ ვამხილოთ, არ ვაკიცხოთ“ (ილ. ჰაჰაჰაჰე, IX, 26).

აღუჟ, ნეკზე არ მიკბინო პრ. პატარა, კბილები მოარიდე ჩემს ნეკს. სჭვ. თავს ნუ იპატარავებ, შენი თავი ბაეშვი კი არ გეგონოს!... „ბაღლი ყოფილხარ, მამა ნუ წამიწყდება, და შენც ნუ მომიკვლები. კიტაა! აღუჟ!“

ნეკზე არ მიკბინო, ქალო, ძუძუთა ერთიციცქნავ“ (დ. მახანელი, ხვარაზე, „იგ.“ 1899, 52).

აღუ სააღერსო შეძახება, რომლითაც დედა მიმართავს ხოლმე თავის ძუძუთა ყრმას, ჯერ სალაპარაკოდ ენა-ამოუღმგმელს. ამ სიტყვას ადამიანს იმ შემთხვევაში ეტყვიან, როცა პატარას საფერს, პატარას საკეთებელს აკეთებს კაცი, ან თავის საქციელთ ბაეშვს ეტოლება.

აშას კვრა პრ. „ღმერთმა დაიფაროს“-ის თქმა. სჭვ. უარის თქმა, უარყოფილება, უკუთქმა, პირობის დარღვევა, გადათქმა. „გვიანლა ასეთის აშას კვრა და მით უფრო განსაცვიფრებელი, რომ სწორედ იმაღ ნომერში, საცა ამ ჩვენის დროების რაინდს ჩათუქსნობას უქებენ, ამ საგანზე რა სწერია“ (ილ. ჰაჰაჰაჰე, „იგ.“ 1893, № 234); „კაპიკი კაპიკე დამიღვია, ფული შემიღვინია, გამისცხები; რამდენი დამწვია — ახლა შენიანგარიშე! ერთმა გიქმა კნიახმა აშა მკრას ას თუმიანზე! მითხრას თუმი შენი არა მმართებს-რაო“ (ს. მგალობლაშვილი, II, 22).

აშა ანუ ჰაშა არაბული სიტყვაა და ნიშნავს: „ღმერთმა დაიფაროს“, „ღმერთმა ნუ ჰქნას“, რაც იგივე უარყოფაა.

აძალღება პრ. ძალის დამსგავსება. სჭვ. ადამიანური ყოფის წართმევა, ძალის მდგომარეობამდე მისვლა, დაღუპვა. „... ვაი ჩემს აძალღებასა!“ (რაფ. ერისთავი, IV, 105).

აწონ-დაწონვა პრ. კარგად აწონვა სასწორზე. სჭვ. დაკვირვებით გაშინჯვების იმე ან რისიმე ღირსება-ნაკლოვანებისა. „დარბაისელი დედაკაცი ხარ, არ შეგფერის ჯავრობა, საქმე ჯერ ავწონ-დავწონოთ და ისე გადავწყვიტოთ, — ამშვიდებდა მაღახში გააღმასებულ ნეტალს“ (იგ. ყარაშაინი, ნატვრითვლა, „იგ.“ 1904, № 269).

აჭია-ბაჭია პრ. პატარა კურდღლის ამბის თქმა. სჭვ. სისულელე, მიღებ-მოღება. „ამ აზრის დასამტკიცებლად ვერმოხვეს მიჰყავს მთელი აჭია-ბაჭია სენკოვსისა, და მკითხველმა არ იცის...“ (აკაი, ორი წიგნი, „იგ.“ 1904, № 190).

აჭრელება პრ. ნაირნაირი თერების მიცემა. სჭვ. ძალზე ცემა, დაღებება.



ხორციისა სხეულზე ისე, რომ კრელად ჩანდეს ნაცემი და უცემი ადგილი. „დაუქერია (მამასახლისს) ხელში მთარახი და ვინც ქულს არ მოუხდის, როგორც ყვინს, სალამს არ მიართმევს, გადაუხტება და მათრახით ააქრელებს“ (ვაჟა-ფშაველა, V, 203).

ახალი ცოცი (კარგად ჰგვის) ჰრდ. ჯერ უხმარებელი, დაუცვეთელი ცოციხი. ზგ. ახლად, ხალისიანად მკეთებელი რისამე, — რაიმე საქმის დაწყებისას დიდი ხალისის გამოჩენი. „არჩილი და კესო შებრუნდნენ ოთახში. გოგონები წვიღი-წამოვიდნენ. მითამ ახალი ცოციხა და კარგად ჰგვისო, — ამბობდნენ დაციწვით ზოგიერთი ახალს მოჯაჟაჯირებელ“ (ილ. ჰაჟაჟაძე, III, 85); „ახალი ცოციხი კარგად ჰგვის, ძველი მოატანს ქვიშისა“ (ანდაზა).

ზოგიერთი ადამიანი საქმეს ხალისით, გულთანად შეუდგება, მაგრამ მერე, თანდათან ბეზრდება, გული აუტრუვდება. ასევეა ცოციხი: სანამ ახალია, უხმარი, კარგად ჰგვის, სუფთად ინახავს სახლ-კარს, მაგრამ, რაც უფრო ძველდება ხმარებისაგან, ღეროები დაუცვდება და დაუთხვლდება, წინანდელი უნარი დაგვისა, მტერის მოგროვებისა ეკარგვის.

ახალი ხილია ჰრდ. მებაღეობის ნაყოფი, ახლად შემოსული საქმეოდა. ზგ. უცნობი, მავრად სასურველი, ბევრის მქადებელი, ახლად დაწყებული. „ჯერ ახალი ხილია (პოლიტიკური ცვლილებები) და ამ სიდიდზე გზა გაუხსნა ჩვენს სასოებასა; მოიცათ, ერთი კოტაოდნად მოძველდეს და მაშინ ნახავთ, რაც გამოვა ამ ცვლილებისაგან“ (ილ. ჰაჟაჟაძე, VII, 30).

ახლად შემოსული ხილი, მთელი ზამთრის უხილობის შემდეგ, დიხავს სანატრელია და სოფლად ყველა სიმამოვნებით მოელის მის შემოსვლას. ხანი რომ გვივლის, ახალ ხილს ის ფასი უძვე აღარა აქვს ხოლმე. ხატოვანად ეს ადამიანზედაც ითქმის.

ახალმა ნიავმა დაჰკრა ჰრდ. სიომ დაჰქროლა. ზგ. ცვლილება მოხდა საზოგადო ცხოვრებაში, უკეთობა დაეტყო, ამოძრავდა. „ამ ბოლო დროს ჩვენმა საზოგადოებამ თითქო ფერი იცვალა და ჩვენს ცხოვრებას თითქო ახალმა ნიავმა დაჰკრა“ (ილ. ჰაჟაჟაძე, VI, 52).

ნიავე განსაკუთრებით სიცხეში, როცა კაცს სუნთქვა უჭირს, სასურველ და გაქირვების შემსუბუქებელ ატმოსფერულ მოვლენად ითვლება. ხატოვანად კიდევ მიეკუთვნება პირობებს, რომლებიც შექმნილია ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

ახალ მთვარეხავეთ გამოჩენა ჰრდ. ახალ-მთვარის მსგავსად რომ ეჩვენება ადამიანს. ზგ. იშვიათად, ძვირად, მოკლე ხნით.

როცა მეგობარს დიდხანს ვერ ნახავს კაცი და მერე გამოჩნდება, ეტყვის ხოლმე საყვედურით: რათ დაგვიძვირე შენი ნახვა. რაღა ახალ მთვარესავით გამოჩნდები ხოლმეო?!... ახალი მთვარე თვეში ერთხელ ჩნდება და ისიც მოკლე ხნით.

ახე-ბახელ ლამპარაკი იხ. ლომე-ყორეს მოდება.

ახედვა არა ჰქონდა ჰრდ. ზევით თვალღმს ვერ უწვდენდა კაცი. ზგ. ძალიან მალდა აღიარება, ბლომად ელაგა რამე სიმალღმე. „სახლში ჰქონდა (მამა-ჩემს) „ვეფხისტყაოსანი“, „გურამიანი“ და „სიბრძნე-სიტყვის“ წიგნი. საეკლესიო წიგნებს ხო ახედდა არა ჰქონდა“ (ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 4).

ითქმის სიმალღმეზე დალაგებულ რაიმეზე, რომელსაც თვალი ქვევიდან ზევით უნდა შეაყოლო, ზევით უნდა აიხედო და იმდენი იყოს, რომ თვალღმს გაუქირდეს სულ ზემოთ დალაგებული წიგნების, როგორც ეს თქმშია მოხსენებული, მიმოხილვა, დათვალიერება.

ახლადახილებული თვალი ჰრდ. თვალი, რომელიც პირველად გაიღება გარემოს საყურბლად. ზგ. სუსტი, ჯერ კიდევ გაუმაგრებელი თვალი. „სწორედ მოგახსენოთ, არც სათქმელი ჰქონდა (მწერლობას) საყოველთაო, რადგანაც საყოველთაო საგანი ახლად ახილებულ მწერლობის თვალისათვის მიუწვდენელი იყო, თუნდ რომ თვით ცხოვრებაში ყოფილიყო მაგისტრისა საგანი“ (ილ. ჰაჟაჟაძე, IV, 227).

ახლა-კი დავამი ვირი ბავაზე ზგ. ახლაკი მოერჩი საქმეს. ახლა ავისრულე გულის წადილი, რაც მინდოდა, გავაკეთე; საზრუნავი არა მაქვს რა, არაფერი მადარდება, შემძლია მოვისვენო.



აღმოსავლეთ საქართველოში, სა-
დაურიცაა ეს თქმაც, სახედარი სა-
ყოველწუთო და საყოველწინა მო-
სახმარი პირუტყვია. როცა რაიმე საქ-
მის მორჩებიან და უნდათ დამახერ-
ბულის მოსვენებით და უზრუნველყო-
ფით ისარგებლონ, იმ პირუტყვსაც, რი-
მელიც თუ მეტად არა, სანახევროდ
მანც შეელოდა პატრონს ამ საქმის
გაკეთებაში, მიუჩინენ მოსასვენებელ
აკვას: დააბამენ ბაგაზე, დაუყრიან
საკვებს და მერე დილაშდგენ იმასაც
მოაცილიან ყოველისავე ზრუნვისა და
დარდისაგან.

ეს თქმა ბატონად იხმარება ყო-
ველგვარი საქმის სასურველად დამთავ-
რებისას, გულიდან დარდისა და ურვის
გადაყრისას.

ამავე თქმის მნიშვნელობის გამო-
მხატველად იხმარება თქმა: ვირი სა-
ყუდარზე მივაბი.

ახტალა ამოგვიდეთ ოჯახში ჰრდ. ახ-
ტალას მსგავსი ტალახი ამოგვესლო-
დეთ ოჯახში. სტვ. მიწა ვაგაკდომო-
დეს და თან ჩაეტანო, უკვალოდ და-
ლუპულიყო.

ახტალა ეწოდება ტალახით სა-
მკურნალო ადვილს, კახეთის მხარეში
გურჯაანთან. თანამად ლეგენდისა, იქ,
სადაც დღეს აბანოა და ტალახი მიწის
გულიდან ბუყბუყით ამოდის, ერთხელ
აქაურს მღვდელს ფერისცვალობა დღეს
ქალო შეება და პურსა ლეწდა. თურმე
ამ დროს ანგელოზს ჩამოველო სო-
ფელში და მღვდლისათვის უსაყვედურე-
ბია ასეთი მძიმე უქმის გატეხა: დღეს,
ფერისცვალობას, კალოობა არ შეგფე-
როსო! ასეთივე საყვედური უთქვამს
მღვდლისათვის მის ვათხოვილ ქალსაც.
მღვდელს უპასუხებია: ჩვენმა ქალებმა
დიდი ხანია ფერი იცვალესო!... ქალე-
ბი იმტომ უსენებია, რომ ძველად
კახეთში ქალებს ჩვეულებად ჰქონიათ
ფერისცვალობას ფერიცვალა ბალახის
წითელი ნაყოფით სახე შეეღებათ ხოლ-
მე და ამნაირად ფერი ეცვალათ, მსგავ-
სად ქრისტესი, რომელიც, თანამად
სახარებისა, ამ დღეს (მარიაშობისთვის
6) სამ მოციქულთან ერთად ერთ მა-
ღალ მთაზე ავიდა და ფერი იცვალა.
ასეთი პასუხისათვის ანგელოზს დაუ-
წყვევლა ურჩი მღვდელი, ბოლო მისი
ქალისთვის უთქვამს: ხელში დააქირე
აკვანი და აქაურობას დაუყოვნებლივ
გაეცალე: იცოდე, უკან აღარ მოიხედო.

ეს უთქვამს ანგელოზს თუ არა
მიწა, საცა მღვდლის კარმიდამო
ყოფილა, ერთბაშად ჩაწოლილა კაციან-
საქონლიანად და მის ალავას დედამი-
წის გულიდან ბუყბუყით ამოუხეთქია
ნაცარ-ტუტას. ქალს მოუსწროა იქაუ-
რობას გაჭრიდებოდა, მაგრამ მერე
ერთბაშად მოუხედაეს უკან, რომ გაეგო,
რა ამბავი მოხდაო. მისი მიხედვა და
თურმე მისი და მისი ბავშვის აკენი-
ანად გაქვავება ერთი ყოფილა.

გასულა ხანი და ეს ქვა თავად ან-
დრონიკაშვილებს სახლში წაუღებინე-
ბიათ და მარანში ყუოძნის ვასაწურ
პრესად ხმარობდნენო.

ახტალას კი დროდარო ზევით
ამოჰქონდა თურმე სახლის აიეჯი, ხან
აკვანი ბავშვისა, ხანაც შინაური სა-
ქონელი.

ბატონიშვილი ვახუშტი აი რასა
წერს თავის „საქართველოს გეოგრა-
ფიულ აღწერაში“ ახტალის შესახებ:
„ქერემს, ვეჯინის ჩრდილოთ, მთის
კალთას, არს ახტალა, რომელსა იტყვი-
ან ნასოფლარსა და რისხვით დანთქ-
მულსა, აღმოდის კუპრი, ვითარცა
მღვდარე და აღმოაქვს ვამად კოვზი,
ჯამი და სახმარნი გლხთა“.

არსებობს ახტალის ვაჩენის ლეგენ-
დის მეორე ვარიანტიც, რომლის თა-
ნახმად, მღვდელს, ფერისცვალობა დღეს
კალოს შემბმულს, ანგელოზი კი არა,
თვით ქრისტე-ღმერთი გამოცხადებია
და ამაზე შემდეგი ლექსიცა გამოთქ-
მული. „ფერიცვალობის ხუცევი გიგია
და მეტათ ცეტი: დამდგარა და კალო-
სა ლეწს, თავზე ადგა ქრისტე-ღმერთი:
ბეროკაციო, რასა მვრები?!. ნუ ხარ
გიეი. ნუ ხარ ხეტი!... ახტალ, ახტალ,
ამოდულდი!.. დღესაც მოდის დანა-
შრეტი!.“

შემდეგ, როცა უნდოდათ დაეწყე-
ლათ ვინმე, ეტყოდნენ: ახტალა
ამო გივი დეს ოჯახშიო, რაც ნიშ-
ნავს: შენი კარმიდამო ჩაწვეს, შთანთ-
ქას მიწამ, — დალუპულხარო. ან კიდევ
იტყვიან: „ახ, შე ახტალა! მოსასვლე-
ლოო!“.

აჯამი ჰრდ. არაარაბი. სტვ. უეციო, რე-
გვინი, შეუსმენელი, ვაუგებარი.
„უწინ, სამას წელს წინად, ერთი ვი-
ლაც... (ჩამოსულა) და გამოუგონია
ეს სახელები აჯამის ხალხის მო-
საწვილად“ (დ. მაჩხანელი, ძმური სიტყვა,
30).



აჯამი არაბული სიტყვაა და ნიშნავს არაარაბს; ასე უწოდებდნენ სპარსელებს, რომელთაც სთვლიდნენ უფრო ცუდად და რეგვენებად.

• აჯაფსანდალი ვახლავ ჰრდ. აჯაფსანდოლად გადაიქცა. სჭვ. ძალიან აირია საკმე, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ. მგლ. „თქვენი საკმე—ნამდვილი აჯაფსანდლა თაა გამხდარი“.

აჯაფსანდალი საკმელია მოხარაკული. შიგ შიდის ბადრიჯანი, ოქროვანშლა, კარტოფილი, კვერცხი, ყველა ერთმანეთში არეული, ასე რომ ერთი რომელისაში შემადგენელი ნაწილის სახელი არ დაერქმის ამ საკმელს.

იხმარება ეს თქმა, როცა ესა თუ ის საკმე საშინლად აწეწილ-დაწეწილია, აღუფხულია, ყოველივე წესი და რიგი დარღვეულია, კაცი ვერ გაიგებს—სად

ან როგორ იწყება, სად ან როგორ თავდება.

• აჯილდასებ დააქენებს ჰრდ. აჯილდასებ რადრბის. სჭვ. მეტისმეტი თავგასული ქალია, მისთვის წესი და რიგი არ არსებობს, დაუდგეგარია.

აჯილდა ჰქვია ულაყ ცხენს, რომელიც ქაქების უკანდგენაში დახტის ქიხინით და ხან სად ამოჰყოფს თავსა და ხან სად. წარსულში ჩვენმა ხალხმა სოფლის ახალგაზრდა ქალი, დაუდგეგარი, რომელსაც ერთ ალავას გული არ უდგებოდა და სოფლის ხან რომელ უბანში ამოჰყოფდა თავს სხვა ტოლენთან და ხან რომელში, ამ სახელით მონათლა: აჯილდასებ დააქენებსო!... ასეთს ქალს ქალური სინახე, თავდაჭერილობა არა სჩვევია, თავისი სითამამით გამოირჩევა.

ბ

ბაბუას სწავლა ჰრდ. ახალი დაწყება ასო-ბგერების გამოთქმისა მოწაფის მიერ. სჭვ. საერთოდ რისამე სწავლის დაწყება გაჭირვებით, ჩათვლით კითხვა, ცოტა რამ ცოდნა. „პირველი დედაკაცი: შენ არ მომიკვდე, მე იქ (სკოლაში) ჩემი ლექსუა არ მივსცე. გენაცვალეთ, ასე ამბობენ, იქ რომ ცოტა ბაბუას ისწავლიან, მერე ჩვენთვის გამოსადეგნი არ იქნებიანო“ (მკ. გაბაშვილი, მოთხრობები, 1936 წ.).

ბაბუა - გამოთქმაა იმ ბგერებისა, რომელთაც ენაგაუტყუელი მოსწავლე ანბანისა დიდის გაჭირვებით და ჩათვლით ამბობს ხოლმე.

ბაბილონის გოდოლის აშენება ჰრდ. ქალაქ ბაბილონი (ქალდეაში) კოშკის აგება. სჭვ. უწესოება, უაზრო, ხმა-მალალი ქლაყ-ქლუვი, როცა ერთს მეორისა არა ესმის-რა. „ეს მეთოდი (ნათიევისა — ქართულ სკოლებში) საგნების სწავლებისა) აი რაში მდგომარეობს: ერთსა და იმავე დროს ბავშვმა უნდა გაიკვეთოს ქართული ასოები, რუსული ასოები; ისწავლოს მათი გამოხატვა, მათგან მარცვლენის, სიტყვების და ფრაზების შედგენა. ამასთან, ბავშვებმა უნდა დაინსონონ რუსული სიტყვები და ანსნან

რუსული ფრაზები. საწყალო ბავშვებო! თუ თქვენ ამ ბაბილონის გოდოლის აშენებაში სრული გონება კიდევ შეგრჩათ, ბარაქალა თქვენის ბუნების ძლიერებას“ (ილ. პავლევი, VII, 190).

ბაბილონი ძველი ქალდეის დედა-ქალაქი იყო, მდინარე ეფრატზე მდებარე. აღმოსავლეთში უდიდეს და უმდიდარეს ქალაქად ითვლებოდა. აღმოსავლეთით წამოსული ებრაელები აქ დამკვიდრებულან და, თანახმად დაბადების ვადმოცემისა, განუზრახავთ ქალაქისა და აგრეთვე გოდოლის აშენება. ამ გოდოლის წვერი ცას უნდა მიბჯენოდა, რათა შიში აღარ ჰქონოდათ განჯანტვისა დედამიწის ზურგზე. უფალი განრისხებულა ამათს სიამპარტაენზე და ასეთ განზრახვებზე ხელი აუღლებინებია იმით, რომ აურეგია მათთვის ენა, ერთმანეთში სხვადასხვა ენაზე დაუწყიათ ლაპარაკი, ერთი მეორისა არაფერი გაეგებოდათ და იძულეული გამხდარან ხელი აეღოთ თავიანთ განზრახვებზე.

დღეს სურათხატოვანად ვამბობთ— ბაბილონის გოდოლი იმეთ საკმეზე, ანდა ადამიანთა კრებულზე, საცა არეულია უთავბოლოდ ყველაფერი, ერთიმეორისა არაფერი გაეგებთ,



ერთი ალთას მიიწვეს, მეორე ბალთას, ძალი პატრონს ვერა სცნობს...

ბაგა-ბაგა რბენა ჰრ. ერთი ბავიდან მეორეზე ჩქარა ვიდასვლა. სტვ. უსახურად ხეტიალი, საქმის არიდება თავიდან.

ბაგა ბოსელში კედელთან ფიცრით მიკეთებული ადგილია, სადაც საქონელს საკვებს უყრიან ხოლმე. ზოგი საქონელი აიშვებს და ხან რომელი საქონლის ბაგას მიაწვდება და ხან რომელს, იქნება რამე წავგლიჯო მიზობელსო. ბოსელში თავაშვებულ საქონელს ბაგა-ბაგა მოსიარულეს უწოდებენ, ხოლო ხატოვანად დაერქმის კაცს, ვინც გაურბის საქმის კეთებას, თავიდან იცდნის მუშაობას და იოლად უნდა პური სჭამოს. გულისხმაში ჩასაგდებად ასეთს აყვედრიან ხოლმე: რა ბაგა-ბაგა დარბიხარო!

ბაგრატ მეფე მომკვდარაო სტვ. ქორიკანობა, მოგონება არარსებულია, რისამე ტყუილის მოგონება. ზგლ., „შენისთანა მექორეზე ითქმის: ბაგრატ მეფე მომკვდარაო“.

საქართველოს ერთ-ერთი მეფის, ბაგრატის, დროს ყველა, და განსაკუთრებით მეფე, მეტად შეწუხებულია ქალების დაუცხრომელი ქორიკანობით. მათი თავგასულობისათვის რომ ბოლო მოეღო, თურმე მეფეს დაუქერინებია ყველა მექორე დედაკაცი და ერთს ბოსელში დაუმწვედვინებია. ერთ დღეს თურმე დაქერილნი ბაგაზე ჩამომსხდარიყვნენ და წუწუნებდნენ. ერთმა ჩუმად მეორეს უთხრა: „ბაგამ ტ... მატკინა, ქა...“ მეორეს ეს თურმე ასე მოესმა: „ბაგრატ მეფე მამკვდარაო“, და მესამეს კიღაც უთხრა: „გაიგა, ქა, ბაგრატ მეფე მამკვდარაო“. მესამემ უკვე დარწმუნებით უთხრა მეოთხეს — ასე და ასე მომხდარაო. და ასე განაგრძეს, სანამ ყველამ ქოთქოთი არ შექმნა: — ასეთი ამბავი კი მომხდარაო!“ დაბეის ფერხული და თან ლექსიც გამოსთქვეს დასამღერებლად: „დილიდემ, დილიდემ... ბაგრატ მეფე მამკვდარაო, ის სულძალი, წაწყმენდილი ჩვენის ცოდვით დამწვარაო“.

გარეთაც გამოსულა ეს ამბავი და მეფისათვის მოუხსენებიათ. მეფეს გაუფიქრია — საშველი არა ყოფილაო, და

უბრძანებია დანწყდებული დედაკაცი მიემოქმედათ.

და დღეს, როცა ვინმე მოქორე-ბულს რასმე, სიმართლეს მოკლებულ ამბავს იტყვის, ვეტყვი: ბაგრატ მეფე მომკვდარაო! — და ამით ვაგრძობინებთ, რომ მათი ნათქვამი გვემიკვება.

ბადეში გაბმა ჰრ. ბადით დაქერა. სტვ. მოტყუება, ეშმაკობით ხელში ჩაგდება, დაპატრონება. „გაიყარინე სტუმარ-მასპინძელი; პირველი — იმედით, რომ გმირისეულს ბადეში გააბავს და მის სალომეს დაისაკუთრებს“ (ს. მგალობლიშვილი, I, 177).

ბადის დაგება ჰრ. ბადის ვაწყობა დასაჭერად. სტვ. განზრახვა მოტყუებით, ეშმაკობით რისამე ხელში ჩაგდება, დაპატრონებისა. „რალა გავაგრძელოთ, მოსემ და კნენამ ასე დააწყეს საქმე და სწორედ ეგრეთაც ბოლო მოუღეს. კაი ბადე დაუგეს ლუარსაბას და კარგადაც გაბეს“ (ილ. ჰავჭავაძე, II, 212). ის. ბადეში გაბმა.

ბაზალითში დალუპულა ჰრ. ბაზალითის ტბაში დამხრჩეალა. სტვ. სულ დალუპულა, ვეღარ ვადარჩა. „ქალაქები, ინტელიგენცია, თეატრი და მაგისტანები ყველამც ბაზალითში დალუპულა: ჩვენთვის საქირო არც ერთი არ არის“ (მწარა, იგ., 1993, № 24).

ბაზალითი ტბაა, დუშეთთან ახლოს. ძალიან ღრმაა. ეს თქმა ქცეულა წყველის ფორმულად.

ბაკი ბრუნდგაო ის. ეზო ბრუნდგაო.

ბალანის აშვება ჰრ. თავზე ბალანის მალა, ვერტიკალურად გაჩერება. სტვ. აღელვება, გაბოროტება, გულის მოსვლა. „საფრანგეთმა თუმცა მაშინ ბალანი აუშვეა, მაგრამ ბისმარკმა მოატყუა: შეე დამაცადე, ერთი ავსტრიის მოგრიგო და შენც შენსას გარგუნებო“ (ილ. ჰავჭავაძე, X, 141).

შიშისა თუ ბრავის დროს თავზე ბალანი ყალზე შეგვიდგება — აგვექორება ხოლმე.

ბალბა არ მომხმარაო ჰრ. ჩემთვის ბალბის მოხარშვა არ დაგვირგება. სტვ. ვერას მიზან, ვერას დამაკლებ, ვერ დამჭრი მჭრელი იარაღით. „რას შემუქრები, ბალბა არ მომხმარაო!“



მოხარშულ ბალბას (Malva rotundifolia) ქართლ-კახეთში კრილობის მოსარჩენად ხმარობენ. ბალბა არ მომიხარშო — საკუთრივ ნიშნავს: ვერ დამპრი იარალით, რომ საჭირო იქნეს ჩემთვის კრილობაზე მოხარშული ბალბის დადება, ისიც წენის ხელით!..

ბალი, ალა პრდ. დიახ, ბატონო. სტვ. ვინც ყველას ეთანხმება, ყველას მორჩილებას უტყუადებს, ყველას წინაშე ქედს ჩხრის. „მაშ აქაო და, კრება უფროსიაო და გამგეობა — უმცროსი, ეს უკანასკნელი ხმაგაყმენდილი უნდა იყოს და სულ „ბალი, ალა“ იძახოს!“ (ილ. ჭავჭავაძე, IX, 56).

ბალი, ალა არაბულია და ნიშნავს: დიახ, ბატონო!

ბალი და უკრა პრდ. „დიახ“ უთხრა. სტვ. სხვის წინაშე ქედის მოხრა, სხვას მორჩილება გამოუტყდა. „წმინდანს რა დაუშავდება, სახლი გავჩხრიკოთ იმისა“? ყვინმა ბალი და უკრა, გროვაც ალარა სტირისა“ (ვაჟა-ფშაველა, IV, 8). იხ. ბალი, ალა.

ბალნის აშლა პრდ. ბალნის დადგომა ვერტიკალურად. სტვ. შეშინება, გულის ვახეთქვა. „მზე რაჟი ჩავა, გუთნეულს გამოვაყოლებ ქალასა, თუ მგელი ამოგვედევნა, ფინთათ ავუშლი ბალანსა“ (რაფ. ერისთავი, I, 197).

ბალლი პრდ. პატარა გოგო ან ბიჭი. სტვ. უკუყო, უგონო, უფიცი, ბრიყვი, მიუხედავად, ადვილად მოსატყუებელი. „ადგი, მოტყუვდნენ ბალღები მითონდა ახალის აღთქმით, რომელიც ყოველ ძველ აღთქმაზე უარესი და უმდარესია“ (ილ. ჭავჭავაძე, V, 62).

ბანზე აგდება სიტყვისა პრდ. სახლის სახურავზე ასროლა მოლაპარაკის ნათქვამისა. სტვ. პირდაპირ პასუხის მიუცემლობა რამე ნათქვამზე, ლაპარაკის საგნის მიდუჩქებება, თავიდან აცილება პირდაპირი პასუხის მიცემისა, გაურკვეველად ლაპარაკი, განგებ დაბნელება აზრისა თუ ნათქვამისა. „ყოველს იმაში ყველაზე ძვირფასი ნაშთი პოენილია კობანს, დილიანს და ნამეტნავად სამთავროს. თუ ამას იტყვის, ამისთვის ხელი გავიწვდინე და ვერ მივწვდიო, ეგ ბანზედ სიტყვის აგდება იქნება“ (ილ. ჭავჭავაძე, V, 112).

ბანზე სიტყვის აგდება გულისხმობს თავიდან მოწორებას მოლაპარაკისას, მის ნათქვამზე პირდაპირი პასუხის მიუცემლობას, მის აბუჩად აგდებას.

ბანის თქმა პრდ. სიმღერის დროს პირველი ხმისათვის ბოხის ხმით მიშეყლება. სტვ. შეგლა, თანხმობა, მისხარება, საქმის გაკეთებინება, მიკედლება, მოწონება, წაქეზება. „გადიგამოდი, კალამო, გრძნობავ, შენ ბანი უთხარო“ (ვაჟა-ფშაველა, I, 69).

ბანსა და ერდოს თავზე დავაქცევ პრდ. სახლს ისე დაფუნგრევ, რომ მისი ბანი და ერდო უნდა დაეცეს. სტვ. მოვსპობ, გავინადვურებ. „ეს იმას ნიშნავს, რომ ბანსა და ერდოს თავზე დავაქცევ, დედაბუღიანად მიწასთან გავასწორებ იმ პირუტყვ-ნადირებს, იმათა“ (ნ. ლომოთ-რი, 250).

ბანს უკან და კარს უკან პრდ. ბანს უკან და კარს უკან დავრჩეთ, არსად წაგვიყვანონ. სტვ. გამოსაჩენი არა ვართ, დამალულები უნდა ვიყვნეთ, სახლიდან არსად უნდა გამოვიდეთ. „ვითომც არ იცის, რას ეუღლ-ცაეთ! მამო, რას გვიძალავ, ნიშნობა ხომ უჩვენათ შექავე, ქორწილიც უნდა ავრე შექამო? ჩვენ-კი ბანს უკან და კარს უკან“ (ლ. არდახანი, 85).

ბარაქალა დედაკაცი პრდ. ღვთისწყალობიანი დედაკაცი. სტვ. ყოჩაღი, ხელგამომავალი, ხელფურჩი, განრჯე. „მე და ჩემმა ღმერთმა, ბარაქალა დედაკაციო, — იტყობა ხელმე დათა ბადიაშვილი ოთარაანთ ქვრივზე, — არც სხვისას შეიჩრჩენს, არც თავისას შეარჩენს სხვასა“ (ილ. ჭავჭავაძე, III, 36).

ბარგი აიკრა პრდ. თავისი ბარგი-ბარხანა შეიკრა. სტვ. წავიდა, აქაურობას გაეცალა, მოგვშორდა.

ბარღები პრდ. ერთმანეთს ვადახლართული ეკლიანი მცენარეები. სტვ. გაუვლი, გაუგებარი, მიუწვდომელი აზრი, მსჯელობა. „საქირო არ არის კაცი საისტორიო გამოძიებათა ბარღებში გაებას იმ უცილებელის და ყველასაგან ცნობილ ამბის დასამტკიცებლად, რომ პირველყოფილ დროს ზოგად ელემენტს საკუთრებისას მეტი და უპირატესი ადგილი ეჭირაკა(თა) ცხოვრებაში“ (ილ. ჭავჭავაძე, VIII, 161).



ბარ-და-ბარ პრ. სწორი და სწორი, ტოლი და ტოლი. სტყ. ვასწორებულნი, გათანაბრებულნი, ტვირთის ტოლი, არც ერთია წაგებულნი და არც მეორე. „სამნი ჩვენა და ცხრა დევი ერთად სამ შავიყარენით. ვერც იმათ გვცეს და ვერც ჩვენა, ბარ-და-ბარ გავიყარენით“ (მთხვეური ლექსები, 62).

ბარი დაჰკრა (ადგილს სადმე) პრ. ბარი ჩასო ადგილს მიწის ამოსაღებად. სტყ. გადასწყვეტა სოფლის ან ქალაქის დაარსება, რამე საქმის დაწყება, დასახლება, ბინის გაჩენა. „იშ, დავღალე ამ ოხერ გურდაზე ასვლანისსვლით; მარჯვენა მოვარდეს, ვინც პირველად აქ ბარი დაჰკრა და სოფლად დააწესა“ (ს. მგალობლიშვილი, I, 105).

ვინც სადმე ალაგს ესახლებოდა საქართველოში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში — ქართლში, საცა ზოგ ადგილას სახლები მიწურები იყო, პირველად ბარი უნდა აეღო ხელში მიწის მოსათხრელად. ასე რომ ბარის დაკვრა უდრიდა დასახლებას.

ბარიც ხელში აქვს და ნიჩაბიცა სტყ. კეთილდღეობისათვის მისაღწევად საჭირო საშუალება ხელთა გქონდეს, მარჯვედ შეგეძლოს მოქმედება, არა გაკლდეს რა მიზანში ამოღებული საქმის მისაღწევად. „ამა ქვეყნის მადლის თაფლსა მარტო ეგროპიულო-ლა იღებს ქვეყნის სკისაგან, რომელსაც ხან იქით უბრუნებს პირს, ხან აქეთ, იმის-და მიხედვით, როგორც და საითაც უჯობს, რადგანაც ამისათვის ბარიც ხელში აქვს და ნიჩაბიცა, ე. ი. მეცნიერება და მხეობა, ქუჟა და ხელი“ (ილ. ჭავჭავაძე, X, 72).

ბარტყება პრ. ბარტყების გაჩენა. სტყ. გამრავლება, ზრდა, გაბეგრება. „ამას (ახალ მწერლის საქციელს) კიდევ აცო, როგორც იქნება, აიტანდა, მაგრამ ვაი ის არის, რომ ამ ბოლოს დროს ამ ჩვეულებამ იბარტყა და ერთი სხვა ქიორიც გააჩინა“ (ილ. ჭავჭავაძე, IX, 46).

ბატისტინა პრ. ვისაც ბატის ტვინი აქვს თავში. სტყ. სულელი, უტვინო.

ბატიფხური (ნაწერი) პრ. ბატის ფეხით ნაწერის მსგავსი. სტყ. ნაჯღაბნი, ძნელად საკითხავი ნაწერი. „სოსო სწერს პირველ ასოებს, ბრწყინავს

ანბანის ფერხული... კოდლას ხარბულია, თუ უფრო ბატიფხური“ (გ. ლეონიძე, 112).

ბატკნები გალალა პრ. ცხვრის შვილები ვარეკა მინდვრად. სტყ. პირიდან ასაქმა, არწყია. მგლ., „იმდენი უსვამს, რომ სულ ბატკნები გალალა“.

იტყვიან დაცინვით, რადგან პირის ლებინების დროს მთვრალის პირიდან ამომავალი ხმა კაცს ბატკნის მღაეილს მოაგონებს ხოლმე.

ბატკნის გამოტაცება ლომისაგან პრ. ლომს ბატკანი არ შეეპყვევინოს კაცმა. სტყ. სუსტი ღონიერს არ დააჩაგვრინოს, უძლურის გამოსარჩლებმა. „ბრძოლა მოხერხებული! გამოვტაცოთ ბატკანი ლომს! სახლიდან იღუმალ გამოვტაცოთ ქალი“ (გ. ბარნოვი, სამი რომანი, 84).

ბატონი ბრძანდები, ბატონი ხარ პრ. ვალიაიებ შენს ბატონობას. სტყ. გემორჩილებით, თანახმა ვახლავართ თქვენი ნათქვამისა, რასაც ბრძანებთ, სწორია, მართალსა ბრძანებთ; ძალიან კარგი, აგრე იყოს, რაც ნებავთ, იმას გაგიკეთებთ. „დამპირდა, ხელს მოვაწერო. მივედი, მოვაგონე ეხლა ფული არა მაქვსო და ხელ ბატონი ხარო“ (რავ. ერისთავი, III, 50).

ეს თქმა ძველი დროისაა, იმ დროისა, როცა ბატონი და ყმა არსებობდა. ბატონის ყოველი ნათქვამი (სულ ერთი იყო — ეს ნათქვამი სწორე იყო თუ მრული), ყმას გადაუვება კანონად უნდა მიიჩნია და სულ ემახა ბატონი ბრძანდებითო!

ბატონი ჰყოლია პრ. ბატრონი, ანუ უფალი ჰყოლია (რამე საქმელს). სტყ. ჰია გასჩენია, ჰია დახვევია, ჰიას უქამია.

ამას იტყვიან, როცა რაიმე საქმელს (მაგ., ხილის ჩირს, ხორცს და სხვ.) ჰიას შეამჩნევენ. ეს ფორმულა დაცინვითი მოგონებაა ჰიისა, რომელსაც ვითომ ზრდილობით ამსგავსებენ ბატონს, მოყვარულს ყოველსავე ტკბილის ჰამისას — უშრომლად და იოლად.

ამავე აზრის გამომხატველია თქმა: „ამხანაგები ჰყოლია“.

ბატონს ჩემს გაუმარჯობს პრ. შენ, ჩემი ბატონი გამარჯვებული გამყოფოს! სტყ. ვითომ ბატონი ხარ და



ჩემთან ყველაფერი — ტყუილი, უსამართლობა, ძალმომრეობა გაგივა, მაგრამ სკდები. მგლ., „პატრონს ჩემს გაუშარჯოს! ხომ დაგიკირე ტყუილში...“

ეს თქმა დაცინევითა, ეტყვიან მობაასეს, როცა ეს უკანასკნელი აშკარად თრგუნავს ყოველგვარ სამართლიანობას, სურს დაჩაგროს უდანაშაულო, უბრალო ბრალიანად გამოიყენოს, როცა აშკარა ტყუილში დაიჭერენ და მტყუენის კარგამდე მიჰყვებიან და თავის თავს დაბადე ლობდე არ ჩაათვლევენბდნენ. ერთი სიტყვით, ამ დაცინევით აგრძობინებენ, რომ მისი არავის ერიდება, გაიძვერობა არ გაუვა და არც არაფერ დაეჩაგვრინება.

ბაქების გაშლა ჰრდ. დაშინება. ზტვ. მუქარა, ტრაბახი, სხვისი მოტყუება. მგლ., „ამ გაიძვერამ ასეთი ბაქები გაშალა, ისე მოგვიდნომა ყველას ვაცურება თავის ტყუილებით, რომ ყველანი გასაოცარს ვიყავით“; მგლ., „დიდხანს ილაპარაკა... ვინ იცის, რაები არ მიჰქარა, ერთის სიტყვით — ბაქები გაშალა“.

ბაქი სპარსულად შეშინებას ნიშნავს; ქართულში ტრაბახის, თავის განდიდების, მოტყუების მნიშვნელობით ვხვარობთ.

ბაღდადი ჰრდ. სახელი ქალაქისა. ზტვ. მდიდარი, ყოველივე სიუხვით საესე მხარე, აღვლი. „თვალშავი თითონაც ხანში შესული, დამძიმებული ხარირემი იყო, იმას ბევრი ჩანჩალი აღარ შეეძლო და ირემბმა ეს ბაღდადი კუთხე უშეგლებელის ტყისა მოუჩინეს იმას საცხოვრებლად“ (ვაჟა-ფშაველა, V, 263); შდრ. „ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბაღდადი ის არის“ (ანდაზა).

ბაღდადი ქალაქია აზიის თურქეთისა, მდინარე ტიგროსზე; ძველად მთელს აღმოსავლეთში განთქმული იყო თავის ქსოვილებით, ვაჭრობით, სიმდიდრით. ქართულ ანდაზებში ამ სახელს ხშირად შეხედება კაცი, როცა უნდათ სიმდიდრე და სიუხვე აღნიშნონ: „ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბაღდადი ის არისო“; „ბაღდადს ვირი კიტრადაო, ჯორი უნდა საგზოდაო“; „თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვაო“ და სხვ.

ბაყბაყ-დევი ჰრდ. სახელი მეტად ძლიერ

რი დევისა. ზტვ. უზარმაზარი, გადამეტებით დიდი, უშნო ტანადობისა, უძლეველის ფიზიკურის ღონის პატრონი, — მოურვეწელი. „მაგრამ აი, ამ შენმა უხეირო ლუარსაბმა ისე გავიხადა ი ფიციანი იმერული, რომ, რომ... სულ ჩემი მზე ფაფიკებინეთითონივე თავის პირით ნითხრა: ბაყბაყ-დევი ხარო, თითიც მომიკავა“ (ილ. ჰაუბაძე, II, 255).

ბაყბაყ-დევი უძლიერესი გმირია ქართული ხალხური ზღაპრისა. ეს სახელი სინონიმი გახდა უზარმაზარი აგებულების ადამიანის, ფენომენალური ფიზიკური ღონის პატრონისა.

ბაშ, უსტა ჰრდ. თავხვეით გადსულნი. ზტვ. ბატონი ბრძანდები, თქვენი ბრძანების ამსრულებელი გახლავართ! „აბდულ-შაჰილმა, მორჩილების ნიშნად, შუბლზე მიიდვა ხელი და მოახსენა: ბაშუსტა“ (აჟაი, I, 254).

ბაშ თურქულად თავია, იუსტა — ხელ, ე. ი. პირდაპირ: რაც თავზე გადასული არის; თქვენი ჩემს თავს შემოდანა ხართ, ჩემი ბრძანებელი ხართო, მე თქვენი მორჩილი გახლავართო.

ბაჩუნაანთი ხზო ჰრდ. ხზო, რომელიც ქართლში ეკუთვნოდა გლეხ ბაჩუნაშვილს. ზტვ. მეტისმეტე მკამელი, ძლომა რომ არ იცის, ჭამას გადაყოლილი. „ეს ოჯახქორი, ნამდვილი ბაჩუნაანთ ხზოა, — იმდენსა სკამს, რომ ძლომა არ ავონდება“.

ქართლის სოფელ წილკანში გლეხ ბაჩუნაშვილს ერთი ხზო ჰყოლია. ერთხელ იმდენი უქამია, რომ ვერ მოუწლებია და მოჰყვარა. მერე ეს დარჩენილა გაუშამლარი კაცის და საერთოდ გაუშამლობის სინონიმად.

ბაწარს უთრევს ჰრდ. ბაწარი თრევით შიაქვს იმისათვის. ზტვ. თავისკენ იტყუებს ხელში ჩასაგდებად, ატყუებს. მგლ., „მთელი დღე ბაწარს უთრევდა, მაგრამ ხელში მაინც ვერ ჩაიგდო“.

როცა ვისიმე მოტყუება უნდა ვისმე, ბაწარს ცალ წვერში მოჰკიდებს ხელს, მეორე წვერს ათრევს მიწაზე, რომ მოსატყუებელს, ვინც ამას უყურებს, ეგონოს უპატრონო იყოს ეს ბაწარი და ხელი სტაცოს, და ამასობაში ხელში ჩაუვარდეს ბაწარის მთრეველს.

ბაწრის შებმა ყელზე. ზტვ. დამონება, დამორჩილება, თავის ნებაზე გატა-

რება ვისიმე. „მაიმუნევით ვატლინ-
კებ, ბაწარს შეგაბამ ყელზე-
და“ (პ. უმიკაშვილი, I, 33).

ბაწარის შემბა ყელზე მონობის, და-
მორჩილების ნიშანია. ყოველ შეპყრო-
ბილს, არგასაშვებს — ცხოველ იქნე-
ბოდა თუ ადამიანი — ყელზე ბაწარს
შეაბამდნენ და რაზედმე მიაბამდნენ,
რომ არსად გაქცეულიყო, პატრონის
განკარგულებაში დარჩენილიყო.

ბაჯალლო ოქრო, ბაჯალლო პრ. წმინდა
ოქრო. სჭვ. სრული ქეშმარიტება,
სიმართლე, ძვირფასი, უებრო, ფას-
დაუღებელი. „დინახავთ. რომ თა-
ვიანთი ნათქვამი ბაჯალლო ოქ-
როდ მიაჩნიათ და სხვისაკი, თუ
ანგარიშში არ მოსდით, ერთ ყალბ
ფულურადაც არა“ (ილ. ჰავაშვიძე, ძეოთა
ლაღადი, 28); „რა ქალია! — ჰფიქრობ-
და ზარათი გზადაგზა, — სწორეთ
ბაჯალლოა! ბედი მაქვს რაღა,
მალე! შენ ოქროს ტახტზე სწორეთ
მიგისთანა ვარსკვლავი უნდა ბრწყინ-
ავდეს“ (ვ. ბარნოვი, ტფილისის ანრიღ-
ლები, 160).

ძველად ერთნაირი ოქროს ფული
იყო, ომელზედაც დანიის მეფის სახე
ეხატა, გრძელფეხებიანი. სპარსელებმა
ამ ფულს ბაჯალლო ანუ ფეხგრძე-
ლა (ბაჯი — ფეხი, აღლი — გრძელი)
დაარქვეს. შემდეგში ამ ფულის სიხვის
ოქროს ფულს ბაჯალლოს ეძახდნენ, ასე
რომ ბაჯალლო დარჩა ოქროს ფუ-
ლის სახელად. ქართულად ბაჯალლო
გამოხატავს: ძვირფასს, წმინდას.

ბღღვერის აღენა პრ. გაბრტყენა,
ნაბრტყენის მიმოფანტვა. სჭვ. მო-
რევენა, დაჩაგრა, ყველაფრის წაო-
მევა. „განა არ იცი, ყველა სკოლდგ-
მული მაშინ მიჩქმალულ-მოჩქმალუ-
ლია? ხელში ვინ ჩამივარდება? გა-
ვინაბრინ, თუ მოვიგდე ხელში, იმათ
ბღღვერს ავადენ...“ (ვაჟა-ფშავე-
ლა, VI, 93).

ბღღვერი — ნაკრტნი, ბუმბული,
ფრინველის ბრტყენისაგან მიღებული.
ბღღვერის დენა — გაბრტყენა,
ბუმბულის მოშორება ფრინველის სიფე-
ლისაგან და ჰაერში გაფანტვა. ანალო-
გიით ეს ხატოვანი თქმა, ადამიანზე
ვადატანლი, გვიხატავს დამარცხებას,
მიწასთან ვასწორებას მოპირდაპირი-
სას.

ბეზიას ხელი დაუკრავს პრ. ბეზია-ქალს
ხელი დაურტყამს საჯდომზე ახლად-

დაბადებულისათვის. სჭვ. ბედნიერია,
სავსე ყოველგვარი უხეობითა. ჰგლ.,
„იძას, ჩემო ძმაო, ყველაფერი ყე-
ლამდე აქვს რომ იტყვიან, ბეზიას
ხელი დაუკრავსო, სწორედ ის
აბის“.

ახლად დაბადებულს ბავშვს მოზობი-
რეს მომლოკინებელი ბეზია საჯდომზე
რამდენჯერმე დაუტატანებდა ხელს და
თან ეტყოდა: ბედნიერი იყავიო! სწამ-
დათ, ვისაც ბეზია ამას ეტყოდა, უიქვე-
ლად ხელმომართული იქნებოდა ცხოვ-
რებაში. არაფერი აკლდებოდა, ყველა-
ფრისათვის ხელი მიუწვდებოდა, მის
სახლში ღებნა-სიამე იქნებოდა დასად-
გურებული.

ბეზიაჩემი პრ. ჩემის ღედის ან მამის
ღედა. სჭვ. დაცივია: ძალიან ხნიერი.
„უყურე, როგორ მორთულა (ლიფსი-
მე) როგორ კუნტრუშით მიღის! რა-
ღა დროს ბეზიაჩემის კუნტრუ-
შია, ამოაგდოს ღმერთმა შენი სახე-
ლი“ (ლ. არღახანი, მორჩილი, 164).

ბედაური პრ. გარეული ცხენის მსგავსი.
სჭვ. დიდი, თვალსაჩინო; ყველასა-
თვის დასანახავი, ცხადი: „სხვა არ
იყოს-რა, მარტო ისეთი ქართველე-
ბის გაქრისტიანება მირიან მეფეს
დროს საქმარისია კაცს წარმოედგინ-
ა, რომ ეს აწისთანა ბედაური
ტყუილი არ წამოსცდენოდა“ (ილ. ჰავ-
აშვიძე, V, 105).

ბედაური ჰქვია ცხენს, რომე-
ლიც განთქმულია თავის სისწრაფით,
დაულალოებით.

ბედზე ფეხის დაჭირება პრ. ბედისა-
თვის ფეხით დაწოლა, ზევით არასა-
შვებად, ძირს დასამაგრებლად. სჭვ.
ბედის მოშორება, სიკეთის არიდება,
სიკეთიზე უარის თქმა, უღელ ყოფაში
ჩაგდება თავისა. „რასაკვირველია,
გამოუცდებლები ქორს მალე დაიჯე-
რებენ ხოლმე და ბედს ფეხს აჭი-
რებენ. მტერსაც ეს უნდა. ამის-
თანა საქვერში ისეთი სიფრთხილე
და გონების გამჭრიახობა უნდა მოი-
ხმაროს ადამიანმა, რომ ვერც მტერ-
მა გაიხაროს და არც კარზე მიმდგა-
რი ბედი გაბრუნდეს“ (დ. მანანელი,
ძმური სიტყვა, 103). ჰპრ. ფეხის დაჭირა
(ვიზუღმე ან რაზედმე).

ბედთან შეყრა პრ. ბედთან შეხვედრა,
მასთან პირდაპირ დადგომა. სჭვ.
გაბედნიერება, სიკეთეს გადაკიდება,



გამარჯვება, წარმატება. „შენ გინდა ფარგლით იყოს მოქანებულ-მობაზუ-ლი, როგორც შენგნივ მოქედული ჩუქურთმა. ძნელია ეგეთის პოვნა, მაინც შეევედრე ელისა, ბედს შეე-ყაროს, თორემ... ვაჟი იჯდეს—ბერ-დებოდეს“ (გ. ბარნოვი, ტფილისის ანრდი-ლეი, 222).

ბედის გაშავება ჰრდ. ბედის შავად გა-ხდომა. სვგ. ცუდად წასვლა საქმისა, დაღუპვა, დამარცხება, გაუბედურება. „ჩასტკერის დედა-მიწასა, ბეჩავეს ხმა ჩაუტყენდია, ოხრავს და გზინავს ნაფუშად, გაჰშავებდია ბედია“ (რაფ. ერისთავი, I, 153).

ბედისა და თავის წყევლა ის. თავბე-დის წყევლა.

ბედის გაბრუნება ჰრდ. ჩვენთან მოსულ-ლი ბედის იქულება უკან წავედეს. სვგ. ბედნიერების მოშორება, აირიდე-ბა, უბედოდ დარჩენა, გაუბედურება. მკვ. „გოგოს, ბედნიერების დრო აქვს. ბედს ნუ დაუბრუნებთ. აბაიშვილი ჩვენგან დასაწუნი რომ იაი...“ (ან. ერისთავი-ხოშტარია, მიწა, 101).

ბედის გაჭრა ჰრდ. ბედის მიერ ერთმა-ნეთს მოშორება რისამე ნაწილებისა. სვგ. ბედიანობა, მოკება, გამარჯვება. „შენ გინდა მოაწონო შენი ნათლუ-ლი... ბატონო, შეხედოს ჩემს შვილ-საც! რომლის ბედი გასტკერის, ის იქნება და ის... რა საწყენია ახ-ლა ეს?“ (ფ. კლდიაშვილი, II, 73).

ბედის გახხნა ჰრდ. შეკრული ბედის დაშლა. სვგ. ბედნიერება, გამარჯვე-ბა, წარმატება; საქმის კარგად წა-სვლა, ხელის მომართვა. „მოინდომა მამამ იმისი დაქორწინება. მოლალა მაჰანკლები, შემოიარა ქვეყანა, მაგ-რამ, ტყუილად, არ იქნა, იმისი ბე-დი არ გაიხსნა“ (თ. რახვაშვილი, ზღაპრები, II, 108); „რკინის გზებზე და გაზატყეცილებზედ ახლო-მახლო მცხო-ვრებულთა, რა თქმა უნდა, ბედი გაეხსნათ: კარგი გზა ბაზარს თით-ქმის ხელში აძლევს“ (ილ. ჭავჭავაძე, VII, 237).

ბედის მადლიერი ჰრდ. ვინც მადლობას ეუბნება ბედს. სვგ. კმაყოფილი, ბედ-ნიერი, წადილასრულებულო. „მის (გიორგის) გავლენიან ბატონს ყველა ფიანდაზედ ეგებოდა იმ არეს. არა, ბედის მადლიერი უნდა ყო-ფილიყო გიორგი: რამდენ მისთანას

მოულო იქ ბოლო სიცივემ და შიმშილ-მა!“ (გ. ბარნოვი, ტფილისის ანრდილეი, 40).

ბედის მიგდება სხვაზე ჰრდ. სხვის-თვის დაკისრება ჩვენი ბედის პოვნის-სა. სვგ. სხვისი იმედით ყოფნა, თვით-მოქმედების უნარის მოკლება. „გვე-ყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგ-ლებმა, ჩვენის გაპირებებისა, გულის ტკივილისა და წადილის ბატონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ“ (ილ. ჭავჭავაძე, VII, 198).

ბედის ტრიალი ჰრდ. ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადასვლა ბედისა, სხვადასხვა სახის ჩვენება ბედისა. სვგ. უიღბლობა. „—ვა!.. დახე ბე-დის ტრიალსა!.. მე რა დანა-შაული მაქვს მერე?...“ (ილ. ჭავჭავაძე, III, 139). შკრ. ან. ერისთავი-ხოშტა-რიას მოთხრობის სათაური „ბედის ტრიალი“.

ბედის შეკვრა ჰრდ. შეკუმშვა ბედისა, გაუშლილობა. სვგ. საქმის ცუდად წასვლა, უბედურება, დამარცხება, ხარალი, უმოქმედობა, შკლ. „დაი-ღუბა, ბედი შეეკრა“.

ბედის წიგა ჰრდ. ბედის მიახლოვება. სვგ. გაბედნიერება. ხელის მომართვა, ავება ყოველი სიკეთით. „ვითაძც კიდევ ერთ გლეხს დაეჭიროს ალი ნაწნავებითა და სახლში მყოლიყოს; მერე ალს ეთქვას: ოღონდ გამიშვი და ბედსა გწევო: აი ჩემი ფრჩხი-ლი და თმა, იმეებით, საცა გივი გამორნდება, ან ბნედიანი, მაარჩი-ნო“ (ს. მაგლობლიშვილი, I, 59).

ბედი უდიმის სვგ. ხელი ემართება, უმარჯვდება, საქმეში იღბლიანია. „ვისაც ბედმა გაუდიმა ცხოვ-რებაში, ყველა გავიდა ქალაქ გარედ სულის მოსაბრუნებლად. ქალაქში მარტო იმისთანა ხალხი დარჩა, რო-მელიც ბედის უკანონო შვილია, რო-მელიც იბრძვის მუდამ დღითური ლუქ-მის საშოვნელად“ (ფ. გაბაშვილი, რჩეული ნაწერები, 53).

ბედის წყალობა ჰრდ. ბედი თავის წყა-ლობას არ აკლებს. სვგ. ყველაფერში ხელის მომართვა, ყველაფერში წარ-მატება. მკლ. „ნიკოს ამბავს თუ იკითხავ, თვითონ დიდი უწონო ვინ-მეა, მაგრამ ბედი სწყალობს და იმით გააქვს და კოჭი ყოველთვის აღჩუს უჯდება“.

ბედნიერ ვარსკვლავზე (დაბადებული, დარსებული...) ზღვ. კაცი, რომელსაც ყველაფერში ხელი მოემართება ხოლმე. „აი, სწორედ ამ დროს დაერქვა ეთერს სულიკო. ალბად რა-ღაც ბედნიერ ვარსკვლავზე იყო და არსებული მოხსენებული საქალაქო სასწავლებელი“ (ნ. ლომოფრი, წუთსოფელი).

ხალხის ძველი რწმენით, კაცი რომ იბადება, მისი სახელის ვარსკვლავიც ჩნდება. ზოგი ვარსკვლავი ბედნიერი და, მაშასადამე, მის სახელზე დაბადებულ კაცს ბედნიერება მოეღოს ცხოვრებაში. ზოგი კი უბედურია. და მის სახელზე დაბადებული კაცი შესაბამისად უბედურია. ასეთზე ამბობენ: უბედურ ვარსკვლავზეა დაბადებულიო.

ბედნიერი ფეხი ჰრ. ბედი რომ მოსდევს, ისეთი ფეხი ადამიანისა. ზღვ. მომტანი ბედნიერებისა, წარმატებისა, გამარჯვებისა. „ქრისტიანობის შემოტანის შემდეგ წყალ-წმიდათ განქრენ ქვენი კერაები. იქნება დევნის დროს აქაც დაშალეს, ამ მღვიმეშია. ბედნიერ ფეხზედ წამოვედით. დიდებული შედეგი ექნება ამ ძიებას“ (გ. ბარნოვი, ტფილისის ანრდილები, 77).

ადამიანის ფეხს, ხალხის ძველი რწმენით, საცა მიდის, თან მისდევს ბედი ან უბედობა დამხვედურთათვის, როცა ვინმე კაცის მოსვლის შემდეგ უმარჯვდებათ ოჯახში, ამბობენ — მავანი ბედნიერი ფეხისაო.

ბელსა და თავს იწყველის ზღვ. მეტად ცუდ დღეშია, ძალზე უბედურია. „ნუ გამოიჭირებთ საქმეს, თორემ თითონ ზოილას მოვიწვევ მოწმად, რომ მე იმაში მართლად ვარ და ისეთს основное правило ამოქე-ქავს თავის საკუთარ კოდექსიდან, რომ თავი და ბედი იწყველოთ“ (ილ. პავლევიძე, IX, 355).

ბევრი კოკა წყალი ჩაივლის მანამდის ჰრ. ბევრ კოკაში ჩასატევი წყალი ჩაივლის მანამდის. ზღვ. ბევრი დრო გაევა მანამდე, ბევრი რომ გამოიცვლება, სანამ ეს (რამიმე) მოხდებოდეს... „კარგათ ლაპარაკობთ, სანამ მაგისთანა ნიადაგზე დადგება საქმე, ბევრი იწყალი ჩაივლის და ჩემი სიტყვა მანამდის არ იქნება სიმართლეს მოკლებული“ (გ. ბარნოვი, ტფილისის ანრდილები, 110).

ბევრი იარეხ თუ ცოტა ჰრ. დიდხანს მიდიოდნენ, თუ ცოტა ხანს. ზღვ. არ ვიცით, რამდენ ხანს იარეხ. „წაივინენ გზასა. ბევრი იარეხ, თუ ცოტა, ერთი ყანა ნახეს“ (თ. რახიკაშვილი, ზოპარები, I, 162).

ბევრი ხაცრის პური მიჭამია ჰრ. ბევრ საცერში გატარებული ფქვილისაგან გამოცხვარი პური მიჭამია. ზღვ. ბევრი რომ გამოიცილია, დიდხანს მიცილობია, ბევრი ავი და კარგი მიიხაბავს. „შენ ერთი ზარალი ჰხახე იმით სჯავრობ, მე ოცი მიიხახე, შენზე ხუთის წლით მაინც ვიქნები უფროსი, თუ ოცით არა. გული შათელილი მიქვს, შვილო, ბევრის საცრის პური მიჭამია, ბევრსა ვარ გადმონაყარი — იმ ლექსისა არ იყვივს“ (ვაჟა-ფშაველა, V, 394).

საცერი გამომხატველია დროისა. უმეტესწილად, ხანგრძლივობისა, რომლის განმავლობაში ის ემსახურება ოჯახს და შიგ გატარებული ფქვილისაგან გამოცხვარი პურის ასაზროდობს ოჯახის წევრთ. მაშასადამე, ბევრი საცერი ხატოვანად გულისხმობს დიდს ხანს. მრავალქამიერებას, წელმრავლობას, დღეგრძელობას, რომლის განმავლობაში უცხოვრია ადამიანს, ვიზელაც ლაპარაკია.

ბევრი მყოლია ის. მწყერები კი ნუ ააფრინე!

ბევრს ნუ ლაპარაკობ ზღვ. მტყუანი ხარ, ტყუილად თავს ნუ იმართლებ, გაჩუმიდი, შენი დანაშაული აღიარე დუშმილით.

ეტყვიან დამნაშავეს. რომელიც ბევრს ლაპარაკობს და ამ ლაპარაკით ცდილობს თავისი სიმართლე დაამტკიცოს.

ბეთლემის ვარსკვლავი ჰრ. სოფ. ბეთლემში გამოჩენილი ვარსკვლავი. ზღვ. ლამაზი, იმედის ჩამსახველი, ნატურის საგანი, სასიხარულო. „მიდის ფშატზე და იცის კიდეც, საცა მოძებნოს იგი ბეთლემის ვარსკვლავი“ (ვაჟა-ფშაველა, V, 302).

ბერაში გაატარეს ჰრ. ჩიხში გაატარეს. ზღვ. გაამასხარავეს, ბერიკად გახადეს. ის. ერთ ბერაში გატარება. ვისი გამასხარავება ან ჯავრის ამოყრა უნდათ, იქით-აქეთ ჩუმად ჩაუდგებიან ბერაში და ისე გაატარებენ, თან სამასხარაო სიტყვას ეუბნებიან ხოლმე.

ბერიკა პრ. ვინც სხვადასხვა სახე-
მარო ტანისამოსს იცვამს, სახეზე ნი-
ღაბს იყვითებს და პირუტყველად
ალაყ-მალაყს გადადის გასართობად.
სჭვ. მასხარა, ხუმარა. „აბა კვალში
ჩაუდგეთ ყოველ მყვირალს, ახალ თა-
ნის კაცი ვარო, გაუსინჯეთ სიტყ-
ვა და მოქმედება, იკითხეთ, იმ სიტყ-
ვისა და მოქმედებაში ახალი რა
არის, და მაშინ ნახაეთ, რომ იგი
ახალის თაობის ბერიკაა და არა
ახალი თაობის კაცი“ (ილ. პავლევიძე, VI,
344).

ბელელი პრ. პურის შესანახი ადგილი.
სჭვ. ნაყოფიერი მხარე, სადაც ბევრი
პური მოჰყავთ. შგლ., „ქართლი საქარ-
თველოს ბელად ითვლება, იმ-
დენი პური არსად მოდის“.

ბეყა ფული პრ. ჩენჩი ფული. სჭვ. არა-
ვითარი ღირებულებით, უფარვისი,
მუქთი. „არც ჩვენ ვნატრობთ ღვი-
ნო თუ ხილსა: თუნგი ახაზად ღვი-
ნო რჩეული ქაშნიკის ნახვით, ხილი
სხვადასხვა სულ ბეყა ფულად“
(ვ. ბარნოვი, თეთრი გვირაფი, „წათობი“
1939, № 6, გვ. 12).

ბეყა არაბული სიტყვაა და ნიშ-
ნავს რისაზე ნარჩენს, გამოუსადეგარს,
განდასაყრელს. ფულის ღირებულებას-
თან დაკავშირებით, ბეყა უნდა უდ-
რიდეს უფასურს, უღირალს. თბილისში
ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის პირველ ნა-
ხევარში ხმარობდნენ ასეთს ფულს. სა-
ნეგროლოოში სამოცდაათიან წლებში გვი-
ნახავს მეტად წვრილი სპილენძის ფუ-
ლი, თოვლის ნაფერთლების მსგავსი,
ნეკის ფრჩხილის სიფართისა; ზედ წარ-
წერა არავითარი ჰქონია. დიასახლი-
სებს ზანდუკის ყურში ეყარათ და ჩენჩი
ფულს ეძახდნენ. მეგრული სახელი სა-
ვისებით შეეფერებოდა ამ ფულის შესა-
ხედაობასა და მსგავსებას ხორბლის
ჩენჩოსთან.

ბეწვზე გადარჩენა პრ. ბეწვის ოდენად
გადარჩენა. სჭვ. ძლიერ გადარჩენა,
ბეწვის ოდენა რომ უკლია დღლუპ-
ვას, დამარცხებას, დაცემას. „ხალ-
ხში კენესასავით გაისმა უცნაური ხმა.
ონისებ ბეწვზე გადარჩა: დრო-
ზე მოჰკრა მარცხენა ხელი ილიაში
და არ გადაჰყვა“ (ვ. ბარნოვი, ფერად-
ფერადი, 131).

ბეწვზე შკიდა ხიცოცხლე სჭვ. ოდნავ
არის, მეტად სუსტადაა (მისი საქმე
ან სიცოცხლე). „ასეთი ფერი და სი-

3. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი.

სუსტე ეტყობოდა, თითქოს იმისი
(გლახას) სიცოცხლე ბეწვზე და
პკი დიაო“ (ილ. პავლევიძე, II, 138).

ბეწვი გაწყდა სჭვ. ცოტა უკლდა, რომ
უბედურება დატრიალებულყო, კი-
ნაღამ საქმე გაქირდა. „ერთხელ
შემბტარმა ჯიბლიბოში კულის წვე-
რიც კი მოიხვედრა: ბეწვი გას-
წყდა, კინაღამ დაბლა ჩამოავდო“
(ვაჟა-ფშაველა, VI, 204); „წყალმან წაი-
ლო, მივდივე, ვეცადე ვერ დავეჭირე,
ბეწვი მწყდა, მისის ღვეწისა მეც
წყალში არ დავიძირე“ (დ. გვრამიშვი-
ლი, 112).

ბეწვის აშლა პრ. ბუსუსების აბურ-
ძგენა. სჭვ. აღრენა, ბრახის მოსვლა.
„ის (ცოლი) მარად გრძნობდა თა-
ვის ყელზე ქმრის ხელს, გველებივით
შემოქცობილ მისს თითებს და ბეწ-
ვი ეშლებოდა“ (ვ. ბარნოვი, ფე-
რად-ფერადი, 181).

ბეწვის ხიდი პრ. ბეწვისაგან გაკეთ-
ბული ხიდი. სჭვ. დიდი რამ გასაჭი-
რი, საძლიერელი, ძნელად გადასალა-
ხავი. „აქ, ჩემთან, რომ ამოხვალ (უბრ-
ძანა ღმერთმა ადამიანს), მაშინ სხვა
არისი: აღუღებულ კუპრის ზღვაზედ
ბეწვის ხიდს ვავიდებ, თუ კარ-
გი ხარ, — ვავლიო, მაღლი მხრებში
შევიჯდება და გაგატარებსო: კაი
კაცს არ ჩაუწყდებაო“ (ილ. პავლევიძე,
III, 86).

ეს თქმა მომდინარეობს ხალხის ძვე-
ლი რწმენიდან: საიქიოში, სანამ სა-
მოთხეში ან ჯოჯოხეთში შევიდოდეს
კაცი, გზაზე დახვდება აღუღებული
კუპრის ზღვა, ზედ გადებულია ხილად
ბეწვი და ამაზე უნდა გაიაროს. თუ
ადამიანი ცოცხელია, ბეწვი ჩაუწყდება
და რჩება საუკუნოდ კუპრში. ხოლო
კარგ კაცს მისი ნამოქმედარი სიკეთე
და მაღლი მხრებში შეუჯდება და მშვი-
დობით გაატარებს ბეწვის ხიდზე. ადა-
მიანი სამოთხეში შედის და შიგა რჩე-
ბა საუკუნო სანეტაროდ.

აქედან ბეწვის ხიდი იქცა სი-
ნონიმად ძნელად გადასალახავი საქ-
მისა, თავიდან ასამორებელი გასაჭი-
რისა.

ბეჭედაკრული სჭვ. დამოწმებული,
უაქვილი, სწორი, ნამდვილი, უტყ-
უარი. „ყოველს არსებულს, ყოველს
ძველს თავისი ადგილი უკვე დაუპყ-
რია ადამიანის ცხოვრებაში, უმრავ-
ლესობისაგან აღიარებულია, ნებით

თუ უნებლიეთ გულშეჯერებულია და ეამთახნიერობით ბეჭედდაკრული და დამტკიცებული“ (ილ. ჰაგვაძე, VI, 119).

ბეჭედი ჰრ. სიქა ქალაღღზე დარტყმული რაიმე საბუთის დასამტკიცებლად. ზგვ. სიმტკიცე, სინამდვილე, საბუთიანობა, უმკველობა. ზგლ., „ჩემი სიტყვა ბეჭედი...“

ბეჭდის დაკრა ჰრ. ბეჭდის გამოსახვა რაიმე საბუთის ქალაღღზე. ზგვ. დამოწმება სინამდვილისა, სისწორისა, უმკველობისა. „მაგრამ საქვეყნოდ სულელმა ვერ უარყვავი შეჩეით და მოლის ლოცვა-წირვას უნდა დავუტკრა ბეჭედო“ (ვაჟა-ფშაველა, IV, 100); „იმან (გ. თუმანოვმა) არამც თუ ამიში (ქალაქის საბჭოში ქართველების გაუყვანლობაში) არ დაინახა გატეხა ძმობისა და ერთობისა, არამედ თავისი საქციელით ბეჭედოც დაჰკრა“ (ილ. ჰაგვაძე, IX, 339).

ბზობის ყვაფივით გაჰკრა ჰრ. გაქრობა იმის მსგავსად, როგორც ყვაფი ბზობას საღღაც გაღღაცად სოფელიდან. ზგვ. არაფერ იცის საღ წაფიდა, გაუჩინარდა, დაიშალა, მიიჩქმალი. „იგრილა ხალხმა და მიიწია სოსიკასაყენ, რომელიც ბზობის ყვაფივით გაჰკრა“ (ს. მგლობლიშვილი, II, 129); „სწორეთ ბზობის ყვაფივით დაიკარგა ჩემი სახლიდან“ (ხ. ანტონოვი, 272).

სოფლად ყვაფი ზამთარში სოფელს არ შორდება, სულ გარშემო დასტრიალებს, რომ სარჩო იშოვოს და შშიერი არ დარჩეს. გაზაფხული, ხალხის ძველი დაკვირვებით, ბზობას (აღღგომის წინა კვირას) იწყება ხოლმე და ყვაფებიც, რომ დათბება და ჰაერში გაზაფხულის სუნნი დატრიალდება, ე. ი. დაახლოებით აღღგომის წინა კვირას და ბზობას, აიყრებიან სოფლიდან და ნიაშურებენ სოფელს მოშორებით მღებარე ტყეს, საღაც სარჩო საკმაოდ აქვთ და ბახალბსაც უშიშრად გამოსჩეკენ.

ამის შემდეგ ყვაფს, სოფელში მოფრენილს, იშეიათად ხეღავეს და ამიტომაცაა დარჩენილი თქმა — ბზობის ყვაფივით დაიკარგაო, რაც ხატოვანად ითქმის აღამიანზე, რომელიც ერთბაშად საღამე გაღღაქარგება და გაუჩინარდება.

ზიაბრუ იხ. აბრუს გატეხა.

ბინის დაღება ჰრ. ბინის გაჩენა. ზგვ. დასახლკარება, ფეხისმოკიდება. „თუ თაფლი არ იყო, ეს ამოდენა ბუზი რად მოვიდა ბაღდადიდამ? თუ პური არ იყო, ბინა აქ საღ დაიდეს წინაღმდეგ წინაღ სხენებულ ანდაზისა?“ (ილ. ჰაგვაძე, ჭეაა ღაღადი, 91).

ბიძაშვილები მოუვიდნენ ზგვ. ეძინება, ძილი მოერია.

ბიძაშვილების მოსვლა ბიძაშვილებისათვის ტბილ, საამო სტუმრობად ითვლება. ერთად რომ შეიყრებიან, იტყვიან ხოლმე იქითურ-აქითურ, სასიამოვნო და გასართობ ამბებს. და ამიტომაც ამათი მოსვლა ხატოვანად დაღარებულნი ძილს, რომელიც, დილით მოძრობისა და დაქანცვის შემდეგ, დიღაც მიგვიანია ტბილად, აღამიანის სულიერად დამამშვიდებლად, ფიზიკურად განმახლებლად. ამას იტყვიან ხუმრობით, როცა ლაპარაკში ვინმე დაამტენარებს ან სულაც დაიძინებს. ბიძაშვილების მაგივრად ზოგჯერაც ამბობენ: „ბედისმწერელნი მოუვიდნენო“.

ბიძებმა მოუარეს? ჰრ. დედისა თუ მამის ძმებმა ინახულეს? ზგვ. გაგიჟდა, გასულღღდა, კეუაზე მწყარალადაა? „ბაღდასარა. ეს რა სულიერი ვინმე ყოფილა!.. (გრიგოლს) კნიაზ... იმ ბრილიანტისას რასა ბრძანებთ...“

გრიგოლ. (იქით) ერიპა!.. მოუარეს ბიძებმა (ბაღდასარას), ვიცი, ვიცი...“ (რაფ. ერისთავი, IV, 203).

ბიჭმა ივის ჰრ. ყმაწვილს ცნობა აქვს, მიხვედრა შესწევს. ზგვ. კეხნა: მე შემიძლია, თორემ სხვას არ შეუძლიაო, ჩემოდენა სხვას ვის ეცოდინებო! „მაშ ძალა, ღონე არ მოვიხმარო? გიქი ვიქნები, არ მოვიხმარო და თავს სიამოვნება მოვაკლო. ვერ მოხვდათ? ვერ იგემეს ჩემი ტორები?! ვერ უნდა, ბიჭმა იცის!“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 248).

ბლიაძე ჰრ. გვარია ქართლში. ზგვ. ბევრი ლაპარაკის მოყვარული, ყბას რომ არ აყენებს. შღ. „სტეირის გულა მაქვს ბლიაძის, ქამანჩა ქეაძისაო, დაბლა ქვეყნის ვარ მღერალი, შემამკობელი ცისაო“ (აკაკი, ირაკლის საფლავზე).

ბლიაძე ქართლში განთქმული მესტიერე იყო ძველად. მესტიერეთ კი ლექსები ემარჯებოდათ და ლაპარაკიც ბევრი იცოდნენ.

ბლომდა ჰყავს (მწყრები) ჰრდ. თავში ბევრი მწყერი უზის. სჯვ. ნორმალური არაა; სულელია; კეჟუ აკლია. „ეიე, რა ბლომდა ჰყავანან მაგ ჩვენს კნახსა და რა უნდა აკამოს, რით უნდა გამოჰყვებოს?“ (ავა-ფშავლა, V, 206). იხ. „მწყრები აატრინა“, „თავში უქრის“.

ბნელი ძალა ჰრდ. სინათლეს მოკლებული ძალა. სჯვ. ბოროტების მიმდევარი, სიავის მქადაგებელი, ავკაცობის მთესველი. „ის რჩეულები შექმნიან თავის გარშემო მებრძოლ რაზმებს, რომელთ ვერა სძლევს ძლიერება ქვეყნიური, ვერც დაბარკოლებს მანქანება ბნელ-ძალე ბისა“ (გ. ბარნოვი, სამი რომანი, 444).

ბობოლა ჰრდ. დიდი ქია. სჯვ. დიდი, გავლენიანი კაცი; მდიდარი, შეძლებული, ვისაც თავისი სიმდიდრე ეშმაკობითა და გაიმძევრობით აქვს შეძენილი. „ჩვენ ერთი უბრალე სიკვდილის შვილი ვართ, სად შეგვიძლიან?! და თუნდა დიდი, დიდი ბობოლაც რომ ვიყოთ და შეგვეძლოს, ამ „შეშლილში“ მცირედი საზრდოც არ არის ესთეტკურ კრიტიკისათვის“ (ილ. ჰავჭავაძე, IV, 10); „ჩვენ კოლო ვართ, თქვენ — ბობოლა... მაშ ჩვენ ვინ გავგატოლა“ (აკაკი, ერთობა, 54).

ბობოლა დიდ ქიას ჰქვია. იგივე სიტყვა, ისევე, როგორც ბუა, იხმარება ატირებული ბავშვების შესაშინებლად და დასაყურებლად („იყურე, თორემ ბობოლა მოვა და მოგიტაცებსო“). **ბობოლას** აგრეთვე ეძახიან ქართლ-კახეთში ხახვის თავს, რომელსაც შიგ ქათმის 7 ლერი ფრთა ურქვია და კერისათვის თავე ჩამოჰკიდებენ ხოლმე ბაწრით დიდმარხვის დადგომისას. 7 ლერი ფრთა გამომხატველი იყო დიდმარხვის გაგრძელებისა შვიდი კვირის განმავლობაში. რამდენი კვირაც გაივლიდა მარხვისა, იმდენ ლერ ფრთას ამოაცლიდნენ ხახვის თავს. ასე რომ, ბობოლა მომარხულე და სულწაუსულად აღდგომის გათენებისა და განსნილების მომლოდინე ხალხს უჩვენებდა, თუ რამდენი კვირა იყო ვასული დიდმარხვისა და კიდევ რამდენი რჩებოდა.

ბოლის ადენა იხ. მტვრის ადენა.

ბოლოდაშვებულია ჰრდ. ვისაც ბოლო

ძირისაქენ აქვს დახრილი. სჯვ. რისამე გაკეთება არ შეუძლია, წართმეული აქვს უნარი საქმის გაკეთებისა, გულგატეხილი, დაღონებული, დასუსტებული, დაღლილი. შრ. ყურებჩამოყრილი.

ბოლოზე მოქილება ხელისა ჰრდ. ჩამორჩენილის მიერ წინმიმავალის ტანისამოსზე დაბლაუქება. სჯვ. მაჩანჩალობა, ჩამორჩენილობა, პირველობის დაკარგვა. „ვინც ჩემზედ წინ იყავით, ძველნი ხართ, ჩვენ-კი ახალნიო; ჩვენ წინ მიმავალნი ვართო და თქვენ კი დროს უკან ჩამორჩითო და თუ გინდათო, „ბოლოზედ ჩასქიდეთ ხელიო“ (ილ. ჰავჭავაძე, IX, 45).

ბოლო კარგია (კეთილია) ჰრდ. ბოლო კეთილად დასრულდება. სჯვ. კეთილად დამთავრდება ცუდად დაუწყებული საქმე, სასო არ უნდა წარვიკვეთოთ, მომავალი სანუგეშოა. „ითქოს იმან დაგვიძახა მაღლიდან: „ნუგეშინიათ, ბოლო კარგია, ღმერთი გიშველით, თქვენ ვერავინ გაგაშორებთ ერთმანეთსო“ (ავა-ფშავლა, V, 239).

ბოლოკი და ხბოს თავი ჰრდ. შეძლებვა ბოლოკისა და ხბოს თავისა. სჯვ. არაფერი. „პატივი და დიდება იმით ფანატოკოსობას... ჩვენ... რაღა? ბოლოკი და ხბოს თავი! მეტის ღირსიც არა ვართ, რადგანაც ბრიყვის საგზალი მალე დაილევის“ (აკაკი, მწერ ფიქრები, „ფ.“ 1903 წ., № 249).

ეს თქმა დაციხვითია, როცა რასმე არიგებენ და ვისაც არ ერგება ან არ არგუნებენ, და ის კი მოიკითხავს — მე არ მინდაო?.. ასე ეტყვიან. ხოლო, მოგეხსენებათ, მწირი ბოლოკი და უხორცო თავრეილა და ძველნი ხბოს თავისა ბევრი არაფერი ბედენაა და არავისათვისაა სახარბიელო.

ბოლო მთქნია ზამთარმა სჯვ. ხელახლა დაიწყო სუსხი. „ზამთარმა ბოლო მოიქნია: ასტყდა ქარბუქი, ზევით ცა აღარა სჩანს და, ძირს — დედამიწა. ხალხი ბუნჯეში ჩაეკტრა ავსა ტაროსსა“ (გ. ბარნოვი, ფთოა-ფჰრადი, 462).

ბოლოხ მოღება ჰრდ. დასასრულის მოტანა. სჯვ. საქმის გათავება, დამთავრება, დასრულება. მოსპობა, მოკვლა; დასრულება სიკოცხლისა, გაღარიბება; განადგურება. „მხესა და

დედამიწასა ჰლოცადენენ და ლმერთს
ვევლრებოდნენ: „ღმერთო, ნუ მო-
გვიღებ მაღელ ბოლოს, დიდხანს
გვაყოცხლო“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 40);
„მამ იცი, რას გეტყვი, გაბრიელ?
როცა წინაურ საქმის ბოლო მოუ-
სეს, გლახუკას უთხარ და ეგ მო-
გიყვანს ჩემთან“ (ილ. ჰაგვათაძე, II, 62).

• **ბოლოქნევეია** ჰრდ. ვინც ბოლოს, კუდს
აქნევს. სჯვ. გაიძვერა, პირში მაქე-
ბარი, მლიქვნელი.

როცა ძალი ან კატა საუმელს გა-
მოელის პატრონისაგან, ბოლოს ანუ
კუდს აქნევს ხოლმე იქით-აქეთ და პირ-
ში შესტკერის პატრონს. ეს კუდის ქნე-
ვა მისი ხვეწნაა, მისი ალერსია.

ამ ბოლოქნევეია ცხოველსაა დადა-
რებული ისეთი ადამიანი, რომელიც
პირში ელაქუცება, აქებ-ადიდებს ვინ-
მეს რაიმეს გამორჩენის მიზნით. ასეთ
პირში მაქებარ, გაიძვერა, მლიქვნელ,
უარყოფით თვისებათა მქონე ადამიან-
ისათვის ჩვენს ხალხს ხატოვანად და-
ურქმევეია ბოლოქნევეია.

• **ბორჯაღადგმული** ჰრდ. ფესვებმოკიდებუ-
ლი, ფესვებგადგმული. სჯვ. მაგარი,
საფუძელიანი, ფეხებმოკიდებული.
„როგორც სოფლის ღვიძლმა, მან
(თაყაღმა) ჩაიხედა სოფლის გულის
სიღრმეში და შეჰნიშნა იქ უდიერად
ბორჯაღადგმული უნდობლობა
მათდამი“ (შელანიძე, ნაჯარღობა).

ბორჯი მცენარის ძირის, ფესვის
სახელია.

• **ბოსლის ამბავი** ჰრდ. ბოსელში გაგონი-
ლი ამბავი. სჯვ. ზოგი ტყუილი და
ზოგი მართალი, იქით-აქეთური ამ-
ბავი, ზღაპარი, მოჰორილი ამბავი.

წინათ ქართლში, საცა საქონელი
უზიანთ და თბილა, სალამობით მეზობ-
ლები თავს იყრიდნენ, ციკხლს დაან-
თებდნენ და მოჰყვებოდნენ სოფლის
ამბებისა და ზღაპრების თქმას, რომ
ზამთრის დაუსრულებელი ღამეები შე-
უმჩნევლად გაეყვანათ. იქ თქმული ზო-
გი მართალია, ზოგი ტყუილი.

ამიტომ როცა ვინმე მსმენელებთან
დაუჯერებელი და შეუმოწმებელი ამბის
გასაღებებს მოინდომებს, კი არ ეტყვი-
ან — შენ, ჩემო ძმაო, რა ცოტადს მოჰ-
ყოლიხარო, არამედ მარტოდ შესძა-
ხებენ: „ჩემო კარგო, რაც გვიამბევი,
ბოსლის ამბავიაო!“.

თვით ბოსელში დროს გატარებამს
ბოსლობა ჰქვია.

• **ბოლაზი** ჰრდ. უბე ზღვაში, მყუდრო აღ-
გილი ზღვისპირად გემთა თავშესა-
ფარად. სჯვ. ქვეყნის მარჩენელი,
მდიდარი ადგილი, ყველაფრით სავ-
სე, საცა უხვებადა ყოველისავე. „თუშ-
ცა იგი მხარე (ალაზნის ველი) ახლა
ცნობილია მარტო ღვინითა, მაგრამ
ძველ დროს იგი ყოფილა ბოლაზი
თითქმის მთელის საქართველოსი“
(ილ. ჰაგვათაძე, VII, 34).

• **ბრეს აღენა** ჰრდ. ლეწვის დროს კალოზე
მტვრის დაყვება. სჯვ. მორეგნა, და-
მარცხება, დათრგუნვა, გაცამტვერე-
ბა. „როცა მე ისევ ცხრა წლის
ჩიტირეკია გახლდით და ჩვენები
ზვიუნების განიადებში იყვენენ გარ-
თულნი, ავტოცი ჩვენის კალოს ქო-
ხის ჩარდახზე და, როგორც მოგე-
ხსენებათ ბალის საქმე, საწყალ ჩი-
ტის ბუდეებს ბრე ავადინე“
(დ. ნაჩხაველი, ძმური სიტყვა, 119).

• **ბრმა ბედი** ჰრდ. ბედი, რომელიც ვერა
ხედავს, უსინათლოა. სჯვ. ხან ილ-
ბლიანობა, ხან უიღბლობა; ხან მარ-
ცხია, ხან გამარჯვებაა. „რა გავა-
გრძელოთ, ვერც ამ ჯადოს დაწვამ
უშველიათ; ბოლოს, გატყვრა ერთი
ბრმა ბედი და მოეცათ ვაჟიშვი-
ლი“ (ილ. ჰაგვათაძე, III, 180).

ხალხის ძველი რწმენით, ბედი ბრმა,
უსინათლო არსებაა, რომელიც ხან ვის
მიადგება კარს და ხან ვის. ამიტომაც,
რომ, როცა ვინმეს მოულოდნელად გა-
უმარჯვებდობდა, იტყოდნენ: ბედს ეწვია,
ან ბრმა ბედი სდევსო.

• **ბროლა კაკალია** ჰრდ. სუფთა და და-
კროლილი კაკალია. სჯვ. სუფთა, უმ-
წიკვლო, უდანაშაულო, უზადო, ისე-
თი, ვისაც ხელიდან ხელში ატარე-
ბენ, ყველა ეფერება, ვისი ნახვაც
ყველას ესიამოვნება. „წადი, შე მში-
მარაგ!.. რა კაცი ხარ, ხილის მო-
პარვისაც კი გეშინიან! მე მაგისთა-
ნებში მიხანახას!.. ისე გამოვსულვარ,
როგორც ბროლა კაკალი, ხომ
იცი, ცოტა გამოცდილი ვარ...“ (დ. ნა-
ხუციოშვილი, დაკვებული მავს, იგ. 1903).

• **ბრუდედ ყურება** ვისთვისმე ჰრდ. არა-
პირდაპირ, განზე ყურება. სჯვ. მტრულ-
ლად ყურება, ორჯულობა. „უბედუ-
რება ის იყო, რომ ქმარმა პირველ
დღიდანვე ბრუდედ დაუწყო

ყურება თავის მეუღლის. ქალი წმინდელ ვერ ლაპარაკობდა ქმრის ენაზე და ეს არ მოსწონდა კაცს, იმრიზებოდა“ (გ. ბარნოვი, ტფილისის ანრდოლები, 123).

• **პრკყალების მადე პრე.** დაფარვა, არ ჩვენიან წყეტინი ჭეანგებისა, როგორი აქს ზოგერთ ცხოველს, იაგ, ვეფხვს, ლომს, კატას და სხვ. სჭე. უღმობლობა, წინააღმდეგობა, გაფთრება. „მეტიემე უფრო მაშინ შმაღავდა ბრკყა ლეგს, როცა ქერიეს შეხედებოდა; ზრდილობად გადაიქცეოდა ხოლმე“ (გ. ბარნოვი, 167).

• **ბუღე პრე.** სამყოფელი, საცხოვრებელი, რომელსაც აკეთებენ ფრინველები, ზოგი კერა-ლუა და ზოგი თევზი, რომ შიგვერცხები გამოსჩეკონ და თავიანთი ბარტყები გამოზარდონ. სჭე. ბინა, ბუნავი. „იქნება ესეც იყოს, მაგრამ ამას კი ივიწყებენ, რომ ბუღე ამისთანა თვისებისა სიღარიბეა და სიღარიბე მიწაწამოქმედების ერის უმამულობაა“ (ილ. ჰავჭავაძე).

• **ბუღრუგანაოზა პრე.** ქონში ცხოვრება. სჭე. არეულ-დარეულად, უთავებოლოდ ლაპარაკი, ჩოჩქოლი, ღრიალი. „ზრი-გოლ და მიაი, რა ამბავია?... რას ბუღრუგანაობთ?...“ (რაფ. ერისთავი, IV, 43).

ბუღრუგანა კახეთში ჰქვია წენლის კედლებიან და ჩაღლით დახურულ, სახელდახელო საცხოვრებელ ქონს. ასეთ ქონში ღარიბი და გაჭირვებული თუ იცხოვრებდა. ხატოვანად ასეთ ცხოვრებას მიმსგავსებულ ლაპარაკს, არეულ-დარეულ ხშიანობას ბუღრუგანაობა დარქმევთ. როცა ოჯახში პატარები ერთმანეთს ასხდებიან და იქაურობას იკლებენ, უფროსები გაუჯავრდებიან და ეტყვიან: „აქაურობა ნუ აიკვლით, ნუ ბუღრუგანაობთო...“

• **ბუზნადეც აღარ ჩაგვადღეს პრე.** ბუზის ოღერადაც არ მიგვიჩინიეს. სჭე. არაფრად ჩაგვადღეს, ყოველივე ფასი დაგვიკარგეს. „ვიუცხოვეთ, გავჯავრდით, იმათ საცინლად აგვივადღეს! ჩვენ გავცხარდით, იმათ — გვიკვიჩინეს! ჰაი იქით, ჰაი აქით! ბუზნადეც აღარ ჩაგვადღეს. ხალხის თვალში დედაშიწასთან გაგვასწორეს“ (ავაი, I, 160).

• **ბუზები აქლემებად გვეჩვენებიან და აქლემები ბუზებად პრე.** ბუზები

აქლემების ტოლებად მიგვაჩნია. სჭე. თვალეზზე ბინდვადაკრულები ვერასა ეხედავთ ნათლად და მკაფიოდ. „უპანწყვეტა მაშინა ნახულ და შიმშილისაგან თვალთღაშეებულეს რომ ბუზები აქლემებიდ მოგვეჩვენებიან და აქლემები — ბუზებად! (დ. მაჩხანელი, ჭიზიუის მწუხარება, „ი.“ 1901, № 202).

• **ბუზები დამახვიეს თავზე პრე.** ბუზები მოურიდებლად მეხვევიან თავზე და სისხლსა მწუწმინ. სჭე. დამჩაგრეს, დამასუსტეს, ლეშს დამამსგავსეს, ისე რომ ბუზები მეხვევა და მათი მოგერიების თავიც კი არა მაქვს. „განსაცდელში ჩამავადეს, ის დამახარჯვინეს, რაც ბანკს არ მოუცია, და სწორედ რომ ბუზები იც და მახვიეს თავზე“ (ავაი, I, 110).

• **ბუზების თვლა ჭერში პრე.** ჭერში მისხლარი ბუზების რაოდენობის გაგება. სჭე. არაფრის გაკეთება, უსაქმურად ყოფნა. ცუდაობა. „პური რომ გვაკალია, თავში ქეას ვიხლით და ვმოვიბთ... და როცა შვილის ვასაზრდელი სახარჯო არა გვაქვს, ბუზსაც არ ავიფრინთ, ხელსაც არ გავძრავთ, თუნდა მთელი დღე იმოდენით მოცილით ვიყვნით, რომ გულ-აღმა ვიწვეთ და ჭერში ბუზებსა ვთვლივით“ (ილ. ჰავჭავაძე, VII, 262).

• **ბუზი არ აფრენოდეს თითქო პრე.** მის თავზე თუ სხეულზე დამჯდარი ბუზი თითქოს არავის აეფრინოს. სჭე. თითქოს უმწიკვლოა, მეტისმეტად თავშენახული. „არა, ეგრე როგორ უნდა დაეცეს ქალი, რომ ასე აშკარად, ასე უსირცხვილოდ ცოლიან კაცს სახლში უვარდებოდეს! კიდევ ასე თამამად და შეუპოვრად ხალხს ენახებოდა... თითქო ბუზი არ აფრენოდეს!“ (ავქ. ვაგარლი, კომედიები, 312); „მარჩენალი მახლი თავს არ აღდგია, მაგრამ, ჩემი შვილების ღხენამა, რო ისეა, თითქო ბუზიც არ აფრენიაო, — დაიწყო ელისაბედმა ნუგეშინის კილოზე“ (ს. მალოზლიშვილი, I, 131).

• **ბუზივით ირევა პრე.** ისე ბევრია, როგორც ბუზი. სჭე. ძალიან ბევრია, აუარებადი. „ის მღვდელი შუაში იდგა — ხალხი ბუზივით ირეოდა იმის გარშემო“ (ილ. ჰავჭავაძე, II, 53).



• **ბუზის ყლაპვა, ბუზიყლაპია** პრ. ხორხის საშუალებით სტომოქამდე ჩატარება ბუზისა. ზვგ. არაფერის გაცეფება, უსაქმურობა. სიზარმაცე, ეკონარეობა, უზრუნველობა, უღარდებლობა.

როცა კაცი არაფერს აკეთებს, არც უნდა გაცეფება, დარდი არაფერისა აქვს, ჩვეულებრივ, გაუნძრევლად არის, პირი ღია აქვს და ბუზი ადვილად ჩაუძვრება პირში და შეიძლება გადაყლაპოს კიდევ. ისეთ კაცს, ვისაც საქმიანობა ეზარება, ჩვენი ხალხის მიერ სამართლიანად აქვს დამსახურებული სახელი **ბუზიყლაპიასი**.

• **ბუზო უკან ნუ მომდევო** პრ. ბუზო, ჩამომხსენ, ნუ ბედავ ჩემს უკან დევნას. ზვგ. მე შენი ტოლი და ამხანაგი არა ვარ, შენთან საერთო არა მაქვს რა.

ითქმის ისეთზე, ვისაც თავისი თავი ყველაზე მაღლა ჰყავს დაყენებული, ყველას ზევიდან დასცქერის. თითქოს ეუბნება: მე ერთი ვარ ქვეყანაზეო, ჩემთან ფას ყველანიო!..

ასეთი აღამიანი, ბუზი რა არის, იმასაც კი თავზე არ ისვამს და ეუბნება: ბუზო, უკან ნუ მომდევო!..

• **ბუზსაც არ აიფრენს (თავზე)** პრ. ბუზსაც არ იშორებს თავიდან. ზვგ. უძრავად არის, უღარდელია, არაფერს აკეთებს, არ ცდილობს, არ ირჯება. „პური რომ გვაკლია, თავში ქეას ვიხლით და ვშოვობთ, ღვინო როცა გვაკლია — ვირჯებით, ტანთ გვაკლია, ფეხთ არ გვაკვია — იქით ვეცემით. აქეთ ვეცემით, რომ როგორმე ვიშოვოთ, და როცა შეიღის ვასაზრდელი სახარჯოთ არა გვაქვს, ბუზსაც არ ავიფრენთ, ხელსაც არ გაეძრავთ“ (ილ. ჰაევაძე, VII, 262).

საკმარისია, კაცი ოდნავ მიუახლოვდეს იმ ადგილს, საცა ბუზი ზის, რომ მწერი მყისვე შეკრთეს და აფრინდეს. მაშასადამე, „ბუზსაც არ აიფრენს“ ნიშნავს: უნძრევლად არის, არაფერს აკეთებს.

• **ბუზსაც ვერ ამიფრენ** პრ. ჩემ სახეზე დამჯდარ ბუზსაც ვერ შეაშინებ, რომ აფრინდეს. ზვგ. ერთი ბეწოთაც ვერაფერს დამაკლებ, ცოტაც არი, ვერ დამაზარალებ. „ეს რას მიშვრებიანი?.. დედაკაცო, შე ოჯახდაქცეულო, მახათაზე ჩამომახრობენ. ვაი, ვაი, ვაი... — ბუზსაც ვერ ავიინ ავი-

ფრენსო“ (ავტ. ცაგარული, კომედიები, 49); „ვერც გავზავიანოწყლებენ და ვერც ბუზს აგვიფრენენ, ვაი, არა აქვს მიხასია! მთელ სოფელს რას გვიზამენ დაბუზლებით და ენის სარსალითი?!“ (ს. მაგლობლიშვილი, I, 80).

საკმარისია, კაცი ოდნავ მიუახლოვდეს იმ ადგილს, საცა ბუზი ზის, რომ მწერი მყისვე შეკრთეს და აფრინდეს. მაშასადამე, თქმა: „ბუზსაც ვერაფერს ამიფრენს“ ნიშნავს იმას, რომ მოწინააღმდეგე, ერთი ბეწოთაც არი, ვერ შემაშინებს, ვერ დამაფრთხობსო, ვერას დამაკლებსო.

• **ბუკისა და ნალარის დაკვრა** პრ. სამუსიკო ინსტრუმენტებზე, ბუკსა და ნალარზე დაკვრა. ზვგ. აყვირება, გახმინება რისამე, ქვეყნისათვის შეტყობინება რისამე, საიდუმლოს დაუშლაობა, მხიარულება. „მართალია, ლანძღვა-გინებაც ხელშეუბნა აღამიანის ღირსებისა, მაგრამ არა იმ ზომისა, რომ საქმიანმა პრესამ ამის გამო ბუკი და ნალარა დაჰკრას“ (ილ. ჰაევაძე, IX, 197); „ჩვენებურს მწერლობას არც ისეთი ძალა და გავლენა აქვს, რომ თავის თვად, განგებ და განზრახ წესიერი და რიგიანი ურთიერთობა უსიამოვნებისა და უქმყოფილების საგნად გარდაქმნას, ამის გამო ბუკი და ნალარა დაჰკრას და მთელი საზოგადოება ყალყზე დააყენოს“ (ნ. ურბნელი, ჟურნალ-ქართლი, „ივ.“ 1897, № 86).

ბუკი და ნალარა სამუსიკო ინსტრუმენტებია, რომელთაც განგავისათვის აყვირებდნენ, რომ ყველასათვის შეეტყობინებინათ მოახლოებული საშიშროება; ბუკს უკრავდნენ აგრეთვე მხიარულების დროს.

• **ბუნების კალთა** ზვგ. საუცხოო სამყოფელი, მოსასვენებელი, სულისა და გულის დამატკბობელი. „შემდეგ, ცხოვრებაში, ეს შიში და უშრეტო მტრობა გველისადმი გამყვა ბოლომდის. ნამდვილ გველისადმი კი არა, — ქალაქ ადგილას ბუნების კალთას ამორებული, სად შეხვდებოდი მკურავს პირისპირ?.. გველის თვალების მექონ აღამიანისადმი“ (ვ. ბარნოვი, ტფილისის ანთოლოგია, 51).

• **ბუნების წილი** იხ. ბუნების კალთა.



• **ბურბუშელა** ჰრდ. ნაშალაშინევი. წყვ. ფუჟუ, ცარიელი, უშინაარსო, გაბეროლი. „ამიტომაც, თუ ზღაპარს, არაქს, იგავს აზრი არა აქვს, უგემურია, უმარილოა, როგორც ოხუნჯობა ჰვეილეკია „გზაკვალისა“ ამ „კვალის“ უქეტიკირო და ბურბუშელა ა დედა ბურჯისა“ (ილ. პაჭავაძე, IX, 272).

ბურთი და მოედანი ჰრდ. მრგვალი რამ ბალნისა ანდა ტყავისა სათამაშოდ, და ადგილი. სადაც ამ ბურთით თამაშობენ. წყვ. ვაჟკაცობის ანდა სხვა რამ სასახელო საქმის გამოსაჩენი ასპარეზი; გამარჯვება. „მოსაპარეზედ ვინ მგავსო?.. ცუდნი და უკუთქმანია, გარდაამწვეტელი მისიცა ბურთი და მოედანია“ (მ. რუსთაველი, 67).

ბურთივით გადასვლა ხელიდან ხელში ჰრდ. ბურთის მსგავსად ტრიალი სხვადასხვა ხელში. წყვ. დაუდგრომლობა, სიმტკიცის დარღვევა, თაოსნობის წართმევა ვისთვისმე, თავის კეჟაზე და ნებაზე ვატარება ვისიმე. „ბიზანტიის ბევრი გარეშე მტერი ჰყავს და შინაური მართველობაც ერთობ ცვალებადია, მთლად დამყარებული კარისკაცთა და წარჩინებულთა თვითმოყვარეობაზედ. გვირგვინი იქ ბურთივით გადადის ხელიდან ხელში“ (ვ. ბარნოვი, სამი რომანი, 344).

ბურთის გატანა ჰრდ. ბურთის თამაშობის დროს ბურთის გატანა ლელოს (გამარჯვების ადგილის) იქით. წყვ. ჯობნა, გამარჯვება. წადილის მიღწევა. „უნდა აღენიშნოთ, რომ ეს პირველი შემთხვევაა ჩვენში ქალების მხრივ თავისის საკუთარის ძალღონით ბურთის გატანისა ცხოვრების მოედნიდან“ (ილ. პაჭავაძე, VII, 235).

ბურთი ხელთა გვაქვს ჰრდ. ბურთი ხელში გვიპირავს. წყვ. საქმის მოგების იმედი გვაქვს, გავიმარჯვებთ, არ წავაგებთ, მტერს მოვერევით. „... მაშთუ არ უნახავს (ქალი), ბურთი კიდევ ხელთა გვქონია!“ (ილ. პაჭავაძე, მაქანალი, 374).

ბურთის თამაშის დროს, ვისაც ბურთი ხელში უპირავს, ლელოსაკენ მიიწეეს, რომ ბურთი იქამდე მიიტანოს და გამარჯვებაც დაინარჩუნოს. მაშასადამე, თამაშობაში გამარჯვება ბურთის დაპატრონებასთანა დაკავშირებული.

• **ბურნუთად ქცევა** ჰრდ. ბურნუთის მსგავსად მტერად ქცევა. წყვ. მოსპობა. „მართლაც და, საშინელი სანახავი იყო ამ დროს არწივი: რა უნდოდა, ერთის დატევივის მეტი კი არ მოუნდებოდა, რომ მთლად ბურნუთად ექცია ფრინველთა ბრბო“ (ვაჟა-ფშაველა, V, 268).

• **ბურუსი** ჰრდ. გროვა წყლის ორთქლისა — სველისა და ცივისა, რომელიც აბნელებს ჰაერს. წყვ. უწესრიგობა, გაუგებლობა, დაუნახებობა, შეუგნებლობა. „რეფორმის წინა დრომ, იმ ქირისა არ იყოს, რომელიც ზოგჯერ მარგებელია ხოლმე, მოიტანა თან სხვა ნიავე, გასწმინდა ცოტად თუ ბევრად ადრინდელი ბურუსი, გადაპყარა ღრუბლები და ჩვენი ცნობიერება გამოათბიზლა“ (ილ. პაჭავაძე, VII, 314).

• **ბურჯი ოჯახისა** (ან ქვეყნისა) ჰრდ. სეეტი ხიდისა, ან თაღების დასაყრდენი. წყვ. პატრონი, გამძლოლი, მარჩენალი, საყრდნობი ძალი. „საუკეთესო მამულები, საუკეთესო ნაწილი საქართველოსი ჩვენი უცილობელ საქუთრებას შეადგენდა, ეს იყო ბურჯი, ეროვნული სიმდიდრე, ეროვნული სიმაგრე“ (თავდაფიწყებული მწერალი, ძველი და ახალი ამბავი, „ოჯ.“ 1898, № 1); „რასაკვირველია, ამისთანა აღამიანს ვერ იცნობ, გზას აუქციევ, განედ გაუდგები და ეძებ იმ წყნარს, საღს, სადას, ლმობიერს, ოჯახის ბურჯს, ზნეობის ლამპარს შენის კერისას“ (მკ. გაბაშვილი, განათლებული ქართველი ქალი).

• **ბურჯი** ჰრდ. პურის განიავების დროს ნარჩენი ნაგავი. წყვ. ყოველივე უხმარი და გამოუსადეგარი. „ამ სახით, ჩემი საუბარი ამ სიტყვების გამო ისე გამოდის, ვითომც ბურჯის განიავებდე და ტყუილად ვცდებოდდე!“ (ილ. პაჭავაძე, IX, 148).

ბურჯი ან ჯოლოლი — პურის განიავების დროს ნარჩენი ნაგავი — უხმარი. ბურჯის არაფერი ანიავებს, რადგან, სულერთია, არაფერი განიოვა, მისი განიავება ტყუილა დროს დაკარგვა იქნება.

• **ბურჯის ნიავება** ჰრდ. პურის განიავების შემდეგ ნარჩენის ნიავება. წყვ. კეთება ყოველისავე უხმარისა და გამოუსადეგარისა, ვითომ საქმის კეთობა, ტყუილად მოცდენა, უსაქმურობა,



„ამ სახით, ჩემი საუბარი ამ სიტყვების გამო ისე გამოდის, ვითომც ბუჩოს ვანიაცვებდე და ტყუილად ვცდებოდე“ (ილ. ჭავჭავაძე, IX, 148).

ბღუჯუღულად მიცემა ის. მიცემა ბღუჯუღულად.

ბჟე სიბნელისა პრ. ჭიშკარი უსინათლობისა, წყვედილისა. სტვ. მეუფება ბოროტებისა. „იმით (რჩეულების) წინაშე სირცხვილიც იქნება ძალა ბოროტისა. მათ ბრძოლის სმაზედ დიორღვევა ბჟე სიბნელისა“ (ვ. ბარნოვი, სამი რომანი, 444).

ბ

გაღმასხებული პრ. ძალზე მკრეფ აღმასად ვადაქეული. სტვ. გულმოსული, გაბოროტებული, გაფიცებული. „შეიტყო თუ არა, რაშია საქმეო, იმ წამსვე გააღმასხებულ ქალისკენ გამოქანდა. გულგახეთილი ილიკოს წიწილასავით გაგლეჯდა, იქ რომ დახვედროდა“ (ცვიტი, საბავშვო მოთხრობები, 111).

გაჰენა (კაცი) სტვ. აჩქარებული, სწრაფი. „ეხაცვალოს დედა ჩემს გოგოს!.. სხვასავით გააჰენა არ არი“ (ან. ერისთავ-ხოშტარიანი, მიწა, 113).

გაზადრული პრ. სავეგ მთვარეს დამსგავსებული. სტვ. პირმრგვალი, მსუქანი სახის პატრონი. მგლ., „ამ ქალის გაზადრული სახე ერთ რადმე ღირს!“

ბადრი არაბული სიტყვაა, ნიშნავს სავეგ მთვარეს.

გაზანრვა პრ. მკრეფი ფოლადის იარაღით განგმირვა. სტვ. გალანძღვა, დაცინვა, ვაკიცხვა, შერცხვენი. „სხვა მოგვარე თვალსა ჩემსა ვაკიცხულა, გაზანსრულა“ (შ. რუსთაველი, 862); „... ანწუხს მაცმენ, გამზანსვრენ, მომკვლენ, ექსორიას მიქმენ“ (გ. ერისთავი, 208).

ენით გალანძღვა, ვაკიცხვა ადამიანისა, თავისი ეფექტიანობით, დატოლებულია რაიმე მკრეფი იარაღით, ბასრით, მახვილით განგმირვას, დაქრას.

გაზაწვრა პრ. ბაწრით შეკვრა. სტვ. წართმევა თავისუფალი მოქმედების საშუალებისა, შენს ნებაზე რომ გაატარო ვინმე. „რაკი ავტორი თვითონვე გვარწმუნებს, რომ ტფილისში მყოფს წერაკითხვის გამგეობას ჯერ კიდევ არ გაუბაწრაეს პროვინციები და ეხლა თითონ გვიჩვენებს გაზაწვრასა, სჩანს, რომ მიზეზი ამ საზოგადოების სისუსტისა ეგ გაზაწვრია, ესე იგი, ცენტრალიზაციის

ბადის გაბმა არ ყოფილა“ (ილ. ჭავჭავაძე, VII, 66).

გაბერვა თავისა პრ. სულის შეგუბებით სხეულის მოცულობის გადიდება. სტვ. ბრაზით ვასივება, თავის მოწონება, ცუდმედილობა, სიამაყე, ზეავობა, გორიზობა, გაამპარტავენება, დილკაცობის დარჩევა. „აშკარაა, ან თვითონ არწრუნს გაუბერია თავისი თავი, ან სხვა ვისმე ძალა თაროზე შეუსკუპებია განგებ, რომ კაცს თვალეტი აპმოდოდა და თავისის თვალით არა მოეჩნობა რა“ (ილ. ჭავჭავაძე, ქვათა ლაღადი, 64).

გაბერტყვა პრ. რაიმე საგნის (ტანისამოსის, ხალხის) ხელით ძირისაკენ დაწევა განმეორებულის მოძრაობით. სტვ. ცემა, ვალახვა. „... მოიცა ერთი, დავიმკლავო, გავბერტყო, თუ არა“ (რაფ. ერისთავი, IV, 108).

გაბიაზრუება ის. აბრუს გატება.

გაბიჭება პრ. ნაბუშრის დაბადება, ნაბუშრად გახდობა. სტვ. გადაჯიშება, ვადავავივება, ვარდასახირება, წახდობა. „ბოლოს ეს საქმე სხვა რივად მოგივა, მოგენიქება; საქმე ხელიდან წაივია, მეფობა გაგებოქება“ (ქილილა და დამანა, 294).

ქართლში გაბიჭება ეწოდება უკანონო შვილის, ნაბიჭკრის ანუ ნაბუშრის დაბადებას. ფშავში კი ნიშნავს ზრდის არახელსაყრელი პირობების გამო მცენარის მიერ წინანდელი კარგი ფიზიკური თვისებების დაკარგვას. მაგ., სიმინდს ვათობნის ვადა რომ გაუფა ან დაგვალავს, ტაროს ვერ გაიკეთებს, გაფუჭდება.

მეგრულშიცაა ეს სიტყვა დარჩენილი. მობიჭებული საშვეგროლოში იტყვიან დაბად, დაჩაივებულ, დავგალულ, გამოუსადეგარ ცხოველზე ან ადამიანზე. აქედან: მობიჭებული და წუნებითი ან ვაკილვითი სიტყვაა.

ვახშა ლაპარაკისა ჰრ. ერთმანეთზე მომბა სხვადასხვა ამბისა. სჭვ. დაწყება და გაუთავებლობა ლაპარაკისა. „იძან კი გამიცრუა ყველა იმედებია... გააბამს და დასასრული აღარ ექნება მისს ამისთანა წუწუნს...“ (მელანი, მამა კრისტოფოვ, 15).

ვაზრტყელება სიტყვისა ჰრ. მიძიმე-მიძიმედ, ტყეპნით, ხანდაზმით ლაპარაკი. სჭვ. ნათქვამისათვის დიდი მნიშვნელობის მიცემა, მედიდურობა, თავის გაბოდება. „გაგერ, შეხვდა შუახანში შესული ტასია, წამოიყვანა ნენემ და მოუსვა ილოს გვერდით. ტასიამ სიტყვა, გააბრტყელა (ელ. ჩერტეხიშვილი, „ივ.“ 1891, № 186).

ვახშუვება ჰრ. ბუს დამსგავსება. სჭვ. გულის მოსვლა, გაფხორვა, მოღრუბლება, სახის მოქურუშება. აქედან: გაბბუვებულ ი. მკლ., ჩეჩენი ხატონობი მთელი საღამო გაბბუვებულ იხდა, ხმა არ ამოიღო!“

როგორც ვიცით, მეღამურა მტაცებელი ფრინველი ბუ ნადირობს ღამით, ხოლო დღისით გაუნძრევლად ზის ხეზე მიმაღული. მისი დიდთავა სახის გამომეტყველება გულმოსულ, ამრეხილ კაცისასა ჰგავს. ასე რომ, ბუს სახესთან დადარება აღამიანის სახისა გადამიქვა გაბრანების, გულმოსულობის სინონიმად.

ვაგისარდეს წუთი სოფელი ჰრ. სიხარულით გეტარებინოს წუთისოფელში დრო. სჭვ. უდარდელად იცხოვრო, უზრუნველად იყო. „თხრის დროს (ვაეს) ერთი ქვევრი სულ ოქროთი სავეს კი ამოუხნდა. გაგისარდეს წუთისოფელი, რომ იმან გაიხარა ოქროს პონა!“ (თ. რახიკაშვილი, ზღაპრები, I, 205).

ვაგრილება ჰრ. ვაცივება, უსიტბოდ დარჩენა. სჭვ. სიკვდილი, გარდაცვალება, საბოლოოდ შეჩერება სიცოცხლისა. „შეიძლება, დაეკნინილი (დაკრილი) რამდენისამე ხნის შემდეგ მოკვდეს, „გაგრილდეს“, როგორც ხევსურეთში იტყვიან“ (ნ. ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული ნაწარები, 65).

აღამიანი კვდება, როცა გული გაჩერდება, — მაშასადამე. ჩერდება სისხლის მოძრაობა ვენებში, რასაც მოჰყვება ვაცივება მთელი სხეულისა. მისი გაშეშება და სიკვდილი. აქედან გაგრილება სინონიმი სიკვდილისა. აქედან წყველა: აი, გაგრილდიო!

ვაგუნანთ დერეფანი ვახდა ჰრ. ვაგუნანთი დერეფანის დერეფანის საქმე სქირბ. სჭვ. როცა საქმეს რასმე დასრულება არ ეღირსება. მკლ., „საქმე ვაგუნანთ დერეფანი ვახდა სწორედ! ამდენი ხანია, დასრულება კი ვერ ეღირსა...“

თელავში ვინმე ვაგუნანთი ვაგუნანთი დერეფანის დერეფანის კეთება და მისი დასრულება კი არ ღირსება, დერეფანი დაუმთავრებლად დარჩენია ბოლომდე. ეს თქმაც თელაველებს ყოველი დაწყებული და ბოლომდე მიუყვანელი საქმის გამოჩნატეულად დარჩენიანთ.

ვადაბრუნება ფეხისა ჰრ. ფეხის უქულმა მოქცევა, ვადატრიალება. სჭვ. მარცხი, ხელის შეშლა, საქმის გაფუჭება. „ეს მაყაშვილი, გაიძვერა და გაუტანელი კაცი, ყველას სძულდა. თეირანში იყო გაზრდილი ყმაწვილობიდანვე და ერთ დროს დიდი, ადვილიც სქერია სასახლის კარზე, მაგრამ ცოტა რამეზე ვადაბრუნდა ფეხი და შერისხული გამოისტუმრეს თავის ქვეყნისაკენ“ (აკაკი, I, 246).

ვადაბრუნებული ურემია ჰრ. ვადამორიალური, ნორმალური მდგომარეობის საწინააღმდეგო მდგომარეობაში მყოფი ურემია, რომელსაც მორაობა არ შეუძლია. სჭვ. უბედურია, საქმე გაფუჭებული აქვს, ხელი შეეშალა, არ გაუშვარჯვდა. მკლ., „პეტრეს სახლი დაეწვა. საქონელი გაუწყდა... სწორედ რომ ვადაბრუნებულ იურემია...“

ვადაბულბულეა ჰრ. ბულბულივით ჩარაკოკება, არგაჩერება. სჭვ. დაბეჭდილის თუ დაწერილის წაკითხვა ლამაზად. მოხდენილად, სწრაფად, შეუჩერებლად. „ჩემი სალომე რომ „ვეფხისტყაოსანს“ წაიკითხავს ხოლმე, ბატონებში სულ სმენად ვადამიქცევია ხოლმე. ახლა ვახეთი რომ მოვა ხოლმე, უწინ სალომეს უნდა ვადაბულბულე ბიონ ხოლმე...“ (ს. მკალობლიშვილი, I, 174).

ვადადებული ავადმყოფი ჰრ. ვაშხლართულად, ხელ-ფეხმოშვებულად მყოფი ავადმყოფი. სჭვ. მეტად მიძიმე, უიმედო ავადმყოფი, რომლის მორჩენას არავინ ფიქრობს. „ამ ორი დღის წინად ვადადებული იყო

ნუშო, კინალამ მიირთვეს (ბატონებ-მა), მიგრამ მოიხედა“ (ან. ერისთავ-ხოშტარია, შიწა, 13).

გადამქართულდა პრ. ჩემი ქართული გამომეცალა, მომშორდა. სჭვ. ვადამაიფიწყდა, ვერ მოვიგონე.

ქართული (იხ.) ქართველისათვის ნიშნავს ლაპარაკს, მეტყველებას, ხოლო ვადამქართულდება — ამ ქართულის ანუ სათქმელის ვერმოგონებას, დაფიწყებას, მახსოვრობის დაღატკეპნის ვერ ამეტყველებას. ეს სიტყვა დღეს ისმის უფრო ქართლ-კახეთში.

გადანაფურთხის ალკცვა პრ. უკვე გადაფურთხებული ნეოწყვის პირშივე დაბრუნება ენის საშუალებით. სჭვ. დაგმობილის რისამე კარგად აღიარება, სიტყვის გატება, ნათქვამის გადათქმა. „თავი არ გაიმსუბუქო, რაც სიმსუბუქე გაცილია, ვადანაფურთხის ალკცვა კაცისთვის დიდი ნაკლია“ (ვაჟა-ფშაველა, III, 120).

გადასხვავება პრ. სხვათა სამყოფელი ადგილისაკენ წასვლა, თავისიანებს მოშორება. სჭვ. შორს სამე ვადალუბვა. „მაშ ავდგედა ვადავსხვავედე სამდე?.. (გვ. მენტეშაშვილი, კოლა მშველიშვილი, იე“, 1903, № 252); „სულ გასხვაპურდა ჩემი შაქრო, ვადასხვავედა; გაერთო სოფლის ბიჭებში“ (ს. მგალობლიშვილი, წარსულიდან, „მოამბე“, 1892, XII, 51).

გადალამება თვალისა და გულისა პრ. ლამედ (შავად) ქცევა თვალისა და გულისა. სჭვ. დაღლა, მოქანცვა მეტრისმეტრ ლოდინისაგან, თვალთ დაბნელება, სინათლის წართმევა. „ამ ლოდინში რა თვალი და გული ვადულამდებოდა, ვახანამიც აღარ იამებოდა და ისე უნდა დაწოლილიყო“ (რაფ. ერისთავი, III, 22); „ოთხი დღეა, მის გზას შეესტკერის, ვადაულამდა თვალი, გული (რაფ. ერისთავი, II, 103).

გადართვება პრ. ღობისმსგავსად აღმართვა, გაჩერება წინ. სჭვ. დაბრკოლება, აკრძალვა, ხელის შეშლა. „ეხლავე უნდა მოვიცილოთ თავიდან, რომ არ ვადავლოზოს ჩვენს განზრახვას“ (გ. ბარნოვი, სამი რომანი, 38).

გადანხვევა გზისა პრ. გეზის შეტევა, სხვა გზით წასვლა. სჭვ. პირველად განზრახულზე ხელის აღება. „მე როგორღაც შორს ვადავუხვიე გზა-

სა და იმ ჰამლეტიკებურ საკითხს პასუხი ვერ მივეცი: ვანუაა ზოილი, თუ ზოილია ვანუა“ (ილ. ჰაჭავაძე, IX, 353).

გადრეკა პრ. მოლუნვა, მოხრა, სწორის გამრუდება, სიმძიმის ქვეშ ზურგის გახრება. სჭვ. გულის მოღობვა; დამორჩილება, ქირსა და განცდაში გულის გატება, მოუთმენლობა, შეშინება, დათმობა. „ქირსა ვადრეკარად უნდა, რა სასაუბრო პირია“ (შ. რუსთაველი, 931); „ცოტა და შაბამ, ბიჭებო, მეტრო ვადრეკას აპირებს“ (გ. ლეონიძე, სტალინი, 109).

გაერთპირება პრ. ორისა თუ მეტი პირის ერთ პირად გადაქცევა. სჭვ. ერთ რანგდმე შეთანხმება, ერთ პირზე დგომა რამდენიმესაგან, ერთ ნათქვამის შესრულება. „მაშინ მან (ქალმან) მისსა ხელქმნილსა იღუმალ მოუწოდა, ყოველივე უამბო და სხვა-ნიცა ვინმე მოიბირნეს და გაერთპირდენ“ (ქილილა და დამანა, 286).

გაზაფხული მერცხალი პრ. მერცხალი, გაზაფხულზე რომ მოფრინდება ხოლმე. სჭვ. სასიამოვნო რისამე მომასწავებელი, მახარობელი. შდრ. „არა, ბატონო, ვინც ყოველ ამის მიმდევარია, ჩვენ — ცრუ სამსონები, იმას ახალის რაზმის კაცად ვერ ვიცნობთ, იმას იმ მერცხლად ვერ ვიწამებთ, რომლის ქიკვიკსაც გაზაფხული მოჰყავს“ (ილ. ჰაჭავაძე, IV, 53).

გათავისწინება პრ. თავისთავის წინ, თავის პირდაპირ დარჩენა. სჭვ. მართოდ დარჩენა, მართლობა, განმართობა, მხოლოობა. „მონებიცა მოიშორე, თავი გაითავისწინა“ (შ. რუსთაველი, 171); „მთლად განმართოვდა ქალი, თავი გაითავისწინა, გული აღარავის გაულო, არა ვაუერთა, არავის გაენლო, აღარავის დაუახლოვდა“ (გ. ბარნოვი, სამი რომანი, 85).

გათათხვა პრ. გასვრა, გათხუნვა, გაბინძურება. სჭვ. გალანძღვა, საიელის გატება, გაწბილება, შეურაცხყოფა. „მერცხენა, დაძრახვა. „კაცს შეუქნება სხამალა, გათათხვა, რათა მკიცხაო“ (დ. გურამიშვილი, 153).

გათათხვას ანუ ტალახში გასვრას ვადატანით ზნეობრივი შერცხვენის, შეურაცხყოფის მნიშვნელობა იმიტომ მიეცა, რომ ძველად ლათის



დასხმა გულისხმობდა სასჯელს, რომელსაც მიუხედავად სოფელი ძველთაგანვე შემოღებული წესებისა და ადამის დამარღვევ წევრს. აქედან: გათათხული ან ლაფდასხმული ადამიანი აღარ ითვლებოდა სოფლის საზოგადოების სრულყოფილებიან წევრად. შ.რ. თავლაფდასხმული.

გათთერება ჰრდ. თეთრად ქცევა. ს.ჯვ. კარგი საქმის გაკეთება, მოვალეობის შესრულება, სხვის მოსაწონად მოქცევა; გამართლება, თავიდან მოხსნა დანაშაულისა, უდანაშაულოდ ცნობა. „რისთვისა ვცემთ და ვლანძღავთ ან ყოჩანასა და ან მგელსა? რა დააშავეს საიმირო? დააშავეს კი არა, კიდევაც გაათთერეს“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 100).

გათელვა ჰრდ. ფეხით გასრესა, ფეხით ზედ სიარული. ს.ჯვ. დაჩავგრა, მოარენვა, დაზარალება, შეწყობება, შევიწროება. „ის-კი არ იცინა, რომ თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუტე, ისე გაგათელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადისა“ (ილ. ჰაჟავაჟი, III, 37).

გათენება ჰრდ. ღამის დასრულება, სიბნელის შეწყვეტა, სინათლის დამყარება, დღის დაწყება, მზის ამოსვლა. ს.ჯვ. ბედნიერი დღის დადგომა, საქმიანობის წარმართვა, გამარჯვება, მოგება, შეება-ლხენა. „აღმოხდა მნათი აღმოსავალს, მზეებრ ცხოველი, მცირითა შუქით გარდუყარა ცისა ღრუბელი, დიდ სამქუხარო, საავდარო, და მეც გლახ გული მასწრაფლ განმითენა, შავბედისაგან დაღამებული“ (ნ. ბარათაშვილი, 29).

გათრევა ჰრდ. გაწევა რაიმესი მიწაზე ადგილის ცვლევინებით, გაწევა გაჭირვებით. ს.ჯვ. გაღანძღვა, შეგინება, შერცხვენა, გაკიცხვა, აუგის თქმა, გმობა, შეურაცხყოფა. „ბულბულმა თქო: გამიკვირდა, შაშვი მე რას წამეკიდა, გამღანძღა და გამათრია, ღიახ ავთ მომეკიდა“ (პ. უმიკაშვილი, I, 332); „მაწყინე და გამარისხე, ვერ დავიღე დიდხანს სული, აზომ რომე გაგათრივე შენ, ვაზირი გულისგული“ (შ. რუსთაფელი, 814).

გასაღანძღავი ადამიანი წარმოდგენილია ათრეულად, მიწასა და მტვერლოფში მოსასვრელად, როგორც უბრალო რამ საგანი.

გაიხანღე ჰრდ. ხახალში გასასვლელი ნიგავივით. ს.ჯვ. მონშორდი, თავიდან მომწყლი.

ასე მიმართავენ ხოლმე თავის ნომაბეზობებელ ადამიანს, რომლის მოშორება სანატრელად გადაქცევიათ. თითქოს ეუბნებიან: შენი აქედან წასვლა ხახალში გასატარებელ ნავის მოშორებასავითაა სასურველიო.

გაკაფვა გზისა ჰრდ. გზიდან ეკალ-უქაოლის მოშორება. ს.ჯვ. დაბრკოლებათა მოშორება, რამე საქმიანობაში ხელისშემშლელ პირობათა მოსპობა. მგლ., „ჩემმა მეგობარმა თავის უნარიანობით და ბეჯითობით გაიკაფა გზა ცხოვრებაში“.

გაკეთებული ჰრდ. რაც სრულყოფილია, შესრულებულია. ს.ჯვ. სიკეთით სავსე, მდიდარი, შემძლებელი, ქონებრივად ღონიერი. „წყაროს ახლო ერთ გაკეთებულ თვალიშვილს ედგა სახელი“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, I, 31).

გაკენწვლა ჰრდ. დარტყმა მახვილისა, რომელიც კრილობას გაუჩენს სხეულის რომელსამე ნაწილზე. ს.ჯვ. გაკიცხვა, შეურაცხყოფა, გაღანძღვა, სახელის გატეხა, გამბიარება, თავმოყვარეობის შელახვა. „ამიტომაც უსაბუთოდ აპილბილება ბანკის მოქმედების თაობაზედ, უსაბუთოდ გაკენწვლა, წინდაუხედავად ლაპარაკი თუ არ გვავენებს, არას გვარგებს“ (ილ. ჰაჟავაჟი, VI, 340).

გაკერპება ჰრდ. კერპად ქცევა, კერპის თვისებათა გამოჩენა. ს.ჯვ. გაუჯიოთება, გაჯიკება, გაჯიუტება. მგლ., „ჩემმა მეგობარმა ზოგჯერ მეტისმეტად გაკერპება იცის, თუ ერთი წამოსცდა რამე, მერე ვერ გადაათქმევინებ“.

კერპი უძველეს დროს ერქვა ქვისა, ხისა ან ლითონისაგან ადამიანისა თუ სხვა რისამე სახის ქანდაკებას. მას ძველად ღმერთად სახავდნენ, თავყვანსა სცემდნენ. კერპს ქება-დიდებას შესძენდნენ, ეალერსებოდნენ — სწირავდნენ მსხვერპლს, შესთხოვდნენ შეწყენადანბარებას, გაჭირვებისაგან ხსნას.

კერპი მარად მდუმარე, ჯიუტი, უჯიოთი გამომეტყველებისა იყო. აქედან ხატოვანად ყოველ ჯიუტს, თავისნათქვამს, გაჯიკებულ ადამიანს დაერქვა კერპი, ხოლო მის ქცევას — სიკერპე.



კერპის თვისებათა გამომხატველი ზმნა გაკერება დღეს გვიხატავს ზოგი ჯიუტი ადამიანის უარყოფით თვისებას: ასეთ ადამიანს რაც უნდა უთხრან, არაფერს იგონებს, მებაღის ყურებს ისხამს, მისი გულის მოღობა ძებორციელს არ შეუძლია; რაკი ერთი ჯორზე შეჯდა, იქიდან კაცი ძირს ვერ ჩამოიყვანს; ასეთს ვერც აღმა აფხანს კაცი და ველარც დაბლა დაფხანს.

გამარჯვება ღვთის რისხვად ეხმის პრ.
როცა კაცი გამარჯვებას ეუბნება, მას ეს გამარჯვება წყველად, ღვთის რისხვად მოესმის. ს.გვ. ავია, ბოროტია, სულმუღამი აღრენილია, ბრაზიანია, ერთავად ცუდ გუნებაზეა. მგლ., «ეს კაცი სულმუღამი აღრენილია, გამარჯვება ღვთის რისხვად ეხმის».

გამგელემა პრ. მგლური თვისების შეთვისება. ს.გვ. გაძლიერება, აშლია, მალის გახსნა. «ამისთანის თქმა არც მკითხველს მოუკლავს ცნობისმოყვარეობის სურვილსა და არც თითონ ივერისა» გაუმგელებს საღერელესა თქმისას და საუბრისას (ილ. ჰავაჟაძე, IX, 33).

გამდიდრდები პრ. სიმდიდრეს შეიძენ. ს.გვ. ძლივს გიცან, შენი ცნობა გამიჭირდა. «აგერ ნახევარი საათია გიყურებ, გმინჯავ და ძლივს გიცან, უთუოდ გამდიდრდები» (ილ. არღანიანი, 50).

როცა დიდი ხნის უნახავი ნაცნობნი ერთიმეორეს შეხედებიან და ერთიმეორის ცნობა გაუჭირდებათ, ერთი მეორეს ეტყვის: გამდიდრდებიო. ამ თქმას სარჩულად უდევს ქართული ცრუმორწმუნეობა, რომლის ძალით, ამას, ვისი ცნობაც გაუჭირდათ, მოვლის მატერიალური ყოფის ცვლილება გამდიდრების განხრით. იგულისხმება: უკანასკნელად ნახვის შემდეგ, ვისაც ამას ეუბნებიან, გარეგნულად გაკეთებული, შეშაბეტები ხორცი, ჩაცმა-დახურვა, მაშასადამე, ეს შენაძენი უმეტესად იმატებს, ვიდრე გამდიდრებამდეო.

გამკვრელი პრ. ვინც ხელით ან რაიმეთი გაჭკრავს სხვას. ს.გვ. მეჭრთამე, მტაცებელი, წამრთმევი. წამგლეჯი. «ოლონდაც არ აეაფეთქებთ (წამალს); მაგრამ იმაზედ ამბობენ — გამკვრელი არ არისო» (ილ. ჰავაჟაძე, III, 130).

გამკლავება პრ. მკლავის ღონის ჩვე-

ნება. ს.გვ. პასუხის მიცემა (სიტყვით თუ საქმით) მოწინააღმდეგისათვის, ჩხუბი, შეჯიბრება. «არ შეეძლო (წყალობას) მათთან (შედლებულ სომხებთან) გამკლავება და არც გაუბედნია როდისმე ჩარეულყო მათს სუა-ბაასში ქონება-სიმდიდრეზე» (მელანია, ნავარდობა).

გამოგულვა კარისა პრ. მავრად გამოკეტვა სახლის კარისა. ს.გვ. ოჯახის ამოწყდომა, სახლში ცოცხალი არსების დაურჩენლობა. მგლ., «შენისთანა აგსა და ბოროტს, მადლია, კარი გამოგულოს».

გამოგულვა კარისა გულისხმობს მის მავრად და სამუდამოდ გამოკეტვას ისე, რომ არც გარეთ გამოდიოდეს ვინმე და აღარც შიგ შემსვლელი დარჩენილ იყოს ვინმე ფეხზე. და ეს კი მაშინ მოხდება, როცა ოჯახის წევრნი ამა თუ იმ მიზეზით (შიმშილობა, ეპიდემიური სენი, ლაშქრობა და სხვ.) სრულიად ამოსწყვდებიან. წყველის ასეთი ფორმულიცაა დარჩენილი: გამოგულოს კარი! და ეს წყველა ერთ უშემიქვს წყველად და ვისიმე საშინელ გამეტების სურვილად უნდა ჩავთვალოთ.

გამოეთხოვე პრ. გაშორდი. «მშვიდობით» უთხარი. ს.გვ. შორია, ვეღარ ნახავ, დაკარგულად ჩათვალე. მგლ., «გამოეთხოვე მაგ საათს, ხომ ხედავ, საბოლოოდ მიითვისა».

გამოკოპიტება პრ. კოპიტის მსგავსად გამოთლა ხისაგან რაიმე ქურჭლისა ან ავეჯისა. ს.გვ. ოდნავად მიმსგავსებული გამოსახულებების მიცემა რაიმე გასაკეთებელისათვის. მგლ., «ასე გამოკოპიტება საქმისა ყველას შეუძლია! საქმე ის არის, ისე გააკეთე, რასმე ჰვადევს, შრომკონდეს, კაცს მოეწონოს».

როცა ხის ქურჭელი რამ უნდა გააკეთონ, ჯერ ხის ნაპერს ცულით ან სხვა ტლანქი იარაღით შავად გამოსწორებენ, გამოკოპიტებენ, შემდეგ ღორჩოთი — ქოპონით, ციბრით უჭით ან სხვა რამ წმინდა იარაღით კოპიტს მისცემენ იმ სახეს, რა სახეც ნივთს (მაგ, ჯამს), საბოლოოდ უნდა ჰქონდეს.

საინტერესოა, რომ წინათ სამეგრელოში ხის ჯამ-ქურჭელს ხმარობდნენ ტლანქად გაჩორკინის, უჩარხოდ. ხის

ჯამს ორი სახელი ერქვა: ატარი და ზოგან — კოპიტა.

• **გამომწვევა** ჰრდ. მზეზე გამოტანა ან გამოფენა რისამე. სჯვ. დადარულის გამოჩენა, საჯაროდ განხიზნება, ყველაბათვის შეტყობინება რაიმე ამბისა. „ბარანკლები ცოდვა: ერთის ღვაწლი, თუკია სადმე, მეორეს მიაკერო და მართლად ღვაწლდამდები ჩრდილოში მიიყენო და სხვისათ სხვა გამომამხეო საქმე-სადიდებლად“ (ილ. ჰავჭავაძე, ჰვათა ღალადი, 132).

• **გამომწიგულება** ჰრდ. გამოსვლა ისეთ ადგილზე, საცა მზის სხივები თავის სუფლად და ძლიერად ეფრქვევა. სჯვ. საშუალოზე გამოსვლა, გამოჩინება, დაუმალავობა, დაუფარავად ყოფნა. „თეთრად ქათქათებს მინდორი, ბიჭო, რას უნე კერასო? გამოდი, გამომხეო თუ ულდი, რა სჯობს ამ თავის ცქერასო! (შ. მღვიმელი, I, 45).

• **გამონაპირება** ჰრდ. მდინარის შუა ადგილიდან ნაპირას გამოსვლა. სჯვ. განზე გადგომა თავისთვის, სხვებთან კაწირის გაწყვება, განკერძოება, მარტოდ დატოვება. „თუმცა „მამებრისა და შვილების“ ბრძოლამ რუსეთში ბრმად აიყოლია ჩვენებური ყმაწვილ-კაცობა და ამ ბრმდაყოლილებმა ეს ბრძოლა ჩვენშიაც გადმოიტანეს, მაგრამ ჩვენის-ყმაწვილკაცობის სასახელოდ, ესეც უნდა ვთქვათ, რომ მათგანმა თითო-ოროლამ გამოინაპირო“ (ილ. ჰავჭავაძე, VI, 126); „შეექმნათ განყოფილება, რომ შეიქმნენ ასი წლისა, უმტროსი (უფროსმა ძმამ) გაინაპირა, საშუალო მიითვისა“ (პ. უშიკაშვილი, I, 194).

• **გამონალმება** ჰრდ. ერთმანეთის განშორების დროს სალამის მიცემა, პატივისცემა და მეგობრობის გრძობის გამოხატვა. სჯვ. სიკედელი; წართმევა. „სულ ოცდაათი წლის დედაკაცია (ბაბალე), მაგრამ ბედმა ლამის გამოასაღმოს წუთისოფელს“ (ილ. ჰავჭავაძე, III, 267).

• **გამოსაშვები სისხლი უნდა გამოფუშვით** ჰრდ. გამოსაშვები სისხლი სხეულში არ უნდა დაეტოვოთ. სჯვ. აწუცილებელი გასაკეთებელი საქმე უნდა გაკეთდეს. „არ შეიძლება... ეგ დაროგება, ნათლი, მაშინ უნდა, როცა ქუჩაზე ვიწუნებოთ, ახლა ჩვენი თავი ჩვენ არ გვეჭუთენის. გამოსაშვები სისხლი უნდა გამო-

ვუშვათ!“ (ს. მგალობლიშვილი, შარა სულიდან, „ნოამე“ 1899, №16 11, 95).

ხალხურ მედიცინაში ძველად დაწესებული და თითქმის დაკანონებული იყო ყოველ წელიწადს, განათხზულის პირას, სისხლის გამოშვება, თუ მეტადრე ხანში იყო შესული ადამიანი და სისხლის წნევა დიდი ჰქონდა. ამას ასრულებდა სოფლის დალაქი — იგივე წურბლების მომკიდებელი, იგივე კბილების ამომძრობი, იგივე მეკოტრე და, ბოლოს, იგივე იყო ხემტრით მავაზე ვენის გამხსნელი და მოჭარბებული სისხლის გამომშვები. აქედან მივიღეთ თქმა: გამოსაშვები სისხლი უნდა გამოფუშვით.

• **გამოსული** ჰრდ. შიგნიდან გარეთ გაღწეული. სჯვ. გამოცდილი, გამომდგარი, გამოჯერკნილი. მგლ., „ეს კაცი უკვე გამოსულია, — კარგიც ბევრი უნახავს თავის სიცოცხლეში და ცუდიც“.

ეს სიტყვა პირდაპირი მნიშვნელობით იხმარება გასაშრობად კვამლმომხვედრილი, კვამლში გამოსული სურსათის (შაშხის, კუპატის, თევზის) შესახებ. ხოლო ხატოვანად ითქმის ცხოვრებაში გამობრძნედილ, გამოცდილ ადამიანზე, რომელსაც დიხაც რომ ემარჯვება კარგისაგან ცუდის რისამე გარჩევა, ყველაფერში ფრთხილობს, ორი თვალი ოთხად უჭირავს, ვაგლახად ფენს არ წაიტებს, უბრალო რაზედმე არ შესცდება.

• **გამოუქნელი მოწვერი, ხარი** ჰრდ. გამოუხედავი, უღლის წეგას და პატრონის სურვილზე გავლას, მორჩილებას შეუჩვეველი მოწვერი. სჯვ. ფიცხი, თავაღებელი, მოურიდებელი. „ჭაი, ჭაი, კაცის გული მალია, მალი ცოდვის საქმეზედ. კაცის დარჩობის სანახავად გამოუქნელ მოწვერს ავით კი გამოიწია და...“ (ილ. ჰავჭავაძე, III, 11); „სულ სხვაა ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუეც, ვით გამოუქნელი ხარი, სიბრძნის უღლიდან გამოეშვა და გაყალბებული დაიარება თავისად“ (ილ. ჰავჭავაძე, IX, 276).

• **გამოფიტული** ჰრდ. ფიტ-გამოლეული. სჯვ. ცარიელი, უქონელი, ღარიბი. „მეტადრე მაშინ უდარებდა ხუცესს დღე, როდესაც სოფელს რაიმე გასაქირი დაატყდებოდა თავს; ან ხარჯის ამკრეფნი შეესევოდნენ, ან ას-

კილის ყვაილობა მოატანდა ან მთლად გამოიფიტებოდა სოფელი“ (ე. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 274). ფიტი თაფლის ნაჩენჩსა ჰქვია.

• **გამოქნა ჰრე.** ღურა ტყავის გაკეთება, დარბილება; ამოგლეჯა წარბებისა. სჯვ. გამოწერთინა, გაეშააკება, გაქლესაგება. აქედან: გამოქნილი გამოციდილი, გაწვრთნილი.

• **გამოშვებული ხარივითაა ჰრე.** უღლიდან განთავისუფლებული ხარის მსგავსადაა. სჯვ. არაფერი აღადრდებს, თავს არ იწუხებს, არხეინადაა. მგლ., „ის, ჩემო ძმაო, გამოშვებული ხარივითაა, აულია თავი და დადის, სხვათა გაჭირვება არ აღადრდებს“.

ხარი როცა უღელშია შებმული, უნდა თუ არ უნდა, უნდა იმუშავოს, ისაქმოს. მაგრამ თუ ერთი აპეურები შეესნეს და იმანაც ტაბიკებს თავი დააღწია, ერთს შეიკუთრებუშებს და ცა ქუდად არ მიიჩნის და დედაშიწა — ქამანადა!.. საბალახოს მიეტანება და სხვა დარდი არაფერი აქვს, სახამ ხელმეორედ არ შეიბამენ უღელში.

ხატოვანად ამას იტყვიან უღარდელ ადამიანზე, ვინც დიდი ზრუნვით თავს არ იწუხებს, იმას ცდლობს, სხვამ იზრუნოს მისთვის, მისი ვასაკეთებელი სხვამ ვააკეთოს, მისი მოსაგლეჯი ნარი სხვისს ხელით იქნეს მოგლეჯილი.

ეს თქმა კახეთშია გავრცელებული. **გამოწორება ჰრე.** თრეით გამოწვევა. სჯვ. გამოზრდა, კაცად ვახდობს. „რის ვინაჩრობით გამოჰქვება, გამოაჩოჩა ერთად-ერთი შვილი, გაამეხრევა“ (ს. შვალობლიშვილი, I, 49).

გამოცანა გერგება ჰრე. გამოცნობისთვის საჩუქარი გერგება. სჯვ. მიხედრა, ვაგება, შეტყობა, გამოცნობა. „თქვენ უთუოდ ჭალაქს მიდიხართ (ჭკითხვის ყმაწვილებმა მეურმეებს). — გამოცანა გერგებათ! — დაუძახა დაციინებით ერთმა მეურმემ“ (ილ. ჰავაიაძე, II, 5).

გამოცანის გამომცნობელს ეტყოდნენ: „გამოცანა გერგებაო!“, ე. ი. ესა და ეს, ან ამდენი და ამდენი ციხე-ქალაქი მომიცია შენთვის გამოცნობისთვისო...

ეს თქმა იხმარება აგრეთვე დაცინვით, როცა ვინმე აშკარა საცნობ რაზედმე კვეხნით იტყვის — გამოვიცანო!..

გამოცხობა ჰრე. საშულის მოშალება ცეცხლის საშუალებით. სჯვ. დაცინვით: შეთხვა — გამოგონება, მაგ., ტყუილისა. „მაშ რად უნებებია ამ ჩვენს გახუნებულს ავტორს ამისთანა ტყუილის ხელდახელო გამოცხობა? (ილ. ჰავაიაძე, IX, 26ა).

გამოწრთობილი ჰრე. გამაგრებული. სჯვ. მამაცო, მტკიცე ხასიათისა, მხნე, ქირში გამაგრებული, გამძლე უბედურებისა. მგლ., „ჩემი მეგობარი ყოველგვარ გაჭირვებაში გამოწრთობილია, უბედურებას კლდესავით გაუმაგრდება ხოლმე“.

როცა სურთ რკინა თუ ფოლადი უმეტესის სინაგრისა, სიმკვრივისა და უდრეკობის გამოვიდეს, ცეცხლში გაახურებენ უმაღლეს ტემპერატურამდე და მერე უტბად გააცივებენ წყლით. ასეთ ფოლადზე იტყვიან: გამოწრთობილი ანუ ნაწრთობიაო. მსგავსადვე, როცა ადამიანს პატარობითვე შეაჩვევენ სიციფეს შიმშილ-წყურბოლს, პატრეს, მისი სხეული იწრთობს ფოლადისებრ და ცხოვრებაში ყველაფერს უძლებს ხოლმე. და ასეთ კაცზე ხატოვანად იტყვიან გაჭირვებაში თუ ბრძოლაში გამოწრთობილიაო.

• **გამოშვანება (ვისიმე) ჰრე.** ქენებით გამოტარება. სჯვ. გალანძღვა, სახელის გატეხა, ვაბახება, ვაბაბარუება, შერაცხენა, თავზე ლაფის დასხმა, ყველასათვის შეტყობინება ვისიმე ცული საქციელისა. „შურცხვა მას ყმაწვილკაცობა! გამოაქიანა ქალი ასე ტყვილა-უბრალოდ. ყველამ ვაივო, ყველა მიახედრა, რომ ცოლს ეწამება“ (დ. კლდიაშვილი, II, 43); „მეორედ აღარ გაბედო, კრინტი აღარ დისძრა, თორემ ქვეყანაზე თავს ლაფს დაგასხამთ, გამოგაქენებთო“ (ყვ. მენთესიშვილი, კოლა მშველიშვილი, „იგ.“, 1903, 255).

• **გამოწრული ძვლის გადაგდება ვისთვისმე სჯვ.** უმნიშვნელო სამადლო საქმის ქმნა, სულ მცირე ფასის სასახურის, თუ სიკეთის გაწვევა ვისთვისმე. „აჰა, ხეტქეო, — ეტყოდა ხოლმე დედაკაცსა (ოთარაანთ ქვრივი), — დაგილია ეგ შავის მიწით ამოსავსები პირი, შე პირშაო, შენა — და შენი დღენი ძალსსავით სხვას შეტყურებ: აგეო, გამოხრულს ძვალს გადმოგვიგდებენო“ (ილ. ჰავაიაძე, III, 38).

• **გამოჯაგული პრ.** ხშირად ნამუშევარი, ბევრჯერ ნახედნი საქონელი. სჯ. ვამოსული, გამოცდილი, ბევრი ხაწვალეები. შტ. ცხრა ჩლაში გამოვლილი.

გამოჯაგული ნაწარმოები ჯაგვა-საგან, რაც ნიშნავს საქონლის ბევრ მუშაობას მის კარგად გასახედნად.

ბევრი წვალეა-უბედურება გამოვლილი ადამიანის შედარება გამოჯაგულ საქონელთან იმაზე დაბყარებული, რომ, თუ უხდათ ცხენი თუ საქონელი (ხარი, კამეჩი) კარგად გახედნილი დაღვეს, წინასწარ ბევრი უნდა ამუშაონ ხოლმე. ისევე ადამიანმაც ბევრი წვალეა, ტანჯვა და ვაი-ვაგლახი უნდა გამოიაროს, რომ გამოიცადოს, ავისა და კარგის გარჩევა, დაფასება შეეძლოს.

• **გამტეხელი ფიცისა, გატეხა ფიცისა** პრ. ვინც ფიცს ამსხვრევს, არღვევს, სჯ. დამშლელი პირობისა, დაპირებული უარის მთქმელი. „შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტეციე და იგი მცნება“ (შ. რუსთაველი, 525); „გამწირავი და ბუხთალი, შენ გამტეხელი ფიცისა“ (შ. რუსთაველი, 83).

• **გამჭრალი პრ.** როცა წვა და ნთება შეჩერებულია. სჯ. მოსპობილი, გაჭარწყლებული, უმწეო, უპატრონო, ლეთისამარა დარჩენილი; დამალული, გაქცეული. „მამინაცვლის იმედი არასოდეს ჰქონია მას, ძალიანაც ეშინოდა მისი და მისი სახრისა, დედა-მისი ხომ მთლიანად გაწყალებული ადამიანი იყო და გამჭრალი“ (გ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 21).

როცა წვა და ნთება ცეცხლისა თუ სანთლისა შეჩერებულია, ერთისა და მეორის სითბო თუ სინათლე სიცივეს თუ სიბნელეს არ ეწინააღმდეგება, ვამბობთ ხოლმე: გამჭრალია ცეცხლი ან სანთელიო. მსგავსადვე, როცა ერთ დროს ღონიერ ადამიანს, ავადმყოფობისა თუ სიბერის გამო, ენერჯის გამოღლები ძალა მოსპობილი აქვს, აღარ არსებობს ან თვითონ მოკვდა, ვამბობთ: ეს კაცი გაჭრა, ან: დიდი ხანია, გამჭრალიაო.

• **გამსიარულდა ბუხარი** პრ. სიმხიარულე განიკადა ბუხარმა. მოციინარე სახე მიიღო. სჯ. ოჯახში ყველა გამხიარულდა; ბუხარში ცეცხლი გაჩაღდა, შემას კარგად მოეკიდა ცეცხლი. „გაჩაღდა ქორწილი, გამხიარულდა ბუხარი და აღარც ვინ იყო

სახლში გულჩათხრობილი“ (გ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 280).

ბუხარი სიმბოლოა ოჯახისა. ცეცხლის გაჩაღება, „მხიარული“ ცეცხლის დანთება გულისხმობს ოჯახის წევრების გათბობას, მხიარულად ყოფნას, დარდ-ვიარამის უწყურას.

• **განა ბალახსა ვძოვთ** პრ. ბალახის მძოვნელები ხომ არ ვართ!.. სჯ. საქონელივით მოუხერხებელი და შეუგუნებელი ნუ გგონივართ!.. შკო., „მართალია. განათლებით თქვენ არ დაგეტოლებით, მაგრამ განა ბალახსა ვძოვთ, არც იმე ფეხწამოსაკრავები გახლავართ“.

ბალახს ოთხფეხი საქონელი სძოვს ხოლმე, როცა უნდათ ნაკლები ქეულისა და გონების ადამიანი დაახასიათონ, ბალახიკამია საქონელს მის ტოლად ხლიან. ეს თქმა წყრომისა და უქმაყოფილების გამომხატველია.

• **განაპირება** პრ. ნაპირას დადგომა. სჯ. თავიდან მოშორება, გაკიდვანება, თავიდან მოსხლეტა, მოძულეობა, ამტერება, გაორგულება. „გიორგი გაუხდა პირები ით ბატონებს, აპტერებიან, შეფეც გაუორგულბით მასზე“ (გ. ბარნოვი, გიორგი საყაჟე, 136).

• **განაპირებული** პრ. ნაპირას დატოვებული. სჯ. თავიდან მოშორებული, გაკიდვანებული, თავიდან ასხლეტილი, მოძულეებული. „მამინაცვლის იმედი არასოდეს არ ჰქონია მასა. ძალიანაც ეშინოდა მისი და მისი სახრისა, დედა-მისი ხომ მთლად გაწყალებული ადამიანი იყო და გამჭრალი. ვილა უნდა ჰყოლოდა განაპირებულ, სუსტ არსებას ნუგეზად, თუ არა მისი მოსიყვარულე თებერა?!“ (გ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 21). შტ. სახლის ახსნა.

• **გან-განზე ყურება** პრ. არაპირდაპირ ცქერა. სჯ. თავისიანების მიტოვება, სხვებს უკან დევნა. „ჯერ კიდევ ქალიშვილობაში დუსიკო ჰკიცხავდა იმ დედას, რომელიც აგრე რიგად არ აქცევდა ყურადღებას შეილებს. გან-განზე იყურებოდა პირადის სიამოვნებისათვის“ (ან. ღრისთავ-ხომტარია, მიწა, 210).

გან-განზე ყურება გულისხმობს ადამიანის მიერ თავის ვალდებულებათა ღალატს, მათთვის პირის შექცევას და ყურადღების მიქცევას სულ სხვა, გა-

რეშე საგნისათვის, რომელსაც საერთო მის პირდაპირ მოვალეობასთან აოაფერო აქვს. ასეთი კაცი იმის მაგიერ, რომ პირდაპირ იყურებოდეს, თვალს თვალში უყრიდეს თავის მოვალეობას, სულ სხვა, განზე, იმის გვერდით მდებარე საგანს ჩასტკირია, იმისკენა აქვს გულისყური. ასეთზე იტყვიან აგრეთვე: განზე უქირავს თვალებიო!

განგაშის ატეხა ჰრდ. ანმაურება, ახო-ჩქოლება. ზგვ. საიდუმლოს შეუნახველობა, გამქლავება, ყველასათვის შეტყობინება დაფარულისა, დასაფარავის უკრძალველობა. „ამით ხომ დაკრძალვის შნოც არა აქვსთ, საიდუმლოს შენახვისა. ქვეყანას შემყობიან, განგაშს ატეხენ და მთლად ძირს დამიცემენ ისეც შერყეულ ოჯახს“ (გ. ბარნოვი, სამი რომანი, 66).

განვადება (გულიდან) სატანისა ჰრდ. მოშორება სატანისა. ზგვ. გულიდან ამოღება ყოველისავე ბოროტი აზრისა, ცუდის განზრახვისა და მის მაგიერ შიგ დასადგურება სიყვარულისა, სიკეთისა, კაიკაცობისა: „სუ, სუ, ვერ მომატყუებ! ეხლავე შეიფურთხე ეშმაკს. გაავღდე შენი გულიდან სატანა“ (ლ. არღანიანი, სოლომონ მეფეაზნაველი, 56).

განზე ვადგომა ჰრდ. მოშორებით, გარკვეულ მანძილზე დგომა მოლაპარაკებისაგან. ზგვ. შორიდება, ყურადღების მოკლება, მზრუნველობაზე ხელის აღება, დალატი, განცალკევება. „მაღეც გამოსცადა (ჯამრულამ), რა ძნელი ყოფილა სხვის ულუფაზე ყოფნა: ძმა, რძალი, პეტარები. ისამდინ რომ უალერსებდნენ და მის მზესა ფიცულბდნენ, ეხლა განზე დგანან, რადგან აღარას გამოელოდნენ მისგან: უბღვეროდნენ, ზურგს აქცივდნენ“ (გ. ბარნოვი, ვარდუაწეები, 270). „რა გარისხებს, შე დალოცვილო?! გვეგონა საბედისწეროში გამოიწვიე ამირთამირი და იმისათვის დავდექით განზე“ (გ. ბარნოვი, გიორგი საჯაძე, 192).

განზე, კედლებო! ჰრდ. კედლებო, ნუ ამართულხართ, იქით-აქით გაიწიეთ (რომ თავისუფლად გავიარო). ზგვ. ჩემთვის დაბრკოლება არ არსებობს, რაც გადაშელობება წინ, დაუნგრევებს არ გავუშვებ. „ჩვენ ვეცადოთ ყველასთან პირნათლად ვიყოთ და

თუ მრუდობა გამოერევა, მაშინ განზე, კედლებო! (ავტ. ცაგარელი, 250). განზე ყურება ჰრდ. ცერად ცქერა. ზგვ. ნაძალადევიად, ორგულად ყურება, იქვეით შეხედვა ვინმესთვის. მგლ., „ეს კაცი როგორღაც განზე მიყურებებს, საეშუა ვინმე თუ ვგონიერა“

როცა მობასე სიმართლესთან დაშორებულს რასმე იტყვის, ან ვისიმე საქციელი საეშუოდ გვეჩვენება, როგორც პირდაპირი ცქერის უღირსს, მისგან თავს ცოტათი განზე მივიღებთ და ცერად დაეუწყებთ ცქერას. ამით ვაგრძნობინებთ, რომ მისი ნათქვამი ქაუაში არ გვიჯდება, შიგ საეშუოდ ვეშენტი ბეერია, სათუთა და თითქოს ვეუბნებით: მოსატყუებელი სხვა ნახე, ჩემო კარგო, სჯობია, ეს საკენკი ისეც შენს წინილებს დაუყაროო...

განზე მიყურებსო, ვიტყვით იგივემე, როცა ჩვენთან კარგი განწყობილება შეეცვლება თუ აშკარა, გამოუმედავენებულ მტრობად არა, ყოველშემთხვევაში, გულგრილობად, ჩვენზე გულის აცრუებად; ამით გვანიშნებს, რომ ჩვენ გვერიდება, ჩვენს შორის სიამტკბილობას ბოლო მოედო, ჩვენსა და იმას შუა ხილია ჩატეხილი.

განზე ჯდომა ჰრდ. მოშორებით ჯდომა. ზგვ. თავის გარიდება რამე საქმიანობისათვის, რაშიმე მონაწილეობის მიუღებლობა, საქმის რისამე დაუკვირებლობა; დალატი. ახლა კი ვხედავ; რომ ან შენ შემოილხარ, ან განზე ხიხარ... მართალია, აქ, შენ ქვეშ, განძი კი არ იყოს დაფლული და ის არ გალაპარაკებდეს! (რაფ. ერისთავი, IV, 112).

განზე ზისო ითქმის ისეთ ადამიანზე, ვისაც საზოგადოსა თუ კერძო საქმეში თავი შორს უქირავს, ვინც ამ საქმეში მონაწილეობის მიღებას გაუარბის, ვინც სხვებთან ერთად არ არის საერთო უღელში შემხული და კერძო თუ ლხინში სხვებთან ერთად არ ეწევა პაპანსა, სხვებთან ერთად არა ლეწავს ცხოვრების კალოსა.

განაავება ჰრდ. გაღეწილი პურისა და მისთანათა გაწმენდა ნიავის საშუალებით ჩენჩოსა და მტკრისაგან. ზგვ. ნიავს გატანება ქონებისა, გაფლანგვა სიმდიდრისა, უგზო-უკვლად ხარჯვა სარჩო-საბადებლისა, დაღმბტვა დოვლათისა. მგლ., „ნიხაკო სანი-

ნელი ბედლოვლითა, — ორ თვეზე
გ ა ა ნ ი ა ვ ა მამისაგან დარჩენილი
ქონება“.

- განიორწყლება პრ. ცოტა ნიერისა და
ბლომად წყლისაგან შეზავება შექა-
მანდას. სტვ. მოსპობა, უნიათობა,
გაჩანაგება, უყუათობა. „ვერც გ-
გ ვ ა ნ ი ო რ წ ყ ლ ე ბ ე ნ დ ა ვ ე რ ც ბ უ ზ ს
ა გ ვ ი ფ რ ე ნ ე ნ , ვ ა ი ა რ ა ა ქ ე ს მ ი ნ ა ს ა ! “
(ს. მგალობლიშვილი, I, 80).

ნიორწყალი ქართლ-კახეთში ერთ-
გვარი შექამანდია, ცოტა (დანაყილი)
ნიერისა, შარილისა და ბლომად წყლი-
საგან შეზავებული. აქედან: გ ა ნ ი ო რ -
წყ ლ ე ბ უ ლ ი .

- განკითხვის დღე პრ. გამოკითხვის, გა-
სამართლების ეამი. სტვ. როცა ყო-
ველივე დაფარული უნდა გამოძეღა-
ვდეს, დანაშაულისათვის პასუხისგე-
ბინება, გასამართლება. „დრო მოვა
და ყოველივე ეს მზეზე გამოიფინება
და განკითხვის დღისა წინა-
შე გამოსქიმავეს თინმე ამ ჩვენს ვე-
ბატონს მთელის თვისის სივრძე-სი-
განითა“ (ილ. ჰავჭავაძე, IX, 131); „ჩვე-
ნი კლასიდანაც, განკითხვის
დღე რომ დადგა (ასე ვეძახოდით
საზოგადოდ მაქსიმოვიჩის ეგზემე-
ნებს), სამი მოწაფე აიყვანეს და ჩა-
აყენეს თორნეში“ (აკაკი, I, 48).

ოღეს ამქვეყნიური ცხოვრება დას-
რულდება, თანახმად ქრისტიანული
მომადღერებისა, ღმერთი დაუღდება „გან-
სჯად ცხოველთა და მკვდართა“ მათ
მიერ ხორციელ ცხოვრებაში ჩადენილ
ცოდვებისათვის. და ამიტომ ამ დღეს
უწოდებდნენ განსჯა-განკითხვის დღეს,
როცა ყოველივე დაფარული უნდა გა-
მომგდავებულყო.

- განქარვა პრ. ქარს მიცემა, ქარს გა-
ტანება. სტვ. მოსპობა, განადგურება,
ამოვადება, გაბათილება, გაუქმება.
„მას კაცს თავი მოვსპერ, ოქროთ
შევაქვევ და ზედ მოვაბი. ნატვრა
არ გავუქარვე, ღმერთმა ნუ
გაპყაროს“ (საბა ორბელიანი, 137).

გაპარებული პრ. ქურდულად, ჩუმიდ
წისული საიდანმე. სტვ. მისუსტებუ-
ლი, მიკნავებული, დაღუული, გაძვალ-
ტყავებული. „...თითქმის ძვალ-ტყა-
ვად ნაქცევ; გაპარებული კონას“
(გვ. მენფეშვილი, თაფლო, „ივ.“, 1902,
№ 258).

გაპატიონება (მიცვალბულისა) პრ.

- 4. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი.

პატივის მიცემა, პატივით შემოსვა-
სტვ. ჩვეულებით დადგენილ ყოველ-
გვარი წესების შესრულება მიცვალ-
ბულისათვის. „გლესეკაცობამ ზოგმა
მოუწონა და-ძმის ამისთანა თვალბ-
ლობა და გ ა პ ა ტ ი ო ნ ს ნ ე ბ ა “ მი-
ცვალბულისა“ (ილ. ჰავჭავაძე, III, 107).

მიცვალბულის დასაფლავების დროს
შესასრულებელი წესები შეიცავს: მიც-
ვალბულისათვის თვალბების დახუჭვა,
პირის მოკუწვას, ტანის დაბანავა, შე-
სუღვრას, კუმოში ჩასვენებას, მწოზ-
ლების მიერ დატირებას, დასაფლავე-
ბას (მიწის მიყრას), ქელეხს. ყოველსავე
ამას, ერთად აღებულს, ჰქვია: გ ა პ ა -
ტ ი ო ნ ს ნ ე ბ ა მი ც ვ ა ლ ბ უ ლ ი ს ა .

- გაპენტვა პრ. მატყლის გაწიწვა. სტვ.
გაკრიტიკება, გალანძღვა, გაბიარბუ-
ლება. „რასაკვირველია, ეგ ქეშმარი-
ტება სთქვი, მაგრამ მე შინაც გი-
რე ფრთხილად იყო. შენ უფრო ბუნ-
დადა სწერე, საცა გონება არ მიგი-
წვდეს, ბევრი წერტილები დასვი —
იტყვიან, ლიბერალიაო, თორემ, გ ა გ -
პ ე ნ ტ ა ვ ე ნ ღ მ ე რ თ ი , ს ჯ უ ლ ი , გ ა გ -
პ ე ნ ტ ა ვ ე ნ “ (ილ. ჰავჭავაძე, IV, 105).

გაპირვა საქმისა პრ. საქმისათვის პი-
რის გაღვსვა. სტვ. განზრახვა საქმის
საქმედ მოყვანისა. „ჯერ თქვენ ლო-
ცეასა აქ წაგვიტოხავ, უნდინარ თუ
არა, ქალსაცა ვკითხავ. მასუხარ კი
ვსწირავ, საქმეს გავპირავ
თქვენს დედ-მამისთან“ (დ. გურამიშვი-
ლი, 236).

როგორც აღამიანის, ისე საზოგა-
დოდ ცხოველის პირის ანუ სახის და-
ნიშნულობა, ისიც არის, რომ მასუ-
რებელმა ადვილად გაარჩიოს ამ პირის
თუ სახის პატრონის ვინაობა, ამისდა-
კვალად ჩამოაყალიბოს მისი გარეგნობა.
მოტანილ მავალითში გაპირვა ანუ პი-
რის გაღვსვა იხმარება როგორც სურ-
ვილი საქმისათვის სახის მიცემისა, მის
ხორცშესხმის და განსახიერებისა ანუ
როგორც განზრახვა საქმის მოგვარები-
სა, გასაკეთებელის გაკეთებისა.

გარდახვლა პრ. სივრცეზე რაზეღმე გა-
დაბიჯება, ერთი ადგილიდან მეორეზე
ამოყოფინება თავისა. სტვ. დაბერება.
ახალგაზრდობიდან სიბერეში გადა-
სვლა, ხანში შესვლა.

„მე გარდასრულვარ, სიბერე
მჭირს, ჰართა უფრო ძნელია, დღეს
არა, ხვალე მოკვდები, სოფელი ას-
რე მქნელია“ (შ. რუსთაველი, 36).



• **გარეთ თავი ვერ გამოუყვია** ჰრდ. სახ-
ლიდან გარეთ ვერ გამოსულა: სულ
შინ უნდა იჯდეს. სვკ. შერცხენი-
ლია, ხალხს ვერ ერგებნება, ყველას
უნდა ემაღლებოდეს. „მას აქეთია, სა-
წყალო კაცს სირცხვილით შინიდან
გარეთ თავი ვერ გამოუყ-
ვია“ (მელანია, მამა ქრისტეფორე, 38).

როცა კაცს სააუგო, უმართებულო
რამ საქმე აქვს ჩადენილი, როცა დამ-
ნაშავედ და სირცხვილულად გრძნობს
თავს, სინიღისი აწუხებს და ერიღება
სხვებს დაენახოს, პირდაპირ შეხედოს,
თვალეში გაუსწოროს, რჩეობს: შინ იჯ-
დეს, გარეთ აღარ გამოვიდეს, ეთავი-
ლებს: არაფერი დამინახოს, ჩემი ცუდკა-
ცობა არ წამომძახოს.

გარეცხილი ჰრდ. წყლით ქუქქემოზორე-
ბული. სვკ. უსირცხვილო, სინიღისზე
ხელაღებული. მგლ., „გელას ტყუილად
ელაპარაკები! მაგისთანა გარეც-
ხილს გულისხმავი ვერ ჩაავდებ“.

იგულისხმება, რომ აღდამიანს სირ-
ცხვილ-ნამუსი სახეზე აქვს და ეს სირ-
ცხვილ-ნამუსი წყლით სახიდან მოუშო-
რებია.

გარყვინებ ჰრდ. რაც პირში ჩავი-
შვია, პირიდან გასაქმებინებ. სვკ. რაც
ჩემთვის წაგირთმევია, არ შეგარჩენ,
უკანვე დაგაბრუნებინებ; რაც ჩემ-
თვის სიავე გიქნია, განანებ და სი-
კითოდ შეგაცვლევინებ. მგლ., „რაც წა-
ვირთმევია ჩემთვის, ყველაფერს გა-
რყვინებ“.

როცა ერთი მეორისას, ვთქვათ, მო-
იპარავს რასმე ან ძალით წაართმევს
ან მიითვისებს, დაზარალებული და შე-
ურაცხყოფილი დამზარალებულს და შე-
ურაცხყოფელს ამ მუქარის სიტყვით
მომართავს და აგრძნობინებს — განანებ,
შენი პირიდან ამოვალდებინებ, რაც ჩე-
მი შეგიქმნიაო.

გასავსავება ხელებიცა ჰრდ. ვერტიკა-
ლურად და ბრტყლად დაქვრივი ხე-
ლების გაქნევა იქით-აქეთ. სვკ. უარის,
უარის თქმა, უარყოფა თხოვნისა რი-
სამე. „ილიამ ხელები გასავსავა, —
აღარ გაეკარება ფშავის. მთებსაო“
(ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 133).

გასაყოფი ჰრდ. სწორად დასაწაწილებე-
ლი, ნაწილ-ნაწილად მისაცემი. სვკ.
გასათიშავი, ერთმანეთს მოსაშორე-
ბელი, უთანხმოების, ჩხუბის ჩამოსავ-
ლები, სადავო. „ჩხუბობენ, ჰკლავენ

ერთმანეთს, და არაფერი აშველებს კი.
ვაფი მაშინვე მივა იმათთან და ჰკით-
ხავს: რა გაჩხუბებთ, რა გაქვთ გა-
საყოფიო“ (თ. რახიკაშვილი, ზამ-
რები, II, 92).

• **გასაქვლეტი** ჰია ჰრდ. ჰია, რომელსაც კა-
ცი ფეხს ადგამს და იქულიტება ხოლ-
მე. სვკ. ყველას დასაჩაგრავი, ყველაზე
სუსტი, უპატრონო, მონა-მორჩილი.
„არც ერთი თავადი, არც ერთი მფეფ
არ მოისურვებდა, რომ ებატონათ
და განევით რომელიმე მხარე, თუ ეს
მხარე... არ უყვებდა ბატონს ბელელს
პურით და არ იყო ყოველ წუთს მისი
ფეხთა მტვერი, მის სურვილისამებრ
ყოველთვის გასაქვლეტი ჰია“
(ი. ვეფიშვილი, III, 56).

• **გასახვრა** ჰრდ. სახრის დარტყმა. სვკ. გა-
ლახვა, გვემა, ცემა, გაწყობა, გაჯავ-
რება, შეურაცხყოფა. „ღმერთი, სჯულ-
ლი დამიჯერეთ: ერთი კარგა გა-
სახვრით სადმე ყველანი, ეს ბატო-
ნიც ზედ მივაყოლოთ და თავს და-
ვანებებენ, ვი არა აქვს მიხასა!“
(ს. მგალობლიშვილი, I, 101).

სახრეს ვეძახით საქონლის ვასა-
რეკად სახმარებელ მოქნილ და დრეკად
ჯოხს. სახრეს ჩვეულებრივ გამხმარ და
უდრეკ ჯოხთან ის უპირატესობა აქვს,
რომ საქონლისა თუ აღდამიანის ტანს
საცაო მოხვდება, ზედ შემოერკალება და
არც ერთი ბაწილი მისი დარტყმის სა-
განს მწვავედ მოუხვედრელი არ რჩება.
საუკეთესო სახრედ იფინის სახრე ით-
ვლება.

სიმწვავის ასე ეფექტურად გადაცე-
მისათვის ხატოვანად კიდევაც ამიტომ
დაერქვა ენით გაწყობას, გაჯავრებას,
შეტუქსებას ან საერთოდ ძალზე ცეპასა
და გვემას — გასახვრა, ანუ სახრით
ციემა.

გახვრა ჰრდ. გაქუქყინებით გაბინძურე-
ბა. ტალახის მოცხება, ლაფში აპოვ-
ლება. სვკ. შერცხვენა, სახელის გა-
ციება, გაუპატიურება, სააუგო საქმის
ჩადენა, უცაცრაულობა, უნამუსობა.
„ესე მე დამსკრის, ნუ უბნობთ
სიტყვითა თქვენ სათნევითა“ (მ. რუსთა-
ველი, 1403).

გასუქება ჰრდ. ქონის მოკიდება. სვკ.
გამდიდრება, ქონების შექმნა. მგლ.,
„ჩვენმა ვანუამ დიდი ქონება შეიძინა,
ძალიან გასუქდა“.



ვასკელი, ცაო, და ჩაიტანე ხმელეთი თან პრ. დეე გაიპოს ცა და დედამიწაც დალუპოს. ს.გვ. ისე ცუდად იქცევიან, რომ სჯობია ყველანი დაიხოცნენ, არავინ ვადარჩეს, მოისპოს ყველაფერი. „შუშანა ძალოო, ძალოო... ცოდვა არ არი, ჩონთა შენის შაქეთურის, წყეულის, ქუჭყიანის მარჯვენით კვდებოდეს? ვასკელი ცაო, და ჩაიტანე ხმელეთი თან!“ (ვაჟა-ფშაველა, V, 30).

ვასწორ-ვასწორა პრ. სწორად მიმაგალი. პირდაპირი. ს.გვ. მოუდრეკელი, გამართული, მოუხრელი, ჯიქური, თავისნათქვამი. „მა როგორ უნდა მოვქცეულიყავ, დედაკაცო! ვასწორ-ვასწორა ნუკი ხარ“ (ან. ერისთავ-ხოშტარია, I, 56).

ვასწორება დღისა და ღამისა (მუშაობით) პრ. სწორად მუშაობა როგორც დღისით, ისე ღამით. ს.გვ. განუწყვეტელი მუშაობა. „მეც იმის გამო ვმხხვედები, ვასწორებ დღეს და ღამესა, ათასი ხელი შევიბი, ათასს ვაკეთებ საქმესა“ (ვაჟა-ფშაველა, IV, 192).

ვასჭრა პრ. განკვეთა, ორ ნაწილად გაჰყო მჭრელის იარაღით. ს.გვ. ეშველა, საქმე გაკეთდა, მიზანს მიაღწია. „თუთუნმა გასქრა! — წაიბუტბუტა ზომბერითემ და ამასთანავე თავისუფლად ამოისუნთქა, გამოიკვალა რა დაბუეებული ფეხი. თუაუნმა მართლად რომ გასჭრა. უფროსი წინაღუებურად იღარ აგრძელებდა „რააააა“ და ბოლოს დაასვენა კიდეც!“ (ილ. ელფთერითე, გაროზილი, 13).

ვასხვაპურება პრ. სახლის გარეშე სხვაგან პურის ქება. ს.გვ. კარი-კარს სიარული, ოჯახისათვის თავის მინებება, გავარეულება. „სულ ვასხვაპურდა ჩემი შაქრა, ვადასხეავდა; მანამ მამა ცოცხალი ჰყავდა, კიდევ ხათრი და რიდი ჰქონდა“ (ს. მგალობლიშვილი, წარსულ., „მოამბე“, 1899, XII, 51).

ვატანა ენით (ვისიმე). ს.გვ. მოგონება ცუდისა რისამე. ბევრი ტყუილების თქმა ვიზედმე, ჭორების თქმა. „ჩვენი ეპისკოპოსიც რომ დარიგებას შეუდგა, ალბათ ისიც გაუტენიათ ენით. განათლებული კაცი რომ ხარ, ნათელი ქრისტეის უნდა მოჰქონო შენს სამყაროს“ (ვ. ბარნივი, ფერად-ფერადი, 272).

ვატეხილი პრ. დამსხვრეული, დანაწი-

ლებული, შემუსვრილი, დაღეწილი, დამტვრეული, დამწილი. ს.გვ. ძლეული, მორეული, დაჩაგრული, დაუძლურებული (სიბერისაგან), მოქმედების უნარწარმეული, დაღარებული, დამორჩილებული, თავის სიმტყუნის აღმსარებელი, თავის ცოდვის გამამლავნებელი. „იმით ხელმწიფემ გამოუგზავნა კაცი, რომ ხელარ ეხოცთ ხალხს, — გატეხილი ვარ, ჩემი სახელმწიფო შენ დაგჩაო“ (თ. რაზიკა-შვილი, ზღაპრები, II, 83).

ვატეხილი კოვზივით ჩარევა რაშიმე პრ. გატეხილი კოვზივით მონღომება საქმის გაკეთებისა. ს.გვ. მეტიჩრობა, კაცის მიერ მონღომება იმის გაკეთებისა, რაც არ შეუძლია. ვგლ., „მენცერთო! საცა არა მგონია, ვატეხილ კოვზივით უნდა ჩაერთო და იმას კი არა ჰკითხულობ, შეგძლია თუ არა“.

ცნობილია, რომ გატეხილი კოვზი ყველგან ვარდება, ყველგან ეჩრება საქმის საკეთებლად, იმას კი არა კითხულობს — ძალა შესწევს თუ არა, ან მისი გაკეთებული ვისთვისმე გამოსადეგია თუ არა.

ვატეხილი კოვზის მეტიჩრობა ვაღმობილია უუნარო, უძლურ ადამიანზე, რომელიც ჩემობს რისამე ვაკეთებას და ამ გაკეთების თავი კი არა აქვს.

ვატეხილის თქმა პრ. დამტვრეულის თქმა. ს.გვ. თქმა სათქმელისა პირდაპირ, დაუფარავად, გარკვევით, მკაფიოდ, ვასაგებად აღიარება. „ნეწყინა, დედა არ წამიწყდება, შენი ასეთი ავდება! ვატეხილს გმტყვი, არ მომიკადეს შენი თავი“ (რაფ. ერისთავი, III, 140).

ვატყდომა ს.გვ. აღიარება დაძლეულობისა, შეცდომისა; სიმართლის გამომელავნება; მოქმედების უნარის წართმევა, დაჩაგრულობა; სიბერისაგან დაუძლურება. დამბუხნება; სასოწარკვეთა, ვალაჩრება, სიმწნევის დაკარგვა. „დარეჯანმა იფიქრა, რომ ეგრე დაქერილი ლუარსაბი თუ ვატყდებამ, ეხლა უნდა ვატყდეს“ (ილ. ჰაჭავაძე, II, 192).

ვაუბრტყელა (შავანმა შავანს) პრ. განიერ-განიერი სიტყვები უთხრა. ს.გვ. აიგლო, არაფრად ჩაავლო, ვამასხარავა. მგლ., „ლევანმა, იმის მაგიერ,



რომ დალაგებით ეთქვა ჩემთვის, რაც მოხდა, სიტყვა გამიბრტყელა*.

გაუფორდა და გამოუფორდა ხელის გულზე ჰრდ. ვისამე ხელის გულზე გადატრიალება და გადმოტრიალება. სკვ. მოეფერა, მოარჩილება გამოუცხადა, მოეალერსა, თავი დაიმდაბლა. „როგორც მოგეხსენებათ ამისი კეთილი ამბავი და ჩვეულება, გაუგორდა და გამოუგორდა და ხელის გულზე კრებას, უკმია შესაფერი საკმელი სკოლის მასწავლებელთაცა“ (ილ. ჰავაჰავაძე, IX, 288).

გავგორება ვისიმე წინაშე გულისხმობს გასაგორებელის დაბლა მიწაზე გართხმას, ხელის აღებას მის საწინააღმდეგო მოქმედებაზე, მის სრულსა და უდავო განკარგულებაში თავის გადაცემას, მასთან აღერსიანად. სიამტკბილობით, მოყვრულად, მორჩილად ყოფნას.

ხოლო თუ გავგორებას ისიც დავუმატეთ, რომ ეს გავგორება უნდა მოხდეს ხელის გულზე, რომელსაც შეუძლია სურვილისამებრ ჩაბლუჯავს შიგ გავგორებულის სხეული, მაშინ ხომ სულ ამგვარა განხლება ვინმეს ხელში გასაგორებელის უსაზღვრო პასივობა და მორჩილება.

გაუთლელი ჰრდ. რასაც ვათლა, (უვლით ხორკლიანი ადგილების დაშორება აკლია. სკვ. უსწავლელი, უზრდელი, გაუნათლებელი. „ხვალ იმათაც რომ მიეცეს ძალი, ისინიც გაგვსრესენ ჩვენა, ესეა ქვეყანაზედ“, ამბობდა კოლა თავის ყმებზედ და არც კი ეკვიანობდა, რომ იმათაც აქვს გრძობა, თავისი გაუთლელი თავის პატივი“ (ილ. ჰავაჰავაძე, III, 203).

გაუტეხელი ჰრდ. რაც არ ტყდება, არ იმსხერევა. სკვ. ვინც ჯიუტობს, თავის შეცდომას არ აღიარებს, ვინც თავისას არ იმჯის, ვინც სიბერისაგან დაუძღვრებელი, დაძაბუნებული არ არის; დაუყოლიებელი, დაუჯერებელი, ვინც უიმედოდ არა რჩება, უშინია, ვისაც ტანჯვა-წვალება არაფრად მიიჩნია. „რა გაუტეხელი კაცი ყოფილა?!... ბერი ტეპარაკი რაღა საქირაო?!... ის მამული, ეგ ფული და, თუ გინდა, თამროც ზედნადები იყოს“ (რაფ. ერისთავი, II, 74).

გაუტყრელი ნესვია ჰრდ. ნესვი გაჭირილი არ არის, ესე იგი არა ჩანს, მწიფეა

თუ არა. სკვ. ვისიმე (ან რისამე) თვისების შინაარსის შეტყობა გარეგნულად, შორიდან — შეუძლებელია, უნდა დაუხსნოდე, რომ გამოიტყნოთ გამოუცნობი. „ხოლო საქითხის არის: ეს კარზე მოსული ახალი წელიწადი ჯერ ხომ გაუჭრელი ნესვია და რა საბუთია, რომ შეგხარიო“ (ილ. ჰავაჰავაძე, IX, 240).

გაფიჩხება ჰრდ. ფიჩხს დამსგავსება, ხის გამხმარ შტოებად ქცევა. სკვ. სიცივისაგან უგრძობლად გახდომა, სხეულის ნაწილების გამაგრება ხესავით. სკვ. „სიცივისაგან სულ გამიფიჩხდა ხელები“.

გაფრანგება ჰრდ. მჭრელობით ფრანგულს დამსგავსება. სკვ. გააღმასენა, გულის მოსვლა, გაფიცება, გულზე ცეცხლის მოდება, გაჯაგრება. „ჩაფრანა უფრო გაფრანგდა და გაასრდა. — ი, რა ვნახე, ქა... რა ცეცხლივით მოგედვა მა გულზე! თეთრად შენი სარეცხი!.. აი, მეხი და მედგარი ჩავათხლიშე ყველას და ჩაეჭოლე და ჩავტიტო!“ (დ. მანანელი, ძმური სიტყვა, 99). ის. ფრანგული.

ფრანგული ფშავ-ხევსურეთში ჰქვია ცალის მხრით მჭრელ, საუჭრეთესო ფოლადის ხმაღს, რომელიც ევროპიდან (საფრანგეთიდან) უნდა იყოს შემოტანილი საქართველოში შუა საუკუნეებში.

აქედან: გაფრანგებულნი — გაბოროტებული, გაანხლებული, გაცეცხლებული, გააღმასენებული, გამძვინვარებული, უზომოდ გამწყურალი.

გაფშეკა ფეხებისა ჰრდ. ძალზე გაქიმეფეხებისა, მოუღრუნვაობა, მოუქცევლობა, სიმაგრე ფეხებისა. სკვ. სიკვდილი. მკლ. „მთელი წელიწადი ავაღმყოფობის შემდეგ მამა მისმა ფეხები გაფშეკა“.

კაცი რომ კვდება, სხეულის ნაწილებს ეკარგვის დრეკადობა, შეშლება, იჭიმება, მათი მოკეცვა შეუძლებელი ხდება. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს ფეხებისათვის, როგორც სხეულის წაგრძელებულ კიდურებისათვის, და ლაპარაკშიაც ეს თქმაც ამის შესაბამისად გაჩნდა.

გაფხეკა ჰრდ. ფხეკით მოშორება რომელიმე საგნის ზედაპირის ნაწილებისა. სკვ. მონდომებით გასინჯვა ვისიმე ნათქვამისა თუ მოქმედებისა.

მის ღირსება-ნაკლულოვანების დასაფასებლად. „ყველაფერი ეს რომ გაუხიკოთ. გასცხრილოთ, ძირს დარჩება ორი ერთმანეთის მოპირისპირე მოძღვრება. ორივე ერთნაირად უჯიბითი და ერთნაირად სამართლიანი კი არა“ (ილ. ჰეპვაჰე, X, 61).

• **ვაქანებული ჰრდ.** მოქანავე, აქით-იქით გადაშავალი. სჭვ. მსწრაფლშავალი, შეუჩერებელი. „ვათენებისას იისახარს ყმაწვილის ატეხილი ტირილი შენოთასში და პირკატა კი ეცა: ბარბარე ვაქანებული ხვრინავდა და კონას ლოგინი კი ცარიელი იყო“ (ეფ. გაბაშვილი, ოჩუელი ნაწერები, 106).

• **ვაქელილი ჰრდ.** ფეხით გასრესილი. სჭვ. დაჩაგრული, გაუბედურებული, დაუძღურებული. „ქალიან ვაქელილი სჩანდა დაუნდობელ ცხოვრებისაგან, მაგრამ იპასში რაღაცა იყო იმისთანა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ცხოვრების ქარიშხალსა ჯერ კიდევ არ ვაუქრია მისის სულის სიცხველე“ (ილ. ჰეპვაჰე, II, 38).

• **ვაქვაფება ჰრდ.** ქედ ქვევა. სჭვ. სიკვდილი. უძრავად გაჩეობა; განფიცება, გაჯიუტება. „შეიშთა ძრწოდა მის გარშემო ყველა. ვაქვაფებულ იყვნენ მახლობელნი; ეშინოდათ, თქმით თუ მოძრაობით არ მიექციათ თავისზედ მხეცქნილის თვალი აღგზნებული“ (გ. ბარნოვი, სამი რომანი, 256).

• **ვაქირი ჰრდ.** დაუმორჩილებელი (ცხენზე). სჭვ. ახირებული, ჯიუტი, თავისნება კაცი. აქედან: ვაქირის ქმნა, ვაქირის ვაწვევა — გაჯიუტება. „მამებმა“ ისე გაიწიეს, რომ ყველაფერს ძველს გამოესარჩლნენ, ავისა და კარგის გაურჩევლად, ყველაფერს ახალს დაუწყეს ძაგება და დევნა. ვაქირი ჰქმნეს იმაზედ და წინ ფეხი ვერ გადმოაბიჯეს“ (ილ. ჰეპვაჰე, VI, 122).

• **ვაქინილი ჰრდ.** ვინც ან რაც სითხეში რაშიმდე გახსნილია. სჭვ. უნამუსო, ნამუსგაწვეტილი, ქლესა, ბინძური. მგლ., „ვანო დიდი ვაქინილი ვინმეა, შეუძლებელია ხელიდან ნამუსგაწვეტილობის შეტი რამე გამოუვიდეს“.

• **ვალვიძება ჰრდ.** ძილის მდგომარეობიდან მღვიძრობის, სიფხიზლის მდგომარეობაში გადასვლა. სჭვ. გონებრივ

სიბნელისაგან გამოსვლა, ქვეა-მიხედვრილობისა და შეგნების მოკრეფა, გათვითცნობიერება. ვარჯა. საქმიანობა. „სწავლის შემდეგ (მასწავლებელი) პატარ-პატარა საუკეთესო მოთხრობებს უყითხავდა და ამგვარად ალვიძებდა მათ ქვეა-გონებას“ (ქეტიტი, საბავშვო მოთხრობები, 47).

• **ვალვრებული ჰრდ.** ღორად ქცეული. სჭვ. გაუმაძღარი, მარად მღრში ქამისა. მგლ., „პეტრე ვალვრებულია, იმდენსა სჭამს“.

• **ვალუნვა ჰრდ.** მოკაცკა, ვახრა. სჭვ. დაჩაგვრა, დამცირება, დამონება, მოკრეფა. „ხშირ ქალარაშვრულ ცხოვრებას ბევრი ენახა ნამდვილი ბუძებრავიც, მაგრამ მძლავრად დაეღუწა იგი და დაემუხლისთავებინა“ (გ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 257).

• **ვაყენება ჰრდ.** ერთი ადგილიდან დაძვრა, სხვაგან წაყვანა. სჭვ. ვაჩანაგება, მოსპობა. „უმანდ რა სოფელია, იმაზედ არ ჩამატარო, ამ წაფხულსულ გავაკციე, წიწილებიდანა და ქუკებიდან სულ ვაყენე, ნუ შემარცხვენ, აქ არ ჩამატაროვო“ (თ. რახიკაშვილი, ზღაპრები, I, 151).

• **ვაყიდვა ჰრდ.** რისამე დათმობა შეთანხმებული საფასურის აღებით. სჭვ. დალაბი, მოტყუება, ორგეობა, დაღუპვა, ფულისათვის სასიროცხვილო საქმის ჩადენა. „ბევრჯერ მიცოდავს, შენ შეგინდვია, დიდს საწყენზედაც თავს არ გიდვია; ვთხოვ ესეც შემიწოდო და არა გამყიდო ცოტა საქმისთვის“ (დ. გურამიშვილი, 430).

ძველ ღროში ადამიანებს ისევე ჰყიდდნენ საქართველოში, როგორც უბრალო საქონელს რასმე. ასეთი საქონლით ვაჭრობა გაჩაღებული იყო საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებთან: დასავლეთ საქართველოში — ოსმალეთთან, აღმოსავლეთ საქართველოში — დაღისტანთან. ადამიანებით ვაჭრობა განსაკუთრებით გავრცელებული იყო შავი ზღვის სანაპირო ადგილებში — სამეგრელო-აფხაზეთ-გურია-ქობულეთში. მყიდველები იყვნენ ოსმალოს მენავეები; ნაყიდი ტყვეები მიჰყავდათ ტრაპიზონისა და სტამბოლის ბაზრებზე, სადაც ჩვენი ტყვეები, განსაკუთრებით ქალები, სხვა ქვეყნის ტყვეებზე გაცილებით მეტად ფასობდნენ.



აქედანაა: გავიყიდე — დავიღუპე, არაფერი შემრჩა, რაც რამე მებადა, ყველაფერი ხელიდან გამოიშველა; გამყიდა — დამღუპა, არაფერი შემარჩინა, გამყიდველი — დაძღუპველი, მოღალატე.

გაშავება პრ. შავად გადაქცევა. სვკ. სახელის გატება, შერცხვენა, აუგის თქმა. მგლ., „ვანო საჯარო კრებაზე მთლად გააშავეს“.

გაშეშება პრ. შეშად ქცევა, შეშას დამსგავსება. სვკ. უგრძობლობა, უსიკოცხლობა, დრეკადობის წართმევა. მგლ., „სიცივისაგან ხელ-ფეხი გამიშეშდა“.

გაშეშება დროებითი დამბლად სხეულისა ან სხეულის რომელიმე ნაწილისა. გაშეშება შეიძლება შიშისა, სიცივისა, დარდისაგან. აღამიანს ერთმევა მგრძობელობა; ემსგავსება შეშას, უნიძრათ რასმე, მის სხეულს დრეკადობა გამოეცლება. მგლ., „დარდისაგან გავშეშდი“; „შიშმა ეს კაცი სულ გააშეშა, ხმა ვერ ამოიღო, ვერც ხელი გაანძრია“.

გაშიშვლება ვიხიმე პრ. გახდა იმ საშისა, რაც ზედ აცვია. სვკ. გატიტვლება, დაუფარავი არაფერი მჭირდება, საიდუმლოს გამომეღაჯება. მგლ., „ნესტორი იმ დღეს საჯაროდ გააშიშვლეს, მისი ქვეშ-ქვეშობა სულ გამოამეღაჯენეს“.

გაჩაღხვა, **გაჩარხვა** პრ. ჩარხის საშუალებით სამართებლისა ან დანის პირის გაკეთება, გამართვა. სვკ. მოგვარება, კარგად გაკეთება საქმისა, გამართვა. „ენაქარტალობა — მაჰანკლობაში იმისი ტოლობადალი არ გაუჩენია ღმერთს; იმისას ამბობდნენ: რომ მოინდომოს, ბერს ცოლს შეართევენებსო!.. მამასახლისსაც ეს უნდოდა და აკი გეურქაც ციბრუტივით დატრიალდა, ვანოსთან საქმე გაჩაღხა, მაჯავანში მოიყვანა“ (დ. მაჩანელი, გვლ. მაკლდა. „ივ.“, 1898, № 264); „ამ მართთ საქმეს გამოკეთება და მართლ-მსაჯულების წესრიგის გაჩარხვა არ შეადგენს საგანს დღე-ღამედლე ჩვენ წერილებისას“ (ილ. პავლეაძე, VIII, 266).

ჩარხი — სალესი თვალი. გაჩარხვა შეიძლება სამართებლისა, დანის პირისა, ან სხვა რამე მკრელი იარაღისა.

გაჩენის დღის წყევლა პრ. ავად ხსე-

ნება იმ დღისა, როდესაც დავიბადნით. სვკ. ტანჯვა, წვალება, გლოვა. „...თუ გიჩხვლეტს, უნდა იწყებო შენი გაჩენის დღენიო“ (მ. ბილიმელი, I, 186).

გაჩვენებ თამაშას პრ. დაცინვით: დავანახებ, როგორ უნდა გაერთო, როგორ უნდა იმზიარო! სვკ. გატირებ, სადარდებელ საქმეს შეგამთხვევ, დავალონებ, გათქმევენებ — ეს რა დამემართაო! „თათარი, თათრულს იქს, მაშ რა!.. აბა ჩვენს ვაჟაკებს შაჰბმოდა, შეიღოს! აჩვენებდნენ თავის თამაშას, დახურავდნენ დედაკაცის ლეჩაქს...“ (რაფ. ერისთავი, III, 136).

თამაშა სპარსული სიტყვაა და ნიშნავს მზიარულებას თვალისიერს, გაართობას.

გაცეცლება პრ. ცეცხლად ქცევა. სვკ. აღლევა, გულის მოსვლა, გაჯავრება, გაბოროტება, გაბრაზება, გაგულისება. „ბოლოს კი შევიტყვე რომ იმათგანს ხელი არავის მჭობდა მოწერილი... ნამეტნავად ერთმა გამაცეცხლა... დამპირდა, ხელს მოვაწერო, მივედი, მოვაგონე, — ეხლა ფული არა მაქვსო“ (რაფ. ერისთავი, III, 50).

გაცეცლებული პრ. ცეცხლად ქცეული. სვკ. გულმოსული, გაბრაზებული, გაანჩხლებული, გაჯავრებული, გაგულისებული. „დაბრუნდნენ ძმები, უფრო გაჯავრებულები, გაცეცხლებულნი“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, II, 2/29).

გაცვეთილი პრ. დიდი ხნის ხმარებით გახეხილი, უხმარი, დახეული, უფარვისი. სვკ. მატყუარა, გაიძვრა, ცშმაკი, ქლესა, გამოქწილი, უსირცხვილო. მგლ., „დიდი გაცვეთილი ვინმეა შენი ნაცნობო, კაცი კარებამდე ვერ ესდობა“.

გაცვეთილი კბილი პრ. ნახმარი, დაუსუსტებული კბილი. სვკ. უძლური, ღონებისდილი, არათრის შემძლებელი. „ჩვენთვის ესეც საკმაოა, რომ გავუგოთ (გ. თუშანოვს) კრაჟუნ გაცვეთილი კბილისა“ (ილ. პავლეაძე, IX, 333).

გაცივება პრ. სხეულში სიცივის შექრა, სითბოს წართმევა, ცივად გახდომა. სვკ. დაზარალება, გაჩანაგება, გაღარიბება, მოსპობის გზაზე დაყენება,

დაქცევა, გაჭურღვა, წართმევა ყველაფრის, ყოველსავე ქონებას მოკლებდა; შეშინება, უწყსრიგო და ცხოველი მღვლეარება. „ემინდ რომ სოფელია, იმაზედ არ ჩამატარო, ამ ზაფხულს სულ გავაციე, წიწილებიდან და ქუეებიდან გავაყენე, ნუ შემარცხვენ, იქ არ ჩამატაროვო“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები I, 151); „სოფელი ეკვშია და ამბობს: მაგან დალუბა სოფელი, მაგან გააციე; რა ვქნათ, რით მოეფაროთ თავსაო“ (გავა-ფშავლა, V, 233).

• **გაცივებული ჰრდ.** სითბოწართმეული. ს.ჯვ. ღარიბი, უქონელი, მოსპობის გზაზე დამღვარი. „ამ გაცივებულსა და გაწყალებულ სოფელსკი აღარ ჩამოვებერდებოდი! პირდაპირ ქალაქში ამოგყოფდი თავს...“ (მელანი, მამაქრისტეფორე, 16).

გაცოცხვა ჰრდ. ცოცხით ცემა. ს.ჯვ. შერცხენა, მხილება, გაწბილება, სახელის გატეხა, გალანძღვა, გაჯაგრება, ბოროტად აღვის თქმა ვიზედმე, აგონობა. მგლ., „მის გაიძვერობისათვის ისე გაცივებეს, რომ თქვენი მოწონებული!“

გაცურება ჰრდ. ცურვით, სრილით წყავანა ვისიმე ან რისამე მოლიბულ ზედაპირზე. ს.ჯვ. მოტყუება, სწორე გზიდან გადაცდენა, გაბრიყუება. „დაუტყინია, — თქვენ აღარაფერში ვარგინხართო“, ნუ გგონიათ, რომ ესლაც უწყინდებურად ვინმე გაციუროთ მქარ - მომსერეულის ფრაზეებით“ (ილ. ჰეგვაძე, IX, 46).

გაცხვირება ჰრდ. ცხვირის ჩამოშეება. ს.ჯვ. გულმოსულად ჯდომა, გაჯაგრება, გაბუტვა. მგლ., „არ გინდებია, ჩემო კარგო, გაციხვირევა, მოდი ერთი, შუბლი გაინსენი, გამხიარულდი“.

გაცხვირული ჰრდ. ცხვირად ქცეული. ს.ჯვ. გაბუტული, გულმოსული, უკმაყოფილო.

• **გაცხრილვა ჰრდ.** ცხრილქვეშ გატარება ხორბლისა, გაღვევის დროს შიგ შეყოლილი ნაგვის მოსაშორებლად. ს.ჯვ. გაშინჯვა. აწონ-დაწონვა მკაცრად ვინმეს მოქმედებისა, ან ნათქვამისა, ცუდის მოშორება კარგისაგან, მის ღირსება-ნაკლულოვანების დასაფასებლად. „ყველაფერი ეს რომ გაფხიკოთ, გასცხრილოთ, ძირს დარჩება ორი ერთმანეთის მოპირისპირე

მოძღვრება, ორივე ერთნაირად უჯი-ათი და ერთნაირად სამართლიანი კი არა!“ (ილ. ჰეგვაძე, X, 61).

• **გაძალღება ჰრდ.** ძალად ქცევა, ძალის მღვრომარეობაში ყოფნა. ს.ჯვ. დიდი გაჭირება, უკიდურესი ყოფა. მგლ., „დიდი გაჭირება გამოვიარე სიბერეში, გამიძალღდა სწორედ სიცოცხლე“.

• **გაძვალტყავებული ჰრდ.** ძვლად და ტყავად ქცეული, რასაც ხორცი არ აკრავს (ადამინან თუ ცხოველს). ს.ჯვ. ზედმეტად გამსდარი, გაღარიბებული, უსახსრო, უქონელი. მგლ., „უსაკვებოდ გლებს საქონელი გაძვალტყავებული ჰყავს“.

გაწალღული ჰრდ. წალღით გაკაფული. ს.ჯვ. გაკეთებული, მოგვარებული. „მარჯვე და მხნე მუშაობაში დიდი ნიჭი გამოიჩინა, რის გამოც მისი ყოველი საქმე დროზე გაწალღული იყო“ (ბენისელი, აღდგებული თჯახი, „ივ.“, 1903, № 198).

გაწბილება ჰრდ. წბილად გადაქცევა, ბალახის წვრილ ღეროს დამსგავსება. ს.ჯვ. დამცირება, დაკნინება, შერცხენა, გაბიბრუება, არაფრად ჩავლება.

წბილა, როგორც თ. რაზიკაშვილი განმარტავს თავის ლექსიკონში („იფერია“, 1900), ფშავში ჰქვია ბალახის მეტად წვრილ, ნემსის მსგავს ღეროს.

აქედან ნაწარმოები გაწბილება გამოხატავს ადამიანის დამსგავსებას იმ ნემსის სადარ, ბალახის თითქმის უჩინარ ღერთან, მის დაკნინებას, გაუფასურებას. ანუ ხატოვანად. შერცხენას, გაბიბრუებას. შრ. „თუმცა ოქორწინა (სოფლისაგან დაგლანაკავეულმა). მეძავსა და ავხოორცს დაუძახებენ, მის ნათესავთა და მოძმესთანა პირწბილად იქნება“ (ქილია და დამანა, 259).

გაწითლება ჰრდ. წითლად შეღებვა, წითლის ფერის გადაკერა სახეზე. ს.ჯვ. სირცხვილი.

სიხარულისა თუ შერცხენის დროს, როცა ერთბაშად სახეზე სისხლი მოგვწვება, გაწითლებით, ვიდრე ჩვეულებრივად ვართ ხოლმე. ქართულ მეტყველებაში უფრო პატარძლები ითვლებოდნენ მორცხვებად და იტყოდნენ: პატარძალი ვით წითლდება, პატარძალი ვით მორცხვობსო.



გაწიწმატება ჰრ. წიწმატივთ გახდომი. სტვ. გაჯაერება, გაცხარება. „იელი-საბედ რაო?.. ვიხუმრეო?.. შენა (იწვეს ახოლონისაჲნ გაწიწმატებულთ), სასიკვდილევ, სასიკვდილევ, სასიკვდილევ...“ (რაფ. ერისთავი, IV, 301).

გაწკამვლა ჰრ. წყვლით ცემა, წყვლუბის დარტყმა სხეულზე. სტვ. ზნებორივად მიყენება ისეთი ტანჯვისა, როგორსაც ხორციელად ვანვიცილით ხოლმე წყვლის დაკვრისას; შერცხვენა, ლაფის დასხმა თავზე. იხ. გაჯოხვა.

• გაწალღბა ჰრ. წყლის მიმატება მიგარი სასმელისათვის სიმაგრის შესასუსტებლად; მიგარი სხეულის გათხვევადება, გადნობა, წყლად ქცევა. სტვ. განადგურება, დასუსტება, ღონის გამოცლა, დალაღვა, მოსპობა. „ამის გამო დაირღვა ჩვენი ოჯახობა. გაწყდა ურთიერთობის კავშირი, ოჯახი თავზედ ჩამოგვექცა და ჩვენც გაეწყალდით და მიწასთან გავსწორდით“ (ილ. ჰავეაძე, VI, 157).

• გაწალღებული ჰრ. წყლად ქცეული. სტვ. ღარიბი, უქონელი, მოსპობილი, არაფრად ქცეული, უღონო, განადგურებული, დასუსტებული. „ამ გაცივებულსა და გაწყალდებულ სოფელს კი აღარ ჩამოვადებრდებოდი, პირდაპირ ქალაქში ამოვყავდი თავს“ (მელანია, მამა ქრისტეფორე, 16).

გაწყობა ჰრ. დაშლილად დალაგება რისამე. სტვ. მოსპობა, განიფება, გაქრობა. შგლ., „მელია საქათმეს შემოიჩრია და ქათმების სინსილა გააწყყო“.

გაქედლი ჰრ. გაყრილი, შერქობილი. სტვ. საესე. გატენილი. შგლ., „დუქანი გაქედლია მუშტრებით“.

გაქიანურება ჰრ. ქიანურის ხმისავეთ გაგრძელება. სტვ. დაუსრულებლობა, გაგრძელება, გაუთავებლობა. „ქარგი, პო, ნუ გააქიანურე! წამო ღობინში ჩავერიოთ, ჰედავ, რამდენი გოგობი მოუყვანიათ! (გვ. გაბაშვილი, ბეჩინის სიყვარული).“

გაქირფეზის ტალკეზია ჰრ. უცეცხლობის დროს ტალსა და კვეს ეტოლება. სტვ. მშველელი, დამხმარებელი. ხელის მომმართველი გაქირფების დროს. „გლტობასაც ძლიერ უყვარდა (მიხა). სულს არ იმურებდნენ მიხასათვის. მწუხარების, გაქირფების დროს და-

უფასებელი იყო: გაქირფების ტალკეზია ეს ჩვენი მიზაო, იტყოდნენ ხოლმე“ (ს. მგალობლიშვილი, I, 82).

გაქრა ჰრ. მკრელი იარაღით ნაწილებად დაყოფა რომელიმე საგნისა. სტვ. მიზნის მიღწევა, სასურველად დაბოლოება დაწყებული საქმისა. „არ ვიცით, ჩვენი შუამდგომლობა რამოდენად გასკრის, მაგრამ მაინც ეს შუამდგომლობა ჩვენ უნდა ევიკისროთ და ქვეყანას გაეუწიოთ ამ მხრით სასახური“ (ილ. ჰავეაძე, VI, 194).

• გახედნა ჰრ. გაწვრთნა, სახედნად გამოყენება. სტვ. მომსახურება. „გიცხოდება მამა-შენი ზესტაფონე, ყურებზე ხახვი არ დამაქო! გინდა, მეც დიდებუების ჯოგში ჩამირო და გამხედნო განა?“ (გვ. გაბაშვილი, რბეული მოთხრობები, 35).

• გახევეზა ჰრ. ხედ ქცევა, ხეს დამსგავსება. სტვ. გაკერება, ვაფუჯათება, გაჯიუტება, გაჯიქება; გამოსულუღუღება შგლ., „ბევრი სთხოვეს, ბევრი ქირი მოსქამეს, მაგრამ ის მაინც გახედა. ერთი აღამიანური სიტყვა არ წამოსცდა პირიდან“.

გახვრეტილი აბაზი ჰრ. აბაზიანი, რომელსაც ხერელი აქვს. სტვ. ძალზე უფასური რამ, უღირალი. „განა ეხლა რომ ყოყმობენ და წამოჩალბულები არიან, აბა ერთი შემოვლტონ, თუ თავვის სორო სანატრელად საძებარი არ გაუხდესთ! გახვრეტილი აბაზი და მაგათი სიტყვა ჩემთვის ერთია, ერთის საფასურისა“ (გვ. მენთეზაშვილი, კლა მშველიშვილი, იგ., 1903, № 255).

თუ აბაზიანი ან სხვა ვერცხლის ფული გახვრეტილი იყო, ფასი არაფერი ჰქონდა, რადგან იგულისხმებოდა, რომ გახვრეტის დროს ერთი ნაწილი ვერცხლის აუღლებოდა ფულს.

გახვრეტილი ფული არა აქვს ჰრ. გახვრეტილი ფული რა არის, ისიც არა აქვს. სტვ. არაფერი აბადია, ღარიბია, ბელმოკლეა, უქონელია. შგლ., „ჩემი მემოკლის ამბავს ნუღარ იკითხავით... გახვრეტილი ფული რა არის, გახვრეტილი ფულიც კი არა აქვს“...

გახვრეტილი ფული გულისხმობს წონამოკლებულს და, მამასადამე, გაუფასურებულ ფულს, რომელსაც ვასა-

ვალი არა აქვს, როგორც ფულს და რომლითაც ფასდება ამა თუ იმ საქონლის ღირებულება. მაშასადამე, გახვრეტილი ფულის უქონლობა აღნიშნავს ფულის, როგორც შეძლების გამოსახელების, რისამე არქონვას, უკიდურეს სიღარიბეს, გაჭირვებას, სისაწყულს.

ვახლავართ პრე. თქვენს ახლოს, თქვენთან ვიმყოფები. სჭვ. თქვენს სამსახურად მზადა ვარ, თქვენი მონა-მორჩილი ვარ. მგლ., „გებრძანებინათ ჩემი მოსვლა, აი ვახლავართ, რას გებრძანებთ?!

ეს თქმა დღეს ზრდილობის გამო-მხატველია, ნიშნავს: თქვენს ახლოს ვარ ან ვართ. ძველად უფროსებს; დიდ კაცებს, ბატონებს თავიანთი მსახურნი სულ დაჰყვებოდნენ, მათთან ახლოს იყვნენ, თან „ახლდნენ“, და რამე რომ დასჭირდებოდათ, ახლოსმყოფთ, „ძმლებელთ“ იმსახურებდნენ.

ვახლავართ ბიჭა პრე. თქვენთან ვარ ბიჭი. სჭვ. ჩემისთანა სხვა არავინაა, მე ვარ, რაცა ვარ!

კვების, ტრახანის, თავის მოწონების გამომხატველი თქმაა.

ვახუნება (ვისიმე) პრე. წართმევა ან აცლა ბრწყინვალებისა, შუქისა, ფერისა. სჭვ. სახელის გატეხა, ღირსების წართმევა, დაკარგვა, ჯობხა, დამარცხება, უპირატესობის მოპოვება; დასუსტება, ღონის გამოცლა, უმაქნისობა, პატივის აყრა, უმინიმუმოდ გადაქცევა. „იგი თანდათან ჩამოშორდა მეუღლეს. სიყვარული გახუნდა მათ შორის და მიჰქნა“ (ვ. ბარნოვი, სამი რომანი, 65); „შეხეთ, როგორ ილუქმება ჩვენი გოგო მელანია; არც თუ ილო აქლებს რამეს, გაგახუნდა მათ ყველანია!“ (მ. მღვიმელი, I, 368).

ვახუნებული პრე. ფერდაკარგული. სჭვ. დასუსტებული, ძალ-ღონე გამოცლილი, უმაქნისი, უფარგისი, პატივარჩილი, უმინიმუმოდ. „მარად უნებებია ამ ჩვენს გახუნებულ ავტორს ამისთანა ტყუილის ხელდახელ გამოკნობა? მაღ, რომ კაცია და გუნებიაო!...“ (ილ. ჭავჭავაძე, IX, 203).

ვახურდა პრე სიმხურვალე გაუძლიერდა. სჭვ. გაცხოველდა, ძალზე ამოძრავდა. მგლ., „ვახურდა სმა-ქამა, სიმღერა“.

ვახურებული თონე პრე. ძალიან ცნე-ლი თონე. სჭვ. გაჭირვება, სატანჯველი „იმ დღეს, რა დღიდაშიც ვიწყებთ ჩვენს აძბავს. ასეთი ცხარე მზე სწავადა ქვეყანას, ასეთი შაბანაქება იღვა, რომ დღე-ამიწის ბული ასდოდა, თითქო ვახურებული თონეაო“ (ილ. ჭავჭავაძე, III, 3).

ვახურებულ თონეში ჩაყენება სჭვ. დიდ გაჭირვებაში ჩაგდება, უკიდურეს დღეში თავის აიოყოფინება. „განა სამართალია, ადამიანმა ადამიანი ამ ვახურებულ თონეში ჩააყენოს“ (ილ. ჭავჭავაძე, VIII, 299).

ვაჯავაზება ის. ჯავახი.

ვაჯერება პრე. გაჩერება. სჭვ. დაზარალება, აკლებდა. ონავარობა. „ვინა გდევნიდა, დედა? ვინ გიპირებდა მოკვლას? რითა? რით გააჯერე სოფელი? — ჰკითხავდა თვალყვითელა“ (თ. რაზიყაშვილი, ქორის ბაბალი).

ვაჯიქება პრე. ჯიქს დამსგავსება. სჭვ. გაკერპება. თავისთანთქამობა, დაჩემება რისამე და იმაზე ხელის აუღებლობა, სიტლანქე, უშვერობა, გულქვაობა. „დაჩემდა დისახლისი, ხმა აღარ გასცა: ეშინორდა ყაფლანი არ განარახებულყოფი და არ დაფეიცათორემ ველარ გადაათქმევივნდნენ, ველარ დასძრავდნენ, გაჯიქდებოდა, ქველ იქცეოდა“ (ვ. ბარნოვი, სამი რომანი, 61).

ჯიქეთი მთავორიანი მხარეა, აფხაზეთის საზღვარზე. იქაურები — ჯიქები ცნობილი იყვნენ, როგორც კერპები, თავისთანთქამები. აქედანაა შემოსული შეფიღვი სიტყვები: ჯიქუად სიარული — პირდაპირ სიარული, უგულუბელყოფა რამე საბრკამისა; ჯიქური ლაპარაკი — მოურიდებელი, უკრძალავი ლაპარაკი, პირში თქმა ყველაფრისა, უბოდიშოდა.

ვაჯოხვა პრე. ჯოხით ცემა. სჭვ. დასჯა, წამება, ტანჯვა, შეურაცხყოფა, ვალანძღვა.

ვაშქონდათ და გამოშქონდათ პრე. ხან იქითენ მიჰქონდათ, ხან აქეთკენ. სჭვ. თავის ნებაზე ატარებდნენ, ათამაშებდნენ თავის ქეიფზე; ამცირებდნენ, ლანძღავდნენ, ათას რამეს უგონებდნენ. „ძალით გამეფებული სოლომონი ჩაუვარდა ხელში წერეთლებს და ბუროთივით ვაშქონდათ და გამოშქონდათ“ (ავაი, I, 1925).

• გენია (ციცხლისა) პრე. ჯოჯოხეთის ციცილი. ს.გ. საშინელი, დიდი გაქირვება, უზომო ტანჯვა, მწუხარება, უბედურება. „გრიგოლ ჩოლოყაშვილი, ახლა თაობა შენია: ამოხველ ფშავ-ხევსურეთში, მოგვიღვე ციცილის გენია“ (დ. ხიზანიშვილი, ფშაური ლექსი, 257).

გენია არაბული სიტყვაა, ნიშნავს ჯოჯოხეთს, ჯოჯოხეთურ ტანჯვას. საერთოდ მაჰმადიანები გენიას ეძახდნენ ჯოჯოხეთს და აგრეთვე საშინელ სამსჯავრომდე წვალტებას მიცვალებულთა სულებისას. შუა საუკუნეებში ჯოჯოხეთისაც ნიშნავდა და წვალტება-ტანჯვასაც.

გენია პირველად ერქვა ენომის ველს, იერუსალემის ახლო, იგივე ტოფეტი, სადაც ისრაელნი ბაალსა და ასტარტას მსხვერპლად სწირავდნენ თავიანთ შეილებს და ციცილში სწევადნენ.

• გეზელ ქორი პრე. მტაცებელი ქორი. ს.გ. წამგლეჯი, ამაყი, ამპარტაენი, გულადი, ქედმაღალი. „მარა ამოჯახდასაფსომბა არ ვიცი, კოტრობა შემამჩნია, თუ რაჲ იყო, ამარიდა პირი და გაულდა გზას, გეზელ ქორი ვი თ...“ (რაფ. ერისთავი, III, 133); „გეზელ ქორი ვით რომ დახედავს დედაცა ცებს, თქვენ უანბო გგონიათ“ (მელანია, მამა ქრისტეფორე, 37).

გეზელ ი სება ორბელიანის ახსნით ნიშნავს მამალ ქორს. შეგარდენს, მიმინოს, საერთოდ ბაზს ანუ მტაცებელ ფრინველს. დ. ჩუბინაშვილის განმარტებით გეზელი მამალი ქორია. ლიტერატურაში ნახმარი აქვთ უფრო კახეთიდან გამოსულ მწერლებს — რაფ. ერისთავსა და მელანიას, ორივეს — ამაყის, ამპარტაენის, თავმომწონის აზრით.

გეზელი ებრაულად ნიშნავს მტაცებელს, წამართმევს, წამგლეჯს. თუმეზოდ გეზელი მშინშარას ეწოდება.

• გემოს ჩატანება ს.გ. გემრიელება საქმისა, ანდა გასაკეთებელი საქმისა, სასიამოვნო მიჩნევა რისამე. მგლ., „შენ-კი აქებ, მაგრამ ამ ღვინოს მე ვერაფერი გემო ჩავატანი, ჩემო კარგო“.

† გენაცვალე პრე. შენს მაგიერ, შენს ნაცვლად მოგკვედ ს.გ. მზადა ვარ შენთვის ყველაფერი ვქნა. სიკვდილსაც-კი პირისპირ დავუდგე; გთხოვ,

გვეიდრები. „გაიღვიძე, შენ გენაცვალე, ქირი მოგპამე, თავს შემოგვეცი, — ეუბნებოდა დედა შვილსა და თან მუბლზე ხელს უსვამდა“ (ვაჟა-ფშაველა, 6, 300).

გენაცვალე ზრდილობისა და ხეყნის ფორმულაა. წარმომდგარია ჩვენი ხალხის რწმენისაგან სიკვდილის შესახებ. სახელდობრ: ხალხს ჰგონია, რომ გადადებული ავადმყოფის მორჩენა, როცა ყოველგვარი, ავადმყოფის პატრონისათვის ხელმისაწვდომი, წამლობა გამოყენებულია და უშედეგოდ დარჩენილია, შესაძლებელია სიკვდილის ერთგვარად მომადლიერებით, მასთან ერთგვარი შეთანხმების დადებით მოველოს გაპირვებას. მომაკვდინისათვის სიკვდილის თავიდან ასაცდენად მისმა პატრონმა სიკვდილს უნდა შეძლიოს მომაკვდავის სანაცვლოდ და სამაგიეროდ თავისი თავი, საქონელი (ხბო, ცხვარი, მამალი) აფევი (რკინეულობა, სპილენძის ქურქელი) და დიმიდებული უნდა იყოს, რომ ასეთი ანაზღაურების, ასეთის შენაცვლების შემდეგ სიკვდილმა შესაძლებლობის დაინახოს უშუალო სასიკვდილო ობიექტზე ხელი აიღოს და დასჯერდეს მის სანაცვლოდ შეძლეულს.

მაშასადამე, თვითონ სიტყვა გენაცვალე ნიშნავს: სიკვდილს შენს ნაცვლად, შენს მაგიერად მე ჩავუყარდეო. აქედანაა ზმნა: მენაცვლა, უნაცვლა, გენაცვლა, გენაცვალე. ანაცვლა და სხვ. შეკვეცილი სახე გენაცვალესი არის — გენაცვა.

გენაცვალეს ეტოლება: გემაგიერე, შენი ქირიმე, თავს შემოგვეცი, გეპურბანე.

† გერი პრე. ერთ-ერთი მეუღლის არალგიძლი შვილი. ს.გ. ყველასაგან მოძულებული, არავის რომ ებრაღვის, აბუხად ავღებული, პატივყარილი, გაკიცხული, დამცირებული. „მე გერი ვარ ცხოვრებისა, მოძულებული, გაკიცხულ-დამცირებული. არ გაჩენილა ჩემთვის არც ჯადოქარი, რომ მომხსნას სახე საზარელი“ (ვ. ბარბოვი, ვარდუჯანები, 250).

გესლიანი ენა პრე. გესლნარევი, მხამიანი ენა. ს.გ. დამცინავი, ბოროტი, გულის მომკვლელი. მგლ., „გესლიანი ენის პატრონია ჩვენი ნაცნობი ზურაბი“.

• **გეყურბანე პრე.** შენს ყურბანად მე წა-
ვიდე. სვე. შენს მაგიერ სიკვდილმა
მე შემიწიროს, მე მიმსხვრეპლოს.
მგლ., „გეყურბანე, რომ მითიკა-
ლო, ჩვენსა გადმოდი და თქვენი ამ-
ბავი გეითხარი“. ის. გენცკალე.

ყურბანი სასოფლოდ შეკრებილი
ფულით ნაყიდი ხარი, ძროხა და ყო-
ჩია, რომელსაც ძველ დროში მსხვერპ-
ლად სწირავდა ხალხი ღმერთს გვალ-
ვისა და უწყვილობის დროს. ყურბანის
შეწირვა იცოდნენ ჯავახეთსა და აქა-
რაში, სიტყვა გეყურბანეც ამ მხა-
რეებში ისმის (ყურბანის შესახებ
დაწვრილებით ის. ყურნ. „მოამბე“
1901 წ. № 5, „გურია-აქარა“, სოფ.
ფურტიო).

• **გველაძეა პრე.** ძუის მსგავსი ქია. სვე.
გაიძვერა, გაქნილი, ეშმაკი ადამიანი.
გველაძეა გრძელი და წვრილი
ძუის მსგავსი ქიაა, ბაღნიანი. ზოგი
წყალში ცხოვრობს და ზოგიც ზოგი-
ერთ ხერხემლოვან ცხოველის სხეულში,
როგორც პარაზიტი, და ჰქვია *Filaria*
dracunculus. მეტად მოძრავია, სად
გინდა, არ გაძვრეს და თავი არ ამოჭ-
ყოს. აღმათ ამის მიმსგავსებით და-
რქმევია ეშმაკსა და გაიძვერა კაცს ეს
სახელი.

• **გველი პრე.** უფეხებო ქვემძრომი.
სვე. ავი და მოლალატე, დაუნდობე-
ლი ადამიანი, მხაკვარი, მუხანათი.
„თუ ღმერთი გწამს, მე მომშორდი,
ნუ ჩამიძვრები გველსავით გულ-
ში, რომ დამშხამო მოლალატობითა,
მე კი დამესხენ და რაც გინდა, ქენი“
(ილ. პავლევიძე, III, 213).

• **გველივით აქრელება ტანისა პრე.** გვე-
ლის ტანის მსგავსად ქრელი გაუხა-
ლოს ვინმე ვისმე ტანი. სვე. მეტის-
მეტად ცემა, დალურჯება ტანისა
ცემისაგან; გაკრიტიკება, დამცირე-
ბა. „ამ თხუთმეტიოდ დღის წინათ
ბათუმელმა კარომ გველივით
ააქრელა ჩვენი ბრძენი Plebs-
ი, რაც სიგრძე ჰქონდა, ის სიბრტყე
მისცა და ერთის მაგიერ ორი შოლტი
ტყავი ააძრო“ (გ. ყაფშიძე, „მოამბე“, 1896,
№ 11).

• **გველის თვალი სვე.** ჯადოს შემცველი
ქვა; ძვირფასი რამ. „სახელოვან
ომებში მე იმ ხმლით და ცხოვეთ-
ბულის აბჯრით ვიყავი. როგორც
გველის თვალს, ეხლა იმ იარა-
ღებს ისე ვინახავ და ვუფრთხილდე-
ბი“ (ვ. ჯ. ფშაველა, VI, 155).

გველის თვალი, ანუ იგივე
ნატურის თვალი, ხალხია ძველი
რწმენით, ქვა თვალის მომპრელი სი-
ლაშახისა. გამჭვირვალე. ჩვეულებრივ
იგი გველსა აქვს ხოლმე და ეამითი-ვა-
მად ათამაშებს და ამ დროს დიდი
ბრწყინვალეობითა ბრწყინავს. ძნელია
კაცმა გველს მოსტაცოს ეს მისი ძვირ-
ფასი სითამაშო და თუ მოახერხა ვინ-
მემ მისი მოტყუება, მის პატრონს მე-
რე საზრუნავი არაფრისათვის ექნება:
ყველაფერი, რასაც კი ადამიანის პირი
ინატრებს, უშრომლად კარს მიადგება
გველის თვალის პატრონს. ასეთი იყო
ძველი ცრუ რწმენა.

• **გველის კბენა სვე.** უზომოდ გამწარე-
ბა, დადარდიანება, დასევდიანება.
„იგი თანდათან ჩამოშორდა მეუღ-
ლეს სიყვარული ვახუნდა მათ შორის
და მიქნა. დედოფალს გველმა
უქბინა გულზე“ (გ. ბარნოვი, სამი
ოთხანი, 65).

• **გველის ფხაში გაძრომა პრე.** გველის
ძვალში ხოხვით გავლა ერთი იხრი-
და მეორეზე. სვე. ყოველი ღონის
ღონება. უკიდურესი გაჭირვებისათ-
ვის გაძლება საწადელის მისაღწევად.
„ის ფიქრობდა, რომ წლევანდელს
წელიწადს მოსავალი არ მოვიდა, ასე
რომ სათესლეც არ მოსდით, მაგრამ
იმის შვილები გველის ფხაში
გამოძვრებოდნენ, სადაც იქნე-
ბოდა, იშოვნდნენ თესლს და დას-
თესდნენ წლევანდელს ანეულებს“
(ს. მაკობლიშვილი, I, 25).

• **გველის ქერქვი გაძრომა ის.** გველის
ფხაში გაძრომა.

• **გველის წიწილა პრე.** გველის შვილი.
სვე. ავი, მოლალატე. დაუნდობელი
ადამიანი. „რაო, რისთვის მოეთრი-
ვი, შე ძალღის ნათრეგო! აიღგით
განა ენა! დამაცადე, თუ შენი ცოლი,
ის გველის წიწილია, ძალღებს
არ ვათრევიწო!“ (ილ. პავლევიძე, II, 287).

• **გველის ხვრელში გაძრომა ის.** გველის
ფხაში გაძრომა.

• **გველი შემიწვა პრე.** შემწვარი გველი
მაქამა. სვე. დამიწვა, მეტად წამიხ-
დინა საქმე, დამლუბა, დამანელა, კე-
რაზე ცეცხლი ჩამიქრო. „არ ვიცით—
ვის უშიზნებს (რუსული გაზეთი „ნო-
ვოე ობოზრენიე“) ამ ფრთოსან ისარს,
როდესაც შვილდსა ჰმალავს, და ეს
ვიცი, რომ ახლო სცემს და თავის

ადგილას მივა. საწყალი ქართველები! ნეტა, ვის რა გველი შეეწვეს? (ილ. კავკაზაძე, V, 184).

გველი უსაზიზღრეს ქვეწარმავლად ითვლება. მისი ქამა ისევე, როგორც ძაღლისა, არ შეიძლება. მაშასადამე, ვინც ამ გველს შეევალება და სხვას ჩუმად შეაპარებს, ითვლება უბოროტეს არსებად, რომელსაც ადამიანობისა არა სცხია რა. კიდევ ამიტომაც ეს თქმა გამომხატველი ვისიმე ხელიდან გამოსული საშინელებასა, როგორც კი შესაძლებელია ადამიანს თავს დაატყდეს, რომლის მსხვერპლი გახდეს, საშინელებასა, რომელიც უდრის ადამიანის დაღუპვას, განადგურებას.

* გველნაკბენივით ჰრღ. თითქოს გველს ეკბინოს. ს.ჯვ. უსომოდ გამწარებულად, შეშინებულად. „ბივიდა მარენიც, შეეხო ტუჩებით მიცვალებულს და დაკრთა. გველნაკბენივით დაიხია უკან: ცივი იყო კანი (მიცვალებულ ქმრისა), ლორწოვანი“ (ე. ბარათვი, ვაოფიანჯები, 201). „დაპკრთები ამა ამბავსა, მართ ვითა გველნაკბენია“ (მ. რუსთაველი, 1261).

გვერდები დაფლვება (ადამიანს თუ პირუტყვს) ჰრღ. გვერდები უჩანს, შეიძლება კაცმა დაინახოს რამდენი გვერდი აქვს. ს.ჯვ. მეტისმეტი გამხდარია. ძვლებს ტყავილა აფარია. მგლ., „ამდენი შინაილობისაგან ისე გამხდარა, რომ გვერდები დაფლვება“.

* გვერდების დაწეღვა ჰრღ. ხელებით ჯგვლემა ან რანდენჯერმე მოქერა გვერდებზე. ს.ჯვ. დარტყმა, ცემა. გალახვა, დაყვივა. მგლ., „ორმა კაცმა ჩაიგვო საწყალი ბიჭი და მაგრად გვერდები დაუხილეს“.

გვერდებში გაჯღღმა ჰრღ. გვერდები გაეცლინთა, გვერდებში შეუვიდა, სისხლ-ბორცში შეეჭსოვა. ს.ჯვ. მავანი აზრი დაეუფლა, მოეწონა, გაუტტკა. „აუფიარობილა ლუარსაბს გული, გაუჯდა გვერდებში და დღე-ქუდამ საამურად უღიტიწებდა, მაგრამ არ იცოდა — როგორ მოეხდინა საქმე“ (ილ. კავკაზაძე, II, 195); „რალა მინდა, თქვენ დაიკერეთ ახალი ტანისამოსი და მე-კი გვერდებში გამიჯდებო“ (ელ. ჩერქეზიშვილისა, „თეატრი“, 1888, № 17).

გვერდელა ლაპარაკი ჰრღ. ტუჩების ცალის გვერდით ლაპარაკი. ს.ჯვ. ცუდად, უნდობლად, გაუგებრად ლაპარაკი. მგლ., „იმის გვერდელა ლაპარაკისაგან ადამიანი ვერც თავს გაიგებს — ვერც ბოლოს“.

როცა ადამიანი თავის თანამოებასეს უპატივემლოდ, აგდებულად ეპყრობა. ეს უპატივემლობა ლაპარაკშიც ეტყობა: აგდებულად ელაპარაკება, მკაფიო ლაპარაკის მაგიერ გამოუღის რალაც ლულულად, ტუჩებს ხანტად ამოძრავებს. ასეთ კაცზე იტყვიან: მავანი გვერდელა ლაპარაკობსო, თითქოს ეხარება კიდევ ეს ლულულად... .

გვერდზე წამოწოლა ს.ჯვ. უსაქმურობა, სიზარმაცე, გაურჯელობა. „კოლო ვართ, თქვენ — ბობოლა... მამ ჩვენ ვინ გაგვატოლა? ჩვენ ბზუილი შეგვშენის... თქვენ გვერდზე წამოწოლა!“ (აკაკი, ოსეული ნაწერები, 54).

გვერდი არ აქტცევა მაგის სიტყვას ჰრღ. გვერდით ვერ ჩაუვლის კაცი მაგის ნათქვამს. ს.ჯვ. უყურადღებოდ ვერ დასტოვებს კაცი მავანის ნათქვამს, მავანმა ქვიანური ლაპარაკი იცის. „დიად — სწორედ! სწორედ ამბობს ვერხვი. გვერდი არ აქტცევა მაგის სიტყვას! — ამბობდნენ ხეები“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 142).

გვერდს გავლა ჰრღ. გავლა ვისამე ან რისამე გვერდით გაუჩერებლივ. ს.ჯვ. თავის შეკავება, ყურადღების მიუქცევლობა. ირაფრად ჩაგდება. „იქ ბევრი იმისთანა წესი დარვიგია, რომელსაც კაცმა ცხვირის მალა აწევით გვერდს არ უნდა გაუაროს, პირიქით, უნდა დინჯის თვლით დაუკვირდეს და აწონ-დაწონვით მოჩხრიკოს“ (ილ. კავკაზაძე, X, 76).

გვერდულად გაღიმება ჰრღ. ცალის მხრით, განზე გაღიმება. ს.ჯვ. გაუბედავად, მორიდებულად, უნდობლად, ნაწილობრივად გაღიმება; დაკნევა. აგდება. მგლ., „მერო ჩემი თავგადასავალი ვუამბე, ჩემმა თანამოსაუბრემ ერთი თავისებურად, გვერდულად გაიღიმა“.

გვერგვინი დიდებოსა ჰრღ. სახელოვნებისათვის თავზე დადგმული გვირგვინი. ს.ჯვ. დიდებულება, სახელოვნება, დამსახურება, ღირსება, თავის

გამოჩენა. „და თუ აქ კრიტიკის შუქს ვერ გაუძლო რუსთაველმა, მაშინ და მართო მაშინ ჩვენ მიერ უჯგოროდ დადგმული გვირგვინი დიდებლისა და სახელოვნებისა უნდა მოესაღოს თავიდან“ (ილ. პავლევაძე, IV, 19ა).

ჩვეულება თავზე გვირგვინის დადგმისა ძალიან იყო გავრცელებული ძველ რომსა და საბერძნეთში. გვირგვინის გასაკეთებლად განსაკუთრებით მუხის, დაფნის, ზეთისხილის, ლეიას და ვაზის ფოთლებს ხმარობდნენ. ამ გვირგვინს თავზე ადგამდნენ ღმერთების ქანდაკებებს, ქურღუნებს დღესასწაულებისა და ნაღივების დროს.

შემდეგში გვირგვინი გადაიქცა ღირსების მაჩვენებლად და თავზე იდგამდნენ ხელმწიფენი, თავადები, დეუმბი, გრაფები, ბარონები, რაინდები.

გზააზნეული ჰრდ. სწორ გზას გადამცდარი, უგზო-უკვლოდ მოხეტიალე, სჭვ. ვისაც ხელი მოკარული აქვს საღმის კეთებაში, ვისაც ბედი ვაუკუღმართდა. „დედ-მამაც იტანჯებოდა, რომ ჰხედავდა შვილის წამებას, გული უკვდებოდათ მათ, აღარავითარ ცდას არ ჰზოგავდნენ, აღარავითარ ხარჯს არ ერიდებოდნენ გზააზნეულნი“ (გ. ბარნოვი, ვარდფანჯები, 236).

გზაასაქცევი ჰრდ. გზის ის აღვლილი, სადაც უნდა გადაუხვიოს მგზავრმა. სჭვ. მოსარიდებელი, მოსაშორებელი, დასაწყვეტი. „არა, ჩემი საყვარელო დაო! ნუ მიწყენ კი და ეგოე აღვლილად გზაასაქცევი, თავიდან მოსაშორებელი არ არის გიორგის ამბავი!“ (ილ. პავლევაძე, III, 112).

გზაგასაყარზე დგომა ჰრდ. დგომა იმ ალაგზე, სადა რამდენინე გზა უჯარედინდება, აქით-იქით გაიყარება. სჭვ. როცა კაცმა არ იცის, რომელ გზას დაადგეს, რომელი აირჩიოს, რა გადასწყვიტოს; ყოყმანი, ორპოფობა. მგლ., „გზაგასაყარზე ვ დგმე ვარ, არ ვიცი, რა მოვიმოქმედო“.

გზადაკარგული ჰრდ. ვისაც გზა დაეკარგება. ვინც არ იცის, საით წავიდეს. სჭვ. უსაშველო, დაღუპული, გაჭირვებული, უღმინებელი, მოხეტიალე.

გზა და კვალი ჰრდ. გზა, რომლითაც დადის კაცი და ნაკვალევი, რომელსაც სტოფებს იმაზე გავლის დროს. სჭვ. საღმეოფობა, ასავალ-დასავალი.

„მაგრამ ტყუილი მოწმე განა ისე აღვილად გაასაღებს თავის ნათქვამს, რომ გზა და კვალი ვეღარ ვუპოვოთ? (ილ. პავლევაძე, IX, 197).

გზად და ხილად ვადება ჰრდ. გზისა და ხილობის გაწევა. სჭვ. გადაცემა ცხოვრებაში საჭირო სწავლისა, ჩვენება უკეთესი ცხოვრებისა, წინამძღვრობა. მეთაურობა. „რაც ცყოფილვართ, ის აღარ ვართ, რაც ვართ. ის ნულარ ვიქნებით... ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მიინც გზა და ხილად ვავედებით“ (ილ. პავლევაძე, I, 168).

გზაზე დადგომა ჰრდ. გზაზე გამოსვლა ანა აუ იმ მანძილის გასაღვლად. სჭვ. საქმის შედგომა, საქმის დაწყება; არჩევა ანა თუ იმ საშუალებისა საქმის შესასრულებლად. „ნეტავი ამ საკებურ გზას დასდგომოდა აქამდინაც და მოკვდად მოეგრა, რაც სათქმელი ჰქონდა“ (ილ. პავლევაძე, V, 61); „ბატონმა მოუწონა ნოაზრება. სხვებსაც ქეუაში დაუჯდათ. ამ გზას დაადგენ“ (გ. ბარნოვი, სამი რომანი, 40).

გზაზე დაყენება ჰრდ. სასიარულოდ გზის ჩვენება. სჭვ. ხელის შეწყობა, შევლა, მოხარება, ხელმძღვანელობა. ჩვენება რისამე, სწავლება, ქულის სწავლება, ხელის მომართვა. „რამოდენადაც დროს ვითარება ნებას აძლევს (ფინანსთა სამინისტროს), ცდილობს საზოგადოება სახელმწიფო აუქკას მოაწიროს და მის საკუთარ ფებსა და გზაზედ დააყენოს“ (ილ. პავლევაძე, VI, 214).

გზათა უკან წანწალი ჰრდ. სწორ გზას გადაცდენა სჭვ. უთავბოლოდ, უგზო-უკვლოდ ხეტიალი, ტყუილად გზის კარგვა, ტანჯვა. „გზათა უკან წანწალში უნდა ამომივიდეს სული“ (მელანი, ბნელო, 87).

გზა-კვალის არევა ჰრდ. სწორე გზიდან აცდენა, უსწორმასწორო გზით სიარული. სჭვ. დაბნევა, შეცდომით მოქმედება. „ამას კი ვიტყვი, რომ ასე გზა-კვალის არევა, აგრე სიტუების ბასზედ ავდება საზოგადო საქმეში, ეგრეთი პასუხი გადაჭრით დაყენებულს ვითვამედ — ვერაფერი ქაზნივია“ (ილ. პავლევაძე, VI, 359).

გზა მრუდო ჰრდ. მრუდ გზით მავალი. სჭვ. უკეთური. უბატონი. „ჩვენის-თანა ბედნიერი განა არის საღმე



ერი? მტვერწყარილი, თავდაბრილი, ყოველად უქმი, უდიერი უზღუდობნი, გზამკრულონი, არგამტანი და ცბიერი" (ილ. კავკაზთე, V, 106).

გზას გადაცდენა ჰრ. გზის დაკარგვა. სტვ. მოტყუება, შეცდომა, დაღუპვა, დაზარალება, ცუდად წასვლა საქმისა. შკლ. „რაკი ერთი გზას გადასცდა, ცუდად წაუვიდა საქმე“.

გზას იქით გადაგდება ჰრ. უჯო ალაგის გადაგდება მგზავრისა. სტვ. ხელის შეშლა საქმეში, უკუღმართად წაყვანა; ღვთის ანაბარა, უმწეოდ, უპატრონოდ დაგდება ვისიმე, დაღუპვა. „ქალებს ნუ ატყუებ, თორე გზას იქით გადაგაგდებენ“ (თ. რახიკაშვილი, მიწერ-მოწერა, 145); „თუ ასე იქნებოდა, რაისთვი ამებგამეზი?.. რაისთვი მომიხიბლე სიცოცხლე და გზას იქით გადამაგდე... არ გიყვარდი და მისხარად მიღიდი. განა? (აღ. ყახხვე, 499).

გზების ზომვა ჰრ. გზების სიგრძის შეტყობა. სტვ. დაუსრულებლივ სიარული, უღვევლ გზაზე სიარული. „ამეორე დღეს შეჯდა ვაფი რაშხედ, გამოეთხოვო ყველას, აიღო თავისი ამბჯარ-ამბჯარი და შეუდგა გზების ზომვასა“ (თ. რახიკაშვილი, ზღაპრები, II, 96).

გზებს მიეცნენ ჰრ. თავიანთი თავი გზებს მისცეს. სტვ. გზებს დაადგინენ სისაიარულოდ; წავედ-წამოვიდნენ, გაიფანტნენ იქით-აქით. „გაიყოლიეს კბილ-ცეცხლიანი ვეფხვი და ვასწიეს, სადაც ვეფხვები ევლუებოდათ, რომ მივიდნენ ვეფხვების თერგში, აქაიქ ამოუზტნენ ვეფხვები და მიეცნენ გზებს“ (თ. რახიკაშვილი, ზღაპრები, II, 81).

გზიანი ჰრ. ადგილი, საცა გზა გაყვანილი. სტვ. ვარგისი, გამოსადეგი; გონიერი, მიხედვრილი, კჳუიანი, ბრძნული, აწონილ-დაწონილი; სამშვიდობოს ადვილად გააყვანი, გაქირვებისათვის თავის დანდწევი. „აღუღდა ქეთელაური კაცია დოვლათიანი, სათხეზის თავში დაჯდების სიტყვა მოუღის გზიანი“ (ვაჟ-ფშაველა, III, 69); „სძრახავდნენ კახსა ბატონსა: საქმე ვერ მოჰყავს გზიანად“ (დ. გუ-რამიშვილი, 69).

ძველ დროს, როდესაც გზების ნაკლებობა იყო და მისვლა-მოსვლა უჭირ-

დათ, გზიანი გულისხმობდა ისეთ ადგილს, საცა ტყე გაკაფული იყო, ნიადაგი გაწმენდილი ეკლისა და ხერგისაგან, და ადვილად, უმარცხოდ, უხიფათოდ შეიძლებოდა, შედარებით, რა თქმა უნდა, ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადასვლა. აქედან, ყოველ კჳუიანურ სიტყვას — გონიერულ თქმას, რომელიც მსმენელს ასწავლის ადვილად მოაწყოს თავისი ცხოვრება, გაქირვებას თავი დააღწიოს, ფონს იოლად გავიდეს. ხატოვანად ჰქვია გზიანი სიტყვა; ან როცა კაცი გონიერულად ირჯება, დაკვირვებით, წინდახედულად აკეთებს თავის საკეთებელ საქმეს, ვიტყვით ხოლმე: „მავანი გზიანად ირჯება“, „გზიანად საქმიანობს“, „გზიანად ლაბარაკობს“.

გზიანის მეტოქე სიტყვაა — უგზო, რაც ნიშნავს ხატოვანად — გამოუსადეგარს, უვარგისს; უგუნურს. უკჳუოს.

გზახე დაყენება ვისიმე ნიშნავს: სწავლებას, დახმარებას, შევლას, კარგის მავალითის ჩვენებას, კჳუის დარიგებას

გზიდან ჩამოცლა ჰრ. გზიდან გზახე გადადგომა, სხვისთვის დათმობა გზისა. სტვ. სხვისთვის ხელის შეუშლულობა. კონკურენციის არგაწევა, აცილება მოწინააღმდეგისა, ხელის-შემშლელის მოშორება; დაბარკოლების ძლევა. „ახლა ძნელი დრო დადგა, ახლები ჩვენზე უკეთესები წარმოდგნენ და იძახიან: „ზებრები ხართ, ენერგია ჩვენ უფრო უნდა გექონდესო, ჩამოგვეცალეთ გზიდანო...“ (თ. რახიკაშვილი, მიწერ-მოწერა, 179).

გზის ანალახება ჰრ. საველე გზაზე ბალახის ამოსვლა. სტვ. გზაზე სიარულის შეწყვეტა, ერთავიდ შინ ჯდომა, აღარსად წასვლა; უსაქმურობა. შკლ. „ამდენის შინჯდომით და უსაქმურობით როსტომს გზა აუბალახდა“.

გზის ავლა ჰრ. გზაზე გადახვევა, სხვა გზით წასვლა, განხე გადასვლა. სტვ. შეუხვედრელობა, თავის მორიდება ვისთვისმე ან რისთვისმე. „ვისაც თვალში გლახად ეჩხირება (ჩემი ვოგო), გზა აუაროს, სახლში ხომ არავის ექრება!“ (ან. ერისთავ-ხოშტარია, მიწა, 286); „არ უამა ბარძიმის დანახვა, შესაძლებელი ყოფილიყო გზას აუტქეცვდა“ (ვ. ბარნოვი, სამი რომანი, 222).

გზისაკენ თვალები დამაწყდა პრ. ვი-
სიზე ლოდინით ან ყურადღებით თვა-
ლები დაძეოდა. სტვ. სულ დიდხანს
ველოდი. „ოქროთლას და მაროს
ილას გზისაკენ თვალები და-
აწყდათ. იქნებოდა თორმეტი სა-
ათი, რომ მოვიდა ილა შინ, ძალზედ
აღელვებული“ (მელანია, ბნელი, 64).

გზის აქცევა ის. გზის ავლა.

გზის გაგნება პრ. სწორე გზაზე და ე-
გომა. სტვ. თავის შებვა, მოციენტა-
ცია, გამარჯვება, საქმის მოგვარება.

გზის გადავლა პრ. საველე გზაზე მო-
სიარულეს წინაშე გადასვლა. სტვ.
დაბრკოლება, ხელის შეშლა, მოწი-
ნააღმდეგობა. „წინდაწინ ვიცოდი,
ამისთახი ამბავს დამაწყვდა მაგ შე-
ჩვენებული!.. ტყუილად კი არ დამე-
ცეცხლა, ეზომი რომ ფეხი შემოდ-
გა... შენმა სიცოცხლემ, შენ მე გზა
გადამაბრო“ (დ. კლდიაშვილი, II, 73).

გზის გადაღობვა პრ. გზაზე ღობის
გაგლება. სტვ. დაბრკოლება. ხელის
შეშლა, წინააღმდეგობა. „ღუღის
ძილს სალი კლდეები არაგვს მუქაში
სწორავენ, არ უნდათ ქვევით გაუ-
შვან, გზას უღობავებს, სუქუქა-
ვენ“ (ვაჟა-ფშაველა, IV, 276).

გზის გავლა პრ. გზაზე სიარულის და-
სრულება. სტვ. თავგადასავალი, საქ-
მის გაკეთება. „შენ რომ გზა გა-
ვივლი, ის ჩვენ აღარ გვარგია;
და ის ჩვენთვის ცუდია, რაც რომ
თქვენითვის კარგია“ (აკაკი, რჩეული ნა-
წიგები, 54).

გზის გაკაფვა პრ. გასაველეად გადა-
ქცევა გზისა. სტვ. დაბრკოლებათა
ძლევა, საქმის მოგვარება, მიზნის მიღ-
წევა, სწავლება, დახმარება, წინამ-
ძღვრობა, გამოსვლა, თავის დაქერა.
„მე არც მისი მეზინიან, სოფლის ქი-
რის სანაცვლო ვყო, მ.გრამ არ მინ-
და ხელში ჩაუვარდე მტერს იმ დრომ-
დე, წინამ არ შევასრულე ჩემი გუ-
ლის წაიღოსა, წინამ სრულად არ
გავუქაფავ სოფელს გზისა“
(ს. მგალობლიშვილი, II, 156).

გზის გაღვევა სტვ. მოგზაურობის და-
სრულება, სვლის ბოლო. „ნახებარი
ცხოვრობის გზა გავლიე, სიტყბო-
ება მწარე მეტი დაველი;“ (აკაკი,
ერთოშეფული, 90); „ამათ ლაპარაკით
გზა გალიეს. მიუახლოვდნენ ვე-
ნახს, რომელიც კარგა მოშორებითა
ჰქონდათ“ (აწ. ვრისთავ-ბოშტარია, მიწა,
51).

ლევა, გაღვევა, საერთოდ ნიშნავს
მოკლებას. დასრულებას; მოუძღურე-
ბას, დასუსტებას. ამ შემთხვევაში ამ
ზმნას მნიშვნელობა აქვს გზის ანუ მგზავ-
რობის, სიცოცხლის დასრულებისა,
ბოლოს მოღებისა, გათავებისა.

გზის გატანა პრ. მანძილის გავლა ერთი
წერტილიდან მეორემდე. სტვ. სურ-
ვილის ასრულება, მიზნის მიღწევა,
საქმის მოგვარება. „რაც შეეხება
სპარსეთის ეკონომიურს ვითარებას,
ამ მხრივ იგი ვერ იტყვის ჯერ, რომ
ჩემით ვფიქრობ და ჩემით გზა გა-
მაქვსო“ (ილ. ჰაგვაიაძე, X, 80).

გზის გახანა პრ. გზიდან დაბრკოლე-
ბათა მოშორება და ზედ თავისუფლად
გავლა. სტვ. დაბრკოლებათა მოშო-
რება, თავისუფლად გავლა, თავისუფ-
ლად მოქმედება, ხელისშეუშველო-
ბა. „უბედურება რომელიმე ერისა,
დიდი ერი თუ პატარა, სხვათაშო-
რის — ისიც არის, როცა ერთგვარს
ბეზლობას, რომელსაც პოლიტიკურ
ბეზლობას ეძახიან, დიდი ავალი მიე-
ცემა. ფართო გზა გაეხსნება
და აღებ-მიცემობის სახანდ გახდება“
(ილ. ჰაგვაიაძე, IX, 3).

გზის დაგდებინება პრ. ვინმე რომ გზა-
ზე მიდიოდეს და არ გაატარო. სტვ.
ხელის შეშლა, აკრძალვა რისამე, მი-
ტოვებინება, ხელის აღებინება რა-
ზედმე. „მე წავალ, მამა, მე არაფრი-
სა მეზინიო, აბა მე დამხედეს ის
ვილაც არის, თუ თვითონ იმას არ
დავაგდებინო გზა ეო!“ (თ. რაზი-
კაშვილი, ზღაპრები, I, 33).

გზის მამალი პრ. ურმით მგზავრობის
დროს წასაყვანი მამალი. სტვ. დროს
მაჩვენებელი. „გზის მამალი ამის
(პეტრეს) შვილის ურემზედ დიესვათ,
პირველობაც ურმის ქარავანში ამის
შვილისათვის მიეცათ“ (ილ. ჰაგვაიაძე,
III, 9).

ძველად, როცა რკინიგზა არ იყო,
შორს მანძილზე (ქალაქში, მარილზე,
შაბზე) რომ წავიდოდა ურმის ქარა-
ვანი რაიმე საქონლის წასაღებად თუ
მოსატანად. ვინც უფრო გამოცდილი
ნავალი და გამჭოიბი იყო, იმის ურემ-
ზე მამალს დასვამდნენ ხოლმე, რომ
მამლის უცილს გათენების მოახლოება
შეტყობინებინა მეურმეთათვის. ამ
გზის მამალს ილ. ჰაგვაიაძე, (III, 9) ასე
ავგიწერს: „მეურმების საათი გზაზედ—



მამალია. უფრო ხშირად, ვისაც პირველობა აქვს ქარავეანში, მამალიც იმას უბის ხოლმე. ურმის ქარავეანში პირველობა, ესე იგი, წინა ურმის მეურმეობა, გლეხობაში სასახელოა, რადგანაც მართო კარგს, გზის მკოდნეს, სანდო მეხერეს და კაი ხარ-კამეჩის პატრონს ანდობენ ხოლმე მაგ პირველობას*.

გზის მაჩვენებელი პრ. ვინც გვასწავლის, რა გზით ვიაროთ. სტვ. კჰუის მასწავლებელი, დამრიგებელი, თვალის ამხილველი. „ცოტა გვაქვს სკოლა, თეატრი, ბანკები სოფლებისაო, გზებით და ქუჩნალები, მაჩვენებელი გზისაო“ (ი. დავითაშვილი 236).

გზის მიცემა პრ. გზაზე თავისუფლად გატარება (ვისიმე). გზაზე არგადლობება. სტვ. შველა, დაუბრკოლებლობა, დახმარება, გაქირავებისაგან სსნა. „ამ ბიჭებსაც ღერითმა გზა მისცათ“ (მელანია, მამა ჭრისტფორი, 12).

ადამიანის ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს გზა, მოგზაურობა, სვლა ერთი ადგილიდან მეორემდე. ხოლო გზის მიცემა ნიშნავს: გზაზე თავისუფლად სიარულს, დაუბრკოლებლად სვლას გათვალისწინებულ მიზნისაკენ, თვეთ ამ მიზნის მიღწევას, გულის წადილის ასრულებას, საბოლოო გამარჯვებას.

აქედანაა დღევანდელ ჩვენს სასაუბრო ენაში დარჩენილი თქმა გზის მიცემა. და ამ თქმაში დარჩენილია პირვანდელი მნიშვნელობა გზისა და მასთან დეკავშირებული მომავალი იმედი არსებობისათვის ბრძოლაში გამარჯვებისა, ცხოვრებაში ლელოს გატანისა.

გზის მოქრა ის. გზის შეკერა. **გზის პოვნა პრ.** გზის აღმოჩენა, გზის მიგნება, ნახვა. სტვ. საშუალების აღმოჩენა მიზნის მისაღწევად. „ჭიჭირობდა პავლე და სწულდა. მაგრამ გზა ვერ ეპოვნა, ამიტომ ყველაფერი ისევ ძველებურად, ისევ თავის გზით მიდიოდა“ (ლიარალი, მამულუკი).

გზის ქონა პრ. გზაზე სიარული. სტვ. ხსნა, ფონს გასვლა, გამარჯვება, შეძლება მიზნის მიღწევისა. „სხვა გზა მაინც არა ჰქონდა (ანოტს) დალონდებოდა ულონოდ თავის აღმშრდელის წინაშე, საგმირო საქმეთა მასწავლებლის წინ“ (სტ. ბატონოვი, სამი რომანი, 223).

გზის შეკერა პრ. გზაზე რაიმე საბრკოლის დადგმა, ვასავლელის არდატოვება, რაიმე საცერელი შეკერა. სტვ. ხელის შეშლა, დაბრკოლება, დაუხმარებლობა, წინგადიდობება. „განთმპარნეს ლეშქარნი, გზანი შემიკვრნეს ნავითა“ (შ. რუსთაველი, 604). „ავის ზნის კაცს ეს იმედი (თავის დაძვრინისა) აქეზებს და ათამაშებს, და საჭიროა ამ იმედს გზა შეეკერას, ეს იმედი ჩამოართვან ქუჩრდას და ავაზაკას“ (ილ. ჭავჭავაძე, VIII, 273).

გზის შეშლა პრ. სწორ გზას აცდენა, სხვა გზით წასვლა. სტვ. გამორღებება საქმისა, აზრისა, სისწორის დაბრუნება. „ჩვენ აღრევაც გვეთქვამს, რომ ენლანდელს დროს რაღაც ხიფათი შეემთხვა და ადამიანის ლოლიკამ გზა შეშალა“ (ილ. ჭავჭავაძე, IX, 98).

გზის ჩვენება ის. გზაზედ დაყენება.

გზის ხსნა პრ. გზის განთავისუფლება, თუ შეკრული იყო; აცილება დაბრკოლებისა, რომელიც თავისუფალი სიარულს უშლიდა. სტვ. თავისუფლება, დაბრკოლების აცილება. „ნამსახურს ჯილდო მიეცეს, მაშინ მეფის გზა ხსნილია“ (ილ. ერისთავი, II, 72). **გიჟანა ხომ არ გიქამაია?** სტვ. ხომ არ გაგიტედი, ხომ არ გადაიოიცი? მგლო, „რა ვადარეუღივით იქცევი, ნეტა ვიცოდე, გიჟანა ხომ არ გიქამაია?“.

გიჟანა, იგივე ქაღალე ყურძენა — belladonna შხამიანი მცენარეა; ზომიზე — შამალია, მოჭარბებული — საწამლავე. მისი ქამა კაცს თითქოს აგიტებსო.

გიჟი მქობს? პრ. სიგიჟის სენი მაქვს მყურლი? სტვ. გიჟი ხომ არა ვარ? „როცა ყველგადადგებული მოვა ჩემთან კაცი, მაშინ რასა იქმნს, რომ არ მომცემს იმ სარგებელს, რასაც მოეთხოვ? ბაბათს დავაწერიებ, მოწმებსაც ხელს მოვაწერიებ, მაგრამ გიჟი მქობს, რომ ფულიც მოწმეებთან ვავაბარო მსესხებელს!“ (მელანია, ნაგარდობა).

გირაო ქვაბივით დაათრევენ პრ. დასაგირავებულ ქვაბივით ყველგან დააქვთ. სტვ. რაიმე საგანი ყველგან და ყველთვის რომ ატარო, ადგალსა თუ უადგილოსა.

სოფლად ქვაბები ჩვეულებრივ სპილენძისა იყო და გაქირავების დროს ხე-

ლის მოსანაცვლებლად ისეთ ქვაბებს უფრო ადვილად იგირავენდნენ. პატრონებს ხშირად უხდებოდათ სახლიდან მათი გამოტანა და დაგირავება მეზობლობაში. ამიტოვაც ყოველი სავანი, არსაც ხშირად ეპოტინებოიან და აქა-იქ ატარებენ, გახდა დასავირავებელი ქვაბის სინონიზად.

გირაო წალდივით მივდებული ჰრდ. და-გირავებული წალდივით უყურადღებოდ მიტოვებული სადმე კუთხეში. სჯვ. უპატრონოდ. ავდებულად მიტოვებული, ზედ რომ არაინ უყურებს. ამ ვაებატონებმა სოხუმი და სოხუმის ქართველობა გირაო წალდივით მივდებული დაინახეს და რაც უნდათ, იმას გაიძახიან“ (ენობის ფურცელი, 1903, № 2285).

ფულს რომ ეცხებებოდა მეზობელი მეზობელს, სესხის უკან დაბრუნების გარანტიად გლახისათვის ოჯახში ყველაზე საჭირო ნივთს — წალდს უტოვებდა. დაგირავებულ წალდს ვინც იგირა ვებდა, არ ხზარობდა, და ისიც ევდო თავისთვის სადმე კუთხეში უჩინრად უპატრონოდ, უყურადღებოდ. სახამ პატრონს მისი გამოსყიდვა არ მოავონდებოდა.

გირაო წალდის მდგომარეობა ეღარება ადამიანს, საზოგადოებაში ყოველსავე მნიშვნელობას მოკლებულს, რომელსაც ყურადღებას არავენ აქცევს, რომლის არსებობა ჩალადაც არაეის მიაჩნია.

გიყვარდეს! ჰრდ. შეიყვარე! სჯვ. აკისრულდეს, რაც შენ გიყვარს, რაც გესიამოვნება, რასაც ნატრობ. მგლ., „სუფრას ვუსხდეთ, რა საქმელები, რა ღვინობები! გიყვარდეს... ესვით და ვილხინეთ!“.

ეს ფორმა იხმარება გამოსახატავად იმ მდგომარეობისა, როცა ნატრობა სავსებით ასრულებულია, როცა ადამიანი სავსებით კმაყოფილია რაიმე სასურველი სავნის მოპოვებით თუ დაპატრონებით.

გიშრის თვალი ჰრდ. გიშრის ფერი. სჯვ. მეტად ლამაზი შავი თვალი. „ბევრი თავადიშვილის ქალი ინატრებდა იმის (პევიას ქალის) ჯეირანივით მოღებულ ყელს, იმის გიშრის თვალსა, იმის გიშრის თმასა, ლერწამს ტანსა, მარილიანი რამ იყო იემ საუბედუროდ!..“ (ილ. პევევაძე, II, 92).

5. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი.

გიჩვენებ თამაშს ჰრდ. გიჩვენებ, როგორ უნდა გართობა. სჯვ. მუქარა: გასწავლი ქუას, გასწავლი, როგორც უნდა მოიქცე!.. „ეს დალოცვილი ღმერთი იმას აძლევს ბატონობას. ვინც არ იცის? უნდა ვიყო, გიჩვენებდი თამაშს“ (ილ. პევევაძე, III, 204).

გიცნობთ, რა კოჭებიცა ხართ! ჰრდ. ვიცი, რამდენადაც გეუხაროთ სათამაშო კოჭებს. სჯვ. ცუდები ხართ, ბევრი არაფერი შეილები ხართ! (ხალხი) გაიძახის: „ჭეე, შეილოსა, ათასიც რომ ითვალთმაქცოთ და იძახოთ: „აქეთ, იაფათო, მოხარშულსაც გიცნობთ, რა კოჭებიცა ხართ“ (ლახვაიძე, „ივ.“, 1895, № 190).

გლახა იხ. ლარიბა.

გლახა ჭრიაშვილი ჰრდ. სახელი და გვარი გლახისა. სჯვ. კაცი. რომელიც ეოთს ამბავს რადენჯერმე თავიდან იწყებს და თავის დაუსრულებელი ლაპარაკით მსმენელს გულს უწყრილებს, ვერ უთქვამს — საქმეს სადა აქვს თავი და სად ბოლო.

გლახა ჭრიაშვილი ილ. ჭევევაძის „გლებთა განთავისუფლების პირველი დროის სცენების“ მოქმედი პირია, შემდეგში კი ვადაიქცა ისეთი ადამიანის ტიპად, ვინც ერთ ამბავს დაუსრულებლივ მოჰყვება ხოლმე და კი აღარ ათავებს.

გლოვის კარავი ეღა ჰრდ. სამელოვის არც კარავი გაუკეთებია შიგ დასაჯდომად. სჯვ. მწუხარება, დიდი სადარდებელი რამ აქვს. გლოვიარება. მგლ., „მის ოჯახს წინათ იმდენი რამ უბედურება დაატყდა, რომ გამუდმებული გლოვის კარავი ეღა“.

ძველად, როცა მიცვალებული ესვენათ სახლში, თუ მიცვალებული ქალი იყო, ქმრისათვის ცალკე კარავს აკეთებდნენ. მიცვალებულის დასაფლავებადმდე ქმარი შიგ იჯდა, არცა სვამდა, არცა სუამდა. არც არავის ხმას სცემდა ტირილსა და გლოვაში ატარებდა დროს ამ სავანეებოდ მისთვის დადგმულ „გლოვის კარავში“.

გოგი-მაგოვი ჰრდ. მაგოვთა ქვეყანა და გოგი — მათი მეფე. სჯვ. მრავალნი. ძლიერნი, გავლენიანნი, ქვეყნის დამპყრობნი. მოპსვრეღნი. „ნუ ენდობით ნურასა აღ იქმან თეორის ქვისრის! — შენ მოსასპობლად მოჰგრაგნის ძალას უთვლეულ-უზომოს? გოგი-



მაგოგნი მოზღვაველება შენს ჩასან-
თქმელად, ჩვენ მაქინებლად“ (ვ. ბარ-
ნოვი, გიორგი ხაკაძე, 34).

მაგოგი ხალხი იყო, თანახმად
„დაბადებისა“, მეტად ძლიერი. ცხოვ-
რობდა ისრაელთა ძეზობლად. მათი მე-
ფე გოგი, იგივე მთავარი მოსოხთა და
თუბალთა, სპარსელებსა და კიმერი-
ელებთან ერთად დაეცა პალესტინას.
მაგოგებდ იგულისხმება აგრეთვე კავ-
კასიის ქედს გადაღმა მცხოვრები ხალ-
ხები. შემდეგში გოგისა და მაგოგის
სახელით იწოდებოდნენ ყველა მოძა-
ვალი აურაცხელი მტრები სასუფევე-
ლისა ღვთისა (გამოცხადება იოანესი
XX, 8). შემდეგ გოგი-მაგოგი და-
ერთება მოზღვავებულ. ძლიერ, ქვეყნის
დამპყრობ ხალხს.

• გოგრა ჰრდ. მოსტენულის მსხვილი ხილი.
ს.ჯვ. ვითომ კეკუიანი! „კიდევ რად
ეჯავრება სოფელს მამისახლისი? მადა,
რომ წამდაუწუმ იძახის: „მე სხვილი
გოგრა მაქვს, მე სხვა კაცი ვარ,
მე სხვა ფიქრი, შორს გამშვრეტი
ფიქრი მაქვს...“ (ვაჟა-ფშაველა, V, 204).

• გოდოლის აგება ჰრდ. კოშკის აშენება.
ს.ჯვ. სიფრთხილე, მტრის დასახვედ-
რად მოზნადება. „რეფე წაბრძანებუ-
ლა ოჯახში, თუ ქალმა მოხიბლა და
დაავიწყა აღთქმა... მაშინ ახლად
დაგვირდება გოდოლის აგება
და უფრო მკვიდრადაც...“ (ვ. ბარნოვი,
გიორგი ხაკაძე, 170).

გოდგოთა ჰრდ. მთის სახელი. ს.ჯვ. წამე-
ბის, ტანჯვის აღგილი თუ საქმე,—
თვით წამება, დაუსრულებელი ტანჯ-
ვა. „განა ყველას შეუძლიან ზიდოს
ჯვარი გოდგოთად, თუნდ სხვის
დახმარებით“ (ვ. ბარნოვი, სამი რომანი,
618).

გოდგოთა მთა იერუსალემის
ახლოს, პალესტინაში, სადაც, სახარე-
ბის თანახმად, ჯვარს ეცვა და ივნო
ქრისტე. ქრისტეს ტანჯვა-წამება ქრის-
ტიანისათვის უსახვრო ტანჯვადაა მიჩ-
ნული და ყოველ ასეთს ტანჯვას ხა-
ტოვანად ამიტომ დაერთება ქრისტეს წა-
მების მთის სახელი — გოდგოთა.

• გოდვა ჩაგვიღვა ყელში ჰრდ. ყელი
გავიშრა, უფრობაა ჩვენს ყელში.
ს.ჯვ. სმა გვინდა, ღვინო გვწყურია.
მგლ., „თამადა, ღვინო გვაცხეთ თორემ
გოდვა ჩაგვიღვა ყელში...“
ლხინის დროს, როცა თამადა და-
იგვიანებს საღვებრძლოს თქმას, ნარ-

თაულად ეტყვიან ასე და მოგონებენ
თავის მოცულობას — მოსუფრალათო-
ვის ღვინის დაღვეინებას.

გოდიათი, გოდიათობა ჰრდ. სახელი ფი-
ლისტიმელთა ბუმბერაზისა. ს.ჯვ. ბუმ-
ბერაზი, მეტად დიდი ტანისა და
ძალ-ღონის კაცი. „ხელთქმნილნი
გოლი თონი განხურებელის ჯავ-
რით შეჭურებდნენ დიდებულ კლდეს,
რადგან იცოდნენ, რომ მოკლე ხნისა
იყო მათი არსებობა მის შედარებათ“
(ვ. ბარნოვი, ტფალისის ანარქიული, 2);
„ესთქეთა, მკლავთა და გულთა შე-
ძლო ეს გოლიათობა, საკვირვე-
ლი ის არის — რა ქონებამ გაუძლო
ამისთანა ყოფასია?“ (ილ. ჰაქვაძე, V,
202).

გოდიათი ფილისტიმელთა ბუმბე-
რაზი იყო, რომელიც, თანახმად დაბადე-
ბისა, ისრაელთა მეფე დავითმა მოპ-
კლა შურდულით.

• გომბიო ჰრდ. დიდი ბაყაყი. ს.ჯვ. უშნო,
ულამაზო (უშმთავრესად იტყვიან ულა-
მაზო გოგობე).

გონების მოგება ს.ჯვ. გონიერების და-
ბრუნება, დაქვეინება, ცნობიერად
გახდობა. „შუქური უკვე მოპგე-
ბოდა გონებას, თითქმის დაწყ-
ნარებულყო; ღონე მოეკრიბა, თა-
ვის ჰაზრს თუ გრძნობას კვალად და-
უფლებოდა“ (ვ. ბარნოვი, სამი რომანი,
605); „ახლა ჩემო ძმებო, დამშვიდ-
დეთ, ქუთას დაუსმეთ, გონს მო-
ეგეთ და ჩვეულებრივად მუშაობას
მიჩვევით ხელი“ (ს. მგალაღლიშვილი,
წარსულიდან, „შობაზე“, 1899, II, 95).

გონების მრუშობა ჰრდ. გონების გაყალ-
ბება, ცუდ გზაზე დაყენება. ს.ჯვ. სი-
მართლის, სისწორის ღალატი, ტყუ-
ილის გასაღება სიმართლედ, საერ-
თოდ სიყალბე. „ჩვენ გვგონია, რომ
იმ პატარა გემების სამსახურს აღვი-
ნად გაუწევს ჩვენს ქვეყანას ჩვენი
პატარა „დროება“, თუ რომ იგი არ
მიიკარებს იმ სენს, რომელსაც ჰქვი-
ან სხარტე სახელი — გონების
მრუშობა“ (ილ. ჰაქვაძე, VI, 2a).

გონების ქროლა ჰრდ. გონების მოძრა-
ობა ქარივით. ს.ჯვ. გონების არსებო-
ბა, მოძრაობა, მუშაობა, ფიქრი.
„სხვაგან ჰქრის მისი გონება,
მისმან თავისმან წონაჰმან“ (მ. რუსთვე-
ლი, 89).

• გორა-გორა ჰრდ. გორათა მსგავსად, გო-
რებად. ს.ჯვ. აუარებელი, სულ ბიწ-

რი. „გორა-გორა ეყარა მკვდარი ცხენი...“ (გ. ბარნოვი, გიორგი სააკაძე).

გორგასლის ხმალი პრ. მეფე ვახტანგ გორგასალის ნაჭერი ხმალი. სტყ. ძლიერი, ღონიერი, შეუბოვარი, შემმარტებელი, მტრის დამთურგენელი, მოძრველი. „... გორგასლის ხმალია ეს მტრის სისხლს ჩვეული, სისხლთა ნაცხებით დარულ-ქედული. არ უმტყუნო!“ (გ. ბარნოვი, სანი რომანი, 272).

ვახტანგ გორგასალი საქართველოში მიფე იყო V საუკუნეში, მაღალი, მხარბეიანი. გოლიათისერტი ტანისა. დიდ ფიზიკური სიძლიერის კაცად აგვიწერს მევატიანე, ხმალიც, რა თქმა უნდა, თავის ტანის საფერი ჰქონია, უზარმაზარი.

დღეს გორგასლის ხმალი სინონიმია სიძლიერისა, მტრისაგან მოურველოვნისა. ვახტანგ მეფისათვის გორგასალი ანუ მგელ-ლომი მტრსახელად დაურქმევიათ ბრძოლაში მისი გასაოცარი ვაჟკაცობისა და შემმართველობისათვის.

გრძელი ენა სტყ. ბევრი, ზედმეტი ღაბრააკის მოყვარული ენა. „მაგრამ უკაცრავად... რათ იქნება მარო საწყალი და საცოდავი? დალახეროს ღმერთმა გრძელი ენა და დაუყენებელი პირი!“ (ნ. ლომოური, მოთხრობები, 452).

გრძელი სუფრა პრ. გრძლად გაშლილი სუფრა. სტყ. დიდხანს რომ უსხედან ისეთი სუფრა, გვიანობამდე აულებელი სუფრა. „კუნწულასა დაუძახეს, სუფრას გაუშლიან გრძელსა“ (ა. უმიკაშვილი, I, 144).

გუგულივით სტყ. მკურდრი, მშვიდობიანად, სხვის გაუხანაყინებლად ყოფნა. „... ცხოვრობდა გუგულივით; მისი მაღალი ხმა არავის გაუკრია. — სწორედ ანგელოზთა ეს უკრთხულის შვილი! — იტყოდნენ ხოლმე მეზობლები“ (გ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 167).

გუგული მშვიდ და უწყინარ ფრინველად ითვლება.

გულა (ლანძღვისა ანდა ტყუილებისა) პრ. გამოუქელი ტყავი თხისა, ხბოსი და მისთანათა, ტომრის სახით შეკერილი, ყველის ჩასადებად, სითხის (თაფლის, ერბოს, მაწვნის) ჩასასხმელად ან რამე-რუმეს წასადებად გზაში. სტყ. ბევრი, მრავალი. „ჩვენ

კი თქვენი აშფოთება, თქვენი წყენა აინუნშიაც არ მოგვდის, თუნდ მთელი გულა ტყუილებისა ზედ თავზე დაგაბერტყოთ თქვენის სახელის გატეხისათვისაო“ (ილ. ჰავაგაძე, ჰათა ლაღვი, 16).

გულა ძველსძველი საგზაო ჭურჭელია, ერთი ადგილიდან მეორეში რამე-რუმეს გადასატანად. — იძროინდელი, როცა მცენარეულის ან ბევრეულის ქოვილისაგან ხურჯინების ან ჩანთების ხმარება ჯერ არ იცოდა ადამიანმა. ჩვენებური მწყვესები დღევანდლამდე გულას ხმარობენ ჩემოდნისა და ხურჯინების მაგივრად.

გულად ამოღება პრ. გატყავება გულის მსგავსად, წინიდან გაუჭრელად. სტყ. წვალება, ტანჯვა, მოკვლა.

წერილფება საქონელს (ცხვარს, თხას) ორნაირად ატყავენ: 1. ყელიდან მოკიდებული ბოლომდე (წინიდან) გასჭრიან ტყავს და ჯერ წინა ფეხებზე შემოაქლიან, მერე — მთელ სხეულს (ხურჯიდან) და უკანა ფეხებს; როცა ტყავი უნდათ ხალთა-გულისა ან ტიკისათვის, ამოიღებენ გულად ან ოთხში, ე. ი. დაჭავენ ან კისრიდან, ჯერ მხრებზე გადააძრობენ, შემდეგ — მთელ ტანზე ბოლომდე. ეს მეორე წესი გატყავებისა მეტად საწყალებელია და გაატყავებლისაგან მოთხოვს დიდ სიმარჯვეს და გავრქეციბულ ენერჯის დახარჯვას.

თვით თქმა იხმარება, როგორც მუქარის ფორმულა, როცა უნდათ გამოხატონ უზომო ტანჯვა, რომელიც უნდათ მიაყენონ, ვისაც ემუქრებიან. ასე იტყვიან: „მისამარ, ჩუმად იყავ, თორემ გულად ამოგიღებო!“

გულამშიერი პრ. ვისაც გულა ცარიელი აქვს. სტყ. ღარიბი, უქონელი, საწყალი, ცარიელი, ხელმოკლე, ვაჭირეზული. „წილი, წილი, შე გულამშიერიო ღიბერალო, შენა!“ (ს. მაგალობლიშვილი, II, 66).

გულას ხმარობენ სურსათ-სანოვანის გადასახლად. „მშიერი“ აქ იხმარება ცარიელის აზრით. მაშასადამე, გულამშიერობა ანუ გულაცარილობა ნიშნავს სურსათ-სანოვანის. საერთოდ საქმლის უქონლობას ანუ უკიდურეს სიღარიბესა და ხელმოკლეობას.

გულა-ნაზადის აკრეფა იხ. გულა-ნაზადის წამოკიდება.



გულა-ნაბადის დაბერტყევა პრ. რაც გულაშია (საგზალი), ყველაფერის წამოყრა, შიგ არაფერის ჩატოვება. ზვ. მთელი ცოდნის და თავისი უპირატესობის გამოჩენა ვინმეს წინაშე, თავის განსწავლულობის გამოჩენა მკურნებელთათვის. „ქრებაზე წასვლა დამიგვიანდა. დღეს უნდა გულა-ნაბადი დავაბერტყო კრებას“ (ს. მგალობლიშვილი, II, 65).

ძველად სადმე გზად რომ მიდიოდნენ ქვეითად, საგზალს ცოდნითადაც ხოლმე. ამ საგზალს ვადასატან-ვადმოსატანად ხმარობდნენ თხის ან ხმოს დურა ტყავის გულდას. რაც უფრო მეტი ქაბადი და სმადი იყო გულაში, მით უფრო თამამად მიიბიჯებდა გულის პატრონი, რომელსაც იმედი ჰქონდა გზაში არ მოშვიდებოდა და ამ მხრივ არ გაუჭირდებოდა. აქედან ხატოვანად გულის სავსება თუ სიკარგიელ გადამიქცა როგორც მატრიიალური, ისე გონებრივი შეძლებულობის თუ უძლეურობის აღმნიშვნელად.

გულა-ნაბადის წამოკიდება პრ. ზურგზე მიმაგრება გულისა და ნაბადისა სამგზავროდ. ზვ. თავის ქონების წამოკიდება სადმე წასასვლელად. „ასე, რის ვაი-ვაგლახით და ქაპანწყვეტით გაატარა (სპასოვიჩმა), როგორც იყო, ერთი წელიწადი. ახალ წლის დამდღევი კი ველარ მოითმინა: წამოკიდა და თავის გულა-ნაბადი და გამოეარდა ქალაქიდან, ჩაჯდა რკინის გზის მატარებელში და გასწია“ (ს. ლომოური, მოთხრობები, 235).

ძველად, როცა ქვეითად მიდიოდნენ სადმე, გულაში პურსა და ყველს ჩაიდებდნენ, ნაბადს დაახვევდნენ და ორსავე ზურგზე წამოკიდებდნენ და გაუღებოდნენ გზას. გულა-ნაბადის წამოკიდება სინონიმა მგზავრობისა.

გულაში ხომ არა ვხსნედვართ პრ. გულაში ხომ არ ვხსნე ჩასმულნი (რომ ვერაფერსა ვხედავდეთ)! ზვ. განა გაუგებარნი ვართ! ჩვენი ვიცით რამე! სხვაზე ნაკლები როდის ვართ!

გუთანი გაუკიდე (მიწას) იხ. გუთანი შევბათ.

გუთანი შევბათ პრ. რვა წყვილი კამეჩებისა და ხარების შებმა გუთანში მიწის ხვნის დასაწყებად. ზვ. კამასის, განსაკუთრებით, ღვინის სმის დაწყება, მძიმედ შედგომა ქეიფისა.

„გზათა ვართ, აბა ახლა-კი შევბათ გუთანი! პური გავტეხთო და!“ (ავ. ცაგარელი, 253).

გუთნის შებმა, ე. ი. მძიმე, ნელ-ნელა გასაკეთებელი, მძიმედ გასათავებელი საქმე შედარებულია ჩვენბურ ქეიფთან, რომელიც მძიმედ იწყება, მძიმედ მიდის და მძიმედ თავდება, თუ გავიხსენებთ ძველებურ ღვინის სმას, რომელიც მეტად გაქიანურებით იცოდნენ.

გუთნის გაშლა პრ. სახნავე მიწა, რომელზედაც გუთანი და შიგ შემბული ხარ-კამეჩი გაიფინება. ზვ. 400 (და-ახლოებით) ოთხკუთხი მეტრის ფართობი სახნავე მიწისა. „ქალებს დასთრევთ კულები, თითო გუთნის გაშლაზე... წინ ჯიბე, უკან ჯიბე, კიდნ ჯიბე ბაშაყაზე...“ (რაფ. ერისთავი, IV, 280); „ეს პოსტის ადგილი სულ ახლოა, რომ ორის გუთნის გაშლა ც არ იქნება“ (გრ. ორბელიანი, წერილები, II, 53).

აღმოსავლეთ საქართველოში მიწის მოსახნავეად გუთანში რვა უღელ ხარ-კამეჩს უბამდნენ. ამათ რომ უღელში შეიბამდნენ და გამწყრივებდნენ ქაპნის გასაწევად, დედამიწის ან ფართობის სივრცეს, რომელზედაც ხარები გაფენილი იყვნენ ანუ რომელზედაც გუთანი იყო (იგულისხმე: თეთი სახნავი იარაღი და მის გასაწევად შებმული საქონელი) გაფენილი, გაშლილი, ეძახდნენ გუთნის გაშლას, რაც, დაახლოებით, უდრის 400 ოთხკუთხ მეტრს. ასე რომ, გუთნის გაშლა ძველად იყო მიწის ზედაპირის ზომის ერთგვარი ერთეული და ითვლებოდა ამ ზედაპირის სულ მცირე რაოდენობად. სულ ღარიბ და სახნავ-სათეს მიწის უქონელ გლეხზე იტყოდნენ: „ერთი გუთნის გაშლა მიწაც არ აბადიაო“.

გულამომჯდარი პრ. გული ყელისაკენ რომ იყოს ამოწეული. ზვ. სლუკ-სლუკით მოტირალი. „მოტყუებული ბაღლი ტირილით შეაქებოდა და ის კი ლილემ არ უბრუნებდა. გიორგიც მამის იქ ყოფილიყო და ბაღლებთან თამაშობდა თურმე. ყური მოპკრა ბაღლის გულამომჯდარს ტირილსა“ (ელ. ჰაჭავაძე, III, 50).

გულამოსკენილი იხ. გულამომჯდარი.

გულახდილად ჰრღ. გულდაუხურავად. ზტვ. პირდაპირ, დაუფარავად, უყოყმანოდ, გულწრფელად, უნიღბოდ. „პირდაპირ და გულახდილად... ვაქრობენ...“ (ილ. ჰავაჯაფი, ქვათა ლაღად, 62).

გულბაათი ჰრღ. სახელი კახელი თავადიშვილისა. ზტვ. კაცი, ვისაც ბევრი ღვინის სმა ემარჯვება. „მომიბრუნდა ჩვენი ლაგონტი არდაზიანი და მელბნება: კაცო, რა შენი საქმეა ქართველობა, მერე მაგასთან, ევროპიელთანაო? არა, რა გულბაათი შენა ხარ, რომ ალავერდს მიღიხარო? მართლა, მე და ჩემმა ღმერთმა!.. მაგრამ ვინ იცოდა, თუ ის ამღვინს დაღვედა და არც დაითვრებოდა...“ (ავაჯი, I, 83).

გულბაათი — სახელია ერთი კახელი თავადის — ქავჭავაძისა, რომელმაც დიდი სმა იცოდა თურმე ღვინისა. ვინც კარგად სვამდა ღვინოს, კახეთში გულბაათს ეძახდნენ. ამ გულბაათ ქავჭავაძის ერთხელ რუსთხელმწიფე ალექსანდრე III სწვევია და გაკვირვებული დარჩენილა მისი მუცლის ტუგადობისაგან. მერე თურმე ალექსანდრეს გულბაათი პეტერბურგში სასაბლემო მიუწვევია და იქაც გაუკვირვებია მაყურებლები ღვინის სმით.

ერთხელაც მოხსელი აზნაური იოსებ ყავრიშვილი სწვევია გულბაათ ქავჭავაძის სტუმრად და სმამი გაჯიბრებულიყუნენ. ბარი-ბარს გამოსულყუნენ და მერე გულბაათი იგონებდა თურმე: ჩემს სიცოცხლემი მარტო იოსებ ყავრიშვილი გამიტოლდაო.

ასე რომ, ქართულში გულბაათი დარჩა ბევრი ღვინის მსმელი კაცის სინონიმად.

გულგატეხილი იხ. გულის გატეხა.

გულდახურული ზტვ. გულში დარღვარამის ჩამრჩენი, დასეციდინებული, დაფიქრებული, დაღრღინებული, ვინც სხვას არ უმჯობენებს თავის ზეწაიდას. „ამისი (უმცროსი ძმის) შავი და ღრმა თვალები მკვახედ გამოიყურებოდნენ, წარბმეკრული იყო და გულდახურული, თითქო რაღაცას თიმენსო და თავის თავს ძალას ატანსო, შინაგანი ამღვრეულობა არავის ამცნოსო“ (ილ. ჰავაჯაფი, III, 4).

გულზედ გადავდება ჰრღ. გულიდან მოშორება. ზტვ. დაფიქრება. „ის დღე

იყო და მას აქეთ ველარ გამოვბრუნდი, არ იქნა, ველარ გადავივდი გულზე ეს შემთხვევა“ (ავაჯი, I, 47).

გულზე გახეთქვა ჰრღ. გულის გაპოზარამდენიმე ნაწილად. ზტვ. გაბრაზება, დაღრღინება, დაღარღინება, „ქუჩაში რომ შემხედვებინ, ჩემ „ლაქიას“ ეუბრძანო, რომ ჩემ მიგერ იმან დაუქრას თავი. მაშ! შენ-კი იძახი: ღვე, რაც უნდა სთქვანო! თვალს მოვთხრი, და გულზე გავხეთქაე“ (ავაჯი, ცაგარელი, კომედიები, 267).

გულზედ დადგომა ჰრღ. გულს ზემოდან რომ დააწვება რამ. ზტვ. გაჯავრება, დაღარღინება, დანადგლიანება. „მე ნამეტნავად გეგენას ბიჭი მადგებეა გულზე, მენხირება თვალში ეკლად“ (მულანია, ნავარდობა).

გულზე დაჭედვა ჰრღ. დანით გულზე ქლის გაკეთება. ზტვ. კარგად დახსომება, დანიშვნა, არ დაეფიქრება, მოგონება. ზგლ., „ჩემი ნათქვამი გულზე კარგად დაიქდიე!“

გულზე დაჭედული ჰრღ. დანით გულზე ქლდეკეთებული. ზტვ. კარგად დახსომებული, ღრმად გულში ჩამტეხილი. „იმას წყლული გვიან გაუშთელდება; თუ გაუშთელდება, წყლულისაგან ტკივილები ისევ ახსოვს, გულზე იქცე დაქდიეულო“ (ს. მგალობლიშვილი, II, 138).

გულზე დაწოლა იხ. გულზე მიწოლა.

გულზე ვარდის გადაფენა ჰრღ. ვარდით დაფარვა გულისა, ზტვ. უსაზღვროდ გახარება, ნეტარება, დაუსრულებელი სიხარული, სიამოვნება. „ეთერსაც იმის (დარისპანის) დანახვაზე გულს ვარდი გადაეფენა და ისეთის სიამოვნებით მიიღო ახალგაზრდა, თითქო სწორედ იმას ელოდაო“ (გ. ბარნოვი, ვარდფანჯები, 217).

გულზე ვახატივარ ზტვ. დიდი სიყვარული და რიდი აქვს ჩემი. „თავადიშვილს მკე არასოდეს გულზე არ ვებატე, მამის შვილი არაა? მაგრამ დღეს კი რაღაც განსაკუთრებული არეულობა შევატყვე“ (უიარაღო, მამულეჯი, 48).

გულზე კბენა ზტვ. გულის ტკენა, მწუხარების მიყენება, დაღარღინება. „ამ წერილმა გულზე უკბინა ფარნაოხს. სხვებიც ყველანი დაიღონა“ (გ. ბარნოვი, სამი რომანი, 81).

გულზე ლურსმნად დგომა პრ. თითქოს გულს ლურსმანი დაგვეჯენიაო. სტვ. ტანჯვა, წვალება, წამება, ხორციელი ვნება. „ანტონი ძალიან სდევნიდა ილიას, მისი სახელი გულზე ადგა ლურსმნად“ (ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 92).

გულზე მოვიდა პრ. გულამდე ამოვიდა. სტვ. გაბრაზდა, განისხდა, გაანჩხლდა. „გიორგიმ ამის თქმასზე ფეხი კიდევ წაჰკრა (მოჯამაგირეს). მოჯამაგირე გულზე მოვიდა“ (ილ. ჰავევაძე, III, 54).

გულზე მოშვება პრ. გულს რომ მოშორდეს, გული რომ განთავისუფლდეს. სტვ. დამშვიდება, დაწყნარება, შვების განცდა. „უცოდველი ვინ არის?! ისეთისაგან კი ღმერთმა მიხსნა,—უპასუხა შეიღმა. დედას გულზე მოეშვა“ (ილ. ჰავევაძე, III, 66).

გულზე დიწოლა, გულზე მიწოლა სტვ. დარდი, ქმუნვა, ნაღველი, ფიქრი, წუხილი, კეთიანი. „ამიტომაც აღარ ეხვეწებოდა მამას, რო ეთქვა, რაც გულზე დიწევს“ (ილ. ჰავევაძე, III, 120); „ეგ იმითომ, რომ ამ სამშენი ილა კავევაძეა, რომელიც თვალში ეკლადა სჩრია და რომლის ჯაგრი გულს მოსწოლია და არ ასვენებს“ (ილ. ჰავევაძე, IX, 187).

გულზე მოქიდება პრ. გულს დაბლაშვება. სტვ. გულის დაწყვეტა, შეცოდება. „აქ დასამალი რა არის, ყველანი ჩემი შვილები ხართ, სიღარიბით. ქვრივ-ობრობით გამოზრდილი ხართ, ყველანი გულზე ერთხანად მომექიდებით“ (გ. ჯანაშიაძე, ნატკრითვალა, „ივ“, 1904, № 261).

გულზე ნისლის შემოწოლა პრ. ნისლის მოფენა გულზე. სტვ. დანალვლიანება, უიმედობა, დაპარდიანება, მწუხარება. „დაუკარ, ჩემო ჩონგურო, გულს ნისლი შემომწოლია“ (ხალხური პოეზია, I).

ზოგჯერ ნისლი ისე სქელია, მისი გაუმქვარვალება იმ ზომამდე ძლიერია, რომ ადამიანი თავის წინ ვერაფერს ხედავს. ნისლი სიმბოლოა ბუნდოვანებისა, უხილაობისა, არეულ-დარეულობისა. ნისლის შემოწოლა გულზე გულისხმობს შემოჯარვას ყოველისავე უიმედობისას, მწუხარებისას, გაურკვევლობისას, ბუნდოვანებისას.

გულზე მოფონება პრ. გულზე მოშვება. სტვ. დამშვიდება, დაწყნარება, ლელვის შეჩერება. „გულს ეფონათ ჩასაფრებულებს, მოახლოდნენ, მოვიდნენ სავსე ხურჯინებით დატვირთულები“ (ე. ბარაშვი, გიორგი სააკაძე, 182).

გულზე ქონის მოკვრა პრ. გულის განსუქება. სტვ. მოლონერება, ძალ-ღონის მოკრეფა. „გაირბეული ვირი დასეირნობდა მთასა და ბარს თავისუფლად. ვირმა გულზე ქონი მოიკრა, როგორც ხეითაც მოვისენიეთ“ (ვაჟა-ფშაველა, V, 255).

გულზე ქონის მოხვლა ის. გულზე ქონის მოკვრა.

გულზე ცეცხლის მოკიდება პრ. გულზე ცეცხლის გაჩენა. სტვ. გაბრაზება, დადარდიანება, ვაცეცხლება. გაანჩხლება. „გასილი რომ მოიგონებდა ხოლმე წართმეულ მამულებს, მოიგონებდა, თუ რახანაოდ მის მამაპაპას ჩამოართვეს მამულები და სხვის მიჰკერძეს, ცეცხლი მოეკიდებოდა გულზე და, მთლად ბრაზით აინთებოდა ხოლმე“ (ს. მგალობლიშვილი, 119); „მიფეს გულთა ცეცხლი მოედვა და ჰკითხა: „იგი რამ მოჰკლავ, რა დაესენია?“ (საბა ორბელიანი, 43).

გულზე ხელის დაკრეფა, გულხელის დაკრეფა პრ. აულზე ჯვარედინად ხელების დაწყობა. სტვ. უსაქმურად გაჩერება, უმოქმედობა, გაუნძრევლობა; გლოვა. „აქაური სომხები დიდის გულმოდგინებით მოეკიდნენ სომხურის სცენის საქმეს და ამბობენ, პირველ გასაწყობად ათასი თუმანი ფული მოაგროვეს და კიდევაც აგროვებენო. არც ქართველობა და იაკრიფა გულზე ხელი. ქართველობის მოყვარეები ამასვე სცილობენ“ (ილ. ჰავევაძე, VI, 46); „დაღონებულა თვედორე, გულხელი დაუკრეფია; გამწრალსა, გამწარებულსა, ცრემლი არ უჩანს მჩქეფია“ (რაფ. ერისთავი, I, 153).

როცა მიცვალებული ჰყავთ სახლში, ქრისთფლების მზერი ვარეკული გამოხატულება მგლოვიარობისა და მწუხარებისა გულზე ხელების დაკრეფაა. გულხელდაკრეფილობა სიმბოლოა მიცვალებულისა, რომელიც გულხელდაკრეფილი ასვენია კუბოში, სიმბო-

ლოა უსაქმური კაცისა, რომელიც ხელებს უნძრევლად იქდევს გულზე.

ეს მიცვალებულივით გულხელდაკრეფილობის მნიშვნელობა უდევს სარჩულად იმ ცრუმორწმუნეობას, რომლის ძალით ცუდის მომასწავებელია ჩვეულებრივ ოჯახში ხელების დაკრეფა გულზე და ისე დგომა. დაინახავენ თუ არა გულხელდაკრეფილს, დაუყოვნებლივ დაუშლიან და ეტყვიან გულიდან ხელების ჩამოღებას.

გულზე ხელის მოხმა ჰრ. ხელის გადავლება გულზე, მიტარ-მოტარება ხელისა ვინმეს გულ მკერდზე. სვ. მოალერსება, მოფერება, გამხევეება, ნუგეშის ცემა, მუარველობის გაპოცხადება. „მე რომ მოწყალე არა მყავს, გულზე მომისვას ხელია“ (ა. უმბიკაშვილი, I, 226).

გულზე ჯავრის წოლა სვ. დადარდინება, დანაღვლიანება, მწუხარება, ჯავრისაგან შეწყობა. „რაც უნდა გაჯავრებული მოვიდე სახლში, რაც უნდა ჯავრი მაწვეს გულზე და პირი არ მეღებოდეს, მოვა ჩემი ცოლი, ისეთს სიტყვას მიტყვის, ისე მომეტყევა, რომ სულ სიცილით დავსუსტდებიო“ (თ. რახიკაშვილი, ზღაპრები, II, 53).

გული არა მაქვს ჰრ. ჩემს სხეულს გული აკლია. სვ. არ მინდა, გუნებაზე არა ვარ, ხალისი არა მაქვს. „შენ წადი, მე არ მესხალისება სიერობა“ (ვ. ბარნოვი, ტულიისის ანთოლოგი, 106).

გული არ მეჩჩის ჰრ. გული არ მემორჩილება, არ მემოწმება. სვ. გული უარს მეუბნება, გულადი არა ვარ. მგლ., „რა ვუთხრა მოხუცებულობას, გული არ მეჩჩის“.

გული ბუღებს დაიდვა ჰრ. გული საგულეში მოათავსა. სვ. არაფრისა ემიინია, არხეინადა, არაფერი ადარდებს, არაფრის ეფიქრება. „სხვაგან თუ ასაფრენზე იყო ხოლმე გარსეყანი ცოტანობით და ხელის დაქნევას ელოდებოდა, №-ის ნაწილში გული ბუღდეს და იდვა, კარგა ხანს უდგნო, დვრიტა მოიკიდა, ფეხი მოიბოძიწკა“ (ფან. მერაბეშვილი, კოლა მშველიშვილი, „ივ.“, 1903, № 203).

გული გაჰყვა ჰრ. (ჩემი) გული იმას გამოუდგა. სვ. ძალიან მომეწონა, უზომოდ შემეყვარდა, მისი სიყვარულით დაბნედილი ვარ. „დღესა ერთსა და-

ვინახე, მას ვეტრფივალე, ჩემი გული გაჰყვა და მან გამხადა“ (საბა ორბელიანი, 156).

გული გულის ადგილას აქვს ის. გული საგულეში მაქვს.

გულიდან ამორეცხვა სვ. დავიწყება, ხელის აღება, შეშულება, შეგობრული კავშირის გაწყვეტა. „გვედრები, გზიდან ჩამოშეცალე. გულიდან უამომარეცხინებ შენს სიყვარულს, შენს ერთგულებას და ინაცვალე ჩემი ობოლი თავი“ (ილ. ჭავჭავაძე, II, 115).

გულიდან ამოღება ის. გულიდან ამოხოცვა.

გულიდან ამოხოცვა ჰრ. გულში არ განჩრება, გულიდან მოშორება. სვ. მოშულება, დავიწყება, შეჯავრება, გადამტერება. „არ შემომღიან ერთის მათჯანის განწირვა, იმათი გულიდან ამოხოცვა“ (ს. მაკაბლიშვილი, მოგონებანი, 147).

გულიდან გადავარდნა სვ. გადავიწყება, ხსოვნის დაკარგვა, მოუგონებლობა. „კოდალა ნაირ-ნაირ ამბებით შეაქცევდა, მაგრამ ქათმები კი მაინც არ გადაუვარდა მამალს გულიდან, იმათი ხსოვნა ისე ჰქონდა შენახული გულში, როგორც ნაცარწყაყრილი ნაკვერჩხალი“ (ვაჟა ფშაველა, VI, 214).

გულიდან დარდის გადაყრა სვ. გამხიარულება, უდარდელობა, კარგ გუნებაზე დადგომა. „ეს იყო მიხეზი, რომ ყმაწვილმა დარდი გადაიყარა გულიდან და მხიარულად დაადგა გზას. მიდიოდა, მიიმღეროდა, მიქროლებდა“ (ვ. ბარნოვი, სამი რომანი, 94).

გულიდან ლოდის აცლა (ან მოშორება) ჰრ. მძიმე ქვის გადაგორება გულიდან. სვ. უდარდელობა, სამეფუნარო ამბისაგან თავის განთავისუფლება. „რომ იტყვიან კარგად საქმის მოყვანას, ამას იტყვიან! იფ! მოსვენ! ძლივს გულიდან ლოდი არ აიციალე!“ (ილ. ჭავჭავაძე, მუჟანკალი, 388).

გულიდან ჯავრის გადაყრა ის. გულიდან დარდის გადაყრა.

გული თავის ადგილას აღარ მიდგება ჰრ. გული ამომძრავებული მაქვს, ერთ ადგილას არა ჩერდება. სვ. ვლეღავ, დამშვიდებული არა ვარ. „შენი კი



არ ვიცი და მე-კი, სწორედ ვითხრა, ჩემო თითივე, გული თავის ადგილას აღარ მიდგება სიხარულისაგან, — უთხრა თითას თამარამ“ (ილ. ჭავჭავაძე, III, 239).

გული მეკარგვის ჰრდ. გული მეტლება, მშორდება. სჭვ. გული მისუსტდება, გული მიღონდება.

გული მითქვამს ჰრდ. გული მეუბნება. სჭვ. წინასწარ გრძნობა მაქვს, წინასწარ ვგრძნობ.

გული მიმწევს ჰრდ. გული მეზიდება იქითკენ. სჭვ. მომწონს, მესიამოვნება, მიხარის ვისიმე ყურება. „რა ვქნა, დათქო, ხომ კარგი ქალია შექუერი, ხომ ლამაზიც არის, კეთილიც, გამრჯელიც, კარგი ოჯახისაც, მაინც გული ვერ შემიწყვია მასზე, გული არ მიწევს მისკენ: შექუერი ის არ არის, რომელსაც მე ვევიძ“ (გ. ბარნოვი, ტფილისი აზრდილე, 91).

გულის აგორება ჰრდ. გულის მიერ ადგილის გადანაცვლება საიდანმე გორების საშუალებით. სჭვ. სიყვარულის შეწყვეტა, ორგულობა, მტრობაზე გადასვლა, გულის აცრუება. „ისე აიგორა გული, ისე უცნაურათ გამოიცვალა მასთან ხასიათი ჩემმა აბესალომ, რომ აღარავისათვის დამალული აღარაა მათი ამბავი...“ (დ. კლდიაშვილი, II, 39).

გული საგულეში მაქვს სჭვ. არაფრისა მეზინია, არაფერი მადარდებს, არაფრის მეფიქრება, არხეინად ვარ, გულადად ვარ. „სინანულისა და განხითხვისათვის აღარც გული გვაქვს გულის ადგილას და აღარც ჭკუა — ჭკუის ადგილას და ვიძახით წარამარად — დრონი მეფობენო!“ (ილ. ჭავჭავაძე, IX, 75).

გულის აღდება სჭვ. გაბრახება, გაბზროტება ვიხედმე, გაწყრომა, შეშფოთება, გამძვივება, აღელვება, გაჯავრება, განცდა რაიმე ძლიერი გრძნობისა. „ვეზირი ღეთის მავედრებელი, ჭკუის და სიბრძნის მრჩეველი ჰამას და რა კაცმა თავისი მტერი დაინახოს, გული ახუდუდებს და ჭკუა და მცნება დაფანტოს“ (საბა ორბელიანი, 63).

გულის ამოხკვნა ჰრდ. გულის შეკვანძვა. სჭვ. სლუკუნით ტირილი, გულამომჯდარი ტირილი. „... ამოხკვნა გული და დაალტო დახავ-

სებული კედელი ციხისა მისმა მღულარე და წყაროსავეთ მომდინარე სისხლის ცრემლებმა“ (ს. მაგლობლივილი, II, 33).

გულის ამოჯდომა ჰრდ. გული რომ ბუდვან დაიძრას და მაღლა ამოიწიოს. სჭვ. გულის აჩვილება, გრძნობათა აშლა, ატირება, აღელვება, სატირლად განმზადება. „ყოველივერი სიზმარივით თვალწინ წამოუდგა, გული ამოუჯდა და ყმაწვილივით ტირილი დაიწყო“ (ჩაუ. ერისთავი, III, 6).

მწარედ ტირილის დროს სულთქმა მოკლე-მოკლე ხდება და თან ასეთი შეგრძნობა, თითქო გული მაღლა იწვედეს და სულაც „ამოჯდომას“ ლამობდეს.

გულის აყრა ჰრდ. გულის მოშორება, ზედაპირიდან აშორება გულისა. სჭვ. მიზერება, შეძლება, ნდობის შეწყვეტა, გულის აცრუება. „დადა ყურს არ უგდებს, მიდის თავგადასვლივლი, მიემუკრება. როგორ გულცივობს! ნუ თუ გული აიყარა თავის საყვარელ შეილზე?“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 231).

გულის ბუხრის ამოყრა სჭვ. დარღვა-რამის გაზიარება სხვისათვის, თავის მწუხარების შეჩვილება და გაჭარბება, ვისიმე ჯავრის ამოყრა, მტრის შურისძიებით მოსვენება, მისთვის სიავის შეურჩინელობა, სამაგიეროს გადახდა. „კვირა დღე იყო და უღლიდან გამოშვებული ხალხი ენას ანძრევდა, ქარს იღებდა, გული ს ბუხარს ყრილობდა, ტყინს ავორჯიშებდა, აზრსა ჰმახეავდა“ (გ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 10).

ადამიანის წარმოდგენით, დარდი, მწუხარება, სიხარული, სიძულელი, ჯავრი, ერთი სიტყვით, ყოველი დადებითი თუ უარყოფითი გრძნობა ადამიანის გულ-მკერდში გროვდება, ხოლო თვით გულ-მკერდი ხატოვანად დადარებულია ბუხარს, როველიც, კვამლის მსგავსად, მაღლა უშვებს გამოსანზევებლად შიგ დაგროვილ თითოეულ ამ გრძნობათაგანს და ენა-პირის საშუალებით სხვას უზიარებს.

გულის გაჯრილება ჰრდ. გულისათვის სითბოს მოკლება. სჭვ. უღარდებობა, უზრუნველობა, ბაღისის დაჯარგვა, გულის აცრუება, მომბრახება. „ამ ათი წლის განმავლობაში ქალებს



ყოველწლივ შექმნდათ პარლამენტი ერთი და იგივე თხოვნა, და პარლამენტი ყოველწლივ ერთსა და იმავე უარს ეუბნებოდა. აბა ვის არ გაუგრილდებოდა გული და ვინ არ დაქარაგვდა სასიკეთისა? (ილ. კუპაძე, X, 275).

გულის გადაღვა პრ. გულის დაკინება, გულის შესუსტება. სჭვ. მოწყენა, მომბზრება, დადარდიანება. „ბოლოს, ჩარა რომ გაუწყდა, სხვათა თვალქვეშ შეყურებამ გული გადაუღია ნატერისთვალს“ (გ. ყარამანიძე, ნატერისთვალა, ივ.წ. 1904, № 269).

გულის გადაქანება პრ. გულის შენდრევა, შეტოკება. სჭვ. შეშინება, დაფრთხობა, შეწყობა. „გული გადაუქანდა (თიკი) და ხაზი, დამშინდელი სახე ჯერ შეეფერფლა და შუბლზე მარგალიტისებრ წყრილი ცივი ოფლის წვეთები ამოასხდა“ (მ. არაგვისპირელი, რჩეული ნაწერები, 376).

გულის გადაშლა სჭვ. გულში ნადების თქმა, საიდუმლოს გამჟღავნება. „ვერ ხერხდებოდა განცალკევება, გულის გადაშლა: ჩვეულება არ აძლევდა ამის ნებასა“ (გ. ბარნოვი, არმაზის მსხვერვა, 122). იხ. გულის გაღება.

გულის გაერთება (ვისთანმე) პრ. ვინმემ თავისი და სხვისი გული ერთ გულად აქოგის. სჭვ. შეეგარება, ვისთანმე ქარგი განწყობილების დამყარება, დამეგობრება, შეეგარება. „მთლად განმარტოვდა ქალი, თავი გაითავისწინა, გული აღარავის გაულო, არ გაუერთა, არავის გაენდო, აღარავის დაუახლოვდა“ (გ. ბარნოვი, სამი რომანი, 85).

გულის გაკეთება პრ. გულის გაუმჯობესება. სჭვ. გამხნელება, ნუგეშისცემა, წააქეზება. მგლ., „ძალზე მწუხარდ ვიყავი, მაგრამ შემობრუნებ მოვიდნენ, გული გამიკეთეს, გამამხნევეს“.

გულის გაღაზვრა პრ. გულში ლახვარის გატარება. სჭვ. დარღით გაგვება გულისა, უზომო სულიერი ტანჯვაწამება. „ელახვრებოდა გული (იზმაილს). როგორ-ღა უნდა ეცხოვრა განშორებულს ან რისთვის?“ (გ. ბარნოვი, არმაზის მსხვერვა, 15).

გულის გამაგრება პრ. გულის ქცევა მაგრად, ღონიერად. სჭვ. გამხნელება, გამაგრება. „მეც არ ვიცი, რად შეეკრით, მანც გული გავიმამაგრი,

გამოძვერ ეხიდან, და კარვა ყური დაეუგდე“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 146).

გულის გაპარვა სჭვ. გრძნობიერების დაქარაგვა. მგლ., „ეს სამწუხარო ამბავი რომ მითხრეს, გული გამეპარა“.

როცა გული გვეწუხდება, როცა ცნობიერებას ვეკარავთ, ისე ვგრძნობთ, თითქო ჩვენი გული ქურდულად, უჩინრად შორდებოდეს ჩვენს სხეულს, და ვამბობთ ხოლმე: გული მეპარებო.

გულის გახივება სჭვ. გაბრაზება-დარდიანება, გაბოროტება, გაანჩხლება. მგლ., „შენამ დაუსრულებელმა საყვილურებმა გული გამიხივა“.

გულის გასწორება პრ. გულის გატოლება, გულის გათანაბრება. სჭვ. შეთვისება, შეყვარება. „მაგრამ კატარძალმა ვერ შეითვისა საქმარულთ; თავიდანვე აითვალისწუნა ცალყურა-ანთ ქერა; გული ვერ გაუხსწორა ვერც კაცებს, ვერც ქალებს, ვერც ყმაწვილებს“ (გ. ბარნოვი, ფერად-ფერად, 203).

გულის გატეხა პრ. გულის დამსხვრევა, გულისათვის მთლიანობის წართმევა. სჭვ. უმიდოდ დარჩენა, სასოწარკვეთა, შეშინება, დაღონება. „ქურდობისა და ავაზაკობის მოხდენის დღიდან გარჩევის დღემდე იზოდენა ხანი გადის, რომ დაზიანებულსაც ლოდინით გულს უტეხს“ (ილ. კუპაძე, VIII, 261).

გულის გაღება, გულის გახსნა პრ. გული დახურული რომ აღარ იყოს, შიგ შესვლა რომ შეიძლებოდეს. სჭვ. გულწრფელიად თქმა ყველაფრისა, რაც ადამიანს გულში აქვს, საიდუმლოს გაზიარება, არაფრის დამალვა, გახარება, გამხიარულება, დარდის უქუსრა, გულის დამშვიდება, სიამოვნება, მწუხარების დასრულება. მგლ., „ჯერ მიმალავდა, მერე გული გამიღო და შიგ ჩამახედა“; „მიველ და გული გავუხსენი, ყოველივე გუამბე“.

გულის გაძლევა პრ. გულის მიერ ძალის გამოჩენა. სჭვ. მოთმინება, წინაღმდეგობის გაწევა, გაძლევა. „ბანს ეზოვს ნიშანში ამოდებული ჰაყის ქართველი და როგორ გაუძლოს გულმა, რომ თავს ლაფი არ და-

ასხან, თუ შესაძლებელია!..“ (ილ. ჰეგ-
პეაჰე, ჰეათა ლაღადი, 114); „პართველსა
გულმა როგორ გაუძღოს
ოდეს შეენება თქვენი იხილოს, რომ
თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს, რაც
უნდა გზისა ეშურებოდეს!“ (ნ. ბაბათა-
შვილი).

გულის გაწვრილება პრდ. გულის მო-
ცულობის დაქინება. სტვ. ნერვების
აშლია, გაღიზიანება, დაღონება. მგლ.,
„იმდენი მეჩინა, გული გამი-
წვრილა“.

გულის გაწყალება პრდ. წყალად, სი-
თხედ ქცევა გულისა. სტვ. ერთისა და
იმავს განმეორებით, ნირშუეცე-
ლელი ლაპარაკით თავის მობეზრება,
დასუსტება გულისა. მგლ., „დაიწყო
ერთისა და იმისავე ლაპარაკი, და
იმდენი ილაპარაკა, პირდაპირ გუ-
ლი გამიწყალა“.

გულის გახეთქვა პრდ. გულის გაგლეჯა,
დანაწილება. სტვ. შეშინება, შეზარ-
ვა, შეძრწუნება. „ლექებს კრიჰაში
ჩაუფსხდეთ და მით გაგუხეთქოთ
გული“ (პ. ჟიკაშვილი, I, 70).

გულის გახსნა იხ. გულის გაღება.

გულის დაბნელება პრდ. გულისათვის
სინათლის არიდება, ბნელით დაფარ-
ვა გულისა. სტვ. შეწუხება, დაღონე-
ბა, დანაღვლიანება, დამწუხრება,
სასოწარკვეთა, სევდიანობა. მგლ.,
„ერთობ შეძრწუნებული ვარ, გული
დამიბნელდა“.

გულის დაღება სტვ. მონდომება. „მე
დარწმუნებული ვარ, რომ გზაზედ
ბევრი გაპირებდა მოგველის, მაგრამ
ამ გაპირებების დაძლევა შეუძლიან
საქმისათვის სიყვარულს, გულის
დაღებას და ენერგიას“ (ილ. ჰეგ-
პეაჰე, VII, 20).

გულის დაღება გულის ადგილას პრდ.
გულის მოთავსება საგულეში. სტვ.
უშიშრობა, არხინად ყოფნა, და-
მწვიდება. „ესტატეს ოჯახმა გული
გულის ალაგას დაიდო“ (ს. მგა-
ლიძე, II, 186); „განა არ იყო
ეს აზრი საქები? გული გულის
ადგილას დაიდეს, შიში აღარა-
ფრისა ჰქონდათ“ (შელანი, ბნელი, 62).
როცა კაცი აღშფოთებულია ბრა-
ზისაგან, გულმოსულია, შეშინებულია
ან კიდევ გაზარებულია, ეს სულიერი
განცდა, პირველყოვლისა, მოქმედებს

გულზე, აფორიკებებს მას, არღვევს შინ
წონასწორობას, გამოჰყავს იგი დამწვი-
დებულ მდგომარეობაში: გული საგუ-
ლეში ვიღარ ჩერდება, ბუდეში გე-
ღარ ეტევა, ბორგავს, გარეთ გამო-
ბტომას ლამობს! სულ სხვა, ამის საპი-
რისპირო სურათს ვხედავთ, როცა კა-
ცი დამწვიდებულია. ამ დროს გული
მისი „დადებულია“, ე. ი. გული ერთ
ადგილას, საგულეში, ბუდეში არის,
ალარა ბორგავს, ალარსად მიიწევს.

გულის დაკლება პრდ. გული საცხე არ
იყოს. სტვ. სურვილის საცხებით ვერ
შესრულება, უკმაყოფილება. „ან რამე
გდიოდეს, მით ცრუმლი გდიოდეს
ჩემგნით გულს გაკლდეთ“ (დ. გუ-
რამიშვილი, 249); „შენ მაგისი ნუ გე-
შინიან, არცა არტალას დაგაკლმე
გულსა! — იტყოდა და აასრულებდა
კიდევ ჩენი ლუარსაბი“ (ილ. ჰეგ-
პეაჰე, III, 177).

გულის დაყენება პრდ. გულის გაჩერება
ერთ ადგილას. სტვ. ხსიათის გამო-
კეთება, ყარგ გუნებაზე დადგომა.
„ნეტავი მიერთო რამე ჩაი ხომ არ
გნებაეს, ალექსანდრა-ჯან? — ჰკითხა
მარიამმა: სუსხით ჩაი გულს და-
გიყენებს“ (ლ. არდაზიანი, მორჩილი, 229).

გულის დაწვა სტვ. დადარდიანება, დამ-
წუხრება, დანაღვლიანება. „შენ
ოთხრიგად გული დამწვი, არაშც
მეკი განვახუთო“ (დ. გურამიშვილი, 72);
„მწყემსა უთხრა: „შენ ნუ იურვი, ვი-
საც გული დაეწვის, მე ვიციო“
(საბ. ორბელიანი, 66).

გულის დაჭერა სტვ. გულის მოძრაობის
შეფერხება, შეჩერება გულის ცემისა.
„ესლა ვატყობ, რომ წყალმანიცი მე-
რევა, აი თითქმის გულიც დამი-
ქირა“ (ილ. ჰეგპეაჰე, II, 137).

გულის დახურვა პრდ. გულზე სარქმე-
ლის დაფარება. სტვ. დარდ-ფარაშის
ჩარჩინა გულში, დადარდიანება. და-
სევდიანება, სხვისთვის გაუმგელავენე-
ლობა თავის მწუხარებისა. „ოთარა-
ანთ ქერივი ამ ბოლო ხანებში ჰხე-
დავდა, რომ შვილს გუნება ეცეალა,
უფრო დაიდგომი, უფრო გული
დაეხურო, უფრო ჩაიკეცა, უფრო და-
ნაღვლიანდა“ (ილ. ჰეგპეაჰე, III, 58);
„ქალი წამოდგა მეცხრე საათზე და
გრძნობდა უქიფობასა. გული და-
მხურა, უღონადებოდა, თავებრ ესხ-
მოდა, ბარბაკობდა“ (ლ. არდაზიანი,
მორჩილი, 218).

გულის ვარდი პრ. ვინც ვინმეს გულს ვარდით ასიაშოვნებს. სჭვ. სატროფო, სათაყვანებელი არსება, საყვარელი. „გულის ვარდსაც მიაღწევაში ვეძებდი. ზვიადად მეჭირათავი, ამჟამად“ (ვ. ბარნოვი, ტფილისის აზრდღიფი, 96).

გულის თან ამოყოლება პრ. საგულედან დაძვრა გულისა და პირში ამოსვლა; ამოსუნთქვის დროს გულის ამოყოლება. სჭვ. დარდი, ვაოამი, ნალეელი, კმუნეია „...უთხრა კიტუამ და ერთი ისეთი ამოიოხრა, რომ გული თან ამოაყოლა“ (შ. არაგვის-პირელი, რჩეული ნაწერები, 179).

გულის თუთქვა პრ. მღუღარე წყლის გადასხმა გულზე. სჭვ. დიდი დარდი, უზომო წუხილი, საშინელი სულიერი ტანჯვა. „ეს როგორი სამართალია?... — შესძახა ზურაბამ, რომელსაც, ცოტა არაა, გული ეთუთქებოდა, რადგან ამისაც ჰქონდა ნასყიდობა (მანულისა) და ეწინოდა არ წიართმიათ“ (ან. ვრისთავი-ხოშტარია, მიწა, 242).

დიდი ნალეელი, დიდი სულიერი სიმწარე, რომელიც გულს საშინლად სტანჯავს. უფრო ხელშესახებად წარმოდგენისათვის, დადარებულია მღუღარე წყალს, რომელიც რასაც მოხვდება, რასაც კი გადაეხსნის, გაუფუფქავს, გაუთუთქავს არ გაუშვებს.

გულის კლება (გულს მიაკლია) პრ. გული რომ საეგეობას არა გრძნობდეს. სჭვ. უკმაყოფილება, რაიმეს ნდობა, ნაწყენობა. „აბა რა პასუხია, ნათლია ჩემო! ეს ერთი იყოს და შემდეგისათვის, რაკი მეცოდინება, სხვაწიარად დაეკერ თავდარიგს. ტყუილად კი მიაკლდება გულს; ისიც ფულია, რასაც მიძღვე“ (მელანია, ნავაოღობა).

გულის ღლევა პრ. გულის შემცირება, დაპატარავება. სჭვ. გულის ცემის შესუსტება; ცუდად გახდობა, სიკვდილის მოახლოვება. „ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუზბდება სული, გული ეღლევა, ხოცი იღნება...“ (ილ. ჰაგვაძე, VI, 10).

გულის მოზრუნება ვისკენმე პრ. გულის მოტრიალება ვინმეს მხარეზე. სჭვ. გულის მოღობობა, კეთილად, განწყობილად შექმნა, შერიგება, პატივება წყენისა. „რა წამსაც დაეინა-

ხე, ღმერთია მოწამე, გული შენკენ მომიბრუნდა“ (ილ. ჰაგვაძე, II, 42).

გულის მოზუნება ყელში პრ. გული ამოვიდა, მოედო ყელს. სჭვ. ძალზე გაჯავრება, გაფიცება. „სუტ-კენინას გული ყელში მოებჯინა. თავისი სიფრთხილე, გამოცდილება ამგვარებში და გულის სიგრილე დაპკარგა“ (ილ. ჰაგვაძე, II, 216).

გულის მოგება ვისიმე პრ. ვისიმე გულს შეძება, პატრონობა. სჭვ. ვისიმე სიყვარულის, ყურადღების ან პატივისცემის დამსახურება, თავის შეყვარება. „თუ ამისთანა რკინის გული-სა და მარჯვენის კაცი, როგორც ბისმარკი, სხვა გზით ვერ ახერხებდა ურჩის ხალხის გულის მოგებას, თუ არ თვისმართველობის მინიჭებითა, სხვას რაღა ეთქმის“ (ილ. ჰაგვაძე, VIII, 39).

გულის მოკვლა პრ. გულისათვის სიცოცხლის წართმევა. სჭვ. დაზავება, დაღონება, გამწარება, დადარდინება, კაეშნის გადიდება. „მაშინ, მეფეო, რავდენთ კაცო მართალთ მოუკლან გულნი ტანჯვათ იღუმალთ!“ (ნ. ბარათაშვილი, ბედი ქართლისა).

გულის მოხვლა პრ. გულის ამოძრავება. სჭვ. გაბოროტება, გაზრუნება, გაანჩხლება. „სანამ საქმე კარგათ არ გაიგო, გული არ მოგივიდესო“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, II, 178).

გულის მოფხანვა სჭვ. სანუგეშო, კარგის რაიმეს გაგონება, გულიდან სადარდებლის მოშორება, ვისიმე ჯავრის ამოყრა, სიამოვნება, სიხარული. „(კაცი ის არის) ვისაც სამშობლოს ოხერისთვის ლომ-გული მოეფხანება, ვინც დასთხვეს მისთვის წმინდა სისხლს, მოწამეს დაეგვანება“ (რაფ. ერისთავი, I, 98); „მან (რამაზის კაცმა) მითხრა მოციქულობა — გულისა მოსაფხანია“ (შ. რუსთაველი, 463).

გულის მოცემა სჭვ. გათამამება, გამხნეება, გახალისება, გაგულოვნება, გამამაცება. „წყრომა აღარ სჩანდა იმის (თამარს) ტბა თვალში. სიხარულის სიომ გადამიბრინა გულზედ. ბედმან ჩემკენ მოხივდა. კიდეც გული მომეცა და გახალისებულმა ვუთხარი...“ (ილ. ჰაგვაძე, II, 94).

გულის მოწყვეტა პრ. საგულედან გულის მოშორება. სტვ. დაღონება დადარდინება, დაძმარება. „თამროს ძალიან უყვარდან მამა; რა ესეთ უცნაურ მღვდომარეობაში ნახა, სულ აუტირდა პატარა და ნახი გული; გული მოსწყდა, რომ მამა უმაღლავდა რალაქ უბედურებას“ (ილ. ჭავჭავაძე, III, 199).

გულის სიტყვა პრ. გულში ნათქვამი. სტვ. საიდუმლო, საჩუმოთო, სხვისაგან დასამალი, გარეშესათვის არგასახიარებელი. „აავსებს მეორედ ჩანახს ღამით და დაგროვებს: ეს იმას, ვინც ცოლს გულის სიტყვა უთხრასო“ (თ. რაზიკაშვილი, ხლაპრები, II, 253).

გულის ტენა პრ. გულისათვის ტკივილის განცდევინება. სტვ. წვეწვინება, ცუდ გუნებაზე დაყენება, გაჯავრება. „რა ჭგავა თუ მოყვარესა კაცმან გული არ ატკინოს“ (შ. რუსთაველი, 29).

გულისყური პრ. სასმენელი გულისა. სტვ. ნიჭი, ალღო, მიხვედრილობა. „მე ძალიან მოვწონდი იმ დალოცვილსა, მიქებდა ხოლმე გულისყურს და მიხვედრასა“ (ილ. ჭავჭავაძე, II, 68).

გულის ფიცარზედ დაწერა სტვ. კარგად დახსომება, არდავიწყება. (ის) „შენს სიკეთეს გულის ფიცარზედა სწერს“ (ილ. ჭავჭავაძე, 22, 64).

გულის შევარდნა პრ. ვინმეს გული სხვის სხეულში რომ მითავსდებოდა. სტვ. შეყვარება, მოხიბლება, მოწონება ვისიმე. „ბევრს სოფლის საპატარძლო ქალებს თვალი დარჩენია გიორგიზედ, ბევრს შევარდნია გულდი, ბევრს ჩასახებია გულში იმისი სურვილი“ (ილ. ჭავჭავაძე, III, 43).

გულის შეკუმშვა პრ. გულის დაპატარავება, დავიწროება. სტვ. დაფიქრება, დაღონება დარდი, ნაღველი, მწუხარება, კმუნება. „ქალმა ერთის შეხედვით შეიტყო გრძნობათა რყევა და გულის შეკუმშვა“ (გ. ბარნოვი, ვარდფანჯრები, 233).

გულის შეკლება პრ. გულს რომ დააკლდება სისავსე. სტვ. დაღონება, სინაული. „ზოგნი, იქნება, კიდევ დაჰმარებოდნენ ყაფლანს გავირებაში, მაგრამ ეხლა კი გულს შეაკლდათ. თითქოს გასართობ რასმე მოელოდნენ ასალეღეუბელს, და

იმედი კი არ გაუშართლდაო“ (გ. ბარნოვი, სამი რომანი, 18).

გულის შეტკრა პრ. რაიმე შესაკერვლით მოქერა გულისათვის. სტვ. დარდითა და ნაღველით ავსება, შეწუხება, დაღონება, მწუხარება. „მე პურ არ მინდა, ღედაო, გული შამეტკრა არაღამე, წუხილ ცუდ სიზმრები ვსინჯე, რიგში ვიყოდი საღამე“ (ვაჟა-ფშაველა, III, 77).

გულის შექმნა პრ. გულის გასახიერება, გულისათვის ფორმის მიცემა. სტვ. გუნებაზე დადგომა, სულიერი განწყობილება, დადარდინება, დაღონება. „თქვენს მტერს ექმნას ის გული, რაც მე მაშინ გული მექმნა: ტირილის მეტი არაფერი მაკლდა“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 152); შტლ. „უცაბედად გული შემექმნა“.

გულის შინ დაყენება პრ. გარეთ გაუსვლელად გაჩერება გულისა, გარეთ არგამშვება. სტვ. საშინაო საქმისათვის ერთგულება, შინ გაჩერების სურვილი. „მთელი ოსი და ჩვენბურთი თათარი, სხვადასხვა გარემოებათა გამო, მარტო ხენათესავაზედაა მიმდგარი და აქედან წარმოსდგება მისი ეკონომიური უღონობა, რომელიც გულს შინ არ უყენებს და თვალს გარეთ აყურებინებს“ (ილ. ჭავჭავაძე, VIII, 253).

გულის ჩათხრობა სტვ. გულში ჩახვევა დარდისა, ტანჯვისა, სხვისათვის გაუმელავენებლობა, გაჩერება, დაჩუქება. „ნომრკვეანის დაღვრემილმა სახემ და სიწმემ ხომ მთლად გააცოფა ბატონი, ნეტა თუ რამ ჩაუთხრა გული ამ ხალისიან ყმაწვილს, რამ ჩააჩუმა? ღამის აგრძნობინოს შორით მოსულ სტუმრებს სასახლის უკემურობა“ (გ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 106).

გულის ჩაშავება პრ. შავად გადაქცევა გულისა. სტვ. უზომოდ დადარდინება, დამწუხარება, გამწარება. „... ამან უფრო იმოქმედა დედოფალზედ და ჩაღამებული გული მთლად ჩაუშავა“ (გ. ბარნოვი, არაზის მსხერვა, 9).

გულის ჩაწყდომა პრ. გულის მოშორება ერთბაშად საგულესაგან, და შეცვლილში ჩაყარდნა. სტვ. დიდი მწუხარება, ნაღველი, დარდი, იმედის გაცრუება, სისოწარკვეთა. „ალამ ნახა, რომ იმის

„ჰკვიანს“ მართლა წივა მოუტანიდა და გული ჩასწყდა, მაგრამ მიანც რალასაც ელოდა და არაფერს ამბობდა“ (თ. რახიკაშვილი, ზღაპრები, I, 5).

გულას ჩვენება ჰრდ. გულის დანახევა. ს.ჯვ. მინდობა, დამეგობრება, შეთვისება. „შეხედები სულ უცნობ ადამიანს, რომლის სახელ-სახსენებელი არ ვაგვიგონია, რომლის არსება აზრალაც არ მოგსვლია! შეხედები იმისთანა უცხოს და გაულიმებ, გაეცნობი, გაუცინებ, გულს უჩვენებ, მიენდობი, დაუმეგობრდები, შეითვისებ“ (ვ. ბარნოვი, ვარდფანჯრები, 216).

გული ცემა ჰრდ. გულის მოძრაობა სისხლის მიმოქცევის დროს. ს.ჯვ. სიცოცხლე, არსებობა, სიყვარული, ზრუნვა ვისთვისმე. „მრავალნი ქალნი შეგტრფიან და შენთვის უცემთ გულია“ (რად. ერისთავი, II, 80).

გულის ძილი ს.ჯვ. მაგარი ძილი. „რაკი ღვთისო დარწმუნდა, რომ ფათი თითქმის დამშვიდდა, სწრაფად მიწვა და სწრაფადვე გულის ძილმა წაიღო“ (შ. არაგვისპირული, რჩეული ნაწერები, 214).

გულის წახვლა ჰრდ. გულის მოშორება ადამიანის სხეულს, უგულოდ დარჩენა, გულის მიერ ადგილის გადანაცვლება. ს.ჯვ. დახნედა, უგრძობელობა. ზგლ., „ღედას ორი წლის უნახავი შვილი მოსვლოდა და მეტისმეტი სიხარულისაგან გული წასვლოდა“.

გულის ხმა, გულისხმაში ჩავარდნა ს.ჯვ. ქკუა, გონიერება, ალღო, მიხვედრილობა. „რა გულისხმას მოვა ეს კაცი, იმას მართალი ჰგონია და წავა მესაკირებთან“ (თ. რახიკაშვილი, ზღაპრები, I, 169); „სიკდილო, შენად საქებრად ჩამაგდე გულისხმაშია“ (დ. გურამიშვილი, 193).

ნაწარმოები სიტყვებია: გულისხმობა — მოსაზრება, ფიქრი; გულისხმიერი — მიხვედრილი, ჰკვიანი, ფრთხილი; გულისხმიერიება — მიხვედრილობა.

გულს აწყლოდნენ ჰრდ. გულის აყოლა: გულის კარნახის თანახმად მოქცევა. ს.ჯვ. ბრაზობა, გაფიცება, თავშეუკავებლობა, მოუთმენლობა, დაუფიქრებლობა. „თუნდ ეგეც არ ყოფილიყო, გული გიორგისაგენ უწევდათ,

თუმცა ცემა კი ცემად ედგათ თვალწინ. არ ეცოდნენ, გულს აწყლოდნენ, ოთარანთ ჰკვირვის შიშსა თუ ომარაშვილის ხათრსა“ (ილ. ჰავჭავაძე, III, 56).

გული ყელში ხჩრია ჰრდ. გული ყელში აქვს გახიროლი. ს.ჯვ. მეტად ფიცხია, ცხარია, მალე იცის გაჯავრება. „თორემ აბა თუნდა შეხვედეთ უხვირო მოხელესა ან გზირს, როგორ გული ყელში ხჩრიათ და დიდობენ“ (დ. მაჩხაწელი, ძმური სიტყვა, 75).

გული შემოკენვის ჰრდ. გული საბრალო ხმით მეუბნება რასმე. ს.ჯვ. უბედურებას წინდაწინვე ვგრძნობ, მაფრთხილებს გული. „არა, გენაცვალე მე მაშინვე გული შემოკენვისო და, არ მაძლევდა ეს ოხერი გული ნებას, რომ ჩემი თამრო ცუცოსათვის მიმეცა“ (ს. მაგლობლიშვილი, I, 130).

გული შესტკივა ჰრდ. გული სხვისთვის სტკივა. ს.ჯვ. ებრაღვის, ეცოდება, თანაუგრძნობს, მისი სიკეთე უნდა. „დათო ექვში იყო უწინაც კაკოზედ და ეხლა უფრო დარწმუნდა, რომ კაკო ეხმარება თავის ბატონს და უხლართავს უღონო მამასა საქმესა. თორე რად შესტკივის გული ჩემ უბედურებაზედ? მე ვინა ვარ და ეგ ვინა, რომ შეველა უნდა ჩემი?“ (ილ. ჰავჭავაძე, III, 213).

გული შეუგორდა (ეინმზე) ჰრდ. გული გორებით წაუვიდა რომელიმე საფონსაყენ. ს.ჯვ. მოეწონა, თვალში მოუვიდა, შეუყვარდა. ზგლ., „თეკლე ენახე თუ არა, მასზე გული შემიგორდა“.

გული ხელთ აღარა მაქვს ს.ჯვ. გული დამშვიდებული არა მაქვს, ვიღვავ, ვშფოთავ, გული არ შემორჩილებია. „დღეს კი დილაზედ ტკივილები ისევ ამეშალნენ, არ ვიცი, რა ვქნა? გული ხელთ აღარა მაქვს იმის მაყურებელსა“ (ილ. ჰავჭავაძე, II, 72).

გული ჰკენვის ჰრდ. გულიდან საბრალო ხმა გამოდის. ს.ჯვ. გული იტანჯვის, დარდობს, ეწვალბა, მკმუნვარება, მწუხარება. „სული დრტვიანეს, გული ჰკენვისის ამაო ლოდინის გამო“ (ილ. ჰავჭავაძე, VI, 152).

გულმკვდარი ჰრდ. ვისაც გული ცოცხალი აღარა აქვს. ს.ჯვ. მკვდარი. „ვერა ჰხედავ, შე გულმკვდარო, რომ ვინც კია, წილებზედ ფეხებს

იდგამს და დღის სარჩოს ძლივასა ჰშოულობს და შენ როგორ-ღა გარჩინოს!" (ილ. ჭავჭავაძე, III, 39).

წყველაა: გულმკვდარო! ე. ი. მოგიკვდეს გული, ანუ: შენაც მომკვდარხარ, ცოცხალი არ გადარჩენილიყავ!

გულმოკლული ჰრდ. გულისთვის სიცოცხლე წართმეული. ზვ. დაჩაგრული, დაღონებული, გამწარებული. «საბრალოა სიყვარული, კაცსა შეიქმს გულ-მოკლულად» (შ. რუსთაველი, 41).

გულნაკლული ჰრდ. გული სავსე რომ არ ჰქონდეს. ზვ. უქმაყოფილო, ნაწყენი, რაღაც რომ უნდოდეს კიდევ-ზღო., შენზე, იცოდე; გულნაკლულადა ვარ. შრ. გულის დაკლება.

გულნამცეცა ჰრდ. ნამცეცის ტოლა გულიანი. ზვ. შეუბრალებელი, გაჭირვებულის არგამკითხველი, მოყვასისათვის უზრუნველი, უღმომბელი. «თქვე ნაცარმქექნო და გულნამცეცნო, აქაც ძირს უთხრით ღარიბთ ერთობას» (ილ. ჭავჭავაძე, V, 108).

გულნატყენი ჰრდ. ვის გულსაც ტყვილის გამომწვევი რაჰ მოხვდება. ზვ. ნაწყენი, დაღონებული, დადარდინებული, უქმაყოფილო. «ძალიან გულნატყენი ბრძანდება ჩვენი მწერალი ქალი ჩემს სტატიისაგან: რატომ არ მაქოვო?»! (ილ. ჭავჭავაძე, IV, 36).

გულსავსება ჰრდ. გულის გავსებას (სიამოვნებით) არა აქლდეს რა, გული პირთამდე მოყრილი იყოს. ზვ. სრული კმაყოფილება, დიდი სიამოვნება, საწყენი არაფერი ჰქონდეს შეხვედრილი ადამიანს, სამღურავი არავისთან ჰქონდეს.

გულს გამოვის ჰრდ. გულს მოგანახვინებს. ზვ. დაგამწვილებს, კარგ გუხებაზე დაგაყენებს, მაღაზე მოგიყვანს, შეებას მოგანიჭებს, გილხენს. «მითრთვი მეფევე! საგანგებო ღვინო არის, სულ ძველისძველი და გულს გიპოვის; მზიარულ სითბოდ მოგედება, დაგვილის გვამში» (გ. ბარნოვი, გიორგი სააკაძე, 49).

გული ჩვენს ხალხს მიაჩნია ჩვენი ნერვების შესაკრებელ ორგანოდ, რომელზე უშუალოდ მოქმედებს ყოველივე ფსიქიკური განცდა: სიყვარული,

სიხარული, სიმაძაქვე, სიძულვილი, მწუხარება, დარდ-ნალღელი ან ავადმყოფობა, სიცხის აწვევა, რომელიც გამოიწვევს, პირველყოვლისა, მადის დაკარგვას. ამ დროს გული წარმოდგენილია როგორც ორგანო, რომელსაც თავისი წაქეზებული თვისებები დროებით დაკარგული აქვს და თვითონ გულიც დაკარგულია, საქმენელია, საპოვნელია.

დასახელებული თქმა იხმარება დარდ-ნალღელის ან ავადმყოფობის დროს, როცა კაცს ჰამის მადა დაკარგული აქვს, გული არ მისდის პირში რაიმე ჩაუშვას. ავადმყოფობის დროს, როცა კაცს მადა დაკარგული აქვს და უნდათ ძალით შეაქამონ რაიმე ძალღონის აღსადგენად, მადის მომგვრელ საქმელს რასმე შეაძლევინ და ეტყვიან: სქამე, გულს გიპოვისო, ე. ი. ჰამის მადას გავისნის, საქმელს მოგანდომებს, ხასიათს შეგიცვლისო.

გულს დანა მახვია ჰრდ. გულში დანა მაქვს ჩარქობილი, გული დანითა მაქვს განგმირული. ზვ. დიდი უბედურება დამატყდა თავს, დიდ მწუხარებას განვიციდი, ვკვდები. «მოეწერა „გიბრძანებსო“, ვისი მესვია გულსა დანა» (შ. რუსთაველი, 392).

გულს დახმარავს ჰრდ. გულზე ძმარს მოასხამს, გულს აზიდებს, გულს აურევს. ზვ. აწყენს; დააღონებს, დაანადგლიანებს, გულს გაუტყბს. «ამის სარგებელიც ორი წლისა, აბაზობაზედ, — ორას-ორმოცი თუმანი... ეს შეიდას ორმოცი თუმანი... არც ეს დასძმარავს გულს!» (რად. ერისთავი, IV, 23).

გულის ძმარვა ნიშნავს გულის არევის, გულის ზილის პირიდან სასაქმეზღად. იხმარება, უმეტეს შემთხვევაში, ირონიულად, დაცინვით ისეთ კაცზე, ვინც მედიდურობს, თავი მოაქვს და რასმე სწუნობს, ხოლო დაწუნების საბუთი კი არა აქვს ან დაწუნების საგნისათვის ხელი არ მიუწვდება.

გულს მოხვდა ჰრდ. გულს შეება, გაეკარა. ზვ. იგრძნო, შეიტყო, გამოიწვია სამოქმედოდ. «ეს რომ ვუთხარი, თვალი თვალში გამიყარა, თითქო ჩემი სიტყვა გულს მოხვდაო! მერე სახე გაუნათლდა» (ილ. ჭავჭავაძე, II, 63).

გულუბრყვილო ჰრდ. ბრყვილთაგან უცხო გულის ადამიანი, უშავლქო გუ-

ლის ადამიანი. ზღვ. წმინდა, უმწიკ-
ვლო, ალალი, მართალი, უემმაკო,
უბიწო.

ბრწყვილი, დავ. ჩუბინაშვილის
განმარტებით, შავი ლაქა ანუ შავი რამ
ნიშნია. მაშასადამე, გულუბრყვი-
ლობა გვიხატავს ხატოვანად გულის
სიწმინდეს, უხადობას, ისეთ გულს,
რომელსაც ხინჯი და ღვარძლი რამ
არ გაჰკარებია, სუფთაა, წმინდაა.

გულქართლი პრდ. ქართლელის გულის
პატრონია. ზღვ. პურადი, მოყვასი-
სათვის გაჰირვებისას ხელის გამწო-
დებელი, გულუხვი, სტუმართოყვა-
რე, მართალი, პატიოსნების მოყვარე.
„მეჭურქლე გიოვ, შენ ვერტყვი, გულ-
ქართლი ხარ და მართალი“ (გ. ლე-
ონიძე).

ქართლი, საქართველოს სხვა ნაწი-
ლებთან შედარებით, განთქმული იყო
პურის მოსაუღლითა და ითვლებოდა საქ-
ართველოს ბედლად. საყვირელიც არ
არის, რომ ამ პურისა და უხვეების მხა-
რეში მცხოვრებნი პურადი და გულუხ-
ვები ყოფილიყვნენ! და ამიტომაც დარ-
ქმეგია ქართლელს გულქართლი.
ეს სიტყვა სწორედ ამიტომ გადაქცეულა
სინონიმად პურადობის და სტუმართ-
მოყვარეობისა, გაჰირვებულისათვის ხე-
ლის გაწვდენისა, მოყვასის გაკითხვისა
და პატრონობისა. სიტყვა გულქარ-
თლი ისმის აგრეთვე ფშავში.

გულქვა პრდ. ვისაც ქეის გული აქვს.
ზღვ. უღმობელი, შეუბრალებელი.

გულდემოლი ცეცხლის დატრიალდება
პრდ. ცეცხლის მოდება გულდემოლიში.
ზღვ. დიდი დარდის, ნალვლის, ტანჯვა-
მწუხარების გაჩენა. „მაშინ გმი-
რისეულს დაუტრიალდა გულ-
დემოლიში ცეცხლი, რომელიც
ჰქეჯნიდა მის სულს, სტანჯავდა და
აწუხებდა. მას ენა დაება“ (ს. ზა-
ლბაიშვილი, I, 185).

გულშუტკივარი პრდ. ვისაც სხვისთვის
გული არა სტკივა. ზღვ. ვისაც არ
ებრალვის, არ ეცოდების (ვინმე ან
რამე), არ თანაუგრძნობს, მოყვასის
სიკეთე არ უნდა. „არ გვიგონოთ
მკითხველნო, რომ ეს სახლი ეკუ-
თვნოდეს ერთს ვისმე ღარიბსა და მის
გამო იყოს ეგრე გულშეუტკივ-
რად თავმინებებული“ (ილ. ჰაგვაძე,
II, 149).

გულში ვატარება ზღვ. ფიქრი, აზრად
გავლები. „მოპირდაპირეთ ბევრი
სთქვეს, — თქვენზედ ეშვი არავის არ
გაუუტარებიაო“ (ილ. ჰაგვაძე, VI,
337).

გულში დება (რისამე) ზღვ. ფიქრი,
განზრახვა რისამე ვაკეთებდა. „შენ
წიგნის სწავლა გინდა, მშობილო? —
მობრძანა დალოცვილმა, — თუ ეგ
გულში გედო, წელან რომ გკით-
ხე, რატომ არ მითხარ?! რად დამი-
მაღე გულის წადილი?“ (ილ. ჰაგვაძე,
II, 61).

გულში ეკლად ეხობა, ეცემა. ზღვ. ემწა-
რება, აღლუვებს, აწყენინებს, ცუდ
გუნებაზე აყენებს, მწვავე შთაბეჭდი-
ლებას დასტოვებს. „ამ მოძრაობამ
მიახედა ქალისაყენ გამკილავე ზოგი
თვალეში, მეტადრე ქალები, რომელთ
ეკლად ესობოდათ, რომ დი-
ასახლისი უმშვენიერესი იყო მათ
შორის“ (გ. ბარნოვი, ვარდფანჯები, 396);
„ჩვენს ავტორს თითქო გულში ეკ-
ლად სცემია, რომ უსლარმა, ამ
ყველისაგან ცნობილმა და პატივცე-
მულმა მეცნიერმა — ჩვენი ქართული
ანბანი მოიწონა და სთქვა: ამისთანა
სრული და საყვე ანბანი არავისა აქვს
ქვეყანაზედაო“ (ილ. ჰაგვაძე, V, 84).

გულში ეშმაკის შეშვება ზღვ. ბორო-
ტის, სიამის განზრახვა, უკეთურების
ნდობა. „ცოტა რძლებსა მშურდათ
და არ ესიამოვნებოდათ იმათი მული.
რაკი ერთი გულში ეშმაკი შე-
უშვეს, მერე სულ იმას ცდილობ-
დნენ, როგორმე ძმების პირში ჩაე-
დოთ ქერივი, ხან რას უკონებდნენ,
ხან რასა“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები,
I, 110).

გულშივე ჩაკვლა დარდისა პრდ. გულ-
შივე ჩაღრჩობა, გარეთ არგამომშვება
ბრახისა. ზღვ. მოთმენა, ბრახის არ-
გამოჩენა გარეგნულად, სახეზე და-
უმჩნეელობა გულმოსულობისა. „მზო-
ლოდ გამბრახება რა ვაქცა(ცობაა)?
გაპბრახდე და ბრახა გულში ივე
ჩაიკლავ!..“ (ვაგა-ფშაველა, VI, 95).

გულში ვოქვი ზღვ. ვიფიქრე, მგლ., „მოდი
ამ კაცს ფულს ვესესხები-მეთქი,
ვოქვი ჩემს გულში“.

გულში ისრის გაყრა პრდ. გულის გან-
გმირვა ისრით. ზღვ. საშინელი სი-
მწარე, უზომო ტანჯვა, სიკვდილი.
„ამ ყმაწვილს ასეთი ისარი გაჰ-

ყოფიდა გულში, რომ იმისი სიმწარე ყველას დაავიწყებდა...“ (რაფ. ერისთავი, III, 7).

გულში მოხვედრა ს.ჯ. შეგრძნობა, განცდა, წყენა. „მამინათვე გულში მოხვედა, რომ გველი უნდა ყოფილიყო!“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 155).

გულში მუშტის ცემა პრ. გულში ჩარტყმა მუშტისა. ს.ჯ. სინანული, ნაღველი, დარდი, მწუხარება. „თან მუშტს იცემდა (ყორანი) გულში: „მე მოგვედ, თუ თქვენი ჯავრი ვკამო! რა უბედურ დღესა ვარ გაჩენილი მე საწყალი?“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 102).

აღამიანის მიერ მწუხარების, დარდ-ნაღველის, სინანულის გამომხატველი გარგუნული ნიშანი, სხვათა შორის, გულში მჯილით, მუშტით ცემაა.

გულში ნათელი ჩაუდგა პრ. გული გაუმბრწყინდა. ს.ჯ. განიცადა უსაზომო სიხარული, მეტისმეტად ისიამოვნა, ძალზე გაიხარა. „ქორაფი იცნო ისევ ტრედმა და თითქოს წიხანდელზე მოემბა კიდევ სიმაღლით. ქორაფი ერჩეოდა მთელ ტყეში. მტრედს გულში ნათელი ჩაუდგა. იმან დაინახა თავისი საყვარელი წყაროც“ (ვაჟა-ფშაველა, V, 106).

გულში სურვილის ჩავარდნა პრ. ნდომის შეპრა გულში. ს.ჯ. მოწადინება, შეყვარება, უზომოდ მოწონება. „ერთხელ უმცროსმა ქალმა თვალი შეასწრო ბიჭს, — ისე ანათებეს, როგორც მზე! გულში იმის სურვილი ჩაუვარდა და გადასწყვიტა იმას მისთხოვებოდა“ (თ. რაზვიაშვილი, ზღაპრები, I, 21).

გულში ტყვია ჩაიდულა პრ. ტყვია გულში ჩაიდნო. ს.ჯ. ვაჟაგრადა, ვაჯიკდა, ვაკერბდა. შგლ., „ქურდობაზე დაიჭირეს, მაგრამ, რომ იტყვიან, გულში ტყვია ჩაიდულაო, სწორედ ისე ვაკერბდა და მანც არ გატყდა“.

გულში ტყვიის კვრა ს.ჯ. განადგურება, მოსპობა, სიოცხლის წართმევა. „ბნმა გოლმსტრემმა გულში ტყვია ჰკრა სომეხთა გუნდსა, თუმცა მართო ვარდის კონის სროლა კი უნდოდა“ (ილ. ჰავევაძე, ჭათა ლაღი, 143).

გულში შენახვა ს.ჯ. სხვისათვის არ გამქლავებდა საიდუმლოსი, სხვისათვის

უთქმელობა რისამე. „საიდანი ამთაკითხა ავტორმა ეს ასეთი მკვახე განსაკითხველი ჩვენის მატინისა და რასაბუთით ამბობს ყოველს ამას, — ავტორი გულში ინახავს“ (ილ. ჰავევაძე, V, 29).

გულში ჩაბრუნება თვალებისა პრ. თვალების ჩახედვა გულში. ს.ჯ. ჩახედოს თავის მდგომარეობაში, თავის თავი კარგად წარმოადგენინოს, თავის თავს დააკვირდეს. „აოა გვერინა ქვეყნიერობაზედ იმისთანა საზოგადოება იყოს სადმე, რომ თითო-ორჯერ მაინც ამისათვის არ გამოაფხიზლოს კაცი, ისეთი რამ მე მოუვლინოს, რომ კაცს თვალში ძალაუნებურად გულში არ ჩაუბრუნოს თავის თავის განსაკითხვად“ (ილ. ჰავევაძე, VII, 115).

გულში ჩამოხედვა (ან ჩახედვა) პრ. თვალების მიპყრობა გულის სიღრმისაკენ. ს.ჯ. ვაგება, რაც გულში ხდებდა, შეტყობა იმისა, რაც გულს უჭირს, აწუხებს, საიდუმლოს გამომქლავებდა. „ჩემს ბატონს ჰსურს ბევრი, ბევრი ნაყოფი მივსცე. ერთგულად მივსცე, მლალოაობს; ზოგიც ჩემს გულში ჩამოიხედოს, მე რაღას ვამბობ!“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 43); „ვინ ჩაგახედა ჩემს გულში, თავი რომ მიეცხალვასა!“ (რაფ. ერისთავი, II, 60).

გულში ჩარჩენა ს.ჯ. არდავიწყება, დაბნობა. „როცა ერი ყოველს მოვლინებას და საქმეს, მის გარშემო მომბდარს, ყოველს ნახულს, გავონილს და ყოფილს საზოგადო მნიშვნელობისას — გონებით დააკვირდება, ღირსახსოვარს; ავსა თუ კარგს, — სხვისისათვის აღნუსხავს, გულში ჩაიარჩენს — და სასწორზედ სწონის ფასის დასადებლად, — მაშინ პირდაპირ და უტყუარად შეიძლება კაცმა სთქვას, რომ იგი ერი გონებითად პასაკეის შედის...“ (ილ. ჰავევაძე, VI, 249).

გულში ჩასმა (ვისიმე) პრ. გულში მოთავსება. ს.ჯ. ძალიან შეყვარება. „თუ წერთა გინდა ბავშვისა, იგი შენ უნდა ჩაისო გულში და იმან — შენ“ (ილ. ჰავევაძე, III, 277).

გულში ჩატანება ჯავრისა პრ. გულს შიგნით მოთავსება, შენახვა ჯავრისა. ს.ჯ. დაფარვა ჯავრისა, გამომქლავებლობა. „შაღამინმა შეაქო გულში თავ

ვისი მტერი და უფრო მეტად გაბოროტდა უილაჯო სიაგაკითხით. რა ვის შეეძლო?! მხოლოდ გულში ჩაიტანეს ჯადერი უშუქო“ (ე. ბარნოვი, დიდი მოუზრავი, 74).

გულში ჩაუტყბინა (რაიმე ნათქვამში) პრ. გულში კბილებით მოუქირა. სტვ. ძალიან აწყურინა, მწუხარება განაცდევინა. „ყარამინთან შელაპარაკებულა და ყარამანს წაუყვებდრებია: „შეკახპის ქმაროვო“. ამ სიტყვებს გულში ჩაუტყბენია და დაუწყია ზვერა“ (შელანია, ბნელი, 81).

გულში ჩაჭედვა სტვ. მტკიცედ დახსონება, არდაფიყება, მინიშნება. „ამ ნერგს ჩემზე, ჩემს სიკვდილზე უმაღვერავენ გაახმობს. ჯერ მე მოგვედგები და მერე ის. პარმენი მოჰკვდა; ის იყო უღედ-მამო, უთვისტომო, ამოწყვეტილი, მაგრამ... დედა! გაიგონე, ჩაიქდიე გულში...“ (ს. მალობლიშვილი, I, 187).

გულში ჩახვევა (აზრისა) სტვ. მტკიცედ დახსონება, არდაფიყება. „სახლს თვალს მიაფლ-მოაფლო; სალომეს რამდენჯერმე გაუღიმა, რამდენჯერმე გადაელაპარაკა; მან გულში ჩაიხვივა ის აზრი, რომ გმირისეულს მოსთანთლავს“ (ს. მალობლიშვილი, I, 177).

გულში ცეცხლის ნთება პრ. გულში ცეცხლის გაჩენა. სტვ. დიდი დარდი, ნაღველი, მწუხარება, გაბოროტება. „ნამდვილად კი მის გულში ცეცხლი ენთო და, რაც უფრო უახლოვდებოდა თავის სამფობელის, საბრძანებელს, უფრო და უფრო ემწუვაებოდა სვიმონისაგან ყოველივე განაგონი“ (ე. კლდიაშვილი, II, 4).

გულში ხელის ცემა ახ. გულში ხელის ჩაკერა.

გულში ხელის ჩაკერა სტვ. გლოვა, მწუხარება, დარდ-ნაღველი, სინანული. „ვაი, ვაი მე უბედურსა!... — ჩაიქრავდი ხოლმე გულში ხელს, — სადღეაბროდ-ლა ვახდა ეს ვაგაკის იარაღი! მოგვიკვდათ, თქვე საწყლებო, კაი პატრონი...“ (ილ. პაპუაძე, III, 45).

გულში ჯდომა (ვისიმე) სტვ. ცოდნა ყველაფრისა, რაც გულში უღვევს ვისიმე, რასაც ფიქრობს; უზომო სიყვარული. „ეს რა მესმის, თქვენი პირიმეთ... დედაკაცო, ჩვენ გულში

6. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი.

იჯექ...“ (ილ. პაპუაძე, II, 244); „რე დრუჭტათ მტყვიე სუყველას, შეღასაქციეო, იტყვი — კაცი ჩვენ გულში იჯდაო!“ (ე. მაჩანული, კიხის მწუხარება, „ივ.“, 1901, № 202).

გულჩათხრობილი ახ. გულჩახვეული.

გულჩაკეტილი პრ. ვისაც გული დაკეტილი აქვს. სტვ. ვანც თავის საიდუმლოს არავის უმეღვენებს, ვისაც თავისი დარდი თუ სიხარული არ უნდა სხვას შეატყობინოს, სხვას გაუზიაროს. „ეს იყო მეწისქვილე არჩილის კარის წისქვილისა — კაცი ძველი, გულჩახვეული, გულჩაკეტილი, ჩუმი და ამიტომ ყველასაგან დაბრყვებული“ (ილ. პაპუაძე, III, 85).

გულჩახვეული პრ. შეხვეულად შენახული გული. სტვ. შენახავი საიდუმლოსი, დარდ-ვარამის, ნაღველისა, სხვას რომ არ უმეღვენებს თავის მწუხარებას, არავის ეუბნება, თუ რა სტანჯავს. „ეს იყო მეწისქვილე არჩილის კარის წისქვილისა, — კაცი ძველი, გულჩახვეული, გულჩაკეტილი, ჩუმი და ამიტომ ყველასაგან დაბრყვებული“ (ილ. პაპუაძე, III, 85).

გულცხელზე სტვ. სანამ გულმოსულია, აღღვებულია, სანამ არ დამწვიდებულა. „ერთი ეინმე ჩაფარდობდა ეხლა ამ გულცხელზე ხელში“ (ენ. მენთეშვილი, კოლა მწველისიშვილი, „ივ.“, 1903, № 255); „სად არის იგენი ვაჭბატონი, რო გულცხელზე კარგი-კარგებისა მიიხეხლან პირში“ (იქვე).

გულძვირა სტვ. ბოროტი, უკმაყოფილო, ავი, ჩხუბისა და უსიამოვნობის მოყვარული, ღმობიერებას მოკლებული. „სულ ცოტა რამ იყო საკმარისი, რომ გულძვირა ფეფეს ჩხუბი აეტყუნა, თუმცა სიმონი ძლიერ ერიდებოდა იმათთან ჩხუბსა და დავიდარბახსა“ (მჭებტი, საბავშვო მოთხრობები, 110).

გულზედაკრეფილი პრ. გულზე ხელები რომ აქვს დაწყობილი. სტვ. უსაქმუროდ გაჩერებულა; მალოვიარი. „ქართველები ამ შემოწუმებს მოკლებულნი არიან იმიტომ, რომ ჩვენი სამღვდელოება ამგვარ საქმიანთვის უღონოა და ამ უღონობით ძალაუნებურად გულხელდაკრეფილია“ (ილ. პაპუაძე, VI, 146).



გუნდრუკის კმევა პრ. საკმეველის კვამლის მიღენა. სჭვ გამოზრენის ასრით ვისიმე ქება-დიდება, მლიქვენლობა, პირმოთხეობა, მაცდურობა. „მთელი ეს მეთაური იმ აზრზეა აკინძული, რომ დაამტკიცოს „ივერიის“ კონსერვატორობა და უფარვისობა, მისი უთავბოლოობა, ილია ჭავჭავაძის უხეირობა, თავად-აზნაურობისათვის მის-

მიერ გუნდრუკის კმევა და სხვა ამისთანაები...“ (ილ. ჭავჭავაძე, IX, 115).

გუნდრუკი ანუ მამალი საკმელი იგივე სურნელოვანი ფისია, რომელიც სხვადასხვა ხეს გამოუღდის. საკმელი სუნს გამოსცემს, როცა გაღვივებულ ნახშირზე დაჰყრიან და ისიც აცეპლდება.

ღ

დაახლოება (ვისთანმე) პრ. ვინმესთან ან რაიესთან ახლოს მისვლა, ორ საგანსა თუ პიროვნებას შორის მდებარე მანძილის შემოკლება. სჭვ. დამეგობრება, ვისთანმე კარგი განწყობილების დაჰყარება. „მთლად განმარტოვდა ჭალი, თავი გაითავისწინა, გული აღარავის დაულო, არ ვაუერთა, არავის გაენდო, აღარავის დაუახლოვდა“ (წ. ბარნოვი, სამი რომანი, 8ა).

დაბალი ღობე პრ. ღობე, რომელიც მბოლოი არ არის, რომელზედაც ვადებიჯება ყველას შეუძლია. სჭვ. ყველასაგან დაბრკელებული, ყველასაგან დაჩაგრული. „... აკი გითხარ, დაბალი ღობე გნახა-მეთქი! რატომ ამ გლეხკაცს არ დაუბრუნა ევენახი, თუ აგრეა?“ (ილ. ჭავჭავაძე, II, 282).

ღობე მაღალი უნდა იყოს, რომ თავისი დანიშნულება პირნათლად ასრულოს. ხოლო, როცა ღობე დაბალია, ყველას შეუძლია ადვილად გადასვლა როგორც ადამიანს, ისე საქონელს.

ამიტომაც ზემომოტანილი თქმა გამოხატველი დაჩაგრვისა, დაბრკელებისა და ყველასაგან უბად-აღებისა. როცა იტყვიან ძავენი დაბალი ღობეაო, იგულისხმება, რომ იმას ყველა ჩაგრავს, და ის კიდევ იძულებულია მოითმინოს, რადგან თავზევით ძალა არა აქვს დამჩაგრელს საფერი პასუხი გასცეს, თავში არ ჩაარტყმევიანოს.

დაბინდული გული პრ. გული, რომელსაც ბინდი აქვს გადაფარებული. სჭვ. მოწყენილი, დაღვრემილი. დანაღვლებული, მკმუნვარე, მწუხარე, დადარდინებული, სევდიანი, სასოწარკვეთილი. „ნათელი ხარ შენ ნათელის

სულისა, მალხინებელ დაბინდულის გულისა“ (წ. ბარათაშვილი, 20). დაბლა დაშვება ნათქვამისა სჭვ. ყურადღების ღირსად არცნობა, დავიწყება, ანგარიშში ჩათვლულობა. „რაიბული და ხოშია გულის თანეკალით, გათაციცებით შეჰყურებდნენ (მითხავს), სმენად გადაიქცნენ, რომ თითოეული სიტყვა მკითხავისა დავხსოვნათ, დაბლა არ დავიშოთ“ (ვაჩა-ფშეველა, ეთნოგრაფიული წერილები, 30).

დაბმული ენა ის. ენადაბმული. დაბნევა პრ. ფანტეკლის რისამე მიმოყრა. სჭვ. გონების დაკარგვა, არევა, შეშლა, სირცხვილი. მგლ., „ამდენ უცხო ხალხში სულ ერთიანად დავიბენი, არ ვიცოდი, რას ვამბობდი“.

დაპრამევა პრ. თვალის სინათლის წართმევა. სჭვ. მიუხვედრელობა, დაუფიქრებლობა, უცილობა. „თუ არა და, რა შეგედლებათ, რომ ამდენის ხანის მოამიგე. გამოცდილი კაცი გამოსცვალოთ! არც მაგრე დაპრამევა ა უნდა!“ (ილ. ჩერქეზიშვილი, „ფ“, 1897, № 256).

დავესხა თავს ლაფი პრ. თავზე ტალახი ვადმოგეღაროს. სჭვ. საჯაროდ შერცხვი, ყველას საგინებელი და სალანძღავი გახდი. „... ჭეი, ჭეი, დავესხა თავს ლაფი...“ (ილ. ყრისთავი, III, 8ა). ის. თავზე ლაფის დასხმა.

დაგვალული პრ. ზაფხულში უწვიმობისაგან შეწყუბებული მცენარე. სჭვ. განუფითარებელი, გაუზრდელი, დაჩაივებული, დაბალი (უფრო ადამიანზე ითქმის). მგლ., „ეს კაცი რა დაგვალულია!“
გვალვის, უწვიმობისა, დიდი სიცხეებისა ან ქარების გამო მიწა შრება



და ამის მიზეზით მცენარეულობა, განსაკუთრებით ნათესობა, იზარება, არ იზრდება და ზოგჯერ სრულიადაც ხმება. გვალვას ვადარჩენილი მცენარე სრულ ზრდას ვერ მიადევნებს, ნაყოფიც ძალიან ცოტა გამოეხსმის და შედარებით წვნიკი.

გვალვისაგან იჩაგრება შინაური საქონელიც, რომლის არსებობა დაკავშირებულია მცენარეულობის (ბალახის) მოსავალთან. მეწველი საქონელი რძეს ნაკლებს იძლევა და იმისაც მდარე ხარისხისას, უცხიმოს.

გვალვისაგან ასე დიზარდულ ნათესობასა თუ საქონელზე ვიტყვი — დავალულიაო, ხატოვანად ითქმის აგრეთვე აღამიანზედაც, როცა იმას ნორმალური ზრდა აქლია, დაბალია, ჯუჯაა, მაჩვის ტაბიკაა.

დაგვირგვინება პრ. გვირგვინის დადგმა თავზე. სვ. დამთავრება რამე საქმისა, დასრულება.

გვირგვინს ძველად თავზე ადგამდნენ მეფეს, აკოეთვე იმათ, ვინც გამომარეგებდა ომში, რაიმე შეჯიბრებაში. ქრისტიანეთა ეკლესიამ შემოიღო გვირგვინების დადგმა შესაუღლებელ ქალეაქზე. ესენი ისე ჰყავდა ეკლესიის წარმოდგენილი, როგორც უბიწონი, მძლეველი თავიანთ ხორციელ მოთხოვნილებათა. კერძოდ, ქართველებს ამ გვირგვინების დადგმა თავზე ჯვარისწერის დროს შით უფრო შეეფერებოდათ, რომ ქართულ საქორწილო ჩვეულებათა თანახმად, საქორწილო ვაქს მიუყეს უწოდებდნენ და ქალს — დედოფალს, და, მასასადამე, იმის ღირსადაც, რომ გვირგვინი ეტარებინათ, თუნდაც მოკლე ხნით.

დაგრჩა ხვტი პრ. ხელში შეგრჩა კომბოსტოს ურგები ძირი. სვ. (კარიელზე დარჩი, პირჩალავამოვლებული დაგტოვეს. მგლ., „ძალიან უარობდი, მაგრამ მაინც გამოგვეცალა ხელიდან კველაფერი, და ახლა, ჩემო კარგო, დაგრჩა ხვტი“

ეს თქმა ისმის დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით გურია-სამეგრელოში. ხვტი ეწოდება თავიანთ კომბოსტოს ძირს, რომელიც საუქელად გამოუსადეგარია. მისი ქონება თუ უქონლობა პატრონისათვის ერთნაირი ფასისაა.

დადაღვა გულისა პრ. გულზე დაღის დასმა. სვ. გამწარება, დატუჯვა, გულის დაწვა, დანადგლიანება. „ნიინიკაო, ნინიკაო! რაის გადასცემ განა, ხალველ არ გისვამს და ძირმწარეო, რაი გიდაღამს გულსა?“ (ბ. ანტონოვი, 196).

დაღი სპარსული სიტყვაა. ნიშნავს გაბურბულ რკინის მახტს, რომლითაც ძველად ტანს დაუწყვედნენ ხოლმე დამნაშავეთ.

დადუღდება პრ. დუღილის გამოივლის ღვინისა თუ ლუღის მსგავსად. სვ. გამოივლიდება, ქუთაში ჩაყარდება, დადინჯდება. დადარბაისლდება. „ოღონდაც დასაჯერი არ არის, ნაკრამ თუნდაც რომ მართლა გამაყრეული არ იყოს, დადუღდება ახალ გაწურულ მაქარივით, ცოტა რომ დავიცადოთ“ (ილ. ჰავაძე, III, 130).

დავარდნა პრ. თავისი საკუთარი სიმძიმით ზევიდან ძირს დაეარდნა. სვ. დაღლა, მოძრაობის უნარის მოკლება; გულარობება. „რადგან მდიდარი ვსრულ დავარდნილ ხარ, აქ იყავ ერთსა წელსა მამულსა ჩემსა, მოურაობას მოგცემ, მეტი ქონებისა შენისა შეჭკობო“ (საბა ორბელიანი, სიბრძნე სიკრუსა, 15).

დავარდნილი პრ. ძირს დაცემული, ფეხზე არ დამდგარი. სვ. უმღერი, გაქირვებული, ღონეგამოღებული, უზომოდ დაღლილი; გულარობებული. „რა ვაი-ვაგლახით და კისრის მტრევით მოგოვავს დავარდნილ ცხენივით“ (ილ. ჰავაძე, IV, 7).

დავთარში არ უწყარია (რისამე ქნა) პრ. სხვადასხვა ცნობის ჩასაწერ წიგნში აღნიშნული არა აქვს. სვ. ჩვეულებად არა აქვს, სავალდებულოდ არა სთვლის, საუბროდ არ მიანინია. „შემდეგ ამ ალერსს თანდათან უკლო (მეღლანიამ), რადგანაც ეს თვისება ამას დავთარში არ ეწერა“ (ან. ნოისთაი-თაშტარია, მიწა, 21).

დავთრების დაფანტვა, დავთრების არევა პრ. დავთრების შეშლა. სვ. ანგარიშის არევა; ქუთა-გონების დაფანტვა; სწორე ვზიდან გადაცდენა. „სულით გაძლიერება ჩვენის დედაკაცობისა — გაძლიერება ოჯახისა, ერისა, ქვეყნისა, და ეს რომ მოხდეს, ხომ აირია მონასტერი თ. გ. თუშანოვის ამქრისა, ხომ დაეფანტათ

დავთრები და ძალღმა პატრონი ვეღარ იცნო...“ (ილ. ჭავჭავაძე, IX, 33, 34); მგლ., „ისე დავილაღე, დავთრები ამერიცა“.

დავკრათ ფეხი ჰრდ. ნიადაგზე ფეხი დავეტყავართ. სჭვ. ხელად, მაშინვე, ერთბაშად, დუყუყუნებლივ. „ამოგვართვეს სული ცემა-ტყენითა. ვითმინეთ და ვეღარ ავიტანეთ. დავკარით ფეხი და გამოვიქმეცით“ (ილ. ჭავჭავაძე, III, 20).

• **დაწურვვა** სჭვ. მაგრად ცემა, ძალზე ცემა. „წადით ახლა, ის გლეხები მომგვართ, ძალიან დავწურვო“ (ხ. ახტონოვი, 81).

• **დათვისა** ჰრდ. მიწაში ჩაყრა მცენარის მარცვლისა აღმოსაცენებლად. სჭვ. დავკარგვა ფულისა; დამალვა. მოტყულებდა. „კეკელუა (იქით) მითომ დამთესეს... უკა... ცრა... თთ... ვერ მოვართვით! (აფ. ერისთავი, IV, 189); მგლ., „ამ ხალხში ვითომ დრო იხელთა და დამეთესა, სადღაც გაჭკრა“.

• **დათვი** ჰრდ. ძუძუწოვარა ხორციკიამია ცხოველი, მძიმე და სქელბეწვა, განმარტოებულის ცხოვრების მოყვარე, ტრფამაველა. სჭვ. მოუხეშავი, ტლანჭი, უწნო მიხერა მოხვრის ადამიანი.

ნადირთა შორის დათვი ყველაზე ტლანჭი, მოუხეშავ ცხოველად ითვლება. ეს სახელი დაურქმევიათ უწნო მიხერა-მოხვრის, ტლანჭი ადამიანისათვისაც.

• **დათვი მკლე, შენ მხუჭანი** ჰრდ. და სჭვ. დათვი გახდეს, შენ კი გასუქდი, ქონი მოიკიდე.

ეტყვიან ბავშვებს, როცა ჰბანენ და უსურვებენ ხორცისა და ქონის შემატებას. ცნობილია დათვის სიმსუქნე და ამ ცხოველის სახელიც იმიტომაა გამოყენებული სიმსუქნის გამოსახატავად.

• **დათვის ანგალა** ჰრდ. დათვის ბუნავი, დათვის სორო. სჭვ. ბნელეთი, დილეგი, საკანი. „მე ლეკებმა დამიკირეს, პატარა ვარ, იმათ ტყვეო, დათვის ანგალაში ჩამსვეს, აღარ მომადინეს მზეო“ (პ. უმიკავილი, I, 190).

მწყემსები, დათვის ანგალას მიგვატყვებით, ანგალა უწოდებდნენ აგრეთვე თავიანთ მიწურ საცხოვრებელ ბინას. მონაგლე მათებურად ჰქვია მათთან ერთად ერთ ბინაზე მცხოვრებ მწყემსებს, მწყემს ამხანაგს, მათთან ერთად პურის მკამელს.

• **დათვის სამუყვე** ჰრდ. დათვის სამუყვედ გასახდომო. სჭვ. სასიკვდილი, დათვის შესაქმელო!

დათვი ნადირს რომ მოჰკლავს, მიწაში დამარხავს. მისი ხორცი შემდეგ დარბილდება და დამყავდება. ხეცურეთში კაცს ანდა საქონელს რომ დასწყულებო, ეტყვიან: „აი, შე დათვის სამუყევო“.

• **დათვის შუბლი** ჰრდ. დათვის შუბლის მსგავსი. სჭვ. შექმუხნილი სახისა, მრისხანე გამომეტყველებისა, საწინი, საზარელი. „აბირან, ბასრი-ბუსრი ხარ, ორბი ხარ დაბრუნებული, მტერთანა დათვის შუბლი ხარ, სტუმართან გაიცინებული“ (პ. უმიკავილი, I, 408).

დათვის შუბლი ცნობილია, როგორც მარად მოლუშული, მარად მრისხანე და შიშის მომგვრელი ადამიანისათვის. სურათ-ხატოვანად დათვის შუბლი ნათქვამია მრისხანე, შემმართებელ, შიშის ზარის დამცემ ადამიანზე, ან კიდევ გულმოსულზე, გაბრახებულზე.

• **დათვის ჩემთან არაფერი შეუქამია** ჰრდ. დათვის არ დავუზარალებივარ. სჭვ. შინაური საქონელი არაფერი გამაჩნია. შდრ. „შე არც ძროხა მყავს, არც ცხვარი, არც კამეჩი, კატაც არა მყავს სახლში. არც არაფერი შეუქამია ჩემთვის დათვის“ (ფიფნაველა, V, 124).

დათვის მიერ რისამე შექმა ვისთვისმე გულისხმობს, რომ კაცს ვისმე ჰყავს საქონელი — ძროხა, ხარი, ცხვარი და სხვ. ხოლო თუ დათვის შესაქმელი არაფერია, ჩანს, ეს კაცი უქონელი, ღარიბი ყოფილა. ისე რომ, თქმა — „დათვის არაფერი შეუქამიაო“ გამოხატავს უკიდურეს სიღარიბეს იმისას, ვიხედავ ეს ნათქვამია ან ვინც ავას ამბობს.

• **დაიდულა გულმა** ჰრდ. დღუღის მორჩა გული. სჭვ. დამწვიღდა, გაჩერდა, დაწყნარდა. მგლ., „დიღანს ვიწუღეთ, დიდი მწუხარება გამოვიარე, მერე, როგორც იქნა, დაიდულა გულმა“.

• **დაკერება** ჰრდ. ნემსითა და ძაღვით შეერთება ორი საგნისა. სჭვ. განსუფელობა, შეერთება. „ხომ დამაკერეს შენზე (სოფელზე), დანღურსმეს, აღარ უნდათ ამგლიჯონ შენის მკერდიდან და კარგი!“ (გ. ბარნოვი, ფერა-დ-ფერადი, 272).



დაკვერვა პრ. კერის დარტყმა. სტვ. მხარის დაჭერა, დამოწყობა. „ონავარი და მეორე როგორი! ჰაუ, ჰა-ჰაუ, ჰა-ჰაუ. — დაუტკვერა ლეონაძე და თან ჩიტებს დაუწყო ფრთხობა, თან ჯოხს ბალახებზე აბარტყუნებდა“ (ი. ფედოშვილი, III, 200).

დაკიდება თავისა პრ. თავის დახრა ქვევითკენ ჩამოკიდებულებით. სტვ. დალონება, დაფიქრება. შგლ., „ძალიან გარისხეს პეტრე, იმანაც დაჰკიდა თავი და შეურიგდა თავის ბედს“.

დაკისრება პრ. ვინმეს კისერზე დადება ტვირთისა. სტვ. დავალება, თავზე მოხვევა, თავზე აღებინება რაიმე გასაკეთებელისა. შგლ., „ბევრი რამ დამაკისრეს და არ ვიცი, თავი როგორ გავაერთავა!“

ძველად შინაურ საქონელს რაიმე ტვირთს კისერზე დაადებდნენ და გადაჰქონდათ ერთი ადგილიდან მეორეზე. ეს წესი ტვირთის გადაზიდვისა საშვებრელოში, მაგალითად, ბატონყმობის გადადარდნამდე იყო დარჩენილი. მეგრულ გლეხებს ემართათ ბატონების ბარგისა და ტვირთის გადაზიდვა კისრით ერთი სოფლიდან მეორეში. ამ ბეჯარას სახელად ტვირთობა ერქვა (იხ. პ. ო. ზ. დ. ი. ი., საშვებრელო).

ამის ანალოგიით, როცა ვისმე რამე უნდა გავაკეთებინოთ, რამე უნდა დავავალოთ, ვეუბნებით ხოლმე: ამასა და ამას შენ გააკისრებთო, ე. ი. შენ უნდა შენის კისრით ზიდოო. აქედან თავმდებს, ვისამე მაგერო პასუხისმგებელს შეგრულად ჰქვია მოკისერე (კისრით მტვირთველი), ე. ი. ვინც სხვის გადასახდელს, სხვის საპასუხოს თავის კისერზე იღებს, თვითონ უნდა ზიდოს, თვითონ უნდა გადაიხადოს, თუ ვინცობაა, ვისაც მოკისრეთ დაუდგა, არ გადაიხადა აღებული ვალი.

დაკინება პრ. დაპატარავება, დამციროება. სტვ. ღირსების აყრა, შერცხვენა. ის ჰაზრი უძღვის, დაამდაბლოს — ამბობდნენ, დააკინოს, დასცეს დაბლა — გვარიშვილები“ (ე. ბარნოვი, დიდი მოურავი, 54).

დალახვრილი პრ. სხეულში ლახვარგატარებელი. სტვ. დაწყვეტილი, დაკრული, შეჩვენილი, მკვდარი. შგლ., „დალახვრილი რომ იტყვიან, სწორედ ამ უცხვირპირო ადამიანზე ითქმის“.

დალახვროს ღმერთმა პრ. ღმერთმა ლახვრით ვანგმიროს. სტვ. მოკვდეს, ნულარი იცოცხლებს, სიცოცხლე მოესპოს. შგლ., „დალახვროს ღმერთმა მათი სახელი!“.

ეს დიდი წყევლის ფორმულაა.

დალბობა პრ. სითხით ხმელი საგნის დასველება. სტვ. ნასვამობა, ტანში გაჯდომა სასმელისა (ღვინისა, არხისა), უგრძნობლად დათრობა. შგლ., „ნატას ქორწილში გიო ძალზე დამბალა“.

დალეული პრ. რაც შესმულია, რაც გათავებულია. სტვ. მქლე, გამხდარი.

დალილავება პრ. ლილის ფერად გადაქცევა. სტვ. ცემა, დაფეფა, ვალახვა ზომავზე მეტად. „აცა-დაიცა, მამიშენის ცხონებასა, თორემ რა დაგიშავა, რომ დაგილილავებია, აბა ერთი, ერთი მითხარ“ (ს. მაგალაშვილი, I, 110).

დამბალი პრ. დასველებული, წყლით გაქვნილი. სტვ. ძალიან მთვალაო.

დამალის ჩამოსვლა პრ. სისხლის დაგუბებისაგან (ემბოლია) გამოწვეული სიმსივნე ქვედა ღრძილების ძირში, ენის ქვეშ. სტვ. რაიმე კარგი საქმელის ნდობა და არმიცემა, დიდხანს ლოდინება, ან კიდევ რაიმე კარგი საგნის მოპოვების ლოდინში დიდხანს ყოფნა. „ვიხეც ეს წამალი მართლა იცის და მართლადაც გული შესტკივა საქმისათვის, ის ისე ადვილად თავიდან არ აიცილდეს ამ წამლის ჩვენებას და არ იტყვის, — შენ არ გეტყვი და ვისაც ჯერ არს, იმას კი მოვახსენებო. როდის-ღა, ბატონო! ჩვენ კი დამალი ჩამოგვივიდა-და!“ (ი. ბ. ჯავახიძე, VI, 361).

დამალი უფრო ცხენის სატკივარია. ემართებათ, როცა დიდხანს არ მოუტანენ საკვებს, ძალზე ალოდინებენ და საღერღელს უშლიან. ამ სატკივრის გასაქრობად ქვედა ღრძილებზე სწორად მარლოს უსვამენ ან სულაც ამოსჭრიან ხოლმე. ხატოვანად ადამიანზე მაშინ იტყვიან, როცა გულით სასურველ რაიმეს დაანატრულებენ და დიდხანს არ აღირსებენ.

დამბლა პრ. სრული წართმევა ან საკმაოდ დაკლება მგრომობიერებისა, ნებსითი მოძრაობისა. სტვ. უგერგილო ადამიანი, ზოზინა. შგლ., „ჩვენი

მეზობელი დამბლაა, ხელიდან არათფერი გამოუვა, ეხარება რისამე გაკეთება“.

დამდაბლება პრ. უფრო ქვევით დაწევა, სიმაღლის დამოკლება. სვ. შერცხევა, ღირსების წართმევა.

„... ეს პაზრი უძღვის, დაამდაბლოს ამალღებულნი, დააყინოს, დასცეს დაბლა გვარიშვილები“ (ვ. ბარნოვი, დიდი მოთრავი, 54).

დამდაბლება თავისა პრ. მაღლა მყოფის თავის ძირს, დაბლად ჩამოწევა. სვ. თავისთვის ღირსების მოკლება. „ვთქვათ, არც ეს იკადრეს და არ დაიმდაბლეს აღვირაშეებული თავი... თვით ქალაქის მოურავის მოადგილემ რატომ არ დაინახა საქიროდ, რომ ამისთანა დღეს პარტივი ეცა ქართველებისათვის და მობრძანებულიყო ეკლესიაში!“ (ილ. ჰავჭავაძე, VII, 176).

დამთავრება პრ. დასრულება გათავება. სვ. მოკვლა, სიცოცხლის წართმევა, მოსპობა. „იმას (ცოლს) ცხვირი მოვჭერ და იმისი კურო კი დავამთავრე — მამა-პაპის ჩვეულება ეს იყო ჩვენი“ (ვაჟა-ფშაველა, V, 358).

დამიდგეს თვალები პრ. ჩემმა თვალებმა ვერაფერი დაინახოს. სვ. მოგვკლდე, ნულარ ვიცოცხლო.

თავისთავის წყველის ფორმულაა. ხმარობენ, როცა დიდი უბედურება რამე ეწვევათ, ან გაიგონებენ საშინელ რასბე.

დამიწება პრ. მიწად ქცევა. სვ. სიკვდილი. „ამისი ეშინოდა ძალიან გიტოსა და ფიქრობდა: თუ ამისთანა გახდება კოლასთან დათო, როგორიც იყო ლუარსაბთან, ბარემ ავილო თავზედ ხელი და ადრე და მალე დავმიწდეო“ (ილ. ჰავჭავაძე, III, 207).

წველის ფორმულაა. დამიწება ანუ მიწად ქცევა უდრის სიკვდილს, რადგან სიკვდილის შემდეგ ადამიანის სხეული სამარეში მიწად იქცევა ხოლმე.

დამიხედეთ ნებიერს! პრ. ვერ უყურებთ ამ ნებიერს? სვ. ესეც რომ ნახობს და ნებიერობასა ჩემობს! ვინ შენა და ვინ ნებიერობა! „ქა, დამიხედეთ ნებიერს! ყმაწვილებმა ხელი ვეღარ უნდა გახლონი! არც-კი გიხარინ, შე გულმკვდარო, რომ ეს ბავშვები შენ გეთამაშებიან?“ (ვა. გაბაშვილი, რჩეული ნაწერები, 95).

დამკლავება პრ. მკლავებზე ტანისამოსის სახელოების გადაწევა. სვ. საჩხუბრად, სამბროლველად. რისამე გასაკეთებლად დამზადება, მზადყოფნა. „... მოიტყუო ერთი დავიმკლავო!... გავბერტყო თუ არა?“ (რაფ. ერისთავი, IV, 108); „მშინი აღამიანი თავის თავს მართლად-და აღამიანდაც სცნობს, ეგ ცნობა საკუთარის თავისა ღირსებას უღვიძებს, საკუთარის თავის ღირსება ჩავრულ ყოფის ვერ ათმენინებს და დამკლავებულნი გამოჰყავს ცხოვრების მოედანზედ საომრად და სამბროლველად“ (ილ. ჰავჭავაძე, VI, 205).

ტანისამოსის სახელოებს უკან გადაიწვევენ ხოლმე, რომ ჩამოშლილმა სახელოებმა ხელის თავისუფალ მოძრაობას არ შეუშალოს და უფრო მარჯვედ აკეთონ საკეთებელი. აქედანაა ეს თქმაც.

დამლაშება პრ. ზედმეტი მარილის მოკიდება საკმელისათვის. სვ. ზომიერების გადაცილება ლაპარაკში, რაც სათქმელი არ არის, იმის თქმა. მგლ., იმდენი ილაპარაკე ქიტესამ, რომ ზომიერებას გადასცდა, დამლაშა“.

დამშალი კომშია სვ. გარეგნულად ვითომ ცუდი, შიგნით კი — კარგი. ახალ მოკრფეულ პანტას ბზეში შეპყრიან ხოლმე, შიგნიდან მოშავოფერს გადაიკრავს, თითქო დამშალი და საკმელად კარგი ხდება. ასეთივე ამბავი ემართება კომშს. შესაბუნდევად თითქო დამშალიაო, უფარგისსა ჰვავს, შიგნიდან კი ყავის ფერისა ხდება და საკმელად კარგია. ხატოვანად იტყვიან ყმაწვილზე, რომელიც ცუდი ჰგონიათ, იმის სიკეთის იმედი არა აქვთ. და ის კი არა, ბოლოს, კარგი გამოდგება და იტყვიან ასეთზე: სწორედ რომ დამშალი კომშიაო!

დამშალი კიტრის ფასი სვ. უღირალი, სრულიად უფარგისი, სრულიად უფასური. „პირში ქებას მკუთადამკუთარ კაცის თვალში დამშალი კიტრის ფასიც არა აქვს“ (ილ. ჰავჭავაძე, IX, 290).

დამთავება პრ. მთავედ გახდომა, დამძარება. სვ. ვასათხოვრად დარჩენა ქალისა, გაუთხოვრად დაბერება. „... ჩვიდმეტი წლის ქალი ხარ... ხომ ვერ დავამთავებ?“ (რაფ. ერისთავი, IV, 51).

დამჩნა ნიორის ნაქურჩალი ჰრდ. შემჩრჩა ნიორის უგულუო გარსი. სჯე. ყველაფერი წამერთვა. მგლ., იმდენი ვიზრომე, იმდენი დამეარჯა, ყველამ ირგო ცოტ-ცოტა, მე, მე-კი დამჩრჩა ნიორის ნაქურჩალი“.

ნიორი შედგება 6—10 და ზოგჯერ მეტის კბილისაგან, რომელთაც გარშემო ავლიათ რამდენიმე კეცად გარსი ანუ ნაქურჩალი.

ითესება ნიორი შემოდგომაზე (ნოემბერში). ამ დროს დაუთესავად რამე ვერძელში დარჩენილი ნიორი თებერვალ-მარტში, როგორც კი სიცივის ყუჩი მოსტყდება, გაღვივდება და ამოსვლას იწყებს. რაკი მიწა არ ექნება ფესვების გასაკეთებლად და მათი საშუალებით ფოთლებისათვის საზრდოს მიწაწოდებლად, ერთგვარი სოკოს (*Agaricus alliaceus*) გაღვნით გაღვივების შემდგომი განვითარება შეჩერდება და ნიორის კბილებში არსებული საზრდო ნივთიერება „დაფშატდება“ (ფშატის ფხვიერ გულს დაემსგავსება) ანუ მშავო-მონაცრისფრო ფხვნილად იქცევა. ამავე დროს გარეთა გარსი ანუ ნაქურჩალი ხელუხლებელი შერჩება.

ამაზეა ხალხის მიერ ლექსად გამოთქმული სამეურნეო დაკვირვება: ნიორს უთქვამს: გიორგობისთვეში ჩამასწარი, თიბათვეში — ამოვასწარიო, ე. ი. გიორგობისთვეში დამთევ და თიბათვეში მიწოდან ამომიღე, თორემ (იგულისხმება) ახლად დაიეწყებ ზრდას და ჩემი ძირი საქმელში არ გამოვადგებო.

ნიორის საბოლოო გამოფშუტვა ემთხვევა საგაზაფხულო პირველ დაქუხებას, და ხალხის ძველი რწმენით, მიწას გარეთ დარჩენილ ნიორს ქუხილისა ეწინია. და პირველად დაიქუხებს თუ არა, ნიორიც ჩაიფუტება, „გაიპარება“.

მოსწრებული ტერმინი „გაპარვა“ სწორედ რომ ზედგამოჭრილია ნიორის ღვივის ფხვნილად ქცევაზე — დაფშუტვაზე. ეს პროცესი ხდება ადამიანის თვალათვის უხილავად. მალულად, თვით ნაქურჩალის ფორმა უცვლელი რჩება, და თუ ხელში არ აიღოთ ნიორის ძირი და თითები არ მოუჭირეთ, გეგონებათ — შიგ გულიც ასევე უცვლელიაო.

ნიორის „გაპარვის“ მიმსგავსებით, როცა ვინმე მოულოდნელად, ისე რომ

ვერავინ შეუტყოს, საიდანმე გაიპარება, როცა იქ მყოფი უცხად თვალთაგან მოეფარება, გაუჩინარდება და თავის სინმარჯვით ყველას გააკვირვებს, იტყვიან: რა ნიორივით გაიპარაო!..

ასე რომ, თქმა „დამჩრჩა ნიორის ნაქურჩალიო“ — ნიშნავს მოულოდნელად ცარიელზე დარჩენას, ხელიდან გამოცლას რისიმე ისე, რომ პატრონს აზრადაც არ მოსვლოდეს.

დამჩრჩი, დამიჩრჩი, დაურჩი ჰრდ. ჩემად შეიქენ, ჩემს განკარგულებაში გადამოდი. სჯე. იარაღი დაყარე, დამმორჩილდი, ჩემს წინაშე ქედი მოიხარე, დამხვდი, გამიმავოდი, შენს მოსაკლავად მოვდივარ; იცოცხლე, კარგად გამყოფოს. „მარჯვენა ხელით იძრო ხმალი და დასჯე ივლა: დამჩრჩიო, წუნსკლებოვო!“ (აკაკი, დოთენა გოცირიძე, „ივ.“, 1902, № 11; — კოლიკე შედარებით ფრანხი მოსჩანდა, შემძიმებული.

— დამჩრჩი გიორგი! (შესძახა კოლიკემ).

— მობრძანდი! (უბასუხა გიორგიმ) (გ. ბარნოვი, დიდი მოურავი, 230); „დამჩრჩეს შენი თავი!.. ბარემ მეც მინდოდა შენთან ყოფნა, მაგრამ ხელმარტობას რაი ვუყო?!.. (აღ. ყახხაგი, 496); „ბიუო, ვისი ხარ მალხაზი, დაურჩი დედა-შენსაო!“ (ხალხური).

ეს თქმა ორნაირი მნიშვნელობით იხმარება: ერთია — დალოცვისა, კეთილი სურვილების გამოხმატველი, როცა იგი მიმართულია მოყვარისა და მოყვითისადმი. ხოლო მეორე მნიშვნელობა არის მტრობის, მუქარის გამოხმატველი, როგორც ეს ჩანს აკაკისა და ბარნოვის მიხედვით. ამ მაგალითებში დამჩრჩი ნახმარია დაციენითა და მუქარით, ე. ი. ისევე იცოცხლე, როგორც მე არ ვაგვიშვა მოუქლავიო! ხოლო ორი უკანასკნელ მაგალითში გამოხატულია დალოცვა იმისი, ვისაც მიმართავენ.

დამტირებული ჰრდ. ვინც მიცვალეულს იტირებს. სჯე. ყურისმგდებელი, გულ-შემატკივარი, მშველელი, დამხმარებელი, მოამაგე, კეთილისმყოფი. ასე უპატრონოდ. ამ დასაქცევ ჩარდაბის ქვეშ ამომდის სული. ამოდენა დედამიწის ზურგზედ დამტირებელი არა მყავს“ (ილ. ჰაქავაძე, II, 40).



დამუხლისთავება პრ. მუხლის თავებზე დაცემა, დაჩოქება. ს.ჯვ. დამარცხება, მორევა, დასაგვრა, უღონობა, უძლურება; შებრკოლება, ხელის შეშლა, დამორჩილება, დამონება. „ხშირ ქალარაშერთულ ცხოვრებას ბევრი ენახა ნამდვილი ბუმბერაზიცი, მაგრამ მძლავრად დაედუნა იგი და დაემუხლისთავებინა“ (ვ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 257).

როცა ქიდაობასა და ჩხუბში ერთი მეორეს მოერევა, ხშირად ჩააჩოქებს, მუხლის თავებზე დააყენებს, რის შემდეგ მისი სრულად წაქცევის, მოარევისა და საბოლოოდ დამარცხების საქმეც გადავიღებულა. ან შეიძლება კაცი მორბოდეს, რასმე წამოსდოს ფეხი, დაიმუხლისთავოს და ამნაირად მისი რბენის საქმე შებრკოლდეს.

გადატანით ეს ითქმის რაიმე საქმის კეთების დროს ამ საქმის მკეთებელს რაიმე დაბრკოლება რომ გადაეღობება და ხელს შეუშლის საქმე ბოლომდე მიიყვანოს უხიფათოდ, გულწინებურად. ხატოვანად დამოქება გამომოხატველია სიმდაბლისა, დამორჩილებისა, თხოვნისა, რომ იტყვიან: მავანმა მავანი დააჩოქაო, ნიშნავს მავანი მავანს მოერია, აჯობა და შებრალება, პატიება, შენდობა თუ მოწყალება ათხოვნინაო.

დამქაში დაუკრა ს.ჯვ. დაემოწმა, დაეთანხმა, კერი დაუკრა. „მართალს ამბობ, ნენე, უხობრკობა იმისთანადილ ბედნიერ დღეს როგორ შეიძლება! ნახევარი თუნგი არაყიცი მომეტებული არ იქნება. მე და ჩემმა ღმერთმა, მეტადრე ამისთანა ყინვაში! — დამქაში დაუკრა გოგამ რძალს“ (მ. გაბაშვილი, მოთხრობები, 58).

დამქაში სპარსულად მომხრეს ნიშნავს.

დამში გამოსული პრ. დამნობილი ფლავი. ს.ჯვ. დამზადებული, დამთავრებული, შესრულებული. ახ. დამში მოყვანა საქმისა.

დამში მოყვანა საქმისა პრ. ფლავი-სათვის ორთქლის მოშორება. ს.ჯვ. საბოლოოდ გაკეთება საქმისა. „წაველ კალოზე: აქით მივღებ, იქით მივღებ; აფუსვი, გამოფუსვი და კარგათ რომ ვისოვდავე და საქმე დამში მოვიყვანე, ბოლოს - ბო-

ლოს, ახრინამან, ვვანგარიშობ დუქანს სულადის ფულებით ერთად და პუპლუცი, ვაჭიანი... (დ. შაბანაშვილი, მწერის სიტყვა, 83).

როცა მოხარულ და გაწურულ ფლავს ჩაპყრიან ქებაში, რომლის ძირას მოსხმულია ერთი და გათქვეფილი კვერცხები, შევიდან ამ ფლავს სპილენძის სინს დააფარებენ, მერე ცივ წყალში ტილოს დაასველებენ, გაწურავენ ცოტათი და ქებაისა და სინის ნაპირს შემოახვევენ, რომ ორთქლი გარეთ არ გამოღუშვას და ფლავს „დამი მოუვიდეს“. მერე ახლიან სინს და ორთქლს გადმოსწურავენ, ტილოს ისევ შემოახვევენ, მერე ორთქლს კიდევ გადმოსწურავენ სინიდან. დამს ასე მრავალჯერ მოხდიან, სანამ შეატყობდნენ, რომ ბრინჯის მარცვალი გაფუფდა და „მოვიდა დამში“. ფლავის ასე საბოლოოდ მომზადებას — დამში მოყვანა ან დამის მოხდა მქვია. სიტყვა დამი ნიშნავს ორთქლს, რომელიც უნდა მოშორდეს ფლავს. ხატოვანად იტყვიან: „საქმე დამში მომივიდა ან მოუვიდაო“.

დამცირება პრ. მცირედ გახდომა, დამცობლება, დამოკლება, დაბატარაება, დაკნინება. ს.ჯვ. შერცხვენა, ღირსების აყრა, სახელის ვატეხა. მკლ., „უფროსებმა უმცროსები მეტისმეტად დაამცირეს, საჯაროდ სახელი გაუტეხეს“.

დამცხეთურება ს.ჯვ. პურაძვირობა, სტუმრის შეუშველლობა სახლში, სტუმართმობულობა. „როცა არავის მიღება გვინდა, კარებს დაუფდებთ და ვიტყვიო — დაუშვიტურეთო“ (ი. ბატონიშვილი, კალანძობა, 148).

დამწვარზე მდულარე გადამეხსა პრ. ჯერ ცეცხლით დავიწვი და მერე დამწვარზე მდულარე წყალი გადამეხსა. ს.ჯვ. ერთ უბედურებას მეორე უარესი დავმატა.

ამას იტყოდნენ, როცა კაცის ერთ უბედურებას მეორე უარესი უბედურება დავმატებოდა.

დამწვარი ს.ჯვ. ძუნწი, გამოღუმეტებული, პურაძვირა, ხელმოქერილი.

დამხოზა პრ. ვინმეს ან რაიმეს ძირს პირქვე დაცემა. ს.ჯვ. დაქცევა, მოსპობა, ჯოხნა, გაწყვეტა, დანგრევა, ამოგდება, დამარცხება, განადგურება. მოკვლა, დაზარალება. „თუ სა-



წუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხოზელმან, ღარიბი მოვეკედ ღარიბად, ვერ დამიტროს მშობელმან“ (შ. რუსთაველი, 802); „გიორგისთან ჩემი კავშირი დასაწყისია საქართველოს შესაქრებად მძლავრ ბრძოლებსა, ზვიად ქვეშევრდომთ დასამხოზბად, დასაკნინებლად“ (გ. ბარათი, დიდი მთურავი, 159).

დამჯდარი ჭკუა ზგვ. დარბაისლური, სრული, დამთავრებული გონიერება. „მართალია, ბევრი ემდურება ამ ბანკებს, — დიდი იმედი გვქონდაო და არაფერი გამოდისო! მაგრამ მართო უმეტრება იტყვის ამას და არა დამჯდარი ჭკუა!..“ (ილ. ჰაბაძე, VI, 215).

დანა რომ დარტყა, ხისხლი არ გამოუვა ზგვ. შეწინებულობა, დადარდინებულობა, დანაღვლიანებულობა.

დანავსვა ჰრღ. მოჯადოება, მოხიბლება, დაწყევლა. ზგვ. ზნის შეგვრა, ხელის შეშლა, გასაქირში ჩადება, ხელ-ფეხის შეგვრა. ზგლ., „რაც ამ მიზნობელმა დამნავსა, ჩემი საქმე სულ უკან-უკან წვიდა, ყველაფერში ხელი მომეცარა“.

დანავსვა წარმომდგარია ნავსი სიტყვიდან, რაც ნიშნავს საკუთრივ სულის შებერვას. ეს სულის შებერვა მოპყვება ჯადობაზის ანუ გრძნეულის მიერ მოჯადოების, შელოცვის. თვით მოჯადოება მიჩნეული იყო ერთგვარ მაგიურ ხერხად, რომლის საშუალებით, შეიძლება ჩვენს გარეშო მყოფ არსს მივავსოთ ესათვის მატერიალური ზარალი; თუ შეიძლება, სრულებით მოვსპოთ კიდევაც. ამ შემთხვევისათვის მეტი სიმტკიცის მისაცემად უზმარაიათ „სულის შებერვა“, რომელიც გამოხატავს სურვილს: ამ სულის შებერვით გაჰქრეს ან მას გაჰყვეს ან ავადმყოფის სენი ან კარგადმყოფის კეთილდღეობა, უამკეთილდღეობად დასტოვოს დამნავსელების მიერ მოსახიბლავი, დასანავსავი. აქედან: დანავსული (იხ.).

ასე რომ, დანავსვა გამოხატავს მოხიბლვას, მოჯადოებას, დაწყევლას.

ნავსს უწოდებენ ადამიანს — უხამსს, უკეთურს, რომელსაც ხელიდან სიავის მეტი არა გამოუდის რა.

აქედანაა მიღებული თქმები: ნავსი გატყდა, ნავსი სდევს (რამიმ საქმეს). იხ. თავთავის ადგილას.

დანავსული ჰრღ. მოჯადოებული, მონიბლული; დაწყველილი. ზგვ. გზა-შეკრული, ხელმეშლილი, გაჰქრებაში ჩაუარდნილი. ზგლ., „ჩემი საქმე, ძალიან დანავსულია, იმას ვერაფერი უშველის“.

დანათვლა ჰრღ. საეკლესიო ნათლობის შესრულება. ზგვ. დაცინეთ: სახელის დარქმევა, წოდება, გალანძღვა. „როცა აღაღომ მიიღო აღსასრულბელი ფურცლები და ბოჭქულითა და მამასახლისითა წაადგა თავს იმ მამაცა და გულადს ეაფბატონებს“, — ასე დანათლა ისინი აღაღომ, მამინ კი დაფატურდნენ და თავს ბალანი აეშალათ“ (მელანი, ნაგარდობა).

როცა საეკლესიო ნათლობის წესს ასრულებენ, მოსანათლ ბავშვს ამავე დროს სახელს დარქმევენ. ასე რომ, სიტყვა მონათვლა იმავე დროს გამოხატავს სახელის დარქმევას. ხატოვანად და დაცინეთ ეს სიტყვა ნიშნავს ვისთვისმე სალანძღავი სახელის წოდებას.

დანა კრეპას არ უხსნის იხ. დანა პირს ვერ უხსნის.

დანა პირს ვერ უხსნის ჰრღ. დანასაც არ შეუძლია ერთმანეთს დაქერილი კბილები პირისა გახსნას, ერთმანეთს დასწოროს. ზგვ. უსიცივნობა, მეტისმეტი დარღვა ან ბრანისაგან მკვდარს დამსგავსებულობა, მწუხარებისაგან სიტყვა ვერ უთქვამს. „გახანცოტა დარდი და ვარამი მაჰამა შეწმა დაღვრემილმა, ჩათქირიანებულმა სახემ? დანა პირს არ გიხსნიდა, ისეთი გაბოროტებული იყავი“ (მელანი, მამა ჭრისტეფოზე, 18).

როცა კაცი ძალზე დადარდინებულა ან რამე დიდი მწარე ტკივილი აწუხებს, კბილს კბილზე მაგრად უჭერს, ისე მაგრად, რომ დანითაც ძნელი გასახსნელია ხოლმე.

დანა ყელთან არის მისული იხ. დანის მიბჯენა ყელთან.

დანაყელია ჰრღ. დანა ყელთანაა მიბჯენილი. ზგვ. უზომო გაჰქრებაა, შეელა არსიადანაა მოსალოდნელი, უნდა მოკვდეს კაცი. ზგლ... მეტად გაჰქრებული ვართ, დანაყელია რომ იტყვიან, ისეა ჩვენი საქმე“.

აქ იგულისხმება მღვდმარეობა ადამიანისა, რომელსაც დანით ყელი უნდა



გამოსკრან და ის კი ხსნას, ვადარჩენას კი არავეისაგან მოელის, განწირულია სასიკვდილოდ.

დანელება ჰრდ. მსუბუქად, წყნარად ვადაქცევა. ზღვ. დაღუპვა, დაქცევა, ამოწყვეტა, მოსპობა, გაქრობა, მეტრისმეტად დაზარალება, გაწყვეტა. „ვაიმე, ჩემო ოცო თუმანო, რის წვალებით და საცოდავობით ძლივ მოვაგროვე და რად დამღუპე და დამანეღეო!“ (თ. რაზიკაბეილი, ზღაპრები, I, 31).

დანიავება ჰრდ. ნიავის გატარება ბუმბოსაშორებელ პურში. ზღვ. ნიავს გატანება, ამოწყვეტა ოჯახისა. „წყალი აიძღვრა... ეს ამბავი მუქთად არ ჩაივლის... სოფელში დიდი ცოდო დატრიალდა. საწყალ ზაქარას მოუკლავს არ გაუშვებენ, მერე ჩაიგდებენ საწყალს ოჯახს ხელში და სულ დაანიავებენ, — ლაპარაკობდა ვზადაგზა ზაქარას მეზობელი“ (ს. მგალაბლიშვილი, I, 146).

დანივრული ხაშლამა ჰრდ. ნიორგარეული ხაშლამა (საქმელი). ზღვ. ვერ მოვართვეს კარგი რამ, ვერ ეღირსებო სიკეთეს! „ჯამაგირები კი არა, დანივრული ხაშლამა... პირიქით, თითონ აძლევს ფულებს ობჩესტვოში“ (რაფ. ერისთავი, IV, 97).

ხაშლამა ნიშნავს ცივად ამოღებულ მოხარულ ნაჭერს ხორცისას ან თევზისას. დანივრული ანუ ნივრით შეკაზმული ხაშლამა სანუკვარ საქმელად ითვლებოდა.

დანის ლესვა ჰრდ. გაფხავება, გამახვა დანისა, დანისათვის ქრის უნარის მომატება. ზღვ. მზადება ვისიმე სამტროდ, თავზე დასაკეზად, ვისთანმე საბრძოლველად, მოსაკლავად. „მაგრამ მგონია, ფოფოდი დანას მიღესავს“ (მელანია, მამა ქრიატიფოზი, 29).

დანის მიბჯენა ყელთან ჰრდ. დანის მიღება ყელთან, როცა ადამიანი იძულებულია თავის სურვილის წინააღმდეგ გააკეთოს რამე. ზღვ. დიდი გაქირვება, რომელიც სიკვდილს უდრის, უკიდურესი მდგომარეობა. „ლექსო, საღლოთად წაიყვანეს, მერე არა დროს! მაშინ, როდესაც (ზალიკას) დანა ყელთან ჰქონდა მიბჯენილი“ (ი. ვეღაშვილი, III, 9).

დანიშნული ჰრდ. ნიშანი რამ დაღე-

ბული. ზღვ. საცოლედ ან საცმროდ მიიჩნეული. მგლ., — ქაინოსროს ქალიჩემი ძმისწულის დანიშნულია.

ძველად მამაკაცის ჯვარისწერას ქალზე წინ უძლოდა ნიშნობა ანუ დანიშვნა ქალისა საცმროს მიერ. ეს უკანასკნელი საცოლეს მოუტანდა ნიშანს ან წინდას: ბაღდადს, ბეჭედს, რაიმე ვერცხლის ნივთს. ვინც ანაირ ნიშანს ატარებდა ანუ დანიშნული იყო, იმ წამიდან ითვლებოდა სანიშნო ნივთის მომტანის საცოლედ და სხვას არ შეეძლო შესცილებოდა. ყოველი შეცილება ვერცხლისა ჯვარდაწერილის ცოლის წართმევას.

დაბალურება ჰრდ. ცალი მუხლის მხარჯვება ფეხის) ამოკვრა ვისსამე საუღოში. ზღვ. შერცხენა, დამცირება. მგლ., — გავეპარე, დამიჭირეს: რათ წახველო, დამაბალურეს.

დარღუბის კიღობანი ჰრდ. დარღისა და უბედურების საწინააღმდეგო საშუალებათა შესანახი კიღობანი. ზღვ. თავის დაუთარვის, გაქირვებისაგან ხსნის საშუალება, საწაველგოდ შემონახავი. „ას დღიფორზე მეტი სახანავ-სათვის მამული გვაქვს; დაუშვართთ ამას ორი დიდი ჩიხებული ფენახი... ახლა ცოტაოდენი ფული გვიქყავის დარღუბლის კიღობანში“ (ნ. ლომოური, 394; — გახსენი დარღუბლის კიღობანი, ექვინებოდა ნინიკა და თან ხელს უშვერდა“ (ვაჟა-ფშაველა VI, 213).

დარღუბა და ნიშნავს დარღსა და უბედურებას.

დარის დაღვომა ჰრდ. მოსაველისათვის ხელისშემწყობი ამინდის დაღვომა. ზღვ. საქმეში ხელის მომართვა, კარგად წასვლა რაიმე წამოწყებისა, ხელისშემწყობი პირობები ცხოვრებაში, ბედნიერება, გამარჯვება, წარმატება. „ამტიცებდა (იაფუცესკი), რომ ჩვენ (ე. ი. პოლიაკების) კულტურა გერმანიისას არ ჩამოუვარდებო, თუმც ჩვენ იმისთანა დარია რა გვდგომია, როგორც გერმანიისო“ (ილ. ჰაგავაძე, X, 283).

დარღვა ჰრდ. მსხვილად დაღვრდა პურეული მცენარეულისა. ზღვ. ლაუბობა, სისულელის ლაპარაკი, აბღუბდის თქმა. „გამოვიღანძღე თქვენი ბტერი თ. გ. ერისთავი, რა ვიცი,



რაგბი არ დავუროშე, მითამ მეს-
მის რამე და ვლამარაკობა" (ილ. პავ-
კიაე, IV, 108); "მარიკამ ხალის კა-
რებთან დასევა გოჭუნა, ძლიერ და-
ათრო თვითონ გვერდით მოუჯდა,
ექილიკებოდა და დაარო შევინა
ყოველივე, რაკ კი იცოდა ბიჭმა ცუ-
დიკაცობა თეიმურაზისა" (ლ. არდა-
ზიანი, მორჩილი, 230).

ერთმანეთს დაპირისპირებულია: ერ-
თი მხრით, მსხვილად დაღერღვა მარ-
ცვლელისა და აბდა-უბდას ლაპარა-
კი და, მეორე მხრით; წმინდად დაფ-
ქვა და მართებულად, თავაზიანად, გო-
ნიერად ლაპარაკი.

• **დარუბა** ჰრდ. ნაკადულის გატანა, რუ-
ში თავის მოყრა წყლისა. სვკვ. და-
გროვება, შეკრეფა-შემატება. „ჯამსა
და მეთამიტს ხალხში სცხოვრობდა
(მღვდელი) და სათავესოდ მარჯვედ
ჭლევდავდა გარემოებებს, თავისაკენა
ჭხრიდა და არუებდა“ (გ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 287).

• **დარუბული** ჰრდ. ნაკადულგატანილი,
რუში თავმოყრილი წყალი. სვკვ. და-
გროვილი, შეკრებილი, შემატებული.
„ყბას ნუ ადგამ, კაცო! დარუბუ-
ლი მიღის (შვილი სასწავლებელში)
და უთოოდ დათავეებს სწავლას“
(გ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 346).

დარხევა სოფლისა ჰრდ. დაქანება, და-
რწევა სოფლისა. სვკვ. მთელი სოფლი-
სათვის შეტყობინება რაიმე ამბისა,
მთელი სოფლის პირნი ჩავდება რა-
იმე შემთხვევისა, ტყუილებისა, ქო-
რისა. „ვის უთხრას (მართამ) ეს გა-
პირებება?.. ქალ-ამხანაგებს?.. იმათ
ხომ დაარხიეს მთელი სოფელი!..
ვის ვადაუშალოს თავისი ვარამი?..
(ან. ერისთავ-ბოშტარია, შიჭა, 103).

დარხევა, რხევა ნიშნავს ხის
ტოტების დაქანებას, დარწევას დაბრ-
ტყვას, ზედ მოსახული ხლის ძირს ჩა-
მოყრას. ამის მიმსგავსებით, სოფლის
დარხევა გულისხმობს რაიმე ამბის
გავრცელებას, ყველასათვის შეტყობი-
ნებას, იმის უთქმელად არავის დატო-
ვებას.

დახაბმელი ჰრდ. ერთ ალბაგას მისამაგ-
რებელი თოკით ან რკინის ჯაქვით.
სვკვ. გიჟი, დამთხვეული, კეჟაზე შე-
მცდარი, სხვისა მრჩოლელი.

ძველ დროში გიჟს ვინც ჰკურნავ-
და (სოფლად) — უმეტეს წილად
მღვდლები — რკინის ჯაქვით მიამა-
მ

დნენ ავადმყოფს ბოძზე ან ხეზე ემთხვე-
და მეორე ფსალმუნს უკითხავდნენ. აქე-
დან დაურქვა ყოველ გიჟს დასაბ-
მელი.

• **დახამარხავო** ჰრდ. მიწაში დასაფლავო.
სვკვ. სასიკვდილო, სიცოცხლემოსას-
პობო. „... მე ვამომყვე, შე აღრე და
მაღე დასამარხავო“ (ილ. პავკია-
ეაძე, III, 40).
წვევლის ფორმულია.

• **დახამწებელი** ჰრდ. მიწად საქცევი.
სვკვ. სასიკვდილო, სიცოცხლემოსა-
საობი.

დახეტყვა (ვისიმე) ჰრდ. სეტყვის და-
ყრა ვიზედმე ან რაზედმე. სვკვ. სტუმ-
რად წვევა და ბეგერი სურსათ-სანარეა-
ვის დახარჯვინება, დახარაღება.
„გახედი! ყველა ხესთან ცხენი აბია
შეკახნული; დიდი ხარჯი მოუვა:
და ისე ტყვე ბა“ (გ. ბარნოვი, ფერად-
ფერადი, 290).

დაუკრეფავში გადახვლა ჰრდ. გადა-
სვლა იქ, სადაც ყურძენი ჯერ ისევ
დასაკრეფია. სვკვ. აკრძალულ რისამე
გაკეთება, უწყისოდ მოქცევა, უხამსი
სიტყვა-პასუხი, სხვისი საკუთრების
მითვისება. „მეც ერთი ამას ვეუბნე-
ბოდი: თქვენ ხათრიჯამათ ბრძანე-
ბოღეთ-მეთქი და ჰამა და უკრე-
ფავში გადახვიდით თქვა!..
(დ. მახანელი, მშობი სიტყვა, 87).

რთველია. ვენახებში გახურებულ
კრეფაა ყურძნისა. ვენახს გვერდით
გამვლელმა მგზავრმა მებაღისა სთხოვა:
პირი მიშრება, გეთაყვა, მოკრეფილში
შემიშვი, მოვიმცრეგ რასნე, იქნემა პი-
რი გავისველოო. მებაღემ — კარგო.
მგზავრმა თითო-ოროლა მტვეანი იპოვა
ვაზებს შერჩენილი. იცოტავა და ნელ-
ნელა დაუკრეფავში შეყო თავი და ყურ-
ძენს ხარბად დაუწყო ჰამა. მებაღემ
თვალი შეასწრო და შესძახა: „ეი, შენ,
ვინცა ხარ, დაუკრეფავში კი ნუ გა-
დახვედი“.

ეს თქმა დარჩა და დარჩა, და დღეს
ხატოვანად იხმარება აკრძალულის, დაშ-
ლილის რისამე მნიშვნელობით და ყო-
ველ ისეთ შემთხვევაში, როცა ვინმე
კანონით ან ჩვეულებით აკრძალულის
რისამე გაკეთებას განიზრახავს, საზო-
გადოებაში წრეგასულ საქციელს რა-
მეს იკადრებს, მოყვასისათვის რისამე
წართმევას და მისი უფლების შელახ-
ვას არ მოერიდება, პატიოსან საზოგა-
დოებაში უფროსებთან უწამფურ და



უხამს ქართულს არ ითაკილებს. აი ასეთს ასე ეტყვიან: შენ, ეი, მოუკრე-ფავეში კი ნუ გადახველო, და ამით ეც-დებიან ალაგმონ და მართებულობის ჩარჩოში ჩააყენონ ხოლმე თავგასული, ნამუსგაწვეტილი და უღირსი წიგრი საზოგადოებისა.

დაუყვადრებელი ლუკმა ჰრდ. ლუკმა-პური, რომელსაც არაიენ ამუნათებს. სჯვ. პატრიოსანი შრომით შეძენილი სარჩო-საბადებელი. „ცეცომ დაიწყო ახლო ჰალაში სიარული, ყოველ-დღე შეშა-ფიჩხი მოჰქონდა, წყალს ეზიდებოდა, მერე დღის მერბობა დაიწყო, დედა ცალკე მუშაობდა. იშოვეს და უყვადრებელი ლუკ-მა“ (ს. მგალობლიშვილი, I, 49).

დაუშტვინე ჰრდ. ვინც პირით ან საქ-რავით უგემურს, სმენის შესაწუხე-ბელს ან მომწყვლელს ხმას გამოს-ცემს. სჯვ. გიეი, უჰკუო, სულელი, ქარაფშუტა, ჩიტარეკია. „წაიკითხეთ ამ სასაცილო გაზეთის (Кавказ-ის) მეთაური წერილი, დათარიღებული 21-ის იანვრითა? ჩვენ წავიკითხეთ და უნებლიეთ წამოვიფიხეთ გაოცებუ-ლებმა: ერიპაა!... აი. „დაუშტვი-ნე“ ს. რომ იტყვიან, სწორედ ეს არის“ (ილ. ჰავჭავაძე, IX, 324).

დაუძინებელი მტერი ჰრდ. მტერი, რომელიც არ იძინებს, მარად ფხიზელია სამტროდ. სჯვ. საშინელი მტერი, რომელიც არასდროს იფიწყებს მტრობას, მარად მტრობა ახსოვს.

დაფითა და ნაღარით ყვირილი ჰრდ. დაფისა და ნაღარის აყვირება. სჯვ. ხმაშალა შეტყობინება რისამე ყვი-ლასათვის, საიდუმლო და უფარაობა. „იგი (მის. ყიფიანი) საქმობდა, ირ-ჯებოდა, მხნეობდა თავისი პატარა ქვეყნისათვის და არა ჰყვიროდა ამას დაფითა და ნაღარითა. იგი არ ეძებდა სხვის ქებასა და დიდებას“ (ილ. ჰავჭავაძე, VII, 143).

დაფნის გვირგვინი ჰრდ. დაფნის ფოთ-ლებისა და ტოტებისაგან გაკეთებუ-ლი გვირგვინი. სჯვ. სამხდრო ან პოეტური დიდება, სახელი, თავის გამორჩენა. „ჩვენმა ავტორმა (ნარ-დონმა) ამისთანებში ყველა იქ მყოფს აჯობა და დაფნის გვირგვინი სამართლით ამას უფრო ეკუთვნის, ვიდრე სხვას“ (ილ. ჰავჭავაძე, V, 76).

ძველი ბერძნები დაფნის ფოთლე-

ბის გვირგვინს დაადგამდნენ ხოლმე გმირებს (ვინც მტერთან ბრძოლაში თავს ისახელებდა) და განსაკუთრე-ბით — გამოჩენილ პოეტებს.

თანამად მითოლოგიისა, ბერძნე-ბის ღმერთს აპოლონს შეუყვარდა გულ-ქვა ნიშმა დაფნე. ერთხელ მას თვლი მოჰკრა და საჩქაროდ უკან გამოუდგა. ნიშმამ რომ დაინახა, საცაა დამეყე-ვაო, ღმერთს — იუპიტერს შევლა სთხო-ვა. იმანაც ნიშმა დაფნის ხელ აქცია. მას აქეთ დაფნა აპოლონის საყვარელ ხელ იქცა და თვით ხეს ნიშმას სახე-ლი — დაფნე, ანუ, ჩვენებურად, დაფნა დაერქვა.

დაფურთხება ჰრდ. პირიდან გამოსრო-ლა ნერწყვისა. სჯვ. შერცხენა, ადა-მიანად არჩაგდება, შეჩვენება, ზიზ-ლის გამოხატვა.

დაფქვა ჰრდ. საფქვეის საშუალებით ფხვნილად ქცევა მარცვლეულისა. სჯვ. ყველაფრის ერთბაშად თქმა მო-ურიდებლად; საიდუმლოების გა-მელოვნება; ტყუილისა და მართლის თქმა; სისულელის რომევა. „და-ფქვი, დარო, შენი ქირიმე, შენ გე-ნაცვალე, შენ გეთაყვანე; და ფქვი, აღარ გააწვეტინებ“ (დ. მახანელი, სიყვარულის ანბანი, ივ., 1899, № 149).

დაქვეითება ჰრდ. ცხენიდან ჩამოხტომა, ფეხით, ქვეითად სიარული. სჯვ. დამ-დაბლება, დამცილება, ჩამორჩენა; გაღარბება. „ჩვენ ვერ მიგვიგნია, რისთვის მოჰსურებოდა ბ-ნის აკაკის რუსთაველის აგვრე და ქვეით თეძამ“ (ილ. ჰავჭავაძე, IV, 194); „გაძლიერება რუსეთისა, რომელმაც მაშინ სა-ქართველოს საზღვრებამდე მოაწია ჩრდილოეთის მხრით, ერთსაც (სპარ-სეთსაც) თავზარსა სცემდა და მე-ორესაც (ოსმალეთსაც). ფეხის შე-მოდგმა რუსეთისა საქართველოში და მათი აბრუს გატეხა და თითქმის დაქვეითებდა დასავლეთ და მცირე აზიაში — ერთი იყო“ (ილ. ჰავჭავაძე, V, 224).

დაქვეითებული ჰრდ. ცხენიდან ჩამო-ხტარი, ფეხით, ქვეითად მავალი, სჯვ. ჩამორჩენილი, სუსტი, ნაკლები. დადაბლებული, დამცილებული. „ხო-გალი სახე აღამიანისა რამოდენადაც ამ შემთხვევაში უფრო წვრილხედ დახურდავეებული იქნება... იმოდენად შემოქმედება მწერალისა მალღიდან

დაბლა ჩამოდის, იმოდენად მწერა-ლი ნიჭნაკლებია და დაქვეითებულნი“ (ილ. კავკაზაძე, IV, 193).

• დაქოლვა პრ. ქვების მიყრა. ს.გ. საჯაროდ დასჯა. „თქვა (ფატმან): - დამქოლეთ, მოღიბეთ, ქვითა, მოზღვრეთ, მომეპარნი!“ (შ. რუსთაფლი, 1102).

ძველად აღმოსავლეთის ქვეყნებში ბევრგან ჰქონიათ ჩვეულებად კანონებისა და სასოფლო წესების დამრღვევნი საჯაროდ დაესჯათ ჩაქოლვით, ქვების მიყრით. ძველსა და ახალ აღთქმაში ხშირადა ნახსენები ეს სახე დასჯისა.

საქართველოშიც იცოდნენ ასეთი სასჯელი. გამოიყენებდნენ დამნაშავეს სადმე საინო ადგილას, იტყოდნენ საჯაროდ მის დანაშაულს, აღიარებდნენ ჩაქოლვის ღირსად და მოუწოდებდნენ ყველას — ქვები აეღოთ და დაეკრებნათ. პირველად ესროდნენ ისინი, ვინც მოწმენი იყვნენ ჩადენილი დანაშაულისა. მთელი ბეჭობი გაკეთდებოდა ქვისა, რომლის ქვეშ ცოცხლად დაიფლობოდა დამნაშავე. ამ ბეჭობს საქოლავი ერქვა. შემდეგ, ვინც გამოვიდოდა საქოლავთან, ვალდებული იყო თითო ქვა მიემატებინა და ასე დემეტკიცებინა, რომ იზიარებდა საერთო განაჩენს, რომ ისიც მომხრე იყო დამნაშავეის ჩაქოლვისა.

ერთი დაქოლვის ანუ ჩაქვავების ამბავი დატრიალებულა ზემოქართლის სოფ. ჩოჩეთში (კახეთისხევეთან) XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში. ერთ ქალს ნათლია შეჰყვარებია. აღშფოთებულ სოფელს დაუდგენია: ასეთი მძიმე დანაშაულის ჩამდენი ჩაქვავებინა. ეკლესიის ზარის რეკის ხმაზე ხალხი შეკრებილა ერთ ადგილას, გამოუყვანიათ ზნეობის კანონების დამრღვევი ქალი, საჯაროდ გამოუცხადებიათ მისი დანაშაული და ხალხისათვის მოუწოდებიათ ჩაქვავებინათ. ყველას უსროლია თითო ქვა ქალისათვის, ასე რომ მთელი ყორე დამდგარა ქვებისა. ეკლესიაზე გამოუცხადებიათ: ვინც ვაივლიდა იმ ყორესთან, შეიქველად თითო ქვა მიეგდო. ამ ამნის თავის თვალთ მხილველი და მონაწილეც ყოფილა მაშინ ახალგაზრდა, მოხსენილი იოსებ ყავრიშვილი (ნიკოლოზ ყავრიშვილის ნაამბობი).

კახეთში ადამიანის ჩაქვავება სულ უკანასკნელ ხანამდე სცოდნიათ. 1905 წლის რევოლუციის ხანაში, შიგ თელავში ჩაუქვავებიათ ერთი ყმაწვილი ქურდობისათვის (გ. ჩაბიაწვილის ნაამბობი). კახეთშივე, სოფ. ბაქურციხეში, 1918 წელს ჩაუქოლავთ ერთი ვახანაძე (ბეს. ფურცელაძის ნაამბობი).

დაქოლვა პრ. ქოჩორზე თმის დავლეჯა. ს.გ. წაჩხუბება, ცემა, გალაზვა. „ერთ მამალი სხვის მამალსა დაჰმტერდეს და წაეკიდოს, მას სცემოს და თვით იცემოს, და ქოჩორს და დაეკიდოს“ (დ. გუგუშვილი, 28).

• დაქცევა პრ. დანგრევა, ზეზე მდგარის ძირს გარბნა. ს.გ. დაღუპვა, მოსპობა, დაზარალება, განიორწყლება, ამოგდება.

დაღამება პრ. დღის დასრულება, ხანი, რომლის განმავლობაში მზე ცისკიდურს ქვეშაა მოქცეული. ს.გ. დასრულება, განუწყვეტლივ მეცადინეობა, მუშაობა, ზრუნვა. „პირმოთნობაში კი ნუ ჩამოშორებულა და თქვენ დიდი ღვაწლი დასდეთ საქართველოსა, დიდი პატრონობა გამოიჩინეთ, შეიდი წელიწადი სულ იმ მეცადინეობაში და აღამეთ, რომ მკითხველი აზრს, აზრიანობას, სჯას გადააჩვიოთ“ (ილ. კავკაზაძე, 4, 107).

• დაღესტანში გადაკარგვა პრ. დაღესტანში გაქცევა. ს.გ. სარწმუნოებაზე ხელის აღება; სამუდამოდ დაღუპვა; სამშობლოს დატოვება. „თვედორეს ისე უყვარდა აღექვანდრე, იმას რომ ეთქო — დაღესტანში გადავიკარგნეთო, უარს არ ეტყოდა“ (ილ. ფრისთავი, III, 6).

დაღესტანი, როგორც საქართველოს (კახეთის) მოსაზღვრე და მგზობელი მხარე, იმთავითვე საშიშროებას წარმოადგენდა ჩვენი სამშობლოს ჩრდილოეთ აღმოსავლეთ ნაწილისათვის (თუშეთი). ლეკეთის მკვიდრთ დაუსრულებელი ბრძოლა ჰქონდათ ქართველებთან და როდესაც თითო-ორილა ქართველს რაიმე აკაცობისათვის თავის სამშობლოში არ ედგომებოდა, სხვა გზა არა ჰქონდა. დაღესტანში უნდა გადახვეწილიყო, სადაც მას მოელოდა ქრისტეანულ რჯულზე ხელის აღება, მამა-პაპათა სალოცავების უარყოფა, თუ უნდოდა ლეკები დახვედროდნენ როგორც მშასა და ერთგულს. ხოლო



თუ იგი გაკერპდებოდა, სიკვდილი იყო მისი ხედრი, უკეთეს შემთხვევაში იქაურობას უნდა გასცლოდა.

პირველი ადგილი, სადაც გაქცეული ქართველი ლეკეთში ფეხს დადგამდა, იყო დიღოეთი, ნაწილი ლეკეთისა. დიღოეთის საზღვარზე იყო ციხე ყადორი, სადაც კახეთის მეფეებს ჯარი ეყენათ, რომ კახეთის დასარბევად წამოსული დიღოელები შეეჩერებინათ და კახეთისაკენ არ გამოეწვიათ. კახეთის სოფელი — მოსაზღვრე დიღოეთისა, არის საბუე, ჯორჯაძეებით დასახლებული. ამბობენ, პირველი ჯორჯაძე დიღოელი ყოფილა, კარგი ვაჟაკი, დიღოეთიდან რაღაც ავკაცობისათვის, ლტოლვილი. მას საბუესათვის შეეფარებინა თავი და მერე კახეთის მეფეს თავადობაც მიუტია.

აქედან წარმომდგარა თქმა: დალის-ტანში გადაკარგვა, რაც უდრიდა ან რჯულზე ხელის აღებას ან სიცოცხლესთან გამოთხოვებას.

დალის დახმა პრ. დალის გაკეთება რახედმა. სვ. დამჩნევა, ნინოიანობა. „სილარიბემ, სიმარტოხელით გამოზრდამ თავისი დალი და დასვა ცეცოს: ის იყო კანტი, ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან, სხარტი ბიჭი“ (ს. მგალობლიშვილი, I, 50).

დალოჯვა პრ. ლოჯებით მოქერა. სვ. დაუფლება, ხელში ჩაგდება, დაპატრონება, მორყენა. „ძნელი რამ არის, როცა გუნება თავშიგამწევე ცხენივით დალოჯავს კეჟის ლაგამს და ცალმხრივ გაიწეოს“ (ილ. ჰაგაპაძე, III, 14).

დაშაფება პრ. შავად შეღებვა რისამე. სვ. სიავის ჩადენა, საქმის გაფუჭება, დასახიჩრება ვისიმე, ტყენა; ბრავი, ბოროტმოქმედება. „ვინცა რასმე დააშაფებს, მისი საპასუხოს მიგება სამართალი და მადლია“ (კლდეა და დამანა, 413); „რა დააშაფეს საამისო (ფრინველებმა)? დააშაფეს კი არა, კიდევაც გააუფთრეს“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 100).

შავ ფერს, რომელიც იგივე სიბნელე და უმზეობაა, ადამიანიშვილი ყოველთვის გაურბოდა, ეშინოდა მისი, როგორც სიკვდილისა, გულსა ზარავდა, როგორც უბედურების მომასწავებელი რამ. ამიტომაცაა, რომ ჩვენი პირველყოფილი წინაპრების წარმოდგენით შექმნილი მავნე სულები, ეშმა-

კები, ხალხის წარმოდგენით, შავობა, ბნელეთის მცხოვრებნი, დღის სანათლებზე არ გამოდიან და არც გამოცხვლებათ.

როცა მახლობელი ვინმე მოვიკედება, ეყოლოვთ გარკვეული ხნის განმავლობაში და ამ გლოვის ნიშნად შავ ტანისამოსს ვატარებთ.

ჯადოსნობაში თუ მკითხაობაში შავტარა დანის ძალა ცნობილია. ისაა, რომ მარჯვე მკითხავისა და შეჭოლკველის ხელს „სასწაულსა შერება“, ისაა, რომ „მკეტეს ემეაქისაგან შეკრულს“.

როცა გწყველით ვისმე და გვინდა არ გაიხაროს, უბოდიშოდ ვეუბნებით: მოშავდი ან წამოშავდიო.

აქედან, შავი ფერი სრულებით ბუნებრივად იქცა მარჯვენალად: სიავისა, დაბრკოლებისა, უუღმართობისა, ხელის მოცარვისა, საქმის გაფუჭებისა, დარღწევებისა, ბოროტებისა.

აქედანვე წარმოიშვა ასეთი სიტყვები: წაშავება — შავად წასვლა, ანუ სიკვდილი, შავი დღე — უბედური დღე; შავსვიანი — ვისი სვეც შავია ანუ უბედურია, პირშავი, — ვისაც პირი განაეგებული აქვს ანუ ვინც ბრალეულია რაშიმე, შავგულა — ვისაც შავი გული აქვს ანუ ბოროტია, ღვარძლიანი და სხვ.

დაშამათება პრ. შაჰის მოკვლა. სვ. მოკვლა, მოსპობა, გაქრობა, განადგურება.

ეს სიტყვა წარმომდგარია ქადრასის ტერმინოლოგიიდან: შაჰ მატ, — ე. ი. შაჰი მოკვდაო.

დაშანთვა გულისა პრ. გულზე გახურებული ოკისი ანუ შანთის ძიდება. სვ. გულის ტყენა, დაღონება, დამწუხრება. „სილამაზითა სრული, რომელსა ტანადობითა შემწვანებული კვიპაროზი დაეჩაგრა. მისის სახისა შეწინიერებისა შურის ცეცხლსა მთვარის გული დაეშათა“ (კალილა და დამანა, 564).

გახურებული შანთით დაღვინდნი ცხენებს, კამჩებს, რომ პატრონს ამ დალის საშუალებით გამოეცნო თავისი საქონელი. იმავე გახურებული შანთით ამოუწყვდენენ მხარზე ბორცს კატორღაში გასაგზავნებს, რომ, ვინიცობაა გამოქცეულიყვნენ, დაქერის დროს ამ ნიშნით ადვილად ეცნოთ. ხატოვა-

ნად დაშანთეა გულისა ეწოდება გულის უსაზღვრო დაწვას, უსომო დარღ-ნადევლს და მწუხარებას.

დაშაქრვა ხმისა (ან ენისა), დაშაქრული ენა ჰრღ. შაქრის ფენის მოკიდებ-სა ხმაზე (ან ენაზე) სტვ. სასიამოვნოდ, ტყელოდ ხმისაობა. „ხმას იშაქრავენ ღედა, ბებია, ზღა-პართქმულობის დასდგეს გორანი“ (გ. ლეონიძე, სტალინი, 63); შგლ., „ჩვენს მასწავლებელს დაშაქრული ენა ჰქონდა“.

• **დაჩიტება** ჰრღ. ჩიტად გახდომა. სტვ. გაზრდა, დიდად გახდომა. „როცა ბავშვები დაუჩიტდნენ ღვთისოს...“ (შ. არაგვისპირელი, 211).

დაჩიტება (იგივე მოჩიტება) ნიშნავს ფრინველის ბარჩიის მიერ ბუმბულით შემოსვას, ფრთების გამოს-ხმას იმდენად, რომ ბარჩუმა უკვე ჩი-ტის სახე (ფრთები, ბოლო) მიიღოს და ნელ-ნელა ფრენა შეეძლოს. ხატოვანად **დაჩიტება** აღამიანის შვილებზე მა-შინ ითქმის, როცა ესენი იმდენად წა-მოიზრდებიან, რომ სხეულის დაუხმა-რებლად შეეძლოთ მისვლა-მოსვლა, ცხოვრებასთან შექიდების პირველი სა-ხის და აუცილებელი უნარის გამოჩენა.

დაჩოქება ჰრღ. მუხლის თავებზე და-ყრდნობა სხეულისა. სტვ. თავის და-მკირება, თავის გასაწყლება, ვისთვის-მე თავის სიმდაბლის, უძლურების, მორჩილების ჩვენება; ჯობნა, დამორ-ჩილება. „ამიტომ თვითონაც არ იცის კაცმა და იმის სიყვარულმა, — ვინ შეიპყრობს, ვის თვალ-გული მი-იპყრობს და დააჩოქებს თავის კარებს წინ“ (ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრა-ფიული წერილები, 187).

დაჩრდილვა ჰრღ. ჩრდილის გადაფა-რება, თავის ჩრდილში დაყენება ვი-სიმე ან რისამე. სტვ. დაფარვა, და-მკირება, მოსპობა, გაქრობა, გაუქმე-ბა. „თუ არ მოჩრდილე, ევა, ჟამი-ერად, იგი მიზეზი, რომელმა ჰშვა საზარელი გახეთქილება. — და ი-ჩრდილენ ღედოფალი, ამირთამი-რი? არ შეიძლება“ (ვ. ბარნოვი, დიდი მოურავი, 161).

დაცარვა ჰრღ. უქულმა მოტრიალება დაგრეხილისა, დარღვევა, დაშლა. სტვ. საქმიანობაში ხელის შეშლა, უქულმართობა, დაცდენა. „არ ვაცო-დინე: ვინ არის, ვისი შვილია გვარა-

თა და ამა, შენ რა გიქნია მის ბედის დასაცარათა“ (რაფ. ერისთავი, II, 87).

დაცემა ჰრღ. დავარდნა ზევიდან, ძირს დაშვება, მოულოდნელად გაჩენა მტრის თავზე დასასხმელად, ჯობნა მოკიდებისა. სტვ. გაღარიბება, ზნე-ობაზე ხელისალება, აღამიანური სა-ხის დაკარგვა, გათახსირება, ავაზა-კობა.

დაცემული ჰრღ. ზევიდან ძირს თავის საკუთარი სიმძიმით დაშვებული, ძირს გართხმული. სტვ. გაქირვებული, და-უძლურებული; გარყვნილი; ჯობნა-ლი.

დაძვრა ჰრღ. ამოძრაება. სტვ. დაჯე-რება, დათანხმება, დაყოლიება, შენს ჰკუაზე გატარება, მისი შენსკენ გად-მობრა. „დაჩუმდა დიასახლისი, ხმა აღარ გასცა: ეშინოდა, ყაფლანი არ განრისხებულიყო და არ დაეფიცა, თორემ ველარ გადაათქმევიებდნენ, ველოდ დასძრავდნენ, გაჯიქდებოდა, ქვად იქცეოდა“ (ვ. ბარნოვი, სამი რომანი, 61).

• **დაძმარება** ჰრღ. ძმრად გადაქცევა. სტვ. დალონება, შეფურება, მკმუნებარება, სასოწარკვეთილება, უიმედობა, მო-წყენილობა, გულნატკენობა, სვედი-ანობა.

აღამიანის სასოწარკვეთილი მდგო-მარეობა, დარღიანობა, ნალველი ქარ-თულში დადარებულია ღვინოს, რომე-ლიც დაქანებულა, დაჰკარგვია თავისი, როგორც კარგი სასმელის, თვისება და, სიმჭავის გავლენით, გადაქცეულა ძმრად, მხოლოდ საქმელში სახმარებლად და მის შესაზავებლად.

დაწვა ჰრღ. ცეცხლის საშუალებით მო-სპობა, სიმწარის განცდა ცეცხლის მიკარებისაგან. სტვ. მოსპობა, გა-უხედურება, დაჩაგვრა, რაიმე გრძნო-ბის მიწვევად განცდა, ტანჯვა. „ვე-თა მე შენთვის დამწვარვარ, ეგრე შენ ჩემთვის ჰბნდებოდი“ (შ. რუს-თაჯლო, 1571).

დაწინაურება ჰრღ. წინ წასვლა. სტვ. გამარჯვება, განათლება, ჯობნა, მო-გება.

მგზავრობის ან სიბრბილის დროს ყოველი მგზავრი იმას ცდილობს — მეორეს უკან არ ჩამორჩეს. ხატოვანად დაწინაურება გულისხმობს ყველა საქ-მეში წინსვლას ერთისას მეორეზე, გა-მარჯვებას, მორევას; განათლებას.

დაწინდვა იხ. დანიშვნა.

დაწინდვა პრ. წიხლებს ჩარტყმა. სჯ. ვალანძღვა, შეურაცხყოფა, შერცხვენი, გაკიცხვა. „სოსილო, ძმობასა, მეტისმეტად ნუ დამწიხლავ! შენც გლახაკი ხარ, ზარალი მაქმარე!...“ (ან. ერისთავ-ხომარია, მიწა, 26ბ).

წიხლების ჩარტყმა აღამიანისათვის, პირველყოვლისა, მიყენება ფიზიკური ტკივილისა. ხოლო იგივე წიხლი, გულისხმობს აღამიანის ზნეობრივ შეურაცხყოფას, გლანძღვას, დაქინებას, შერცხვენას. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ წიხლის ჩარტყმა საერთოდ სწევით ხოლმე პირუტყვთ, როგორც, მაგალითად: ცხენს, ჯორს, სახედარს.

დაქდევნა პრ. დანით ან სხვა მკრელ იარაღით ჯოხზე ან ხეზე ამოთლა, ნიშნის გაკეთება. სჯ. დახსომება, მოგონება, დაუფიწყებლობა. „საქიროა გაეისხენოთ, რომ ყველა ეს ზამთარს მოხმდარა. დავაქდიოთ ისიც, რომ აქ ხსენებული საცოდავი გლეხი, სულ ორი კვირაა, რაც ქვეშაგებიდან ამდგარა“ (ილ. ჰეკავაძე, IX, 214).

დაქდევნა და ქდე ძველისეულია. ეს ჩვეულება იმ დროისაა, როცა ჩვენმა შორეულმა წინაპარმა დაქდევის შემოღებით პირველი ნაბიჯი გადასდგა ახლანდელი წერა-კითხვისაკენ. როცა უნდოდით აღენიშნათ რიცხვი და რაოდენობა გაცემული თუ ვისგანმე სესხად აღებული საქონლისა, და ეს დახსომებით, მოიტანდნენ ჯოხს და ზედ დანით ამოსთლიდნენ პირობის ნიშნებს.

ქდეს თბილისში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ოთხმოციან და ოთხმოცდაათიან წლებში ხმარობდნენ ვაჭრობაში. ქდე, თუ ვნებავთ, ერთგვარი პირველყოფილი საბუხპალტრო წიგნის როლს ასრულებდა. დაქდევის საშუალებით თავიანთ ანგარიშს აწარმოებდნენ უმთავრესად რაჭველი მეთორნეები. იმ დროს ისენი პურს ტაბაკებით უხიდავდნენ სახლებში მომხმარებელთ, ხისიდა. საქდე ჯოხს შუაზე იყო გაპობილი მეტისმეტის სისწორით. როცა უნდოდით მუშტართან დატოვებული პურის რაოდენობა აღენიშნათ, ჯოხის ნახევრებს ერთი-მეორეს ზუსტად მიადებდნენ და დანით ჩათლიდნენ პურის რაოდენობის აღმნიშვნელ ქდეს. ერთ ნახევარს მეპურე წილდებდა, ხოლო მეორე ნახევარი პურის მომხმარებელს

დარჩებოდა, ანგარიშს თვის პოლს გაასწორებდნენ. ამისათვის ჯოხის ნახევრებს ერთიმეორეს მიადებდნენ და დათვლიდნენ, რამდენი ქდე იყო გაკეთებული. მომხმარებელი ამ ქდეთა რიცხვის კვლობაზე გადაუხდიდა ფულს თავის კრედიტორს. ამ პრიმიტიული ჩვეულების ასრულების დროს იშვიათი იყო შემთხვევა ვაჭვებრობისა, თალთობისა.

ქდეს ხმარობდნენ თბილისშივე, სანამ წყალსადენი გაჩნდებოდა, მტკრიდან თულუხებით (კამჩის ტყავებით) წყლის მზიდავები ანუ თულუხები.

მეგრელი მწყემსები ცხრისა თუ თხების სათვალავად პატარა, ერთ ციდა ოთხკუთხე ჯოხებზე, რომელთაც მსარბივით ატარებდნენ სამასრებში გულზე, ქდენს აკეთებდნენ.

მოხვევებში ქდის დადების ჩვეულება უკანასკნელ ხანამდე არსებობდა. ამ ჩვეულებას მიმართავდნენ დამომობლებსა და საჯაროდ დაწყველის დასადასტურებლად. თემის ყრილობაზე, დროშებთან ნიშთან დამდგარ დეკანოზების წინაშე, როცა ორი დამომობლებული ერთმანეთს ერთგულებას შეჰფიცავდა და თან დაწყველიდა მოლაღატეს, ორგულსა და ფიცის გამტრეს, ამ ფიცისა და წყველის დასტურად, ორივე მხარე დანით ჯოხზე ქდეს დადებდა. ეს იყო ერთგვარი სიმტკიცის ბეჭედი, ისეთივე, როგორც ახლა დაწყველებულმათა კანცელარიებში არტყამენ საქმის ქალაღდებს, ურომლისოდაც ამ ქალაღდებს ძალა არა აქვთ ხოლმე. მეორე ამ ქდიან ჯოხს მოწიწებით და მუხლის ყრით მიიტანდნენ ხატის ნიშთან და დროის ძირას კედელში გამაგრებდნენ.

როცა წერა-კითხვა გაჩნდა და დაქდევა და ქდემ თავისი დრო მოსკამა, სიტყვა დაქდევა მაინც დარჩა ქართულ მეტყველებაში, ძველებური დაქდევის მისაგონებლად, მხოლოდ არა პირვანდელი პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ დახსომების სიმბოლოდ და ანგარიშის პირობით ნიშნად. და ეგვე დაქდევა ხატოვანად გადაიქცა დახსომების გამომხატველად. როდესაც ილია ჰეკავაძე დამოწმებულ ადგილას ამბობს — დავაქდიოთო, გულისხმობს დახსომებას, მოგონებას, საკითხის გამორკვევისათვის ამა თუ იმ



საყურადღებო და მნიშვნელოვანი გარემოების არდავიწყებას.

ქდეს სვანეთში უკანასკნელ ხანებამდე სმარობდნენ დასაწყველად, ხატზე „გადასაცემად“. ქვემო სვანეთში, ლაშხეთის თემის, სოფ. სასაშის ეკლესიაში, ქვიშის ტყეში ხატის დღეობაზე, როცა საჯაროდ გადასცემდნენ ქურდს, ბოროტმოქმედს, ხატის ბაიროლის ხის ტარს დანით ქდეს გაუკეთებდნენ და იტყობდნენ: სანამ ეს ხე არ განელდეს და ქდეს არ ამოივსოს, მანამდე ამა და ამ კაცს (დამნაშავის სახელი) შევლახნას ნუ მისცემო.

• დაჯმა (ერთიერთმანეთისა) პრ. ერთმა მეორე პირში ჩაიდოს, კბილებით დაღეჟოს და გადაყლაპოს. სვ. მისპობა, განადგურება. „მაშინ ძალლიც აღარ იცნობს პატრონსა: ერთი-ერთმანეთს შევეჯახებით, ერთი-ერთმანეთს თავს შევახლით, ერთი-ერთმანეთს დავექამთ“ (ილ. პავლევიძე, IX, 181).

დაქრელება იხ. აქრელება.
დახედული პრ. ვინც წინ იცქირება. სვ. გაფრთხილებული, სიფრთხილით მოქმედი თუ მოლაპარაკე. „... ვნახოთ, ის რას მირჩევს, დახედული, ქვიანი ბიჭია, ჩემთვის კეთილი უნდა“ (ან. ერისთავ-ზოზტარია, მიწა, 103).

დახელება პრ. ხელის მოვლება, ხელის წაბანება. სვ. მისწრება, შეხვედრა, პოვნა, დაჭერა. „მოპყვა გლები: „ღილით ადრე მე ქათმები დავითვალე, მაკლდა ორი, ჩაუფიქრდი, ვერ დავეხელე ისე მალე“ (რაფ. ერისთავი, I, 314).

დახელთავება წიგნისა პრ. ხელთგდება, დაპატრონება, დაუფლება წიგნისა (კითხვისა). სვ. შესწავლა წერა-კითხვისა. „გავიდა რამდენიმე დრო, წიგნი კარგად დავეხელთავე; წერაც გავიკვიეთ“ (ილ. პავლევიძე, II, 68).

დახვეწილი პრ. სახვეწავით ხაომოზორებული და დასუფთავებული ძაფი. სვ. დაწმინდაებული, მშვენიერი, ზრდილობიანი, ხატიფი ქცევისა, გინდა ლაპარაკისა. შვლ., „დახვეწილი სტილი“, „დახვეწილი გემოვნება“.

დახხნა პრ. მოსპობა, შეკრულის დაშლა, დანგრევა. სვ. შეშლა, განთავისუფლება, მოხმარება, გამოსყიდვა გიროსი; მეოხება.

7. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი.

დახურდავება პრ. მსხვილი ფულის გადაცვლა წვრილ ფულად. სვ. ძლიერი, გონიერი, ნასწავლი კაცის ცოდნისა და ძალ-ღონის მიზარება უბრალო, წვრილმან საქმისათვის, რასაც ყველა შეასრულებდა. აქედან: დახურდავებული. „ზოგადი სახე აღამაინისა რამოდენადაც ამ შემთხვევაში უფრო წვრილზედ დახურდავებული იქნება... იმოდენად შემოქმედება მწერლისა მალლადან დაბლა ჩაზოდის, იმოდენად მწერალი ნიქაჯლებია და დაქვიითებული“ (ილ. პავლევიძე, IV, 193).

დაჯახება პრ. ძგერება, შეხლა. სვ. ერთიმეორის საწინააღმდეგოდ ანხედრება, გადაკიდება, მტრობა, შუღლი. „ვიდრე ამისთანა მტრობა ცალკე კაცთა ერთმანეთში მოსდით, ისე საშიში არ არის, როგორც მაშინ, როცა სოფელი სოფელს დაეჯახებო, ერთი წოდება — მეორეს“ (ილ. პავლევიძე, VII, 43).

დაჯღღომა პრ. სხეულის დასვენება რამე მაგარზე. სვ. მიღება აზრისა, მოწონება. „... ერთს პირობას მოგახსენებთ და თუ დაგიჯღღესოთ, ხომ მიიღებთ, თუ არა და მე ჩემს გზაზედ წავალ“ (რაფ. ერისთავი, IV, 111).

დაჯიღა პრ. დამჯდარი. სვ. დაბალი, ბაჯაჯღანა, ციდა-მტკაველი. „ომოცდათვრამეტი წლისა, პირღორენილი, ლაშებმოშვებული, თილთაქვას ტოლა ცხვირი, კუსავით ჩამძვრალი წვრილი თვალები, დაჯიღა არყის კოლოტსა ჰგავს“ (ავტ. ცაგარელი, 10).

• ითქმის დაბალ კაცზე, თუ ქალზე; აგრეთვე ხელადაზე.

დედაბოძი პრ. მთავარი ბოძი. სვ. დასაყრდენი; დასამაგრებელი, ძალა, შემნახველი, მარჩენელი; სიმდიდრე, შეძლება. „წაილო შავმა მიწამ ჩემი თევდორე... წამოგვექცა, ოჯახო, დედაბოძი, დავიძიწდათ, თოფო და ხმალო, თქვენი ფანდი ვაქ-კაცი“ (ილ. პავლევიძე, III, 45); (გიგოლა მოურავი) „თავისის ღვიძლის ხალხისაგან გასუქდა, მისის სისხლისაგან დაისხვლა კისერი, მისის ძარცვით შეუღდა ოჯახს დედაბოძი“ (ს. მგალობლიძე, წარსულიდან, „მოაბე“, 1894, № 1).

დედაბოძი ის ბოძია, რომელზედაც დამყარებულია სახურავი სახლისა.

გადატანით, ხატოვანად ოჯახში დედამამად მამაკაცი ითვლებოდა (მასზეა დამყარებული მთელი ოჯახის კეთილდღეობა). ოჯახში უფროსი რომ მოკვდებოდა, იტყოდნენ— „ოჯახს დედაბოძი გამოეცალა“. დედაბოძს შემდეგ მნიშვნელობა გაუფართოვდა.

• **დედაბრიანთ ხარი** დედაბრიშვილებს რომ ეკუთვნოდა, ის ხარი. სჯვ. ზანტი, ზარმაცი, მუშაობა რომ ეხარებოდა. მგლ., „ფეხის გადადგმა და რისამე გაკეთება პირდაპირ ესიკვდილებოდა ამ ოჯახქროს, ნამდვილი დედაბრიანთ ხარია“.

სოფელ წილკანში (ქართლში) დედაბრიშვილებს ერთი შავი ხარი ჰყოლიათ, ზანტი, საქმისათვის სხვაგან წასვლა ესიკვდილებოდა, შინ რომ მოატანებოდა, გამოიქცეოდა ხოლმე. დედაბრიანთ ხარი დღეს ეწოდება ზარმაცი; ზანტი, საქმისათვის თავისდამძვრენ აღაშინას.

დედა და მამა ხაფლაგში არ დაუყენა ჰრდ. მისი დასაფლავებული დედა-მამა ხაფლაგიდან ამოიღო. სჯვ. აგინა, ვალანძლა, შეურაცხყო. „მომდგა ამაზედ და ქიგო ზედ დამალეწა. შენც დედა და მამა ხაფლაგში არ დაგაყენა...“ (ილ. პავლევიძე, III, 55).

დედაც და თვალს! ჰრდ. ისეთო, როგორც დედა და თვალთა კაცისათვის. სჯვ. ძვირფასო, მშვენიერო. „რა გინდა, დედაც და თვალს, არც არას მოგვცემ და კბილებსაც დაგამტვრევ?“ (რაფ. ერისთავი, III, 99); „ეს კუდიანობა სულ შენი ამბავია! რა გინდა ჩემგან, დედაც და თვალს, რაზედ მართმევ ლუქმას?“ (ავტ. ცაგარელი, კომედიები, 21).

• **დედალი** ჰრდ. მდებრი ქათმისა და საერთოდ ფრინველთა. სჯვ. ლაჩარი, მშვიდარა, ჯაბანი, მხდალი.

• **დედალ-მამალი გაწყდა** ჰრდ. როგორც დედალი, ისე მამალი, შვილის გამჩენი მოისპო. სჯვ. შთამომავლობის გამჩენი არავინაა, სიცოცხლე მოისპო. „სამ წელიწადში ერთხელ ძლივს იხვნოდა (მიწა) და მაშინაც დედალ-მამალი ვასწყვეტოდა ხოლმე, რადგან მიწა იყო ფიტავამოლეული, უღონო“ (რ. ფალგენშეილი).

• **დედამიწამ პირი უყო** (მავანს) ჰრდ. დედა-

მიწამ პირი დააღო და ჩაჰყლა. სჯვ. უკვალოდ დაიქარგა, ვერაინ გაიგო მისი ასავალ-დასავალი, მოჰყვოდა. „ყოველი კუთხე მოჩნრიკეს, ყველა მალაროსა და ხერელში ჩაანათეს, გასინჯეს და ყველა ვზა-ბილიტი შეჰკრეს, ხევენი და მყოლოვანი გასინჯეს, მაგრამ ვერაფერ კვალს ვერ მიაგნეს. თითქო დედამიწამ უყოვო პირი ან მიწის მველმა ჩანთაქა ქალიო“ (ე. ბარნოი, საპოემათი, 83); „შენნი შექნი შემომავლეს ბნელსა გულსა. ზედან მქეირსა, შენი ვიყო, სადამდისცა დამიყოფდეს მიწა პირსა!“ (მ. რუსთაველი, 63).

• **დედამიწასთან გასწორება** ჰრდ. ფეხზე არდაყენება, დედამიწაზე გართობა. სჯვ. აობრება, განადგურება, დაღუპვა, მოსპობა, დამბობა, მოკვლა. „თუ მალრიბის სახელმწიფო ახლავარ დაევაძებ დედადამიწასთან არ გაევასწორეთ, უფრო მეტად გაძლიერდება“ (თერგდალეული, ბრძენი ქალა, „ივ.“, 1901, № 156).

დედამიწას მოსწყდა ჰრდ. დედამიწას უტბად მოსცილიდა. სჯვ. ერთბაშად გამოიქცა.

მოწყვეტა გულისხმობს ნაწილის უტბად მოშორებას სხეულისაგან. ხატოვანი თქვა— დედამიწას მოსწყდა ნიშნავს: ზედ დამდგარი, სულდგმული უტბად, ერთბაშად, თავისი დახანხამებაში მოშორდა იმ ადგილას. საცა ფეხები ედგა, საცა დამუჯენილი იყო, თითქოს ფრენით წავიდაო.

• **დედამიწის ზურგიდან აღგვა** ჰრდ. დედამიწის ზედაპირიდან ცოცხით აკრეფა. სჯვ. მოსპობა, გაქრობა. „... ყოველი იგი უნდა მსცდილობდეს ოჯახი ძირიან-ფესვიანად ამოაგდოს და სამუდამოდ აღგავოს დედამიწის ზურგიდან“ (ილ. პავლევიძე, IX, 249).

დედა მოუყვდა ჰრდ. შვილს მშობელი გარდაეცვალა, აღარა ჰყავს. სჯვ. ვათავდა, ჩაიფუშა საქმე, გამოუსწორებლად გაფუტდა. მგლ., „ჩვენს იმედს ფულის შოვნისას და ხელის მოშორებისას სამწუხაროდ დედა მოუკვდა“.

დედაც მავანსა ჰყოლია და ძუძუს მავანს უწოვებია ჰრდ. კარგი დედა ჰყოლია ძუძუს მწოვებლად. სჯვ. მეტად კარგი ვინმეა.

ამას იტყვიან ხოლმე ღირსეულ ადამიანზე, თავის მოქმედებით სხვებთან გამორჩეულზე, — ისეთ ადამიანზე, რომლის დედამ იცის თავისი დანიშნულება და თავისი მოვალეობა მშობლისა, იგულისხმება, რომ ასეთი დედის ძუძუთი გამოზრდილი შვილი იქნება დიდლაც სრული როგორც ფიზიკურად, ისე ზნეობრივად, ყოველი მის მიერ გადადგმული ნაბიჯი — მიზანშეწონილი, ყოველი მისი საქციელი — სამაგალითო და მისაბაძი გარეშეთათვის.

დედინაცვალი ჰრღ. დედის ნაცვალი ანუ მამიერი, მამის შტორც კოლი შვილებისათვის, რომელნიც მისგან არ არიან შობილნი. ზგვ. ვინც (ან რაც) სასტიკად, უღმობელად, უღირად ეპყრობა ვისმე ან რამზე. „დედინაცვალი — თვალში ნაცარი“; „ცხოვრება ზოვისათვის დედან, ზოვისათვის — დედინაცვალი“ (დ. მაჩაბელი, დედადაკაოვლი ხაჭები, „ივ.“, 1903, № 223).

დედის კალთაში თავის დება ჰრღ. ერთად დედასთან ყოფნა (შვილისათვის). ზგვ. მუდამ ალერსი დედის მიერ, ფერება შვილისა, პატივება ცული საქციელისა, გაუჯავრებლობა. „დედის კალთაში თავის დებას ისეთი ზეგაელება ჰქონდა მამაჩემზე, რომ იმას მთელ მის სიციხეში თვითნებობა და ახირებულობა ზნედ ჰქონდა გადაქცეული“ (აკაი, 1, 19).

ბავშვი, განსაკუთრებით ფეხაუდგმელი, ძველად უმეტეს ხანს ატარებდა დედის კალთაში. აქ იგულისხმება, რომ ძველებური კაბა ქალისა, როგორც გათხოვის, ისე ვასათხოვარის, გრძელი (მიწამდე) და განიერი გახლდათ. ბავშვს ამ კალთაში ეძინა, შიგ მწოლიარე ძუძუსა სწოვდა. კალთაში მყოფს, თავისთავად ცხადია, დედა ეალერსებოდა. ეფერებოდა, ანებოვებდა, ასე რომ დედის კალთაში თავის დება გულისხმობდა ბავშვის ყოფნას დედის საფარველს ქვეშ, დედის მიერ მის განებოვრებას, ყოველი მისი სურვილის ასრულებას. ასეთ ბავშვს, როგორც კანონი, ახასიათებდა თვითნებობა, ახირებულობა.

აქედან „დედის კალთაში თავის დება“ გადაიქცა ხატოვან თქმად, თვითნებობის, თავის ნათქვამობის გამოხატველად, მის სინონიმად.

დედის მუცლიდან გამოყოფა ჰრღ. დედის მუცლიდან შენაძენი. ზგვ. მემკვიდრეობით გადმოსული თვისება ან ქონება. „რაც შენ მე აღვილი მიფეშქაშე, ან რაც ეხლა მამულ-დედული გიქირავს, შენ ხომ არ დაგყოლია დედის მუცლიდან!...“ (მელანია, გიორგი და გურჯაი); „დედის მუცლით რა გამომყავა? მშობებია თქვენგან მეო“ (მ. რუსთაველი, 1168).

დედის ნებიერი ჰრღ. ვინც დედისაგან განებოვრებულა. ზგვ. ვისაც ყოველგვარი უსაქციელობა (დედისაგან) ეპატიება, ვისაც დანაშაული არ მოეკითხება, ვისაც ეფერება უხამსობისათვის. შგლ., „ეს, ჩემო კარგო, დედის ნებიერია, რაც უნდა, იმას სჩადის, დამშლევი არავინა ჰყავს“.

დედის რძესთან შენაწოვი ჰრღ. დედის რძესთან ერთად სხეულში შეშვებული. ზგვ. ძალიან შეთვისებული, ძტკიცედ შესწავილი. „სხვისი წუნის-დება ჩვენში დედის რძესთან შენაწოვი და თანშობილი ზნეა...“ (აკაი, ფიქრები კუბოსთან, „ივ.“, 1904, № 164).

დედის ძუძუს მომჭრელი ჰრღ. ვინც თავის მშობელს მჭრელის იარაღით ძუძუებს მოაშორებს მჭერდიდან. ზგვ. ავაზაკი, ბოროტი, გარეწარი, ამოსავარდნი, შეჩვენებული, არდასაცალებელი. „იქნება საპყრობილედან გამოქცეული ქვეყნის ამომგდებელი ავაზაკი, დედის ძუძუს მომჭრელი, — ვანბორციელებული ბორცტება, უმსავსოება, უნამუსობა, რომლის შეპყრობა, დასჯა და ჯავრის ამოყრა ენატრებოდა ამოდენა ხანს?“ (ვაკ-ფშველა, VI, 123); „შევთხოვთ გამჩენს, რომ გვაშოროს იგეთ დედის ძუძუს მომჭრელ, ლეჩაქ-მობილი ჩაფარხანებს და ახლა ვთქვათ...“ (დ. მაჩაბელი, ძმური სიტყვა, 100).

დედის ძუძუს შერგება ჰრღ. დედის რძის მონელება. ზგვ. დიდხანს სიციხე. „აი, ქულიც არ მხურებია, აი, დედის ძუძუც არ შემრგებია, თუ მაგის სისხლი შეგარჩინოვო, — დამახა ახლა სხვა და მიაგლო ცხენი ყიზილბაშს“ (ილ. გუგუაძე, III, 31); „აი, შენი გამჩენის ქირიშე, შენი! დაილოცა შენი მკლავების ძარღვები!.. აბა შვილო, დედის ძუძუ“.



ძუ მაგას შეჰრგებიო, — იახობდა ერთი“ (ილ. ჰავაჟაძე, II, 79).
დედის ხსენი არ შემართბია ტუჩებზე ჰრდ. დედის ხსენი ჯერ ისე ტუჩებზე აქვს. სჯვ. პატარაა, ძუძუმწოვარა ბაღლია.

ამ თქმას ხმარობენ დაცინით, როცა ვინმე ჯერ პატარაა და დიდს კი ერთობა ქცევაში. (ხსენის განმარტებისათვის იხ. დედის ხსენს ვარწყევინებ).

დედის ხსენი ზემოთ ამოხდის ჰრდ. დედის ხსენი კუჭში აღარ რჩება. სჯვ. საშინლად ასაქმებს პირიდან (მაგ., უზომო ღვინის სმის შემდეგ), გალემილია, ძალზე მთვრალია, ლოთია. „ლადო თავდაუზოგავად და შეუბრალებლად ჰსევამდა ღვინოს. ბევრჯოდა ეკიდა ხოლმე თავდაღმა და დედის ხსენი ზემოთ ამოსდიოდა“ (მელანი, ლადიკო). (ხსენის განმარტებისათვის იხ. დედის ხსენს ვარწყევინებ).

დედის ხსენს ვარწყევინებ ჰრდ. მუცელში ხსენს არ ჩაეუტოვებ. სჯვ. ისე გცემო, რაც გიქამია, მუცელში არაფერი შეგრჩეს. „ო-ო! ჩამივარდება როდისმე ის უღმერთო ხელში და ღვთის მიადლა, დედის ხსენს ვარწყევინებ პირიდან“ (ილ. ყაზბეგი, 277).

ხსენი (colostrum) ეწოდება იმ სითხეს, რომელსაც გამოჰყოფს ქალის ანუ ძუძუმწოვართა სარძევე ჯირკვლები შეილის მომზობიარობამდე და მშობიარობის პირველ დღეებში და რომელიც თავისი შედგენილობით რძეს უახლოვდება.

ახლადბადებულის მუცელში, მასადაამე, პირველად ხსენი ჩადის. ხსენის რწყევინება-კი მუქარაა, რომლითაც მიმართავენ ვისმე, როცა ეს უანასკელი დაამთავებს რასმე. ამ დამუჭრებით გამოსთქვამენ იმ აზრს: ისე გცემო, სულ წაარწყვიო, რაც გიქამია და ისე არწყვიო, რომ ხსენიც, რომელიც დაბადებისას საფუძვლად დაედო შენს კვებას, არ შეგორჩეს და უკანვე ამოაყოლოო.

დედისხობილა ჰრდ. ისეთი, როგორიც დედისაგან იშვა. სჯვ. შიშველი, ცარიელ-ტარიელი, ღარიბი, უქონელი. „გეტყვი პირდაპირ, გავატიტვლებ (ჩხიკვს), გავაძრობ იმ კრელ ახა-

ლუსს, მოვის პერანგს, მოვხდი თივიდან წითელ ფესს. დელი მობილა, თითვით ტიტველი უნდა გავუშვა“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 204).

დედის მუცლიდან გამოსულ ბავშვს, ახლადბადებულს ზედ არაფერი აკარავს და ამიტომაც, რომ სიტყვა დედისხობილა გადაქცეულია უქონელის, შიშველ-ტიტველის, ღარიბის სინონიმად.

დედ-გმირები ჰრდ. მითოლოგიური არსებანი, ჩვეულებრივი ტანის ადამიანებზე გაცილებით დიდები. სჯვ. არაჩვეულებრივი ადამიანები. „Новое Обозрение-ს თავის ვარწმობა, რომ თვალი მოეტარებინა, მნახავდა, რომ არიან მწერალნი, რომელნიც საქვეყნოდ იმახიან „დედ-გმირები“ ჩვენა ვართო“ (ილ. ჰავაჟაძე, IX, 314).

დევი ყურით არ დაუჭერია ჰრდ. ყურში ხელის ჩაღვრებით არ დაუჭერია დევი. სჯვ. დიდი ვაჟაკური საქმე არ გაუქეთებია, ისეთი, რომ ქვეყანა იმაზე ლაპარაკობდეს, როგორც იქნებოდა დევის დაქერა და ისიც ყურით. „ბაში-აჩკი დაუბრუნდა თავის სახლკარობას და აბღუშაილი იჩესიდა. მართალია, დევი ყურით არ დაუჭერიათ სიძე ცოლიძმას, მაგრამ ბევრჯელ-კი კარგი სამსახური გაუწიეს იმერეთს თურქებთან ბრძოლის დროს“ (ავაჯი, I, 274).

დვრიტა ჰრდ. დამკავებული რძე, გამოღებულ კორფა მცობნელთა კუჭიდან, რძის შესადიდებლად ხმოვებული. სჯვ. წარმატების, სიკეთის, განათლების, გონებრივი წინსვლის ხელისშემწყობი ძალა. „იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემოამატეოს, როგორც უცხო ნიადგზე გადარგულსა და აღზრდილს! იქნება ზურგიც კი შემატეოს, იქნება მიმიფიცოს კიდევცა, რადგანაც ჩემში მიანიტდამიცი ჩემის ქვეყნის დვრიტა და დებული“ (ილ. ჰავაჟაძე, II, 5).

დვრიტა მოიკიდა ჰრდ. შეღვდოდა. სჯვ. წარმატება. სიკეთე დაეტყო, გონებრივად განვითარდა. „სხვაგან თუ ასაფრენზე იყო ხოლმე გარსევანი ცოტახნობით და ხელის დაქნევას ელოდებოდა, ჩემს ნაწილში გული ბუდეს დაიდვა, კარგა ხანს უდგნო-

დვრიტა მოიკიდა, ფეხი მო-
იბოძიწკა“ (ფვ. მენტეშვილი, კვლ
მშველიშვილი, ივ., 1903, № 253). ის.
დვრიტა.

რძის შესადღებლად, რძისაგან
ყველის მისალეზად დვრიტა საჭირო.
ამიტომ დვრიტა გამხდარა სინონიმად
გონებრივი თუ ქონებრივი განძის შე-
ძენისა.

დიაკვანით კითხვა ჰრ. დიაკვანის
მსგავსად წაითხვა დაბეჭდილისა თუ
დაწერილისა. სტვ. გაურკვევლად,
ნულნულით, ჩქარა კითხვა.

ძველად ეკლესიებში, წირვა-ლოცვის
დროს, მღვდლების თანაშემწევებს და
დამხმარეთ დიაკვნები ერქვათ. როცა
ესენი კითხულობდნენ საღმრთო წერი-
ლის წიგნებს, ჩქარობდნენ და თან ისე
ვაურკვევლად კითხულობდნენ, რომ
ეკლესიაში მდგარ ხალხს მათი გაურ-
კვეველი ხშიანობადა ესმოდა.

დააცი ჰრ. ქალი. სტვ. მხალი, მში-
შარა, ჯაბანი, მოკრძალებული.

დიდგული ჰრ. ვისაც გული აქვს დი-
დი. სტვ. ამაყი, გოროზი, ზეავი,
ზეიადი, ქედმაღალი.

დიდ გულზედაა ჰრ. მეტად დიდი
მოცულობის გულზედაა. სტვ. მედი-
დურადაა, ზეავადაა, ამპარტავენადაა,
ამაყადაა, თავის თავზე დიდი წარ-
მოდგენისაა.

დიდგულთა ჰრ. დიდი გულის ქონა.
სტვ. სიამაყე, გოროზობა, მედიდუ-
რობა, ზეიადობა, ქედმაღლობა.

დიდი გრილია (მავანი მავანისათვის) ჰრ.
დიდი გრილი ადგილი, სადაც არა
ცხელა, სიცხისაგან მოფარებული
ადგილი. სტვ. მშველელი, დამხმარე,
მფარველი. იმედი, ხელისშემწყობი,
გაპირებისაგან მხსნელი.

დიდი გულის ქონა ჰრ. დიდი მოცუ-
ლობის გულის ქონა. სტვ. მედიდუ-
რობა, ზეავობა, ამპარტავენობა, ამა-
ყობა, გოროზობა, გამბედაობა. „სა-
ხლში რომ დიდი გული გქონდა
და ბიჭების იმედით ჰყოყლოაინობ-
დი. აბა ეხლა გამობრძანდი, — ეს
ბურთა და ეს მოედანი. გავშინჯოთ
ერთმანეთი!“ (მელანი, ნავარდობა).

ცხოველის ორგანიზმში გული—ეს
სისხლის მიმოქცევის მთავარი ორგანო.
რომლის ფუნქციების თუნდ ერთწამიერ

შეჩერებას მოსდევს შეჩერება ჩვენი სი-
ცოცხლისა, ჩვენი ხალხის წარმოდგე-
ნით, სხვათა შორის, ერთგვარი საცავი
და ქურქელია სიყვარულისა, გამბედაო-
ბისა, მზნეობისა, შემმართებლობისა,
მტრის ძლევის სურვილისა. სიამაყისა,
თავმოწონებისა, სიბრაზისა, წყრო-
მისა.

ხალხის წარმოდგენით, ყველა ეს
თეისება იმდენად ძლიერია ჩვენში.
რამდენადაც თვით გულია დიდი
მოცულობისა. რამდენად უფრო
მეტს ჩაიტევს ეს გული ზემოდასახე-
ლებულ გრძნობებს.

აქედანა მიღებული სიტყვები:
დიდგული, გულადობა, დიდგულობა,
დიდგულზედაა და სხ. და სხ.

დიდი დაიკვებე ჰრ. თუ გინდა, ბევრი
იკვებე. სტვ. ვერ იზამ, ვერ მუვეი
წაიღის, მერე დაკვენას ვერ შეს-
ძლებ. მგლ., „დიდი დაიკვებე,
როცა შენ რამე წამართვა!“.

დიდი დღე ჰრ. დრო მზის ამოსვლი-
დან ჩასვლამდე. სტვ. დიდი დრო,
დიდი ხანი. „მამგრამ დემეტრეს
სოფლად ყოფნას დიდი დღე არა
ჰქონდა. დიდხანს არ შერჩა კობტა
ტანისამოსი, მალე შემოაცვდა და
ყურები ჩამოჰყარა“ (ს. მვალთბიშვი-
ლი, I, 6).

დღე ხატოვანად ითვლება როგორც
აღმნიშვნელი ხანისა, სიცოცხლისა.

დიდი ზურგი ის. ზურგი.

დიდი ღარი და ხაზი არ უნდა ჰრ.
ღართა და ხაზით დიდხანს სინჯვა
საგნის სისწორისა თუ სიმრუდისა.
სტვ. ბევრი ლაპარაკი, ახსნა-განმარ-
ტება, ანდა მტკიცება არა სჭირია
რასმე. თავისთავად ცხადია, ქვშმა-
რიტებაა. „მას განა დიდი ხაზი
და ღარი უნდა, თუ ქვა-ქვიცა
და გული-გულის ადგილას აქვს
აღამიანს...“ (ილ. პევაძე, ივ. 1697,
№ 53); „გაურჯელ კაცს წყალი წაი-
ღებს, მამ რა მოუვა! იმას დიდი
ღარი და ხაზი არ უნდა!“ (ილ.
პევაძე, მთაური, ივ., 1898, № 1).

ღარი თოკია, რომლის საშუალებ-
ით კალატოზნი კედლის სისწორეს
სინჯავენ ხოლმე. ხურონი იმავე ღა-
რით, საღებავში (წყალში გახსნილი
ნახშირი) ამოვლებულით, დასახერხ-
ხის ძელზე სისწორისათვის კვალს და-
ამჩნევენ და ამ კვალს გაყოლებით



ხერხავენ ძელს. ფიცრებად. ამ შემთხვევაში ლარი და ხაზი ნახნარია, როგორც გამოხმატველი საქმის სისწორით. ზედმიწევნით და გამოწვლილვით გაკეთებისა თუ შესრულებისა.

- დიდი ნაფოტი მიცვივა სახლში ჰრდ. ჩემ მიერ გამოყენებულ ხეებს დიდი ნაფოტი სცივივა სტვ. შეძლებული ვარ, მდიდარი ვარ.

ძველად შეძლებულ კაცს დიდი ხეები გამოუღვევი ჰქონდა შენობებისა თუ სხვა რამ საოჯახო საჭიროებისათვის. იმ ხეებს გათლის დროს ბლომად სცივივოდა ნაფოტი. დაცვნილი ნაფოტის სიჭარბე გამოხატავდა ბევრი ხის ხარჯვას და, მასასადამე, ამ ხეთა პატრონის შეძლებას.

დიდი ხაქმეა ჰრდ. სულ დიღია. სტვ. შეიძლება, არც კი. „ტუული წვალება-და იქნება უბედურისა. სჯობია უწვალეზლად მიიხაროს სული.— მიუგო დემეტრემ.—ამაღამ, დიდი საქმეა, თუ გაატანა: შიგანური სულ შენგრეული აქვს“ (ილ. პავსაფაძე, III, 98).

- დიდი ხნის პურს ვერა სქამსი ჰრდ. დიდხანს არ გაგრძელდება მისი პურისქამი. სტვ. დიდს ხანს ვერ გასძლებს, დიდხანს ვერ იცოცხლებს.

ქართულის წარმოდგენით, ადამიანს აცოცხლებს უმთავრესად პურის ქამი, უპუროდ სიცოცხლე წარმოდგენილია. აქედან ბუნებრივია, რომ ქართულის მეტყველებაში პურისქამა გამხდარა ადამიანის სიცოცხლის სინონიმად.

დიდი იძახი ჰრდ. დიდრ სიტყვებით ლაპარაკობ. სტვ. დიდგულზედა ხარ, თავი მოგაქვს, თავს იქებ, ზეიობ, ქედმაღლობ, ტრაბახობ. „—უჰ, რა გამხდრები არიან, თითქოს ათა გიქმევი-რა.

— მართალია, გზაზე არა მიქმევი-რა.

— მაშ რაღას დიდს იძახი, შე დალოცვილო!“ (ლ. არაბაიანი, სოლ. მუჯღანთაშვილი, 48).

იგულისხმება, რომ დიდი ტანის კაცს ტანის სიდიდის შესაფერი ღონე და ხმაცა აქვს, ასე რომ, თქმა—დიდს იძახი ნიშნავს: ხმა დიდი გაქვს, მასასადამე, ღონიერი ხარ, შემძლებელი; ნიშნავს აგრეთვე: კვხნას, ტრაბახობას, ბაქიობას.

დიდსულოვანი ჰრდ. ვისაც დიდსულოვანი აქვს. სტვ. ვინც შენდობელია დანაშაულისა, მაპატივებელია დანაშაულისა, თავმდაბალია. დამთმობია, მოწყალი, მოყვასის შემბრალეზელი.

სული, ჩვენი ხალხის წარმოდგენით, ერთგვარი უხილავე და უმატერიო ნაწილია ჩვენი ორგანიზმისა, ანატომიის მიერ უცნობი, უცნობია თვით მისი სავსე ადამიანის სხეულში. ამ სულზე დამოკიდებული ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი.

ეს სული ყველა ადამიანს ერთნაირი არა აქვს. კაცია—დიდი მოცულობის სული აქვს, დიდსულოვანია, და კაცია—ვისი სულიც პატარა, კნინია, ანუ კაცი სულმცირეა, სულკნინია, სულმდაბალია.

დიდსულოვანი ადამიანის ხელთაგან გამოვა: შებრალეზა მოყვასისა. მოთონება, გასაქირში გაძლება, თავმდაბობა. ერთი სიტყვით, ასეთი კაცის გულში ყოველგვარი პატიოსანი და კეთილშობილური გრძნობაა დასადგურებული.

ხოლო სულკნინ, სულმდაბალ ადამიანის სულში დასადგურებულია ყოველგვარი უარყოფითი ხასიათის გრძნობა: მეუბრალეზობა, გაუკეთხავეობა, გაუტანლობა, რალატი, გაიძვერობა, ორგულობა და სხ. და სხ.

- დიოგენის ფარნით ძებნა ჰრდ. რაზე დაკარგულის ძებნა დიოგენის ფარნის საშუალებით. სტვ. უპოვნელის ძებნა, შეუძლებელის აღმოჩენა. „ან ჟურნალ-გაზეთ-წიგნებში იყიდებოდა და ან ვინმე ჰყიდულობდეს, ამას კი დიოგენის ფარნითაც რომ ეძებოთ, ვერსად შეხვდებით“ (დ. მანანელი, ქიზიყის ავტორგი, „ივ“, 1899, № 274).

დიოგენი ბერძენთა ფილოსოფოსი იყო (413—323 საუკ. ძვ. წელთაღრ.). რომელიც უარყოფდა ყოველსავე საბაჟო ამაოებას, მთელი კაცობრიობა სძულდა. ერთ დღს ათინის ქუჩებში დადიოდა და ხელში ფარანი ეჭირა. რომ ჰკითხავდნენ—ამ ფარნით რას ეძებო, დიოგენი პასუხად აძლევდა: „ადამიანს ვეძებო“. ამიტომაც დიოგენის ფარნით ძებნა გადაქცეულა შეუძლებელის, უპოვნელის აღმოჩენის სინონიმად.



• **დო პრე.** მაწენის დღეების შემდეგ დარჩენილი ნაწილი რძისა, ცხიმგამოცილილი. **ხტვ.** ნიეთიერება, რომელსაც საუკეთესო შემადგენელი ნაწილი გამოცილილი აქვს. „ნაღებს ქვეყნისა და ცხოვრებისას მცოდნე თუ დო ხდის და უცოდინარს სიკვებად თუ დო დარჩა, ღმერთს მადლობა შესწიროს“ (ილ. ჰევეავაძე, VII, 255).

დოვლათზე ზის პრე. სიმდიდრეზეა დამჯდარი. **ხტვ.** შეძლებულია, მდიდარია, არაფერი აკლია, სახსევა ყოველივე უხვევით. „მემრე ეკალანთ ხენე მომეგებება წინ. ვასტეხს სოკოს, გემოთ ნახავს, დაიწუნებს: მაინც იყიდის. რამდენსამე გროშს დამიკლებს. ყველას ისე უშერება, ვისგანაც რას იყიდის, რათ უნდა?! ისეც დოვლათზე ზის“ (ჰ. ბარნოვი, ვაოდუხაჯები, 283).

დოვლათი არაბული სიტყვაა, ნიშნავს: ბედნიერებას, სიმდიდრეს, ძლიერებას, შემძლებელობას.

დოინჯის შემოყრა პრე. ორსავე თქობზე ხელუბის დაბჯენა. **ხტვ.** თავის მოწონება, ამაყი გამომეტყველების ჩვენება მაყურებლისათვის და იქითაქეთ ცქერა—აბა, ვინ შემომხედავსო!... „ამრიგად (პატარავმა), უქვე აღმოჩენილი ამერიკა აღმოაჩინა და დოინჯი შემოიყარა თავმოწონებისა“ (ილ. ჰევეავაძე, ჭათა ღალადი, 50).

ჩვეულებრივ, როცა უნდათ სხვებზე თავისი უპირატესობა გამოიჩინონ ან როცა რაიმე საქმეში გაიმარჯვებენ, თავმოწონების ნიშნად თქობებზე ორსავე ხელს დაიბჯენენ და მაყურებლებს ზევიდან გადმოხედავენ, თითქო ეუბნებიან: ნახეთ ბიჭი, ნუ მებუძრებით, თქვენი ტოლი და ბადალი არ გვეგონოთ!

დომხალი პრე. დო და სხვადასხვა მხალი, ერთმანეთში არეული. **ხტვ.** ალუფხული, უწესრიგო და არეული, ასერილი. „გილოცავ ახალწელიწადს, ძველს გადაურჩი ცოცხალი, ვენახი ჩამომირეგვა, გახადა, როგორც დომხალი“ (რაფ. ჭრისთავი, I, 214); „ფეფენაც გამოძვრა სოროდან, მიაველმოავლო თვალი, სუნი იკრა, ალოო აართო ამ დომხალივი თ არეულ ხალხს და მიჰყო ხელი ამ-ღვრეულ წყალში თევზის ქერას“ (ჰ. ბარნოვი, ტფილისი) ახრდილები, 168).

დომხალი შექმანიდა, შედგება დოსა და სხვადასხვა ერთიმეორეში არეული მხალისაგან დომხალი სიმბოლოა უწესრიგობისა, ორგულობისა, ერთიმეორის მოწინააღმდეგე თვისების საგანთა თუ ადამიანთა ერთმანეთში არევისა.

დორანში ჩავარდნა პრე. მოქცევა იქ, სადაც წყალში ბევრი თევზია. **ხტვ.** კეთილი ცხოვრება, სიმდიდრე, საესება ყველადურისა, იღბალი. დორანი ჰქვია იმ მყუდრო ადგილს წყალში, სადაც თევზები ჰბუღობენ და ერთად არიან თავმოყრილი, და უწაწყად კაცი, ადვილია მათი დაჭერა. გადატანით იტყვიან—**დორანში ჩავარდა** მთავანიო, როცა სიღარიბის შემდეგ ხელი მოემართება და კარგს ცხოვრებასა და სიმდიდრეში ჩავარდება, უბედურების შემდეგ — ბედს მწყევა.

დორბლების წამოყრა პრე. ნერწყვის გამოშვება ვახურებული ან ვაბრაზებული ადამიანისა თუ ცხოველის პირიდან. **ხტვ.** გაბრაზება, გაანჩხლება, ლანძღვა, გაცეცხლება. „ქაცი ისე არ გაუელის გვერდით თავადს თუ აზნაურს,—წისლი არა ჰკრას, ან მისს ხსენებაზე დორბლები არ წამოკყაროს“ (ილ. ჰევეავაძე, IX, 182).

დორბლიანი პრე. ვისაც პირიდან ბლომად გამოსდის ნერწყვი. **ხტვ.** ვაბრაზებული, ბრაზმორეული, გაანჩხლებული (ნათქვამი ან ნაწერი ვისზე შესახებ). **შღრ.** დორბლების წამოყრა.

დრითა ბრუნვა პრე. ტრიალი დროთა. **ხტვ.** გასული დრო, გასული ხანი, ბევრი ხანი. „ლობესთან, ერთის ფურცლის ხის სიახლოვეს, მოჩანდა ჩალური, დროთა ბრუნვისაგან ისე გვერდზედ წამოდებული და წამოხრილი, თითქო გრილოში წამოწოლას აპირებდსო“ (ილ. ჰევეავაძე, II, 146).

დრო მოჭამა პრე. თავისი დრო და ხანი შესქამა. **ხტვ.** თავისი ცხოვრება დასრულა, განვლო, მეტს ველარ ციკოცხლებს. „მართალია, თავად-აზნაურობამ, როგორც წოდებამ, როგორც ცალკე კრებულმა, დიდი ხანია, თავისი დრო მოჭამა“ (ილ. ჰევეავაძე, IX, 182).

დრონი მეფობენო პრე. მეფე, მბრძანებელი—დროსა. **ხტვ.** დროსთან შედა-

რებით, ჩვენ უძლურნი ვართ, ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც დროს შეეფერება. „სინანულია და განკითხვისათვის აღარც გული გვაქვს გულის ალაგას და აღარც ქუეა — ქუის ალაგას და ვიძახით წარამარად — „დრონი მეფობენო!“ მაშინ, როდესაც დრო მხოლოდ იგი ქვერია, რომელიც მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც თვითონ კაცი ჩასძახებს“ (ილ. ჰავაჯაძე IX, 240).

დროს გატარება ჰრდ. დროს გაყვანა, დროს მიყვანა ერთი ადგილიდან მეორემდე. სვ. გამზიარულება, ვართობა, ქეიფი.

დროს კარგვა ჰრდ. ხელის აღება დროს საკუთრებაზე. სვ. არაფრის გაკეთება. უსაქმურობა.

დროს შეწყურება ჰრდ. იმას უცქერის, თუ ამა თუ იმ დროს რის თქმა და რის გაკეთება მოუხდება. სვ. თვალთმაქცი, დროს მაძიებელი, თაღლითი, გულწრფელობას მოკლებული. „ერთ დღეს ბიძა მისი ჯანდიერი ესტუმრა. რს ჯანდიერი ისეთი კაცთაგანი იყო, რომელიც აქეთაც არის და იქითაც: დროს შეწყურება“ (ავაკი, I, 242).

დროც ერჩის და ხანიც უწერს ჰრდ. დრო ეუბნება, ასაკი უნიშნავს. სვ. დროა, მისი ასაკის შესაფერი მოთხოვნილება აქვს. „პაუქს კი, მგონი, წვერი შემოერღა, — სთქვა თავისთავად ბოლოს, — მგონი, მივაკლიე: დროც ერჩის და ხანიც უწერს (ცოლის შერთვისა ჩემს შვილს). რატომ-ღა არ მეუბნება, ვინ არის?“ (ილ. ჰავაჯაძე, III, 61).

დუდგულას თოფი ჰრდ. ბავშვების სათამაშო თოფი მცენარე დუდგულასი. სვ. უთოფობა, უიარაღობა, უძლურება, სისუსტე. „ბერს მე და თქვენ რომ ვიცით, იმისთანა ხალხს ძალიან უყვირს, რომ როცა ფქვენზედ გამოვალაშქრებს ხოლმე ყურმასვილა და ენაქლუნგი ვილაცა ქერელი ბექა, თქვენი „მოამბე“ მნას არა სცემს და შორიდან უცნაურის დუდგულას თოფით შეიარაღებულს „ციკრის“ მხედარს — ბექასა“ (ილ. ჰავაჯაძე, IV, 87).

დუდგულას თოფი ბავშვების სათამაშო თოფადაა გამოსადგი. ამიტომ ამ თოფით შეიარაღება მტერთან საბრძოლველად ხატოვანად უდრის სრულიად უიარაღობას, მტერთან ბრძო-

ლის შეუძლებლობას, უძლურებას, წინადაწინვე დამარცხებას, ბრძოლის წაგებას.

დუნია, დუნია ხალხი ჰრდ. ქვეყნიერება, სამყარო, მსოფლიო. სვ. ბევრი, უთვალავი, თვალუწვდენელი სივრცე თუ ხალხი. „...აქედან დაეინახე, რომ დუნია ხალხი, გვეგონებოდა, ჯარიო, მოაქანებს ცხენებს მინდორზე“ (ვაფ. შუაველა, V, 59).

დუქანში თავგები უთამაშებენ ის, ჯობეში თავგები უთამაშებენ.

დუღილი ჰრდ. სითხის ადუღების მდგომარეობაში, ანუ 100 გრადუსამდე. სვ. უმწვერვალსობამდე მისვლა რაიმე მდგომარეობისა.

დუშაში მოუვიდა ჰრდ. ორი ექვსიანი კამათელი მოუვიდა (ნარდის თამაშში). სვ. მოგებაში ხელი მოემართა, გაუმარჯვდა. „ჰო, ვერ მოგვივიდა დუშაში ვანა? ჩვენ ეგრე გვინდა!“ (ავტ. ცაგარელი, 294).

დღე ჰრდ. დრო, რომლის განმავლობაში მზე ცისკიდურს ანათებს. სვ. ცხოვრება, ბედნიერება, ყოფა. მდგომარეობა, სიცოცხლის ხანი; ნათელი, ადვილად დასანახავი. „გავიდა მესამე, გავიდა მეოთხე. გავიდა მეხუთე და ყველას ცალკე იგივე დღე დააყენა თათარმა“ (ილ. ჰავაჯაძე, III, 31); „ჩემნი დღენი მასმცა აღვან, რაძი ვითა გაისვენოს“ (შ. რუსთაველი, 762); „უწინამდე დღე-კი დამეღვია მე!“ (ნ. ბარათაშვილი, 83).

დღე არ გააჩნია და დამე ჰრდ. არც დღე აქვს და არც ღამე. სვ. დღე და ღამე გასწორებული აქვს, დამითაც ისე იქცევა, როგორც დღისით. „ეგ ბეჩაეი ყურის-მეტად ებრძვის მაგ წყეულს ყალიონს: დღე არ გააჩნია და ღამე, თორო დაღვეით იმდენი არ დაუღვეია, გონი დაეკარგა“ (ვაფ. შუაველა, VI, 280).

დღეგრძელი ხარ ჰრდ. შენი დღენი გრძელი იყოს! სვ. დიდხანს იცოცხლე. „იობო! დღე გრძელი ხარ, სიტყვა შეინახე! მეც ეგა მაქვს თავის სატებად“ (მელანი, ორი საუკლე, 23); „დიად, დღე გრძელი ხარ. ჩემო სპირიდონ, მე მინდოდა მომეხსენებინა ეგა“ (ილ. ჰავაჯაძე, IV, 291).

იტყვიან ლაპარაკში. როცა, მაგალითად, მე უნდა მეთქვა რაიმე, და ჩემს სათქმელს სხვა დამასწრებს და იტყვის.

დღე დააყენა პრ. დღეში ამყოფა. სტვ. ცუდი საქმე უყო, ცუდი საქმე დაბართა, ფინიკურად დასაჯა, დაახარალა. „გავიდა მესამე, გავიდა მეოთხე, გავიდა მეხუთე, და ყველას ცალკე იგივე დღე დააყენა თათარმა“ (ილ. ჰავევაძე, III, 31).

დღე დათვლილია პრ. უმომარგარიშებულია, რამდენ დღეს უნდა იცოცხლოს. სტვ. დიდხანს ვერ იცოცხლებს, მალე მოკვდება, დიდი ხნის არსებობა არ უწერია. „მე სწორედ მოგახსენათ, — დაიწყო ხელახლად გლახაბა, — ჩემს ვინაობას არ გეტყობი, თუ ჩემი აღსასრული არ მოახლოებულა იყოს. ვიცი ჩემი დღე დათვლილია“ (ილ. ჰავევაძე, II, 42).

აქედან: დღე დაეთვალია. მალე მოკვდა.

დღე და ღამე პრ. როგორც დღისით, ისე ღამით. სტვ. განუწყვეტლივ, მთელი დრო, სულ მედამ, ყოველთვის. „დასთმო ყოველივე ესე, წვივიდა სოფელში და დღე და ღამე ათენა, ვასწორა შრომითა და მხნეობითა“ (ილ. ჰავევაძე, VII, 153).

დღე ერთი იყო და მოსვლა ათახი პრ. დღეში ათახურ მოდიოდა. სტვ. ხშირად, მრავალჯერ. „უფრო პატარა იყო, როცა ღვდელი მეხვეწებოდა, დამიყენე შოჯამაგირეთო. ციმფამ ქარი და ბანი აღარ დამიგლო. „დღე ერთი იყო და მოსვლა ათახი“ (მელანია, ბნელი); „დღე ერთი და მაქანკალი ათასიო, კარსა და ბანს აღარ მიგდებენ“ (დ. მანანდელი, დილინზე, „ივ.“, 1897, № 20).

დღევანდელი დღე პრ. დღეის დღე. სტვ. ის დრო, როცა ჩვენ ვცხოვრობთ, ჩვენი მდგომარეობა. „არცკი ავსტრიაა უკეთეს დღეში. აქაც კი ერი ჰდრტიხავს და ჰკენებს დღევანდელის დღის გაჭირებისაგან და გულმღვრეულად გასკქერის გერმანიას“ (ილ. ჰავევაძე, X, 61).

დღე კატას მოუჭამია? პრ. დღე კატას საქმელად მოუჭამარია? სტვ. დღე დაკარგულია რისამე გასაკეთებლად? ყველაფერი თავის დროზე უნდა გაეთდეს.

ეტყვიან დაცინვით ზარმაც, დაუდევარ, უქნარა ადამიანს, ვინც, იმის მაგიერ, რომ თუ რაიმე გასაკეთებელია, მზის სინათლეზე გააკეთოს, მთელი დღე გულხელდაკრეფილი დადის, ბუზებს

უღაბავს და დაღამებისას მოაგონდება — თითქო გასაკეთებელი მაქვს რაღაცო, და ვითომ დათაყურდება კიდევაც, მაგრამ ცალკე საღამოს სიბნელე, ცალკე ის, რომ სხუები უკვე მუშაობით დაღლილები ახლა ისვენებენ და ეს კი ყველასათვის თითოთ საჩვენებელი გამხდარა. კვიმატე ენის პატრონებიც გამოჩენილან ისეთები, რომლებიც დაცინვით ეუბნებიან: „მენი დღე ალბათ კატას მოუჭამია, რომ ღამით მოვიწოდებოდა იმის გაკეთება, რაც დღისით, მზისით უნდა გაგეკეთებინათ...“

დღე-მოკლე პრ. არაგრძელდღიანი. სტვ. ვისაც დიდი ხნის სიცოცხლე არა აქვს.

დღენი დალია (ყმაწვილკაცობისა) პრ. დღენი დაასრულა. სტვ. სიცოცხლე გაათავა, მოკვდა. „ბევრმა ვაჟაკმა დასდო თავი, ბევრმა დაღვარა სისხლი, ბევრმა ოფიცრობამ თავისი ყმაწვილკაცობის დღენი დალია ამ ომში, ბევრი წარვიდა-მეთქი ამ წუთისოფლიდან თვისტომთაგან დაუტირებელი“ (ილ. ჰავევაძე, VI, 19).

დღეობის დადგომა პრ. უქმობის დაწყება. სტვ. შექცევა, მზიარულდება. დროსტარება, ვახარება. „როცა სტუმარი გაჩნდება ვინმე, თავად ესტატესათვის დღეობა დადგებოდა ხოლმე“ (ს. მაგალიბლიშვილი, II, 138).

დღეს არა ხვალ... პრ. თუ დღეს არ იქნება (რაიმე), ხვალ იქნება. სტვ. სულ მალე, დიდი ხანი არ გავივლის, რომ ეს იქნება. „ხელმწიფემ დაუძახა თავის ერთადერთ მემკვიდრე შვილს და უთხრა: შვილო, ხომ ჰხედავთ დღეს არა, ხვალ მოვკვდები. ფეხი სამარეში მიდგა, ქვეყანა შენ ხელთ უნდა მოგეთ“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, I, 120).

დღეს აქაა, ხვალ იქა პრ. დღეს რომ ერთ ალაგას იყოს ვინმე, ხვალ სულ სხვაგან ამოპყოფს თავს. სტვ. დაუდგრომელი, ერთ ალაგას გაუჩერებელი.

ითქმის დაუდევარ, მოუსვენარ ადამიანზე, რომელიც საღამე ერთ წუთს ვერ გაჩერდება, რომ საქმეს რასმე უერთგულოს, გული დაუდლოს და მოსვენებით გააკეთოს. თითქო ციცილი უკიდია ან ეკალზე ზისო, ერთგან ვერ გაჩერდება და უშეშვლად ადგილი უნდა იცვლოს.

დღეს თუ ხვალ ჰრ. ან დღეს ან ხვალ. სტყ. ცოტა ხანში, მალე.

დღეს რა მოაქვს, ღამეს რა (ვინ იცის) ჰრ. რას მოგვითხროს დღე ან ღამე. სტყ. ყველაფერი მისალოდნელი— ავიცა და კარგიც; არავინ იცის, რა მოხდება. „(ალოლომ კოტეს) გაუბე- ღდა: კნიაზჯან, საწყინოდ კი ნუ მი- იღებ და სიკვდილ-სიცოცხლეა, რა ვიცო, დღეს რა მოაქვს, ღამეს რა. ო. ლმერთმა დაგვიფაროს ან შენ აგიტყდეს რამე, ან შე, საქმე სადა- ვიდარაბო ვახდება“ (შელანია, ნაგარ- ღობა); „ერთად-ერთი შვილი დამრ- ჩინია და შეჩქარება ენახო მისი ბედ- ნიერება: ვინ იცის, დღეს რა მოაქვს და ღამეს რა“ (ვ. ბარ- ნოვი, ფერად-ფერადი, 202).

დღე ხწორედაც არ გახთენება ჰრ. მის- თვის ჯერ კიდევ სრულიად არ გა- თენებულა. სტყ. არ დავეთქაყებულა, დიდი არ გამხდარა. ცოტა უცხოვ- რია, თითქმის არა უნახავს რა. „რა ახალგაზრდაა ეგ უბედურის შვილი!— სთქვა ერთმა დედაკაცმა.— ჯერ დღე სწორედაც არ გაათენებოდა და აგრე ადრე და მალე კი უნდა მზე დაუბნელდეს“ (ილ. ჰავაჯაძე, III, 13). ამ მაგალითში სიტყვა დღე ნახმა- რაა სიცოცხლის აზრობა.

დღეს-ხვალობა ჰრ. „დღეს“ ან „ხვალის“ ძახილი. სტყ. საქმის გადაღება, თაყვისძვრენიაობა, დაპირება რი- სასამე და პირობის აუსრულებლობა. „შენ უნდა გეპასუხან: „ჯერ არ მო- სულა, მე რა გიყოთ, ხომ იცით, რუსები არიან და დღეს-ხვალო- ბა იციან-თქო“... (ალ. ყაზბეგი, 132); „მე დღეს-მე ხვალ იცისაო უწვიმ- დე და უთოვდესო“ (ანდაზა).

როცა ადამიანი გპირდებით რისამე გაკეთებას ან მოცემას, მაგრამ დაპი- რება დაპირებადვე რჩება, ან როცა ვის- მე გასაკეთებელი აქვს დღეს, შეუძლია გააკეთოს, მაგრამ ეზარება, თავს იძვ- რებს და იძახის—ხვალაც მოვასწრებო, ხოლო ხვალაც გაუკეთებლად რჩება, ასეთებზე იტყვიან ხოლმე: მე დღეს- ხვალ იცინი არიანო, ხოლო მათს ქცე- ვას დღეს-ხვალობას უწოდებენ.

დღე ღამედგოდა და ღამე თენდებოდა ჰრ. დღამებას გათენება მოჰყვებო- და. სტყ. დრო მიდიოდა. „მოურავმა გაუსნია ბიჭები სოფელსა და მოიტა-

ნეს ნანადირევი: ქათამი, ინდოქოტი, გოჭები, ბატნები, ხზო და ათასი სხვა რამე: დღე ღამედგოდა და ღამე თენდებოდა რეზიკოს ოჯახში ამგვარად“ (ს. მგალობლიშვილი, წარსულიდან, „მოამბე“ 1899, III, 116).

დღე ღამე იყო და ღამე დღედ (იმი- სათვის) ჰრ. ღამე სულმუდამ დღედ იყო გადაქცეული. სტყ. ერთნაირად საქმიანობდა როგორც დღე, ისე ღამე, მისთვის მოსვენება არ ყოფი- ლა. (მოჯამაგირეს) „კაცად არა სთვლიდნენ. დღე ღამე იყო მის. თვისი და ღამე დღედ“ (ს. მგა- ლობლიშვილი, მოგონებანი, 10). მოჯამაგირე წელიწადში რამდენიმე თუმანს ღებულობდა ჯამაგირად, ადა- მიანად არ ითვლებოდა; ამაშავებდნენ როგორც დღე, ისე ღამე. მოჯამაგირულ ცხოვრებაზე ლექსიცაა გამოთქმული: „მოჯამაგირის საქმესა ადელიად იტყ- ვის ენაო.— დილით რომ ქალაქს გააე- დონ, საღამოს—გორისკენაო...“

• დღით გაძღობა ჰრ. მრავალი დღის სი- ცოცხლე. სტყ. დიდი ხნის სიცოც- ხლე, მრავალჯამიერობა. „მე ხანღა- მულსა ესე შეწყალება მომეცა—მე დღით გამაძღარევა“ დღე ამა ახალსა მანაცვალეო“ (ქილია და დამაზა, 415).

დღე ანუ მანძილი დროისა მზის ამო- სვლიდან მზის ჩასვლამდე ძველად წარმოადგენდა სიცოცხლის ხანის ერთ ნაწილს; დღეებით განიზომებოდა ადა- მიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაც. მაშასადამე, მოხუცებული კაცი იტყო- ღდა: დღით გამაძღარევა ანუ დღით გავძებნო,—ამით გამობატავდა იმ აზრს, რომ საკმაოდ იცოცხლა, განიცადა სი- ტკბო-სიამენი ცხოვრებისანი და თუ ამას შემდეგ სიცოცხლე შესწყდა და მის გულს არა დააქლდება-რა, დასა- ნანი არაფერი დარჩება.

დღესთან, როგორც სიცოცხლის სი- ნონიმთან, ქართულში დაკავშირებულია მრავალი როგორც დალოცვა, ისე და- წყველა: დიდი დღეს ანუ დღე- გრძელი იყავ — დიდხანს გაცოცხლოს; ბედნიერი დღე გავითენოს—ბედნიერად გაცოცხლოს; დღე დაგელიოს—მოკვდი; შენნი დღენი დათვლილია—სულ მალე მოკვდები და სხ. და სხ.

დღითი-დღე ჰრ. ერთი დღისათვის მე- ორე დღის მოდევნებით. სტყ. თანდა- თანობით.

დღისა და ღამის გასწორება ჰრ. ღამის გატოლებად დღესთან. ზტვ. გამუდმებულად, განუწყვეტლივ მუშაობა, საქმიანობა, რიგორც დღე, ისე ღამე. „შენი არ იყოს, ცეცო, ღმერთმანი, რომა ღამე და დღის გასწორება თუ არი, რა ჰქვიან, ვასწორებთ და არ ვიცე. უნიათო კია ჩვენი ყველაფერი და!—ჰოქმანით უთხრა კაკოძ“ (ს. მგალობლიშვილი, I, 57).

დღის გავრძელება ჰრ. გრძლად ჩატარება დღისა, დიდხანს დაუღამებლობა. ზტვ. დიდხანს სიცოცხლე, მრავალკამიერ არსებობა. „ქალის მამამ ვერ უთხრა: „რას ჰპარობ და დაღონებულხარ? თუ შირვან შაჰს დღე გაუგრძელდა, ბევრსა სხვას ააოხრებსო!“ (საბა ორბელიანი, 41).

- **დღის დაბნელება** ჰრ. უმზეოდ გახდომა დღისა (ვისთვისმე). ზტვ. სიცოცხლის მოსპობა, მოკვლა. „გეგეთენ გმირნი ქართველნი, მტერს უბნელებდნენ დღეებსა!“ (შ. რუსთაველი, II, 18).
- **დღის დაღვევა** იხ. დღის გაქრობა.

• **დღის გაქრობა** ჰრ. დღის მოსპობა, დღის გათავება. ზტვ. სიცოცხლის შეწყვეტა, სიკვდილი. „მაგრამ უწინ დღე გაუქრეს, თუ თავის განის კაცს არ ჩაუვარდება ხელში“ (მელანია, მამა ქრისტეფორე, 12); „... უწინამც დღე დაეღიოს ნინოს. რომ შენს მტერს წაჰყვეს ვისმე!...“ (რაფ. ერისთავი, IV, 43).

წყევლის ფორმულა: დღე გაუქრეს, ე. ი. მოკვდეს, ნუ იცოცხლებს, დღე გაგაქრეს — მოკვდები ნუ იცოცხლო!

დღის დაღამება ჰრ. მთელი დღის გატარება საღამომდე. ზტვ. განუწყვეტლივ მუშაობა, თუ უმუშაობა. „ესეც რომ არ იყოს, ერთი-ორად დღის შავ მიწას როგორ დავიშურებდი შენთვის. შენი დღენი ჩენს ერთგულებაში დაგიღამებია“ (ილ. ჰაევაძე, II, 277); „მელამ უთხრა: „ჩემნი დღენი ცოდვის ქმნით დავღამე, ახლა ეჭუა მოვიხმარე, ეს სოფელი გავუშევი, ბერად შევდგე“ (საბა ორბელიანი, 21).

დღისთ-მზისით ჰრ. როცა დღეა და მზე ანათებს. ზტვ. აშკარად, ყველას დასანახავად, ცხადად, გამონიხებით, ადვილად, დაუბრკოლებ-

ლად. „ვეწერი პირჯვარს, ღმერთს მადლობას ვწირავდი, უსწორ-მასწორო გზებზე, ფრთის წყალობით, როგორც დღისით-მზისით, ისე მივდიოდი“ (ვაჟ. ფშაველა, VI, 153); „დღისით-მზისით ვმეგობრობდით, ღამეთაცა ვიყვენი თვეით“ (შ. რუსთაველი, 1224).

• **დღის მოსწრაფება** ჰრ. დღის სწრაფად გატარება. ზტვ. მოკვლა, მალე მოსპობა სიცოცხლისა. „იმედია, მალე დავბრუნდები: რუსმა დიდი ხალხი მოყარა და დღეს მოუსწრაფებს მტერსაო“ (გ. ბარნოვი, ფრაგ-ფრაგაძე, 115).

დღის პოვნა ჰრ. დროს შერჩევა. ზტვ. მარჯვე შემთხვევის ჩაგდება ხელში საქმის კარგად მოსაგვარებლად. „ვინა სთქვა, ვინ გამიბედა, რა დღე იპოვნა ჩემზედა?“ (ხალხური პოეზია, 117).

იგულისხმება, რომ ყოველივე გასაკეთებელი რამ დღისათ, დღის სინათლეზე კეთდება; მტერი, მაგალითად, როცა უნდა თავის მტერს აეწოს, თავისი გულის წადილის ასასრულებლად შეუჩივს ამა თუ იმ დღეს, როცა სინათლე დღისა ხელს შეუწყობს მკაფიოდ დაინახოს ყველაფერი და იმისდაკვლად მოიქცეს და იმოქმედოს. ამიტომაცაა დღე გამომატეველი დროისა, მომენტისა, როცა ესა თუ ის მოქმედება უნდა შესრულდეს, ესა თუ ის ამბავი უნდა მოხდეს.

დღის სავალზე ჰრ. მანძილი, რომლის გავლას ფეხით ერთ დღეს მოუნდება კაცი. ზტვ. დიდი მანძილი, შორს. „სხვანი-კი ვინც ამ თულუხჩების უწმინდურებას დღის სავალზე დავურბიან, ერთდღიან და ჰთავილობენ, სულ ძველძულეებსა ჰღეპენო“ (ილ. ჰაევაძე, IX, 352).

დღის სავალი ძველებური საზომია ერთ ადგილსა და მეორე ადგილს შუამდებარე მანძილისა, რომელიც ფეხით უნდა გაიაროს კაცმა.

დღის სინათლეზე გამოვანა საქმისა ჰრ. რაიმე საქმის ვითარება-მდგომარეობის დანახვება ყველასათვის დღისით, როცა ნათელია, ყველაფერი ჩანს. ზტვ. რაიმე ჩახლართულ და სავსე საქმის გამოკვლევა, განხილვა მისი დაწვრილებით, ყოველმხრივ-



გამოჩინება. მგლ., „მთა შორის ატეხილი დავა დღის სინათლეზე გამოიტანეს“.

დღის სულით კეთება ჰრდ. სანამ დღეს სული უდგას. სტვ. სანამ ჯერ კიდევ დღეა, სანამ დაღამდებოდეს.

ჩვენი ხალხის ანიმისტური მსოფლმხედველობის თანახმად, დღესაც, როგორც ადამიანს, სული უდგას, ისიც ცოცხალი არსებაა, და როცა დღეს სული ამოსდის, იგი კვდება მეორე დილაზედ და მის ალაგს იტყრა ღამე.

დღის ძალი იყო ჰრდ. ჯერ ისევ დღეს ჰქონდა ძალი. სტვ. ჯერ ისევ დღე იყო, ღამე არ მოსულაო.

დღის წაღება ჰრდ. ცდილობა, რომ დღე დაღამოს როგორმე. სტვ. გაჭირვებას იოლად დაძვრენა თავისა, გასაკეთებელის არ გაკეთება; შრომისა

და ვარჯის თავიდან აცდენა. მგლ., „არჩილს შრომა ეზარება, იმას-ღა ცდილობს — დღე წაიღოს როგორმე და იმას კი არა კითხულობს, გააკეთა რამე თუ არა“.

„დღის წამლებიაო“ ვიტყვით ისეთზე, ვისაც ხელის განძრევა ესიკვდილება, ოღონდ კი დაღამოს როგორმე დღე, ლუარსაზ თათქარიძისებრ, და ყველაზე ნაკლებ ის აღარდებს — გასაკეთებელი რაიმე გააკეთა თუ არა.

დღითურად და კაცის თავზე ჰრდ. და სტვ. რაც მოუწევს (სასყიდელი) ერთ დღეს და ერთ კაცს.

დღითურად ცხოვრება ჰრდ. თითო დღეს ცხოვრება. სტვ. კმაყოფილება იმით, რაც ახლა გვაქვს, მომავლისა კი ღარღი არა გვქონდეს.

მ

მე არის და გორის ციხე ჰრდ. ეს (გაკეთებული რამე) ქალაქ გორის ციხეს უდრისო. სტვ. მკვიდრი, მაგარი ყოვლის მხრით, სრული გაკეთებული, მტკიცე, უძლეველი. „მე არის და გორის ციხე!“ (პ. შიშიაშვილი, I, 493).

ქართლის დედა-ქალაქის, გორის ციხე ვის მიერ არის აშენებული, მატეანემ დანამდვილებით არ იცის. ვახუშტის თქმით, ეს ციხე სვიმონ მეფის დროს (1588 — 1601) იხსენება. მერე ოსმალი. სპარსნი, ურუმნი რიგ-რიგად ანგრევდნენ, ხან ერთნი და ხან მეორენი. მაგრამ ციხე ისევ შენდება და ჩვენამდე მოუღწევია.

გორის ციხე ცნობილია თავისი ნაგებობის სიმტკიცით. ითვლება სახარბიელო, თავმოსაწონებელ, მტრისაგან აუღლებელ ციხედ.

ყოველ კარგად გაკეთებულ საქმეს, როცა უნდოდით მათი უნაკლობა გამოეხატათ, დაადარებდნენ გორის ციხეს. ასე რომ, „გორის ციხე“ ვადაიქცა სინონიმად სიმკვიდრისა, სიმტკიცისა, უძლეველობისა, მოურევნებლობისა, სიმაგრისა. სიმართლისა.

გორის ციხის აშენების შესახებ დარჩენილა ერთი საყურადღებო ლეგენდაც.

ერთ დღეს თამარ მეფე ლიხვის პირას გამობრძანებულა, იქ, სადაც დღეს გორის ციხე ამაყად დაჰყურებს მთელ ქართლს, — თან ხლებია მთელი ჯარი ღიღი ნაღირობის გასამართავად. გამართულა ნაღირობა, თვით დედოფალი სერზე დაბრძანებულა საყურებლად. გარშემო ხლებია ქვეყნის თვალი ეყეკატები. ყველა ცდილობდა თურმე თავი გამოეჩინა და დედოფლის ღიმი დაეცხახტებინა ჯილდოდ. ამ დროს თამარს თვალი მიუპყრია ლიხვის გაღმა სერისათვის. იქ კლდზე შემეჯდარა სახაქებო გაფრენილი შევარდენი. ფრინველი დაბრუნებას არ აპირებდა. ყველას გული სწყუდებოდა თურმე. მეფემ ნაღირობა შეაჩერებინა და ბრძანა: რაღაც უნდა დაჯდეს, ეს შევარდენი დამიბრუნეთო. ყველას უნდოდა თავის გამოჩენა, მაგრამ ლიხვი საშინლად აღოდებული ყოფილი. მარტო არანეველებერივი ძაღლიონის პატრონი და ცურვის მცოდნე თულა შესძლება გაებედა ამ ამბოქრებულ მდინარეში შესვლა და მის ტალღებთან ბრძოლა. ყველამ თავი ჩაღუბა. მაშინ დედოფალმა ბრძანა: ვინც ჩემს კაბუტეს გამომიყვანს და აქ მომიგორის, რასაც მოხოვს, ავუსრულებო. წინ წამოდვა ერთი მეტად ღამაში ახალგაზრდა. ჯერ შეხედა მზისა

დარსა, თითქო მის შეხედვით ძალ-ღონე და გამბედაობა უნდა მოიკრიბოსო... გადაეშვა მდინარეში. ვასცურა, შავარდნი დაიჭირა და გამობრუნდა.

აბა ახლა სკირდებოდა თავგადაღებულ ვაჟიკას მეტი ღონე და მეტი ხეობი, რადგან ცალი ხელით შავარდნი მოჰყავდა და მეორე ხელით ადიდებულ ლიასვის ტალღებს უნდა შებრძოლებოდა. ვაგს ლიასვზე არანაკლებ უღელავდა ვენებით სავსე გული, ტრფილებით აღვხნიული. ხორჩმა სახემ ვაგისამ ვერ დამალა მისი კანდიერი სული... თვალი მოჰკრა თამარმა, შეჰკრთა, ფერი ეცვალა. ყველაფერს მიხვდა და სთქვა: „გელათის მღვთისმშობელი! შენ განარინე განსაცთელსა შენი მოსავი, ვინც ძღვევის ნიშნად შემოგწირა დროშა მინიკით და ვინც თავსა სდებს სამშობლოსათვის უბიწრობის მსხვერპლად და ძღვანად!...“.

მორევი წამსვე აჩუხჩუხდა, გაიპო და ჩანთქა გმირი, ტალღა ტალღას მიახეთქა და პირი შეიკრა.

ლიასვი ზარით მტკვრისაკენ ვაქუნა, რომ ეს უჩვეულო მსხვერპლი თავის უფროს დისათვის მიეტანა.

დედოფალმა ცისკენ აღაპყრო თვალნი და ლაწვხე ჩამოგორებული ცრემლები მოიწმინდა. დამსწრეთა შორის ვერავინ მიხვდა, რას ფიქრობდა ან რას გრძნობდა მაშინ თამარი...

სამაგიეროდ, თამარ მეფემ ბრძანა იმ ადგილას აშენებულყო გორის ციხე, რომ თავგანწირული ქაბუჯის სახსოვრად დარჩენილიყო ქართველ ხალხში, როგორც მცნება რამ წმიდა...

მართლაც, ეს ძველი ციხე დღესაც გაუქრობელი დვას კმდებზე და თითქო სამშობლოს მტერს ემუქრებაო.

ეგ ვინიცობაზედ ჰკილია პრ. დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის შეუძლია იცოდეს. სვ. გამოსაცნობია, რაც შეიძლება იქნეს მომავალში, საეპო.

• ეგ ნაკმაზი ზოგი ვერს წიწილებსაც დაუყარე. სვ. ვერ მომატუებ შენი მოსატყუებელი არა ვარ, სხვა შეაცდინე. ეგ ნაკმაზი შენს წიწილებსაც დაუყარე: მე რომ მირჩევი, შენ რაღას უყურებ? (ა. მგალობელი, I, 66).

ნაკმაზი პურის კეთების დროს ცხავში გასული ნაგავი და წვრილი ხორბალია, მარტო წიწილებისათვის რომ ვარგა,

ისინი შიგ იქმებიან, მაგრამ ბევრს ვერაფერს პოულობენ საეკეხად. ასე რომ, მათთვის ნაკმაზის გადაყარას უფრო მოტყუება დაერქმის.

ეგდა მაცლია პრ. მხოლოდ ეს არა მაქვს. სვ. ამის მეტი ყველაფერი მაქვს; რაცა მაქვს, რაც გადაამხდა, რაც მჭირს, სრულებით წეყოფა. ეს თქმა დაციხვითია.

ეზო ბრუნდევო პრ. ეზო სწორი არ არისო. სვ. ჩემი ბრალი არ არის, უწნობას ტყუილად მამბრლებთო, მგლ., „მხახოე, უნდა გამოტყდე, რომ უწნო ხარ; ათასი ეცადო, ხელიდან არაფერი გამოგდის, ათასი იძახო — ეზო ბრუნდევო, თავს მაინც ვერ იმართლებ“.

ჩვენში დედამთილი ახლადმოყვანილ პატარძალს ზოგავდა ხოლმე. ერთ წლამდე მიიწვ საძნელო და საზურგეს საქმეს, როგორცაა ოჯახში პურის გახოცობა, ან წყაროდან კოყით წყლის მოტანა, არ გააკეთებინებდა. და ამა, ახლადმოყვანილმა პატარძალმა მოყრძალებით სურვილი განაცხადა—სამინაო საქმეებში მონაწილეობა მიეღო და სხვებს ისიც ამოსდგომოდა მზარში. მოყვარულმა დედამთილმა მის საფერად შროხის მოწვევლინება დასახა და აღერსიანად და დიდი მობოდიშებით საწვეულელა დააქურინა. პატარძალი ძროხის წველის ხაში გახლდათ, მაგრამ მაინც შახი არ გაიტეხა თურმე, გულში პირჯვარი გადაიწერა:—ღმერთო, შენ შემაძღებინეო, და შეუდგა საქმეს. მაგრამ ჯერ ერთი—კარგად ვერ მოწველა, თითქოს სხვისი თითები აბა ხელზედაო. რისი წვალებით, ოფლის წურვით და თავებდის წყველით თითქო მოწველაო ძროხა, მაგრამ, ეშმაკად, ეს საცოდაობით მოწველილი რძეც დაედღობა. რომ თავი ემართლებინა და შინაუკრებთან თავი არ შეერცხვინა, წამოუძახებია: რა ჩემი ბრალია, საწვეულეა სწორად ვერ გავაჩერე, — ეზო ბრუნდევო!...

აბა, რას მოიფიქრებდა საცოდავი, რომ მისი ნათქვამი, მისი ორად-ორი სიტყვა სამუდამოდ გადაიქცეოდა ქართული მეტყველების ნაწილად და, მისი სხენება კიდევ—დაუღიწყარი დარჩებოდა.

და დღეს, როცა ვისმე უგერგილოსა და უწნოს უნდა თავისი უწნობა სხვას



ვისმე (ან რასმე) დააბრალოს, დამსწრენი ალევგორიულად ეტყვიან: შენ კი გაინბარე, ეზო ბრუნდეთაო!..

ზოგის აზრით, რძის მოწვევის ამბავი პატარძალს ეზოში კი არა, ბავშვ გადახლომია, სადაც მართლა შესაძლებელი იქნებოდა სიმრუდე ნიადაგისა, და ამიტომ ზოგნიც ამბობენ: ბაკი ბრუნდეთაო!..

ეკალზე ვზივარ ჰრდ. საჯღომი ეკალზე მიდევს და მჩხვლეტს. ხტვ. მეტად აღელვებული ვარ, ვწუხვარ უსიამოვნების მოლოდინში. მგლ., „იმდენ უცხო ხალხში მეტად უხერხულად ვერძნობდი თავს, თითქო ეკალზე ვიჯექითო“; „აკაკიმ (წერეთელმა) ხელი გამომიწოდა, სკამი მომიდგა, მორცხვად დავშევი, ეკლებზე ვიჯექი“ (ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 175).

ეკალი ჰრდ. მაგარი და მწვეტიანი წინაზარდი, რომელიც უჩნდება ზოგიერთ მცენარეს. ხტვ. მწუხარება, გაჭირვება, სიძნელე, ტანჯვა, დარდი, ვარაჟი. „საზოგადო მოღვაწეობა ყველგან ეკლიანია და ჩვენში, იმერეთში—კი იმ ეკალზე და ნალველ-შხამზე ტალახიც ემატება“ (აკაკი, „ივ.“, 1904, № 164).

ეკლად დასმა ჰრდ. ეკლის მსგავსად ჩხვლეთა. ხტვ. სიმწიარის, ტკივილის, განცდა, მწუხარება, დარდ-ნალველი, უზომო წყენა. „საკაკის და გოდერძის გამარჯვება საარაკო ამბად მოედო ქართველთა ბანაკს და ისეც უძლეველი გმირები ხალხის თვალში ზეკაცად აისახნენ. მათი ქება ეკლად დაეცა ასლანიშვილს“ (ფ. ბარნოვი, გიორგი სააკაძე, 372).

ეკლიანი ვზა ჰრდ. ეკლებით დაფარული ვზა—სავლელი. ხტვ. გაჭირვება, სიძნელე ცხოვრებაში, მწუხარება. „მისდევს ერთ-ერთი თავის ბედის ვარსკვლავს ეკლიან ვზაზედ, უადრელებს თანაგრძობით საქვეურო შრომას“ (ფ. ბარნოვი, ვარდუფანჯები, 212); „სიღარიბეს წინ ეკლიანი ვზა უდევს, იგი მიდის და ეკალი ჰვამროფს მის შიშველ ფეხსა და ტანსა“ (ილ. ჰავეაძე, VII, 243).

ეკლით მოყენა (რისანე) ჰრდ. ბევრი ეკლის დაყრა. ხტვ. დიდი გაჭირვება,

დიდი დაბრკოლება, ხელის მოკარგა. „ბნელი ბოროტი შემოიჭრა გულსა ჩემსა და მოაშთო სული ჩემი უბადრუცი; ეკლით მოფინა ვზა ცხოვრებისა ჩემისა“ (ფ. ბარნოვი, სანი რომანი, 486).

ეკლის გვირგვინი ჰრდ. ეკალთაგან შეთხზული გვირგვინი. ხტვ. წამება, ტანჯვა, მწუხარება. უსაზღვრო დარდი. გაჭირვება. „მის (ქრისტეს) შესწირა (ჩვენმა ქვეყანამ) ყოველივე, რაც-კი ადამიანს საბედნიეროდ აქვს მინიჭებული; ეკლის გვირგვინი დაადგა თავზე“ (ილ. ჰავეაძე, VIII, 348).

ამ სიტყვებს ეხმარობთ დიდი გაჭირვებისა და ტანჯვის დროს, მოსაგონებლად იმ ეკლის გვირგვინისა, რომელიც, თანახმად საბარებისა, იესო ქრისტეს დაადგეს თავზე, ჯვარზე საცმელად და საწამებლად.

ენა ადვილად იტყვის ჰრდ. სათქმელად ძნელი სრულებით არ არის. ხტვ. მეტად ძნელი გასაკეთებელია, გასაჭირია, სატანჯველია. „სხვათა მოჯამბგრობას ადვილად იტყვის ენაო! დილიდან საღამომდისინ არ მქონდა მოსვენებაო; დილით ძროხაში მგზავნიდნენ საღამოს ღორისკენაო“ (ხალხური).

ენა ამეცრა ჰრდ. ენას კორძი რამ ამეცრა, მოშორდა. ხტვ. დაღუძების შემდეგ ბევრი ლაპარაკი დავიწყე. „დაწყვილდა ახალგაზრობა. აღტაცებულ ქალ-ვაჟს ენა ასცროდათ და თავისუფლად უზიარებდნენ ერთმანეთს თავის ოცნებას, თუ გულის ძგერას“ (ფ. ბარნოვი, ვარდუფანჯები, 244).

ენა არ მომიტრიალდება ჰრდ. ენა არ მომობრუნდება. ხტვ. ტყუილს ვერ ვიტყვი, ცუდს კარგს ვერ დავუძახებ, ისე მამივე სათქმელია ერთი და მეორეცაო.

ენა აღარ ერჩოდა ჰრდ. ენა არ ემორჩილებოდა, არ ემონებოდა. ხტვ. ლაპარაკი აღარ შეეძლო.

ენაგამოვდებული ღარბის ჰრდ. ენა ბირიდან გარეთ აქვს გამოშვებული და ისე ღარბის. ხტვ. ძალიან უჭიარს, ცუდ დღეშია, იტანჯვის.

ენა გაუხმეს სტე. ლაპარაკის უნარი წაერთვის, უნოდ დარჩეს, ლაპარაკი არ შეიძლოს.

წყველის ფორმულა.

ენაგრძელი ჰრდ. დიდი სიგრძის ენიანი აღამიანი. სტე. თავდაუშერლოდ ბევრის რისამე მოლაპარაკე, ვისაც საიდუმლო შენახვა არ შეუძლია. „...მაგრამ წადილის დაუჭირავსა ყური აქეს მოუსმენი და ენაგრძელი“ (ილ. ჰაგვაძეძე, ქვათა დაღადი); „ბევრს დაემა ენაგრძელი, ვეღარ იყო მისებურად“ (შანავაზიანი, 67).

ენაღამული ჰრდ. ვისაც რაიმე საკრეულით რაზედმე აქეს ენა დამაგრებული. სტე. ვისაც მკაფიოდ ლაპარაკი არ შეუძლია, გაჩუმებული, დამუნჯებული, დაღუმებულია. ის. ენის დაბმა.

ენა და პირი ვერ მოსთვლის ჰრდ. ენასა და პირს არ შეუძლია აღრიცხოს რაოდენობა (რისამე) სტე. მეტად ბევრია, ხშირია, აუზაცხელია.

ენაღამაქცეული ის. ენაღამაქცეული.

ენაღამაქრეული სტე. ბევრის მოლაპარაკე, ვინც ენას არ აყენებს, ვინც ლაპარაკით არ იღლებს. „...ქალმა ჯერ გულიახად ჩაიციხა, შემდეგ ენაღამაქრეული კავალერი სტოლთან მიიწვია“ (ნ. ლომოური, მოთხრობები, 248).

ენაზე აკერია ჰრდ. ენაზე ძებითა და ნემსით აქეს დამაგრებული. სტე. სულ ერთსა და იმსვე ლაპარაკობს, გაიძახის; იცის. „... და მაგალითისათვის ანბანს უკითხავს ქართველთა ინტელიგენციას, მერე იმისთანა ანბანს, რომელიც დღეს ბალსაყ-კი ენაზედ აქერია“ (ილ. ჰაგვაძეძე, V, 184); „სახოვადო საქმის შესახებ, რაც გულში მქონდა, ის ენაზე მაქერი“ (აკაკი, I, 98).

ენაზე დგომა სტე. სულ ერთსა და იმაზე ლაპარაკი, სხვა საგნის დაძიწყება. „ყველას ილო და თაბრო აღვა ენაზე...“ (ილ. ჩუკუბინი, „ივ.“ 1891, № 186).

ენაზე კბენა ჰრდ. კბილებით ენაზე მოკერა. სტე. უცბად გაჩუმება, უბამსობა რაიმე რომ არ წარმოგვცდეს, სინანული რისამე; სიფრთხილე. „დავესწარი (სკოლის კურთხევას). ენახოთ, რა ამბავი იქნება. მე მაშინათვე ენაზე ვიკბინე, მაგრამ რალს

გავაწყობდი“ (გვ. გაბაშვილი, მოთხრობები, 200). შრ. ენაზე კბილის დაღება.

ენაზე კბილის დაღება ჰრდ. კბილის მოკერა ენისათვის. სტე. უცბად შეწყვეტა ლაპარაკისა, სინანული რისამე (არასათქმელის) თქმისათვის. „სიტყვა ვეღარ გავგიბედეს, ენაზე დაიდგეს კბილი“ (პ. უზაშვილი, I, 192). „ტურებო, ჩხავანებო, ყური მიეციტ სმენასა, თქვენაც წამოდით, მხოლოდ-კი კბილი დაიდგით ენასა“ (ვაკ-უშაველა, III, 215).

როცა უწმამური, უბამსი რამ წარმოგვიდგება ან ვიტყვით ისეთ რასმე, რაც საიდუმლოდ უნდა შენახულიყო, ბოდიშისა და სინანულის ნიშნად, ენას კბილებს დაეაქვით, თითქოს ენა იყოს დამნაშავე ჩვენი წინდაუხედაობისა და ამისათვის ესჯით. კბილებით სიმწარეს განვაცდევინებთ და მასთან ერთად ჩვენც ვისჯებით.

ენაზე კბილის მოკერა ის. ენაზე კბენა.

ენაზე კლიობის დაღება ჰრდ. დაკეტვა ენისა, რომ აღარ მოძრაობდეს პირის ღრუში. სტე. დაღუმება, გაჩუმება, მორიდება ზედმეტი ლაპარაკისა, საიდუმლოს შენახვა.

ენაზე შეშრობა სათქმელისა ჰრდ. მღელღარებისაგან ვერაფრის თქმა. „ჯერ ენაზე აშრებოდა სათქმელი: უნდოდა ლამხად ეთქვა საშურაზო, კობა სიტყვები კი ეფანტებოლენ“ (ვ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 83).

ენაზე წისქვილის ქვის დაკრება სტე. დამძიმება დაჩუმება, დაბრკოლება, ხელის შეშლა. „თუ ლაპარაკი გავაბი, ცხრა უღელი ხარიც ვეღარ დამაყენებს, თუნდ ენაზე წისქვილის ქვაც დაემკიდლოთო“ (ილ. ჰაგვაძეძე, IX, 266).

ენაზე ჭალი მოედება ჰრდ. ჭალიც (წიკრიც) ვერ შესძლებს უჩველიტოს მის ენას. სტე. კარგი მოლაპარაკეა, რაც უნდა ჰკითხო, ყველაფერზე მოგვიგებს, ლაპარაკში არაფერი ამბოვლებს. „ჩემს მაკრინეს სატანაც ვერას დასტყუებს, ვაი არა აქეს შენს პავლესა, ვითომ ენაზედ ჭალი მოედება თუ?!“ (გ. ვა სათვი, 150); „შნო ჰქონდეს აღამიანს, თორემ ქალაქში უკეთესად შეიძლება დროს გატარება, ტყუილად კი არ ეტანება მიღეთის ხალხი ამ ჩვენს ტფილისსა! ენაზე ჭალი არ მოედება;



სიტყვის გულა ხარ ცარიელი...“
(ვ. ბარნოვი, თეთრი გვირგვინი, 13).

ენამწეობა ჰრდ. მზის სადარობა ენისა.
სტყ. მშვენიერ-მოუბარობა, ენამწევე-
რობა, მშვერმეტყველება, მოსაწონი
ლაპარაკი.

ქართულში მზე სინონიმია უსა-
ზღვრო მშვენიერებისა, სიტუარფისა, სი-
კეთულისა, სიცოცხლისა. ის რთული
სიტყვები, სადაც ერთი შემადგენელი
ნაწილი მზეა (როგორც, მაგ., მო-
ტანილ სიტყვაში), გამოხატავს სილა-
მანეს იმ არსებობისას, რომელსაც ამ
სიტყვის მიაკუთვნებენ სახელად, მისი
თვისება-ღირსების შესატყვისად. ასე-
თებია, მაგ., ხევსურული სახელები ქა-
ლისა: მზექალა—მზის სადარი ქალი,
ენით გამოუთქმელ სილამაზისა, მზე-
ენიარი—ისეთი ლამაზია, რომ მზე
ვერ დიეტოლება, მზისადარა—მზის
ტოლი, მზია—მხესებრ მშვენიერი და
სხვ.

ენამ მიყვლა ჰრდ. ჩემმა ენამ მამალი-
ვით იყივლა. სტყ. შემატყობინა მო-
სავალი, წინასწარ მაგრძობინა, ჩემ-
დაუნებურად მაცნობა.

მიმსგავსება მამლის ყვილითან, რო-
მელიც გვამცნობს წინდაწინ გათენების
მოახლოებას.

ენამოთაფლული ჰრდ. ენაზე თაფლ-
დასხმული. სტყ. მლიქვნელი, პირში
მაქებელი, ტუბილად მოუბარი, აღერ-
სიანი. „მუდამ ენამოთაფლული,
ცქრილა და ცუგრუმელა, სკოლისა-
კენ მიბიჯებს ჩვენი თინა ნელა-
ხელა“ (შ. მღვიმელი, I, 477).

ენამოკლე ჰრდ. ვისაც გრძელი ენა არა
აქვს. სტყ. მორცხვი, ვინც ბევრ ლა-
პარაკს ერიდება ან ვერა ბედავს.

ენამოკლე —მეტოქეა ენაგრძე-
ლისა. თუ ენაგრძელს შეუძლია დაუ-
სრულებელი ლაპარაკი და ამასთან უკრ-
ძალევიად გამხელა საიდუმლოსი, სა-
ჩუმათოსი, ენამოკლე ბევრს არ ლაპა-
რაკობს, ამასთანავე, საიდუმლოსს შე-
მნახავის სახელიცა აქვს.

ენამოქარგული ჰრდ. ქარგაზე ოქრო-
მკედით ამოკერილი ენა. სტყ. ლამა-
ზად მოლაპარაკე, მშვერმეტყველი,
მოხერხებულად მოუბარი.

ენამრული ჰრდ. უსწორო, არაბირდაბი-
რი ენა. სტყ. მლიქვნელი, სიმართლის
არმოქმელი ენა, მატყუარა.

ენამრტყელი ჰრდ. ვისი ენაც სიგანეზეა
წასული. სტყ. მოურიდებლად მოლა-
პარაკე, ლაქლაქა. „ამა ამაზედ ავა-
ლაპარაკეთ თითონ ენარტყელი და
ენაპრტყელი ავტორი“ (ილ. ჰა-
ვაძაძე, V, 154).

ენას ძლივს-ლა იგნებს ჰრდ. ენას სწორ
გზაზე ვერ აყენებს; სტყ. ვარჯვე-
ლად, ვასაგებად ველარ ლაპარაკობს.
„ამ დროს გამოვიდა გრიგოლა თვა-
ლების ფშვინებით. ეხლაც ეტყობო-
და წუსხანდელი ზარბოზი, ენას
ძლივს-ლა იგნებდა“ (ან. ვრის-
თავ-ხონტარია, I, 243).

შიშის თუ სიმთვრალის დროს ადა-
მიანს ენა ეზმის, აღარ ემორჩილება,
თავის აზრს მეორეს მკაფიოდ ვერ გა-
დასცემს.

ენატანიაობა ჰრდ. ენის (ნათქვამის) მი-
ტანა ერთ ადამიანისაგან მეორესთან
და წინაუქმო. სტყ. დაბეზლება, და-
სმენა. „იხილეთ მისი სხვადასხვა ამბე-
ბი, რომლებსაც სიზმარში ხედავს და
თუ სიზმარმა უღალატა, თითონ მოა-
პორობს და ენას მიუტანს „ციხ-
კრის“ რედაქციას“ (ილ. ჰავაძაძე, IV,
91). აქედან: ენატანიამა მანებლა-
რი, დამსმენელი, ენის მინტანი.

ენა უჭრის ჰრდ. მჭრელი ენა აქვს. სტყ.
კარგი მოლაპარაკეა, ლაპარაკი ეად-
ვილება.

ენაჩავარდნილი (მუცელში) ჰრდ. ვისაც
ენა პირის ღრუდან მუცელში აქვს
ჩასული, უენოდ დარჩენილი. სტყ.
შიშისა თუ სირცხვილისაგან და-
მუნჯებული, ლაპარაკს ენა წართმე-
ლი, დაღუპებული. „მეტად წმინდა
და შეუქსმული პატიოსნება უნდა
იყოს, რომ ამოდენა ხნის განმავლო-
ბაში ყოველის გამხედავი ცილი და
ბოროტება ადამიანისა ვერ ჰხედა-
დეს მისცეს რამ და ენა ჩავარ-
დნილი და გაბათილებული მის
წინაშე პირქვე დაეხოს...“ (ილ. ჰა-
ვაძაძე, VII, 159). ის. ენის ჩავარდნა
მუცელში.

ენა წინ უსწრებს ჰრდ. ენა ენის პარონ-
ზე წინ მოექცევა, იმას ვასცდება. სტყ.
დაუფიქრებელი ლაპარაკი იცის. „ეს
კარგად უნდა ახსოვდეთ იმათ, ვისაც
ენა წინ უსწრებს ცოდნისა“
(ილ. ჰავაძაძე, VI, 342).

ეს თქმა შეეფერება იმ შემთხვევას,
როცა ადამიანი რაიმე საგანზე არა
ფიქრობს და ისე იტყვის თავის აზრს.

ენით არ ითქმის ჰრდ. ენას არ შეუძლია, გამოსთქვას (სათქმელი). სჭვ. მეტად მძიმე რამ დანაშაულია, ბოროტებაა ვისიმე მიერ ჩადენილი, რომ ადამიანის ენა სუსტია მისი მწიხარისის გადმოსაცემად; მეტად შეზღუდვითაა „ყბეღია, ყბეღი (ლიუსიმე); რომ ენით არ ითქმის მაგის მოუღალავი ყბეღობა“ (ლ. არდახანი, მორჩილი, 164); „სიმშვენიერე სამოთხის ხილთა, ანუ ფრინველთა ტკბილად ძახილთა არ ითქმის ენითა ვერ გისმენ სმენითა, არ ძალმიძს ქება“ (დ. გურამიშვილი, 265).

ხოგჯერაც ამ თქმითვე გამოიხატვის ადამიანისა თუ საგნის უსახლდრო სიმშვენიერე, რომლის აღსანიშნავად ენა ადამიანისა უძლურია ხოლმე.

ენით გალოკვა ჰრდ. ენის მოსმა ვიზემე ან რაზედმე. სჭვ. მოალერსება, მოფერება. „როცა ეს (სახოცადო საფეროს დარსება) გამოაცხადა მამასახლისმა, თავიდან ფეხებამდის ენით გალოკეს; ჰლოცავდა ხალხი: ღმერთმა შენი თავი დიდხანს გვიცოცხლოს ჩვენს პატრონად და ნუგეშადაო“ (მელანია, ნაფარობა).

ცხოველებმა (ძროხამ, კატამ, ძაღლმა) იციან თავიანთი შვილების გალოკვა ენით და ამგვარად თან ასუფთავებენ მათ და თან ეალერსებობენ.

ენისა და პირის დაშაქვრა ჰრდ. ენაზე და პირზე შაქრის დაყრა. სჭვ. ტკბილად, თვალთმაქცურად ლაპარაკი. „მოურაო, ჩემი გაქირვების დღე ახლაა, შენ ენა და პირი დაიშაქრე და მე მომახმარე, — დაიწყო სადილზე გმირისეულმა“ (ს. მაკობლიშვილი, I, 174).

ენის ამოღვმა ჰრდ. ზევით ამოწევა ჩავარდნილი ენისა. სჭვ. ლაპარაკის დაწყება, გათამაშება, გამბედაობის მოკრება, გაკადნიერება. „რაო, რისთვის მოეთრივე, შე ძაღლის ნათრევი! აიღგიოთ განა ენა! დამაცადე, თუ შენი ცოლი, ის გველის წიწილა, ძაღლებს არ ვათრევიო“ (ილ. გეგვაძე, II, 287); „ქახურმა წითელმა დასძლია ჩვენს ბებერსა, ამოუღდა მარადის დაჩუმებული ენა, რომელიც უფრო გაულესა საქიკიკოლ“ (ლ. არდახანი, სოლ. მეჯღანთაშვილი, 13).

ენის აყოლა ჰრდ. გვერდში ამოღვამა ენისა, ენასთან სიარული. სჭვ. სხვისი 8. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი.

ნათქვამის, თუნდ ტყუილის, დაჯერება; სხვის ყურისგდება, უკრიტიკოდ მიღება სხვისი ნალაპარაკებისა. „...მტრის ენას აპყოლიხარო...“ (რაფ. გრისთავი, IV, 116).

ენის ახსნა ჰრდ. ენის დაბნისაგან განთავისუფლება. სჭვ. ლაპარაკის დაწყება, ალაპარაკება. „როცა დუქანში ჩამოვბრუნდით (მე და გიორგი უგრეხელიშვილი) და მუცელს ცოტა ნუნუნას მიხალღვდა, მაშინ სულ აეხსნებოდა ენა“ (ს. მაკობლიშვილი, მოგონებანი, 44).

მოულოდნელად შეშინებისა, დარცხენისა თუ სხვა რამ სულიერ მღელვარების გაელენით, ადამიანს ენა მიხლდება, დადუმდება, ვეღარ ლაპარაკობს. ამ მდგომარეობას ხატოვანად ვუწოდებთ ენის დაბმას, ხოლო, როცა ენა დაბმულს ენის დამბმელი, ენის დამდუმებელი მდგომარეობა გაუვლის და სიმშვიდე დაუბრუნდება—ენა დაბნისაგან თავს გაითავისუფლებს, აეხსნება, ე. ი. ისევ დაიწყებს ლაპარაკს, ამეტყველებს.

ენის ვალესვა ჰრდ. ენის განმახევა, მკრელად გადაქცევა. სჭვ. მომზადება უფრო მეტი ლაპარაკისათვის. „ქახურმა წითელმა დასძლია ჩვენს ბებერსა, ამოუღდა მარადის დაჩუმებული ენა, რომელიც უფრო გაულესა საქიკიკოლ“ (ლ. არდახანი, სოლ. მეჯღანთაშვილი, 13); „ჩვენნი მომშენი ქართველნი, მთელს წელიწადს ხმაგაკმენდილნი, ამ დროს კბილსა და ენას ილესავენ და რაც მთელს წელიწადს დაჰკლებიათ, გახატულისი მოკლე ხანში ლაპარაკით და ბასით უნდათ შეისრულონ“ (ილ. გეგვაძე, VI, 203).

ენის განძრევა ჰრდ. ენის ამოქმედება. სჭვ. ლაპარაკი, თქმა. „...და ვისაც კიღვეა სწამს ეროვნული წმიდა წმიდათა, მოვალეა თვალი გამოახილოს, ყური გამოიბერტყოს და ენა მაინც გაანძროს“ (აკაკი, მწარე ფიქრები, „ივ.“, 1903, № 249).

ენის დაბმა ჰრდ. საკერელით დამაგრება რაზედმე ენისა. სჭვ. მკაფიოდ ლაპარაკის შეუძლებლობა, დაჩუმება, დამუნჯება. „...ის ადამიანი, როცა კი კალამს ხელს მოჰკიდებს, სულ დაეკარგება კილოც, ენაც მაშინ დაეხმის, გონებაც

სხენაირად მოჰყვება ფიქრსა“ (ილ. პავლეაძე, IV, 309); „აბა ახლა, პარმენ, შენ გამოიციანი, ჩემი საყვარელი ვინ არის? კვლავ უთხრა ქალმა. პარმენს ენა და ება“ (ს. მგალობლიშვილი, I, 169). აქედან: ენა და ბმული (იხ.)

ენის დამოკლება ჰრდ. ენისათვის სიგრძის წართმევა. სტვ. ბევრი უაზრო ლაპარაკის მიტოვება, ვერგაბედვა რისიმე თქმისა, საერთოდ მორიდება და კრძალვა ლაპარაკში. მგლ., „ენა და იმოკლე, რა ბევრსა ყბედობ“.

ენის ზიდვა იხ. ენატანიობა.

ენის კიდება ჰრდ. ენის მოღება რაზედმე. სტვ. ბორძივით ლაპარაკი, გაუგებრად ლაპარაკი. მგლ., „ჩენი ნაცნობი ენას იკიდებს და მისი ნათქვამი მსმენელისათვის გაუგებარია ხოლმე“.

ენის კიდება ერთგვარი ფიზიკური ნაკლია და იმაში გამოიხატება, რომ ზოგიერთი თანხმოვნის გამოთქმა ეძნელება მეტყველს ან ამ თანხმოვანს რამდენჯერმე გაიმეორებს, სანამ მთელს სიტყვას იტყოდეს.

ხალხის დაკვირვებით, ენა ვითომ ეღება, ეკიდება ქვედა ყბის ზედაპირს და მოლაპარაკეს უშლის სწორად ილაპარაკოს და კიდევ ამიტომ ამბობენ ასეთზე, ვისაც ასეთი ნაკლი სჭირს, ენის კიდებით ლაპარაკობსო.

ენის მიტანა იხ. ენატანიობა.

ენის მოკვნეტა ჰრდ. კბილით მოშორება ენის მცირეოდენი ნაწილისა. სტვ. ლაპარაკის შეჩერება, არასათქმელის უთქმელობა, სწრაფად შეწყვეტა სათქმელისა. „კარგი იყო ძველი დრო, მაგრამ არც ეს ბესარიონ გაბაშვილის სიტყვებია ურიგო: „ერთი „მაქვს“ სჯობს ათასს „მქონდეს“. — ეს ვთქვით და ენა მოვიკვნიტოთ, თორემ...“ (ილ. პავლეაძე, II, 152).

ენის მოჭრა ჰრდ. მჭრელი იარაღით ენის მოკვეთა პირიდან. სტვ. ვისიმე იძულება დადუმდეს, არაფერი სთქვას, ხმა არ ამოიღოს. ისიც ხომ ენახეთ, როგორ მოსჭრა ენა ამავე შარდენს ამ განათლებულმა სომეხმა, როცა ჩვენზე ორიოდ სიტყვას კარგს იმეტებს“ (ილ. პავლეაძე, ჭკათა ლაღი, 100).

ენის ქავილი ჰრდ. ენის ჩხვლეტა, მოფხანის სურვილი. სტვ. ლაპარაკის გა-

ძლიერებული ნდობა. „ამ ნათქვამს ნებს სალაპარაკოდ ენა-კი ეჭავებათ და რას ამბობენ და რა არი, ამისა კი არა გავგებთ რა“ (ილ. პავლეაძე, VI, 54); „ლაპარაკის შესუსი, საუბრის ეშხის მცოდნედ ენას იტყვლებდა კრებებზე დუქნების წინ, სოფლის სამმართველოში, თუ საყდრის წინ“ (ვ. ბარნოვი, ფრაგ-ფრაგო, 153).

ენის შენახვა ჰრდ. ენის დაცვა. სტვ. უთქმელობა საიდუმლოებისა, გაუმელავენებლობა დასამაღისა, დუქნილი.

ენის ჩავარდნა მუცელში ჰრდ. პირის ღრუდან მუცელში ჩასვლა ენისა. სტვ. დადუმება, უტბად ლაპარაკის უნარის წართმევა. ხმის ჩაწყვეტა, გაწყვეტა. „რა ენა მუცელში ჩავარდათ, ხალხნო, რატომ არაფერს იტყვიო!“ (ვაკა-ფაქეა, V, 123).

ღიდი შიშის დროს მეტყველების ორგანო — ენა ვიღარ იძვრის და აღამიანი თითოეუ ღამეუჯღაო. აღამიანის წარმოდგენით, ეს მოვლენა წარმოადგენს ენის დაძვრას პირის ღრუდან და მუცელში ჩავარდნას, ამნაირად გაჩვენებას, ენის უძრავობას ხატოვანად დაფიქრა ენის ჩავარდნა მუცელში ანუ, როგორც ფრანგები ამბობენ, avaler sa langue — საკუთარი ენის ჩაყლაპვა.

ენის წვერზე დგომა (რისამე) ჰრდ. ენის სულ მცირე ნაწილის დაქერა. სტვ. მოგონება და ვერც მოგონება კარგად რისამე; სადაცაა, უნდა სთქვას. „ჰოო, ზემოდან კიდე თავადური პოლკა (აცვია). რალაც კი ჰქვიან სხვა, ტასიკომ მაჰსწყაელა, დაჰსწყაელა დნერთმა! ენის წვერზე მადგია“ (მელანია, ბნელო, 32); „წავიდეთ, შენი ქირიმე! იცი, დათიკო, ველარ მაშიგონია, რა ერქვა მაშინ ქეთეთოს. თუმა ენის წვერზე მადგას ეს სახეო“ (ვ. ბარნოვი, II, 55).

ენდოში ბოლის შეწყვეტა ჰრდ. სახლის სახურავიდან კვამლი რომ არ ამოდიოდეს. სტვ. ცეცხლის გაქრობა, ანუ ოჯახის მოშლა. „მე შეილი უნდა გეუხარდო, რომ მისი სანთელი არ გაჰქრეს ქვეყანაზე, რომ მის ერდოში ბოლი არ შეესწყდეს“ (ს. მგალობლიშვილი, V, 162).

კერა და ზედ გაჩაღებული ცეცხლი — სინონიმი ოჯახისა. როცა ერდოში კვამლი ამოდის, იმის ნიშანია, რომ

სახლში ცეცხლი ანთია და მის გარშემო თავმოყრილია ოჯახის წევრები, დიდი და პატარა, რომლებიც ზრუნავენ ამ ცეცხლის გაუქრობლობისათვის.

როცა სახლის ერთ-ერთ კვამლი არ ამოდის, ყველა უნდა მიხვდეს, რომ კერაზე ცეცხლი არ უნდა ითვოს. ხოლო ცეცხლი საშუალოდ კრება კერაზე მაშინ, როცა ოჯახი ამოწყვეტილია და ცეცხლის დამთვები არავენა სახლში.

ერეკლეს ეკიპაჟი ანუ კარტა ჰრ. კარტა, რომელიც ჰქონდა მეფე ერეკლეს. სტვ. (ირონიულად) ქართული ურემი. „მოისმის სხვადასხვანაირ ხმაზე ჰრეკინი ურემებისა. აგერ გამოჩნდა ერეკლეს კარტა. ეს არის შიასი და დარეჯანის ურემი“ (ს. მგალობლიშვილი, I, 27); „თუ კენია ბრძანდები, რატო შენი საკუთარი ერეკლეს ეკიპაჟით“ არ მობრძანდები გომბორის მთაზე“ (ს. მგალობლი, მთაბრძოლები, 178).

ურემს ირონიულად ეძახიან ერეკლე (მეფეს) კარტას ან ეკიპაჟს, იმიტომ რომ ერეკლე მეფეს ჩასაჯდომად სხვა ეტლი არ ჰქონია, თუ არა ქართული ურემიო.

ერთ ბერაში გამოყვანა, გავლა ჰრ. ერთ ჩიხში მოწყვედვა. სტვ. თავის დაუწევლობა; გათანასწოება. „ჰოდა! საფლავიც იმისთანა უმაძლარი დახვდა... შავი მიწითანა სულ ტყუილია, ისე გადაავლებს ჩილასა, რომ სუ ერთ ბერაში გამოიყვანს ხოლმე“ (ს. მგალობლიშვილი, I, 218); „ბევროა და ცოტას მწველელნი სწორე“ გავლიან ბერასა, განაყენებენ მზრალს ცალკე, ამაღ მოიწველს ვერასა“ (დ. გურამიშვილი, 4).

ბერა ჩიხია, მწყვესების მიერ ხელოვნურად გაკეთებული, შიგ ძალაუნებურად უნდა გაიარონ მოსაწველმა ცხვრებმა. მათი დაქერა მაშინ აღვილია, ნწყვესებს მათი უკან დევნა არა სჭირათ. ხელში იოლად უვარდებათ და სწყვილიან ხოლმე.

ერთ დარიჯაგში ვატარება ჰრ. ერთ ყალიბში ჩამოსხმა. სტვ. ყველას ერთნაირად მიჩნევა, ყველასათვის ერთნაირი ღირსება-ნაკლოვანების მიკუთვნება „სხვადასხვა ბუნებით და ნიჭით შემკულ ადამიანს აღზოდაც სხვადასხვანაირი უნდა, თავისებური; ჩვენ-

კი ერთს დარიჯაგში ვატარებთ ყველას“ (ვ. ბაჩნოვი, ფერად-ფერადი, 244).

ერთ დღეს ჰრ. ერთი დღის განმავლობა. სტვ. ერთხელ, განსაზღვრულ დროს, როდისმე, ოდესღაც. მგლ., „ერთ დღეს გავჩენილვართ, ერთ დღეს მოვკვდებით“.

ერთია ჰრ. მარტოა, მხოლოა, სხვებში არ ურევი, სხვებთან შეერთებული არ არის. სტვ. უბრალო, სწორუპოვარი, ყველაზე უადრესი. სხვებთან დასაბადი არ არის, სხვებზე უკეთესი. მგლ., „დარიჯანი თავის სილამაზით და მოხდენილობით ერთია სოკულში, ტოლი და ბადალი არა ჰყავს“.

ინმარება იშვიათი; განსაკუთრებული ღირსებისა თუ თვისების პატრონის აღსანიშნავად; უპირდაპირდება ბევრთ, სხვა მრავალთ, რომელთა შორის ეს ერთი გამოირჩევა.

ერთი ალთას ძახის, მეორე—ბალთას. ახ. ზოგი ალთას ძახდა, ზოგი ბალთას.

ერთი ამას დახე ჰრ. ერთი ამას (მადანს) შეხედე! სტვ. საკვირველია, არა რცხველია, სტყუის.

იტყვიან. როცა ვისმე ტყუილზე ან ცუდლუკობაზე დაიკვირენ და დამნაშავე მანც თავისს გაიძახის, არ უნდა გატუდეს, თავისი შეცდომა აღიაროს. ააზობენ ვისიმე დამკირების აზრით.

ერთი და ორი ჰრ. როგორც ერთი კაცი, ისე ორი კაცი. სტვ. ზოგიერთი სხვა ვინმე, სხვების მსგავსად. „ისიც (=ციცკრის) რედაქტორი) ლეაწლს სდებდა სამშობლოს, როგორც ერთი და ორიო“ (ი. დვითაშვილი, 206).

ერთი ზურგი (თივა, შემა და სხვ.) ჰრ. რაც ერთი ზურგით წაიღება. სტვ. ტვირთი, რასაც ადამიანი თავის ტანით გაიტანს ერთი ადგილიდან მეორეზე. „ერთს ვიწრო ხიდს გაგიღებ და ზედ ერთი მგელი და ერთი თხა და ერთი ზურგი თივა ესრედ თითო თითო გაიტანე, მგელმა თხა არ მოჰკლას და თხამ თივა არ შესკამოს“ (საბა ორბელიანი, 91).

იგულისხმება იმდენი ტვირთი, რამდენიც შეიძლება აიღოს კაცმა ერთ აკიდებაზე.

• ერთი თავი მაქვს ჰრდ. ტანზე თავი ერთი მახია. სჭვ. ზარტოხელი ვარ, ცოლშვილი არა მყავს, ჩემს მეტი არავინა მყავს.

ერთი თუ ორი ჰრდ. ერთხელ თუ ორჯერ. სჭვ. ბეგრი—მრავალი, ურიცხვი. „...მწყემსმა წამოავლო ჯოხს ხელი და ერთი თუ ორი“ (თ. რახიკაშვილი, ზღაპრები, 73).

ერთი კევრი არ მოტრიალებულა ჩემს თავზე ჰრდ. პურის საღეწი კევრილა არ მოუტრიალებიათ ჩემს თავზე. სჭვ. მრავალგვარი უბედურება გადახდენია თავზე, ბევრი ავი და კარგი გამომიცვლია. „აგერ ორმოც წელს გადავაბიჯე, ბატონყმობის გადავარდნიდან აქომომდე ამ მამულის გამო ერთი ნათელი დღე არ მინახავს; მოვდივარ და მოვიწვ-მოვიდაგი. ერთი კევრი არ მოტრიალებულა ჩემს თავზე, წისკვილს არ დაუტრიალნია, თორემ სხვა ყოველივე გადახმდა“ (ს. შვალბლიშვილი, II, 149).

• ერთი ლუკმის შეჭმა ჰრდ. პირში ჩასატრევი საქმლის გადაყლაპვა. სჭვ. მცირე რამ საქმლის ხმევა.

ერთი შე ვარ ახალგაზრდა და მეორე შენი! ჰრდ. მეც ახალგაზრდა ვარ და შენცა. სჭვ. როგორც შე არა ვარ ახალგაზრდა, ისე შეც; ახალგაზრდა არა ხარ, ბებერი ხარ.

ეს დაციწვითი და დამცირებითი თქმაა. ეტყვიან კაცს, ხანში შესულს, ბებერს, როცა ის ახალგაზრდობას ჩემობს, მთქმელი კი ხანში შესულია, მოხუცებულია.

ერთი შე ვარ და მეორე—თამარ დედაფალი ჰრდ. ერთი ქალი შე ვარ ლამაზი და (ჩემისთანა) მეორე ლამაზი ქალი—თამარ დედაფალიო.

სჭვ. ძალიან ლამაზი ვარ. „ჰი! დაუდგეს თვალი! ისე ამპარტყენობდა თავის სილამაზითა (თავადის ქალი), თითქო ერთი შე ვარ და მეორე—თამარ დედაფალიო.“ (დ. მახანული, გაგლეხებული კნიაზა, ივ.*, 1903, № 66).

ერთი მტკაველი ჰრდ. აღლის მესამედის სიგრძე. სჭვ. სულ მცირედი. „საკვირველია თუ უცხოველები მოდის აქ, ამ მისთვის უთვისტომო ქვეყანაა, საცა არცერთი მტკაველი მიწა აქვს, არც ერთი კაცი ჰყავს ხელ-

შემწყობი და გულშემატკივარა...“ მარტო თავის თაოსნობაზედ და მხელობაზედ დანდობილი, ჰმოულობს საქმეს... ჩვენ რაღა დავგემართა...“ (ილ. ჰაგვაძე, VII, 255).

მტკაველი ქართული სიგრძის ზომაა. უდრის 24 სანტიმეტრს. ანუ ქართული აღლის მესამედს.

ერთი მუჭა ჰრდ. რაოდენობა, რასაც ჩაიტევეს, ან რასაც შემოსწვდება მოკუმული ხელი. სჭვ. ცოტა, მცირე რაოდენობისა, მცირე რიცხვი. „რა ჰკვებაღა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლისღვრასა? ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მღვარყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო“ (ილ. ჰაგვაძე, V, 202); „ამ ტანჯვა-წამებით სოაწია ამ პატარა ქვეყანამ (საქართველომ). ამ ერთმა მუჭა ერმა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე“ (ილ. ჰაგვაძე, V, 225).

ერთი ნეკი ძაფი მმართებს ჰრდ. ნეჭე რომ დაღებევა, იმდენი ძაფი მაქვს ნახსებები მეზობლისაგან. სჭვ. სულ ცოტა მმართებს.

ერთი-ორი ჰრდ. ერთი ან ორი. სჭვ. ცოტა, მცირე, განსაზღვრული რაოდენობა. შგლ, „ქარცხ იხამ, ერთ-ორ თუმანს მასესხებდე“.

ერთი ხიტყვაც არ ჩავადრება ჰრდ. ერთი სიტყვაც ქვეითკენ არ წავა. სჭვ. ნათქვამის ყოველი სიტყვა მართალია, სწორია, აწონილ-დაწონილია, წინდახედულია, შიგ ზედმეტი არაფერია. „პაპამ ანდაბებით ლაპარაკი იცის; რაც ძველებს უთქვამთ, ერთი სიტყვაც არ ჩავადრება, სულ მართალიაო, ამბობს იგი“ (დავა-შხაველი, VI, 671).

ერთის კალმის მოსმით ჰრდ. რაც ერთი კალმის მოსმას დაეტოლება. სჭვ. მოკლედი, ცხოვლად და მკაფიოდ გამოთქმული დიდი აზრი, დიდი სათქმელი. აქ ერთის კალმის მოსმით გამოთქმულია ის, რასაც ეზულანდელი მწერალი მთელს ფურცლებს მოანდომებდა და მინც ცხედრად ცხოვლად ვერ გამოგვიხატავდა სათქმელსა“ (ილ. ჰაგვაძე, IV, 191).

ერთის კერისანი ვართ და ერთი ცეცხლისანი—ჰრდ. ერთი საერთო ცერა და ცეცხლი გვაქვს. სჭვ. მახლობელი



ვართ, ნათესავეებს გეძებხიან, წვეგრები ვართ ერთი ოჯახისა. ზღა, „ჩვენ ნათესავეებად მოვხვდებით ერთი-მეორეს. ერთის კერისანი ვართ და ერთი ცეცხლისანი“.

როგორც ვიცი, კერა მიწურ იატაკიან სახლის შუაგულში მომალდებულად აღვიდა, სადაც ანთებდნენ ცეცხლს სამკობლის მოსახარებად და ზამთარში სხეულის გასათბობად. ამ კერას გარშემო უსხდნენ მთელი ოჯახის ანუ ამა თუ იმ სახლის წვეგრები. ეს ცეცხლი ამათ აახლოვებდა ერთმანეთთან, მათ ინტერესებს აერთიანებდა. ასე რომ, თქმა—ერთი კერისა და ერთი ცეცხლისანი ვართო—გამოხატავს ახლო ნათესაობას ვისთანმე, მჭიდრო კავშირს, დაახლოებას, მეგობრობას.

ერთი ფეხით მოვუსწარ ჰრდ. ერთი ფეხის გადადგმის მანძილით მოვუსწარ. ზღვ. სულ ცოტათი, ოდნე, ძლივს მოვუსწარ. ზღა, „ძალიან ვესწრაფე, მაინც ერთი ფეხით მოვუსწარ, თორემ, გამასწრებდა მატარებელი“.

ფეხი—ადამიანის ქვედა კიდური—იმევე დროს ზომია სიგრძისა,—უღრის მანძილს, ერთი ფეხის გადადგმით გამოხატულს. იგივე გამოხატავს დროს, რაც მოუხდებდა ერთი აღვილიდან მეორეზე ფეხის გადადგმას.

ერთი ფეხით წინ ჰრდ. ერთი ნაბიჯით გასწვრება ვინმეს წინ. ზღვ. სულ ცოტათი ადრე. „ერთი ფეხით თუ წინ გვეკლო, შეიძლება, ჩემო ზურაბ, ჩემის აღთქმის შესრულება: ბავრატონთ სიძედ გახდები ჩემს ცოლის ძმასა“ (ვ. ბარნოვი, დიდი მოურავი, 331); „როგორც კნენია ბარბალე, ისე სხენადი მრავალნი ძლიერა სწუხდნენ, რომ ლადიკოს შეემთხვა ეს „ფათერაკი“ (კაცის მოკვლა) ერთი ფეხით წინ, ვიდრე მისი გამოვიდოდა ახალი კანონი“ (შელანი, ლადიკო).

ერთი ფეხის გადადგმა ჰრდ. ერთი ფეხის გადადგმის მანძილი ზღვ. მცირე მანძილი. „დაბერდებიან. ერთი ფეხის გადადგმა-ლამა სიკვდილამდე, და რაკი ამაზე მიდგება საქმე, მაშინ ყოველისფერი მწარება“ (ილ. კავკავაძე, „ივ.“, 1899, № 1).

ერთი ქორწილის ხალხი ჰრდ. რაც ერთ ქორწილში ხალხი დაეტეოდა. ზღვ.

დიდძალი ხალხი, ბევრი. „ბოლოს სტუმრებმაც უკლეს დენა. წინათ როთიო ქორწილის ხალხი სადილვასშობდა არსიანელიისას, ეხლა ხშირად მარტონი რჩებოდნენ სუფრაზე“ (ვ. ბარნოვი, სამი რომანი, 85).

ქორწილში, როგორც ადამიანის ცხოვრების არაჩვეულებრივსა და ყველასათვის საყურადღებო დროს. ისე როგორც ტირილში, დიდძალი ხალხი იყრის ხოლმე თავს, და ამიტომაცაა, რომ თქმა—ერთი ქორწილის ხალხი გამხდარა გაიმობხატვლად, დამსწრე თუ შეკრებილი ხალხის სიმრავლისა, მრავალრიცხოვნობისა.

ერთი ღერი ბიჭი ვარ ჰრდ. ერთიღა ვარ. ზღვ. ცარიელ-ტარიელი, უნათესავეო, უმანბლობელო. „მერე ხალიკა მამცემს (ქალს)?! ოჯახისწვილები სთხოვენ და მეკი ერთი ღერი ბიჭი ვარ“ (ს. შვალაბლიშვილი, I, 66).

მოთხრობის გმირი—ლამის მეხრე ცეცო ამბობს: ერთი ღერი ბიჭი ვარო, და იგი თავის თავს აღარებს მცენარის შიშველ, მოსხლეტილ ღეროს, რომელიც მიწიდან აღიმართება ხევით და საყრდენია ტოტებისა, ფოთლებისა, ყვავილებისა და ნაყოფისა. ხოლო ეს მცენარის ღერი, ადამიანს დადარებულს, ხატოვანად მაჩვენებელია მარტობისა, მატერიალურ უქონლობისა, სიღარიბისა, უპოვარებისა.

ერთი ყოფა დააწია ჰრდ. ერთნაირი მდგომარეობა შექმნა. ზღვ. ყვირილი ასტენა, გაჯავრდა, ახმაურდა, ავიდო იქაურობა, იღრიდა.

ერთი შემოვლა-ლა არის ჰრდ. ერთხელ შემობრუნების მეტი არ გამოვა (მიწის ფართობი). ზღვ. სულ მცირედი მიწის ფართობი; ადამიანი სუსტია, ძალზე გამხდარია, ღონეგამოცლილია. „შეილო, ვერა ჰხედავ, მამა-შენი ერთი შემოვლა-ლა არის... მაგან რომ უცებ თავი გადაჰკრას, რალა გვეშველება?“ (გვ. მენთაშვილი, კოლა მშველიშვილი, „ივ.“, II, 1903, № 252).

პურის ღეწვის დროს კალოზე ერთხელ კევირით წრის გაკეთებას ერთი შემოვლა ჰქვია. ეს ერთი შემოვლა კი მნიშალური ხანია იმ დროსთან შედარებით, რაც კალოში ერთხელ ჩაშლილი ძნის გასალეწვდა სხეულს. შემოვლა ეწოდება აგრეთვე ხენის დროს, გუთნის ერთი წერტილიდან

მეორემდე მისვლას და უკან შემოტრიალებას. აღმნიშვნელია ხენაში მუშაობის დასრულება-შესუსტებისა.

ხატოვანად კი ერთი შემოვლა უდრის მიწის სულ მცირე ფართობს, და როცა წინათ გლეხს სურდა გადმოეცა მიწის სიმცირე—ამბობდა: „ერთი შემოვლა მიწა-ლა მატიალიაო“. იგივე შემოვლა გვიჩვენებს ადამიანის უღონობას, დასუსტებას, ძვალ-ტყავად გახდომას, მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს, სი. ვდილის შობალოებას.

ერთიც ვნახოთ სტვ. შეიძლება, ვინ იცის, იქნება.

ინმარება მომავალში შესაძლებლობის შემთხვევაში მგლ., „გაზზე მოვლივართ. ვაყარულია. ერთიც ვნახოთ, ფეხები დაგვიტურდა და წავიქეციოთ“; „ვისზე დავექიდი, ერთიც ვნახოთ, წამაქეცია!“

ერთი ცხვირი ჰრდ. ერთხელ დაცემინება ცხვირისა. სტვ. უბედურების ნიშანი. ჰრდ. „ის ოხერი, აპტყდა, თითო ცხვირი და აღარ დაშენსა და აღარ დამებსნა, რაკი დავაპირე იმ სახსრო დღეს სოფელში გასვლა! მე ვთქვი, იჩნუბზე გადაიღლის-მეთქი და კიდევ არ იქნა, არ ამცდა ხაბაბაა!“ (მელანი, ბნელო).

ხალხს სწამს, რომ დილას თუ ერთხელ დააცემინა კაცს ცხვირი, უმკველად უსიამოვნების მომასწავებელი იქნება, საღამოს ორი ცხვირი კი—ხირონი.

ერთი წისკვილის ბორბალი არ დატრიალებულა ჩემს თავზედ ჰრდ. ჩემს თავზე მხოლოდ წისკვილის ბორბალს არ უტრიალნი. სტვ. გაპირებება არ დარჩენილა რომ მე არ გამომეცლო, ყოველგვარი უბედურება გადამხდენია. „არა, არა! ყველაფერი მინახავს, ყველაფერი. ერთი წისკვილიც ბორბალი არ დატრიალებულა ჩემს თავზე. თორემ სხვაფერი ყველა ტანჯვა გამომივლიდა და ესეთი კი არას დროს“ (ი. ვედოშვილი, III, 9).

ერთი წისკვილის ყელში არ გამივლიდა ჰრდ. არ გამივლიდა იმ ვიწრო ალაგას, სიდანაც ბორბალი სცივდა დასაფქვევად. სტვ. ბევრი რამ გაპირებდა გამომივლიდა, რა არ მინახავს! „ერთი წისკვილის ყელში არ გამომივლიდა, თორემ სხვა ყველა მიცდია, ვიცო და ცუდს არას გირჩევ, იცოდე“ (დ. მაჩი-ნელი, დილიმე, „ივ.“ 1897, № 204).

ერთ მათრახაში მოქცევა ჰრდ. ერთ საგზაო კურკულში მოთავსება სხეებთან ერთად. სტვ. ერთი სასოებით გაბოზო ყველასი, კარგისა და ავის ერთნაირად მიივლია, ერთნაირად ჩავდება. „ვანა ყველა დამუქნებელი—ვალის ამლებიც არის, რომ ერთობ ერთს მაფრად შაში მოაქცია ვალის ამლები და დამუქნებელი?“ (ილ. კეპევაძე, IX, 124).

ერთ მშვენიერ დღეს ჰრდ. როცა მშვენიერი დღე იდგა. სტვ. ერთხელ, მოლოდინელად, უეცრად, ერთხელ, ერთ დღეს, გაუთვალისწინებლად, მგლ., „ჩემი დიდისხნის უნახავი მეგობარი ერთ მშვენიერ დღეს თავზე დამადგა“.

ერთ პირზე დგომა ჰრდ. ყველას ერთი პირი ჰქონდეს. სტვ. თახზობა, ერთად მოქმედება, ერთიმეორის ერთგულება, ერთის ნათქვამის ასრულება მეორისათვის სავალდებულო იყოს. „განათლებული ევროპა-კი უყურებდეს ამ უსამართლობას და იმით იწონებდეს თავს, რომ ჩვენ უჩაღად ვართ, ერთ პირზე ვდგევართ, საერთოდ და განუყოფლად გვესტრს ვიმოქმედოთ“ (ილ. კეპევაძე, X, 172).

ერთ ტაფაში წვა ჰრდ. ორსავე (ყველას) ერთ ტაფაში შეწვა. სტვ. ერთნაირი ტანჯვა, ერთნაირი გაპირებება. „ჩვენ ყველანი ერთ ტაფაში ვიწვიოთ: კაკოს გენახი ბლუქელაშვილს არ უქირავს!?!...“ (ს. მგალობლიშვილი, I, 124).

ამ თქმასთან დაკავშირებით არსებობს არაკი, ერთ ტაფაზე თევზები დაჰყარეს მოსახრაკად. ერთი თევზი ძალზე რომ შეიწვა და შეწუხდა გახურებულ ტაფაზე, მეზობელს უთხრა—ცოტა იქით ძიიწვიო!—საით მივიწვიო, ერთ ტაფაში ვიწვიეთო, —უპასუხა მეორემ, ე. ი. მეც იმ საშიშვალ დღეში ვარ, რა დღეშიცა შენა ხარო.

ერთ ტყვედა ღირს ჰრდ. ტყვეს დატროლება, ტყვეს დადერება. სტვ. ძვირფაია. „ქარაპეტა: ვერ მითხარ, ტამბახა რათ მინდა? — მსახური: — ერთ ტყვედა ღირს; ნახე, ინგლისია!“ (გ. გრისთავი, თხზულებები, 255).

თქმა იმდროინდელია, როცა ტყვეების ყოლა მოსამსახორებელ ქართველებს ჩვეულებად ჰქონდათ და ტყვეები დიდად ფასობდნენ ჩვენში.

ერთ ქვაბში ვიხარწვით პრდ. ერთ ქვაბში ვართ ჩაყრილები და ერთად ვიხარწვებით. სჭვ. საერთო უბედურება გვადკა ყველას, ერთ ტაფაში ვიწვით“.

• ერთ ყლაბაღ არ მიყვოფა პრდ. იმდენი არ არის, რომ ერთხელ შეიძლება დღეს მისი ჩაყლაპვა. სჭვ. ცოტაა. „... რაც თქვენ კრიკინას წვენი გამოიყვო. ერთ „ყლაპაღ“ არ მიყვო. ერთ-ერთი და „ყულუპი“ კიდევ თქვენზედ დარჩება თქო“ (ილ. პავლევიძე, II, 255).

ერთ ჰერკვეშ დავიხველებია პრდ. ერთი ოჯახის შვილი ვართ. სჭვ. ერთად გვიცხოვრია, მეგობარნი ვართ, ერთმანეთის მოკეთენი ვართ. „ერთხელ მაინც როგორ არ მინახული, ბიჭო! ერთს დროს მე და შენ ხომ მეგობრები ვიყავით, პური ერთად გავგიტეხია, ერთ ჰერკვეშ და გვიხველებია, სხვა არა იყოს რა!“... (ილ. პავლევიძე, II, 60).

ერთხელ ჩვენქენაც მოვა წვიმა პრდ. ჩვენს მხარეზე მოვა წვიმა პირნახულის მოსარწყავად. სჭვ. ერთხელ ჩვენც გავგილიმებს ბედი, ჩვენც კარგი დღე დავვიღებთ.

გვალვის დროს წვიმა სანატრელია ხოლმე პირნახულისათვის და მის მოსვლას სული-სულზე მოელიან დაჩაგრული ყანებისა თუ ბღ-ვენახების გამოსაბრუნებლად. ამიტომ წვიმის მოსვლა სოფლის მეურნეობაში დიდ სასურველ მოვლენად ითვლება გვალვის დროს.

ერთ ჯამში ვჭამთ პრდ. ორს (ან მეტს) ერთი ჯამი გვაქვს კერძისათვის. სჭვ. მეგობრები ვართ, თანშეზრდილები, ერთმანეთს უნდა ვუშველოთ გაჭირვების დროს.

ეს არის, რაც არის პრდ. ამასა აქვს ის ღირსება, როგორც უნდა ჰქონდეს ყველას. სჭვ. ყველაფერი. ხოლო დაცინვით: ცუდია, საზიზღარია.

ეს აქლემი ხვალ თქვენ წინაც დაიჩოქება პრდ. აქლემი თქვენს წინაც დაიჩოქება ტვირთის მოსაკიდებლად. სჭვ. ეს უბედურება თქვენც შეგემთხვევათ. „მე ამას მარტო იმისათვის კი არ ვამბობ, რომ ამ შემთხვევაში მე ვარ გაწვილებული, შეგინებული და ასე უწყალოდ ხელშეხებული. ხოლო ეს აქლემი ხვალ თქვენს წინაც დაიჩოქება. ვინ არის თავმდები, რომ ხვალ ამისთანა დღე

თქვენც არ მოგაყენოს ერთმა ვინმემ თავზედხელაღებულმა“ (ილ. პავლევიძე). როცა ტვირთი უნდა აჰკიდონ ან ჩამოსხან, აქლემს ანიშნებენ (უხეხებულ ჯოხს დაარტყამენ) და ისიც დაიჩოქება. აქედან მომდინარეობს თქვა აქლემის დაჩოქებისა, როცა მძიმე საქმეა გასაკეთებელი.

ეს ბურთი და ეს მოედანი პრდ. აი ეს ბურთი და თუ შეგიძლია, გაიტანე ლელოზე. სჭვ. თუ საქმის ვაკეთება შეგიძლია, ახლა გააკეთე, დაგვანახე შენი სიყოჩაღე. „აი, ეს ბურთი და ეს მოედანი, ვცადოთ: ცდა ბედის მონახევრეაო. — მე უარზედ არა ვდგავარ, ცდი, თუნდა კლემ ქვეშ მაპიტანოს“ (ილ. პავლევიძე, II, 63); „სახლში რომ დიდი გული გქონდა და ბიჭების იმედით ჰყოყლოჩინობდი, აბა ეხლა გამობრძანდი, ეს ბურთი და ეხლა მოედანი, გავსინჯოთ ერთმანეთი! მაგრამ, მგონია, გაიგე გემო ჩემი მუშტებისა!“ (მელანია, ნაწარღობა).

ერთი კაცი ტრაბახობდა: ჩემისთანა მობურთალ ჯერ არ დაბადებულა, ლელოზე ისე გავიტან ბურთს, ვერავინ დამეწიოსო. მაშინ ასე უთხრეს. ეს თქმა საერთოდ თავის დაქებარას, ტრაბახას და ბაქიას პირის დასაყოფი თქმაა.

ეს დღე ნიშანი (იყოს) პრდ. ეს დღე მოსაგონებლად იყოს. სჭვ. მოსაგონებლად, სანიშნებლად ეს დღე გვქონდეს, დავიხსოვოთ. „ჰმ... არც იმისგან იქნება ხეირი, თორემ ეს დღე ნიშანი იყოს, ეს ცხვირი მომჭერი, თუ ხეირი იქნება რამე“ (ს. მგალობლიშვილი, II, 110); „მე გაგეცლები, მაგრამ ფრთხილად იყავ, გეუბნები, კოლაგ, თორემ ეს დღე ნიშანი იყოს, — თქვა და მაშინათვე გამოვიდა კაკო გარეთ“ (ილ. პავლევიძე, III, 197).

ეს დღე ნიშანი იყოს — იტყოდნენ ხოლმე, როცა უნდოდათ ეთქვათ — დავიხსოვოთ რამე, და თან ჯვარედინად დედამიწაზე თითს ან ჯოხს ვაუსვამდნენ. ძველი ხერხია რისაზე დასსომებისა და მოგონებისა.

ეს ერთი და ღმერთი პრდ. ეს ერთხელ გავიკვეთეთ და ღმერთიც შეგვეწვავ. სჭვ. საქმე კარგად მიდის, ხელი მოგვემართება საქმეში. „ამ დრამასო, — ბრძანებს კრიტიკოსი, — გვერდი ჩა-

უწაროთო და გამარჯვებას შენის მეტს ვერას ვეტყვიოთ, რადგანაც სრულიად არ არის დაბეჭდილი ამ ნომერშიო, და მანამ სრულიად არ დაიბეჭდება, კრიტიკა ვერას იტყვისო. ეს ერთი და ლმერთი“ (ილ. ჰაგავაძე, IX, 52).

საქმიანობის დროს, როცა პირველი ნაბიჯი გაუმარჯვლებათ, იტყვიან ამას, ვითომდა, ღვთის შეწევნით, თუ ასე ვითარეთ, კარგად იქნება ჩვენი საქმეო. მოძველებული თქმაა.

ესეც ერთი თანხაა ჰრდ. სიმლიდრე, კაპიტალი. ზ.გ. წყალობაა, დათმობაა, სამსახურია, გამარჯვებაა. „ხოლო ამ ბედნიერებისაგან რომ მე მეტისმეტად თავს არ ვავიდე, იგი მართო „გზადა-გზა“ ჰკადრულობს ჩემთან საუბარსა. ესეც ერთი თანხაა!“ (ილ. ჰაგავაძე, IX, 137).

ეს-ისაო, ეს-ესაო, ჰრდ. ეს-ერთი რამ, ეს-კიდევ სხვა. ზ.გ. ბევრი რამ გასაკეთებელი, ან საშოგენელი; მოუცლელია. „შენმა სიცოცხლემ, მოცლა არა მიქვს. ეს-ისაო, ეს-ესაო, სახლია, კარია, ხომ მოგეხსენებათ“ (ილ. ჰაგავაძე, II, 172).

ეს რა ცოდვა შეეითხა ჰრდ. ეს რა ცოდვა დამბრალდა, ეს რა დანაშაულისათვის მომეთხოვა პასუხი! ზ.გ. რა უბედურება დამატყდა თავსა, როგორ დავიღუპე!

ეს საყენკი შენს ქათმებს დაუყარე ის. ეგ ნაკმაზი ზოგი შენს წიწილებსაც დაუყარე.

ეს უღვაში არა მსხმია, ეს უღვაში არა მქონდეს ჰრდ. ეს უღვაშები ნულარ მექნება. ზ.გ. ფიცი: შერცხვენილი ვიყო, სულ უკანასკნელი ვიყო. „სწორედ ამგვარად ჩამითრია მათი-კომატ...“ „არაფერია!“ — ვამბობდი გუნებაში — „ეს უღვაში არა მსხმია, თუ ვერ დაგიპირო“ (აკაკი, I, 173); „მამე ვგრე, მღვდელი! ეს უღვაში არა მქონდეს, თუ არ გადაგაყლაპო ამონალები სიტყვა!...“ (ფ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 280).

ძველად უღვაში ვაქცავობის, მამაკაცობის ნიშანი იყო, როცა ამას იტყოდნენ, თან თითებს (ცერი, სალოკი და შუა თითი) ცალ უღვაშზე მოიფლებდნენ. ეს თქმა დიდ ფიცად ითვლებოდა.

ეს უღვაში მომპარხეთ, თუ... (შენი ნათქვამი მართალი არ გამოდგეს). ჰრდ. უუღვაშოდ დამტოვეთ, თუ ჩემი ნათქვამი არ გამართლდეს. ზ.გ. შერცხვენილი ვიყო, ვაქცავი ნულარ ვიქნები.

წვერ-უღვაში, როგორც ვიცით, ნიშანია მამაკაცობისა. ძველ დროში ახრადაც არავის მოუვიდოდა უღვაში თავის ნებით ვაქცავსა და უღვაშვაპარსულს თავი გამოეყო საზოგადოებაში. თუ ვაქცავს, მისდაუნებურად, უღვაშს ვაპარსავდნენ, ვაპარსავდნენ საჯაროდ, და ეს იყო ერთი სახე სასჯელისა რაიმე მძიმე დანაშაულისათვის, რაიმე საბოლოო საქციელისათვის; პარსავდნენ ვაქცავის სახელის ტარების უღირსსა, უღვაშის შემრცხვენილს. უღვაში იყო საფუტკარი, პატრონების, მამაკაცის ღირსების მჩვენებელი; უღვაშს იმორქმებდნენ, როცა სიმართლის რისამე დადასტურება უნდოდათ და სხვა მოწმე არავინ ჰყავდათ.

ეს უღვაში ძაღლისა იყოს, თუ... ჰრდ. ჩემი უღვაში ძაღლის ბალანი იყოს, თუ... ზ.გ. კაცი არა ვყოფილვარ, სულ უკანასკნელი ადამიანი ანუ ძაღლი ვიყო, თუ... მგლო, „აი, ეს უღვაში ძაღლისა იყოს, თუ მე ვტყუოდე“.

ეს ძველი და სხვა ახალი ჰრდ. ეს ვითომ ძველია და სხვა ახალი (ტანისამოსი) დაგვეცვითოს. ზ.გ. ბევრი ტანისამოსი გაცვეთინოს, დიდხანს გაცოცხლოს. „ერთი ასეთი ბუზმენტიანი ჩოხა გაიყოლა თან ჩემი, რომ ხუთ თუმნადა ღირდა დაიწყო ისევ უფროსმა,— ჩოხას ჯანი გავარდეს, ეს ძველი და სხვა ახალი: მამა-ჩემი შემძლებელი კაცია“ (ილ. ჰაგავაძე, III, 6).

დალოცვის ფორმულაა, რომლითაც მიმართავენ, ვისაც ახალი ტანისამოსი აცვია, ე. ი. ეს დაგძველებოდეს და კიდევ ბევრი ახალი ვაგვეცვითოს ანუ დიდხანს გაცოცხლოს, დღეგრძელი იყავ.

ეშმაკად ჰრდ. ეშმაკის მსგავსად, ეშმაკის გუნებისად. ზ.გ. სამწუხაროდ, ცუდად, უბედურად. „1857 წ. მაისის თურნალში ის რაოდენ ეშმაკად გუდიან ვარსკვლავზედ დავიწყებ ვერა, აბა ვინ მე და ვინ ვარსკვლავთმრიცხველობა!“ (ილ. ჰაგავაძე, IV, 102).

• **ეშმაკების ხელმწიფე პრ. მბრძანებელი** ეშმაკებისა. სკვ. დიდი ბოროტი, საშინელი მაცდური. „(ხალხი) გაიძახის: ჰეე, შვილოსა, ათასი ც რომ ითვალთ-მაქცოთ და იძახოთ: აქეთ, იაფათო, მონარშულსაც ვიციანოთ, რა კოქე-ნიცა ხართ: ეშმაკების ხელმწიფეებსაც კი თვალებს უბამთ და არ შეიძლება, თუ ისიც არ მოატყუეთ!“ (ლახვარიძე, „გვ.“, 1895, № 190).

• **ეშმაკი პრ. აგი სული.** სკვ. მაცდურობა, სიძნელე, უბედურება. „ან, იქნება, ფული წოდებას ჰათაილობს, არა ჰკადრულობს, ან ფულს წოდება, თუ რამ სხვა ეშმაკია აქ დამალული?“ (ილ. პავლევი, IX, 129).

ეშმაკი, ხალხის ძველი წარმოდგენით, ზესთაბუნებრივი არსებაა, ჯოჯოხეთში მცხოვრები, დასაბამი ბოროტებისა, წინააღმდეგ კეთილის დასაბამისა -- ღმერთისა.

• **ეშმაკი დაფაბათ პრ.** ეშმაკი ერთ ალაგას ვაფაჩროთ დაბმის საშუალებით, გაუნძრევლად, ფეხმოუცვლად. სკვ. სიადეს, ზარალს თავი დავალწივთ, დაქარგული რამ ნივთი გვაპოვინოს.

უძველესი წარმოდგენით ადამიანის მარცხის, დაზარალების, საქმიანობაში ხელის მოცარვის მიზეზი ადამიანისავე უფთარობა კი არ არის, არამედ ეშმაკი, ღვთის მიერ ჯერ ანგელოზად გაჩენილი და მერე ყოველგვარ ბოროტებისა და სიადის წყაროდ ქცეული.

მაგრამ ეშმაკის მანქანების შესაჯავებლად, მის ასალაგმევად, გაფუჭებული საქმის გამოსაკეთებლად ხერხიც არსებულა. ეს არის ეშმაკის დაბმა. ამას მიმართავენ ხოლმე რაიმე ნივთის დაქარგვისა და მისი ძებნის დროს.

„დავბათ ეშმაკიო“ — იტყვიან და დაჭკრავენ ქვეს ქვეზე, დაარწმუნებულნი არიან, რომ ეშმაკი ქვესა და ქვეს შუა მოექცევა, უძლური გახდება დაქარგული ნივთი დამალოს და უჩინარჰყოს პატრონის თვალთათვის.

• **ეშმაკი მჯღდარა (რაიმეზე) პრ.** ეშმაკის საჯღღოში ზედ დაუდევს (რაზედმე). სკვ. დაქარგული ვიპოვეთ.

როცა დაქარგულს დიდხანს ეძებენ და ბოლოს იპოვიან, იტყვიან ხოლმე: „ეშმაკი მჯღდარა ზედა და თურმე ჰფარავდაო“.

• **ეშმაკისათვის სულის მიყიდვა** ეშმაკისათვის თავის სულის დათმობა, რაიმე სასყიდელისათვის. სკვ. ისეთი ბოროტების ჩადენა, რაც სულს წაწყმედს, ავკაცობა, კაცისკვლა. „და ეს ჩვენი პეტრე მოურავი სწორედ ამგვარ, ქვეყნის ამომგდებ კაცთ ეკუთვნოდა, თუმცა უშვილო იყო, მაგრამ ცალი გროშისათვის სულს მიჰყიდდა ეშმაკსა“ (ნ. ლომოური, 268); „მოესპობ, არ ვაყუფებ ამ ქალს, ჩემდა დასამცირებლად თვით ჯოჯოხეთიდან ამოვლინებულს. ამოვფხვრი მასაც, ვინც სული მიჰყიდა ამ ეშმაკს ბილწსა“ (გ. ბარნოვი, სამი რომანი, 485).

სარწმუნოება ასწავლიდა ადამიანს ეზრუნა მომავალი ცხოვრებისათვის, სულის ცხოვრებისათვის, რომელსაც ხელს უშლიდა ხოლმე ეშმაკი და მაცდური. ეშმაკი ცდილობდა ადამიანი დაეზარებინა ამქვეყნიურ სიკეთითა, პირდებოდა სააქაოში მიეზადლებინა ყოველგვარი ვანცბრომა და სიამე. სამაგიეროდ, მოსთხოვდა სულის დათმობას, მიყიდვას, რათა საიქიოში იგი ეტანჯა, ჯოჯოხეთში ეყოფებინა და იმის წველების ყურებით თვითონ დამტკბარიყო და ენეტარა. და აი, ადამიანი ხდებოდა მსხვერპლად ბილწისა და თავის სულს მიჰყიდდა ხოლმე ეშმაკს, ბილწსა და წაწყმედელს.

• **ეშმაკის აყოლა პრ.** ეშმაკის გზით გალა, მისი ადევნება. სკვ. ეშმაკის მიბაძვა, ეშმაკურად მოქცევა. „შუეღნებელს კაცს შევაგონებენ და მართალს გზაზე დაყენებენ, და შენ ხომ იათგანი არა ხარ? ეშმაკს ნუ აჰყოლიხარ“ (ს. მგალობლიშვილი, „მოამბე“, 1699, III, 128).

• **ეშმაკის გზა პრ.** გზა, რომლითაც ეშმაკი დადის. სკვ. უქულმართობა, ავკაცობა, ბოროტება, ბიწიერება „ინიას უთხრა: მე წავალ, და ძიძას ვუშოვნო“. ამ სიტყვით კარში გამოვიდა და ისევ ეშმაკის გზას შეუღდა“ (რაფ. ერისთავი, III, 27).

• **ეშმაკის ვერზე შეხმა პრ.** ეშმაკის ვირის უფრზე მოქცევა. სკვ. სირცხვილი, საჯაროდ შერცხვენა, გაბახება. „ეს რას მიშვრებია! დედაკაცო, შე ოჯახდაქცეული, მახათაზე ჩამომხარხოზენ, ვაი, ვაი, ვაი!.. — ბუზსაც ვერავინ ამიფრენს!“



— სონაჯან, ეს ხომ ეშმაკის ვირზედ შემსვი! (ავტ. ცაგარელი, კომედიები, 49).

როცა რაიმე დანაშაულისათვის სოფელი სჯიდა თავის წევრს, პირუტყლი ვირზე შესვამდა და სოფელს ჩამოატარებდა.

ხოლო ამ მაგალითში მოხსენებული სიტყვა მახათა სახელი იყო თბილისის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნაწილისა, სადაც დღეს არსენალია და რომელიც XIX საუკუნეში მძიმე დამანაშავეთა ჩამოსახრობ ადვილად ითვლებოდა.

• **ეშმაკის კერძი** პრ. ეშმაკის საქმელი. ზგვ. ბოროტი, უსაზღვრო სიავის ჩამდენი, წაწყებდილი. „ეპ, რაც არის, არის... ეშმაკის კერძად არ გამოხადო, კვლარს დამიურვე, მიპატრონიო“ (ილ. ჰაგვაძე, III, 46); „ემჯობინებოდა! ვხედავ, თვალს ვადგენებ ეშმაკის კერძსა, რომელს მოუხრია სული ბოროტისაკენ“ (ვ. ბარნოვი, სათი რომანი, 526).

ძველი რწმენით, ზოგჯერ ეშმაკი დაეუფლება ადამიანს. ეს უკანასკნელი მისი კერძი, მისი ხვედრი გახდება, ე. ი. თავის ხელში ჩაგარდნის—რაც უნდა, იმას აკეთებინებს. ასეთი ადამიანი უსაზღვროდ ბოროტია, წაწყმედის გზაზე დამდგარა; ყველასათვის სიავე უნდა, მის გულს სხვათა შებრალემა არ ეკარება. ასეთ ადამიანს ეშმაკის კერძს ეძახიან.

• **ეშმაკის კვალზე შემდგარი** პრ. ეშმაკის მიმდევარი. ზგვ. საბოროტო საქმეზე გადასული. „სწორედ სიყვარულის წამალი მომცხო, ბელგას მივცემ, სახლში შევალ, ნიშანსაც ვაკურთხებინებ და მერე... ის ცოცხლთ იციან, მკვლარს საითაც უზამენ თავს! ჰფიქრობდა ეშმაკის კვალზე შემდგარი და ბოროტად ილიმებოდა“ (ვ. ბარნოვი, ფერადფერადი, 36).

• **ეშმაკის მამხალა** პრ. ეშმაკის სანათური. ზგვ. უშნო, საშინელი შესახედავი (მეტად უშნო ქალზე ითქმის).

• **ეშმაკის მუშა** პრ. ეშმაკისათვის გამკეთებელი საქმისა. ზგვ. უნაყოფო მუშა, დროს დამკარგავი, გამოუსადეგარი მუშა. „ერთი ჩვენ (მეგუთნეებს) შეგეტყვე რამე, თორემ ასე სულ

ეშმაკის მუშა ვხდებითო“ (თ. რაზიყაშვილი, ზღაპრები, II, 133); „ეშმაკის მუშა—ღმერთმან დაფუშა“ (ანდაზა).

ჩვენი ხალხის ძველი წარმოდგენით, ეშმაკს გაჩენისთანავე დაეკება სიავიგია განსახიერება ტანჯვა-წყველებისა; ხელიდან გამოუღის მარტოოდენ უკუღმართობა, მისი საქმიანობა—საქმანობაა ბოროტებისა, უკეთურობისა. თუ ასეთია ეშმაკი და მისი საქმიანობა, ოღონდაც ჟარესი უნდა იყოს თვით ადამიანი, ვინც ეშმაკის ნაჩვენები გზით დაიარება. ვინც ამ ეშმაკის საამებლად მუშაობს, ასეთი ადამიანი ტყუილად ირუება, მის ნამუშევარს ხეავი არა აქვს, მისგან სასიყვარო არა გამოვა. ამიტომაცაა, რომ ეშმაკის მუშა გამხდარა სინონიმად ცუდად მამურობისა, უმედეგო საქმიანობისა.

• **ეშმაკის ფეხები** პრ. ეშმაკის მაგიერი, ეშმაკის ტოლი. ზგვ. ბოროტი, ეშმაკის ხასიათისა და ქცევისა. „ამჟამად მასში (სკოლაში) მხოლოდ ერთი კაცი იყო მასწავლებლად და ისიც სამოცდაათის წლის ნემეცი, კაცი მრისხანე, მარად მუნდროში გამოკიბული—წარბმეკრული. წარმოიდგინეთ, რომ იმ ეშმაკის ფეხმა, არგასამეგება სულიკომ ესეც კი არ დაიდლო“ (ნ. ლომოფრი, მოთხრობები, 261).

• **ეშმაკის ფეხების მონჭრელი** პრ. ვისაც, ეშმაკისათვის ფეხების მოჭრა შეუძლია. ზგვ. ქლესა, გაიძევრა, მოხერხებული, გაქნილი ადამიანი.

ჩვენი ხალხის ძველი წარმოდგენით, ეშმაკი იმის ეშმაკია, რომ ყოველგვარი ვერაგობა, ძარცვა ხელიდან გამოუვა; იგივე ეშმაკია—წარმონშობი ადამიანის ყოველგვარი უბედურებისა. თვით სიტყვა ეშმაკი სინონიმია მარცხისა, ბოროტებისა, სიავისა. ამას შემდეგ რა სახელი უნდა დავუკვას ისეთ ადამიანს, ვინც შესძლებს ამ ეშმაკს ფეხები მოსკამოს ისე, რომ ფეხების პატრონმა ვერც კი გაიგოს ან, თუ გაიგოს, ვერ შესძლოს წინ აღუდგეს და უშუაშობოდ არ დაატოვებინოს თავი.

ეს ხატოვანი თქმა უნდა შეეფარლოს ისეთ ადამიანს, ვისაც თავისი გაიძევრობით, მოხერხებით, ყოველგვარი გაჭირვებისაგან ადვილად თავის დაძვრებით ვერაფერს სჯობდეს, პირველობას ვერაფერს ეღაგებოდეს.

• **ემშაკის შეჯდომა გვერდებში** ჰრდ. ეშ-
მაკის მიერ ადამიანისათვის ქვევიდან
ამოჯდომა თავის ნებანზე სატარებ-
ნად. ზ.ჯვ. ბოროტის განზრახვა,
სიადის გზაზე დადგომა, რაიმე (უ-
ლის გავლება გულში. „რაკი ეონას
დაინახავდა თევდორა, ეშმაკი შე-
უჯდებოდა გვერდებში, აღდე-
ლვებდა, ააღმდებდა და თავისსავე
ქაფში სთუთქავდა მას დაუნდობელი“
(გ. ბარნოვი, ფრაგმენტები, 18).

თანამხად ქრისტიანობრივი სარწ-
მუნოებისა, ყოველ ქრისტიანს მარჯ-
ვნივთ ანგელოზი უდგას და შეველის
ქმნად კეთილისა და სულის საცხოვნე-
ბელი საქმისა, ხოლო მარცხნივ უდ-
გას ანუ, უკეთ, შემეჯდარი ჰყავს
ემშაკი, რომელიც ნიადაგ იმის ცდაში-
დაა: ანგელოზს სძლიოს და ჩაადენი-
ნოს ადამიანს, ვისთანაც მიჩენილია,
სიადე, დააყენოს ბოროტებისა და უკუ-
მართობის გზაზე.

• **ემშაკის ცხენზე შეჯდომა** ზ.ჯვ. გაჯიუ-
ტება, გაკერპება, თავისი ნათქვამის
გატანა, ბოროტის განზრახვა. „ამა-
ლამ იგ (კოლი) გოგისათან წაუს-
ვლელი არ დადგება; ალღო ავარ-
თვი, გაღმით ივანეს ბინებს პირ-
დაპირ ბოროტობდა. სანამ, ერთს
გამჩვენებომაში იყო, სწუხდებოდა,
ემშაკის ცხენზე იჯდა, ეტყო-
ბოდა“ (ვაჟა-ფშაველა, V, 369); „ღიახ,
თუ შენ ქუჟას არ დაპაჟავ, ეშმა-
კის ცხენზე არ შეჯდები და
ჩემს სიტყვას დაიჯერებ, მაშინ დიდი
ბედნიერი ქალი იქნები“ (გ. მახანე-
ლი, ზებია ზვარახე, „ოგ.“, 1899, № 92).

ხალხის ძველი რწმენით, ეშმაკს ეზა-
რება დიდი მანძილის გავლა ქვეითად;
ადამიანსავეთ ისიც ხმარობს ცხენს
ერთი ადგილიდან მეორეზე გადასასვლე-
ლად. მხოლოდ ეშმაკის ცხენი დიდად
განსხვავდება ადამიანის ცხენისაგან. ამ
უქანასქნელს საერთო მოყვანილობით
თულა ჰგავს, ადამიანის ცხენის მორ-
ჩილება ერთი ბეჭოთივც არ გააჩნია,
რამდენადაც ადამიანის ცხენი მშვიდია,
კეთილია, იმდენად ეშმაკის ცხენი
პატრონივით ავია, ბოროტია, თავქეი-
ფა, თავისნათქვამი, ურჩი, ჯიუტი.
ჩვეულებრივი ცხენი ერთმოსიანია რომ
არის, ეშმაკისას ჩლიქის მაგიერ ქვან-
გები აქვს, ფრინველის ქვანგის მსგავსი,
ისეთივე, როგორიც, ხალხის წარმოდ-
გებით, მის მხედარს, ეშმაკს გააჩნია.

კბილები გაფხავებული აქვს, ხორცი-
ჭამია ცხოველისა და არა ბალახჭამი-
ანი. ფიგურალურად, ეშმაკის ცხენზე
მჯდარ ადამიანს ხელიდან გამოუვა
მარტოოდენ სიჯიუტე, გაკერპება, ბო-
როტი განზრახვა, დალატი.

ზოგიც ეშმაკის მგზავრობის მეგო-
ბრად ჯროს სახელებს და გაჯიუტე-
ბულ ადამიანზე იტყვიან: ეშმაკის ჯო-
ზე ზისო.

• **ემშაკის ცხენიდან ჩამოხვლა** ჰრდ. ეშ-
მაკის ცხენიდან ჩამოქეცილება. ზ.ჯვ.
ჯიუტობაზე, კერპობაზე ხელის აღე-
ბა, გულიდან გადაყრა ეშმაკობისა.
„ჩამოხვ, მარცხო, ჩამოხე ეშმა-
კის უბელო და ულაგმო ცხენი-
დან, თუ გინდა, რომ ქალიც მო-
გირჩეს და ღმერთმაც გაპატიოს შე-
ნი სიკერპე-უჯიათობა“ (გ. მახანე-
ლი, სიყვარულის ანთავი, „ოგ.“ 1899, № 150).

• **ემშაკი შეაჯდა** (ვისმე ან რასმე) ჰრდ.
ემშაკი ზურგზე მოაჯდა. ზ.ჯვ. ვაქრა,
უზნო-უქვლოდ დაიკარგა, უჩინარ იქ-
ნა, პატრონს ხელიდან გამოეცალა.

მთათუშეთში როცა რამე დაიკარ-
გება და ვეღარ იპოვიან, სწამთ, რომ
დაკარგვა ნივთისა თუ საქონლისა ეშ-
მაკის საქმეა, რომელიც უხილავად მო-
ლის ადამიანის სამყოფელთან, რაც
მოეწონება, იმას ზურგზე მოაჯდება და
მითთვისებსო.

• **ემშაკმა გიტომა** ჰრდ. ეშმაკი გავინათე-
სავდა. ზ.ჯვ. ეშმაკის თვისებები შეი-
ძინე, გააღი. „ან ამ ხანჯარს რას
ატრიალდ და რასა პეტუტებუტე თა-
ვისთვის? შენ, იქნება, ეშმაკმა გი-
ტომე? (ვაჟა-ფშაველა, V, 413).

• **ემშაკმა ჩამოგვიარა** ჰრდ. ეშმაკი და-
გვენახვა. ზ.ჯვ. (უღად წავგივიდა
საქმე; დავინავსენით, ავირ-დავირიე-
ნით, საავო საქმეს დავადექით.
...რა, არი, რაზე ხოცო ერთმანეთს,
რა ეშმაკმა ჩამოგვიარათ!“
(ვაჟა-ფშაველა, V, 365).

ხალხის ძველი რწმენით, მავნე სული
ემშაკი ზოგჯერ თავის ბუნავიდან გა-
მოდის და ჩამოუვლის ადამიანებს,—
ვისაც ჩამოუვლის, უმკვლად საქმეში
ხელი მოცარება, სახლში რაიმე ზა-
რალი მოუვა ან თვითონ რასმე იტყვის,
ან მტერი ავნებს და სხვ.

• **ემშაკს აუტანიხარ** ჰრდ. მალა აუზი-
დხარ ეშმაკს, აუწვევიხარ ეშმაკს.
ზ.ჯვ. ეშმაკს გადაუხრინარ, საემშაკო



საქმე დაგიწყია, სწორი გზიდან გადა-
ვიხვევია, თავი დაგიღუპავს. „...დღე-
დაქაყო, რა ეშმაკს აუტანი-
ხარ? შენ როგორღაც სისხლი ავღ-
ვომია მგონია?!“ (რაფ. ერისთავი, IV, 311).

• ეშმაკს არ სძინავს ის. ეშმაკს თვალთ
არ უჩანს.

• ეშმაკსაც შეაცდენს პრდ. ეშმაკსაც
მოატყუებს, ცუდს საქმეს ჩაადგინ-
ნებს. სტვ. დიდი გაიძვგრა ვინმეა,
ეშმაკზე ეშმაკია. „ის კუდიანი ბარ-
ბარეც რაკი შეუჩნდა, ეშმაკსაც
შეაცდენდა, — დაურთო მეორე
მეზობელმა“ (ს. მგალაბლიშვილი, II, 24).

• ეშმაკს თვალთ არ უჩანს პრდ. ეშმაკს
თვალი დახუჭული აქვს. სტვ. სი-
ფრთხილზე გვეპრთებას, ვინ იცის, რა
მოხდეს; ცუდი რაჰაა მოსალოდნელი.
„კაკო, მარჯვეთ იყავ, სწორედ ნაღი-
რია; ელგევი ფეხებიდგან არა მშორ-
დება. იდიდი თოლია მანც წამოგე-
ყოლიყო.

— ჰო, და, ეშმაკს თვალთ არ
უჩანს.

— ფიქრი არ არის, ფიქრი! — და-
იწყო ისევ ცეცომ“ (ს. მგალაბლიშვი-
ლი, I, 61).

ხალხის ძველი რწმენით, ეშმაკი და-
მალულია, ჩასაფრებულია საღმე, პირი
არ უჩანს, მისი დანახვა ადამიანს არ
შეუძლია, რომ გაფრთხილდეს, ან კი-
დეფ თვალეში ვანგებ არ უხეღია, რომ
ადამიანს ეგონოს—სძინავს, ვერა მხე-
დავს და რას დამაკლებსო. ის კი არა,
ეშმაკი ყოველ ფეხის გადადგმაზე ხვდებ-
ა ადამიანს, ყველაფერსაც მშვენიერად
ხედავს, ადამიანის ერთი ნაბიჯიც არ

გამოებარება და ეს უჯანსაღი თუ
ძალიან არ გაუფრთხილდა, მისგან ყო-
ველ წამს უნდა მოელოდეს სიკვებს, ბო-
როტებას, წაწყმედას.

• ეშმაკს პირი არ უჩანს ის. ეშმაკს
თვალთ არ უჩანს.

• ეშმაკს შეფურთხება პრდ. ნერწყვის
სროლა ეშმაკის მიმართ. სტვ. თავის
არიდება ცუდი საქმისა და ბორო-
ტებისათვის. „სულ, სულ, სულ! ვერ მ-
ბატყუებ! ებლაგე შეაფურთხე
ეშმაკს! გააგდე გულიდან სატანა!“
(ლ. არდახანი, 56); „... რაღა შორს წა-
ვიდეთ, მოდი, ეშმაკს შეაფურ-
თხე და შენ შემირთე...“ (ავტ. ცხარე-
ლი, 9).

ეჩოსავით თავისკენ მოთლა პრდ. ეჩოს
მსგავსად თავის მხარეს მოთლა ფიქ-
რისა თუ ხისა. სტვ. მხოლოდ თავის-
თვის ზრუნვა, თავისკერძობა. „ამ
ბურჟუაზიამ კიდევ ისე წარმართა სა-
ზოგადო და სახელმწიფო საქმე, რომ
ეჩოსავით სულ თავისკენ
მოითალა“ (ილ. ჰაბაგაძე, VIII, 55).

ეჩოსამეფრენეო იარაღია, მკრედი,
ცულის მსგავსი, მხოლოდ პირი შიგნით
ქენ (მომხმარებლისაკენ) აქვს შებრ-
ნებული. როცა ფიცარსა თუ ხესა
სთლის კაცი ერთი, ნათალი სულ მისკენ
სცივია.

• ეჭაშნიკა პრდ. გემო ნახა. სტვ. მოეწონა,
ეგემოილა, ჭკუაში დაუჭდა. „შამა-
ჩებს ვერაფრად ეჭაშნიკა ეს საუ-
ბარი ბატონისა, უგემუროდ გაიჭნია
თავი და ისე გაჯავრებული და გულ-
გაყრილი წავიდა, რომ, როცა ქალაქს
მივიღოდი, არც-კი მინახულა“ (ლ.
ჰაბაგაძე, II, 46).

3

ვათენებ-ვალამებ, ვათენ-ვალამებ პრდ.
ლამეს ვათენებ და დღეს ვალამებ.
სტვ. დრო მიმაქვს, თითქმის არა-
ფერს ვაკეთებ, არც თავს ვარგვივარ
და აღარც სხვას. „ჩვენც დღესსამდე
არაფერი გვიშამს: ყვრივართ, რაღა,
ვათენებ-ვალამებ თ კია...!“

ვაი არა აქვს ჩემს თავს პრდ. ვაი არ
ვიძახო. სტვ. არა გამიჭირდეს რა,
ისემც უბედურობა ამცდენოდეს თავი-

დან. „ახლა კი ოც წელიწადს მზის სი-
ნათლეს დაგანატრულეებთ, ჩემო კარ-
გო, ვაი არა აქვს ჩემს თავს!
(მოაპანანი, ფუნთუშა, 89).

ერთგვარი ფორმულაა ფიცისა. იხ-
მარება ნიშნის მოგებით, რომ მოლა-
პარაკემ მსმენელს აგრძნობინოს—ჩემს
ნათქვამს ბევრი ლარი და ხაზი არ
უნდა, ცხადზე უცხადესია, მეტი გზა
არა გაქვს, უნდა ირწმუნო.

ვიდან ვუიში ჩავდებო კაცისა ჰრდ. ჯერ „ვია“ იძახოს კაცმა, და მერე „ვუი“. სტვ. ერთ უბედურებას თავე დააღწიოს კაცმა და მერე უარეს უბედურებაში ჩავარდეს. მგლ., „უიღბლო რომ იქნება კაცი, ეგ არის: ვაიდან ვუიში ჩავარ და საწყალი კაცი“.

• ვაი დედას მტრისას ჰრდ. ვაი იძახოს მტრის დედას. სტვ. მტერი დამარცხდეს, გულის წადილი არ აუხრულდეს, იძლიოს. დედას მოუკვდეს. „ვაი დედას მტრისას, ხვალ უნდა პირგაუხსნელები დარჩეთ?! ისევე თუ გვიშველის რასმე, ღალთა გვიშველოს“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 65).

ვაი დედაჩემის ღმერთს ჰრდ. ვაი იძახოს დედაჩემის ღმერთმა. სტვ. გაუბედურდეს დედაჩემი, ცუდი დღე დაადგეს, მე მოვუკვდე. „ს ტ ე ფ: წავიდეთ, წავიდეთ, ნიკოლაჯან, გვიანდებო. პეტუა: ვაი დედაჩემის ღმერთსა! ეგ არის რაღა!“ (ავტ. ცაგარელი, კომედიები, 165).

ვაიმე დედა ჰრდ. ცუდად მაქვს საქმე, დედაჩემო! სტვ. ვიღუპები, მიშველე, გაქორცვებისაგან მისხენი, დახმარე, ვკვდები.

ვაი სირცხვილო ჰრდ. სასირცხვილო საქმე გვემართება. სტვ. თავე ვამოსაჩინი არა გვაქვს, სად დავიმალოთ სირცხვილით? „იმის ახალი ტყუილი ურჩევია ძველს მართალს და თუ ასე არ მოიქცა, სახელს დაიბერალოთისას წაიხდნს და მაშინ—ვაი სირცხვილოვო!“ (ილ. შავჭავჭავაძე, IX, 160).

ვაი ქვასა და წყალს ჰრდ. უბედურება ქვასა და წყალს მოხვდეს. სტვ. უბედურება გაძეფდება, საშინელმა იქნება, ქვეყანა დაიღუპება. „როცა ამისთანა ნამუსის ბეწვიც გაწვეტილი აქვს, მაშინ ხომ ვაი ქვასა და წყალსა“ (დ. მაჩხაველი, ძმური სიტყვა, 54); „... და თვალს მოარიდებდნენ (მამას), ვაი ქვასა და წყალს, იქაურობას აიკლებდნენ“ (ეგნ. მონთეზაშვილი, თაფლი, „ფი.“ 1902, პი 258).

როცა მოსალოდნელია რაიმე უბედურება, ვინც ამას ხედავს, ინატრებს: ვინმემ ან რამემ არ იძახოს ვაი, არაძედ ქვასა და წყალს დაატყდეს უბედურება და იმათ იძახონ ვაიცა და ვუიციო, წყალმა და ქვამ იკნესონო.

ვაი შენს დედას! ჰრდ. დედას სატირლადაც ვახდომიხარ! სტვ. მოკვდი, ცოცხალი ნულარ დარჩები...

წყევლის ფორმულაა. უდრის: დედა შენს საფეხო საქმე დამართოდესო, რაც მოსალოდნელია, როცა შენ მოკვდები და დედა-შენი უშენოდ დარჩება.

ვაი შენს დღეს ჰრდ. მუქარა: უბედურება შენს სიცოცხლეს! სტვ. ცუდად წავა შენი საქმე, ადვილად ვერ გადარჩები, უბედურება არ აგცდება. „უთხრა ტარუმბალას, თუ ამისათვის თავე დაგინებება, ვაი შენს დღესაო!“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, II, 14).

ვაი შენს მტერსა და დუშმანსა ჰრდ. უბედურება დაატყდეს შენს მტერსა და მოძულეს. სტვ. შენ კარგად გამოყოფოს, უბედურება აგცდეს.

ამას ეტყვის დედა შვილს, როცა ბავშვი რაზედმე იტყვის: „ვაი“, ე. ი. ვაი შენ აგცდეს და შენს მტერსა და დუშმანს ხედესო.

• ვაი შენს პატრონს ჰრდ. ვაი იმას, ვისაც შენ ეკუთვნი. სტვ. დაღუპული ხარ, შენ რა ადამიანებში გასარგვი ხარ! შენც იტყვი, კაცი ვარო!?

ეს თქმა დაცინვითი და დაცინვებითა და მიმართავენ ისეთს, ვინც, მთქმელის აზრით, მოკლებულია ყოველსავე ადამიანურ ღირსებას!

ვაი შენს ტყავს ჰრდ. უბედურება შეემთხვება შენი სხეულის საფარველ აპკს სტვ. დიდი უბედურება დაგატყდეს თავზე, სასიკვდილოდ გაგინდეს საქმე. „ხელი, ხელი გაუშვი, თორემ ვაი შენს ტყავსა!— დაიქუხა კვალად ფრინველთა გუნდმა“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 100); „თუ ისეთი არაფერი მოიგონეთ, რომ იმას (ვაქს) არ შეეძლოს გაკეთება, ვაი თქვენს ტყავსო!“

ვაი ჩემი ცოდვის ბრალი ჰრდ. რა საშინელია ჩემი ცოდვის ბრალი! სტვ. ვინ გაუძლოს ჩემი ცოდვის ბრალს, დიდად ვარ დამნაშავე, არაფერი მიშველის, მეტისმეტად შესაბრალისი ვიქნები. „ყოველივე მაშინ ვამბობთ: ვაი ჩემი ცოდვის ბრალი!“ (ბ. შშიკაშვილი, I, 232).

ვაი ჩვენს დედაბრძობას, რა გვეფლარუნებისო ჰრდ. ვაი ამ დღის მომსწრეს, რა დროს ჩვენი ჟღარუნებიო! სტვ. არ უნდა გვეკეთებინა ის, რაც არც ჩვენს ხანს შეეფერება და არც ჩვენს მღვთმარებობას. მგლ., „სატი-

რალი გვაქვს, ჩემო კარგო, სატირა-
ლი, აბა სწორედ ჩვენზეა ზედგამო-
ჭრილი: ვაი ჩვენს დედაბრო-
ბას, რა გვექვდა რუნებისო?!...“

საქართველოს შაჰ-აბაზი შემოესია,
აიკლო, იავარჰყო მთელი ქვეყანა კი-
დითი-კიდე. განსაკუთრებით კახეთმა ზი-
და მთელი სიმძიმე მტრის შემოსევისა.
ბოდბეს მონასტერსაც ეწვია დაუბატი-
ებელი სტუმარი. აღდგომის ღამეა.
მოლოზნები წმ. ნინოს საფლავის გულე-
სიის გარშემო ლიტანიობენ. ხელში ან-
თემული სანთლები უჭირაეთ. ამ დროს
გაისმა ბრძანება: ეცვენები შეიბან მო-
ლოზნებმა და ისე შემოუარონ ეკლე-
სიასაო. მოლოზნები დამორჩილდნენ
ბრძანებას და, ნიწნად პროტესტისა,
ზემოაღნიშნული სიტყვები ამოხდათ პი-
რიდან. ამ სიტყვების აზრია: ღმერთო,
ნუ გვიწყენ ჩვენს გამასხარავებსაო!...

ვაი შენს თიებზეა პრ. უბედურება და-
ატყდეს შენს თიებს. სვ. აღარ მო-
გარჩინოს სატკივრებისაგან, სატკივ-
რებმა თან გადავიტანოს.
თბი ა გაუთქვრებელი კორძია.

• ვაკეზედაც ურემი გადაუბრუნდება პრ.
სწორ ადგილზედაც გადაბრუნდება
(ვისიმე) ურემი. სვ. უბედურია,
უიღბლოა, ყოველი მხრით ხელმოცა-
რულია. „მაგრა, ეჰ, გატიალდეს და
გაპულდრეგდეს! როცა აღმართი კაცს
ხელს ააღებს, ყველა უკულმა დაუ-
ტრიალდება, აღმართშიაც ქვა მოე-
წვია, და ვაკეზედაც ურემი
გადაუბრუნდება“ (დ. მაჩაბელი,
ქიზიყის თეზაურება, „ივ.“ 1901, № 202).

ვალის აყრა პრ. ვალის მოშორება, გა-
დახდა. სვ. მოვალეობისაგან განთა-
ვისუფლება, თავის ხსნა პასუხისმგებ-
ლობისაგან. „მე დარწმუნებული ვარ,
რომ თიემურაზი კაცი არა ყოფილა,
მაგარამ როგორ გაუბედო და უახრა
ბიძაქემსა და ძალუაჩემსა!.. იქნება
მტრობაშიაც ჩამომართვან...“

„—შენ კი ვალი აიყარე, გირ-
ჩევ“ (ლ. არღანიანი, მორჩილი, 206).

• ვაქცია პრ. ვაქი დაკაცებული, დასა-
კებული ყმაწვილი. სვ. მამაკი, შემ-
მართებული, გულადი, ღონიერი.
„მთიდან მოსული ვაქცია ვეზელ
ქორიყით ჰკიოდა: თავი ხსლით ჰქონ-
და დაქრილი, მკერდი სისხლი გად-
მოსდიოდა, ორასი ლევის მომკვლელი
უვაქციაობას ჩიოდა“ (ხალაფი).

• ვაქციაობაზე თავსა სდებს პრ. თავს
ძირს უშვებს ვაქციაობის სახელისა-
თვის. სვ. თავი ვაქციაოდ მიაჩნია,
ჰგონია, ვაქციაია, სხვაზე უკეთესია.
„არა გრცხვენიანთ? ვაქციაობაზე
თავსა სდებთ და სულ უბრალო
წესი ბრძოლისა ცარიცით, თქვე მოუ-
ნათლავებო, ურჯულოებო, თქვენა!“
(ვაჟა-ფშაველა, IV, 255).

• ვარსკვლავების დათვლინება პრ.
ცისკენ ახედება ვარსკვლავების სათვ-
ლელად. სვ. ვინმე დასცა, პირაღმა
ვაშხლართა. „გაშხლართა პირაღმა
(ოდურგალა ელიონაშვილმა—ორივე
მოჭიდავეა) და სულ ვარსკვლავ-
ებზე ათვლევინა“ (აკაკი, „ივ.“
1904, № 206).

ჭიდაობის დროს მოკიდავე დამარც-
ხებულად მაშინ ითვლება, როცა მო-
წინააღმდეგე ძირს დასცემს ისე, რომ
ზურგი სრულიად გაშხლართული
ჰქონდეს ნიდაგზე და პირაღმა ბე-
ქებზე დაცემული ცას შეჭურბდეს
ორთავ თვალთ, ანუ, როგორც ხა-
ტროვანად ამბობს ქართველი ხალხი,
მომრევი მორეულს ცაზე ვარსკვ-
ლავებს ათვლევინებდეს.

• ვარსკვლავების კრეფა პრ. ვარსკვლავ-
ების მოგროვება. სვ. ოცნება, შეუ-
ძლებლის ნდობა. „გაეწიე ბაღისკენ,
იქ ერთი მყუდრო ალაგი გამოგვხე-
ნე, დავჯამ ხის ქვეშ და ჩემებურად
ვარსკვლავებს დავეუწყე კრე-
ფა. რა თქმა უნდა, ჩემი „ვილაც“
იქ გავარჩინე და ყველაფერი ვუამბე,
რაც ვადაიხდა“ (აკაკი, I, 165).

ვარსკვლავები, როგორც სხვა ცის
მნათობები, ადამიანის ხელისათვის და-
საბამითვე მიუწვდომლად და დაუთვლე-
ლად იყო მიჩნეული. მარტო ვადა-
ქარბებით მეოცნებე ადამიანს თულა
შეუძლია ვარსკვლავებისათვის ხელების
წატანება, მათი კრეფა და დაპატრო-
ნება. და აქა პოეტის ასეთი შემთხვე-
ვაში ხმარობს ასეთს ხატოვანსა და
თან უაღრესად პოეტურ თქმას.

• ვარსკვლავებს ეთამაშება პრ. ვარსკვ-
ლავებთან ეთაობა. სვ. ლამაზია,
მშენიერი, ვარსკვლავების დარია,
იმათი ყადრია. „მოვიდნენ ვეზირები
ცხენის წასაყვანად. ისეთი ცხენი,
სულ ვარსკვლავებს ეთამაშებ-
და“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, II, 61);
„რა უნდა ჰქონდეთ, გენაცვალეთ,

იმათ საერთო?! ერთი ვარსკვლავს ეთამაშება, მეორე კი ძირსვე ხობავს ისევ მიწაში“ (ვ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 63).

ვახშმის შეშმა პრ. უღელში შეყენება ვახშმისა. სჭვ. დაწყება, შედგომა ვახშმისა. „შევაბით ვახშამი; მე სიოფოს თვალს არ ვაშორებდი; ის პირმოკულში იჯდა, მე თვალს არ მაშორებდა“ (ვაჟა-ფშაველა, V, 247).

ვერას წაიღებ პრ. ძალით ვერას წამართმევ. სჭვ. ვერა მძლევ, ვერ მომერყევი, ვერ დამხაგრავ, ვერას დამაკლებ, ვერ დამიმორჩილებ.

ეს თქმა მუქარის გამომხატველია და იტყვიან მოწინააღმდეგის მუქარისავე გასაქარწყლებლად. იგულისხმება აგრეთვე მოწინააღმდეგის მიერ რაიმე მატერიალური ზარალის მიყენების შეუძლებლობა, შემამართებლობა ამის მთქმელისა, თავის დაფარვა მომხდურისა და მოძალესაგან.

ვერაფერი შეილია პრ. შევილად ვერ ჩაავლებს კაცი. სჭვ. არაფრად ვარავ, ცუდია. მჭლ., „ეს წითანი ბევრი ვერ აცდური შეილია“.

სიტყვა შეილი გამხდარა სინონიმად ყოველივე კარგისა, ძვირფასისა, ისეთი საგნისა, რომელსაც ადვილად ვერ შეეღვიან. ამასთანავე ორი საგნის ერთმანეთთან შედარების დროს, ამა თუ იმ საგნის ღირსება-ნაკლოვანების საზომად, შეილი გამოუყენებიათ. რომ იტყვიან—კაი შეილიაო, ამით გამოიხატვის ამ საგნის დადებითი მნიშვნელობა, ხოლო როცა უნდა გამოხატონ საგნის უარყოფითი მხარე, იტყვიან: ბევრი ვერაფერი შეილიაო.

ვერაფერი ქაშნიკია პრ. ვერაფერი გემოს ჩასატანებელია. სჭვ. არ არის ცუდი. „ამას კი ვიტყვი, რომ ვხაკვალის არევა, აგრე სიტყვის ბანხედ ავღება საზოგადო საქმეში, ეგრეთი პასუხი გადაჭრით დაყენებულს კითხვაზე—ვერაფერი ქაშნიკია“ (ილ. პავლევიჩი, 360).

ვერაფერს გამოაპარებ პრ. მოპარვით ვერაფერს დააკლებ. სჭვ. ვერ მოატყუებ, ეშმაკობა ვერ გაგივა მისთან. ეს თქმა მუქარის ფორმულაა.

ვერბივი პრ. ბივი არა ვყოფილვარ. სჭვ. ცუდი, უღირსი ბიჭებთან გარევისა, ბიჭურ ღირსებას მოკლებული, ქალაჩუნას დამსგავსებული. „თუ მეც

სამაგიერო გადაგხადე და გატყინე გული, ხომ გატყინე გული და არა—ვერბივიო“ (ეფ. მენთეშაშვილი, კოლა მშველიშვილი, ივ., 1903, № 255).

ბიჭი, ბიჭობა გამომხატველი მამაკაცობისა, მამაკაცის საფერი, ე. ი. საყოჩალო, ქალის საქმიანობისაგან განსხვავებული საქმის ჩადენისა. აქედან მიღებულია: ბიჭია, ნამდვილი გეგაკაცია; ბიჭი თუ ვარ—მუქარა: შემძლია მოგერიო, გაჯობო, გძლიო, დაგამარცხო, ბიჭი არა ვყოფილვარ, თუ ვერ გიქენი, რაც უნდა შექნა—ბიჭიც აღარ ვიქენები.

ვერ მოგართვი დანიერული ზადრიჯანი პრ. დანიერული ზადრიჯნის მწნილი ვერ მიიღე ჩემგან. სჭვ. ცარიელზე დაგსვი, ვერას გამომრჩი, თავი არ მოგატყუებინე, დამარცხდი. „ახლაც გინდოდა (რამე გექნა ჩემთვის), მაგრამ ვერ მოგართვი „ზადრიჯანი““ (შ. არაგვისპირელი, რჩეული ნაწილები, 37).

ზადრიჯნის მწნილი, და ისიც დანიერული, სანუკვარ საქმელად ითვლება ქართულ კულინარიაში. ეს თქმა ნიშნის მოგებითი თქმაა, ე. ი. გულით გინდოდა რამე გექნა ჩემთვის, რამე წაგერთმია, მაგრამ უკაცრავად, ცარიელზე დაგსვით.

ვერ მოგართვი მარგალიტი პრ. მარგალიტი გინდოდა, მაგრამ არ მოგეცა. სჭვ. ჩემგან ვერაფერი წაიღე, დამარცხდი, ცარიელზე დაგსვი. „გინდოდათ, უჩვენოდ მოხვედროდით წარმოდგენაზე, რაღა?! ვერ მოგართვით „მარგალიტი!““ (იო. სონღულაშვილი, ტრაუმერი, 146).

ნიშნის მოგებით ეტყვის ერთი მეორეს, როცა მეორე რისამე შექენას მოისურვებს უპირველოდ და გულისწაიღოს ვერ აისრულებს.

ვერ მოგართვი ღორის თავი პრ. ჩემგან ღორის თავი ვერ მიიღებ, ისიც ალილობა დღეს. სჭვ. ჩემგან ვერას მიიღებ, ტყუილი იმედი გაქვს. „იქნება იმედზე ხარ, მეც როდისმე ცოლს შევიერთავო... ვერ მოგართვი ღორის თავი ალილობა დღეს!“ (ილ. ელფთერიძე, გაროზაჩი, 124); „...ჩემსულზე მოგიგდია და იმიტომაც ვერ მოგართვეს გოქის თავი და!...“ (დ. მაჩხანელი, ძმური სიტყვა, 87). ღორის თუ გოქის თავი სუფრანზე საპატიო და სანუკვარ ლუკმად ითვლე-



ბა, ღორის თავი ყოველთვის სისურველია და ეს თქმა ნიშნის მოგებაა: ძალიან გინდა გქონდეს (რაიმე), დაეპატრონო (რაიმეს), მაგრამ ვერ მიიღებო... მონათესავეა ამგვარივე ხასიათის თქმისა: „ვერ მოგართევს დანიცვრული ბადრიაგანი“.

ვერც-კი დათვალა პრ. ვერ შესძლო აღრიცხვა და რაოდენობის გაგება. სტვ. ბევრი, აღრაცხელი. „გუჟანი კაცზე ჰქონდა, მაგრამ რა გამოვიდოდა, თუ ერთყოდა რასმე კოტეკარგ-კარგებისასაც აპკიდებდა ზურგზე, იქნება ვერც-კი დაეთვალნა“ (გნ. მენტემაშვილი, კოლა მშველიშვილი, ივ., 1906, № 251).

ვინ მე და ვინ მეფე პრ. მე სხვა ვარ და მეფე სხვაა. სტვ. ერთმანეთის შესადარებელი არა ვართ, ის მე მჯობნის, ან მე იმაზე უკეთესი ვარ. „დიდ საგონებელში ჩავარდნილა მეფე და ბნელი საქმე უტვირთინა—საქვა ყაფლანმა დაფიქრებით, მაგრამ ვინ მე და ვინ მეფე!“ (გ. ბარნოვი, სამი რომანი, 49).

ვინ იცის, ხვალეს რა მოაქვს პრ. არავინ იცის, ხვალინდელ დღეს რა იქნება. სტვ. სიფრთხილ გემართებს, შეიძლება რაიმე უბედურება დაგვატყდეს. „რისთვის უნდა შევაწიო გლეხებს, რისთვის უნდა მივეფერო, დღეს ჩვენია ეს მიმული, ვინ იცის, ხვალეს რა მოაქვს, ვინ იცის, ერთ დროს სულაც გამოგვთხლიონ ხელიდან ეს ძვირფასი განძი“ (ს. მგალიბლიშვილი, წარსულიდან, „მოამბე“, 1899, II, 80).

ვინ მოსთვლის, ვინ მოსთვალოს პრ. ვის შეუძლია ჩამოსთვალოს რაოდენობა (რისაზე). სტვ. მეტად ბევრია, იმდენი, რომ მისი ჩამოთვლა არავის შეუძლია. „ვინ მოსთვლის, სად შემძლიან გვიამბოთ, სად რა ომებში ყყოფილვარ და მიტრიალებია ცხოვრებისეული ფრანგული“ (ვათა-შხაველა, VI, 155); „ვინ მოსთვალოს ზღვაში ქვიშა, და ან ცაში ვარსკვლავები“ (აკაკი).

ვინ ვადაურჩეს ის. ვინ გაუძლოს.

ვინ გაუძლოს პრ. ვინ შესძლებს მის გაძლებას. სტვ. დაცინვით: ვითომ (ვერავინ გაუძლებს) ყველას მოერგვა, ყველას აჯობებს. „გულს ნუ გაიტებს (ხარდონი), მით უფრო, რომ ამ ბოლოს დროს იმისთანა მართლმყოფარე

ავტორიტეტმა გადაიფარა თავისი ძლევამოსილი კილთა, როგორც „Нисое Обозрение“-ა და მისი უშიშარი და უწყინარი დამტყუებები. ვინ გაუძლოს!“ (ილ. ვაგვაფაძე, V, 77).

ვინც ამას არა სჯამს, ან დღე მოკვდება ან ღამე პრ. ეს საქმელი უნდა სჯამოს ყველამ, თორემ უშედეგოდ მოკვდება. სტვ. კარგია, უნდა სჯამო, წააგებ (თუ არა სჯამე). „ისეთი ხაში მიდგა შინა, რომ ლუქმა მანათლ ღირს! ვინც ამას არა სჯამს, ან დღე მოკვდება ან ღამე“ (ნ. ახიანი, პიესები, 74).

ხუმრობითი თქმაა. ამბობენ, როცა უნდათ უტონ ამა თუ იმ საქმლის ღირსება უმადო ავადმყოფს. რომელსაც ქამას აძალბებენ, ან გულუბრყვილო მსმენელს, რომელიც გაინახება და ქამაზე უარს იტყვის. ხუმრობით სიკვდილით ამინებენ: დღისით თუ არა, ღამით მოკვდები, ამას წინ არა უღეს რაო, და მსმენელსაც, ერთბაშად თუ კარგად არ დაუყვირდა საქმლის შემძლევის ნათქვამს, თუ გბილები კარგად არ გაუშიჯა, ეგონება, უნდა ექამო, თორემ მოკვდებიო.

ვინც არა—ქინძარა პრ. ვინც არა ჰქნას რაიმე, იმას ქინძარა ხვდესო. სტვ. ვინც არ გააკეთოს რაიმე, იმას შერცხევია ერგოს, სახელგატეხილი იარბოლეს, უარაფროდ დარჩესო.

ქინძარა—Bifora radians—გარეული ქინძია, საქმელად არ ვარგა, უღირს ბალახად ითვლება. ქინძარას ლაპარაკში მცირე რამ დანაშაულობისათვის არგუნებენ კაცს, უფრო კი ხუმრობაში ჩასატარებელ შემთხვევის დროს. ამ შემთხვევაში ქინძარა ფრანკის პირველი ნახევრის რითმისთვისაა ნახმარი.

ვინც არა მგონია პრ. ვინც ფიქრად აღ არ მომდის. სტვ. ყოველი, თითოეული, კაცად-კაციადი. მგლ. „ვინც არა მგონია, ყველა მე მჩაგრავს“.

ვინც წლით იზრდებოდა, ის დღით იზრდებოდა პრ. ერთი ერთ დღეს იზრდებოდა იმდენს, რამდენსაც მეორე ერთ წელიწადს იზრდებოდა. სტვ. მალე, სწრაფად. „იმთენ ფლავებოზბაშს მაქმეფდნენ, რო ვინც წლით იზრდებოდა, მე დღით გავიზრდებო“ (დ. ნახანელი, დიდიშხ, ივ., 1897, № 204).

ვინ წინა და ვინ უკანა ჰრდ. ზოგი წინაა და ზოგი მის უკანა რჩება. სკვ. ვაპირებების დროს გაქცევა, ერთიმეორეს გასწორება. ძალზე გაქცევა განსაცდელისათვის თავის დასაღწევად, თავის საშველად. „შეშინებულებს (გოგო-ბიჭებს) კალათები გადაუსროლიათ და აბა ვინ წინა და ვინ უკანა, დედისობილები მოცვიდნენ სოფელში, თავპირდამტვრეულები და ვადაკაწრულები“ (გაქა-ფშაველა, V, 120).

ვინ ხართ მამაცი, ხად ხართ მამაცი, ვინ ხართ გულადნი! სკვ. აბა გამოდით, გვიშველეთ, ვინც ყოჩადნი, მამაცი და გულადნი ხართ და მტრისა არ გეშინიათ! „გავარდა თოფი და ვავარდა ზარბაზანი!... ჰა, ვთქვი: ვინ ხართ მამაცი-თქვა!...“ (გ. ერისთავი, III, 82); „სადღაც ვილასაც რაღაც ჩაუღენია და სად ხარ მამაცი, რომ მიეშველოსო!“ (აქაო, მკითხე. შინიშენი. იფ., 1906, 239).

ვირზე ნაჯდომო ჰრდ. ვინც ვირზე მჯდარხარ და ისე უტარებიათ. სკვ. საჯაროდ შერცხვენილო, სახელგატეხილო, გაბასრულო, სასოჯადოებაში გარევის უღირსო, განკიცხულო, თავლაფდასხმულო, გაწბილუბულო. იწ. ვირზე ჯდომა.

ეს თქმა ლანძღეა. ასე მიმართავენ გაჯარების დროს ადამიანს, უმეტესად ქალს, ვინც ვაპირდა მოყვასისაგან საესებით დაიწმინახურა.

ვირზე შესმა ჰრდ. ვირზე შესმა ვისიმე გასავლელად. სკვ. ვისიმე საჯაროდ შერცხვენა, შეურაცხყოფა, დასჯა, ვაღანძღეა, სახელის გატეხა. „ნარდონმა“ რუსთაველი განა მარტო ამით ამოსვარა ლაფში, განა მარტო ამის გამო შესვა ვირზე და? (ილ. ჰაქაბაძე, V, 195).

ველად, საქართველოში, დამნაშავეს, განსაკუთრებით ზნეობის კანონების დარღვევისათვის, ვირზე პირუტყლმა შესვამდნენ, ვირის კულს ზელში დააჭირინებდნენ და მთელ სოფელს შემოატარებდნენ. მას ქალი, კაცი, დიდი, პატარა თავზე ლაფს ასხამდნენ, თვალში აფურთხებდნენ.

ეს წესი დამნაშავის გასამართლებისა ქართლში ამ ოცი წლის წინათ კიდევ არსებობდა.

ისტორიიდან ვიცით, რომ 1765 წელს მეფე ერეკლე მეორის წინააღმდეგ

შეთქმულება იყო მოწყობილი. ერთი შეთქმულთაგანი, დიმიტრი ამილახორი, მამა XVIII საუკუნის პოლიტიკური მოღვაწისა, მწერლისა და მოაზროვნისა—ალექსანდრე ამილახორისა, დასაჯეს იმით, რომ ვირზე შესვეს და ისე შემოატარეს მთელი თბილისი.

ვირზე ჯდომა ჰრდ. სხეულის მოთავსება ვირის ზურგზე. სკვ. სასირცხვილო საქმის ჩადენა, თავის შერცხვენა, სახელის გატეხვა, თავის ვაღანძღეა. „თავს ლაფი ვადამდიოდეს, უკულმა ვიჯდე ვირზე და“ (შ. მღვიმელი, სიმღერები, 2); „პირველი ბელი (ცოლის შერთვა)—ბედი, მეორე—მოგონილია, მესამე—ვირზე შეჯდომა, მეოთხე—გატეხება“ (ანდაზა). შრ. „ვირზე შესმა“.

ვირს აავიჯებს (ადგილზე სადმე) ჰრდ. ვირს არ დაუშალეს ეგორავა სადმე, განსაკუთრებით საცა სთესია რაიმე. სკვ. გააჩანავებს, გააოხრებს. ვაპირალეს, შეუქმელი არაფერი დატოვეს. „მადლიანია, მადლიანი (ახალკაცის თამრო!) იმისი ჩაგორება მართალია რომ ღირს!.. მაგრამ ე-ე-ე, ვაი თუ ღმერთი გაუწყრეს, წამოუბროს რამემა—(იფულისხმე სეტყვა) და სულ ერთიან გააოხროს (ყანები), ვირი ააგორეს რომ იტყვიან, ის დამართოს, მაშინ?“ (ს. მგალობლიშვილი, I, 63).

ვირს ძალზე უყვარს ვირაობა მიწაზე, განსაკუთრებით მუშაობის შემდეგ იგი ისე ენერგიულად გორაობს ხოლმე, რომ გაუქმელოვი არაფერი ვადაურჩება. როცა უნდათ სთქვენ—ვაზარალებთ ვინმეო, იტყვიან: „ერთი ვირი ავუგოროთ მავანსაო“.

ვირივით მუშაობა ჰრდ. ვირის მსგავსად შრომა. სკვ. უზომოდ. ძალღონის დაუზოგავად მუშაობა. „პატარა დემეტრეს სულ ცეცხლის ალზე ატარებდნენ: მუღამ დაგულჯოდ-დაფლეთილი დადიოდა, საცოდავს ვირივით ამუშავებდნენ და ვირივითვე სცემდნენ“ (ს. მგალობლიშვილი, II, 4).

ვირი შინაურ ცხოველებში ცნობილია როგორც ყველაზე გამძლე მუშაობაში, მომთმენი ვაპირებისა და შიმშილისა. აქაო და გამძლე და მომთმენი არისო, ჩვეულებრივ პატრონი ბოროტად იყენებენ მის ამ თვისებებს და ჰკარგავენ მის მიმართ ყოველგვარ გრძობას სიბრალულისა და სამართ-

9. პართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი.

ლიანობისას: წელში სწყვეტენ მძიმე, მის ლონსთან გადაქარბებული საპალნის ზიდვით, არ აკლებენ იფნის სახრით ცემას, საკმაო საკვების მიცემისთვისაც ბევრი თავს ვარწმუნებს. ასე რომ, ხატონებადა გადაქცეული—ვირიც მთელშია, ვირსავით ცემა...

ვირის აბანო ჰრდ. შენობა, სადაც ვირს აბანებენ ხოლმე. სტვ. და დაცინვითი: სატუსალო ანუ ადგილი, სადაც თუ არ ვირი, პატონანი კაცი არ შეიგდებოდა. „მშვიფრ-მწყურვალთა სიკვდილისაგან გადასარჩინად ერთი ლუქმა-პური რომ მოიპარო, ვირის აბანოში ვიკვრენ თავსა“ (ილ. კვაკავაძე, VII, 74); „ვის შერჩენია ბოროტა-ცობა, რომ მე შემრჩენოდა: ერთხელ დაეაძვრინე თავი, ორჯელ, სამჯერ და მეთხევე ვირის აბანოში ამომავოფიფეს თავი“ (ს. შვალაბლიშვილი, კრებვ მხეში, „ფ.“ 1900, № 1).

ეს თქმა დაცინვითი, ყბადასალები თქმაა. როგორც ვიცით სატუსალოში საერთოდ აწყვდევენ არსებული ანონების დამრღვევთ, დანაშაუვით, ავკაცებს. მიუხედავად ვირის დიდი გამრჯელობისა, ეს ცხოველი ყველასაგან აბუჩად აგდებულა, დაბალ ლობედაა მიჩნეული, აველა მის უპატიურად ხსენებასა და არ ითვლება ღირსად რიგიანი ბინისა, თუ არ სატუსალოსი, რომელიც ამ დაცინვაში აბანოს სახელითაა მონათლული.

ვირის ამოყვანა ტალახიდან ჰრდ. ლაფში ჩაფლული ვირის ამოყვანა მშრალზე. სტვ. გაჭირვებისაგან თავის დაღწევა, შველა, დახმარება. „თქვენი არ ვიცე და მე კი ძალიან მომიხნდა ერთობა! აი, ბატონო, მოგახსენოთ. ოლონდ, თუ ღმერთი გწამთ, არსადა საუკვით, თორემ მიიცივია გამიგებს, მიწვევა, ჩემი ხარ ბატონი, და მოდი შენა და ვირი ტალახიდან ამოიყვანე!“ (ივ. ნაკვაჩიანი, ერთობა, „ფ.“, 1905, № 105).

ლაფში ჩაფლული, და ისიც ტვირთიანი, ვირის ამოყვანა დიდაც რომ კეთილი საქმეა. ეს დადარებულია გაჭირვებულ კაცისათვის ხელის გაწოდებასთან, მის შველა-დახმარებასთან.

ვირა საყუდარწე მიაბა ახ. დავაბი ვირი ბავაზე.

ვირის ბავაზე დაბმა (ვისიმე) ჰრდ. დაბმა იმ ადგილას, სადაც ვირს აბანა-

ვებენ. სტვ. გამასხარავენა, პატონის აყრა, ადამიანის ღირსების წართმევა, ვირთან დატოლება. „ეგრ იყოს. როგორც შენ ამბობ, უარს არ ვიტყვი მაგაზე, ოლომეც და აბანს ჩვენმა ჯარმა თათრები ვირის ბავაზე“ (ივ. ნაკვაძე, III, 190).

ვირის გვერდი ჰრდ. გულმკერდის გვერდითი მხარეების ძვალი ვირისა. სტვ. ვირის მსგავსი, ვირის თვისებანი. „ფუი შეხს ნამუსს... ვირო, ვირის გვერდო!“ (ივ. ერისთავი, IV, 85).

ვირის თავ-ფხეში ჰრდ. თავი და ფხეები ვირისა, ტანს მოშორებული. სტვ. მცირე რამ, უსარგებლო, უმნიშვნელო. „ჩერე რა გამოვიდა? პუზურში რა მოვიგე? ვირის თავ-ფხეში! მინამ საქვეს გამოთავებდით, სახლი ისე ჩამექცა თავის „პოლ-პატალო-კიანათ“, რომ მეც ცარიელი დავრჩი, ჩემი ძმა!“ (ივ. ვეფხვილი, III, 69).

ვირის კულზე აბია (ვისიმე) ჰრდ. ვირის კულზე გამოვლამთ. სტვ. დამარცხებული, ტყუილში დატყუილია, გამტყუნიებულია. შგლ., „ბევრი იუარა შენა მეგობარმა, მაგრამ ბოლოს მივინც გამტყუნდა და გამოაბეს ვირის კულზე“.

როცა ვინმე რასმე მოიგონებს და ცდილობს ტყუილი სიმართლედ გაასალოს, მოკამათენი იმდენს იზამენ, მტყუანად გამოიყვანონ, ანუ, როგორც ხატონიანდ იტყვიან, ვირის კულზე გამოაბან.

ვირის მყვარავი ჰრდ. ვინც ვირსა მყოდავს, ასაქურისებს სტვ. კულა, არაფრის მკეთებელი, უსაქმური; სულ უკანასკნელი, არაფერში გამოსადეგი ადამიანი.

ვირის ტვისის კმევა ჰრდ. საკმელად ვირის ტვისის მიცემა ვისთვისმე. სტვ. გამოსულელება. თვითონ რომ არ იცოდეს, რასა შერება. რაც უნდათ იმის გაკეთებინება. შგლ., „ჩემო კარგო, გეტყობა, ვირის ტვისი ი უქმევი ათ შენთვის, მკუის ნატამალი არ შეგჩენია“.

როგორც ვიცით, ვირი პირუტყვეებში ცნობილია როგორც ყველაზე უკეთეს ცხოველი, ხალხის ძვალი რჩენით, ცხოველის სხეულის ამა თუ იმ ორგანოს შუქვით ადამიანში ვადმოღის ქვეყნული ორგანოს თვისებებიც—დადები-



თი თუ უარყოფითი. მანასადამე, ვინც ვირის ტვინს შესჯამს ან ვისაც შეაქმნენ, იგი ითვისებს ვირის უქყობას, სიბრიყვეს, ერთი სიტყვით, ვირობას, და ასეთ ად მიაწვს ყველა თავის მკუთაზე ატარებს, ვისაც რა უნდა, იმას აკეთებინებს.

ვირის ფასადაა პრ. იმ ფასადაა, რადაც ვირი ფასობს. სკვ. მუქთადაა, ძალიან ტყუილადაა, ყველასათვის ხელმისაწვდომია (ესა თუ ის საქონელი).

ვირი—ეს შრომის გამძლე, დიდი საპაღონის მტვირთველი, ხედის დროს უღრტივინველი ცხოველი, ურომლისოდ საქართველოს ზოგ ნაწილში, მაგ. ქიზიუში, მცხოვრებთ ძველად სოფლის მეურნეობაში ერთი ნაბიჯი ვერ გადაედგათ, მაინც ყველა შინაურ ცხოველზე ნაკლებად ფასობდა. ამიტომაცაა, რომ უველაზე იაფი საგნის ღირებულება დადარებულია ვირის ღირებულებასთან და ფასთან.

ვირის ფეხები პრ. ვირის სხეულის კიდურები, რომლებითაც იგი დადის და რომლებზედაც სხეული ეყრდნობა. სკვ. სულ უკანასკნელი, უღირსი, ოხერი, ადამი. ნად არჩასადგები. „მაშ მე ცოცხალი აღარ ვიქნები, თუ ნატვრითვალაა, თუ ვილაცა ვირის ფეხებია, ჩემს სახლში ფეხს შემოსდვამს. გააწაწანებს, — ჯაერობდა ნატალი“ (ფ. ყაოპანიძე, ნატვრითვალა, „ფ.“, 1934).

ფეხები—ეს სიარულის და სხეულის დასაყრდნობი ორგანო, ადამიანისათვის ეს თითქო მეტად სჭირო და აუცილებელი ქვედა კიდურები თვით ადამიანის მიერ არ არის სათანადოდ დაფასებული და პატივცემული, თორემ, თქვენს ლხენას, უზრუნველობისა და უღირდრობის გამოსახატავად, წამდალუწში არ გვისმის, უკაცრავად პასუხია: ამ ჩემს ფეხებს, ფეხებზე მკიდი ია?... ხოლო ლიტონად ფეხებს საზოგადოებაში ისე არ ვაწესებთ, თუ ბოდიში არ წავეძღვინეთ: „უკაცრავად პასუხია... ფეხებიო!“

როცა ადამიანის ფეხები ასე დამცირებულია, რა გასაკვირველია, დიდუფრას ფეხები სრულგებთ პატივყრილი იყოს! და როცა გვინდა უკიდურესი ზიზული გაპოვოქვათ ან ვინც დავაქნივით, ბრალიანად თუ უბრალოდ, ვადარებთ ვირის ფეხებს...

ვირის ქეჩი აკრავს პრ. ვირის კისერთა აკრავს. სკვ. უგრძნობელია.

ვირის ქეჩი, ანუ კისერი მეტად მაგარია, რაც უნდა სცემოს ამ ალაგას პატრონმა, ვირი ყურებს არ იბერტყავს ხოლმე. უგრძნობელს კაცს ეტყვიან ხოლმე „ვირის ქეჩი ზომ არ გაკრავს, რომ ცემასაც ვერა გრძნობო!“

ვირის წიხლია პრ. ვირის მიერ მოხვედრილი წიხლია. სკვ. მძიმე შეუჩიხობელია, ძნელად მოსათენი ლანძღვია, დიდი შერცხენია.

ვირი ხზორებში პრ. პატარა ხზორებში დიდი ვირი გაერიაო. სკვ. პატარეებში (მაგ., თამაშობის დროს) დიდის, — ხნით მათთან შეუფერებელის, გარევა. მგლ., „გაერია ვირი ხზორებში!“

ტოლმა ტოლს უნდა უტოლოს, თუ გვინდა წონასწორობა დავიცვათ, პატარაში პატარებთან უნდა დამიქროს საქმე, მაგრამ თუ პატარებში დიდი გაერია, მათი უტოლო, იმისი საქციელი გარეშეთა თვალში გასაკიცხია. უკეთეს შემთხვევაში, დაცინვის საგნად ხდება და მართო თავის თავს უნდა დაძაბროლოს, თუ ვირის სახელი უწოდეს.

ვირს წამოვასხი მისი ქურქი პრ. ვირს ჩაეაცვი იმისი ქურქი. სკვ. ვირად გავხადე, ვირს დავამსვავსე, ნამდვილი ვირია, მასხარად ამიგდია, შენიტრცხენია. „აი, ვირს წამოვასხი იმისი ქურქი! ია, დონლუხი დავკალ იმის წვერზედა!“ (ხ. ანტონოვი, 316).

ვისაც ვეუბნები და არ ესმის პრ. ვისთვისაც ჩემი ნათქვამი გასაგონი არ არის. სკვ. ეს თქვენ არ შეგეხებათ, სხვას, უცხო ვინმეს ვეუბნები. „შე უღმერთოვ, ვისაც ვეუბნები და არ ესმის, მოჰკალ ერთი, ორი, გაუშვი დანარჩენები-და!“ (გაეა-შენაველა, VI, 177).

ეს თქმა ერთგვარი მობოლიშების ფორმულია. ვინმეს როცა ელაპარაკებიან და ცუდად უნდა მოიხსენიონ მესამე პირი, რომელიც ლაპარაკის დროს იქ არ არის, პირველი პირი მეორე პირს მიმართავს მესამეს კუთვნილი სიტყვებით, მხოლოდ დაბატანს ზემოხსენებულს ფრახას, რომელიც იმას გამოსთქვამს, რომ ეს აუცი თქვენ კი არა, მავინს ეკუთვნისო.



ვის დაჰკარგვიხარ?! ჰრღ. პატრონი რა უყავი? ზვე. ვერა გცნობ, ვინა ხარ, ჩემთან რა გესაქმება?! „ერთმა შეზარხოშებულმა მოვალემ შეურაცხყოფაც მიაყენა: „ვინა ხარ, ან ვის და ჰკარგინა ხარ? რა მშართებს შენი? მე, დიდი ხანია, ჩემი ვალი მოვიწორე!“ (მელანია, ნაგარდობა).

ვისიმე ქებით არყოფნა ჰრღ. ქებისათვის შელევო თავისი სიტყვებისა. ზვე. უხმოდ ქება ვისიმე. „მოსლდა (მზარეული) ციცასა აა სიტყვებითა: „რე აღარ ვიყავ შენის ქებითა, და თავგებისა მორიდებითა შენ ჩაბარე სამზარეულო“ (რაფ. ერისთავი, I, 313).

ვისი ძუწუ უწოვნა ჰრღ. რომელი დედის ძუძუთი გაზრდილია. ზვე. ვისი გამოზრდილია, ვის გამოუყვანია კაცად. აქა. დედაკაცო. ხომ იცი, ვისი ნაშობია და ვისი ძუძუ უწოვნი აი? (მელანია, ნაგარდობა).

ვის რა გველი შევუწვი?! ჰრღ. ვინ მინდოდა მომეტყუებინა და შემწვარი გველი მეუმეფინებინა. ზვე. ვის რა დაეუწავი, ვის რა ცული საქმე ვუყავი?და ისეთს კაცს გვიწუებთ და მხოლოდ იმისთვის, რომ ქართველია, ქართველი რომ არის, იმიტომ არ დაამტკიცებენო! რათაო, დედავ და თვალო! ქართველმა ვის რა გველი შეუწვი? ნუ თუ ჩვენც თანასწორი უფლებით მოსილინი ქვეშეურდონნი არა ვართ დიდი რუსეთის იმპერიისა? (ცნობის ფურცელი, 1903, № 2285); „არ ვიცით, ვის უმინებს „Новое Общество“ ამ ფრთოსანის ისარს მაშინ, როდესაც შეილდსა შილაფს, და ეს კი ვიცით. რომ ახლო სცემს და თავის ადგილას მივა. საწყალი ქართველები! ნეტა ვის რა გველი შეუწვიეს!...“ (ილ. ჰავჭავაძე, V, 184).

გველი საძულველ და უწმინდურ ქვემძრომიად ითვლება. ქართველისათვის იგი ეკუთვნის საქმეოდ აკრძალულ ცხოველთ. ვინმემ რომ მოტყუებით შეუწვიას ვისმე გველი და შეაპაროს საქმელად, საშინელ დანაშაულობაში ჩამოერთმევა და დაზარალებულს უფლება აქვს სასიკვდილოდ არ დაზოგოს.

ვის რა ვირი მოვპარეთ?! ჰრღ. ვისი ვირის მოპარვას მამრალეობა? ზვე. ვის რა დაეუწავი, ვის რა ცული საქმე

ეუყავი? მართალი ვარ. არაფერი დამიხვედია. „ცოდვა არ არის, ეს ერი (ქართველი) მოსწყდეს! ცოდვა არ არის ეს ლომი კოლომ საზულარად გაიხადოს! ცოდვა არ არის, მულია-ტურამ გამოლრუნას როგორც ამოგრი, როგორც ლეში! რათ? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარეთ? (ილ. ჰავჭავაძე, VI, 11). ის. ვის რა გველი შეუწვი?“

ვისი ტიკი-ტომარა ხარ?! ჰრღ. ვის გამოადგები ტიკად და ტომრად. ზვე. ვისთვის ან რისთვისა ხარ გამოსადეგი? სხვის საქმეში ნუ ეჩრები! მეტიჩარა ვინმე ბრძანდები... „მერე შენ რა? ვისი ტიკი-ტომარა ხარ?! შენი მოჯამაფიერე ხომ არა ვარ?“ (ილ. ჰავჭავაძე, III, 53).

ტიკი და ტომარა წინათ მეტად საპირო ნივთებ-მურტლებად ითვლებოდა. მეტადრე მჯნაფიონის დროს. ამიტომ ვასაგებია მათი ხსენება ამ ყვედრების თქმაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვინმე მეტიჩრობს და იქ ერევა. საცა არა ჰკითხავენ და საცა იმას არაფერი ესაქმება.

ვიწროში მოგატანე ჰრღ. ისეთ ადგილს მიუღსწარ, საცა მეტად ვიწრო იყო. ზვე. დრო ვუმოგნე, გაპირებებაში მყოფს შევლის მაგიერ საქმე უფრო გავეუქირე, ყელში ვწვდი. „გლტკაცისთან ხარბს, გლტკაცისთანა ვაუტანელს, გლტკაცისთანა შეუბრალებელს და უმადურს ძნელად თუ ნახავ სადმე, მაშინც კი, როცა თავის მოძმე გლტს ვიწროში მოატანს; დააჩრობს, მიწასთან გაასწორებს“ (ილ. ჰავჭავაძე, III).

ამბობენ აგრეთვე: ვიწროში არ დამხვდეთო!

ეკრათ შეხაყრფლხა ჰრღ. მეომართა შესაყრებელი საკრავი დაეუქრათ. ზვე. ყველა შევატყობინოთ, ვაცნობოთ. ომის დროს მეზრძოლის შეჩერებისა და დასვენების შემდეგ ხელმეორედ შესაყრებელი საკრავი დაეუქრათო.

ვუი შენს თიასა ჰრღ. ვუი ჰქონდეს შენს თიასა! ზვე. არ მოგირჩის შენი თია, გადაჰყვეს შენის თიის ტკივილსა, მოკვდი.მეხი კი დეაყარე იმ სათვალეებში!... უი შენ თიასათქო!... (რაფ. ერისთავი, III, 115).

თია—დიდი ჯირკველი, განუქარეზბელი მარგული. წყველის ფორმულაა.

ეუი ჩემს თვალზეა პრ. ვუი ჰქონდეს ჩემს თვალზესა! სჯ. დამიზიანდეს თვალები, დაბრმავდეს მოკვდეს... ეუი ჩემს თვალზესა!.. ეს რა ამბავია?! (ლოყებს იკაწრავს ორივე ხელით)“ (რახ. ერისთავი, IV, 273).

დაბრმავება ადამიანისათვის დიდ უბედურებად ითვლება, ხოლო სამუდამოდ დახუჭვა თვალებისა—სიკვდილს უდრის. ასე რომ, ეს წყევლის ფორმულა მიიღე წყევლად ითვლება.

ზ

ზამთრის გატყდომა პრ. ზამთრის დამსაზრევეა, სჯ. ზამთრის სუსხის დასუსტება, ზამთრის ძალის დაკარგვა, გაზაფხულისა და სითბოს მოახლოვება. მგლ.: „ზამთარი გატყდა, მზეს სითბო მოემატა, საცაა, გაზაფხული დაგვიდგება“.

ზედაპირზე აცურება პრ. ცურვით თავში მოქცევა. სჯ. საქმის კეთებისათვის თავის არიდება. „იპასა ვცდილობთ, საქმეს ზედაპირზე დავეცურეთ, ავესხლტეთ, და იმისთანა მალაღზედ მივუშვიროთ ხელი, რომელიც ყველას ყოველთვის თვაღწინა აქვს. ფეხქვეშ უგორავს“ (ილ. პავლევიძე, VII, 53).

ზედ არ დაფურთხებს კაცი (რასმე) პრ. ზედ ნერწყვს არ მოახვედრებს. სჯ. სულ უკანასკნელია, უშნოა, ულამაზოა, ძალზე მახინჯია.

ეს თქმა ზიზინია. იზარება ადამიანის, და განსაკუთრებით ქალის, ფიზიკური ულამაზობის გამოსახატავად.

ზედაშე პრ. ეკლესიაში ზიარებისათვის სახმარებელი ლეინო. სჯ. ლეინო, წმიდა სასმელი. „ჩვენი გიორგი! ეს შენი ლეინო შენ მკლავივით ძალიანია: შენი მარჯვენა ბოძოლის ველზედ მუხლსა სქრის მტერსა, აქ ეს ზედაში ჩვენ გვაბარბაცებს“ (გ. ბარნოვი, დიდი მოთრავი, 81).

ძველად, ლეინობისთვეში, როცა ლეინოსა წყურავდნენ, პირველად უნდა ავესოთ ხოლომე პატარა ქოცოები სხვადასხვა წმინდანის და სალოცავის (მიქელ-გაბრიელი, წმ. გიორგი, სადაბადო) სახელობაზე. ამ წმინდანებისა და სალოცავების დღეობაზე თავს მოხდიდნენ ქოცოს, ლეინის ნაწილს ეკლესიაში წაიღებდნენ ზიარებისათვის — საზედაშედ, დანარჩენს კი თვითონ სუამდნენ ოჯახში.

ზედაშევე ერქვა ეკლესიაში ზიარებისათვის სახმარებელ ლეინოს.

ზედაშე გაგვიწყვება პრ. ეკლესიაში შესაწირავად (მცირე) საკმაო ლეინო არ გვექნება. სჯ. სასმელი ლეინო არ გვექნება. ლეინო სულ მოგვესპობა. „ახლა ეს კულუბი სქირს; თუ კიდე შარშანდღესავით მოგვიკირა ი უპრაველიაუჩმა, სწორედ სახლში ზედაშე გაგვიწყვება, — დაწყურთმა“ (ს. მაგალიბიშვილი, I, 101). ის. ზედაშე.

ზედ გადაკვდომა პრ. ერთის მიერ მეორის თავზე მოკვდომა. სჯ. დიდი თხოვნა. „ის ის იყო, მთელი სადილი აღარც ხმა ამოუღია, აღარც პირი მიუჯარბია რისთუისმე, თუმცა დედამა ზედ გადააკვდა“ (ილ. პავლევიძე, III, 280).

ზედ ვაკერავარ (ვისმე ან რასმე) პრ. ნემსითა და ძაფით დამაგრებული ვარ ვიხედმე. სჯ. ვეღარ ვშორდებთ, სულ თან დავსდევ, თავს ვერ ვანებებ. „მაშულის პატრონს გვეძახიან, ხარკს ბევრს ვაკერენ: ვარდა ამისა, მამულს თავს ვერ ვანებებთ. ზედ ვაკერ ი ვართ და ერთი ჩარქვა მაშული კი ვერ გვისაზრდოვებს“ (გ. გაბაშვილი, მოთხრობები, 265).

ზედ ხელი ჩამოიწმინდეს (ვისმე ან რასმე) პრ. ხელის უსუფთაობა ზედ შეარჩინეს. სჯ. ვისმე დააბრალეს რაიმე. დანაშაული თავზე მოახვიეს, დანაშავედ სხვა გამოიყვანეს. ზოგიერთის ბუნებაა, რაიმე ცუდ საქმეში დანაშაული თავიდან აისხლიტოს და ეს დანაშაული სხვას, უდანაშაულოს მოახვიოს თავზე. ძველად, პირველყოფილური ცხოვრების დროს, მის აქეთ, რაც ადამიანმა ფეხზე დგომა და ტანის ვერტიკალურად გაჩერება ისწავლა, ყოველივე საქმიანობა ხელების საშუალებით სრულდებოდა. იგულისხმება, რომ როცა ვისმე დავუშავებდით რასმე, ეს დანაშაული, ხელებით გაკეთებული, ხელზე გვესვა და საკმაო იყო, ეს ხელი სხვისთვის წაგვესვა, სხვის სხეულზე ხელი ჩამოგვეწმინდა, რომ



ბრალი იმისთვის მოგვეხვედნა და ჩვენ-
კი სუფთად გამოვსულიყავით.

და დღეს, როცა ჩვენს დანაშაულს
სხვას დაებარალებთ, ეს სხვა საყვილდუ-
რით გვეტყვის: რალა ჩემზე ჩამოი-
წმინდე ხელიო?!

ზევიდან დამწერა ჰრდ. მალლიდან
ქვევით ცქერა. სჭვ. ბრაზით ან ზიზ-
ღით ქედმაღლური ყურება ვისიმე.
„რაც უნდა იყოს, უბრალო აზნაუ-
რია; ეშინიან, ზევიდან არავინ
დამაზიროსო და თვითონ ცდი-
ლობს, ყოველ ნაბიჯზედ აგრძობი-
ნოს სხვას თვისი ძალა“ (გ. ბარნოვი,
დიდი მოურავი, 28).

ზევით და ქვევით ისტუნე ჰრდ. გინდა
ქვევით ისტუნე, გინდა ზევით. სჭვ.
ვერას გახსნები, არაფერი გააოგევა,
ვერაფერი ვიშველის, გაპირებებს
თავს ვერასგზით ვერ დააღწევ.

ზევით—ცა და ქვევით—მიწა ჰრდ. მალ-
ლა—ცის მეტი არავინაა, დაბლა—
მხოლოდ მიწაა. სჭვ. მეშველი, დამ-
ხმარე არავინაა, გაპირებებს თავს
ვერ დავაღწევ.

ზეზეურად ჩამოხმობა ჰრდ. დაუწოლე-
ლად გახდომა. სჭვ. დარდისაგან,
მწუხარებისაგან გახდომა.

ზეთი ჰრდ. სქელი და ცხობივანი სითხე,
რომელსაც ხდიან სხვადასხვა მცენა-
რისა თუ ცხოველის ნივთიერებისა-
გან და საქმელად და სხვადასხვა სა-
ქიროებისათვის ხმარობენ. სჭვ. კაცი,
ლაპარაკსა თუ საქმეში მეტად ნელი,
ზღაზნია—ზეთითი მძიმედ მომდი-
ნარე.

ზეთი გადახდის სახეზე ის. ზეთი ჩამოს-
დის სახეზე.

ზეთი ჩამოსდის (სახეზე) ჰრდ. თითქოს
ზეთი გადაუსხამთ სახეზეო. სჭვ. სულ
დაღვრემილია, მოღუშულია, არა
საპრო გამომეტყველება აქქეს. „მაშ
რა ნება გვაქვს ამისთანა ყოვლად
შემძლებელი და მოწყალე მამისა და-
ღვრევილი მივიღეთ, თავები ჩამო-
გვტვიროდეს მის კარს, ზეთი ჩა-
მოგვდიოდეს“ (გ. ბარნოვი, ფერად-
ფერადი, 130).

ზემოთარაზე დაბინავება ჰრდ. თაროს
თავეზე ბინის გაკეთება. სჭვ. გაშინა-
ურება, სხვისას ისე გრძობა თავისა,
როგორც საკუთარ სახლში, საჩინო
ადგილას თავის ამოყოფა. „აქამდის
მალლიდან ჩვენს ღაბაზს დაჰკივი-

ნებდა (ყორანი) და ახლა ზემოთ-
აროსაც და გევიბინავდა“ (ვაჟ-
ფშავლა, VI, 47).

თარო — ჯამეურქლის დასაბინავებე-
ლი, საჩინო და მოწინავედით მოსაყე-
რობი ადგილია ჩვენი გლეხის სახლში.
ქურქულს გარდა. აქვე ინახება იურის გა-
დარჩენილი სასმელ-საჭმელიც. ხოლო
იქ, ზემოთაროზე, დაბინავება ხატოკი-
ნად ნიშნავს სახლის პატრონად გამო-
სვლას, სახლში უფროსად და გაბაჟ-
გულებს მიმცემად თავის აღიარებს.

ზერე-ქვერე, ზე-ქვერე ჰრდ. ვინც ხან
ზევითაა და ხან ქვევით, არც ქვევით-
თაა და არც ზევით, ზევითაც და
ქვევითაც. სჭვ. ვინც ხან წყის და
ხან ზეზეა, არც სულ ავიდაა და არც
სულ ცუდაა; ორპაროვანობა, არც
ისეა, არც ასეა. „გულს მქონდა ხმა-
ლი გაჩრილი, აწ მუმიც დამარჯერეო,
არც მომკალ,— არც დამარჩინე, მა-
ტარე ზერე-ქვერეო“ (დ. გურამი-
შვილი, 128); „მობრძანდი, მარტო,
დროისით, ქეჟაზე თხელო, სულელი,
ხანდახან ქარიშხლიანო, ზე-ქვერე
ავადმყოფივით ღრუბლიანო და მზი-
ნო“ (შ. მღვიმელი, I, 7).

ეს რთული სიტყვა უფრო იხმარება
ერთნაირი ავადმყოფის მდგომარეობის
გამოსახატავად. როცა კაცი ავადმყო-
ფობას ხან ჩაუწყება ლოცინში და ხანაც
ზეზე წამოუდგება. ასეთზე ამბობენ:
„ზერე-ქვერედ არის ავიდაო“. ასეთ-
ზედვე იტყვიან: ხიზმუზიანობსო.
თვით ასეთ მდგომარეობას ჰქვია
ზერე-ქვერეობა ანუ ხიზმუზი-
ანობა.

ზერე-ქვერეობა დაერქვის აღმნიანის
ორპაროვან ლაპარაკსაც. საიდანაც
მსმენელი ვერ გაიგებს — ნამდვილად
რისი თქმა სწაილდა მთქმელს — კარვისა
თუ ცუდისა, მართლისა თუ ტყუილისა.

ზეცაზე (ცაში) ფრინველი ვერ გადა-
ფრენს, ძირს, მიწაზე, (დღემიწაზე)
ჭიანჭველა ვერ გაივლის ჩემს ში-
შით ჰრდ. ზეცაში ფრინველი ეშინია
ჩემი და დაბლა — ჭიანჭველას. სჭვ.
ჩემი ყველას ეშინია, რისხევა ვარ ყვე-
ლა სულეცისათვის. „შენ რა სული-
ერი ხარ, ჩემი შიშით ზეცაზედ
ფრინველი ვერ გადაიფრენს,
ძირს მიწაზედ, ჭიანჭველა
ვერ გაივლის, შენ კი მოჰსულხარ
და ჩემ არემარეში ხარო!“ (თ. რაზი-
შვილი, ზღაპრები, II, 77).

ზეცას აღიოდა (ხმა) ჰრ. ზეცის მოქცეოდა ზემოდან. ზვ. სულ მალა აღიოდა, ძალზე მალა ისმოდა ხმა. ერთმა ჯარისკაცმა რალაც დააშავა და უფროსმა. გააღებინა ვაჟკაცი; დასკეს ძირს, შეუკრეს ხელფეხი, დაახდნენ ზედა და საძაგლად დაშხიპეს. სისხლი აღინეს; მისი ღრიალი ზეცას აღიოდა* (ვ. ბარნოვი, ფერადფერადი, 184).

ზეცას თავი მიაპირა. ზვ. გამაპირტავნდა. თავის თავი უბედნიერეს კაცად მიაჩნია. „ოსეთუ ყოვლიანხველის კი, როგორც უსისხლო კაცს, თავის უგვარტომობა ნაკად ჰქონდა გულში ჩარჩენილი! აქაო და უკადრისი არავინ მკადროსო, თვითონ ასწრებდა ყველას... და იმ დღესაც, დედოფლისაგან რომ საჩუქარი მიიღო, ზეცას მიაპირა თავი“ (აკეი, I, 292).

ზეცის კარის გაღება ჰრ. ზეცის კარი უკვი აღარ არის დაკეტილი. ზვ. უბედნიერება, ნეტარება, უზომო სიხარული, მეტად სასიამოვნო რისამე გაგონება ან შემთხვევა. „აბა ერთი დაშინახვეთ! თუ გაშელო ზეცის კარი?!...“ (რახ. ერისთავი, II, 97).

ხალხის ძველი რწმენით, კარი ზეცისა, სადაც, თანახმად საღმრთო წერილისა, არიან ღმერთი, ანგელოზები და ყოველი წმინდანი, ზოგჯერ იღებდა და თუ დედამიწაზე მცხოვრები ისე გაბედნიერდა, რომ ეს დაინახა, სანამ ცის კარი ღია იქნება, რაც უნდა ინატროს, ყველაფერი აუსრულდებო.

ზევითთჳრია ჰრ. ვინც ზეირთსა ჰყრის. ზვ. ვინც აზვიადებს სულ უბრალო, უმნიშვნელო საქმეს, ვისაც მცირე რამე გაბერილად უნდა მოაჩვენოს სხვის. „თავიც იქა მქონდა და ფეხებიცა, მე რატო არა გავიგერა თუ ეგრე იყო... ნუ აზვიადებ; მე ზვირთიყარი ადამიანი მეჯავრება“ (ს. მგალობლიშვილი, I, 111).

ზეირთი წყალი ზღვისა თუ მდინარისა, რომელსაც ქარი არყვეს, ჰბერაჲს, ზევით სწევს და დიდად მოგაჩვენებს. ადამიანი, რომელიც ლაპარაკსა, სიმართლის თქმასა, ფიქრსა თუ მოქმედებაში ზომიერებას გადასცდება, რომელიც რასმე საქმეს ქარის მიერ გაბერილი ზეირთის მსგავსად გააზვიადებს, მიაკუთვნებს ისეთ თვისებას, რაც ამ საქმეს არა აქვს, რწყილს დაა-

წვენს და აქლემს აშობინებს, იმსგავსება წყლის ზედაპირის ამქორჩრელ, ზეირთის ამყრელ ქარს. და ჩვენს ხალხსაც ასეთისათვის ზვირთიყარია დაურქმევია.

ზოგი ალთას იძახდა, ზოგი ბალთას ჰრ. ერთი ან-ს იძახის, მეორე ბანსაო. ზვ. სხვადასხვაობა მოქმედებისა თუ აზრ-ფიქრისა, უთანხმოება. „ყველას როგორაც უჩოთირება, რალაც უქმაცოფილებსა გრძნობდა, მაგრამ ვერ გამოეცვლიათ-კი, რაში მდგომარეობდა ეს უქმაცოფილება და ზოგი ალთას იძახდა, ზოგი ბალთას“ (ილ. ჰავაბაძე, IV, 359).

ა. შინიძის გამოკვლევით („ქავკასიის ალბანთა ახლად აღმოჩენილი ანბანი...“ ენიშის ანამზე, № 4, ტ. I, 1938), ალბანურ ანბანში პირველ ასოს ჰქვია ალთა, მეორეს უნდა რქმევოდა ბალთა.

ამ თქმაში დაპირისპირება ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო შინაარსს აზრისა. ერთი რომ ერთს გაიძახის, მეორეს სულ სხვა რამე აკერია ენაზე.

ზოგი ჩემს გულშიაც ჩამოიხედე! ჰრ. ჩემი გულის შიგნითა ნაწილი და-ათვლიერე. ზვ. ზოგი ის ვაიგე, რა მადარდებს და მაწუხებს. „ამით მითომ რაო?—ისაო, შევილო, რომ ზოგი ჩემს გულშიაც ჩამოიხედე!“ (ილ. ჰავაბაძე, III, 59).

ზურგამდის გაახელა (ხანჯალს) ჰრ. ზურგი აჩვენა. ზვ. ცალმხარეში დაკრული (ხანჯალი) მეორე მხარეში ვავიდა. „იძრო (ლადომ) ხანჯალი, ვადმოიწია ცხენიდან, დასცა (მგზავრს) მკერდში და ზურგამდის გაახელა. მგზავრმა ერთი კი შეჰკივლა „ვაიმე“, მომკლესო, და გაკინდა ხმა“ (მელანია, ლაღიკო).

ზურგვა ჰრ. ზურგზე წამოკიდება. ზვ. მოტაცება, ყველაფრის მიჩენება, სხვისთვის გაუმეტებლობა. „როგორ არა, დიხ! წაილე კი არაო (სასმელსა-საქმელი), შეინახეო, მერე რითენინაო? იმითენინაო, რომაო მერე ვიზურგოვო და ჩემი სოფლისკენ წავეცუტუნოვო“ (ან. ერისთავ-ბოშტარი, ბეჟის ტრალი, 189).

ეს სიტყვა გამოხატავს ვისგანმე რისამე წართმევას, ზურგზე წამოკიდებას, ზოგჯერ მოპარვასაც („ჩვენი მუზობლის შემა ვიზურგეთ და შინ მოვიღეთ“).

ზურგზე აკიდება პრ. ზურგზე მოკიდება ტვირთად. ზვ. მოვალეობის ტვირთონება, იძულება რისამე გაკეთებისა; დაბრალება. „ზოგჯერ მცირედი რამ შემთხვევითი გარემოება სამყოფია ხოლმე, რომ მძიმე ტვირთი ბრალისა ზურგზე ბოლომდის აჰკიდოს“ (ილ. ჰაბაჟაძე, VII, 285); „გუმბათ კოტეზე ჰქონდა, მაგრამ რა გამოვიდოდა, — თუ ეტყოდა რასმე, კოტე კარგ-კარგებისასაც აჰკიდებდა ზურგზე, იქნება ვერც კი დაეთვალა“ (ფხ. მენთეშაშვილი, კოლა მშველიშვილი, ივ., 1906, 251).

ზურგზე ბოლის აყენება ანუ ადენა პრ. კვამლის გაჩენა მოწინააღმდეგის ზურგზე. ზვ. ჯობნა, მორყენა, დამარცხება. „იმ საწყალსა ყაზახებსა (არსენამ) ზურგზე ბოლი აუყენა“ (პ. უნიკაშვილი, I, 23); „მოკვალით (დათვი) და მერე როგორ მოგვალით! ბოლი ავა დაღინეთ ზურგზე! — უპასუხებენ მონადირენი“ (ვაჟა-ფშაველა, V, 118).

როცა რამე ილწება ან ითელება, მტერი ასდის და, რაც უფრო ძლიერად ითელება, ეს მტერი მით უფრო კვამლისა და ბულის მსგავსად ასდის. ისიც იგულისხმება, კაცს რომ მოერყვიან, მოსალოდნელია, მტერი ზედ შეილდგეს მორეულს, ძირს დაცემულს მოწინააღმდეგეს და სთელოს იგი, ჰბუბნოს.

ზურგზე ბოლის ადენა იხ. ზურგზე ბოლის აყენება.

ზურგზე ტყავის აძრობა პრ. ზურგიდან ხორციის საფარველის მოცილება. ზვ. საშინლად, უწყალოდ ცემა, გვემა, ტანჯვა, წამება. „თურმე გოგორამი ორასი შეიარაღებული კაცი იჯდა; ამოუხტა სამი ბიჭი, დადეს ეს კაცი და იმდენი სცემეს, რომ სიგრიძის სიგანე მისცეს, სულ ზურგზე ტყავი ააძრეს“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, II, 64).

ზურგით უკან ადგენება პრ. ზურგისაკენ აყენებს. ზვ. თავიდან იშორებს, არა შეეღის, არ ეხმარება, მისი გაჭირვება არ აღარდებს.

ზურგი პრ. ზურგზე მდებარე ნაწილი მხრებიდან მენჯამდე. ზვ. შევლა, დახმარება, ძალა, იმედი, — სიმტკიცე, სიმაგრე. „კაციისათვის ღმრთის მინდობა კარგი ზურგია

და მისი მიუხედავადობა და შეუპოვება მისისხლეა კაციისაო“ (ვისრამიანი, 62); „კარგია, რომ ბატარაობითვე ბატონი და ყმა ერთმანეთს შეერვივნენ: ყმისათვის ბატონთან შეზღვილობა დიდი ზურგია“ (ილ. ჰაბაჟაძე, II, 45).

როცა მტერი ვინმეზე იწვეს და ხელით ან რამე იარაღით მის ცემას ლამობს, თუ მოერიდა და შეაშინა, დამარცხებული თავს მიიბრუნებს და ზურგს შეაქცევს, როგორც სხეულში ყველაზე მაგარ ნაწილს, ფარად გამოსაყენებელს. ამ შინაარსის გამომხატველ სახელს ზურგს მერგულად ჰქვია ოფარე, ანუ საფარებელი, ფარად გამოსაყენებელი. ამიტომაც შეიქნა ზურგი სიონიანად ფარისა, მფარველისა, ღონიერისა, სიმტკიცისა, იმედისა.

ზურგი აღრიცხვ იხ. ზურგის ჩვენება.

ზურგის გაშაგრება პრ. ზურგისათვის სიმაგრის მიცემა მერე პირის მერე. ზვ. მოხმარება, იმედიანად ყოფნა, შევლა ვისგანმე, მფარველობა ვისიმე. „ტიტიკოს ხომ უჩივის და უჩივის, მეც გადაკრული მაქვს მთარახები: ყველა აქ ჩამოთვლილ ბოროტებას, ავკაცობას ნაცვალ იარაღიდნდა, რომ ზურგი არა ჰქონდეს გამაგრებულთა“ (ფხ. მენთეშაშვილი, კოლა მშველიშვილი, ივ., 1903, № 253); „თუ მაშინ ესანზიდ გრიგოლ ქორიკოზი დაგვეტყვევებინა, დღეს კახელნი ისე ძლიერად ვეღარ დაენმარებოდნენ ემირს, ვერ გაუმაგრებდნენ ზურგს ჩვენ წინააღმდეგ“ (ვ. ბარნოვი, სამი რომანი, 229).

ზურგის მიცემა პრ. ზურგის დათმობა სხვისათვის, ზურგის მიშველება. ზვ. დახმარება, შევლა, გასაჭირთაგან გამოყვანა მოყვასისა.

ზურგის მოტეხვა პრ. მომტერივეა ზურგისა. ზვ. დაუძლურება, დასუსტება. მთავარ ძალის წართმევა, უწყეობა. „შემოუთვალე: „ნუ გვიხამა ქართლს ნუ მოსტეხე ზურგი ა!“ (ი. ტფილალი, დიდმოქალაქეები, 38).

ზურგის მოყვადება პრ. ზურგის მიღება ვისთვისმე ან რისთვისმე. ზვ. თავის შეფარება, შევლის ძიება, მფარველობა, მინდობა... „როცა დაინახამენ, რომ ელაწირაკები იმათ სარგოს ვლამარაკობთ, მაშინ ზურგს მოგყვულებენ“ (ს. გვალბიშვილი, I, 72);

„ხელმწიფემ ვახტანგს მისწერა: მოდი, მიგიჩინე მამადო, იესო ქრისტეს მიენდევ, ნუ მოგატყუებს მამამადო; გიჯობს მე ზურგი მომყულო, გულზედა გული მომადო“ (დ. გურამიძის თხზულება 54).

როცა გვიგირს, მაგ., ბრძოლის თუ ჩხუბის დროს, ჩვენზე მოსულისაგან თავის დასაფარავად, ჩვენს პომხრეს, ვისგანაც შეეღასა და ცევა-ფარვას გამოველით, ზურგით მივეუყუდებით სოლმე. ზურგის შექცევა პრდ. სხეულის უკანა ნაწილის, სადაც ხერხემლის ძვალია, შეშვება ვისთვისმე. სტვ. შეზინება, თავის გარიღება, მოძულება. „გრ. ორბელიანმა არც კი უმტყუნა დროთა მიმდინარეობას და ზურგი კი არ შეუქცევია. როგორც უღირს რასზე. თან აჰყვა“ (ილ. ჰავაიაძე, IV, 255); „სირცხვილს კი მათ კეთილ-შობილებამ დიდიხანა, პანდური ჰკრა და ზიზლით შეაქცია ზურგი...“ (ნ. ლომოური, 254).

როცა ვინმე ან რამე შეგვიზღუბია, უღირსად გვეჩვენება, თვალს ავარიღებთ, მივუბრუნდებით, და ზურგს დავანახებთ.

ზურგის ჩვენება პრდ. სხეულის უკანა ნაწილის, სადაც ხერხემლის ძვალია, შეშვება ვისთვისმე. სტვ. შეზინება, სიძაბუნე, გულის გატეხა, ლაჩრობა, ბრძოლისათვის თავის გარიღება; ბტრისაგან ლტოლვა; გაქცევა; თავის აღიარება ჯობნილად. „მებრძოლნი ერთი-მეორეს კვლავ უსწრებენ გულგებას, — მამ ხომ ზურგს არ უჩვენებენ, თავზე დაისხმენ მწურესა“ (ფაეა-ფშაველა, IV, 276); „წყუელი იყოს ჩვენგანი, ვინც მტერს ზურგი უჩვენოს! — შეჰბღავლა ერთხმად მთელმა ხალხმა“ (ივ. ბუჭრაული, ზურაბის კოშკი, „ივ.“, 1897, № 112).

როცა ერთ-ერთ მოჩხუბართაგანს მოწინააღმდეგისა შეეშინდება, ცდილობს გაქცეს. ამ გაქცევის დროს სურათი ასეთია: გაქცეულს ზურგი შემოქცეული აქვს და მტერი მის ზურგს უუზრებს და მისდევს დასაწყევად.

ზურგის ხომ არა გვაგა? პრდ. ხომ არ გინდა ზურგის მოფხანეა? სტვ. ცემა ხომ არ გინდა? დამებსენ: შენ შენს წერას ხომ არ აუტანიხარ, რატომ ეგრე არახუნებ, თუ ზურგი არა გქაგა, შენ შენს ვახზედ წადი-მეთ-

ქი, თორემ...“ (ილ. ჰავაიაძე, III, 54). ეს თქმა ირონიულია.

ზურგმა ჰავა აართვა (ცხენს) პრდ. ზურგმა პაერი ზევით ააღინა. სტვ. გაცივდა. „მე ვუთხარი: — ცოდო არ არის, ოფლიანი ცხენი დავიბამს, ცოტა ხანს მაინც ატარებდი, ზურგზედ წყალს მაინც ვადააელებდი-ნეტო, ხომ წახდა ცხენი: ან ზურგმა ჰავა აართვა ან ფეხში დახუთა-მეთქი“ (ილ. ჰავაიაძე, III, 84).

ოფლიან ცხენზე ითქმის, როცა ნამგზავრს და ოფლიანს, უნაგირის მოზღლის შემდეგ, დაბამენ და არ გაატარებამოატარებენ ოფლის შესაშრობად.

ზურგსა ჰკილია პრდ. ზურგს უშმიძებს. სტვ. ზრუნავს, ფიქრობს. „უარს ვერავის ეტყვის (დედამიწა) ეს ღვთისაგან კურთხეული! ყველას დედაა, ყველასათვის ისა ზრუნავს — ყველა იმის ზურგსა ჰკილია“ (ფაეა-ფშაველა, V, 256).

ზურგ შემოქცეული პრდ. ვისაც სხეულის უკანა ნაწილი, ხერხემალი, ვისთვისმე შეშვერილი აქვს. სტვ. მტრულად განწყობილი. მეგობრობაზე ხელაღებული, მტრად გადაკიდებული. „გარდიამ მტერმა და შიგნით უკეთურთა ბზარვამ და ლალვამ იმოღვინა ჯათა, სისხლის ღვრა, თავჯანწირვა, ამიოდ ჩაუტარეს დარღვეულობით დაუძღურებულს ქვეყანასა და ერთხელ ზურგ შემოქცეულს ბედს პირი ჩვენზე ველარ აქმევიენს“ (ილ. ჰავაიაძე, VI, 93).

ზღვა პრდ. თვალუწვდენელი რაოდენობა მარლიანი წყლისა, რომელიც ხმელეთის უმეტეს ნაწილსა ჰფარავს. სტვ. ბევრი, აუარებელი, განუზომელი, გარშემოუწერელი. „ნეტა რა არის, რა არი, — დაუღვეელი ზღვა არი!“ (ხალხური შაირი); „აი ჩემი კნიაზი, ერთი კვირა აქ არის და წორეთ ერთი ზღვა ფული გადაუღანგა“ (აქ. ცვაგრაფი, კომედიები, 6); „ამ ზღვა ქვეყანაში მარტო თვითონ სწუხდა სულითა; თავის აზრით, მარტო ის იყო ამ ზღვა ხალხში უბედური“ (ს. მგალობლიშვილი, I, 188).

ზღვა თავისი განუზომელობით, ვახვიადებული სივრცით იმთავითვე სტოვებდა აღმამანზე ვასაოცარ შთაბეჭდილებას, და სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს, რომ ეს ზღვა შეიქმნა მისთვის ყოველივე გარშემოუწერელი



სიერცის, სიმრავლის გამომხატველ სიტყვად.

ზღვად გახჭდა (მოსავალი) ჰრდ. ზღვის ოდენა გახდა. სტვ. ძალზე ბევრი შეიქნა მოსავალი. „ჩამოთხოვა თინიამ ოროლი მუჭა ხორბალი, მოთესა — უცემ ზღვად გასჭდა, შიგ დაბტრიალდა ლეთის თვლი“ (რად. ერისთავი, I, 141).

ზღვასავით წოლა ჰრდ. ზღვის მსგავსად გადაშლილი. სტვ. ბლომად, უხვად, თვალუწვდენლად. „ყანა მოცუდა, ყანა, რომ ავი თვალით არ შეეხედებოდა, ზღვასავით იწვა“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, I, 46).

ზღვის იქით, ზღვას გაღმა ჰრდ. ზღვის მეორე ნაპირას ანუ მხარეს, ზღვაზე უფრო შორს. სტვ. ძალიან შორს,

მიუვალ ადგილას. „თავად (თ. მარტვილი) ერთხელ საცალა ზღვის იქითა ყოფილა წასული“ (ივ., 1893, № 24); „ერთმა პირუტყმა ვაქცა:მა ცხეხუთით ჩამოიპა: ხელი გამიკრა გუთასსა, ზღვის ვადმა გამისრიალა“ (ვაკა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, 79).

ზღვის ფსკერი ის. ზღვის ძირი.

ზღვის ძირი ჰრდ. მყარი ადგილი, რაზედაც დაწოლილია ბევრი წყალი. სტვ. ძეტად ღრმა, მიუწვდომელი ადგილი, შორი ადგილი. „ბოროტი არ გვახსოვსო, აპა, ძმური ხელი! გძმობთ და გძმებთო! ამისთანა მარგალიტები მარტო ზღვის ძირში ია...“ (ილ. ჭავჭავაძე, IV, 174).

ზღუდე ის. ღობე.

თ

თავი კუდს ვერ მოიბრუნებს ჰრდ. სულ პატარა არსება, როგორც თავი არის, კუდს ვერ მოატრიალებს რაშიმე. სტვ. ვიწრობაა, სიმყოფი ადგილი არ არის (ოთანაში ან პურკულნი რაშიმე), რომ კაცი მოტრიალდეს, იმპარას, იცხოვროს. „უცებ ისეთი წვრილი და ხშირი ტყე აიყარა, რომ შიგ თავი კუდს ვერ მოიბრუნებდა“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, II, 2 (59)).

თავის სორას ძებნიება ჰრდ. იძულება ვისიმე ეძებოს თავის სორო დასამალავად. სტვ. შენიება, იძულება თავი არსად გამოჰყოს, მტერს არ დენახოს; გაჭირვება, თავის შეელა, თავის დამალვა. „შევაჯახო ჯალაღედინს, ვაძებნიხო თავის სორო“ (რად. ერისთავი, II, 123).

თავაღებულობა ის. თავს წასვლა. თავაშვებული ჰრდ. დაუბმელი, ვისაც თავისათვის შეება მიუკია. სტვ. უღისციპლინო, ვინც წესრიგს არ ემორჩილება, თავისება, უზრდელი, უთავბოლო, თავხედი, თავგასული.

იგულისხმება, რომ ისე, როგორც საქონელი, დასამორჩილებლად თოკითა ხოლმე დაბმული, აღამინიც დაბმულია საზოგადოების მიერ შემოღებული წესების ნორმით; ეს ნორმა იკავებს საზოგადოების წევრს, რათა თავის ტოლს. თუ არ გამოადგება, არა დაუშავოს მინიც, არა აენოს რა. ხოლო,

როცა აღამინი ამ ნორმებს უგულვებლყოფს, ემსგავსება თოკიდან თავაუწყვტილ საქონელს, მორჩილებისაგან გამოსულს, თავის ნებაზე მიშვებულს.

თავაწეული ჰრდ. ვისაც თავი მაღლა უჭირავს. სტვ. იმედინი, გულმაგარი, თავმოძრონე, დაარბენებული, შეძლებული. „მატონიშვილი მხედრობდა, ვიყავით თავაწეული“ (ა. ზიკაშვილი, I, 126).

ავედმყოფი, გაჭირვებული, დადარდინებული, დაღლილი ჩვეულებრივ თავჩაქინდრულია. ხოლო შენდებულს, ჯან-ლონით სავსეს, მხიარულს. მოსვენებულს თავი მაღლა უჭირავს. თამამად, პირდაპირ უყურება ყველას თავლებში, ცა ქუდად არ მიანია და დედამიწა — ქალამნად...

თავგადაგლეჯით ჰრდ. უქუდოდ, თავდაუხურავად. სტვ. გაჩქარებულად, სწრაფად, გამაღებლად. „არა თუ კბილმოსაჭილი გაუჩნდა ერთსა სხვისთანა, მიჩობით თავგადაგლეჯით სკუდიან-ნაჰალნიკთანა“ (ვაკა-ფშაველა, III, 287).

თავგადაგლეჯით სიარული ნიშნავს უქუდოდ, თავშიშველა სიარულს, და გულისხმობს, რომ ამ მდგომარეობაში კაცს ძალზე ეჩქარება, ისე რომ, დროც კი არა აქვს ქუდი დაიხუროს და სხვების თითთსაჩვენებელი არ გახდეს. ე. ი. არ დაარღვიონ ის კანონი და ის წესი, რომლის ძალით მამაკაცისათვის



უქუდოდ სიარული არ შეიძლებოდა. უქუდობა ძველად საძრახი, სასაყილო საქე იყო. ძველი ჩვეულების თანახმად, მარტო ლაფდასხმულთ ან ვისიმე სისხლის ასაღებად მთარულს არ შეეძლო ქული დაეხურა და საზოგადოების სხვა სრულუფლებიან, უდანაშაულო წევრებთან ერთად ევლო მხარდახმარ, როგორც მათ ტოლსა და სწორს.

თავდადაკლული ეძებდა ჰრ. სასიკვდილოდ თავი რომ არ ეზოგება რისამე ძებნაში. **სტვ.** მეტად გულმოდგინედ და მონდომებულად ეძებდა, იმის საპოვნელად არადერს ზოგავდა, ზედ თავის გადაკვლაც არაფრად მიაჩნდა. **„თავგადაპაქლული ეძებდა (ქარი) დასასვენებელ კუთხეს, იგრიში მიპქონდა შენობის კარ-სარკმლებზე“** (ან ზოთაფეხორია, ბედის ტოალი, 5).

ამ სიტყვით გამოხატულია, ერთი მხრით, მეტისმეტი მონდომება და, მეორე მხრით, თავგანწირვა მძებნელისა, რომელიც მზადაა სიკვდილსაც კი თავალი გაუსწოროს, ოღონდ გულისწაღილს ეწიოს.

თავგამომზული საქმე ჰრ. თავი რომ აქვს, ისეთი საქმე. **სტვ.** შესრულებული, დამთავრებული, გაკეთებული საქმე. **„ის საქმე, რომელშიაც ეს მოხუცი მიიღებდა მონაწილეობას, უქვევლად თავგამომზული ი შეიქმნებოდა“** (ალ. ყახხეგი, 83).

თავგახული ჰრ. თავს მოწორებული, თავს განრინებული. **სტვ.** მეტისმეტად გაკადნიერებული, გათამამებული, ზომიერებადაკარგული, მეტისმეტად ლალად დამკერი თავისა, მორჩილებიდან განოსული; უარყოფელი ყოველისავე წესიერებისა, მოურიდებელი, უკრძაღველი. **უსირცხვილო, უკდემელი, ამაყი, ქედმაღლი.** **„ეგრე იცი მაგის ტყლარზე და ვერ არი თავგახული?!“** რომ ვიხრჩობოდეთ, წყალი არ მოგვიწოდებს ხოლმე“ (ალ. ჩერბენიშვილი, „თეატრი“, 1888, № 17).

თავგზადაკარგული ჰრ. ვისაც დაჰკარგვია თავი და გზა. **სტვ.** უქუტო, ბრიყვი, შატაბუტი. **მგლ.,** „ჩვენი ნაცნობი თავგზადაკარგული ვინმეა, ფეითონ არ იცის — სად და როგორ დადის ან რას აკეთებს“.

თავგზიანი ჰრ. კარგი თავისა და გზის პატრონი. **სტვ.** ქუიანი, მიხედრილი, გონიერი, გამოქნილი, გამოცდილი,

მობერბებული. **„თუ თავგზიანი მამასახლისია, ისიც გაიკრავს რასმე მშვიდობიანად“** (ვაჟა-ფშაველა, V, 259).

თავგზის არევა ის. თავგზის დაბნევა.

თავგზის დაბნევა ჰრ. თავისა და სავლელი გზის ამორება. **სტვ.** ქუა-გონების დაკარგვა, უგონოდ დარჩენა. **„რას ერჩი, კაცო, რა მაგისი ბრალია?.. ხედავ, თითონვე თავგზადაბნევეა შიშისაგან, და რალა შენი მუშტები ევირება“** (ან. ვრისთაფეხორია, მიწა, 249); **„რა ვიცი, ქა, ბუზბუზით რო ირევა ი ზალხი და ფეიტონები, ცარიელ აიდაიანს თავგზას ურევენ და შენ კი თორმეტ ლახლახა ბატს უნდა ადევნო თავალ-ყური“** (ცეტიბი, საბავშვო მოთხრობები, 24).

თავდაძვრენილი ჰრ. ვინც ცდილობს თავი დააღწიოს რასმე. **სტვ.** ვინც თავს არიდებს საქმის კეთებას. **ზარ-მაცია, უსაქმური, ვისაც უყვარს თავიდან მოსხლეტა მოვალეობისა.** **„თავდაძვრენილი — კუდაგაბეკილი“** (ანდახა).

თავდაქერილი ჰრ. თავი ხელთ რომ უპყრია, თავს რომ აღარსად უშვებს. **სტვ.** მორიდებული, მომთმენი, კოძალული, ფრთხილი. **„ნუ თუ პირველი ბანაკი ფრთხილი და თავდაქერილი იქნება და მეორე — გაუფრთხილებელი და თავდაუპერელი? ეს სადალური ლოლიკაა?“** (ილ. ჰაჰავაძე, VI, 366).

თავდასრილი ჰრ. ვისაც თავი ქვევით აქვს დაწეული. **სტვ.** დაჩაგრული, დამცირებული, გაჭირვებული, დამონებული, დაღონებული. **შერცხვენილი.** **„ერთხელ რომ მაინც ეთქვათ ჩემ შეილენს — დედაო, მაშინ ხომ ერთი-ათასად გავიზრდებოდი, ქედს მაღლა ავწევდი და ისე წელმოწყვეტილი და თავდახრილი არ ვიქნებოდი, შეილების ძახილით დაღლილ-დაძან-ცული, ქანცამოცლილი“** (ვაჟა-ფშაველა, VI, 324); **„ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე ერო? მტვერწყური, თავდახრილი, ყოვლად უქმი, უდიერი“** (ილ. ჰაჰავაძე, I, 106).

თავდები ჰრ. ვინც თავსა სდებს ძირს ვისთვისმე. **სტვ.** ვინც კითხულობს სხვისი მოვალეობის ასრულებას, ვინც სხვის მფავრად პასუხს აგებს პირადად თუ ქონებრივად. **„მაღლა“**



ღმერთს გაძლევ თავ დებად, არ გაგიტუნო პირია“ (ჩაფ. ერისთავი, II, 38); „თავ დები ხელით ჰქიდი“ (ანდახა).

თავდები — კაცია, ვინც კისრულობს სხვის მავიერ რაიმე მოვალეობის შესრულებას. ძველად, როცა კაცი, ვისაც თავდებად უდგებოდნენ, თავის ვასაკეთებელს არ გააკეთებდა, მის თავდებს თავს ძირს დაადებინებდნენ მოსაქრულად.

თავდილება ჰრდ. თავის გადიდება. სტვ. ამპარტყენობა, თავის მოწონება, სიამაყე, კვებნა. ქაღილი. „სადა ხარ, ჩიტო გამოჩნდი, გამო, რას მე თავდი დები“ (გ. ლეონიძე, სტალინი, 105).

თავზე ბალანის აშლა ის. თმის ყალყზე დადგომა.

თავზე ბალბა დავადე ჰრდ. მოხარშული ბალბა თავზე დავადევი ქრილობის მოსაშუშებლად. სტვ. გაბრაზებულ დავამშვიდე — დავაწყნარე, მოვარბილე. მგლ., „მართალია, შენი მეგობარი ძალზე იყო გაბრაზებული, მაგრამ თავზე ბალბა დავადევი და დავამშვიდე“.

მხალი ბალბა, მოხარშული, ხალხურ მედიცინაში იხმარება ქრილობაზე დასადებად, ქრილობის სიმწვავის დასაყუჩებლად და მოსარჩენად. აქ შემთხვევაში კი იგულისხმება, რომ გაბრაზებული ადამიანი ისევეა გამწვარებული, როგორც დაქრილი ადამიანი და ეს გამწვარება თავში გროვდება. ბალბაც, ეს ყოველგვარი სიმწვავის დამყუჩებელი საშუალება, სწორედ თავზე უნდა დავადევი გაბრაზებულს დასამშვიდებლად.

აქ ბალბა ხატოვანადაა ნახმარი და უღრის ენით, მოფერებით, ტკბილი სიტყვებით დამშვიდებას, დაწყნარებას აღამიანისას.

თავზე ბაყიას მატეხს ჰრდ. თავზე საყვედურს მატეხს. სტვ. საყვედურით მაცხებს, დაუსრულებლივ მაცხედრის, ერთავად ჩემს საყვედურშია.

ბაყია საბა ორბელიანს განმარტებული აქეს, როგორც დაუსრულებელი სამედურავი რაიმე დანაშაულისა ან შეცდომისათვის. ხოლო თვითონ თქმა ქიზიყში ისმის (ის. სტვ. მენთეშაშვილის „ქიზიყური ლექსიკონი“).

თავზე გადახტომა ჰრდ. სხელი რომ ნიადაგს მოაშოროს და ვისმე თავს

ზევიდან გადაევილოს. სტვ. გვერდის ავლა, არაღრად ჩაგდება, უზუსტულყოფა, უუურადღებოდ დატოვება ვისიმე. „უხლა-ქი ჩვენც, აეტორსაგეთ, იმ რვა-ცხრა გვერდს თავზე გადავახტები თ და მუხლს მოვლყურით ისევ ისტორიულ ამბების მოთხრობას“ (ილ. ჰაგვაძე, V, 50).

თავზე დაქცევა ბანისა ჰრდ. სახლის დაქცევა. სტვ. მორგენა, დანაგვრა, აკლდება, დახოცვა. „ჩაეხტებო ბარათმშეილსა, თავს დავაქციეთ ბანი“ (გ. ლეონიძე, სტალინი, 159).

თავზე დახმა ჰრდ. საჯდომად თავი რომ გაუხადო ვინმეს. სტვ. გაბატონება ვისიმე, მბრძანებლად გახდომა, თავის დამორჩილება ვისთვისმე. „მივიღებია საკრძალები (კამეჩები) წინელით ურემზედ, შამშილით ფერდები ჩასცვივინათ. — მაშ არა და თავზე დავისვამდი!“ (ილ. ჰაგვაძე, III, 53).

თავზე დაყრა ჰრდ. თავს ზემოდან ვადანბნევა. სტვ. ბეგრის მიცემა, უხვად დასაჩუქრება. „გამოეგება მრავალი ოქროს სარტყლითა შონები; ფერხთა საფენლად ოქსინო მართ მათგან არს ნაქონები, თავსა აყრიდეს ოქროსა, ჰხვეტს ჯარი მუნ ნარონები“ (შ. რუსთაველი, 1462).

ძველად საქართველოში, ქორწილში, საპატარძლოს შესაწევარს აძლევდნენ, სხვათა შორის, ფულად, რომელსაც თავზე აყრიდნენ.

ქორწილის დროს მოტანილ შესაწევარს ჰქვია თავზე გადასადგები (იგივე გადასაყრელი). ცერემონიის გამგეთაგანი იძახის: მავანმა ამდენი და ამდენი თავზე გადასადგები (დედოფლის) მოგართვათო.

ძველად ალბათ თავზე აყრიდნენ შესაწევარს, მაგრამ ახლა მხოლოდ სიტყვიერად ამბობენ ამას.

აქედან მიღებული სიტყვაა: თავსაყრელი, რაც დღეს ნიშნავს: ბეგრს, მრავალს, აურაცხელს, უხვს.

თავზე დაჯდომა ვიზეღმე ჰრდ. ვისიმე თავი საჯდომად რომ გაიხადო. სტვ. გაბატონება ვიზეღმე, ვისიმე მბრძანებლად გახდომა, ვისიმე დამორჩილება, თავუასულობა. „გლები უნდა მუშეში გვექიროს, შიგ უნდა მოახრხო. თუ შეება მიეცი, თავზე გადავაჯდები ა. ეგ ჩვენ ვიცი“ (ს. მგალობლიშვილი, II, 209).



თავზე დახურვა ციხა ჰრ. ცის წამო-
ქცევა თავზე, თავის სახურავად ცის
გაქეთება. სტვ. უბედურება, მოსპობა,
განადგურება, სიკვდილი, საშინელება,
განრისხება, გაბოროტება. „მე, ნუ
გაუშვებთ გიგლიას, წუხელ ცულ
სინმა რ ვნახეო. ე მავას მტერი მო-
გვიკლავს, ცა თავზე და გვე-
ხურება“ (ვაჟა-ფშაველა, III, 18).

თავზე დახურული ჰრ. ვინც თავის
თავის პატრონი არ არის, ვისაც თავის
თავი არ ადარდებს. სტვ. თავ-
განწირული, მოურიდებელი ყოველ-
გვარი ბოროტებისა, ავტოკობის არაფ-
რად მიმჩნევი, უბრძოლველი ადამიანი-
ბისა, თავმოძულებული, ყველაფე-
რი — ავი თუ კარგი — ჩაღად რომ
უჩანს, კადნიერი, შეუპოვარი. „და-
ლოცა ღმერთმა ისევ თავზე დხელ-
აღებული, გიჟი, გადარეული, შე-
უპოვარი და დუშმანავი მღვრიე თერ-
გი“ (ილ. ჰავჭავაძე, II, 18); „ესენი სულ
თავზე დხელაღებული ახალგაზ-
რლობა იყო, სიმამაცედ ქცეული,
სულ ხმაღზე იყურებოდნენ, ყოველ-
ქვამს ბრძოლა სწყუროდათ, საუცხო-
ვოდ იყვნენ შეიარაღებულნი“ (ვ. ბარ-
ნოვი, ტფილისის ანრდილები, 201).

თავზე დახურული ჰრ. თავის თავის
პატრონობაზე უარის თქმა. სტვ. თავის
განწირვა, მოურიდებლობა
ბოროტების ჩადენისა, თავის მოძუ-
ლება, ყველაფრის ჩაღად მიჩნევა,
უპატრონობა, უხამსი საქციელი.
„დიდება შენდა, ღმერთო ჩემი, —
სოტქვა პირჯერის წერით ლუარსაბამი, —
ეს რა მესნის, თქვენი ქირიმეთ: დე-
დაკაცმა ისე თავზე დხელი
უნდა აიღოს, რომ ვაჟკაცსა სცე-
მოს?“ (ილ. ჰავჭავაძე, II, 180).

თავზე დახურული ჰრ. თავიდან
შეიძლება დახურული ჰრ. თავის
პატრონობაზე უარის თქმა. სტვ. თავის
განწირვა, მოურიდებლობა
ბოროტების ჩადენისა, თავის მოძუ-
ლება, ყველაფრის ჩაღად მიჩნევა,
უპატრონობა, უხამსი საქციელი.
„დიდება შენდა, ღმერთო ჩემი, —
სოტქვა პირჯერის წერით ლუარსაბამი, —
ეს რა მესნის, თქვენი ქირიმეთ: დე-
დაკაცმა ისე თავზე დხელი
უნდა აიღოს, რომ ვაჟკაცსა სცე-
მოს?“ (ილ. ჰავჭავაძე, II, 180).

თავზე დახურული ჰრ. თავიდან
შეიძლება დახურული ჰრ. თავის
პატრონობაზე უარის თქმა. სტვ. თავის
განწირვა, მოურიდებლობა
ბოროტების ჩადენისა, თავის მოძუ-
ლება, ყველაფრის ჩაღად მიჩნევა,
უპატრონობა, უხამსი საქციელი.
„დიდება შენდა, ღმერთო ჩემი, —
სოტქვა პირჯერის წერით ლუარსაბამი, —
ეს რა მესნის, თქვენი ქირიმეთ: დე-
დაკაცმა ისე თავზე დხელი
უნდა აიღოს, რომ ვაჟკაცსა სცე-
მოს?“ (ილ. ჰავჭავაძე, II, 180).

თავზე დახურული ჰრ. თავიდან
შეიძლება დახურული ჰრ. თავის
პატრონობაზე უარის თქმა. სტვ. თავის
განწირვა, მოურიდებლობა
ბოროტების ჩადენისა, თავის მოძუ-
ლება, ყველაფრის ჩაღად მიჩნევა,
უპატრონობა, უხამსი საქციელი.
„დიდება შენდა, ღმერთო ჩემი, —
სოტქვა პირჯერის წერით ლუარსაბამი, —
ეს რა მესნის, თქვენი ქირიმეთ: დე-
დაკაცმა ისე თავზე დხელი
უნდა აიღოს, რომ ვაჟკაცსა სცე-
მოს?“ (ილ. ჰავჭავაძე, II, 180).

ვრიათ, „პოს“ ვეღარ ათქმევინებ-
დით“ (ი. მანჯგუაშვილი, წარაუღიდან);
„ორივე ცალ-ცალკე მოქმედობდნენ,
მაგრამ უმადლოდეს მაინც საკმა-
რისად ასწორებდნენ მიწასთან და
არარსებულ გინაზიის ხუთ ახალ-
გაზრდა ახალ მასწავლებელს, სიყაჟი
შეხედებოდნენ, თავზე კაკალს
ამტვრევდნენ“ (იბ. სანთელაშვილი,
ტრიუმფი, I, 142).

კაკლის მტვრევა ვისაზე თავ-
ზე გამოხატავს არა ვაჟკაცის მიერ ფი-
ზიკურ შეურაცხურობას, არა სწორის მი-
ერ საბრძოლველად გამოწვევის სწო-
რისას, ბრძოლის ყოველი წესის დაც-
ვით, არამედ მომრევის მიერ აბუჩად
ავლებას მორეულისას. მის კაცად ჩა-
უვლებლობას, ბრძოლის ღირსად უცნო-
ბელობას.

თავზე დაფის დახსნა ჰრ. ტალახით
თავის გასვრა ვისთვისმე. სტვ. გა-
ლანძღვა, გაწილება, საჯაროდ შე-
რცხვება, დამცირება, საქვეყნოდ შე-
ურაცხურობა, სააშკარაზე გამოტანა
ვისიმე სააუგო საქციელისა და უხამ-
სობისა. „ეს მეცნიერნი მთელს ქა-
რთველ ერს თავზე ლაფს ასხმენ
ქვეყნის წინაშე და სათლავს უთხრან“
(ილ. ჰავჭავაძე, ქვათა ლაღად, 15); „... სო-
ფელი ძალიან არის აშფოთებული,
ამბობენ, მოვასწრებთ და თავს
ლაფს დაეცახამთ ბაბაღესაც
და მღვდელსაც...“ (ვ. ბარნოვი, ფე-
რად-ფერად, 293).

ეს თქმა დიდი ლანძღვის, საქვეყ-
ნოდ შეოცხვენის, ზნეობრივად მიწას-
თან გასწორების ეკვივალენტია. შერ-
ცხვენის აზრით, როგორც მოგვხსენე-
ბათ, დღესაც ვხმარობთ ამ თქმას, მხო-
ლოდ დავიწყებული გვაქვს მისი წარ-
მოშობის ისტორია. ამავე დროს ეს
თქმა ჩვენი ძველი დროის იურიდიული
ტერმინიც ვახლავთ.

ძველად ადამიანს ადათ-ჩვეულება-
თა კანონების, ზნეობის პრინციპების
დაუცველობისათვის მთელი სოფელი
ასპარათობდა. სოფლის მიერ სიფჯა
ამა თუ იმ სასჯელისა და ამ განაჩენის
უაბელაციოდ ასრულება ერთი იყო თვით
სოფლის მიერვე.

სასჯელის ერთი სახე იყო დანა-
შავისათვის თავზე ლაფის ანუ ტალა-
ხის დახსნა.



დამნაშავე ქალს თუ კაცს გამოიყვანდნენ სოფლის შესაკრებელ ადგილზე. აქ ისხდნენ სოფლის მოხუცებული და თავი კაცები, რომელთაც მეზობლების თვალში დამსახურებული ჰქონდათ სახელი გამოცდილ, ქუალამჯდარ, პირუთენელ, მოუსყიდველ, სამართლის არგამმოუდებელ, მიუკერძოებელ, სოფლისა და ზნეობის ინტერესების დაცვის სადარაჯოზე ხმალოდებულად მდგარადამიანთა, მოწმე ან მოწმენი სასოფლოდ, საყოველთაო საუწყებლად დადასტურებდნენ დასასჯელის დანაშაულს. სოფლის მოსამართლენი რომ მოინდენდნენ ნათქვანს, შეათვლებდნენ თავიანთი თანასოფელის მიერ ჩადენილ საძრახ საქციელს, გულისწყრომით დაპგმობდნენ, სცნობდნენ სასჯელის ღირსად და იტყოდნენ: თავს ლაფი დაეკახათო! ხალხი გუჟყუნით და ერთხმად ბანს მისცემდა: დავასხათ, დავასხათო!..

დაიწყებოდა თვით სასჯელის ასრულების პროცესი.

დამნაშავე კაცს ქუდს მოხდიდნენ, ხოლო თუ დამნაშავე ქალი იყო, მანდილს. ქუდისა და მანდილის მოხდა როგორც ერთისა, ისე მეორისათვის უკვე შეადგენდა დიდ სასჯელს, რომელიც უდრიდა თვით ლაფის დასხმას. ამის შემდეგ ყველა ვალდებული იყო მის თავზე ლაფი დაესხა. თუ წვიმიანი დათი არ იყო და ლაფი არ მოშვეობდათ. ხმელი მიწა წყლით უნდა აეზილათ და ტალახი ისე დაეხათ თავზე.

თუ სახედარი ჰყავდათ, დამნაშავეს ზედ შესვამდნენ უკუღმა, ხელშიც კუდს დააქურინებდნენ და სოფელში კარდაკარ აატარ-ჩაატარებდნენ. იქაც ყველანი მოურიდებლად ასხამდა თავზე ლაფს.

აქიდან წარმოიშვა სიტყვა თავლაფ დასხმული ანუ ლაფ დასხმული, რომელიც ნინუაეს საჯაროდ შერცხენილს, აუგიანს, ზნეობრივად ბინძურს, ასეთი ადამიანი ღირსი არ იყო მეზობლებთან შურთიერთობისა, მათთან საერთო საქმეში მონაწილეობის მიღებისა, მათთან ქირისა და ლხინის გაყოფისა.

თავლაფიანს ხალხში თავი არ გამოეყოფოდა, ყველა გაურბოდა. ვინმეს კარწინ რომ გამოეცლო, ვაი თუ სახლში შემოედგნო — და მის წინ კარს მისჯარავდნენ.

ლაფის დასხმის შემდეგ გაცივლიდა ერთი-ორი, სამი წელიწადი, ხალხს სელ-ნელა დაავიწყდებოდა მომხდარი ამბავი, დასჯილი, მეტად დატანჯული მეზობლებისაგან განხარტოებული, აბუეებული ცხოვრებით, ეძებდა საშოალებას — ბოლო მოღებოდა მის ზნეობრივსა და ხორციელ ტანჯვას. მზის ჩასვლისას, ჩუხად თავის სახლში შეიპატივებდა თავის მახლობელ მეზობელს, გაუშასპინძლდებოდა, შესჩივლებდა თავის უგემურ ყოფას, შეეცდებოდა მისი გული მოეღობო, — და მის სასარგებლოდ სიტყვა ჩამოედგდებინებინა სხვეათაზე.

თავლაფდასხმულის მიერ პატივნაცემი კაცი თავის ზნეობრივ მოვლენობად მოიჩნევა ავითაცაი გაეწა მის სასარგებლოდ. მეფე მეორე მეზობელს აჩვენებდა თავის პურძარბაის ძალას. ასე რამდენიმე კაცს მიიმხრობდა. შერგათამამებულად ყველას ერთად დაპატივებდა და დაავალებდა საჯაროდ განსახილველად გამოეტანათ მისი საქმე სოფლის წინაშე.

ერთ კვირა დღეს, სოფლის შესაკრებელ ადგილას, ხის ძირას ჩამომსხდარ მოხუცთ და თავაკეცს თავლაფდასხმულის სასარგებლოდ გამოსული და მჭევრმეტყველი მეზობელი მოახსენებს სინანულს დასჯილის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის და მის მაგიერ სთხოვს სოფელს — აკნარაო ამდენი ტანჯვა და სირცხვილი; მახოვნელი პირობასა სდებს გამოსწორდეს; სთხოვს — ძველებურად იგულონ ჰირსა და ლხინში კეთილ მეზობლად, საძარის კარამდე. მოხუცნიც დამსწრე კრებას მიმართავენ: ჩვენის აზრით, შეიძლება ვაპატიოთო. თითო-ოროლა წინააღმდეგი გამოჩნდებოდა, მაგრამ უმრავლესობა დამნაშავის მხარეზე იქნებოდა და მოითხოვდა პატივებს.

ამინარად, სოფელი შეურთიდებოდა თავის გარისხულ წევრს, ბოიკოტს ახსნიდა და ისევ თავის წრეში ზნეოიყვანდა. მაგრამ სიტყვა ლაფდასხმული, მისი სააუფო წარსულის მომგონებელი, დარჩებოდა, და გაჯავრების დროს მეზობლები თავს ვერ შეიკავებდნენ და წამოსახებდნენ: შენ არ იყავი, თავლაფი რომ დავასხესო!

ლაფის დასხმით დასჯა დამნაშავისა ქართლ-კახეთში ამ საუკუნის დასაწყისში გადავარდა. იმერეთში გაცილ-

ბით აღრე უნდა იყოს გადაიარდნლიო. ყოველ შემთხვევაში, სამეგრელოში სიტყვა კი არის დარჩენილი, მაგრამ თვით სასჯელი ამ თხზმოცი წლის წინათ არავის აგონდებოდა.

დ. ბაქრაძისა და ნ. ბერძენიშვილის მიერ თბილისის შესახებ რუსულად გამოცემულ წიგნში (სტფილისი ისტორიულად და ეთნოგრაფიულად, გვ. 15) თავზე ლაფის დასხმით დასჯის შესახებ ვითახულობთ:

„1805 წლის მაისში, ბოდბისხეველები (ქიზიყში), 500 კომლზე მეტი, გამოსულან და მარიამ კორდანიშვილის სახლიდან გამოუთრევით მისი ქალი ბარბარე, რომელსაც ქმრისათვის თავი დაუწებებია და მეძაობდა თურმე, შეუსვენთ ვირზე, სოფელში კაო-და-კარ ჩამოუტარებინათ და ყველანი ლაფს ასხამდნენ თავზე. ბოლოს, მისი სახლიც კი დაუწვავთ“.

ყოველივე ამის შემდეგ გასაგები უნდა იყოს, თუ ლაფის დასხმა ვინმეს თავზე რად უნდა ითვლებოდეს ქართულ მეტყველებაში — შერცხვენისა და გაქირღვის სიმბოლოდ.

თავზე მამალ ბუზს არ იხვამს პრ. მამალ ბუზს ნებას არ მისცემს თავზე დააჯდეს. სტვ. ნეტად იმაყია, უკადრისია, არავისი ვრიდება, არავისი ეშინია, მოკრძალება არავისი აქვს.

„მისი ცოლი, კეკე, ძალიან ყოყმობს. მამალ ბუზს თავზე არ იხვამს, აქაო და ხხვისი ოფლის მონაგარი თუღლებით ვკოპაობო“ (ენგ. მენთეაშვილი, თაფლი, „ივ“, 1902, 258).

იგულისხმება, რომ წამალი ბუზი უფრო კანდიური და გამბედავია დედალ ბუზზე, მაგრამ ისიც კი ვერა ბედავს დააჯდეს თავზე იმას, ვის შესახებაც ლამაზაყია და ვისი უკრძალველობა და სიამაყე ყველასათვის ცხადი.

თავზე მუხის დაჯდომა პრ. თავზე მუხის დაღემა. სტვ. უბედურება, საშინელება, განადგურება, სიკვდილი. „დაიწყეს ...ძიება — საიდან დაგვატყდა ეს მუხი და ღვთის რისხილი!“ (ნ. ურბნელი, ვისი ბრალია, „ივ“, 1897, № 50).

თავზე მოხვევა ვისთვისმე პრ. ვისისაზე თევისათვის შემოგრაგვნა რისაზე, შემოვლება გაონემო. სტვ. დაკისრება ზრუნვისა, დავალება რისაზე; დაბრალება, გადაკიდება.

თავზე მწურეს (მწვირეს) დასხმა პრ. თავზე უწმინდურების გადაქცევა. სტვ. შერცხვენა, საჯაროდ გალანძღვა. „ნებრძოლნი ერთი-მეორეს, კვლავ უსწორებენ გულუბნა, მაშ ხომ ზურგს არ უჩვენებენ, თავზე დაიხსმენ მწურესა!“ (ვაჟა-ფშაველა, IV, 276); „რადა მცემ ანუ რად მლანძღავ, თავზე რად მასხამ მწვირესა?“ (დ. გურაიშვილი, 159).

მწურე საბა ორბელიანს თავისი ლექსიკონში მხოლოდ აღუნიშნავს, ახსნით კი არ აუხსნია. დ. ჩუბინაშვილს მწვირე ტალახად და ლაფად აქვს ახსნილი. საინტერესოა, რომ ხეუსურეთში მწვირეს ეძახიან საქონლის შარდს. მეგრულად მწვირე ჰქვია საქონლის განავალსა და შარდს ერთად არეულს, რომელსაც მიწის გასაპირივებლად ხმარობდნენ, სალანძღოვი თქმაცა აქვთ მეგრელებს: „ღუს წვირე გინგობი“, რაც ნიშნავს — თავზე მწვირე დაგასხიო!..

სათქმებელია, ამ თქმაში იგულისხმება მწვირეს ის მნიშვნელობა, როგორც დაცულია ხეუსურულსა და მეგრულში.

თავზე ნაცრის დაყრა პრ. ნაცრით დაფარვა თავისა. სტვ. გლოვა, მწუხარება, თავის შერცხვენა, თავის დამცირება. „თავსა გარდიყრის ნაცარსა ხელითა ლომთა მკლავითა“ (ქაიხოსრო, ომანიანი, 58); „იგუჯდა თმისა და წვერისა და ნაცარსა თავსა ზედა იყრიდა, რომელ რისხვა ღვთისა ეწეოდა“ (მ. ხონელი, ამირან-დარეჯანი, II, 131); „ხოლო მარდოხე გულისხმა ჰყო განზრახული, დაიბო სამოსელი თვისი და შეიმოსა ძაძითა და დაიხსა ნაცარი“ (დაბადება, ესთერი, IV, 1).

ძველად ებრაელებს ასეთი ჩვეულება ჰქონდათ: გლოვისა და მწუხარების დროს, აგრეთვე დამცირებისა და თავის უღირსების ნიშნად, იწვენენ კერის პირად და თავზე ნაცარს იყრიდნენ.

სამეგრელოში, ჯერ კიდევ ამ 70 წლის წინათ, ჩვეულება იყო: როცა კოლს ქმარი მოუკვდებოდა, კერის პირას დაწებოდა, ულოგინოდ, ტანაუხდელი და ნაცარში გორაობდა. იგლოვიარე იმავე ნაცარს თავზე იყრიდა და ეს ჩვეულება გრძელდებოდა სისტემატურად მთელი წლის განმავლობაში.



მოსამძიმრე რომ მოჴუვიდოდა მგლო-
ვიარე ღუდაკაცს, ერთმანეთს შესტი-
რებდნენ, ხოლო მგლოვიარე თან ნა-
ცარს იყრიდა თავზე.

ეს ჩვეულება უნდა ჩაითვალოს ნაშ-
თად იმ დროისა, როცა ქმრის სიკ-
ვდილისთანავე ცოლსაც სწვევდნენ
ცეცხლში. ეს წესი რომ გადავიარდა,
მისი ადგილი დაიკირა თავზე ნაცრის
დაყრამ, ნიშნად დაწვისა, დანაცრებისა.
ღუდაკაცს წყველით ან შებრალებით
ღღესაც ეტყვიან ხოლმე: შე დანაც-
რებე ულ ოო!

ნაცარს იყრიდნენ თავზე აგრეთვე
თავის დამცირების ნიშნად, როცა მე-
ტად სასირცხვილო და ღვთის განსა-
რისხებელ საქმეს ჩაიდენდნენ.

თავზე ტრიალი ვისიმე პრდ. თავის
გარშემოვლა. ზღვ. მოუწოვებლობა
ვისგანმე, ერთვად აღლოს ყოფნა
ვისთანმე. „მაგდანა დიასხლისობდა,
თავზე დასტრიალებდა ქმარსა
და სტუმარსა“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 106).

თავზე ქვა დაიგორა პრდ. თავის თავზე
ქვა აგორავა. ზღვ. აიხირა რამე, არ
უნდა ვადანთქვას ნათქვამი, თავისი
უნდა ვაიყვიანოს.

ეს თქმა გაჩენილია ერთი ახირე-
ბული და ჯიუტი ადამიანის საქცი-
ელის გამო. რაღაც უსაფუძვლო აუხი-
რებია და თავის ნათქვამის დასმტკი-
ცებლად ქვა აუგდია, თავი შეუშვერია
და უთქვამს: ეს ქვა, რომ დამეტეს კი-
დეც, არაფერს მიზამსო. ხოლო თვითონ
თქმა, თავზე ქვა დაიგორა. გამომხატ-
ველია ჯიუტის, თავისნათქვამი ადა-
მიანის საქციელისა.

თავზე ქონის წახმა ის. თავის მოქონვა.

თავზე შემოვლლება პრდ. თავის გარშე-
მო შემოტარება (რისამე ან ვისამე).
ზღვ. ხეწნა, მუღარა, აჯა, დიდი
თხოვნა, მოვლა, პატრონობა, ზრუნვა.
„უტკირე კარგად, როგორ თავზე
გვევლებმა, ზედ დაგვკანკალებს
შოშით, ლამის ფერფლად იქცეს სა-
ცოდავი“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 302).

საქართველოში, ძველად, როცა
ავადმყოფის მოსარჩენად ყოველი ღო-
ნე იქნებოდა ნაღონები და ცდა მიანიც
უნაყოფოდ რჩებოდა, ავადმყოფის
პატრონები მის გადასარჩენად უკანა-
სკნელ საშუალებას მიმართავდნენ. ეს
საშუალება იყო: ავადმყოფის გარშემო
შემოვლება ცხოველისა (დემეუსის,

ხბოს, ცხვიარის), რომლისათვის, შეველი
აღთქმის „განყვანების ვაცის“ მსგავ-
სად, უნდა ეტვირთებინათ ყოველივე
სენი ავადმყოფისა და, ამგვარად, კარ-
ზე მომდგარი სიკვდილი ამით გაესტუმ-
რებინათ.

უნდა ვიფიქროთ, რომ, როცა გავირ-
ვებისგან თავის დაღწევის ასეთი აზრი
ჩაესახა თავში ჩვენს შორეულს წინა-
პარს, ცხოველის მაგიერ ადამიანი ეწი-
რებოდა მსხვერპლად სიკვდილს; მხო-
ლოდ შემდეგში შეარბლა ადამიანმა
ეს ჩვეულება და ადამიანს ცხოველი
უმაჯიგრა სამსხვერპლოდ. სულ ბოლოს
კი ადამიანმა უფრო ძვირი ცხოველი
უფრო იაფულისანით შესცვალა და „გან-
ყვანების ვაცის“ როლი დაიკისრა
უფრო ადვილ საშოვარსა და ხელისა-
წვდომ საგანს — ორი კაპიკის ღირებუ-
ლების საქმეველსა და შინ თავისი სა-
კუთარი ხელით ჩამოქნილ თაფლის
სანთელს. ამიტომაცაა, რომ 40—50
წლის წინათ (მაგ., სამეგრელოში)
აღერსის დროს ასეთი სიტყვები ის-
მოდა: „სამთელ-საქმეველად თავს შე-
მოგვევლო!“

ავადმყოფის გარშემო ცხოველის შე-
მოვლებასთან ერთად სასთუმალთან
დასდებდნენ რკინეულს (ეულს, წალღს)
ან სპილენძის ქვაბს დაპირებულის შეს-
რულების გიროდ.

ავადმყოფის მორჩენის შემდეგ მის
თავზე შემონავლები დაიკვებოდა იმ
ხატის სახელზე, რომელიც, მათი აზრით,
ავადმყოფს მოარჩენდა. გიროდ დად-
ებული ნიეთის ხელახლა ხმაურმასაც მი-
შინლა დაიწყებდნენ.

შემოვლების ძალა, ჩვენი ხალხის
ძველი რწმენათ, ის იყო, რომ ამ შე-
მოვლების დროს ავადმყოფობა, სენი,
რაც უნდა უკურნებელი და ძლიერი ყო-
ფილიყო იგი, ავადმყოფის სხეულს
სტოვებდა და გადაიხიზნებოდა შემო-
ნავლებ სხეულზე.

ამგვარი წესი ავადმყოფის კურნე-
ბისა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში,
განსაკუთრებით მივირნილ ადგილებ-
ში, როგორიც სანეგრელო-სამურზაყა-
ნოა, ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში
არსებობდა. ეს წესი უდრიდა ებრა-
ელთა „განტყვების ვაცის“, რომელსაც
განტყვების დღესასწაულში ებრაელთა
ძველდღმთავარი თავს მოახვევდა ხალ-
ხის ცოდვებს და უდაბნოში გაავლები-

ნებადა. სწამდათ, რომ დაღუპულ კაც-თან ერთად ჰქრებოდა, შორდებოდა ცოდვების.

დღეს ქართულ მეტყველებაში დარჩენილი ფორმულა „თავს შემოგვევლე!“ ნიშნავს: ოღონდ ამისრულიე, რასაც გთხოვ და მზადა ვარ — თავს შემოგვევლე, ე. ი. გემოგვიერო, შენი ჭირი და სწულებმა რაც რამ გაქვს, ჩემს თავზე გადმოგიტანო, შენს ნაცვლად სიკვდილს პირში მე მივიყე, შენს მაგიერ მე მოვკვდე! თავს შემოგვევლე-ს შემოკვლე-ბული ფორმაა შემოგვევლე; ამისი ბუკივალენტებია: გენაცვალე, გემოგვიერე.

თავზე ცეცხლის დანთება ჰრდ. თავს ზემოდან ცეცხლის გაჩაღება. სტვ. დიდი უბედურების დატება თავზე (ვისთვისმე). საქმის გაპირება, არმოსვენება. „გროშიც რომ არ გებაღოს, უნდა უყიდო წვეწ-ძალღებ, თორე თავზე ცეცხლს დაგანებენ გაფთრებულ ტყაუფრასავით“ (დ. მაჩანელი, ქიზიყის მწუბარება, იგ., 1901, № 202).

თავზე ცივი წყლის გადმოსხმა ჰრდ. ცივი წყლით დასველება ვისიმე თავისა. სტვ. გულის გატება, იმედის გატრუება. „ჩვენ თულებივით შევიკრებით სახლში და რა ვნახეთ? ვნახეთ ის, რის ნახვამაც მთლად წყლები მოგვწყვიტა და თავზე ცივი წყალი გადმოგვასხა“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 157).

თავზე წისქვილის ბრუნება ჰრდ. თავზე წისქვილის ქვების დატრიალება. სტვ. დიდი გაპირებაში ჩაგდება თავისა, უკიდურეს მდგომარეობაში ამოყოფინება თავისა, გაჯავრება. „გაწყრა, გაჯავრდა სცნის ციხე, წისქვილს იბრუნებს თავზედა“ (პ. უმიკაჯილი, I, 53).

თავზე წნელი მოუპირეთ ჰრდ. თავზე გარშემო დაგრებილი წნელი შემოავლეთ, რომ თავი არ გაეხსნას. სტვ. ქვეა არ გაეპაროს თავიდან.

იტყვიან დაცინვით, როცა ადამიანი სულელურ რაიმეს იტყვის და ჰგონია — ქვიანური ფტკვიო.

თავზეხელაღებული ჰრდ. ვისაც თავის თავისთვის ხელი აქვს მოშორებული. სტვ. ვინც თავის თავისათვის არა ზრუნავს, ვინც არა ნაღვლობს, რაც მოუვა; უშიშარი, უკრძალველი, მოურიდებელი, თავმოქმედებული. „აქ

არ უნდა ყოფილიყვნენ თავზეხელაღებული, რომელთაც არაფერი აღარ დარჩენიათ ამ ქვეყნად და სიბოროტეს ბოროტებას იდვილად უმატებენ“ (სვ. ყიფიანი, მგვობრის ნაამბობი).

თავზე ხელის გადახმა ჰრდ. ვისზე ხელი რომ გადაავლო რამდენჯერმე თავზე. სტვ. მოფერება, მოალერსება, წაქეზება, გათამამება.

თავზე ხელის მოხმა ჰრდ. თავზე ხელის ჩატარება ზვიდან ქვევით. სტვ. თავის იმედით ყოფნა, მხნეობის გამოჩენა, თავის თავის პატრონობა. ვიზედმე დამოუკიდებლობა, სრულწლოვანობა. „მშვიდობით, დათუ! ღმერთსა და პატრიოსან წმინდა გიორგისა ვთხოვ, რომ ისევ კარგა ვახდე და ვაქცაქურად მოისვა ისევ თავზე ხელი... ფიქრი ნუ გაქვს, ღმერთია მოწყალე“ (6. ლომოური, 41); „თებერა იმის ნატერაში იყო... ოჯახი გაეცოცხლებინა, კერის ანგელოზი გაეღვიძებინა... ახლა ბიჭმა უკვე თავზე ხელი მოისვა: დავაქცა-ცებული ახალგაზრდა და თავისით ცხოვრებაც შეუძლია“ (ვ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 5).

თავზე ხელს მოვისვამთ ხოლმე, როცა რაზედმე დაფიქრდებით, როცა ვედებთ გაპირებებისაგან თავის დაღწევის საშუალებას, როცა ჩენი იმედით-ღა ვართ და გგვონია, რომ შევერღებთ გადავლახოთ ყოველივე დამრკოლებმა. ამ შემთხვევაში თავზე ხელის მოხმა გულისხმობს დასაკებას, ძალ-ღონეს, შეძლებას, ყრმობისა და უძლურობის პერიოდიდან გამოსვლას. მსგავსადვე, როცა უფროსი უმცროსს, პატარას თავზე ხელს გადაუსვამს, ამით გამოხატავს მოფერებას, მოალერსებას, ამავე დროს დაარბინებებს. აგრეთვე, თავზე ხელს გადაუსვამთ პატარას, როცა იგი კარგ რასმე ჩაიდენს და ამით ვერუბნებით, რომ ის ყოჩაღს, ქების დიონისა, ჩაუდენია დიახ სავაქაცო და მოსაწონებელი საქმე.

თავზე ჯოხის გადამტვრევა ჰრდ. თავზე ჯოხის ისე მაგრად ცემა, რომ ზედ გადატყდეს. სტვ. ძალზე ცემა, შეურაცხყოფა, სირცხვილის ქმევა, დაბრკელება, აგდება. მგლ., „კაცოს მისდგნენ და თავზე ჯოხი გადაამტკრიეს, ისე ბეგგეს“.

10. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი.



თავი პრ. ზედა ნაწილი ადამიანის სხეულისა, ხოლო წინა ნაწილი ცხოველის სხეულისა, რომელიც შედგება თავის ქალას ძვლებისა და პირისახისაგან. სჭვ. ჩინებული, საუკეთესო, რჩეული. მგლ., „ჩვენს მეგობართან დაგვპატიყც და სულ თავი ღვინო გვასვეს. მერე ისეთი იყო, დალოცვილი, რომ სმით ვერ გაძღებოდა კაცი“.

თავიანი პრ. ვისაც თავი აბია ტანზე. სჭვ. ჭკვიანი, გონიერი, მიხედვრილი, განჯარგულეების მიმცემი, საქმიანი, გამჭრიახი, საქმის მომგვარებელი.

თავი არა მაქვს პრ. უთავოდა ვარ. სჭვ. დავიდარბანს ვერ გავსწევ, არ შემძლია გავისარჯო, ვერ ვიწრომებ, თავს არ შევიწუხებ, მოუცლელი ვარ. „როგორ თუ, ბიჭი რაღაა და გოგო, — მოვიკიდა აღმური ნატალოს. — ბიუს ქრთამი მოვლდება, მზითევი, თუ გათხოვება? მე იმის გათხოვების თავი არა მაქვს“ (გ. ყარაბაიბე, ნატრითვალა, „ივ.“, 1904, 269).

თავი ბოლოს არ ებმის და ბოლო—თავს პრ. თავი და ბოლო ერთმანეთს არ უდგება. სჭვ. არეულბაა, ერთმანეთის წინააღმდეგობაა. „თავი ბოლოს არ ებმის და ბოლო—თავს. ერთს გვერდზედ მიკრავს კობითაც ვერ მპოულობს მას, რაც მეორეზედ მთელს რაზმად მოსჩვევბი, რომელი ერთი დავუჯეროთ?!“ (ილ. გავაფაძე, IX, 48).

თავი გაუხშია სჭვ. მოუკლავს, დაუმარხავს, სიცოცხლე წაურთმევია. „პაი, დედასა, ბევრი თავი არ გაუხშია ამ ცაცხვსა!.. ბერო, რამდენი წლისა იქნება, ცაცხვი? ჩაეკითხნენ ბეროს, ღრმად მოხუცებულს, რომელსაც გული არ დაჰბერებოდა და მუდამ ღვინის პაბად იყო“ (ს. მგალობლიშვილი, I, 147).

თავი დაგვიკრა პრ. მოგვესალმა, თავის დაღუვებით მოგვესალმა. სჭვ. გარდაიცვალა, მოკვდა. „1843 წ. 21 აგვისტოს (პოეტის ნ. ბარათაშვილი) ორბელიანს ატყობინებს: ... მამა ეგნატემ თავი დაგვიკრა იმიერსოფლიდან, — ერთი თვეა, რაც გარდაიცვალა საწყალი“ (ლიტერატ. მარტიანი, I-11, 1940, 425).

ეს თქმა ხუმრობითია, იხმარება შინაურ ლაპარაკში მეგობართა შორის

ვინმე ძალზე მოხუცებულის გარდაცვალების შესახებ, რომლისათვის მანცადამანც გული არ ეწვით.

თავი დავიჩნეთ პრ. თავი არსად წაგივიდეს, შეგარჩეს. სჭვ. იცოცხლე, სიცოცხლე შეგარჩეს, სიკვდილი მოგშორდეს, ნუ მოკვდები.

ვინმეს სიკვდილის დროს ამ ფორმულით მიმართავენ მიცვალებულის პირისუფალს სამძიმრისა და თანაგრძობის გამოსაცხადებლად: ვითომდა ვაკმაროთ, რაც უბედურება თავს დაგატყდათ, თქვენ მანც დარჩენილიყოფით ცოცხალი და უვნებელიო.

თავიდან პრ. თავიდან მოკიდებული. სჭვ. დასაწყისიდან.

თავით მარადის დანაყვა პრ. თავის ხმარება თილთაქვის მაგივრად მარილის დასაფშენელად და მტვრად საქცივად. სჭვ. ვისთვისმე თავის დაუზოგველობა, უზომო პატივისცემა. იხმარება ვისიმე უმადურობის, პატივისცემის დაუფასებლობის გამოსახატავად. მგლ., „მავანი ისეთი უმადურია, რომ თავით მარილი რო დაუნაყო, მანც არ გიზამს სიკეთესა, მანც არ ვადავიხდის შენს პატივისცემას“.

თავით ფეხამდის პრ. თავიდან მოკიდებული რაც ფეხამდის მანძილია. სჭვ. მთელ სივრცეზე, საესებთი, სრულად, ფართოდ. „რას მიზრძანებ, ეკატერინეჯან, თავით ფეხამდის მისხლით მყავხარ აწონილი; მკვებარობა სრულიად შეუძლებელია“ (ლ. არდახანი, მორჩილი, 124).

იგულისხმება ადამიანის სხეულის სივრცე თავიდან ფეხამდის, როგორც საზომი.

თავი მთაქვს პრ. თავს თავისაკენა ხრის. სჭვ. თავი მოსწონს, თავისი თავი დიდი ვინმე ჰგონია, ამაყობს, ქედმაღლია, ზევაობს, თავს იტებს. „ცისკარის“ რედატორმა რომ ერთი ონმა ცარიელი ქალაქი შეახვიოს მუწანე ყდაში და დიდის ასოებით „ცისკარი“ დააწეროს, მავითი თავი რად მოაქვს? (ილ. გავაფაძე, IV, 89).

თავი მოიკლა პრ. თავი არ იცოცხლა. სჭვ. აიხირა, გაჯიუტდა, თავისი ხათქემის გაყვანა მიონდომა. „უღუნე, ცოლი თადეოზისა, ბევრი ეხვეწა: შვილი პაპის სახელი ასლანი დაარქო, მაგრამ თადეოზმა თავი მოიკლა“

დღეს კალენდარში იუდა მოციქულის დღეობა ამოვიდა და განვებამს როგორ უნდა ვაწყენინოვო“ (ს. მგალობლიშვილი, II, 49).

თავი მომაჰამა ხევეწით ჰრ. იმდენი მეხვეწა, რომ ჩემი თავი შემოკეპამა. სტვ. ბევრი მეხვეწა, არ მომასვენა. მგლ., „მანამ არ მოსივენა, სანამ თავი არ მომაჰამა ხევეწით“.

თავის ავლება ჰრ. თავის ასროლა მაღლა. სტვ. პატივის აყრა, ვასაცილოვება, გამისხარება თავისა. „ნინო რომ გადაიქოთხამს (წერილს), იტყვის თქვა: „... ვინაა, რომ თავი აუტღლია და ჩემის სახელობით წიგნები ავზავნისო...“ (რაფ. ერისთავი, III, 139).

თავისა და ბედის წყევლა ჰრ. ნატვრა უბედურებისა, სიკვდილისა. სტვ. სიმწარე, უკიდურესი გაჭირვება, დარდი, უმწეობა. „ისეთს მანუში ვაჰყო თავი, რომ სულ თავი და ბედი იწყველო“ (ავტ. ცაგარელი, კომედიები, 116).

თავისა და ფეხების მოკმა ჰრ. ვისიმე სხეულის თავისა და ფეხების მოშორება კბილებით. სტვ. რისამე დაშავება, შეწუხება, დაკლება, დაზარალება. „აიბე, აიბე, აიბე! რა დაგესხა, აღამიანო! გამოვო და ისევ ის ცეცო იქნება. რაც იყო; თავი არავის მოსჰამს და ფეხებსა“ (ს. მგალობლიშვილი, I, 130).

თავი სანეხვეზე კი არ მიპოვნია ჰრ. ნეხვის გადასაყრელ ადგილის კი არ გაეჩენილვარ. სტვ. ჩემი თავი უბრალო ვინმედ კი არ მიმანია; თუ სხვა არ მაფასებს, მე მაინც ფასს ვეძებ ჩემს თავს, მე მაინც მინდა ჩემი თავი სხვას არ დავაჩავგვინო. „ფეხებზედაც არ მკიდიან! თავი სანეხვეზე კი არ მიპოვნია!“ (რ. ფაფავანიშვილი, ამინდმაც ჩვენზე მოიკლა).

სანეხვე ქართლის სოფელში რომა მოა და შიგა ჰყრიან ხოლმე ბოსლიდან გამოტანილ საქონლის ნეხვსა. ეს ადგილი სინინჭურის ადგილად ითვლება.

თავის ატყევა ჰრ. თავისთვის ტყივლის გაჩენა. სტვ. ძალათი გაჭირვება საქმისა; შესაძლებელი იყოს დარდი არა გქონდეს, და მაინც ვაინინო დარდი, ზრუნვა, ნაღველი, შეწუხება. „ახლა გლენს სამუშაო საქონლის შენახვაც უჭირდება და სა-

ნაშენოდ ვილა რასმე გაჰმედავს ხელი გასჰრას და თავი აიტყვიოს“ (ილ. ჰაგვაძე, VIII, 236).

იგულისხმება, რომ, როცა ძალზე საფიქრბელი, ძნელად თავგასართმევი, თავსამტერევი საქმე გვაქვს — მეტისმეტი დაძაბულობისაგან თავი ავტყევა ხოლმე.

თავის აღება ჰრ. ძირს დახრილი თავი ზევით ამეწია. სტვ. სიარულის, ხეტიალის დაწყება; უხამსი საქციელი, თვითნებობა. „მენა და შენა იმისთანა ბატონყმობა არა გექონია, რომ ამელო თავი და სხვასავით მეჩივლა“ (ილ. ჰაგვაძე, II, 276); „მეც კი მამეწყინა, ვისაც კი თავი აუღლია, შემოვიყვანო და მუსაიფობა გავუწიო...“ (ლ. არდაზანი, მორჩილი, 115).

თავის აშვება ჰრ. დაბმული თავის გათავისუფლება. სტვ. თავის აწყვეტა, დაუმორჩილებლობა. „ეკლესიაში ლოცვები, დიდმარხვამ თავი აიშო“ (გ. ლეონიძე, სტალინი, 132). იხ. თავაშვებული.

თავის გადაღება იხ. თავის დაღება.

თავის გადაკვრა ჰრ. სწორედ გაუჩრებლობა თავისა, თავის თავის განზე მიღება ძირს დახრით, თავის დაკიდება. სტვ. სიკვდილი. „შვილო, ვერა ჰხედავ, მამაშენი ერთი შემოვლა-და არის!.. მაგან რომ უცებ თავი გადააჰკრას, როლა გვეშველება“ (ივან. მენთეშაშვილი, კოლა მშველიშვილი, „ივ.“, 1903, № 252).

კაცი რომ მოკვდება, თავი ვერტიკალურად ვერ გაუჩრდება; განზე გადაეხრება და ჩამოეკანტურება. ამას ეძახიან თავის გადაკვრას ანუ განზე დახრას.

თავის გამომზა საქმისათვის იხ. თავის-მომზა.

თავის გამოღება ჰრ. თავის გამოჩენა შეინდან გარეთ, სხვების დასახელებლად. სტვ. მეტისმეტი ცლა-მონღომება, თავის არდაზოგვა საქმის გასაკეთებლად, ყოველივე ზომის ხმარება მიზნის მისაღწევად. „ჩენი ფიქრით კი, თხც რომ დავიკარგოს, პოლიციის ბოქაულმა თავი უნდა გამოიდოს, მთელი ის არე-მარე ფეხზე დააყენოს“ (ილ. ჰაგვაძე, VIII, 257).

თავის გამოყოფა ჰრ. სახლიდან გარეთ გამოშვება თავისა. სტვ. სახლგარეთ



გამოსვლა, ურთიერთობა გარეშეებთან, ხალხში გარევა. „თურმე... ერო მეზობლებმა ვაიგონ, ის-ლა გვიინდა!.. თავს ვეღარ გამოვყოფთ, თავსა... უნდა ჩიქილამახდლით ვიარო გამოიროს გულისათვისა!..“ (ს. მგალობლისფილი, I, 110).

იგულისხმება, რომ, როდესაც ქალი თუ კაცი რასმე სააუგო საქმეს ჩაიდენენ, გაკილვისა და დაძრახვის შიშით შინ უნდა ისხდნენ, უნდა დაიმალონ, სახლიდან გარეთ ვეღარ გამოვლენ, თავს ვეღარ გამოაყოფენ სახლიდან, მეზობელს თუ გარეშეს ვეღარ ერევენ-ბიან თვალთ.

თავის გამსუბუქება ჰრდ. თავის გამაჩტება, სიმძიმის მოშორება თავისაგან-სტყ. სიღარბისლზე ხელის აღება, არასერიოზულობა, უქეუობა. „თავი არ გაიმსუბუქო, რაც სიმსუბუქე გაკლია, გადანაფურთხის ალოკვა კაციისთვის დიდი ნაკლია!“ (ვაჟა-ფშაველა, III, 120).

თავის გატანა ბოლომდე ჰრდ. თავი გზის ბოლომდის რომ წაიღო. სტყ. პატრიოსნად, უყვედრელად დარჩენა ბოლომდე, თავის შენახვა, გაძლება, თავის დაცვა, გულის ნადების ასრულება. „იქნება ის უფრო სჯობდა, რომ უფალმა ადელი არ შეგაულლა. ვინ იცის, შეილო, იმის დედამისის შეილი რა დედაკაცი დადგებოდა. იქნება თავი ბოლომდე არ გავეტანა და შენთვის თავს ლაფი დაეხსა“ (ფ. გაბაშვილი, მოთხრ., 150); „ამით გავეტანეთ თავი, დროთა შესაფერი დონე ვიცოდით, დროთა ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვექონდა, დროთა შესაფერი მზნეობა და გამრჯელობა“ (ილ. ჰაგბაგაძე, VI, 12).

თავის გაქნევა ჰრდ. პორიზონტალურად თავის იქით-აქეთ დანძრევა. სტყ. უარის თქმა, არდათანხმება მოლაპარაკესთან. „ეგა, ბიჭო, ეხლა კი არ არი თავი კაცი, აგე, რამდენი ხანია, თავკაცად ითვლება, თავკაცის ხარჯსაც იხდის და ახლა რაღა თავს გააქნევს?! — დაუმატა მეორემ“ (ბენდისფილი, აღმეფული ოჯახი, იგ., 1903, № 198).

თავის გაცხელება ჰრდ. გახურება თავისა. სტყ. ზრუნვა, თავდაუზოგველი ცლა გაქორეებისათვის თავის დასაღწევად, განსაკუთრებული მეცადინე-

ობა, თავის გამოღება, დარდი, წუხილი, აღელვება. „აიღეთ და ხილიდან მტკვარში გადაავლეთ, მითომ კატის კნუტი ყოფილა! ობოლი, ოხერი, უპატრონო! ვინ გამოგედავებთ, ვინ გაიცხელებს ამისათვის თავსა!“ (აქვ. ვაგარელი, კომედიები, 323).

როცა კაცი გაბრაზებულია, სახეზე წამოპარხლდება, სისხლი თავში მოაწვება და თავი უხურდება. თქმა აქედან მომდინარეობს.

თავის გზაზე წასვლა ჰრდ. განგრობა სიარულისა იმ გზით, რომლითაც წამოვიდა. სტყ. თავის საქმის კეთება, თავისებურად მოქმედება, თავის მიზნისაკენ მიმართვა, სხვის საქმეში ჩაურევლობა. „... ერთს პირობას მოვახსენებთ და თუ დაგივდესთ, ხომ მიიღებთ, თუ არა და მე ჩემს გზაზე დწავალ“ (რაფ. ერისთავი, IV, 113); „დამესხენ... შენ შენს წერას ხომ არ აუტანისხარ, რატომ ვგრე არახუნებ, თუ ზურგი არა გქავა, შენ შენს გზაზე დწადი-მეთქი, თორემ...“ (ილ. ჰაგბაგაძე, III, 54).

თავის გულში თქმა ჰრდ. თქმა მხოლოდ თავისათვის, სხვისათვის არა. სტყ. ფიქრი, აზრი. „ახლა იმათ ყველას ჩემზე ბრაზი მოსდის და ამბობენ თავიანთ გულში: ეგ უჯეშო, ეგ ყველა ფრინველებში გამოჩრეული, როგორ ფართაშენს...“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 98).

გულში თქმა იგივე დაფარვაა იმისა, რაც პირით უნდა გვეთქვა სხვათა გასაგონად და მისახვედრებლად, სახელდობრ — თუ რასა ვფიქრობთ, ან რა გვაქმს განზრახული: სასიკეთო თუ სამტრო ამა თუ იმ ადამიანისათვის.

თავის დაღება ჰრდ. ძირს მოქცევა თავისა. სტყ. თავის დაუზოგველობა რისამე გასაკეთებლად, თავის განწირვა, მსხვერპლად მოტანა თავისა ვისთვისმე, სიკვდილი, სხვის გულისათვის საკუთარი თავის დაფიწება. „ავთან-დილისგან შენ იცი ჩემთვის თავისა დაღება“ (ზ. რუსთაველი, 1470); „კეკელა აღარ გათხოვდა დაქვრივების შემდეგ. შეიღებზე თავი დასლო“ (მელანია, ნაგარობა).

თავის დაღება გულისხმობს ძველად არსებულ ჩვეულებას, რომლის ძალით დამნაშავეს თავს ძირს ახრევენდნენ და მჭრელი იარაღით თავსა ჰკვეთდნენ.



ხატოვანად თავის დადება გვიჩვენებს თავის განწირვას ვისთვისმე ან რისთვისმე, ერთგულდება გამოხატავს, მხად-ყოფნას სასიკვდილოდ, თუ კი ამით ვშველება იმას, ვისთვისაც თავს იმეტებენ, ვისთვისაც სააქაო სიცოცხლე ჩალოდ უნნო.

თავის დაკვრა ჰრღ. სხეულის მოძრაობა თავის წინისაკენ და ძირს დახრით. სკვ. პატივისცემა, მისალმება, მორჩილება, სიმდაბლე, მონობა, სიკვდილი. „ყოჩაობაშია უბრძანა ჯარებს, მიემართათ თბილისისაკენ. მოიწვია თავადები, რომელთ თავი დაექრათ სპარსთათვის და ეტვირთათ მისი მონობა“ (ვ. ბარნოვი, დიდი მოთხრობა, 396); „სულ ობოლი ვარ, ბალღებო: დედაც მომიკლეს, მამაცა, უდროვოდ თავი დაუქრა შავბნელ სამარეს ძმამაცა“ (წ. მღვიმელი, I, 249).

თავის დაკვრა გულისხმობს მორჩილებას იმ ადამიანის წინაშე, ვისაც თავს უკრავენ. ამავე დროს, თავის დაკვრა გამოხატავს პატივისცემას, თავზიანობას.

თავის დაკვრავე ნიშნავს აგრეთვე სიკვდილს, როგორც ეს ნაგულისხმევეია შ. ძღვიმელის ლექსში. როცა გვიხდა ვინმეს სიკვდილის ამბავი ხატოვანად გამოვთქვით, ვიტყვი: „შავანმა დიდიხანია, თავი დაგვიკრათო“

თავის დაკვრა მძიმედ ჰრღ. ტანის მოძრაობა თავის ძირს დახრით. სკვ. მისალმება, დიდი პატივისცემის, მოწიწების გამოცხადება; მორჩილება, თავის სიმდაბლის გამააშკარაება, სადმე მისვლა. „გინდათ თუ არა, მიცანით, რომ გენიოსი ვარო და წინამორბედი ახალი დროისა, ახალის მოძღვრებისაო; საცა შემხვდეთ, თავი მძიმედ დაძიკართო, სუფრანზეც პირველი სადღეგრძელო ჩემი დალიეთო“ (ილ. ჰაჭავაძე, IX, 46).

თავის დახსლტვა ჰრღ. თავი რომ მოსხლიტოს, ცურვებით რომ მოაშოროს რასმე. სკვ. გასაქირისაგან მოხერხებულად თავის განთავისუფლება, აღვილად ხიფათს გადაჩენა. „იმედს დაუსჯელად გადაჩენისას, ან მთავრობის ხელიდან თავის დახსლტვისას ბევრად შეამკირებს ასეთი შეერთებული, ფიცხელი ზედმისევა პოლიციისა, მკვიდრისა და სასამართლოსი“ (ილ. ჰაჭავაძე, VIII, 269).

თავის დაქნევა ჰრღ. თავის დახრა რამდენჯერმე ზევიდან ქვევით. სკვ. თანხმობა, დასტურის დაქება, ნების დართვა, დაჯერება რისამე. შკლ. „შველა ვთხოვე მეგობარს და თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია“.

თავის დაქერა ჰრღ. ხელში ჩაგდება, მოწვევა, ჩაბლუჯვა თავისა. სკვ. თავის შეკავება, აუჩქარებლობა.

თავის დრო მოიქამა ჰრღ. თავისი სიცოცხლის ხანი გაატარა. სკვ. იცოცხლა, რაც ხანი უნდა ეცოცხლა, სიცოცხლე გაათავა, დაასრულა. „მისწყდა სოფელში ხმამაღალი სიმღერა საწვინახელში ჩამდგარ და ხელი-ხელ გადაბმული მუშებისა. მხიარულმა მაქრობამ თავისი დრო მოიქამა და მიჩუმდა, თითქო მოიღალა და მოქაბცაო“ (ილ. ჰაჭავაძე, III, 92).

თავის თხოვნა ჰრღ. თავის თავს დაწების თხოვნა. სკვ. მამაკაცის მიერ ქალისათვის სქესობრივი დაკმაყოფილების თხოვნა. „ტრეტრია მოწყვა რალაც ტყუილებს და ბოლოს თავი ჰთხოვა (ხელმწიფის ქალს)“ (თ. რახიკაშვილი, ზღაპრები, II, 125); „ავო კაცო, ვით გაბედე, შენ მე, ქალს, მთხოვე თავიო?“ (დ. გურამიშვილი, 134).

თავის მობმა ჰრღ. თავის გაკეთება ჭურჭელში ჩაყრილ ფქვილისა თუ სხვა რისთვისმე. სკვ. გავსება ძალიან, დამთავრება, დასრულება, მოგვარება, გაცემა, პატრონობა, ზრუნევა. „თუ ერზიანი ჯამი სილად იყო, ჯამს მსხლით სილადვე უვსებდა, და თუ თავშებმული, — თავს მოუბადედა მსხლითაც“ (წ. არაგვისპირელი, რწ. ნაწერ., 211); „საოცარი ნიჭი და გამპრიახობა გამოიჩინა მან ქირისაგან დატოვებულ მოვლა-თავის გამობმაში“ (მელანი, ნაწარმოები).

თავის დლით მკვდარი ჰრღ. მკვდარი მამინ, როცა დრო მოუვიდა სიკვდილისა. სკვ. ბუნებრივი სიკვდილით მკვდარი წინააღმდეგ მარცხად, რაიმე უბედური შემთხვევის სიკვდილისა გამო. „პაპაჩემი უკვე 90 წლისა იყო, როცა თავის დლით მოკვდა“.

თავისი კალო გაუღეწია ჰრღ. თავისი გასალეწი კალო გალეწილი აქვს. სკვ. რაც ცხოვრებაში გასაკეთებელი ჰქონდა საქმე, გაუკეთებია, თავისი მოქა-



ლაქომბრივი მოვალეობა საზოგადოების წინაშე მოუხდია, თავისი ძალღონე ადამიანთა კეთილდღეობისათვის შეუწირავს.

კალოზა მეურნეობაში ითვლება მთავარ მომენტად ამ მეურნეობის დიგორვენიებისათვის, რადგან ამ კალოზამ უნდა გამოარკვიოს გლეხკაცის მომარაგების მდგომარეობა. თუ კალოზე პურის საკმაო რაოდენობა გალექნა, მეურნეობა თავისი შრომა, პურის მოყვანისათვის გაწეული, ნაყოფიერი და დაჯილდოვებულად ჩათვალს.

ეს კალოზაც იმიტომ უპირისპირდება ადამიანის მიერ თავის მოქალაქეობრივი მოვალეობის ასრულებას, მის მიერ ცხოვრებაში უმძიმეს საქმის გაკეთებას.

თავისი პური მოუჭამია ჰრდ. შეუჭამია, რაც თავის სიცოცხლეში პური უნდა უჭამა. ზღვ. თავისი სამყოფი დრო უცხოვრია, თავისი დრო წაუღია. „... ვუპასუხე მე, — თავისი პური მოუჭამია, დღეიდან აღარც ავად არგია საზოგადოებას და აღარც კარგად“ (აკაკი, I, 101).

თავისი ხელით ყელის გამოჭრა ჰრდ. კაცს თვითონ რომ გამოიჭრის ყელს, კაცს მოიკლავს. ზღვ. თავის ხელით მიყენება თავის თავისათვის კუთვნილი სასჯელისა დანაშაულისათვის.

თავის კალაპოტში ჩაყენება ჰრდ. თავის ჩვეულებრივს კალაპოტში მოთავსდეს. ზღვ. ვისიმე იძულება ზომიერება დაიცვას, დამშვიდდება, დამწყნარება, საზღვარს გაუცდენლობა, კაჟის სწავლება. „მეშინაც კი ვერ დაიმშვიდა (ყაზარამ) გული და არ მიანება თავი იქვიანობას, როცა ცოლი თავის კალაპოტში ჩააყენა. ესე იგი, არ შეეძლო ყოფნა ისეთს საზოგადოებაში, სადაც თვითონ ყაზარა არ იქნებოდა“ (მელანია, ნაფართობა).

თავისი ქორი ყველას გამოუჩნდება (ანუ გამოუქროლებს). ჰრდ. ქორს არავინ გადაურჩება. ზღვ. კაცი არავინ იქნება, მტერი და მაცხერ არა ჰყავდეს. შგლ., — „ნუ იტყვი, მტერი არა მყავსო! თავის ქორი ყველას გამოუჩნდება“.

თავის ქერქში, კანში არ ეტევა ჰრდ. მისი კანი ვიწროა მისი სხეულის მოსათავსებლად. ზღვ. საზღვარს სცილდება,

ზომიერება არ იცის, ამპარტენობს; მსუქანია უზომოდ. „როცა იციან მატბრიყვებმა, — ამბობდა კელოლი დათვი, — რომ ვერაფერს ჩამორჩებიან, რატომ თავისთვის არა ყრიან?! არ ეტევიან თავიანთ ქერქში მე დაეტეე ძალით“ (ვათ-შეშვლა, VI, 249).

თავისკენ თლა ჰრდ. დანით თავისათვის მოქრა მოსათელღისა. ზღვ. თავისკერძობა, მხოლოდ თავისთვის ზრუნვა. „მართალია, ინგლისს ჰსწამებენ, რომ კოლონიებს წურბელსავით ჰსწოვოს, სარჩო-საბადებელს არ არჩენსო და სულ თავისკენ ითღისო“ (ილ. გავაჟავა, X, 118).

თავის კვრა ჰრდ. თავის ამოყოფინება. ზღვ. ავღებული თქმა: გაგზავნა, მოშორება, დასჯა. „ხოლო ერთი ეს ვიკითხოთ: მინამ იმათ კატორღაში თავს უკრავდნენ და მერე იქიდან გამოიპარებოდნენ, მათი აცუცობა ხომ აქვე უნდა გაჩენილიყო და არსებულებო“ (ილ. გავაჟავა, VIII, 233).

თავის მალღა აუღებლობა ჰრდ. სულ თავდაბრილი ყოფნა. ზღვ. განიაღებებული შრომა, ზრუნვა. „წლებზედ ფეხს იდგამს (ჩვენი ხალხი), თავს მალღა არ იღებს, ჯაფას არ ერიდება, ძალღონეს არა ჰზოვავს, ოღონდ წლის სარჩო მოიპოვოს“ (ილ. გავაჟავა, VIII, 247).

თავის მივდება საქმეზე ჰრდ. თავი რომ მიმართო საქმისაკენ. ზღვ. საქმის კეთების დაწყება, საქმისათვის შედგომა. შდ. „ვზივარ ოთახში. ვეწევი ჩიბუხს ჩიბუხზედ, არ ვციო, რა ვყო ჩემს დროს, ვერ მიმივღღია თავი საქმეზედ“ (ვ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 82).

თავის მომკითხავი ჰყავს ჰრდ. თავის პატრონი, იმას ამბავის მკითხველი ჰყავს. ზღვ. არაფერი ვენება, სიკვდილი ვერას დააკლებს. შგლ., „დაჰკარ (ზურგზე), ამას თავისი მომკითხავი ჰყავს“.

ამას იტყვიან, როცა მიცვალებულის შესახებ ლაპარაკობენ და ამ დროს რომელიმე მობაასეთაგანს ცხვირს დააცემინებს. ამ შემთხვევაში ცხვირის დაცემინება, თანახმად ქართველთა ტრადიციონალულობისა, იმას ნიშნავს, რომ მიცვალებულს სურს ცხვირისდამცემინებელი „მოიკითხოს“, ე. ი. იკითხოს:



სად არის, რომ თან წაიყვანო, მოკულოა. მაშინ ცხვირისდამცემინებელს ზუგუზზე მუშტის დაარტყამენ სამჯერ და ვითომ სიკვდილს ეტყვიან: (ცხვირის დამცემინებელს) თავისი მომკითხავი, თავისი პატრონი ჰყავსო, შენი მოკითხვა არა სჭირიაო.

თავის მოსაფხანნი დრო არა მაქვს ჰრდ. იმდენი დრო არა მაქვს, აქავებული თავი ფრჩხილებით მოვიფხანო. **სჯ.** მეტად მოუტყლელი ვარ, თავისუფალი დრო არა მაქვს.

თავის მოფხანა ჰრდ. ფრჩხილებით ფხეკა თავისა. **სჯ.** დაფიცება, საგონებელში ჩავარდნა, სადარდებლის გაჩენა, სინანული, მიხედრა, მოგონება რისამე, ხელის ვადება. „... ბევრიც რომ თავი იფხანოს, ბევრიც რომ გაიჭაქოს, ამას ვერ გვეტყვის“ (ილ. ჭავჭავაძე, IX, 123); „წამიყვანა, მიმოყვანა ყაზახისას... მოიფხანა ყაზახმა თავი. მარა რა რიგად!.. რა არ მოგვიტანა, რა არ მოგვართვა, რა მასპინძლობა არ გავგიწია...“ (დ. კლდიაშვილი).

მოკულოდნელად საგონებელში ჩავარდნის ან სადარდელის გაჩენისას თავს მოვიფხანთ ხოლმე და ამით ვცდილობთ გამოვერკვიოთ, გამოვფხიზლოდეთ, მოვიგონოთ ის, რაც მანამდე არ მოგვიგონია.

თავის მოქაჩღება ჰრდ. თავის მოტყლება. **სჯ.** განსაკუთრებულად მოხდომება რაიმეს გაკეთებისა; სურვილი.

თავის მოქონვა ჰრდ. თავზე ქონის წასმა ვისთვისმე. **სჯ.** მოფერება, აღერისი, გულის მოგება, მოტყუება, პირფერობა, თხოვნა. „ჰაი, თუ შენც კი მისცვამ თავზე ქონს“ (მელანია, ბნელო); „გეყოფა მაგოდნა თავის-მოქონვა და აღერისი“ (გარდაჭმენი, „ოგ.“, 1905, № 17).

თავის მოჭრა ჰრდ. მჭრელი იარაღით სხეულისათვის თავის მოშორება. **სჯ.** მოკვლა, შერცხვენა, გაწბილება, სახელის გატება, გმობა, გაკიცხვა. „განა კი იქნება რამე, თავის მოჭრასა ვჩივი: ვინც გაიგებს, რას იტყვის, როგორ-და უნდა შევხედო ვისმე პირზე!“ (მელანია, ბნელო, 65); „ამან ქველადრმა კიდევ თქვენი ჭირი წაიღოს, მაგრამ ერთი მისთანა საქმე წაიღინა, რომ ოჯახსაც თავი მოსჭრა და ჩვენც სოფელსაცაო“ (აბაჯი, I, 39).

თავის მოჭრა ჰრდ. თავის დაწევა ძირს. **სჯ.** დამორჩილება, თავის დამცირება, თავის დამდაბლება. „გაგონილა, გინდათ თუ არა, ჩემს წინაშე თავი მოიხარო, მაჭე და მაღიღეთო!“ (ილ. ჭავჭავაძე, IX, 46).

თავის ტეხა ჰრდ. თავის ქალას მსხერევა, გატეხვა. **სჯ.** მეტისმეტი ზოუნვა, ფიქრი, დარდი, რაიმე საქმისათვის დაქანცვა. „ჩემ ბევრი თავის ტეხა არ უნდა, რომ კაცმა მართალი იპოვოს და იმ მართლის კვლობაზედ ყველას თავისი მიუწყვას“ (ილ. ჭავჭავაძე, VIII, 155).

თავისხანაქვამი ჰრდ. რასაც თვითონ იტყვის, ის არის. **სჯ.** ახირებული, ისეთი, ვინც რასაც იტყვის, ის უნდა გაიყვანოს. „რატომ? თუ ჰაანაქვამმა სვიმონმა შეიცვალა სჯული და მტკიცედ დააღდა სპარსეთთან მეგობრობას, ის რაღა არის?!“

— სწამს, თავისნათქვამიც არის“ (ვ. ბარათი, დიდი მოუზრავი, 270).

თავის საციმბიროდ გახდომა ჰრდ. თავი ციმბირში გასაგზავნად რომ გაიხადო. **სჯ.** დიდი დანაშაულის ჩადენა. „ნუ, შეილო, ნუქ!.. უწინამც დღე დაღევიათ შენს მტრებსა!.. იმათის გულისათვის რად უნდა გაიხადო, შეილო, თავი საციმბიროდა, — ეუბნებოდა დედა და დამკვეთარ ძუძუებში იყოფდა შეილის ხელებს“ (ს. მგალობლიშვილი, II, 146).

ცარიზმის დროს მძიმე სასჯელი იყო ციმბირში გაგზავნა. ასეთ კაცს ეძახდნენ „საციმბიროს“. „გაციმბირებულს“ ან კიდევ — „ციმბირში სასჯელმონობდის“ და „შინდაბრუნებულს — „ნაციმბირალს“.

თავის უბედური ჰრდ. ვინც თავის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის არა ზრუნავს. **სჯ.** მიუზვედრელი, დაუდევარი, უშნო, უზრუნველი, უდარდელი. „თავის უბედური — ოსეთში გაჰყიდესო“ (ანდაზა).

თავის ქერქში დადგომა ჰრდ. გაჩერება იმ გარსს შიგნიდან, რომელიც ადამიანის სხეულს გარედან ფარავს. **სჯ.** ზომიერება, არმონდომება ზედმეტისა, დამაყოფილებელი უკვე მოპოვებულითა, ნორმალური მდგომარეობაში გაჩერება. „მაყავს რომ მოინდომა, კამბეჩის ტოლა გამხდარიყო, გაიბერა, გაიბერა და... გასკდა! ეს

საქმეც ასე არ გამოდის? შენს ქერ-
ქში და დღეც რაღა!" (ავტ. ცაგარ-
ელი, კომედიები, 292).

თავის ქნევა ჰრდ. იქით-აქეთ ნძრევა თა-
ვისა. ზგვ. გამოხატვა ვაოცებისა,
უკმაყოფილებისა, ანდა ექვისა. შგლ.,
"შე რო ეს ვუთხარ, იმან თავის
იქით-აქეთ ქნევა დაიწყო, — არა მგო-
ნი, ასე იყოსო".

როცა რამე გვაოცებს, გვაკვირებს
ან ზიზღსა გვგვირის, თანაც საექვოდ მი-
ვაჩინის, ამ სამსავე გრძნობას მუხჯურად,
თავის იქით-აქეთ ქნევით გამოვხატავთ
ხოლომე.

თავის შენახვა ჰრდ. გაძღება, დროს
წაღება, შებრძოლება, ვაპირვების
ძღვევა. "ჩვენდა სახუგეშოდ, ამისთანა
უქმად ყოფნამ, როგორც აზრისამ,
ისეც საქმისამ თავი დიდხანს
ვერ შეინახა" (ილ. ჰავაეაძე, IV, 226).

თავის ჩაქიდება ჰრდ. თავის ძირს და-
შვება. ზგვ. დაღონება, დაძმარება, და-
ფიქრება "რაზმი რომ თან მახლდეს,
პირდაპირ დავეცემოდ სისახლეს,
ეხლა კი მირჩევნია მკვდარი ვიყო! —
სთქვა საამმა და თავი ჩაჰკიდა" (ვ. ბარნოვი, ტფილისის აზრდილები, 196).

თავის ჩაღუნვა ჰრდ. თავის ძირს და-
ხრა. ზგვ. დარცხვება, მორიდება.
"შვილმა თავი ჩაღუნა და პასუ-
ხი არ გასცა" (ილ. ჰავაეაძე, III, 68).

თავის ჩვენება ჰრდ. თავის დანახვენება.
ზგვ. დანახება თავისი ღირსებისა
თუ ნაკლოვანებათა. "საკვირველია,
ღმერთმანი, იმდენი როგორ არ ეს-
მის, რომ თუ ამითთანა ხალხს თავი
არ ვაჩვენე, ძალდადაც არავინ
ჩამაგდებს" (ავტ. ცაგარელი, კომედიები, 108).

თავის ჩრდილისა ეშინია ჰრდ. მორი-
დება აქვს თავისი სხეულის ჩრდი-
ლისა. ზგვ. თავის თავისაც კი ეკრძა-
ლება, ერთი ბეწო გულადობა არ გა-
ახნია, უზომოდ მხალაია.

თავის ცეცხლის შეკეთება ჰრდ. რომ
ცდილობდნენ შენს ცეცხლს მოეციდოს
კარგად. ზგვ. მარტო თავისთვის
ზრუნვა, ფიქრი, თავის კერძობა.
"ხშირადა ჰნახავდით იმას ყრილობა-
ში და გაიგონებდით მის საყვარელ
სიტყვებს: "თქვენ, ჩემო ძმაო, ყველა
თავის ცეცხლს უკეთებთ,
სხვა ფეხებზე გკიდიათ" (ვაჟა-ფშავე-
ლა, V, 173).

თავის წაგება ჰრდ. დაკარგვა, მოშორე-
ბა თავისა. ზგვ. სიკვდილი, სიცოც-
ხლის შეწყვეტა, დაღუბვა. "... და-
მარცხდა, კინაღამ თავი წააგო-
(ვ. ბარნოვი, სამი რომანი, 291), "არ წა-
გავო თავი ჩემი, გაგიმთელი
ანუ წყულელი" (ნ. ციციშვილი, ზედი
მთიები, 56).

თავის წამოტყენა ჰრდ. თავის ოდნავ
ატყეება. ზგვ. მსუბუქი ავადმყოფ-
ობა.

როცა მიცვალებულზე ლაპარაკობენ
და ერთს უნდა მეორე დალოცოს, ასე
ეტყვიან: იმის (მიცვალებულის) მო-
სვლამდე (გაცოცხლებამდე) თავი არ
წამოგტკივდესო. რაც ნიშნავს:
სულ კარგად იყავ, შენს დღეში, თუნდ
ოღნავ, ავად არ გამხდარიყო!

თავის წაღება ჰრდ. ჩემი თავი ვინმემ
რომ მოძაშროს, მომაცალოს. ზგვ.
თავის მობზერება ერთისა და იმისა-
ვე განმეორებით, განუწყვეტლივ
თხოვით. შგლ., "ამ ოჯახქორომა თა-
ვი წაიღო იმდენი თხოვით".

თავის წვენში მოხარშვა ჰრდ. უწყულდ
მოხარშვა. ზგვ. საშინელი ტანჯვა,
წამება.

თავისწვერა ჰრდ. მხოლოდ თავის თავის
მცნობა. ზგვ. თავისნება, თავის ნა-
თქვამის გაძყვანი, დაქინებული. "მა-
ლიან თვითნება იყო ვაშლოვანელი
მკითხავი და თავის წვერა! იმას-
თან ყოველთვის შიშით და კრძალვით
მიდიოდა ხალხი" (ვ. ბარნოვი, ფერაფ-
ფერადი, 46).

თავის ხელით საფლავის გათხრა ჰრდ.
თავის თავის საფლავი კაცმა თვითონ
რომ გათხაროს. ზგვ. გაუბედურება
თავის თავისა, მტრობა თავის თა-
ვისა, თავის მოკლა. "მან როგორ
ჰნებაეს ამ გერმანიაში გამეცნიერე-
ბულს ვაებატონს, რომ ბანკა თა-
ვისი ხელითვე საფლავი არ
გაითხაროს?" (ილ. ჰავაეაძე).

მიცვალებულისათვის საფლავის გა-
თხრა, რა თქმა უნდა, ცოცხლებს უხდე-
ბათ ხოლომე. ხოლო როცა კაცი იმუ-
ლებული თავის ხელით საფლავი გა-
ითხაროს და შიგ ჩაწვეს, ეს ნატოვა-
ნად ნიშნავს აღამიანს, რომელმაც ჩა-
იღინა ისეთი მძიმე რამ საქმე, რომ სა-
სიცოცხლო პირი არა აქვს, თავის ხე-
ლით თავი აქვს მოსაკლავი და მკვდრე-
შია ჩასათვლელი.



თავის ხლა ქვისათვის ჰრღ. თავის დარ-
ტყმა ქვისათვის. სჯვ. დარდის ვაჩენა,
ქმრუნის მოჯარვა, გაუბედურება, მუუ-
პარუნის შემოკრება, სიკვდილი. „წა-
დი ეხლა და თავი ქვეს ახალე“
(ავტ. ვაგარელი, კომედიები, 27).

ძველად ჩენი პირველყოფილი წი-
ნაპრისათვის ქვა იყო ერთად-ერთი მა-
გარი და ადვილად ხელმისაწვდომი
იარაღი, რომელსაც სხეულის რომელ-
სამე ნაწილზე, უფრო თავზე, დარტყმით
შეეძლო მწვავე ტკივილი და სიმწარე,
თვით სიკვდილი გამოიწვევია იმისი, ვი-
საც დაერთყმოდა.

მაშასადამე, ქვეს ხმარობდნენ მოწი-
ნაღმდეგის, მტრის დასასახიჩრებლად,
მისთვის სიცოცხლის მოსასპობად. ქვა-
სავე ირტყამდნენ თავში საკუთარ დარ-
ნაღველის გასაქარვებლად, როცა უკი-
დურესად გამეწარებული თავი სასიცოც-
ხლოდ არ ემეტებოდათ.

აქედანაა, რომ სიკვდილს ემაგიერე-
ბოდა ქართული თქმები: თავი ქვეს
ახალე (წყველა)! რა თავი ქვეს
ვახალო! თავი ქვისთვისამც
გიხლია! და სხ. და სხ. ყველა ამ
თქმით მიმართავდნენ ხოლმე სასი-
კვდილოდ გამეტებულთ.

თავის ხლა კედელზე ჰრღ. თავის მი-
ჯვრა, თავის ხეთქვა კედლისათვის. სჯვ.
მეტად გაპირვებული საქმე, სადარ-
დებელი, სამწუხარო მდგომარეობა,
სასოწარკვეთილი ყოფნა. „ბევრიც
რომ თავი კედელს ვახალოთ,
ამას ჩვენგან საშველი არა აქვს რა,
თუ საერთოდ ყველას არ ეშველება“
(ილ. ჰაგვაძე, VI, 328).

თავი ჩემი მე მახლავს ჰრღ. თავი ჩემი
ჩემს გვერდითაა განუყრელად, თავი
ჩემი მე მეკუთვინის. სჯვ. ყოჩაღადა
ვარ, ყოველ დაბრკოლებასა ვძლევე,
ცოცხალი ვარ, მტრისათვის პასუხის
კაცება შემიძლია.

თავიცი იქა მქონია და ფეხებიც ჰრღ.
ჩემი სხეულის თავი და ფეხები იქ
იყო. სჯვ. მთელი არსებით იქ ვიყა-
ვი, ყველასა და ყველაფერს ვხედავ-
დი, არაფერი გამომპარავდა უნახავი
და გაუგონებელი. „თავიცი იქა
მქონდა და ფეხებიცა, მე რა-
ტო არა ვავიგე-რა, თუ ეგრე იყო“
(ს. შვალაბლიშვილი, I, 111).

თავი ხელთ არა მაქვს ჰრღ. თავი ხელში
არ მიჭირავს. სჯვ. ჩემი თავის პატ-

რონი არა ვარ, ჩემი თავი მე არ მცე-
კუთვინის, თავისუფალი არა ვარ, ბე-
რი საქმე მაქვს გასაკეთებელი, მოუ-
ცლელი ვარ, ჩემთვის ვერა ვზრუნავ.
„თითონ ტარიელმაც კარგად იცის,
რომ თავი ხელთ აღარა მაქვს
და რა ყოფაშია ჩავარდნილი გულის-
თქმისაგან, რომელიც ვერაფრით ვერ
დაუდუმებია“ (ილ. ჰაგვაძე, IV, 189)

თავლაფდასხმული იხ. თავლაფიანი.

თავლაფიანი ჰრღ. თავზე ლაფდასხმული.
სჯვ. შერცხვენილი, აუგანი, სახიზ-
ლარი, არგამოსაჩენი, ვალანძლული,
დამცივრებული, საქვეყნოდ შეურაცხ-
ყოფილი, გაწიბლული. „თავისი
ძლევიმოსილი კალთა გადააფარა
(გ. თუმანოვმა) მანებლარისა, მო-
ხსნა თავის თავლაფიანს ლექსე-
კონს პირი და მოესია საცოდავი
„ივერიას“ (ილ. ჰაგვაძე, IX, 347); „მე
არგასაზრდელი, შენა.. გაგიწყდეს
სახელი, კარგი რამ შენ გამოდიხარ..
შე ლუპუსტაცო, წამბდარო, თავ-
ლაფიანიო!“ (რაფ. ერისთავი, IV, 301).

იხ. თავზე ლაფის დასხმა.

თავლაფის დასხმა იხ. თავზე ლაფის
დასხმა.

თავმდაბალი ჰრღ. ვისაც თავი მდაბლად

უჭირავს. სჯვ. მორჩილი, მშვიდი,
წყნარი, არაზევაი, არაგულმალალი,
არაქედმალალი.
კაცია — ცოდნით, ფიზიკური ღონით
სხვებმა სჯობნის, მაგრამ ეს თავისი
უპირატესობა საკვებურად არ გაუხდია,
ამით თავი არ მოაქვს. საჭიროების
დროს ერთსაც გამოიყენებს და მეორე-
საც; ვარკმეთ საქმით დანახვეებს თავ-
ვის ცოდნასა თუ ღონეს. ასეთ კაცს
თავი მდაბლად, მორიდებულად, მოთა-
კილედ, კდემამოსილად უჭირავს, და მის-
თვის თავმდაბალი კიდევ ამიტომ
დაურქმევიათ.

მაგრამ არის მეორე გვარის თავ-
მდაბლობაც: როცა კაცი სუსტია გო-
ნებრივად თუ ფიზიკურად და შეგნე-
ბული აქვს თავისი სისუსტე და ნაკლო-
ვანებანი, ასეთმა ძალაუნებურად უნდა
აიღოს ხელი ცუდმედილობასა და გულ-
ზვიადობაზე. ასეთი თავაწეულად სი-
არულს ერიდება, თავი მდაბლად უჭი-
რავს, ცდილობს არავის აწყენინოს რა,
პირიქით — სიტყვით თუ საქმით, ყვე-
ლას აამოს, ყველას პატივი სცეს, რომ

ამით სხვებს სარგებლობას ჩამოარჩეს. თავმოხმული ის. თავის შობმა.

თავმოპირილი პრ. ვისაც მკრეული იარაღით თავი აქვს მოშორებული სხეულისათვის. ს.ჯვ. შერცხვენილი, სიხელგატეხილი, დაგმობილი, გაკიცხული. „ჩიღვევ კარგი, საჯაროდ არ შეენუჯა კაბუჯი ჯიუტს, თორემ სირცხვილეთული დარჩებოდა და თავმოპირილი“ (ვ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 252). ის. თავის მოპირა.

თავმოძულეზული პრ. ვისაც თავის თავის სიძულვილი აქვს. ს.ჯვ. ვისაც შიში არაფრისა აქვს, არაფრისა ერიდება, ვისთვისაც სულ ერთია რა დაემართება.

თავნაბუარას გადიდენს პრ. თავზე ბზის მტკერს გადიდენს. ს.ჯვ. გულმოდგინედ და თავდაუზოგველად იმუშავებს.

გალეწილი პურის განიავების დროს მსხვილი ნალეწის ნარჩენს, რომელიც ხორბლის მარცვლებთან ერთად ძირს ეყრება, ჭვია ჩელხი, ხოლო ამაზე წმინდა ბზეს, რომელიც საქონლის საკვებად არ ვარგა და ნიაგს გააქვს კალოს გარეთ, ჭკვია ბრე ანუ ნაბუარი („ისე კარგად ვალეწა პური, რომ ბრე ანუ ნაბუარი აადინაო“). ნაბუარი მაგრად ლეწვის დროს ჭაერში ადის და თავს გადაედინება ხოლმე მლეწველს.

ნაბუარის თავს გადადენა გულისხმობს საზოგადოდ გულმოდგინე და თავგამოდებულ მუშაობას ლეწვის დროს, როცა ბზე მტვრად იქცევა ხოლმე.

ეს თქმა დაცინით იხმარება ზარმიც და თავიძვრენია კაცის შესახებ. „რა თავნაბუარას გადიდენს! იტყვიან ისეთზე, ვისაც მუშაობა და საერთოდ საქმის რისამე ქეთება ესიკვდილება ხოლმე.

თავპირის გლეჯა პრ. დაფხრეწა, დანაწილება თავისა და პირისა. ს.ჯვ. მწუხარება, ნალევლი, ვიშ-ვიში, გამწარება. „აი ძაა! — დასძახა კიდევ იმავე ხმამ ძაღლებს, რომლებიც ყუფით და თავპირის გლეჯით მისდევდნენ ტყისაკენ მიმობინავ მგელს“ (შ. არავესპირელი, რჩეული ნაწერები, 181).

დღი მწუხარების, გამწარების დროს ზოგიერთი თავში იცემს ხელებს, თმის იგლეჯს, სახეს იკაწრავს ხოლმე.

თავ-პირის მტვრევა პრ. დაღეწვა თავისა და პირისახისა. ს.ჯვ. ჩხუბი, ცემა-ტყემა, აურზაური, ლანძღვა-გინება. „ატყდება ყრილობის დროს ყაყანი: „არა, შენ მეტი და უკეთესი მამულეები გიქირავე და მე-ტი მაქლია! — მოხდება იმაზე ლანძღვა-გინება, თავპირის მტვრევა“ (ვათა-ფთხველა, VI 75).

თავ-პირი ჩამოხტირის პრ. სატირლად ემზადება მისი თავი და პირი. ს.ჯვ. ითქმის კაცზე: დღერჯილია, დღერჯიმოლია, გაუტყინარია; ცაზე: მოლორებულლია, საწვიმრად ემზადება, კინკუყლიანი დარია. „ქაცო, თავპირი რას ჩამოხტირის? ხმა ამოიღე, — შესძახა ვანო ზაღვიკას“ (ილ. ზღვთფრიძე, ნაწყებო, „ივ.“, 1903, № 1); „რა მოგვიდა, კაცო, რა თავპირი ჩამოხტირის ყარაჩების ათრაზორასავით?“ (დ. მაზანელი, დაქარგული ზაქები, „ივ.“, 1903, № 223).

თავ-პირს ვაკაწრით პრ. თითის ფრჩხილებით თავ-პირს კანს ვაცლით. ს.ჯვ. არ ვასვენებთ, თხოვნით თავს ვაბეზრებთ. „განა რომ ხელს არ გამოვიღებთ. თავ-პირს არავის ვაკაწრით, არა ვლანძღავთ, წასულს არ მიესდევთ და მოსულს მირისხანე სახით არ ვუხვდებით, იმიტომ არაფერი ვგრძობთ?“ (ვათა-ფთხველა, V, 255).

თავს ახვლა პრ. თავამდე მიღწევა. ს.ჯვ. მორეგნა, შესრულება, შეძლება, ვაკეთება. „არა მგონია, კმაყოფილი იყო. მაგდენი გისწავლია, მაგდენს კიდევ სწავლობ და ნუ თუ შენისთანა კაცისათვის მწერლად ყოფნა კმასაყოფელი საქმეა? მაგას უბრალო, უსწავლელი დიაკვანიც ხომ თავს აუთვა“ (ილ. პავლეაძე, III, 276).

თავსახსმელოად პრ. თავს ზემოდან დანახვრელად. ს.ჯვ. ბლომად, უზომოდ. „დასხდა მინდორზედ ხალხს ჯგუფ-ჯგუფად. საარაყე ქვაბებით ცეცხლზე ძროხა თუ ცხვარი: ვადმოურევათ მთიდან საკლავი. სასმელი ხომ თუნდ თავსახსმელოად“ (ვ. ბარნოვი, ვითრგი საკავებ, 343).

თავსაყრელი პრ. თავზე გადასაწევი. ს.ჯვ. ბევრი, უხვი, მრავალი, ურიცხვი. „... გამუდმებულნი ზაფხული ყოფილა, ხალხს ერბო და ყველი სრულ თავსაყრელი ჭქონია“ (შერიბა, „ივ.“, 1893, № 24).

თავს გადმოსვლა პრდ. თავეზით და-
ქცევა. სჭვ. ბეერი, მოკუარბება, ზომას
გადელილება. „ის კაცი, რომელსაც
საქმელი და სასმელი ექცევა, თუმიცა
ხარჯავს, მაგრამ მაინც თავს გად-
მოსდის, სიცოცხლის დროს ძალიან
უხვი და სტუმართმოყვარე იყო“
(თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, I, 234).

თავს გახვლა პრდ. თავს რომ არ ემორ-
ჩილება, თავს განრიგება, თავს მო-
შორება. სჭვ. მეტისმეტად კანდიერად
დაპერა თავისა, უგულუბელყოფა ყო-
ველგვარი წესიერებისა, მოურთიერებ-
ლობა, უმატიერებლობა, უსირ-
ცხვილობა, ავღება, უკდემლობა,
სიამაყე, ქედმაღლობა, უხნეობა, უნა-
მუსობა. „ხოლო ამ ბედნიერებისა-
გან რომ მეტისმეტად თავს არ გა-
ვიღე, იგი მარტო „გზა-და-გზა“
ჭკადრულობს ჩემთან საუბარსა“ (ილ.
გაგავაძე, IX, 137).

თავს დავლა პრდ. თავიდან, წინიდან
მოვლა მტერზე, თავს დაცემა. სჭვ.
ხელში ჩაგდება, დამარცხება, რისამე
დაკლება, ზიანის მიყენება. „სანამ
საქართველო ფეხზე იდგება, მაჰმა-
დიანნი თავს გერ და უგლიან
ბერქნთ; პონტის ზღვა აქედან და-
ხშულია მათთვის“ (გ. ბარნოვი, ტრფობა
წამებულის, 295).

თავს დახტრიალებს პრდ. მის თავს გარ-
შემო უფლის. სჭვ. უფლის, პატრო-
ნობს; უნდა დაეპატრონოს, ხელთ
იგდოს; ზრუნავს. „ორნივე (ცოლ-
ქმარი) გაფაცოცებით თავს დას-
ტრიალებდნენ დაქვრივებულ ბე-
კინას და თავგამოდებით ემსახურე-
ბოდნენ“ (დ. კლდიაშვილი, სამანიშე. ფე-
დინაცე, 56); „ყველას მოეხსენება, რომ
ამ გემრიელს კერძს (ოსმალეთს), დი-
დი ხანია, თავს დასტრიალებ-
დნენ (ეგროპის სახელმწიფონი), რო-
გორც სეაენი მძოგრს, და ყველას
კლანჭი გაწვდილი აქვს—კარგი ნაქე-
რი ხელთ იგდოს“ (ილ. გაგავაძე, X, 165).

თავს ხელა იწევს პრდ. ცდილობს თავ-
ის ზეერთკენ ჰქონდეს ამართული.
სჭვ. თავი მოაქვს, (კუდმერთიდობს,
თავის თავი დიდი ვინმე ჰგონია და
ნამდვილად კი არ არის, ამაყია, ზვი-
აღია, თავს იწონებს. „აბა წინადვე
ვიცი, თავი თავს არ მოვა და რაზედ
შეგრცხვე ესდროული დედა-კაცი, მე-
ტად მაღლა იწევს თავს“ (ილ.
გაგავაძე, მაქანაკალი, 378).

თავს მოგება პრდ. თავს მორაგება. სჭვ.
გონს მოსვლა, ცნობიერების მოკრე-
ბა, ავისა და კარგის გარჩევის უნა-
რის შექმნა. „სხვა რამ ფიქრს გა-
ეტაცნა ირანის მფლობელი, სხვა რამ
ემუნვა ესახებოდა შვეიან თვალეზნი.
ბოლოს მოეგო თავს; მიაქცია
ყურადღება კარისკაცებს. ყვენი არ
აადელევა ამბავმა“ (გ. ბარნოვი, ტფელ.
აზრდილები, 174); „სიდა მტერს (ამო-
ტმა) მსწრაფლის დევნით, არ მისცა
შედლება თავს მოჭკებოდა, არ
ანება დრო, შეფერხებულ-შემავრე-
ბულიყო რომელსამე ბურჯთან“ (გ. ბარ-
ნოვი, სამი რომანი, 266).

თავს მოხვლა პრდ. თავთან დაახლოება.
სჭვ. გონიერად, სასარგებლოდ მოჩვე-
ნება. „უნდა იცოდეს (მკითხველმა)—
რა ჯაფა და შრომა იყო საჭირო,
როგორც მისთვის (ილ. წინამძღვრი-
შვილისათვის), ისე იმ კერძო პირთათ-
ვისაც, რომელნიც ემხარებოდნენ,
რომ ამ სკოლის საქმე თავს მო-
სულიყო, რომ ღირსეულად და-
აფასოს საზოგადოებრივი მნიშვნე-
ლობა ამ მოვლენისა“ (ილ. გაგავაძე,
VII, 19).

თავს მოყვანა პრდ. თავთან მიახლო-
ება. სჭვ. დამთავრება, დასრულება,
გარიგება. „ეჰ, ეხლა რაღა დროა:
საქმე დამიწყია, უნდა თავი თავს
მოვიყვანო, თორემ არ მაცოც-
ხლებენ“ (ავტ. ცაგარელი, კომედიები, 293).

თავს უბუჭობა პრდ. თავი მსუბუქი რომ
ჰქონდეს. სჭვ. უქუჭობა, უტენობა,
სიბრაიყე, გონებრივი სიცარიელე.
„მართალია, გესჯის (დამბადებელი)
და აღრეც ბევრჯელ დაუქსჯივართ
თავს უბუჭობისათვის, მაგრამ
რა ვუყოთ: მთლათ ხომ არ მოვეფ-
ძულდებივართ, ზურგი არ შეუქცევა
ჩვენთვის“ (გ. ბარნოვი, ფეოდალ-ფერადი,
130).

თავს შემომამფრინდა პრდ. თავთან ფრე-
ნით მისვლა. სჭვ. თავი ამტკიცდა.
„ბევრიც მიხვეწინენ! აკი გეუბნები,
უგულბოდ ვიყავი, თავს შემომამ-
ფრინდა და იმიტომ ვერ წამოვედი-
მეთქი“ (გ. ბარნოვი, ფეოდალ-ფერადი, 282).

თავს წახვლა იხ. თავს გახვლა.

თავს ხმა პრდ. თავზე რომ ესხმის კაცს
წყალი ბლომად. სჭვ. დიდი და უცე-
ბი, ზოგჯერ მოკლე ხნის კოკისპირუ-



ლი წვიმა. მგლ., „საშინელი თავს ხმა მოვიდა, კინალამ წაგვიღო, დაუსველებელი ხომ არავფერი შეგვარჩინა!“

თავფქვილა ჰრღ. ვისაც თავში ფქვილი უყრია. სტვ. სულელი, ზერელე კჳუის პატრონი, ჩურჩუტი. მგლ., „ჩვენი მეზობელი მეტისმეტი თავფქვილაა, კაცი ვერაფერს გაუგებს.“

თავჭარიანი ჰრღ. ვისაც თავში ქარი უჭრის. სტვ. დაუფქვრებლად მოქმედი, სულელი, უჭკუო, დაუღვრომელი, ქარაფშუტა, ქარიფანტია, ჩიტირეკია.

თავჯჯი შემოყარა ჰრღ. ქაჯები დამახვია თავზე. სტვ. თავტანი ამირ-დამირია, კჳუაზე შემოშალა, მე თვითონ არ ვიცი, რას ვაკეთებ.

თავჯვე დაკიდებული ჰრღ. რაზედმე ჩამოკიდებული ისე, რომ თავი ქვევით ჰქონდეს და ფეხები მაღლა. სტვ. მეტად გაქირვებული, დატანჯული. „კაცო, თქვენმა გამარჯვებამ, დილით სადამომდის თავქვე ვკიდევართ და ვმუშაობთ, მაღლა ვერ აგვიხდენია და კიდევ შემშლილთა და სიცივით ვიხსებებით“ (მელანია, ორი საკლავი, 23).

როცა კაცი თავქვე დაკიდებული, სისხლის ნორმალური მოძრაობა სხეულში შეფერხებულია, სისხლი თავს მოაწვება, რასაც სიკვდილი მოჰყვება, თუ ასეთმა მდგომარეობამ დიდხანს გასტანა.

თავშენახული ჰრღ. ვისაც თავი დაკუთვნილი აქვს. სტვ. ვაფრთხილებული, წინდახედული, კრძალული, მორიდებული, მოსალოდნელი საფრთხის ამრიდებელი, თავდაქერილი. მგლ., „რევაზის ქალი მეტად თავშენახული ვინმეა, სულ კინი სააუგო საქციელი პირდაპირ ესიკვდილებს, ყოველსავე უხამობას მეტისმეტად ეკრძალებს“. ან. თავის შენახვა.

თავშეუღებლად ჰრღ. თავის ჩაუღებლობა ცარიელ რაშიმე. სტვ. უხალი-ლოდ, უგულოდ, მოუხდომებლად მოკიდება ხელისა რამე საქმისათვის. „ბ-ნი ეზოფი რომ ასე თავშეუღებლად არ აპყლოდა თავისს გულისთქმას, არა გვეგონია, ეს უმქველი საბუთის რუსეთის სახელმწიფო ტიტულისა ასე შეერყია წინდაუხედავად“ (ილ. ჰავჭავაძე, ქვათა დაღადი, 122).

თავში ამხანაგი უზის ჰრღ. თავში ამხანაგი ჩასჯდომია. სტვ. ირონიულად: მთერალია. მგლ., „შენ იმას რას უყურებ, ძმარ, ვერა ხედავ; თავში ამხანაგი უზის!“

თავში ასვლა ღვინისა ჰრღ. თავისაკენ მიმართვა ღვინისა. სტვ. დათრობის დასაწყისი. „მაგდანა და ანანო კი გათამამებით ხანდიხან ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ღვინის სძაში. მაგდანას თავში ასვლოდა ღვინო“ (ან. ერისთავ-ხონტარია, ბედის ტრიალი, 73).

ღვინო, როგორც სპირტული და მათობელა სასმელი, თუ ზომაზე მეტია დაღეული, მისი სპირტის ძალა თავში აუფარდება კაცს, სისხლი თავში მოაწვება და წამოაქარხლებს, ემართება ენის სიღამებლავე, სწორედ ვეღარ ლაპარაკობს. ყოველსავე ამას ჩვენი ხალხი ხატოვანად „ღვინის თავში ასვლას“ ეძახის.

თავში ბზე უყრია ჰრღ. თავში ბზე აქვს ჩაყრილი (ტვინის მაგივრად). სტვ. ტვინი არა აქვს, უჭკუაა, სულელია, ბრყვია, მიუხვედრელი. „მამ თქვენ გეგონათ, მე თავში ბზე მიყრია? არა, ძმობილებო, მეც ჩემი ჰქუთია ეცხოვრობ!“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 171).

თავში გაწევა ჰრღ. განზე, ცალმხრივ რომ შიაკვს თავი. სტვ. დაუმორჩილებლობა, თავისნებობა, ჯიუტობა, თავჭეიფობა, მიდევობა, სიჯიბე, სიკეპე, შეუპოვობა. „შენ, ეი, ეტო, თავში ნუ იწემ, თორემ...“ (ს. მგალობლიშვილი, I, 98); „ჯერ ეხამეშება გათხოვება. შეგვეჩვევა, მოიტენინებს, გიყი მოზვერიათ თავში იწევეს, მოიცადე, სულ ფეხის გულებს დაგვიკოცნისო“ (ქილილა და დამანა, 420).

თავში დაკრული ჰრღ. ვისაც თავში მოხვედრია გარეშეს ხელი ან სხვა რამ იარაღი და ტვინი შერყევიდა. სტვ. დარეტიანებული, ტვინჯამოლაცებული, გიყი, ბეჩავი, ჩიანაკი, ჩანწურა. „ამიტომაც ისტორიაში მოქმედ მამა-პაპის ავად სენებდაც არის და ამას გლეხი, ვით შვილი ერთისა და იმავე ქვეყნისა, ერთისა და იმავე ერისა, თავის ღღეში არ იკადრებს, თუ სანდალასავით ღმერთგამწყურალი და თავში დაკრული არ იქნება“ (ილ. ჰავჭავაძე, IX, 94).

თავისიაცემი პრდ. რამაც უნდა გამოიწვიოს თავში ცემა ხელითა; თავში ცემა რომ დასჭირდეს. ზკვ. საზრუნავი, სადარდებელი, საშოვარი, სატირალი, სანაღვლო, სამწუხარო, სადავიდარაბო. „მოზღვაგებულმა ხალხმა ცეცხლი მალე ჩააქრო. მაგრამ ახლა სხვა თავისიაცემი საქმე გაუხდათ“ (ვაჟა-ფშაველა, V, 190); „მოჰყვა ამას, ვითარცა აუცილებელი შედეგი, სხვადასხვა კანონები სადავიდარაბო და ორივე მხარისათვის თავისიაცემი“ (ილ. ჰაგვაძე, VIII 7). იხ. თავში ცემა.

თავში უჭრის პრდ. მის თავში ქარი ქრის. ზკვ. სულელია, ქუთა აკლია.

თავში ქვა იხალე და მუცელში სამართებელი პრდ. თავში ქვა დაირტყი და მუცელში სამართებელი იდგერე. ზკვ. გინდა, თავი მოიკალ, ოლონდ რაც ვასაკეთებელია, გააკეთე. მკლ., „სხვა გზა არ არის, თავში ქვა იხალე და მუცელში სამართებელი, ოლონდ რასაცა გთხოვენ, უნდა შეასრულო“.

თავში ქვის ხლა და მუცლის გამოფატვრა სამართებელი უდრის სიკვდილს, რომელსაც თვალი უნდა გაუსწოროს იმ ადამიანმა, ვისაც გაქირვება რაჰ კარზე მოსდგომია და სხვა საშველი არა აქვს — ვალის გადახდათ თუ რამ სხვა ვასაკეთებელი — ამ გაქირვებას თავი კი არ ააჩიღოს, არამედ პასუხი ვასცეს.

თავში ქვის ხლა პრდ. თავში ქვის დარტყმა. ზკვ. მეტისმეტრ გაქირვება, სასიკვდილოდ თავის გამეტება, დაუფასებლობა სიცოცხლისა, სიკვდილისათვის განშაღება. „ეგ ჩემი საქმე არ არისო, — უთხრა ხელმწიფემ, — თავში ქვა უნდა იხალო და მოიყვანოვო (ქალი)“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, II, 22); „პური როცა გვაკლია, თავში ქვას ვიხლით და ვშოულობთ, ღვინო როცა გვაკლია — ვირჯებით, ტანთ გვაკლია, ფეხთ გვაკლია, — იქით ვეცემით, აქით ვეცემით, რომ როგორმე ვიშოვოთ“ (ილ. ჰაგვაძე, VII, 262).

ტირილისა და უსაზღვრო სასოწარკვეთის ჟამს ქართველები თავში იშენდნენ ხელებს, რათა ამით გამოეხატათ ის აზრი, რომ თავი არ უნდა ეცოცხლებინათ; ხოლო უმეტესი განწირუ-

ლების გამოსახატავად და მიზნისათვის (თავის მოკვლის) უტყუარად მისაღწევად მიმართავდნენ აგრეთვე ქვას, როგორც პირველყოფილ და ყველასათვის ადვილად ხელმისაწვდომ იარაღს. თავში შემოკვრა იხ. თავში ცემა.

თავში შეჯღომა ღვინისა პრდ. თავში ასვლა ღვინისა და შიგ დაჯღომა. ზკვ. შეღვინიანება, ნასევამობის დამჩნევა, დათრობა. „— ეი, მათუშეკი, ჩემთან წამოდი, აი ფულები! — შეჰყვირა ქვევიდან ერთმა ჯარისკაცთაგანმა ზევით ქალებს, როდესაც რამდენისამე ქიქის შემდეგ თავში შეუუსხდათ...“ (შ. არაგვისპირელი, რჩეული ნაწერები, 432).

თავშიშველი (უქულო) პრდ. ქუდიღთ დაუთარავი თავი. ზკვ. შერცხენილი, არამამაკაცი, აუგიახი (დადარღიანებული), გაგვიებული სიმწარასაგან; უხამსი. „იციზოდეს, ყმაწვილობდეს, საყვარლად და კარგა ზმიდეს, ნაძლევიცა გააჩინეს, ამა პირსა დაასკვნიდეს: „ვინცა იყოს უარესი, თავშიშველი სამ დღე ვლიდეს“ (შ. რუსთაველი, 69); „ახარებდეს წამოჯღაო“, დედოფალი გამოზობდა, მეფე მორბის თავშიშველი, არ იცოდა, რას იქმნა“ (შ. რუსთაველი, 355); „წადით და იმ ცხენის ნალით უშლით დაუდაღთ და თავშიშველი და გაკაცებული ერთის მონით გაუშვით“ (ქაიხოსრო, ომანიანი, 118). იხ. ქუდი არა მხურია.

თავში ჩაკვრა იხ. თავში ჩაცხება.

თავში ჩარტყმული იხ. თავში დაკრული.

თავში ჩაცხება პრდ. თავში ჩაკვრა (ხელით ან იარაღით რითამე) ისე, რომ დასცხეს, ვისაც ჩაჭკრავენ. ზკვ. დამრიყვება, დაჩაგვრა, საგმის გაჭირვება, ცემა, დაჯახნევა, გაგვიება. „სოლომონ ბრძნის წიგნს რომ ჩააბულბულედა ხოლმე და გულდილობდა, — ეგ იმან ჩასცხო თავშია. ღმერთმა მავათხე გული აიყარა, ეხლა ალარა ეშველებათ რა“ (ილ. ჰაგვაძე, II, 226); „ნომ ისიც (ისაკაც), როგორც იმის თანამემამულე გღვებში, ყველას მონა უნდა ყოფილიყო; ყველას იმისათვის უნდა ებრძანებინა და თავში ჩაეკრა“ (შ. არაგვისპირელი, რჩეული ნაწერები, 443).

თავში ცემა პრდ. თავში ბრტყლად ხელების რტყმა ანუ წაშენა. ზკვ. მწუხარება, ნაღვლობა, დარღიანობა,

გლოვა, დაჩაგრულება, სასოწარ-კვეთა. „ჩვენი ლუარსაბი, მგონი, თითონაც ბუერს არ იცემდა თავში, — რატომ სწავლა არა მაქვსო, სწორედ ამის გამო“ (ილ. ჰავჭავაძე, II, 150). „აწ დამესხენ, სიკვდილამდის ვიტროო და თავში ვიცე“ (მ. რუსთაველი, 873).

გარეგნულად დარდისა და მწუხარების უმეტესად გამოსახატავად, განსაკუთრებით მიცვალებულის ტირილის დროს, ქართველებს ჩვეულებად ჰქონდათ ხმაპალა ეტრით და თავში ორივე ხელით წაეშინათ ხოლმე, თავისთვის თვითონვე ეცემათ. ამბობენ აგრეთვე: „თავში წაიშინეს ან თავში შემოიკერესო (ხელები)“.

თავში წამოჭიმვა ჰრდ. სუფრის თავში ჯდომა მეტიჩრულად, წელში გასწორებით. ზგვ. კადნიერება, თავს ვასვლა, ცუდმედიდობა. „რაც შენ ბატონმა სახლში შეგვივას, ვერ გაიგებ!.. შენმა სიცოცხლემ, თავს წამოგჭიმავს, მთელი ღუნია მოუწვევია და ახლა შენ-ლა აკლიხარ“ (ან. ერისთავ-ხომტარია, I, 241).

ზოგი ადამიანია კადნიერი, ურიდალი, არ დაგიდევთ თავაზიანობას, მოკრძალებას, რაიმე წვეულების დროს ალარ უცდის — მასპინძელმა მიუჩინოს თავისი კუთვნილი ადგილი სუფრაზე, აიღებს და უბოდიშოდ სუფრის თავში, საპატოო ალაგას მოიკალათებს და თანაც წელში გასწორებულად, ამაყად იცქირება იქით-აქით — შემომხედეთ, ეს ადგილი სრულებით დამსახურებულად დაევიჩრეო, მე ხომ ასეთი ვინმე არა ვარ, სუფრის ბოლოს დაეჯდემ! ცაცი ხართ და ამაყენთ აქედანაო!..

თავში წაშენა ის. თავში ცემა.

თავჩაკიდებული ჰრდ. ვისაც ქვეითკენ აქვს თავი დახრილი. ზგვ. დაღონებული, დამარებული, დაფიქრებული, დარცხვნილი. „ამოვიდა მუშა ვენახიდან სიმღერით და ერთის ყოფით: მუშებს შორის მოთაცვა(კებდა თავჩაკიდებული, დაღონებული, ბებერი დათო“ (ილ. ჰავჭავაძე, III, 212).

დაღონების, დაფიქრების ან ფიზიკურად დაღლილობის დროს მთელი სხეული მოგვეშვება, მოგვიდუნდება. გარეგნულად შესაშინევია ასეთი მღვთმარების დროს ჩაკიდება, დახრა თავისა. ხოლო თავჩაკიდებული ადა-

მიანის ნახვა ჩვეულებრივ ნიშანია — ამ ადამიანის დეპრესიული მდგომარეობისა.

თავჩაქინდრული ჰრდ. ვისაც თავი ძირსა აქვს დამეებული. ზგვ. დაღონებული; დარცხვნილი; დაფიქრებული. ის. თავჩაკიდებული.

ნიკ. აბულშელიშვილი თავის ლექსიკონში („იგერია“, 1900 წ.) ქინდრი განმარტებული აქვს როგორც კუზი, რომელიც ადამიანს სიმსუქნისაგან უჩნდება ხოლმე კისრზე. თავის დაღუნვის დროს კისერი თითქო ამოიწვეა და კუზის სახესა ღებულობსო.

თავწახული ჰრდ. თავიდან შორსმყოფი. ზგვ. კადნიერი, თავხედი, მოურიდებელი, შეუგნებელი. „ყმავე არის (დადიანი) მეფეთ მეფისა, როგორც ყველა სხვა თავადი, მხოლოდ უფრო თავწახული. ლაგამახსნილი“ (გ. ბარნოვი, გიორგი სააკაძე, 55). ის. თავს გასვლა.

თავწყალის გაღენა (რაიმე საქმისათვის) ზგვ. საქმის დაწყება, ამოძრავება, საქმის შედგომა. „ეონას ღედას ფერი მისლი-მოსდიოდა, შიშით გულს ეყრებოდა. მაგრამ ველოჩაფერი მოვებრებინა, თავწყალი ვერ გაეღენა“ (გ. ბარნოვი, ფერად-ფეოადი, 39).

თავხელღმა ჰრდ. თავის ქერა ხელში. ზგვ. თავის ნებაზე მოქმედება, სხვაზე დამოუკიდებლობა, თავის უფალობა, შეძლება, მოეჩრება, ეეთება, მოცლა. „სამუშაოვ საღმე წასვლას ვერ ათავხელეგბდა“ (ან. მენთეშვილი, „იგ.“, 1903, პმ 203).

როცა არა გვეცალია, ვამბობთ: „თავი ხელთ არა მაქვსო“, ე. ი. დრო არა მაქვს, ვეღარ ვიცლი რისთვისეო.

თამახუქი ჰრდ. საბუთი, რომლის ძალით ხელისმომწერი კისრულობს მეორე პირს გადაუხადოს დადებულ ვადაზე ნასესხები თანხა. ზგვ. ვალდებულება, თავდებობა. „ხელეკაცობამაც იგრძნო, რომ სხვის ხელში ყურება არაფერი თამახუქია; რომ თავის სატყვივარს თითონვე უნდა უწამლოს, თავისთავს თითონვე უნდა უშველოს“ (ილ. ჰავჭავაძე, VII, 90); „თავის ხრა, ზორეა კერპისა — ცუდი რამ თამახუქია“ (დ. გურამიშვილი, 278).

თამასუქი ძველი სიტყვაა და ნიშნავს ხელწერილს, რომელსაც აძლევს ფულის მასესხებელს ფულის მსესხებელი თავისი ვალდებულების საჩვენებლად და ნასესხებელ ფულის დროზე დაბრუნების გარანტიად. ხატოვანად თამასუქი ეწოდება საერთოდ ყოველგვარი ვალდებულების გამოხატულებას, კეთილდღეობის მოსაპოვებელ საშუალებას.

თამაშას ჩვენება ჰრდ. გესართობის, სერიის, სიამოვნების დანიხვება. სჭეკული დღის დაყენება, გამწარება; „... აბა ჩვენს ვაჟაკებს შაპზმოდა, შვილოს?... აჩვენებდნენ თავის თამაშას, დაჰხურავენდენ დედაკაცის ლეჩაქს“ (რაფ. ერისთავი, III, 196). ეს თქმა მუქარის მნიშვნელობით იხმარება.

თანამკვდარი ჰრდ. ვისიმე გვერდით მკვდარი. სჭეკ. მოყვარული, თავგანწირული ვისთვისმე, სასიკვდილოდ მხადმყოფი მოყვასისათვის. „მთქრობდა, მხოლოდ სიმშვიდით მოეტეხა იმას ბევრი უზნეური და ცუდი ჩვეულებანი და იყო მისთვის თანამკვდარი“ (რაფ. ერისთავი, III, 22).

თანდილა ბიჭი ჰრდ. ავთანდილის მსგავსი. სჭეკ. ყოჩალი ბიჭი, მარჯვე.

სახელი ვეფხტყაოსნის გმირის ავთანდილისა, რომელიც განთქმულია თავის სიყოჩაღით, ერთგულებით, მეგობრისათვის თავის დადებით, დღევანდელ ქართულში საალერსოდ გადაკეთებულია თანდილად. კახეთში თანდილა ჰქვია ყოჩად და მარჯვე ყმიწვილს, ისე, როგორც სამეგრელოში ტარიელი ყოჩად, გულად ვაჟკაცს ეწოდება.

თარაქამა ჰრდ. მდაბიო. სჭეკ. უზრდელი, საძაგელი, ტლანქი, ანჩხლი. „ერთი ქალი კახაბა მყვანდა, მეორე ხომ თარაქამა ისინი რომ წაიკიდნენ, მე გამიხდა ხათაბლა“ (პ. უმაიაშვილი, I, 203); „რა ხმალი ამოვიწვიდია, ამირან თარაქამაო, გასწყვიტე ცოლეურები,—ეინ გითხრა: ბარაქალაო?!“ (მთავური ლექსები, 70).

თარაქამა ნიშნავს მდაბიო წოდების ადამიანს, მას ქართულში მისცემია აზრი ყოველისავე ტლანქისა, უზრდელისა, რაც ნატიფ აღზრდას ან წოდებას მოკლებულია, რაც კაცს არა ჰფერობს. ქართულში მგიფე სიტყვა

პირდაპირ საგინებელ სიტყვადაა დაქვეყნული.

თაროზე კოვში იმღვნა ჰრდ. თაროზე კოვში აღმოჩინა. სჭეკ. ვითომ დიდი საქმე გააკეთა! ამას რომ ყველაღვააკეთებდა! რა დიდი ძეგნი იმას უნდოდა!

საციქველი, და მათ შორის კოვში, თაროზე ულაგია ხოლმე სოფლად დიასახლისს, და კოვშის პოვნა ამ ადგილას დიდ სიმარჯვეში არ ჩამოერთმევა ვისმე. ეს თქმა დაციწივით თქმაა და ხმარობენ ისეთი ადამიანის შესახებ, რომელსაც თავის მიერ სულ უზრალაო, ყველასათვის ხელმისაწვდომი საქმის გააკეთება უყვიროს და ასე ჰგონია, სხვა უჩემოდ ვერაეინ შესძლებდა იმის გაკეთებასო.

თაროხ შუქი ადგება ჰრდ. თაროც კი ნათდება. სჭეკ. ბნელს სინათლე ეფინება, ბრწყინებულა, ყველაფერი ნათდება. „ქალს ასე ეგონა, წვიდაოქმარი, გადიძრო ბაყაყის ტყავი, იქით მიავდო; ისეთია ქალი, თაროხ შუქი ადგება“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, 240).

თარო საერთოდ სახლის ბნელ ალგასაა მოთავსებული. ეს კი ნათქვამია შუქის, სხივოსნობის მისამატებლად იმ საგნისათვის, რომელსაც შეუძლია ბნელში მიკეთებულ თაროსათვის შუქის მიყენება და მისი სიბნელის გაფანტვა.

თარხნიანთ წყალობა ჰრდ. თარხნიშვილების მიერ წყლის მიცემა. სჭეკ. გულქვაობა, გაუკითხველობა გაპირებულთა. „(ციციანთ სუფრა შერცხვა თუხარლიანთ ვალობაო... კარებამდღე არ გაგყვება თარხნიანთ წყალობაო“ (ხალხური).

ქართლში, ძველად, სოფ. ახალქალაქში (გორის მაზრა), ყოფილა თავადიშვილი, გვარად თარხნიშვილი, ცნობილი თავისი გულქვაობით. გლეხები მას სულ ერთთავად მომღურაენი და მაგინებელნი ჰყავდა. აკი იმიტომაც გამოუთქვეს ლექსი, რომელიც ისე ზედმიწევნით აღიხატავს მის მოპყრობას გლეხებთან. გადატანით ითქმის ყველა გულქვა და მუშობრალბებელ ადამიანზე, ვისაც მოყვარისათვის სიკეთე და შევლა-დახმარება ესიკვდილება.

თასჩამოყრილი პრდ. ვისაც ხელიდან თასი აქვს ჩამორთმეული, ზღვ. საჯაროდ შერცხვენილი, აუგებანი, დასჯილი.

ხევისურეთში ზნეობის კანონების აღათ-ჩვეულებათა გადაშლახება ხატობაში ჯარზე გამოიყვანდნენ, ჯერ ლუდით სავსე თასს დააჭერინებდნენ და მერე ლუდის შესმას არ დაუტყდინდნენ, ისე თასს უკანვე ჩამოართმევდნენ, ანუ „ჩამოპყრიდნენ“, როგორც ულირს საერთო ზენიმის, საერთო მზიარულების გაზიარებისას. ასეთ კაცს „თასჩამოყრილს“ ეძახდნენ, იგი შერცხვენილად ითვლებოდა და მასთან ურთიერთობა სათაჟილოდ მიაჩნდათ.

თაფლი კაცი პრდ. თაფლის მსგავსი კაცი. ზღვ. ტკბილი, უწყინარი, ყველას მოკეთე ადამიანი. „ბატონო ირინე, უმორჩილესად გთხოვთ, ორი წამი მითავაზოთ, მაგრამ ეგ თაფლი-კაცი, ეგ ქვეყნის მესაიდუმლე თავიდან მომამოკრეთ...“ (დ. კლდიაშვილი, II, 28).

თაფლი სცხია ენაზე იხ. მოთათვლული ენა აქვს.

თაფლსა სთოვს პრდ. პირიდან თოვლის მსგავსად თაფლი გამოსდის ლაპარაკის დროს. ზღვ. მეტად ტკბილი მოლაპარაკეა, ალერსიანია. „თვალები (დიამბეგისა) საოცრად სწრაფნი და წყრილნი (არიანი) ასეთის თვისებანი, რომ თაფლსა სთოვს, ოდეს უყურებს „ძლიერსა ამ ქვეყნისა“, ე. ი. უზღდის ნაჩაღნიკსა, სოვერტიკსა და სხვ.“ (ილ. ჰავაგაძე, III, 128).

ითქმის დაცინვით მლიქვნელ, თითლიბაზობის, პირფერობის, ლაქუცის, უფროსის ფეხქვეშაგების მოყვარე ადამიანზე.

თბილი პური მეგონა პრდ. თბილ პურად მივიჩნიე. ზღვ. რაიმე გასაკეთებელი საქმე იოლად ჩავაგდე, მძიმე არ მეგონა. მგლ. „სანამ მეგუდგებოდი საქმეს, თბილი პური მეგონა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც ისე იოლი ყოფილა“.

თბილი პური და ისიც თონისა, როგორც ვიცით, სასიამოვნო მისართმევი გახლავთ.

ასე რომ, თბილი პური ხატოვანად გვიჩვენებს ადამიანს, რომელიც ზერელედ ეკიდება რასმე საქმეს და არა ზო-

მავს მისი ასრულების სიძნელე-სიძლიერეს და იძახის: თბილი პური მეგონა...

თევდორეს ბალახისა სცხია პრდ. თევდორეს ბალახი აქვს მოცხებული. ზღვ. მეტად ტკბილი სიტყვა-პასუხის კაცია, გულკეთილი, მოალერსე, ყველას საყვარელი, სათნო, მიწნიდველი, ყველას გულშემმატკივარი, ყველა რომ იმას ეტანება.

თევდორეს ბალახი მთის მცენარეა. ყურძნის მტევნის ან სიმინდის ტაროს მსგავს ნაყოფს იხსამს, მუქი ნაქრისფერისას და მეტად ტკბილს. რომ გახმება, რამდენიმეს ერთად შეპკრავენ და ვარცლისა და ორომის მოსაწმენდად ხმარობენ.

თევდორეს ბალახის სიტკბოს მიმსგავსებით ამბობენ ტკბილ ადამიანზე — „თევდორეს ბალახისა სცხიაო“, ე. ი. თევდორეს ბალახის სიტკბოსაგან გადასდებიან სიტკბოთ.

თეთრად გათენება ღამისა იხ. თეთრი თვალით გათენება ღამისა.

თეთრი თვალით გათენება ღამისა პრდ. უშავო (დაუხუჭავ) თვალთ დასრულებება ღამისა. ზღვ. თვალის მოუხუჭველობა მთელი ღამის განმავლობაში, უძილობა. „ზირად არც ჩემთან არის (ძილი)... წუხელის მთელი ღამე თეთრი თვალთ გავათენე...“ (ან. ვრისთავ-ხოშტარია, მიწა, 151); მეორედ ღღეს მოვიდა სახლში უფროსი ძმა და უთხრა, რომ წუხელ არაეინ მოსულა, სუ თეთრად გავათენე ეგო“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, II, 217).

როცა ვამბობთ—თეთრი თვალთ ანუ თეთრად გავათენე ღამეო, ვგულისხმობთ, რომ მთელი ღამე თვალი გვეხილა, აღარა გვეძინებია, ყველაფერი თეთრი და სახილველი იყო ჩვენთვის. ხოლო, როცა გვეძინავს, იგივე თვალდახუჭული გვაქვს და გარეწმეო რომ ნათელიც იყოს, ჩვენთვის ბნელში ყოფნას უდრის, რადგან დახუჭული თვალებით დანახვა არაფრისა შეგვეძლია. ამიტომ ვამბობთ ხოლმე თეთრად გავათენეო.

თეთრად შენი სარეცხი! პრდ. თეთრად (კარვად) გაგარეცხოდეს სარეცხი, უუჭი მოშორებოდეს. ზღვ. წარმატება მოგნიჭებოდეს, ხელი წაგმართოდეს, გაგმარჯებოდეს, ხეირი გენახოს.



„მართა, თე თ რ ა დ შ ე ნ ი ს ა რ ე ც ხ ი“ (რაჟ. ერისთავი, IV, 49); „ი, რ ა ე ნ ა ხ ე თ, ქ ა... რ ა ც ე ც ლ ი ვ ი თ მ ი გ ე დ ვ ა მ ა გ უ ლ ზ ე. თ ე თ რ ა დ შ ე ნ ი ს ა რ ე ც ხ ი... ა ი, მ ე ბ ი და მ ე დ გ ა რ ი კ ი ჩ ა ვ ა თ ხ ლ ი შ ე ყ ვ ე ლ ა ს და ჩ ა ვ კ ო ლ ე და ჩ ა ვ ტ ი ტ ე თ“ (დ. მ ა ზ ნ ა ნ ე ლ ი, ძ შ უ რ ი ს ი ტ ჯ ვ ა, 99).

დალოცვითი თქმაა და მაშინ იხმარება, როცა ვინმე ქალს სარეცხი უდგას და ამ დროს მებობელი ან ვინმე გარეშე კაცი მოასწრებს. შემოსწრებულმა უქველად უნდა უთხრას მოსარეცხეს ეს დალოცვის ფორმულა, თორემ, ძველი რწმენით, სარეცხი კარგად გარეცხილი, თეთრი არ გამოუვა.

ხატოვანად იხმარება, როცა ვინმე სამუშაოს ასრულებს და უნდათ დალოცონ, საქმიანობაში წარმატება უსურვონ.

ამ თქმას დაცინვით, მისხარად ავდების და, თანაც, ყვედრების კილოთიც ხმარობენ. მაგ., როცა ვინმე ისეთ რასამე სჩემობს, რაც მის ძალ-ღონეს აღემატება, ეტყვიან: თე თ რ ა დ შ ე ნ ი ს ა რ ე ც ხ ი! ე. ი. შენცა ცდილობ, რაღა, ვითომ რამე უნდა გამოგივიდეს ხელიდან, მაგრამ ტყუილადა ცდილობ, გირჩევიან თავი დაანებო!..

თეთრი პრ. რძის ან თოვლის ფერისა. ზ. ც. რაც ქუქუყიანი, გასვრილი არ ირის, რაც სუფთაა, გარეცხილი; ვერცხლი, ფული; ლამაზი. „ჩაეუხდეთ და ჩაეუხდეთ... ბარათაშვილსა, მოვტაცოთ და მოვტაცოთ... თე თ რ ი ქ ა ლ ი...“ (ხალხური); „მოუხაროდით თუშებსა: მოჰყვანდათ თე თ რ ი ქ ა ლ ი, და გადინაღეს ანდერძი, რაც მამა-პაპათ ვალაი!“ (ხალხური).

თეთრი გამომხატველია სიწმინდისა, სისუფთავისა და, ამავე დროს, რაკი მეტოქეა შავისა, მაჩვენებელია სილამაზისა, განსაკუთრებით ხალხურ ლაპარაკში. ხალხურ პოეზიაში იდეალი ლამაზი ქალისა მისი სითეთრით გამოიხატვის.

თეთრი და შავი ვერ გაურჩევია პრ. თეთრი და შავი ფერი ერთნაირად მიაჩნია. ზ. ც. მიუხვედრელი, უქუჟო, უფიცი, გონებით ბეცი.

თეთრი კბილის ჩვენება პრ. სხვას დანახვო — თეთრი კბილები მაქვსო! ზ. ც. სიცილი, მხიარულისა და მე-

11. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი.

გობრული სახის ჩვენება, მოტყუება, გაიძვერობა, ფლიდობა, ორპირობა, ლალატი, ორგულობა. „თე თ რ კ ბ ი ლ ს გ ე ვ ი ჩ ვ ე ნ ე ბ ს, გ ე ც ი ნ ის, გ უ ლ ი ს ა ს ე ე ა ქ ე ს შ ა მ ი თ ა“ (ვაკა-ფშაფლა, I, 206); „აქ სტუმარმა მადლობა გადაუხადა და წამოადგა, მაგრამ მას-პინძელმა არ გაუშვა, ჩაი მიართვა, თე თ რ ი კ ბ ი ლ ი უ ჩ ვ ე ნ ა, მოუთითობაზა“ (ვ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 369).

როცა ვიცინით ან გელერსებით ვისმე, კბილებს გამოვავინთ ხოლმე. ამ თქმაშიც მთელი ფრანსის პირველი ნახევარი გამოცოცხდებოდა, ხოლო მეორე ნახევარი, რომელიც უპირისპირდება პირველს და რომლითაც იგულისხმება შავი გულის, ე. ი. მტრობის, ლალატის, ორგულობის უჩვენებლობა, დაფარვა — გამოტოვებულია.

თეთრი კეისარი პრ. თოვლის ფერი ხელმწიფე. ზ. ც. რუსეთის ხელმწიფე. „ნუ ენდობით ხურასა აღთქმას თე თ რ ი ს კ ე ი ს რ ი ს!“ (ვ. ბარნოვი, გიორგი სააკაძე, 34).

ქართველებს რუსეთი წარმოადგენილი ჰქონდათ, როგორც მხარე თოვლისა და დაუდნობელი ყინულისა, როგორც ქვეყანა თოვლით ნიადაგ თეთრად გადაპენტილი. მაშასადამე, იქაურ ხელმწიფესაც ანუ, როგორც ძლიერს, რომაელთა ხელმწიფეების ანუ კეისართა სახელით წოდებულს, დაარქვეს ამ თეთრი ქვეყნის მეფის სახელი — თეთრი კეისარი.

თეთრი — შავია, შავი — თეთრია პრ. რძის ან თოვლის ფერი მეტად ბნელ ფერად იჩვენება, ხოლო მეტად ბნელი ფერი — თოვლის ფერად. ზ. ც. სიმართლე — სიცრუედ გაასაღოს ვინმემ, ხოლო სიცრუე — სიმართლედ; ყველაფერი არეულად, უსწორმასწოროდ იჩვენება; მოტყუება, ლალატი. „თქვენის შვილის წლის ღვაწლი უნაყოფოდ არ დაიკარგა მკითხველთათვის, იმათ ეხლა ასე ჰგონიათ, რომ რაც სხვისათვის დღეა, ის ჩვენთვის — ღამეა, თე თ რ ი — შ ა ვ ი ა, შ ა ვ ი — თ ე თ რ ი ა“ (ილ. ვაჟა-ფშავე, IV 108).

თელეთის გლაზა პრ. თელეთში დღეობაზე ამოსული მათხოვარი. ზ. ც. სრულებით არაფრის უქონელი, უკა-



ნასკნელი მათხოვარა, ხელის გამწვარი, სხვის ხელში შეწყურე, მეტად გაპირვებული. „კაცო, შე თელეთის გლახავ, იქნება პრისტავი ამიამ არ მოდის, მე ხომ აქ ბნედა დამემართა, გავვიტოდე?“ (აქ. თავართლი, 231).

თელეთი ერთი თბილისის სამხრეთით. აქ იცოდნენ დღევანდელი (თელეთობა) აპრილის 23-ს (ძვ. სტ.), და მლოცველებთან ერთად აუარებელი მათხოვრები იყრიდნენ თავს ეკლესიაში. ისინი სალოცავად ამოსულთ არ ასვენებდნენ თხოვნით; სანამ არ გაიკითხავდნენ, არ მოეხსნებოდნენ.

თელეთობა პრ. თელეთის ხატთან სალოცავად და შესვედრებლად მისვლა მორწმუნეთა მიერ. სვ. არეულობა, ღრეობა, ხმაურობა, უწყესობა. „მიხეილ სავინოვიც დიდრონის ხაზურაკებით მილიციას მიაკერეს, ერთის სიტყვით — თელეთობა“ (გრ. ორბელიანი, წერილები, I, 93).

თელეთის გორაკზე, თბილისის აღმოსავლ.-სამხრეთით, წარმოდგმულია ქვიტკირის ეკლესია, წმ. გიორგის სახელობაზე აშენებული. დღეობაზე აქ მრავლად მლოცველი იყრიდა თავს როგორც თბილისიდან და თვით თელეთის გარშემო მდებარე ახლომანლო სოფლებიდან, ისე ქართლ-კახეთის შორეულ ადგილებიდანაც. ილ. ჰავაპავაძის უშვილო ლუარსაბიცი სწორედ ამ თელეთში მოვიდა და აქაურ ხატს შესთხოვა შეიღიერება. აუარებელი საკლავი იკვლოდა ხატისათვის შესაწირავად, დიდი სიმეულობა, პურობა და ღრეობა იკოდნენ; ღამეს უთევდნენ, საერთო ქეიფი, დროსტარება, სიმღერა იმართებოდა, ჩხუბი-კი. და აი, ყოველ ამ უწყსრიგო ხმაურობასა და აურზაურს გადატანით, სურათ-ხატოვანად დაერქვა თელეთობა.

თელვა პრ. გაჟკულეტი, გასრესა მორბილო რამ ნიეთიერებისა, სვ. შეწყუბება, დაჩაგრა, დამკირება, განადგურება. „ალარ მიკლიან, ცოტახანს თავისუფლად ამოვისუნთქო: ვინც არა მგონია, მთელავს და მქელავს“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 301).

თერგდალეული პრ. თერგის წყალდალეული. სვ. თერგის იქით, რუსეთში ნამყოფი, განათლებული. „ეს ჩემი ზვარიც უნდა განიყონ? მაშ სასაფლავოს ესლავ წამილიონ!.. თერგდალე-

ული ჩემი ძამია ილავს მიწყვეტამს, შემოდგომია ალარ ისვენებს, არ იშლის გაყრას“ (ე. ვრისთვი გარა). თერგდალეულებს ეძახდნენ მე-19 საუკ. სამოციან წლებში საქართველოში ყველას, ვინც სწავლა-განათლებსათვის რუსეთში იქნებოდა წასული. მით გზა კავკაზე ჰქონდათ, — უნდა გასულიყვნენ მდინარე თერგზე (იგულისხმებოდა: გასვლის დროს თერგის წყალსაც დალევენ) და იქიდან კი რუსეთი იწყებოდა.

თვალაზმული პრ. თვალზე აუარებელი რამ, რათა არათერი დანახოს. სვ. მიუხვედრელი, მოტყუებული, ავის კარგისაგან გარჩევის უნარწართმეული. „ნუ თუ შართლა გრძობა სიშართლისა, კეთილსინდისიანობა, კეთილგონიერება იქამდის თვალაზმულია ჩვენში, რომ ჩვენი ავი და კარგი ალარ გაგვიტემა?“ (ილ. ჰავაპავაძე, VI, 340).

თვალად პრ. თვალთ დასანახავად. სვ. თვალის ასახვევად, მოსაჩვენებლად. „მღვდარი, რომელიც ვამოლყნა, ხალხის თვალად იყო გაგზავნილი“ (ალ. ყაზბეგი, ეგვიპტე, 1948, 95).

თვალახილული პრ. ვისაც თვალები დახუჭული არა აქვს, ვინც ხედავს. სვ. ვისაც დანახვის, ცნობიერების მოკრების, ავისაგან კარგის გარჩევის უნარი შეუძენია. „ეს უცენით და უგერძნითა სპარსეთში და დღეს ამახედ თვალახილულ შაჰს მოუწადინებია ამ მხრით როგორმე გამოაკეთოს საქმე“ (ილ. ჰავაპავაძე, X, 80).

თვალ-გულის მისვლა პრ. თვალი და გული რომ ახლოს მივიდეს ვისთანმე ან რომელიმე საგანთან. სვ. მოწონება, სამკრალ მიჩნევა. „მაშინ ქმარი იმისთანა (მოლალატე) ცოლს დაასახიარებდა, ანუ, როგორც ფშაველი იტყვის, „გაახიარებდა“ — მოსჭრდა ცხვირს ან ხელს, მოაკლებდა დედაკაცს კაცის თვალ-გულის მისასვლელს თვისებას — სიღამაზეს“ (ვაჟა-ფშაველა, ვინოგ. წერ. 127).

თვალდაზმული პრ. ვისაც თვალის სინათლე არა აქვს. სვ. მიუხვედრელი, უეცი, უგონო, ავის კარგისაგან გარჩევის უნარწართმეული. „და რომ სწავლა საზოგადოდ და უმაღლესი საკუთრივ კეთილია — ამას ახლა ყურ და თვალდაზმულიც აღიარებს“ (ილ. ჰავაპავაძე, VII, 240).



თვალეზზე ლიბრი აქვს გადაკრული პრე. ლიბრი უშლის რაიმე დაინახოს. სჭვ. უკუყო, მიუხედავად, საღ გონებას მოკლებული, უწეცარი. „და რამოდენადაც ამისთანა ვაჟბატონი (უკუყო, უმეცარი) კეუაზე თხლად არის, რამოდენადაც უფრო სკელი ლიბრი აქვს გონების თვალზე გადაკრული, მით უფრო თამამია, მით უფრო კადნიერია“ (ილ. ჰავაჟაძე, IX, 112).

თვალეზზე მისაკრავი ცალი ფულიც არ მახდია პრე. ფული არა მაქვს თვალეზზე (დასახუჭავად) მივიკრა. სჭვ. მეტად ღარიბი, უწონელი, უფული ვარ. „ეჰ, ძმობილო — ვუთხარი გულნატკენად, — შენშიაც მოვტყუებდით, რატომ კაი გაძლოდა უნდა, მე ცალი ფულიც არა მაქვს თვალეზზე მივიკრა“ (ილ. ჰავაჟაძე, II, 50).

როცა აღამიანი კვდება, თვალეზი ღია რომ არ დარჩეს, ქუთუთოებზე აბაზიანს ან სხვა რამ შავ ფულს დაფარებენ. ფულის სიმძიმე ქუთუთოებს დახუჭავს. ამით თავიდან იცილებენ იმ უსიამოვნო სურათს, როგორც არის მიცვალეზულის ღიად დარჩენილი თვალეზის ნახვა. ასეთ შემთხვევისათვის ფულის უქონლობა უდრის უკიდურეს სიღარიბეს, — იმაზე მეტი სიღარიბე წარმოუდგენელია.

თვალეზზე ხელის დაფარება (აფარება) პრე. დანახვა არ უნდოდეს კაცს რისამე და თვალეზზე ხელს აფაროდეს. სჭვ. განგებ არ დანახვა დასაინახვისა, ვითომ ვერა ხედავს. „ამას განა დიდი ხაზი და ღარი უნდა, თუ კეუა — კეუასა და გული გულის ადგილასა აქვს აღამიანს და თვალეზზე ხელს არ იფარებს განგებ, რომ მართალი არ დაინახოს“ (ილ. ჰავაჟაძე, „ივ.“ 1897, № 53); „განგებ თვალეზზე ხელი რად აუფარებია (სომეხთა პროფესორს) მეთორმეტე ან მეთორმეტე საუკუნოების ქართვლებზე?“ (ილ. ჰავაჟაძე, ქვათა ლაღი 34).

თვალეზის ამოღამება (ლოდინისაგან) პრე. ლამის (ბნელს) მსგავსად გახდომა თვალეზისა. სჭვ. ძალიან დიდხანს ლოდინი, მოქანცვა ლოდინით. თვალეზს გარშემო ქუთუთოებზე შავი რგოლები რომ გაუჩნდება აღამიანს, მაშინ იტყვიან თვალეზი ამოღამდა.

და ან ამოღამებულ თვალეზი აქვსო.

თვალეზის (თვალის) ახვევა, აბმა პრე. თვალეზის რითიმე ახვევა, რომ არ დაინახოს. სჭვ. მოყრუება, კარგისაგან გარჩევის უნარის წართმევა. „ჰევიანი უცოდინარი... ფილოსოფოსობას არ იჩემებს, ტყუილ-უბრალოდ გაბეროდ ფრახებით ლარის გატანას და მსმენელის თვალის ახვევას ჰთაკობს“ (ილ. ჰავაჟაძე, IX, 111); „ქნენია, ჰო, ერთი ორზედ მეც მიპიბრეს, რა ხატებმა აუბათ თვალეზი?!“ (ავტ. ცაგარელი, 348).

თვალის აბმა, ახვევა გულისხმობს სხვის თვალზე ხელის აბ ხელის სიფართე რამ საგნის აფარებას იმ აზრით, რომ თვალის პატრონს დროებითი სიბრმავე დაეუფლოს და, ამგვარად, მის თვალეზს წაერთვას უნარი რისიმე შეაფიოდ დანახვისა.

ასეთ აღამიანს, იგულისხმება, თვალზე ხელის დამფარებელი ანუ აბმეული თეთრს შავად მოაჩვენებს და შავს თეთრად, ამა თუ იმ საგნის ნამდვილ თვისებას არ აჩვენებს, ერთი სიტყვით, თავის კეუაზე ატარებს.

ხატოვანად თვალეზის აბმა ანუ არაფრის დანახვინება გულისხმობს ერთის მოტყუებას მეორის მიერ, მის გაკურებას, შეცდენას, საფრთხეში ჩაგდებას.

თვალეზის (თვალის) ახელა პრე. თვალეზის დაღებება, შველა თვალეზის გაღებისათვის. სჭვ. გაშორკვევა აღამიანისა, სწორ გზაზე დაყენება, სინამდვილის ჩვენება, შვილა.

თვალეზის (თვალის) გახწორება პრე. პიოდაპირ შეხედვა. სჭვ. უნიშრობა, სითამამე, გულადობა. „დროა ბალეზის საცდუნალო სიტყვებს ფერუმარული ჩამოვაცალოთ, პირისპირ გაეუსწოროთ თვალი, და ნათხოვარი ფრთები ჩამოვაცემოთ“ (ილ. ჰავაჟაძე, IX, 102).

როცა ვისამე წინაშე ცული არაფერი ჩაგვიდენია, მის მიმართ სინდისი არ გვაწუხებს, ასეთ კაცს თამამად, მშვილად ვუტკერით ხოლმე. მის წინაშე თვალეზს ძირს არა ვბრით, თამამად, გაბედულად შვი თვალეზში ვუჭურებთ ანუ თვალეზს ვუსწორებთ.

თვალეზის დაბრმავევა პრე თვალთა ხედვის წართმევა. სჭვ. გონების შერყევა, წინდაუხედავობა, მოუსახრებ-



ლობა, ალაღბედზე მოქმედება, განგებ არდანახვა დასანახავისა. „მანამ ყოჩივით ინდაურმა თვალები არ დაუბრმა ვა (ბლალორინს), სილარბის მოწმობა ვერ დაეაღწივე, რომ სახელმწიფოდ მიეღეთ“; „რათ ვიბრმა ვეგებთ თვალებს და კეშმარიტს მიზეზს ჩვენის სისუსტისას პირდაპირ თვალს არ ვუსწორებთ“ (ილ. ჰაჭავაძე, VII, 69).

თვალეების დადგომა ჰრდ. თვალეების გაჩერება უმოძრაოდ. ს.ვ. სიკვდილი, სიცოცხლის შეწყვეტა. „უი, დამიდგა თვალები! იმასა?“ (გ. ერისთავი, თხზულებები, 146); „გაიზრდები, გენაცვალე, თავისუფალიაო; ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერც ვაგეტებს ვალოო; შენს მტერსა და მოშურნესა დაუდგეს თვალიო“ (აკაკი, ერთობილელი, 35).

თვალეების დათხრა ჰრდ. თვალეების ამოღება ძალით თვალის ბუდიდან. ს.ვ. თვალის სინათლის მოსპობა, ძალათი შეწყვეტა მხედველობისა, სიკვდილი. „შენ მართალი სთქვი წელან: ჩვენსითუ ძმამ ძმის თვალი არ გაძმო სოხარა, სხვა ვინ გამოსთხრის!“ (ილ. ჰაჭავაძე, მაგანკალი, 275); „ნუ მაქმევთ თათრების ჯავრსა, თქვენს მკლავებს ვენაცვალეობი, თუ აიკლებენ ტუილისსა, სჯობს დავითხაროთ თვალეობი“ (ვაჟა-ფშაველა, III, 7).

თვალეების დახუჭვა ჰრდ. თვალეების დახშობა, ქუთუთოების მიწებება ერთმანეთთან. ს.ვ. დაძინება; სიკვდილი; გაპატიოსნება მიცვალებულისა; განგებ არდანახვა ყველასათვის აშკარა და საჩინოსი. „ჩემო კარგო შეილო, ჩემო მამისერთავ, თამრო! სადა ხარ ეხლა? რატომ შენს საცოდაუს მამას თვალებს არ დაუხუჭავ? რატომ ხელეებს გულზე არ დაუჯერებ?“ (ილ. ჰაჭავაძე, II, 127); „თუ ხეცით მხედავ შენ, განსვენებულო ჩემო ანგელოზო, შემინდე, რომ შენი მომაკვდავი თვალები მე ვერ დაჯხუჭე, ვერ გავიგონე შენმა ქალმა უკანასკნელი აღმოსუნთქვა“ (გ. ერისთავი, თხზულებები, 390).

მიცვალებულის დასაფლავების წესებს შორის საპატიო ადგილი აქვს დათმობილი მიცვალებულის გაპატიოსნებას, ე. ი. რომ მიცვალებულს ხელეები გულზე ჰქონდეს დაკრეფილი, ღია არ დარჩეს თვალეები, პირი შესაზარი, უპა-

ტიოსნო შესახედი არ იყოს ცოცხალთათვის. ამიტომ ვარდაცვალების წამს, სხეულის საბოლოოდ გაციეებამდე, თვალეები უნდა დაუხუჭონ, პირი აუკრან და სხვ. მეგრულად ამას ჰქვია რუჭინუა, რაც ნიშნავს ბრუყვიანას, გალამაზებას; მიცვალებული უნდა იყოს გაბრწყინებული, ლამაზი შესახედავი ანუ გაპატიოსნებული.

თვალეების დახუჭვინება ჰრდ. იძულება ვისიმე თვალეები გახელილი არა ჰქონდეს. ს.ვ. არაფრის დანახვინება. „აი აქედან მოველით იმ მტვერ-ბუქსა, იმ კუდიან ქარსა, რომლის აყენებას არ მოერიდება იგი ერთგვარი გუნდი, რომ კაცს თვალეები დაახუჭვინოს, თვალეები აუხას“ (ილ. ჰაჭავაძე, ჭკათა ლაღადი, 6).

თვალეების მიკერება (რახედზე) ჰრდ. ნენსითა და ძალთი მიმაგრება თვალეებისა. ს.ვ. მიშტერება, შეხედვა. „ქენებით მიიკრნენ ჩვენი ვანოს სახლთან... ამათვან სამნი გადმობტნენ ცხენებიდან და გულ-და-გულ შევიდნენ ვანოს ოთახში. დანარჩენთ ამოილეს ხმლები და შემოეხეცენ სახლს გარშემო. საყარის წინ მდგომი გლეხობა შეშინდა: ჯერ ვანოს სახლს მიაკერეს თვალეები, შემდეგ გოცეხულის სახით შეხედეს ერთმანეთს“ (ე. ლომოური, მოთხრობები, 1926, 118).

თვალეები უბრმავდება ჰრდ. თვალეები ბრმა კაცის თვალეებს ემსგავსება. ს.ვ. შურს, არ ემეტება სხვისათვის, ეხარბება. „წინათ მე გროშიც არა მქონდა. მაგრამ ჩემი ოინებით და ტკბილი სიტყვებით სულელებისაგან იმდენი სიმდიდრე შევიძინე, რომ დედა შენი ხამფურუს ბაბორზე და ჩემ ბრტყელ ვერცხლის ჭამარზე მტერს თვალეები უბრმავდებოდა“ („ივ.“, 1902, № 119).

თვალეები ჩამოიწყალდა (მაგის გზის ცქერაში) ჰრდ. წყლად მეტკა თვალეები მაგის გზის ცქერაში. ს.ვ. სულდიდი ხანია მაკლდვინა, მალოდინა. „უდროოდ დამაბერა შეილმა, შეილემო, უდროოდ. ეს თვალეები მაგის გზის ცქერაში ჩამოიწყალდა. ნეტავი გვეტყოდეს. სად მიდის ან შინ როდის დაბრუნდება“ (ვაჟა-ფშაველა, V, 403).

თვალეები ჩვენკენ ხწყდებათ ჰრდ. ჩვენის ყურებით თვალეები ეღლებათ. ს.ვ. სულ ჩვენ გვიცქერიან. „თურმე თვა-



ლები ჩვენკენა სწყდებათ. — აი დღე-დღეზე მოვლენ და ნატრის-თვალის წიშანს მოუტანენო“ (გვ. ყარაშინძე, ნატრითვალა, „ივ.“, 1904, № 261).

თვალეზ არ ვუჯერებ ჰრდ. არა მჯერა, რასაც თვალეზი მაჩვენებს. ს.ჯვ. სიამდელიე სარწმუნოდ არ მიმაჩნია, მოულოდნელია, რასაც ვუყურებ. „ხელმწიფეს არა სჯეროდა. მაშინ მოიშვილია (ვაჟმა) თავიდან მაჭიკი და ოქროს თმამ კი გამაანათა. ისეთია ხელმწიფე, თვალეზს არ უჯერებს!“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, I, 213).

თვალეზს წყალი ვახვათ ჰრდ. თვალეზს წყალი დავაღვივით. ს.ჯვ. სასიამოვნო რამ დღეინახოთ, გავერთოთ, კარგ რასმე შევხედოთ, გულიდან დარდი გადავიყაროთ.

თვალეზში აქვს ჰკუა ჰრდ. ჰკუა თავის მაგიერ თვალეზში აქვს მოთავსებული. ს.ჯვ. საგნის ღირსება-ნაკლოვანების შესახებ მის გარეგნობის მიხედვით მსჯელობს, საგნის გარეგნობას უყურებს და არა შინაარსს. „სამახსაროდ არა ხდის თავის თავსა ის კაცი, რომელიც ამბობს, რომ ეს კაცი არ ვარგაო იმისთვისაო, რომ მტერიანი ტანისამოსი აცლიაო? მე მიწა ამითა ვსთქვა, რომ ვინც ამგვარად შინჯავს საქმეს და ამგვარ დამტკიცებანედ ამყარებს თავისი აზრსა, იმას თვალეზში ჰქონია ჰკუა“ (ილ. ჰავეჯაძე, IV, 37); „ეგეც არ იყოს, სიღარიბე და სისაწყლე რა წამოსაძახი, დასაძრახისია, — სთქვა წყრომის კილოთი კოლამ, — მაგრამ ეჰ, მაგათ ჰკუა თვალეზში აქვსო“ („ივ.“, 1903, № 255).

თვალეზში ნატრის მიყრა ჰრდ. თვალეზის დავსება ნატრით. ს.ჯვ. წართმევა კარგად დანახვის უნარისა, მოტყუება, გამახსარავება, კეენხა, ტრახახი, ტყუილის დაჯერებინება. „ეინმა მომიბოა ჩამექროლებინა სობუშის ქუჩეზე ჩემი ცხენით, რომ მტრისათვის თვალეზში ნაცარი მიმეყარა“ (შ. არაგვისპირელი, რჩეული ნაწერები, 280).

თვალეზში შემჩერე, თვალეზში შემყურე ჰრდ. ვინც მხოლოდ სხვას უცქერის. ს.ჯვ. სხვისი მოიმედე, სხვისი სიკეთის მომლოდინე, სხვათა სიამოვნების მოსურნე. „იქ იმედი მქონდა ოდესმე თავის გამორჩენის, რადგანაც ვიცოდი, რომ ღვთის სასიამოვნო და

უფროსის მოსაწონი სიმდაბლე მდროს შეუნიშნავად არ რჩებოდა და მართლაც, ყველას მორჩილი, თვალეზში შემჩერე, გაგზავნე-გამოგზავნაში დაუზარებელი“ (აჟაი, I, 157); „ორნივე (ცოლ-ქმარი) ვაფაციცებით თავს დასტრიალებდნენ დაქვრივებულ ბეკინას და თავგამოდებით ემსახურებოდნენ, თვალეზში შემყურებდნენ, რომ ყოველ მის სურვილსა და საწადელს მისგან გამოთქმამდის მიმხედარიყვნენ და იმ წამსვე აესრულებინათ“ (დ. კლდიაშვილი, სამანიშვილის დედინაცვალი).

თვალეზე ცრემლის (ცრემლების) შესრობა ჰრდ. თვალთავან ცრემლის დინების შეწყვეტა. ს.ჯვ. გაჭირვებისაგან ხსნა, დახმარება, ნუგეში, კარგ მდგომარეობაში ჩაყენება. „ე მაგას მეტრინებოდი, — გავიზრდები, დედა, და თვალზე ცრემლებს შეგიშრობო, შეილო?“ (გვ. მენდერაშვილი, ობოლი, „ივ.“, 1898, № 152); „ბევრს დაჩაბრულს და საწყალ რამეს გაუწიეს (ყაზარას შეილებმა) პატრონობა და გაუშრეს თვალზე ცრემლი“ (შელანია, ნაგარდობა).

თვალი ჰრდ. მხედველობის ორგანო. ს.ჯვ. დიდად მშვენიერი, ყველაზე უკეთესი, საჩინო, სხვათაგან გამოჩენილი. „ქართულის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულთა, რანდენ ვაებას შენსა თავზე გადაუღვლია“ (ილ. ჰავეჯაძე, I, 129); „მაშინ წამოდგა ჰუსეინ, ნაზირ-ფიზირთა თვალია“ (ვაჟა-ფშაველა, IV, 11).

თვალი უძვირფასესი და საჩინო გარეგნული ორგანოა ადამიანისა. უთვალო ადამიანის სიცოცხლე ნახევარი ღირებულებისაა. ამიტომაცაა, რომ ამ ორგანოს ეგერევივად ვაფასებთ, სათუთად ვუფრთხილდებით; ამიტომაცაა, რომ თვალი ეწოდება ძვირფას ქვესი („თვალი პატიოსანი“; „თვალმარგალიტი“), სიმწიფეშესულ ბალს თუ ყურძენს; არის აგრეთვე „თვალი ნატრისა“; თვალს ვეძახით ურმის ბორბალს; თვალი გვიწოდებია საღმე წყარო რომ ამოღდის და სხვ.

თვალი გასკრის ჰრდ. თვალი ვაჰკვეთს. ს.ჯვ. დაინახავს, გაარჩევს, სიზნელეში გაატანს. „გათენებისას დაუბერა ცივმა ნიავემა. შემდეგ მტრედისფრად ინათა და საღლაც თოფი გავარდა. —

შალვა! — გავაღვიძე გიგი, — ადექ, დროა, თვალი ვასქრის უკვე“ (ი. მგებლიშვილი, მონადირის დღიური, 97).

თვალი და ხელია პრ. ვისიმე თვალისა და ხელის მაგიერობას სწევს. სტვ. მეთვალყურე, პატრონი, ყურისმგებელი, ნზრუნველი და საქმის გამკეთებელი. „თვით ადგილობრივი საზოგადოების მოჭირხახულეა (თვითმმართველობა) და ამასთანავე უმაღლესის მთავრობის უკეთესი თვალი და ხელია, ყოველ კუთხემდე მიწვდენილი“ (ილ. ჭავჭავაძე, VIII, 43).

თვალი ერთმანეთზე შორსა გვექონდა პრ. ჩემი და შენი თვალები ერთმანეთზე შორისშორს იყო. სტვ. ერთმანეთს დაშორებული ვიყავით, ერთმანეთისა არა ვიცოდით რა. „... ვიცოდი, ჩემო ხორემან, რომ მაგას იტყოდით. თუმცა ერთ თვალი ერთმანეთზე შორსა გვექონდა, გულით ახლო გვექონია“ (ილ. ჭავჭავაძე, მაჰანალი, 377).

თვალი ზედ (ჩვენზე...) რჩებოდა პრ. თვალი უჩერდებოდა, თვალი მიეჯაკევებოდა ვიზედმე ან რაზედმე. სტვ. მეტად მოსწონდა (ვინმე ან რაიმე) მეტად ლამაზი, მეტად მშვენიერი იყო. „ის (ლუარსაბი) რომ ყარაბაღულ ცხენზედ შეჯდებოდა და ყელმონარებული, ალვის ხესავით, ადამიანს თვალი ზედ დარჩებოდა“ (ილ. ჭავჭავაძე, II, 91); „მერე იგითი ჩაცმულ-დაბურულები ვიყავით, რომ ყველას თვალი ჩვენზე რჩებოდა“ (მელანია, ბნელო, 29); „ზუბოკიდან მომავალმან ვნახე ერთი ქალი! მეტად ტურფა, მშვენიერი, მახედ დამრჩა თვალი“ (დ. გურამიშვილი, 172).

როცა ვინმე ან რაიმე მოგვეწონება, ძალაუნებურად თვალებს ძლიერად დავაშტერებთ, დიდხანს ვვლარ მოვწყვეტთ, თითქოს მშვენიერების სავანამ ჩვენი თვალები მოგვტაცა და ჩვენ უთვალეზოდ დავრჩითო.

თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ პრ. თუ თვალი ამოგთხარა ვინმემ, შენც თვალი უნდა ამოსთხარო; თუ კბილი ამოგაძრო, შენც კბილი უნდა ამოაძრო. სტვ. სხვას სიავე და ბოროტება არ უხდა შეარჩინო, სიავეთვე უნდა მიუზლო.

თვალით ნახვა პრ. შენი თვალის სა-

შუალებით რომ ნახო რაიმე ან ვინმე. სტვ. პირდაპირ, უშუალოდ ნახეა. მგლ. „ჩემი თვალით რომ არ მენახა, ამას ვერ დაფიქრებდი“.

თვალით შეჭმა პრ. თვალის საშუალებით კუჭში ჩაშვება საქმელისა. სტვ. ხარბად, მითვისების ძლიერი სურვილით ყურება. „თვალი სქამს საქონელსაო“ (ხალხური).

თვალი იცის პრ. თვლი მოქმედობს მასზე. სტვ. თვალის კვრის მსხვერპლი ხდება, გათვალვის ვერ უძლებს და ავად ხდება. „თვალი იცოდა პატარამ. სალსალამათს გაიყვანდნენ სასერიარო, — დაავადებულს შემოიყვანდნენ, ბევრჯელ სიცხიანს“ (ვ. ბარნოვი, თეთრი გვირგვინი, 15).

თვალის კვრისა ანუ გათვალვისაგან, ძველი რწმენით, განსაკუთრებით ქორთვა ბავშვები ხდებიან ავად. ზოგი მათგანი მეტად განწყობილია თვალის კვრისადმი, ავთვალისანის ძალა მათზე ადვილად მოქმედობს. ასეთ ბავშვებზე იტყვიან: „თვალი იცისო“ (დაწვრილებით იხ. „თვალის კვრა“).

თვალი მატყუებს პრ. თვალი კარგად არ მაჩვენებს ვისმე ან რასმე. სტვ. ვინმე ან რაიმე ისე არ მეჩვენება, როგორც უნდა ნამდვილად მეჩვენებოდეს. „არ ვიცი, თვალი მეატყუებს, მიშლის წყვილიანი ღამისა“ (ვაჟა-ფშაველა, III, 166).

თვალი — თთბი, ყური — ექვსი პრ. უნდა უქცეროდე (რასმე) თთბი თვალით (ორის მაგიერ) და ისმენდე ექვსი ყურით. სტვ. მეტისმეტად უხდა აკვირდებოდე გარშემო და უფრო მეტად ყურს უგდებდე, ძალიან უნდა ფრთხილობდე.

ნათქვამია იმ სიფრთხილებზე, რომელიც კაცს მართებს როგორც უჩრის, ისე ვაგონების დროს; რათა არ დაჩაგროს, არსებობასთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდეს. ამიტომ ორ თვალს იმდენი უნდა დანახოს, რამდენიც თთბი თვალის დანახულს უდრიდეს, ხოლო ორ ყურს იმდენი გააგონოს, რამდენის ზოსმენა ექვს ყურს შეეძლოს.

თვალისა და გულის თან გაყოლა პრ. თვალისა და გულის თან გადევნება. სტვ. დიდი სიყარული ვისიმე, უმიზოდ გაუძღვებლობა. „წავიღა შეფეთან გაჰყვა მასპინძლების თვა-

ლი და გული. პაატას იმედი ჩა-
უსხსნა შეფის აღთქმამ“ (ე. ბარნოვი, სა-
მი რომანი, 396).

თვალისა და ყბის დადგმა პრე თვა-
ლასა და ყბის გაჩერება ვიზუალზე ან
რაზედღე. სკვ. მოწონება, შეთვალ-
იერება. „იგი (ქაიხოსრო) არაფერ სა-
შუალეზას არა ჰზოგავდა: მოტყუება
იქნებოდა თუ ძალადობა, სამართალი
თუ უსამართლობა — იმისათვის სულ
ერთი იყო, უთუოდ ჩაიდებდა ხელ-
ში იმ მამულს, რომელსაც კი თვა-
ლსა და ყბას დაადგამდა“ (მელა-
ნია, კრილოვანი).

ვისზე ან რასზე თვალი დაეადგიო,
ვიტყუებ, როცა ვინზე ან რაზე მოგ-
ვეწონება, მისი დაუფლება მოგვიინდება
და ვცდილობთ კიდევ ეს სურვილი
ავისრულოთ, კიდევ ვიტყუებ: ვისზე ან
რასზე ყბა დაეადგიო. ე. ი. ქვედა და
ზედა ყბებს შუა მოვაქციე ვინზე ან რა-
ზე და შექმის გზით მოვიინდომე მისი და-
პატრონებაო.

ორივე ერთად თვალისა და
ყბის დადგმა გვიხატავს ამა თუ
იმ ადამიანის თუ სავნის თვალში მო-
სვლას, მოწონებას და საბოლოო დაპატ-
რონებისათვის ზრუნვას.

თვალის არიდება პრე. თვალის მოშო-
რება ვისთვისზე ან რისთვისზე, შე-
წყუება ცქერისა. სკვ. ყურადღების
მიუქცევლობა, შეძლება, არაფრად
მიჩნევა, შევლა-დახმარებაზე უარის
თქმა. „რაღა-კი ზურგი უჩვენა ახლად-
გამოღვიძებულმა ძველს, ყველაფერს
თვალს აარიდა; აღარც კარგი
და სასარგებლო რამ სწამდა ძველ-
თავანი, ყველაფერი ბოროტად ეჩვენ-
ებოდა“ (აკაი, I, 32); „როგორც იქ-
ნება, ჩემ ძალდ ცხოვრებას ბოლო-
მდინ გაფათრე, ყველა ქოქში მიღებ-
დით, ყველამ თვალი ამარიდეთ
და ტუჩი ამიბუკეთ“ (ს. მგალობლი-
შვილი, I, 203).

თვალის ხაწყენს მიუხედავად პრე. რომ მე-
წყინება, ისეთ რასზე მიახმობს თვალი.
სკვ. რაღაც ცუდი უნდა დამემარ-
თოს; წინასწარ ვგრძნობ ბოროტის
შემთხვევას. „ნინია, ე მარცხენა
თვალს რაღაც ხაწყენს მიუხედავად
ვა; აი, შეხე, წარბთან რა ნიერ
მითამაშებს!“ (ს. მგალობლიშვილი, სა-
წყენი თვალი, „იგ.“, 189, № 1).

ერთი ძველი ცრუმორწმუნეობათა-
განია ხალხისა. სხეულის ამა თუ იმ

ნაწილის ამა თუ იმ მოძრაობის მიხედ-
ვით ჰგონიან გამოიყენონ — რაც მო-
ელთ, რაც უნდა შეემთხვათ, ცუდი თუ
კარგი.

თვალის აპრელება პრე. კრეალდ ნახვა
ვისზე ან რისაზე. სკვ. მოტყუება,
შეცდენა, ყალბად ჩვენება რისაზე.
„მაგრამ ბევრი შეუძლიან თეთრის
ფულების ხმასა, ხელში დაიწყებს ელ-
ვასა, ქალ აუქრელებს თვალსა“
(ა. უშიაშვილი, I, 211).

თვალის ვაზნება პრე. ნემსივით ვაჭა-
რება თვალისა რაზეზე. სკვ. ღრმად
ჩახედვა, დაწერილებით გასინჯვა.
„ანიტომაც ჩვენს ცხოვრებას ამ სა-
უქუნში რომ გულამდე თვალი გა-
ეუბნოთ, ვნახავთ, რომ იგი წარ-
მოგვიდგენს აზრთა და მიმართულების
წინსვლას, წარმატებას“ (ილ. ჯავახი-
ვაძე, IV, 222).

თვალის ვადავლება პრე. თვალებით მი-
მოხილება. სკვ. თვალებით ზერულედ
გასინჯვა რისაზე, ვადათვალისივითა.
სკვ. „თვალის ვადავლებით ეს
წიგნი კარგ დაწერილად მიჩვენა“.

თვალის გამართვა პრე. თვალის გასწო-
რება, პირდაპირ ყურება. სკვ. მო-
უხრებლად, შემართებით შეხედვა
მოპირდაპირისათვის. „ეს გაიგო ნი-
კომ; ძლიერ ითაკილა და მეტისმე-
ტად შეურაცხყოფილად ჩათვალა თა-
ვი. ლადოს თვალს აღარ უშარ-
თავდა. თუ ლაპარაკის შემთხვევა
მიეცემოდა მასთან, ცალყბივ ელაპა-
რაკებოდა“ (მელანია, ლადოს).

როცა ადამიანს ვემდურით ან
გვრცხვინია მისი, უნებურად პირდაპირ
თვალში ვერ ვუყურებთ, თავდახრილად
ველაპარაკებთ, ისიც ორივე ყბით არა,
ცალყბივ, უნდომლად, ნაძალადევად.

თვალის გამოთხრა პრე. ვისთვისზე თვა-
ლების ამოღება უნებურად, უთვალე-
ბოდ დატოვება. სკვ. შურით გულზე
გახეთქვა, მტრობა, დაღონება, დახა-
რალება, დახიანება, სამაგიეროს ვა-
დახდა. „ჩვენს სოფელს დემეტრემ
თვალი გამოსთხრა ნენეს შერ-
თითო, — ამბობდნენ სოფლელები, —
მაგისთანა მადლიანი და პირასმე
გოგონა ამ ახლო-მახლო სოფლებში
არ მოიძებნებოდა“ (ს. მგალობლიშვილი,
II, 6).

თვალის გასწორება პრე. პირდაპირ, სწო-
რად ყურება ვისთვისზე ან რისთვის-



მე. სტვ. უშიშროად, მოურიდებლად. თამამად, უკრძალველად. გაბედულად, შეძმართებით შეხედვით მოსაირიდებელ ან საშიშ მოპირდაპირესი. „თითონ მალხაზას თითქმის შერცხვა და თავი მალა ველირ აიღო, თვალთ ველირ გა უ ს წო რ ა მოძმებეს“ (ვ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 208).

თვალის გაჭრა ჰრღ. თვალის შორს გაქცევა. სტვ. შორსმხედველობა. „ცაში მაცქერალმა მოახსენა: შარშან ისარი შევადდე, ეხლა დაბრუნდა, და ველი, როდის ჩამოვარდება ან საითკენ მიპზრის ქარი, როდესაც დედაბრის შეიღმა და იმისაღ ამხანაგებმა გაიკვირვეს იმის თვალის გაჭრა, იმანაც უთხრა: მე კი არა, საკვირველი დედაბრიშვილიაო“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, I, 78).

თვალის გახელა ჰრღ. დახუჭული თვალის გაღება, დანახვა იმისა, რაც აქამდის თვალთათვის უხილავი იყო. სტვ. სწავლა-განათლება, ბედნიერი დღის მოსწრება, გაპირვებისაგან გამოსვლა, სამხიარულოს ნახვა, სიამოვნება, ფრთხილად ყოფნა; სირცხვილის უქმელობა, ხალხში გამოჩენა, გართობა, ნახვა რისამე, რაც ჯერ არ უნახავთ. „ახლა რიღათ ვქნათ ქორწილი, რით გავახილოთ თვალთა?“ (პ. უშიკაშვილი, I, 231); „პირველში, როდესაც დაინახეს დიდი რეეული დაწერილი, ურიებს ეგონათ, არზა ქვას გახეთქავდა, მერე კი, როდესაც დაიმგებმა გადაუთარგმნა, მოსწყდათ წილი: გავახილეს თვალთ და დაინახეს ვერაგობა დიამბეგისა“ (ლ. არდახიანი, სილოზონ მეჯღანუაშვილი, 20).

თვალის დაღვმა (ვიზემე) ჰრღ. თვალის დაყენება ვიზემე. სტვ. მოწონება, ვისიმე თავისად მიჩნევა, თავისად ნატყრა. „აქ მასწავლებლობის დროს დეიდას მახლმა, გიგა მაჩაბელმა, თვალთ დამამადგა, მოვიწორე, უნდოდა დამლაპარაკებოდა, მაგრამ გამოუსვლელი ხეპრე კაცი, რას მეტყოდა“ (ელ. ჩერქეზიშვილი).

თვალის დაყენება (ვისთვისმე) ჰრღ. თვალის მოძრაობის გაჩერება, თვალის ქუთუთოების დახუჭვა. სტვ. სიკვდილი. „ასწივი დიბის საბანსა, ვადმამხვევი მკლავები, შენ ჩემთან იყავ, ლამაზო, მტერს და ვუყენოთ თვალთ“ (პ. უშიკაშვილი, I, 319).

როცა ადამიანი (და საერთოდ ყველი ცხოველი) კვდება, გარემოთათვის პირველი სახილველი გარეგნული ნიშანი სიკვდილისა — სხეულის უძრაობა და თვალების დახუჭვაა. ქართულში დიდი წყევლის: დავიდგეს თვალბილი! ეს ნიშნავს მთქმელის მიერ სასიკვდილოდ გამეტებას, ვის მიმართაც წყველა მიმართული.

თვალის დაკვრა ჰრღ. თვალის დაშვება ზევიდან ქვევით. სტვ. მეტად ზეზეურად და სწრაფად გაშინჯვა, ოდნავ შეხედვა. „დაჭკრა თვალთ ამ საკვირველ ქალს, ერთხელაც არ შემოხედა სრულის შეხედვით“ (ვ. ბარნოვი, სამი რომანი, 156).

თვალის დაბანება ჰრღ. თვალის მოკვრა, ნახვა, შეთვლიერება. სტვ. მოწონება. „რა იყო და ჩვენ ბატონთ თვალთ და უტანებთა იმავ მეგლი — ბაბიას გოგოსთინა დამოტყეუბას უპირებს“ (ს. მგალობლიშვილი, წარსულიდან, „მოამბე“, 1899, III, 114).

თვალის დამყენებელი ჰრღ. თვალის გამჩერებელი, თვალის სინათლის წამრთმევი, თვალის დამზრმავებელი. სტვ. მეტად მშვენიერი, კალმით დახატული, თავისი ბრწყინით მზის სადარი; ჯაგრის ამოპირელი მოპირდაპირისა, ბრძოლაში პირველი. „ერთთა მეტად ლამაზი, მეორე — ლერწამტანისა, მესამე ასეთი არის — დამყენებელი თვალთსა!“ (პ. უშიკაშვილი, I, 392).

თვალის დამყენებელი ითქმის უმთავრესად სწორუპოვარი სილამაზის ქალზე, რომელხელაც ყველას თვალთ რჩება, რომლის სილამაზე ყველასა შურს და, მცხუნვარე მზის სხივების მსგავსად, ყველას თვალთს უბრმავებს.

თვალის დაჭრა ჰრღ. ყურება, ცქერა. სტვ. თვალის დევნება; მოწონება, ჩაცვივებით და ნდომით ცქერა. „მეტორა გინდა, არ ვიცი, ვიზე გიტირა ვს თვალთა?“ (ვაჟა-ფშაველა, III, 111); „ემჯობინებოდა, კარგი ოჯახის ქალი აერჩია; ბევრს უტირა ვს ჩვენს ბიჭზე თვალთ, თუნდ ბერიკაბთ“ (ფნ. მენთეშვილი).

თვალის დახამხამება ჰრღ. იმ დროის განმავლობაში, რაც თვალის მალმალ დახუჭვას მოუღდება. სტვ. ერთწამში, უტბად, ხელად, მეტად სწრაფად. „თვალის დახამხამებაზე მოხდა ის ყველა. დასცეს ყოიხა,

შეიქმეს. სააკაძემაც მოუწონა ნატყორცნი“ (გ. ბარნოვი, სამი რომანი, 23).

თვალის დევნება ჰრდ. თვალის მიყოლებმა. ზკვ. ზეერვა, თვალიერება. „თვით მიფის კარსაც ჰყოლოდათ შეთქმულებს კაცები. დასაკვნეს, თვალნი მღვწეობითა თორავღებინათ სათვის, და ქვეშაობით გავგოთ ყოველივე“ (გ. ბარნოვი, სამი რომანი, 12).

თვალის ეკალი ჰრდ. რაც თვალს ეკალივით ხვდება. ზკვ. შემწუხებელი, მტანჯველი, მოუთმინელი, პირში სიმართლის მთქმელი.

თვალის თამაში ჰრდ. ზედიზედ დახუჭვა-გახელა თვალისა. ზკვ. რაიმე კარგის ან აუვის ნახვის მოლოდინი. „მომრძანდეს! სტუმარი ღვთისაა. მეც დილიდანვე მომავალს შეუბნება, თვალნი მითამაშებს. — ნეტავ, ვინ უნდა იყოს მომავალი? — ვინ იცის! სასიამოვნო — კი იქნება, კარგი ამბის მომტანი: ესე მაქვს დატყობი მარჯვენა თვალის თამაში“ (გ. ბარნოვი, სამი რომანი, 391); „პირისუფალივით გულ-ხელი დაუკრებია (მაიას) და ჩაუქინდრია თავი. ხან დაიღვრივება: ვაი თუ რომ დაებრუნდე, ჩემი შვილი გარდაცვლილი დაშხვდება; ემარცხენა თვალის თამაშობა ზეირი არას მიქადის“ (ს. მგალობლიშვილი, I, 27).

ზოგჯერ თვალი ხშირ-ხშირად იხუჭება და ვახილდება, რასაც თვალის თამაშს ეძახიან. ცრურწმენით, ეს „თამაში“ რომელიმე ადამიანის ნახვის მომასწავებელია: მარჯვენა თვალის თამაში — სასიამოვნო ადამიანისა, ხოლო მარცხენასი — უსიამოვნო, საწყინარისა.

თვალის კვრა ჰრდ. თვალის მიცეცება, თვალის მოღება. ზკვ. დანაესვა, დანაზარლება, მოხიბლება, ვნება, ხელის შეშლა, დაღუპვა. „რა კარგი რამ იყავ (გაიანე)! ყბა ვინ დაგადგა, თვალნი ვინა გკრა?“ (ლ. არდაზანი); „გიხდება, კარგო, ყველაფერი. ტანთსაცმელი რომ მოგერგო, თითონ შენ უფრო დამშვენე ეგ ტალავარი! თვალნი არ გკრან! ხომ შეიბი სათვალღვრინქილა?“ (გ. ბარნოვი, თეთრი გვირგვინი, 27).

თვალისკერისა ანუ გათვალვისაგან, ჩვენი ხალხის რწმენით, განსაკუთრებით ქორუბა ბავშვები ხვდებიან ავად. ზოგიერთი მათგანი მეტად ვადწყობილია

თვალისკერისადმი. აეთვალისანის ძალი მათზე ადვილად მოქმედობს. ასეთ ბავშვზე იტყვიან ხოლმე: „თვალნი იცის“.

თვალისკერის ასაკდენ საშუალებად ითვლება: ბავშვის ყელზე თუ აკვანზე სათვალღვრინქილას შებმა, ამავე სათვალეს შებმა საქონლის კისერზე, გახერხების ქვის დაკიდება, სახლისშესავალ კარებთან, გახერხების (ბუნებით) ქვისა და საქონლის (ცხენის, ძროხის) თავის ქალას ჩამოცმა ალაყაფის კართან, ღობის სარზე, შელოცვა გათვალულისა, სხვადასხვა ბალახისაგან შეზავებული წაშალი ნათვალვისა.

თვალის მოთხრა ჰრდ. თვალის გამოღება უბიდან. ზკვ. შურით გულზე გახეთქვა, დაღონება, დანაზარლება, დაზიანება, სამაგიეროს მიწყება, მტრობა. „ქუჩაში რომ შემხვდებიან, ჩემ „ლაქიას“ ვუბძანო, რომ ჩემ მაგიერ იმან დაუკრას თავი! მაშ! შენ კი იძახი: დეე, რაც უნდა, სთქვანო! თვალს მოვთხრი და გულზე გაგხეთქავ“ (აფ. ცაგარელი, კომედიები, 267); „თვალსაცა ბოთხრი, მამამთილო, ტყუილისა ხარ მთქმელია: რასაც მინდა, იმას ვიზამ, შენი საქმე ძნელია!“ (ხალხური); აქედან: თვალის მოთხრელი. აი ესენი არიან ჩვენი თვალისმოთხრელები“ (გ. ერისთავი, თხზულებები, 455); „აბა ამისთანა ხალხში ეგენი გამოდგება, როდესაც თვითონ არიან ერთმანეთის მტრები და თვალის მოთხრელები“ (ეფ. მენთეშაშვილი, კოლა მშველიშვილი, „ივ.“ 1903, № 252).

თვალის მოკვრა ჰრდ. თვალის მოხვედრება. ზკვ. ნაწილობრივ, ოდნავ დანახვა. „მას აქეთ თვალნი ვეღარ მოვკარ და ახლა ერთ ჰდგას აქა კრძალივით, ვით ქურციკი ვეფხვთა შორის“ (ნ. ბარათაშვილი, ღამეუბნაზე, 13).

თვალის მოკიდება ჰრდ. თვალის მიკარება, თვალის ხლება. ზკვ. ვასინჯვის მოსწრება, დათვალეირება, შეხედვა. „ასრე გავიდი საბელსა რომ თვალნი ვერ მომკიდიან“ (შ. რუსთაველი, 1394).

თვალის მოტაცება ჰრდ. სხვისი თვალის მიზიდვა თავისაკენ. ზკვ. მეტად ლამაზის, მშვენიერის, მომხიბლავის დანახვა. „ყველა მხედრობას ჰანბილ პონტოელის ჯარი სჯობდა: რჩეული ვეჯკაცები თვალსა სტაცებდნენ იდა-



მიანს* (გ. ბარნოვი, არმაზის მსხვერვა, 52); „რა იქნა ყვავილთ კონები? კაცს მოსტაცებდა თვალსაო“ (ვაჟა-ფშაველა, III, 273).

როცა ვისიმე ან რისამე გარეგნობა მეტად ლამაზია, ჩვენს თვალებს, ჩვენდაუნებურად, თავისკენ მიიზიდავს, მოგვტაცებს, თითქო უნდა წაგვართვასო. თვალის მოტყუება ჰრდ. ვითომ დაძინება. სკვ. წაძინება, ოდნავ დაძინება. „კაცს რომ ერთი საათი მოსვენება არა ჰქონდეს, ერთს წუთს თვალი ვერ მოატყუოს გემრიელად, იმისი ცხოვრება რა ცხოვრებაა!“ (რაფ. ერისთავი, IV, 194); „... სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ლენოს, ცხენს მოაძიოვებს, თვალს მოატყუებს, გამოიღვიძებს, შუბლს გაიგრილებს“ (ნ. ბარათაშვილი).

თვალის მოტყუება ჰქვია იმ მდგომარეობას, როცა გულის ძილისათვის არა გვცალბა და თვალს ერთი წამით მოგვუჰკავთ თუ არა, უნდა გავახილოთ და ვიფიხილოთ.

თვალის მოუხსლტელობა ჰრდ. უცბად მოუშორებლობა თვალისა. სკვ. სურვილი განუწყვეტლივი ცქერისა ვისთვისმე ან რისთვისმე, მეტად მოწონება. „შეუხედე თუ არ იმ მზეს, იმ ცასა, გავშტერდი, ვეღარ მოვსხლიტე თვალი“ (ილ. ჭავჭავაძე, I, 205).

იგივეა, რაც თვალის მოტაცება, და გვიხატავს იმ მდგომარეობას, როცა მეტად შშვენიერ ვისმე ან რასმე დავინახავთ და თვალს ვერ მოვაშორებთ, გვიხდა ვუმზიროთ, ცქერით ვერ ვძღებით.

თვალის მოუშორებლობა იგივეა, რაც თვალის მოტაცება, თვალის მოუხსლტელობა.

თვალის მოუხუჭველობა ჰრდ. ღიად გაჩერება თვალისა. სკვ. უძილობა. „... წუხელის თვალი არ მომიხუჭავს... ერა პირი აიტეხეს!“ (ავტ. ცაგარელი, 85).

თვალის მოშორება ჰრდ. რაიმე საგნიდან შორს დაქერა თვალისა. სკვ. ვისთვისმე ან რისთვისმე ცქერის შეჩერება; თავის დანებება, უზარუნველობა. „ბისმარკი ძალიან ხელს უწყობდა საფრანგეთსა, ოღონდ მეკითვალნი მომაშორეო, და საცა გინდა, ფეხი გაიდგო“ (ილ. ჭავჭავაძე, X, 112); „წითელი ენა გადმოეგღო

(მგელს), ხოლო თავის ნამოქმედარს თვალს არ ამორებდა“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 97).

ვიტყვი — თვალი მოვაშორეო, როცა ვისმე ან რასმე დავინახავთ და თვალს ავარიდებთ; ამასვე ვიტყვით მიშინავ, როცა ვისმე თვალყუერი უნდა ვაღვიწყოთ, ვუბატრონოთ, ვიზრუნოთ მისთვის, მაგრამ ცოტა ხნით ან ხანგრძლივ, ჩვენი სურვილით თუ იძულებით, ჩვენი მზრუნველობის გარეშე ვტოვებთ.

თვალის ვერმოწყვეტა ჰრდ. თვალის ვერმოშორება. სკვ. მეტად ლამაზი, სულ რომ გინდა უტკიოთ. „მიხოც თანდათან დაწყნარდა, იმის თვალებში ისევ დაისახა აზრი, მისი ქცევა გონთამყოფ ადამიანის ქცევას ღაღავანა. ეს კი იყო, რომ თვალი ვერ მოსწყვიტა ქალს“ (გ. ბარნოვი, ტფილისის ანტილოგები, 104); „ქვე დამხილმან წამავალსა ვერ მოსწყვიდნა ყოლა თვალნი“ (მ. რუსთაველი, 1573).

თვალის მოქრა ჰრდ. თვალის მოშორება სხეულისაგან მოჭრის საშუალებით. სკვ. სინათლით თუ სილამაზით თვალის დაბნელება, მოხიბლვა; ჯობნა, უპირატესობა. „ისე არ ჰმსახურებ ტრაპეზს, როგორც შეეფერება მისსიწმინდესა (უთხრა მღვდელს ეპისკოპოსმა), ვერცხლის ბრქუვიალს თვალი მოუჭრია შენთვის და წმინდა მოვალეობა დაგვიწყებია“ (გ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 272); „ამ მეტად ისახელეს თავი მეფის დიდებულმა სტუმრებმა თავის მოხდენილ ვაჟაცობით. თვალსა სქრიდნენ ხალხს ლიბარიტ დადიანი, ვამეყ გურიელი, თენგიზ შარვაშიძე, ჯანსუღ დადემეკელიანი“ (გ. ბარნოვი, სანი რომანი, 150). აქედან: თვალის მომჭრელი.

ერთბაშად მოხვედრილი სხივები მზისა ან პირდაპირ ყურება მზისა თვალს გვიბნელებს და იძულებული ვართ თვალები დავხუჭოთ ხოლმე. ნატოვანად შეიძლება თვალი მოგვკრას ვინმეს სილამაზემ. ამ შენთხვევანი იფულისხმება, რომ სილამაზე ისევე შეუქმნარე და ბრწყინვალეა, როგორც მზე.

თვალის მოხუჭვა ჰრდ. თვალის ზედა და ქვედა ქუთუთოების შეერთება. სკვ. განგებ არ დანახვა დასანახავისა, სიფიხილზე ხელის აღება, ფრთხი-



ლად არყოფნა; დაძინება; სიკვდილი. „ის-კი არ იციან, რომ თუ წუთისმოფელს ერთს ბერწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგათლავს, როგორც დიდოღელი ლეკი ნაბაღსა“ (ილ. ჰავჭავაძე, III, 37); „ნარ-დონი რარჩვად აღვილად ემყარება არასარწმუნო კაცებს და მოწმობას, და იმავე დროს, რარიგად ყურს იყრუებს, თვალსა ხუჭავს იქ, საცა პირდაპირი უტყუარი საბუთია ქართველის ასე თუ ისე კეთილად ხსენებისა“ (ილ. ჰავჭავაძე, V, 113); „ცოდნა (ბატონი), წუთელ ქალაქიდან გამოვდით და დღევანდლამდინ თვალი არ მოუხუჭავს, დღე პატარა კიდევ იძინოს“ (ილ. ჰავჭავაძე, III, 148).

თვალის სინათლე ჰრდ. ხედვის საშუალება თვალისათვის. ზვ. გამახარებელი, ბედნიერების მომნიჭებელი, უზომო სიამოვნების მომგვრელი. „ნუ ამბობ მავას, შეილო! ცოდნა მამაუნუნე მავისი თქმა. სიციხელედ უღირხარ. თვალის სინათლე ხარ ჩვენი“ (ვ. ბარბოვი, სამი რთმანი, 62).

ამ თქმით ჩვენთვის ძვირფას, მეტად საყვარელ ვისმე ვადარებთ ჩვენი მხედველობის ორგანოს — თვალებს, რომლებითაც ვპვრეტთ ჩვენი გარშემო ყველაფერს, ბუნების მრავალფეროვნების და რომელთა გარეშე ჩვენი სიციხელის ღირებულება განახევრებული იქნებოდა, ყოველივე ფასი დაეკარგებოდა.

თვალის ყოფა ჰრდ. უცვლად დახამამება თვალისა. ზვ. თვალით ნიშნება, ყურადღების მიქცევენება ვიზედმე ან რაზედმე, რაიმე აზრის ცნობება. „აი, ამას ჰქვიან — ერთსა და იმავე დროს კაცმა თვალი უყოს მკომბელსა და მოსარჩლესაც, მტერსაცა და მოყვარესაც, შორეულსა და მახლობელსაც ერთმანეთზე წასაქებულად“ (ილ. ჰავჭავაძე, V, 181); „შივ ჩავუგდებ უხალთუნსა, ვაკოცებ და ვუზუამ თვალსა“ (პ. უმიკაშვილი, I, 174).

როცა მესამე პირის თანდასწრებით რაიმე საიდუმლოს სიტყვით არ ვეუბნებით, არამედ თვალთ ვანიშნებთ, თვალთ ვაგვიბინებთ, თვალთ მივახვედრებთ იმას, რაც ვვაქვს სათქმელი, ამაზე ვიტყვით — თვალი ვუყავი მავანს ანუ თვალი მიყო მავანსაო. იგივეა, რაც თვალის ჩაკერა.

თვალის შევარდნა ჰრდ. თვალის მოქცევა სხვის არეში. ზვ. ძალზე მოწონება

ვისიმე, მეტად შეყვარება. „მღვდელი კი ამურებს, წავიდეთ, თორემ დავვიდამდებოა, მაგრამ ბატონს თვალი შეუყარდა ამ თავის ნაცოლარზე და ველარ შორდებოდა“ (ბენისწყლი (აზაფიანელი), ივ., 1892, № 67).

თვალის შესწრება ჰრდ. ძლიერ მისწრება დანახვისა. ზვ. ოდნავ, გაკვრით დანახვა. „ესევე არწმინდებელი შესძლო ადამიანის გონებაზე, როცა შეუდგა იმის გამოძიებას და გაგებას, თუ რა მდგომარეობაში იყო კაცობრიობა საზოგადოდ, ამ თვითუღელი ერი ცალკე იმ დროს, რომელიც ისტორიას არ დაუხსომებია, ამ თვალთ ვერ შეუსწვრია“ (ილ. ჰავჭავაძე, V, 18); „ქარბა ხანს ვაყვედრე ჩემს თავს დაგვიანებისათვის, უცებ თვალი შევასწარი ერთ სოფელს გლეხკაცსა, რომელსაც მოჰქონდა გალით ვარიები ვასასყიდად“ (ლ. არდანიანი).

თვალის ჩაბრუნება ჰრდ. თვალისათვის გულმუცლისაიენ ჩაბედვინება. ზვ. გულში ჩახედვა. „ამ წრეში მოტრიალეს კაცს მოცალეობა არა აქვს თავის თავს ჩაუბრუნოს თვალი განსაკითხავად“ (ილ. ჰავჭავაძე, VII, 112).

თვალის ჩაკერა იგივეა, რაც თვალის ყოფა.

თვალის ჩინი ჰრდ. თვალის შუაგული ანუ გუფა (pupilla), რომელშიც გადის სინათლე. ზვ. ძვირფასი, მეტად საყვარელი, უნაკლულო, ყველაფრით სრული, გასაფრთხილებელი. „ეკარგებოდა (შალვას) თამარი, მისი მზე, თვალის ჩინია“ (რაფ. ფრისთაფი, II, 110); „როდის იქნება, თაფლო, ჩემს სახლში შემოგვიყვანო, რომ ცივი ნიავი არ მოვადინო, თვალის ჩინი ვით ვაგვიფრთხილდე, ფარვანასავით თავს მოგვივლო“ (გვს. მენთაშაშვილი, ივ., 1902, № 257).

თვალის ჩინი, იგივე გუფა — pupilla — გამტარებელია სინათლისა. უიმისოდ თვალი უძლურია ადამიანს თავის გარემო დაიხანოს რამე, რამე ვაპვრეტინოს. ამიტომაც, რომ გვაქვს ფრანა: ისე ვავუფრთხილდები (საყვარელს არსებას ან სავანს), როგორც თვალის ჩინსაო, რაც ნიშნავს: ესა თუ ის არსება ჩემთვის ისევე ძვირფასია, ისევე დაუფასებელია, როგორც თვალის ჩინი, რომლის საშუალებით ვპვრეტთ, რაც ჩვენს გარშემო არის.



თვალი ტყვექმნილი ჰრღ. თვალი შეპყრობილი, დაქერილი. სკვ. მოხიბლული, მოცდუნებული. „და რა იხილა კვლავ იგი მწირმა, დაუცხრა სული აქოთებული და რაღაც ძალით ქალზე კვლავ დარჩა თვალი ტყვექმნილი, გაშტერებული“ (ილ. პავლევიძე, I, 211).

თვალი უქრის ჰრღ. იმისი თვალი ჰკვეთს რასმე. სკვ. კარგად ხედავს, საგნებს ერთიმეორისაგან მკაფიოდ არჩევს. „არჩილს თვალი უქრის, რაც უნდა ძნელი საკითხავი ნაწერი მიუტანო, გაარჩევს“.

ქრა იხმარება აგრეთვე გონიერების გამოსახატავად. მაგალითად, რომ ვიტყვი, მავანს ქეჟა და გონება უქროსო, ამით გვინდა ვთქვათ, რომ მავანი მიხვედროლი კაცია, დიდი ქეჟა-გონების პატრონია.

თვალი შავი გაქვს ჰრღ. შავი თვალები გისხედს. სკვ. ცუდი კაცი ხარ. „ისინი სულ შარზე დადიან, თვალი გაქვრა-გამოკვრაზე უქირავეთ, და ერთი თუ წამოსცდა ვისმე: — „ბატონო, თვალი შავი გაქვსო“, მაშინათვე ან დაჩეხენ ან თავპირს აუნთებენ“ (ბენისელი, „ივ.“, 1892, № 198).

შავი საერთოდ გამომაბატველი ჩვენთვის საძულველი ფერისა. ამ ფერთან დაკავშირებული ყოველივე ბოროტება, ბნელეთის, წყვედიანის მიუფება, ადამიანის შეყენება სიავის გზაზე, სიმართლისა და სიკეთისაგან აცდენა. იგულისხმება, რომ შავი თვალის ადამიანი განსახიერება ამ ბოროტება-სიავისა და ასეთს ყველა უნდა ერიდოს, გზიდან ჩამოეცილოს, თუ უნდა განსაცდელს გადაარჩინოს.

თვალიც შენკენ და ორი ხელიც ჰრღ. თვალიც შენთვის მომიჩერებია და ორი ხელიც შენკენ გამომიშვებია. სკვ. ჩემგან ყოველგვარი სიმბოროტე, თვით სიკვდილი გერგინოს. „ბიჟო, შე ოხერ-მუღრეგო, ვისაც არ გეყურება, თვალიც შენკენ და ორი ხელიცა!“ (ან. ერისთავ-ხოშტარია, I, 68).

ძველი რწმენით, შეხედვით, თვალში თვალის გაყრით მავნე თვალის პატრონს შეუძლია სამტროდ გამეტებულ კაცს ყოველგვარი სიავე შეამთხვიოს, სიკვდილიც-ქი. აქედანაა წარმოდგარი: თვალის კვრა, გათვალვა.

ხოლო ორი ხელისგულის გაშვება ვისიმე მიმართულელებით ნიშნავს ამ ხელებით რამე იარაღის მოქნევის, ქვეების მიყრის, ჩაქვავების გამოსახვას. სიკვდილის ნატურას იმისათვის, ვისკენაც ამ ხელებს გაიშვებენ.

მაშასადამე, მრისხანე სახით თვალისა და ხელების გაშვება ვისკენმე გულისხმობს ვინმეს გამეტებას სასიკვდილოდ.

თვალი წაუგორდა ჰრღ. თვალები უბიდან გამოუცვივდა და გორგობით წაუვიდა წინ. სკვ. ძალიან მოიჭურა ვინმე ან რამე, მისი დაპატრონების სურვილი აღძვრა. „ხანშიშესულთაც თვალი წაუგორდათ (სათამაშოდ შეგროვილ გოგონებისა და ბიჭების ყურებით) და წავიდნენ მათკენ“ (ან. ერისთავ-ხოშტარია, „მიწა“, 105).

როცა ვინმე ან რამე ძალზე მოსაწონია, თვალებს „მოგვტაცებს“ და ასეთნაირად ეუყურებთ, თითქო თვალში ბუღიდან წამოგვეცვივდა და, რადგან მრგვალია, გორგობით წავიდა წინაო.

თვალმარგალიტი ჰრღ. მაგარი სხეული, მოელვარე, სადაფისაგანი და მრგვალი, რომელიც კეთდება ზოგიერთ ნიქარაში, განსაკუთრებით მარგალიტების მკეთებელ ლაფორთქინებისაში. სკვ. სრული, უნაკლო, საუცხოო. „გვირგვინი წამებისა ერთმანეთის ძმურად და სიყვარულით განკითხვისათვის, მშვიერთა, მწყურვალთა, სნეულთა, უპატრონოთა შეწყურებულთა — ნუ თუ ყოველივე ეს იგივე თვალმარგალიტები და უფრო უკეთესიც არ არიან?“ (ილ. პავლევიძე, VIII, 348).

მარგალიტი თავისი ელვარებით და ძნელად საშოვრობით ითვლება სილამაზის გამომაბატველ თვალად, ამ სილამაზის ხანონივად.

თვალსახარა ჰრღ. თვალის გამხარებელი ადამიანი ან ნიეთი. სკვ. გარეგნულად ლამაზი, ხოლო შინაარსით შეიძლება მეტად მდარე ღირებულ მისა.

თვალნათლივ ჰრღ. თვალს რომ დანახვა შეეძლოს ისე. სკვ. აშკარად, ყველას დასანახავად. „პატარები ვიყავით, ყველა ხედავდა, რომ თვალნათლივ გვძარცავდნენ, არავინ არ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო“ (ილ. პავლევიძე, III, 20).



თვალნაცრიანი ჰრე. ვისაც თვალღმში ნაცარი ექნება ჩაყრილი. **ხვტ.** საცოდავი, გაჭირვებული, უბედური, საწყალი. „შენ ძალიან უყვარხარ მაგ ოჯახდაქცეულს (ბოჭაულს), — თხოვნას შეგისრულებს, ძალიან მეცოდება ის თვალნაცრიანი“ (ილ. ელფსთერიძე, „ქალი“, 1894, № 16).

თვალსა და ხელს შუა მიეფარა (გამეპარა) ჰრე. იმ მანძილზე, რა მანძილიც თვალსა და ხელს შუაა. **ხვტ.** რომ ვუყურებ, ისე ყველას დასახახავად, ცხადად, უცებ, მოულოდნელად, იქვე. „... ეს ერთი ხანია, რაც დაიქარვა, თვალსა და ხელს შუა მიგვეფარა: ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ — ველარა გავიგეთ რა!“ (აკაი, I, 97)

თვალს წყალი დავლევინით ჰრე. მოწურებულ თვალს წყალი ვასვით. **ხვტ.** მივიხედ-მოვიხედოთ, გავმხიარულდეთ, გავერთოთ, თვალს კარგი სახადეთ ვაჩვენოთ. „ქვირა დღე იყო. ქალაქელები მორთულ-მოკახმული დავსერირობდით საქულბაქოზე და ვერთობოდით, თვალს წყალს ვაღვინებდით“ (გ. ბარნივი, ფრად-ფორადი, 55); „კაკომ მოუტანა ტანისამოსი. ჩაიცვა კოლამ და გავმგზავრა საყდრისაკენ, სალოცავად კი არა. ისე; თვალის გასახილებლად, რომ თვალს წყალი დააღვინოს ზოგოების ყურებით“ (ილ. ჰაეპავაძე, III, 198).

თვალუწვდენელი ჰრე. რასაც თვალი ვერ გადასწვდება. **ხვტ.** მეტად ვრცელი, მეტად შორი, უსახლფრო, დაუსაბამი. „შეედევით ქარის ამოსალეხად მთის მაღალ წვერზედ, საიდანაც ხელის გულივით მოსჩანს ალაზნის თვალუწვდენელი მინდორი“ (დ. მანანელი, „ივ.“, 1899, № 274).

თვალღმთ ხჯა ჰრე. თვალღმის ფართოდ გახელით აზრის გამოთქმა. **ხვტ.** პირფერობა, მლიქვნელობა, ლაქუცი, მიკრძევა, მიდგომით ლაპარაკი. „შეღმან მიუგო: ერთს სიტყვას ვიტყვი, — გთხოვ, არ მიწოლო მე მისთვის ბრყვი, — შენ ქენ სამართალი სწორე და მართალი, ნუ სჯი თვალღმით“ (დ. გუჩაიშვილი, 254).

როცა ვისმე ვეფერებით, ანდა მიკრძვით ვმსჯელობთ, ნაძალადევად ვცდილობთ მხიარულება დავიჩინოთ

სახეზე, თვალღმე ფართოდ დავალოთ, და გვწაღია, ვისაც ვეფერებით, იმის გული მოვიგოთ. ამ შემთხვევაში ენაზე ხაკლებ როლს არა თამაშობს ჩვენი თვალღმე, რომელნიც ცდილობენ ჩვენი სულიერი მისწრაფება ფართოდ გაღმებით გადასცენ ხოლმე. თვით მომრეგებელს ვუწოდებთ თვალღმულს, ე. ი. ვისაც თვალღმე დაღმებული აქვს. იგივე თვალღმული ნიშნავს მხიარულსაც.

თვალყურის დგენება ჰრე. თვალისა და ყურის მიპყრობა სითყინმე. **ხვტ.** სიფრთხილით, გულმოდგინედ დარაჯობა, ზრუნვა, პატრონობა, მოვლა. „რა ვიცი, ქა, ბუზბუზით რო ირევა ი ხალხი და ფაიტონები, ცარიელ ადამიანს თავგზას ურევენ და შენ კოთორმეტ ლახლახა ბატს უნდა ადევნო თვალყური“ (ცქეტი, საბავშვო მოთხრობები, 24).

თვალყურის ჭერა ის. თვალყურის დგენება.

თვალში ამოღება ჰრე. თვალიდან გარეთ გატანა. **ხვტ.** გადამტერება, განზრახვა ზოროტი შემთხვევისა, დაზიანებისა ანდა მოკვლისა; გადაკიდება; ამოჩემება, მტრობა, შექმლუბა.

თვალში გაჩხირვა ჰრე. (ეკალივით) თვალში გარეობა. **ხვტ.** არასასიამოვნო ვინმე მოდიოდეს და თქვენს თვალს წინ დგებოდეს. თქვენს უნებურად თავისთვის გაყურებინოთ, თქვენს საქმეში გაერიოს. „ამითვალწუნა ამ კაცმა (მასწავლებელმა) და საშველი აღარ მომცა. წინა სკამიდან სულ უქანასკნელზე ვადამსვა „თვალში ნუ მეჩხირებო!““ (აკაი, I, 55); „მე ნამეტნავად გეგენს ბიკი მადგება გულზე და მეჩხირება თვალში ეკლად“ (მელანი, ნავარღობა).

თვალში თვალის გაყრა ჰრე. სხვის თვალში თვალღმის მოთავსება. **ხვტ.** პირდაპირ ცქერა, თვალის მოუწონებელიც კვრეტა რომელისამე საგნისა, ჩაცვივებით, მოურიდებლად ყურება ვისთვისმე, შიგ თვალღმში ჩახედვა. „ამ კირს თვალში თვალის გაყრა უნდა და არა თვალის ხუცვა“ (ილ. ჰაეპავაძე, „ივ.“, 1897, № 68); „მართამ უნებლოდ შეხედა იმას (მალხაზის ცოლს), რომელმაც თვალღმით თვალში გაუყარა და აგრძნო-

ბინა, რომ ისიც ამაზედ ფიქრობდა მაშინ“ (ვ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 214).

თვალში შაკლა პრ. ვისმე ვერა ვხედავ. სვ. შწყინს, რომ ვერა ვხედავ ვისმე, კარგი იქნებოდა, თვალწინ შედგეს. შგლ, ჩემი მეგობარი ორი თვეა, რაც ქალაქიდან წავიდა, სხვებს ყველასა ვხედავ და ის კი თვალში მაკლია“.

თვალში მოხვლა პრ. თვალთან მიახლოვება, თვალთან მისვლა. სვ. მოწონება, სიამოვნება, შეყვარება. „თუ რომელიმე მეზობელი თვალში ვერ მოსდის და მიზეზიც ვერა მოუხაზარა, თითონ მაინც ხელდახელ შეჰხანხლავს ერთს რასმე საშარცხენო ამაზედ თვის მეზობელსა თუ მოძმეზედ, გამობრახვის ყოველს ამას ქალაქდებულ, ხახვით შოისრეს თვალებს, რომ ცრემლი მოუვიდეს“ (ილ. ჰაგავაძე, IX, 41); „ივანესა და იმის უფროსს ქალს ნინუცასაც გაგონილი აქვთ ზღმარტლადიანთ სიღარიბე, იმის დედის ჰაბანწყვეტა და ვაი-ვაგლახი, მაგრამ კოტე აზნაური შეიღია, ჩინოვნიკი, ლაზათიანი ახალგაზრდაა და თვალში მოსდით“ (გ. გაბაშვილი, სხვადასხვაგვარი ქორწილი).

თვალში ნაცრის ჩაყრა პრ. ვისმე თვალში ნაცარი ჩაყარო და არაფერი დაანახეო. სვ. მოტყუება, თვალთმაქცობა, კვებნა და დაჩემა ისეთი ღირსებისა, რაც ნამდვილად არა ვაქვთ. „განა აშკარა არ არის, რომ ნარდონმა“ განგებ თვალეში ნაცარი ჩაიყარა, განგებ ყურეში თითი დაიციო, რომ არა დაინახოს.რა, არა გაიგონოს რა რუსთაველის სიკეთისა და უებარ ბრწყინვალეებისა?!“ (ილ. ჰაგავაძე, V, 195).

თვალში რომ ჩავარდნიდათ, ხელს არ მოახვამდნენ პრ. თვალში რომ ჩავარდნიდათ, იქვე ჩასტოვებდნენ, თვალთან ამოღებდას არ ეცდებოდნენ. სვ. ძალიან უყვარდათ, მისი გულისათვის მზად იყვნენ ყოველგვარი გაჭირვებისათვის გაეძლოთ. „მეტისმეტად მოხდენილი და სათნოიანი იყო თამარი და. იქნება, ამისათვის უყვარდათ მეზობლებს. თვალში რომ ჩავარდნიდათ, ხელს არ მოსვამდნენ, ყველანი ისე სიყვარულით ექცეოდნენ...“ (შ. არაგვისპირელი, 248).

თვალში ჩაუვარდა პრ. თვალში მოექცა. სვ. თავისი სურვილით განგებ დანახვა, თავისი თავი ძალათი გააცხო. „მოვიდა თუ არა (აგეტიქა), ყველა გაიციო, ყველას ვიზიტები გაუქეთა, ყველას დაუმეგობრდა, ყველას თვალში ჩაუვარდა“ (ნ. აზნანი, პიესები, 124).

თვალში ჩაფურთხება პრ. ვისსამე თვალში ნერწყვის მოხვედრება. სვ. შერცხენა, გალანძღვა, შეურაცხყოფა, ხიზლის გამოცხადება; ყვედრება, დამცირება.

ძველად დამნაშავეს ვირზე უკუღმა შესვამდნენ, სოფელს შემოაბარებდნენ, ყველანი მოდიოდნენ და თვალში აფურთხებდნენ ლანძღვის ნიშნად (დაფერილებით იხ. თავზე ლაფის დასხვა).

თვალში ჯდომა პრ. სხეულის მოთავსება ვინმეს თვალს შიგნით. სვ. უხომო სიყვარული, მოწონება, უსახლეო პატივისცემა. „აბა რომელი ჩვენგანი უზის მიხაკას თვალში, ან რომელმა მოუგო იმას გული“ (გულანია, ავთო-იქით გამარჯვება, 5); „შეო გასათხოვარი ხომ თვალში უჯდა იმის დედინაცვალს და ახლა ხომ სულში ჩაისევამდა!“ (გ. ყარაშინიძე, ნატვრიფ: ლა, „ოგ“, 1904, № 269).

თვალძალი პრ. ძალის თვალეზიანი. სვ. ხარბი, გაუძამდარი, თავის კერძო.

თვალწარბში ყურება პრ. ვისიმე თვალწარბის კუნთების მოძრაობისათვის ცქერა. სვ. შიში, მორიდება, კრძალვა, ცდა სხვისი რისხვის დაუმსახურებლობისა, სურვილი სხვისი გულის მოგებისა, „საპყარი იყო ჯაბრულა და ყველაფერი უნდა აეტანა, მოეთმინა; ყველას ფეხქვეშ უნდა დაჰგებოდა, ყველასათვის თვალწარბში უნდა ეყურებინა“ (ვ. ბარნოვი, ვარდუჯაძე, 271).

როცა ვისიმე შიში და რიდი გვაქვს, ერთავად თვალწარბში ვუცქერით და ეცდილობთ მათი საშუალებით მივუხვედეთ ადამიანის სულიერ განწყობილებას. წყრომისა და განრისხების დროს წარბების კუნთები ადამიანისა იკუმშვის, ერთმანეთს ეგვრის, თვალეზსაც აპატარავებს. ხოლო როცა იგივე ადამიანი კმაყოფილია და კარგ გუნებაზეც, მისი წარბების კუნთები ნარმალურ მდგომარეობაშია, თვალეზი უფრო ღიაა, და ვინც ვინმეს სახის გამომეტყველ-

ბას თვალს ადენენებს, ცდილობს თავისი ქცევით მის სახეზე უკმაყოფილების ნიშნები არ გამოიწვიოს, პირიქით, სურს ეს სახე მოლიმარე, მხიარული, კმაყოფილი და მისდამი კეთილგანწყობილი იყოს.

ესაა საფუძველი ამ თქმისა. თვალწარმტაცო პრდ. ვისიმე თვალების მომცილებელი. სჭვ. მეტად მშვენიერი, მომხიბლავი.

თვალწინ პრდ. წინ ედგეს თვალებს. სჭვ. იქვე, ახლოს, ხელმისაწვდომად. „იმასა ვცდილობთ, საქმეს წედამირზედ ავუცუოდით, ავუსლტეთ და იმისთანა წამალზედ მიეუშვიროთ ხელი, რომელიც ყველას ყოველთვის თვალებზე აქვს, ფეხებზე უგორავს“ (ილ. ჰაგვაძე, VII, 53).

თვალხილული პრდ. ვისაც აქვს გრძნობა ხედვისა, ვისაც თვალი უხელია, დახუჭული არა აქვს. სჭვ. მოფიქრებელი, წინდახედული, გამჭრიახი, ჭკვიანი, ბრძენი. „ჩვენში ახალი რაზმი გამოდის საასპარეზოდ და ნელ-ნელა მატულობს,—ეს ყველა თვალი ხილული სათვინი მწესავით ნათელი ფაქტიაო, თუმცა ჩვენი ცრუ-სამსონი ძალას-ბიძალას ფიცადი და უნდათ ყველა დაიჯერონ, რომ ჩვენს მეტი არავინ არისო“ (ილ. ჰაგვაძე, IX, 48).

თვალხუჭუნა პრდ. თვალები დახუჭული რომ ჰქონდეს, ისე. სჭვ. მოუფიქრებლად, წინდაუხედავად, ბრძანებურ. „ჩვენი ბევრგან სხვაგანაც ვნახავთ, რომ ამისთანა თვალი-ხუჭუნა ნახტომები უცაბედად-ი არ მოსდის ავტორს, არამედ მისი მანერაა, მისი თვისებაა, მისი ხასიათია, მისი ზნე-წერისა“ (ილ. ჰაგვაძე, V, 31).

თვითრფული პრდ. მხოლოდ თავის რჯულს რომ მისდევს, ისეთი. სჭვ. თავისინება, ჯიჟიტი, გაჭირი. „ჩემი საცოდავი ძმა უჯიათი იყო, თვითორჯული და, ვაი რომ ამასთანავე გულნამცეცაც იყო“ (ილ. ჰაგვაძე, III, 22).

თითების ჩაკვნიტა საკმელში პრდ. თითების ბოლოების მოკმა. სჭვ. მეტად გემრიელად კმა.

თათებს შუა გახსნტომა ის. თვალსა და ხელს შუა ვამეპარა.

თითზე ვადახვევა, თითზე ვადახახვევი პრდ. რაც თითზე ვადაეხვევა, რაც

თითს დაუარავს. სჭვ. სულ ცოტა. „ხეარაშუე ტემა-ტყეპით ვამოაგდეს სახლიდან და ერთი თითზე გადასახვევიც არა მისცეს რა, თუმცა ხეარაშუე ფეხმძიმედ იყო და ნაბიჯ-ვარსაც აღზრდა უნდოდა“ (ლ. მანხანელი, ბეგია ხეარაშუე, „ივ“, 1899, № 92).

თითზე დაჰდევთ თითზე ქდეს გაკეთება. სჭვ. დახსოვება, საზარადისოდ მოგონება, არდაეწყება. „საცა ცოდნა არ არის, იქ კაცი არ არის, და საცა კაცი არ არის, იქ საზოგადოებაც არ არის და საცა საზოგადოებაც არ არის, იქ არც ხალხია. ეს უნდა თითზე დაეკიდეთ თი, ეს უნდა დღე-ღამე გვეხმაროს ვიქონიოთ“ (ილ. ჰაგვაძე, VII, 292). ის. დაჰდევთ, ქდე.

თითზე არ მიკბინოს პრდ. თითზე კბილებით არ მომიჭიროს. სჭვ. პატარაა, უსუსურია, პასუხისმგებლობა არ მოეთხოვება. „...საწყალი, პაწაწინია—თითზე არ მიკბინოს!..“ (რაფ. ერისთავი, IV, 266).

იგულისხმება ის მომენტი, როცა ბავშვს ვიღერებდით ან ეთამაშებდით და პირში თითს ჩაუღებდით. უსუსურ ბავშვს საშუელი რამ ეგონება და უკბენს.

თითზე კბენა პრდ. კბილების დაჭერა თითზე. სჭვ. სინანული, ხილვლიანობა, დარბი, წუხილი. „ოთარაინთ ქერიემა ესლა-ცი თითზე იკბინა, თითქო რალაც ენიშნაო, რალსაც მიაგნოთ“ (ილ. ჰაგვაძე, III, 68); „წახსდარსა საქმეს რას არგებს მას უკან თითზე იკბენანი“ (კილილა და დაჰანა, 35).

როცა მარცხად, დაუფიქრებლად რაიმე არსათქმელი წამოგვეცდებოდა, და ჩვენი საქციელი სინანურად დაგვრჩება და შეგწუხდებით, უცბად ნეკს პირში ჩავიდებთ, კბილებს დავაჭერთ, გავჩუმდებით და სახეზე სინანულის გამოვტყვევებთ გამოგვბატონს. ამ თითზე (ნეტზე) კბენით გამოწვეული მუწავე გრძნობის განცდევინებით თითქო ჩვენი ვაყვედრით და ვსჯით ჩვენს თავს — ეს რა მოგვივიდაო!..

თითთ საჩვენებელი პრდ. თითით დასახახვევლი. სჭვ. საჯაროდ დასაცინი, გასაკიხი, შერცხვენილი; ყურადღების ღირსი; სამაგალითო; სააუგო, საყვედრებელი, ცუდი, უხნეო. ამ საერთო გლთვის იმ კაცზე, რომელიც არც ჩინებით, არც დიდაცო-



ბით, არც სიმდიდრით, არც ჩამომავლობით თითით საჩვენებელი არ იყო, დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის“ (ილ. ჰავჭავაძე, VII, 276); „მოვალედ“ ჰრაცხს თავის თავს — ასე მოიქცეს, რადგან უამისოდ იგი კაცად არ ჩასთვლის და ხალხის მხრივაც თითით საჩვენებელი ვახდება“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 76); „ოჯახი კი სწორედ განთქმული ჰქონდათ, თითით საჩვენებელი, ხალხითა და დოვლათით სავსე“ (ვ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 201).

როცა გვინდა ადამიანს ყურადღება მივაპყრობინოთ რაიმეს ან ვინმეს მიმართ, სალოკ თითს გავიწვრთ ამ მიმართულებით და ამით ვანიშნებთ, რომ მავანი კაცი ყურადღების ღირსია, როგორც სიკეთით მოსილი, ან კიდევ — ცუდი, საშიში, უღირსი. აქედან წარმოსდგება ეგ თქმაც.

თითით ხეწნა ჰრ. თითის საშუალებით თხოვნა, აჯა. სჯ. დიდი მორიდებით თხოვნა, უზომო თავის დამდაბლება, მორჩილება. „ავთანდილს ასმათ ჩამოჰყვია, ზენარით ეუბნებოდა; მუხლთა უყრიდა, ტიროდა; თითითა ეხევეწებოდა“ (შ. რუსთაველი, 670).

თითის გაუნძრევლობა ჰრ. თითის გაჩერება უმოძრაოდ. სჯ. სრულებით არაფრის კეთება, უსაქმურობა, სიზარდაცვე, თავის შეუწყუხებლობა, უღირადელობა, უზრუნველობა. „გრძნობით კი კარგათა ჰგრძნობდა (ჩვენი საზოგადოება) თავისს ვაივაგლახს და ყოველის მხრით ვაჭირვებულ ცხოვრებას, მაგრამ შევებით კი თითქმის თითსაც არ გააანძრევდა ხოლმე, რომ რაიმე მტკიცე საშუალება გამოენახა თავის დასახსნელად“ (ილ. ჰავჭავაძე, VI, 51); „ღმერთიანი, ან ერთმა დირექტორმა და ინსპექტორმა ამისათვის თითი დასძრა და!“ (ილ. ჰავჭავაძე, VI, 143).

ყოველგვარი ფიზიკური საქმიანობა სრულდება ხელით და, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამ ხელის თითების საშუალებით, და როცა ჩვენ არა ვსაქმობთ, არაფერის ვაკეთებთ, ხელის თითები უძრავად არიან. აქედან — თითის გაუნძრევლობა ხატოვანად გამოიმტკეპლია ჩვენი უსაქმურობისა, უმოქმედოდ ყოფნისა, მცონარეობისა.

თითის დაქნება ჰრ. თითის უნების ჩვენება ვისთვისმე. სჯ. შეწინება, დამუქრება, გაჯავრება. „ავსტრიის რომ გლადსტონმა ერთხელ თითით დაუქნია და მრისხანედ დაუძახა: „ხელემი უკანაო“ — ამის მიზეზი ის არის, რომ კუდიანი ავსტრიამ ჩემჩემად მიცოცავეს აღრიბიტის ზღვისაკენ“ (ილ. ჰავჭავაძე, X, 117).

როცა ვისმე ვემუქრებით, მარჯვენა ხელის ოთხ თითს, სალოკ თითის გარდა, მოვხრით და სალოკ თითს რამდენჯერმე მოვიღებებთ და ამით ვანიშნებთ: გცემ, თუ შენი არ დაგიშლიაო.

ამ შემთხვევაში გამართული თითი მოგვაგონებს ჯოხს. რომელიც ძველად ქვეითად მავალ მგზავრს სულ თან დაჰქონდა, როგორც პირველყოფილი იარაღი, ხიფათიან გზებზე სიარულის დროს ნადირისა თუ მტრისაგან თავის დასაფარავად.

ამავე ჯოხს ადამიანი თავის მოწინააღმდეგეს მოუღერებდა ხოლმე ისევე, როგორც დღეს ჩვენ, უჯოხოდ მოსიარულენი, საქირების დროს თითს მოვღერებთ ხოლმე ვისმე — ჩვენს წინააღმდეგ ასამხედრებლად მომზადებულს.

თითის დაწება ჰრ. თითის ოდნავ დაკარება ვისსამე სხელზე. სჯ. ცემის, ტყენის, ფიზიკური სიმწირის განცდვინების განზრახვა. „თუ კაცი ხარ და თითს დაამწყებ, მაშინ ნახავ შენს სეირს, — უთხრა (გიორგის) გულმეგრდმოღერებულმა მოჯამაგირემ“ (ილ. ჰავჭავაძე III, 54); „მე ჩაფრებისა კი არა, ღმერთისაც არ მეშინიან!“ ჩემი ხანჯალი აბნახს იღებს. როცა ესა მაქვს, იქ ვის შეუშლია თითი დამამწყოს!“ (მელანი, ბნელი).

როცა ვისმე ფიზიკური შეურაცხყოფა გვინდა მივაყენოთ უიარაღოდ, მხოლოდ ხელების საშუალებით, ჩვენი განზრახვის ასრულების საქმეში ორივე ხელის ათივე თითი ლებულობს მონაწილეობას. ხოლო ერთი თითით, და ისიც ამ თითის დაწებით, ოდნავი შეხებით საგრძნობი შეურაცხყოფის მიყენება ვისთვისმე შეუძლებელია. მხოლოდ შეიძლება ვაგრძნობინოთ, რომ მისი შეურაცხყოფა გვინდა. როცა გვინდა გამოეხატოს, რომ მოწინააღმდეგე ვერას დაგვაკლებს, იმისი არ გვეშინია, ვამ-



ბობთ: თითსაც ვერ დამაწებ ანუ ვერ დამაჯარებო.

თითის მოკაცვა ჰრღ. თითის მოხრა, სცვ. აღიარება მორჩილებისა, მონობისა, დამარცხებისა, სიმტყუენისა. „თითონვე თავის პირით მითხრა: ზაყ-ზაყ მღვევი ხარო! თითი მომკაცვა და ყურში ჩემად ჩამჭურჩულა: სანამღვო მოიგეო, ნახევარი იმერეთი შენი უნდა იყოსო“ (ილ. ჰაგვაძე, II, 255).

ძველად ტყვეს რომ დაიჭერდნენ, ან ვისმე ბრძოლაში მოერეოდნენ, ან კიდევ ტყუილი დაიჭერდნენ, ნაჯობნს, დამარცხებულს, გამტყუენებულს მჯობნის, დამარცხებულის, გამტყუენებულის წინაშე სალოკი თითი უნდა მოეკაცვა. ამით იგი აჩვენებდა თავისი სხეულისათვის სწორ, გამართულ მდგომარეობის წართმევას, დაკნინებას, და ხატოვანად კი — სისუსტეს, დამარცხებას. ამითვე ეუბნებოდა მომრევს: შენთან ბრძოლაზე ხელი ამიღია, შენზე სუსტი ვარ, ამ მოკაცულ, საბრძოლველად გამოუსადეგარ თითს დამსგავსებულო.

თითისტარის ტრიალი ჰრღ. სიმრგვალებზე მოძრაობა თითისტარისა. სცვ. საქაბლო საქმის გაკეთება. „ვერც შენ გამოდგები, შვილო აქა, ივერც სახლში, შენ თითისტარი უტრიალი, ხმალი რა შენი საქმეაო, უთხრა მამამ“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, 33).

თითის ფრჩხილად არა ღირხარი (ცინებისთან შედარებით) ჰრღ. ვისიმე თითის ფრჩხილიც შენზე მეტსა ფასობს. სცვ. სულ არაფერი ხარ იმასთან შედარებით.

თითის მოქნილი ფრჩხილი, როგორც გამოუსადეგარი რამე, მოკლებულია ყოველსავე ფასსა და ღირებულებას. და ამ უფასურ ფრჩხილს დარებულა ადამიანი — ყოველმხრივად უღირსი.

თითთ-ფრჩხილი ჰრღ. ერთი თუ ორი. სცვ. ზოგიერთი, იშვიათი. „ჯერ კიდევ თითო-ორი ოლა ოჯახში ცოცხალი იყო ხსოვნა მეთვრამეტე საუკუნისა, რომელმაც სული დალია 1795 წ. 11 სექტემბერს სოლანლულს, კრწანისის ბაღებთან“ (ილ. ჰაგვაძე, IV, 264).

თითქო ახლად დავიბადეო ჰრღ. თითქო ხელახლად გავინდი ქვეყანაზედაო. სცვ. თითქო ახლა გავიგივე ყველაფერი, თითქო ახლა შევიტყვე ქვეყნის

აგი და კარგი, ახლა ანებილა თვალებიო. მგლ., „ეს წიგნი რომ წავიკითხე, თითქო ახლად დავიბადე, ახლა აწიხილა თვალებიო“.

თითქო ბუზიც კი არ აფრენიაო ჰრღ. თითქო ბუზიც კი იძულებული არ ყოფილიყო მის სხეულს მოშორებოდა. სცვ. თითქო არაფერი საწინაო დამართაო, თითქო არაფერს შეუწყუხებიაო, თითქო არაფერი გაჭირვებოდესო.

როცა კაცს ბუზი აზის სახეზე ან ხელზე, თუ, ოდნავაც არი, არ გაინძრა, ბუზიც არ გაინძრევა. ერთ ბეწო შენძრევაზე მოსალოდნელია ბუზიც აფრინდეს. თქმა ხატოვანად გვიჩვენებს, რომ ადამიანს, ვიზედაც ლაპარაკია, ერთი ბეწო საწინაოება, ერთი ბეწო საზრუნავი არსიდან მოელოდაო.

თითქო გუშინ იყოო ჰრღ. ისე ჩანს, ვითომც გუშინ მომხდარიყო. სცვ. ეს-ეს არის, მომხდარაო, სულ ახალი საქმეა, მას აქეთ სულ ცოტა დრო გავიდა.

როცა დიდხნის გარდასული ამბავი ნათლად გვინდა წარმოვიდგინოთ, როცა გვინდა ჩვენი მახსოვრობის სიცხოველი ვუჩვენოთ მოსაუბრეს, ვეტყვიო: რაც მოხდა, თითქო გუშინ იყოო.

თითქო ქათამს უვლია შენაო ჰრღ. ქათამის ნაფეხურსა გაეს. სცვ. უწინაო. გაურკვევლად და დაწერილი, აჩხა-ბაჩხა. მგლ., „იმის ნაწერის წაიკითხვაში ადამიანი თვალებს ჩაიწყალებს, თითქო ქათამს უვლია შენაო“.

ამას იტყვიან ცუდად, მეტად გაურკვევლად დაწერილზე. რომლის ამოკითხვაში ადამიანმა ოფლი უნდა იწუროს და ისიც გამოსარკვევია, გაარჩევს რასმე თუ არა. ასეთ ნაწერზე ამზობენ, აგრეთვე, აჩხა-ბაჩხაო.

თითქო შეუფლავაო ჰრღ. თითქო ლოცვის სიტყვები უთხრაო. სცვ. საკვირველი რამ გააკეთაო, შეუძლებელი შეიძლოო, მოურჩინელი მოარჩინაო, განსაცდელს, ხიფათს გადაარჩაო.

ადამიანის პირველყოფილი წინაპარი იქ, სადაც მტერსა და მოწინააღმდეგეს პირდაპირ ვერ ხედავდა, ან როცა ბუნების სტიქიასთან უხდებოდა შებრძოლება, ან ბრძოლაში გამარჯვებით გამოსასვლელად მიმართავდა მაგას ანუ

12. პართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი.

მისნობას. მისნობა კი სხედასხვა თვალთმაქცური საშუალებით ჩემულობდა ბუნებრივი კანონების გადალახვას, მათ გამოყენებას აღდამიანისათვის სასარგებლოდ. მისნობის ერთი დარგი იყო — შელოცვა ანუ სიტყვებით მიმართვა ბოროტი და მავნე სულისათვის, გაქირავებისა თუ ავადმყოფობისაგან თავის დასაღწევად. შელოცვის სიტყვები ზოგჯერ საალერსოა, ზოგჯერაც მუქარითი, იმისდამიხედვით, თუ რა ხასიათის სულთან აქვს საქმე შემლოცველს.

შელოცვა უმთავრესად იხმარებოდა ხალხურ ექიმობაში მაშინაც კი, როცა წამალს რასმე აძლევდნენ ავადმყოფის სენისაგან განსაკურნებლად. შელოცვა ხშირად წამლის განუყოფელი ნაწილი იყო, მასთან ხელიხელ ჩაკიდებულად მავალი. ზოგჯერ კიდევ მხოლოდ შელოცვის ფორმულას მიეკუთვნებოდა ავადმყოფობის მკურნალები ძალა.

ამრიგად, როცა უმკველი საკითხის წინაშე დამდგარტ მოულოდნელად გაუმარჯვდებოდათ, უმკველ განსაცდელს თავს დააღწევდნენ, იტყუდნენ; გადავრჩით, თითქო ვინმემ შეგვილოცაო; ან კიდევ: ვინც ილოცა, ჩვენთვის ილოცაო...

თითქო ჰყვანანო ჰრდ. როგორც ეტყობა, უნდა ჰყავდეს (მწყრები). ზვ. კკუ-ახე მწყრალადაა, აკლია კკუა, უფრო გეიდაა ჩასათვლელი. „თითქო ჰყვანანო აი მაგ კაცს!.. აბა რა მაგისი საქმეა შაირ-გამოცანებისათვის სოფელ სოფელ წანწალი და კალოებზე გდება“ (გ. ბარნოვი, I, 53). შდრ. მწყრები ჰყავს.

თმაგაშლილი ჯღომა იხ. თმის გაშლა. თმათა გლეჯვა ჰრდ. თავზე ძალით თმის მოშორება ხელით. ზვ. მეტად გა მწარებული, სასოწარკვეთილი ყოფნა. გლოვა; უსაზღვრო მწუხარება. „გაიყარნეს ტირილითა, პირსა ხოკით, თმათა გლეჯით“ (შ. რუსთაველი, 950); „იგლოვდა იმის მომაველს, იგლეჯდა თმა და წვერსაო“ (აკაკი).

ძველად რაიმე უბედურების, ტირილის დროს, დიდი მწუხარებისა და გლოვის ნიშნად. მამაკაცები თმისა და წვერს იგლეჯდნენ, ხოლო ქალები — თავზე თმას.

თმაში თეთრი გამოგვერია იხ. თმაში ქალარა გამოგვერია.

თმაში ქალარა გამოგვერია ჰრდ. თმის ბეწვები ზოგი ვაგვითეთრდა. ზვ. ხანში ვართ მესული, დარბაისლური აზროვნება და მსჯელობა გვემართებს. „მკითხველებსაც ისე ჰგონია, რომ ჩვენი ჟურნალი მართლა და ბავშვია. ის კი არა თუ, მე და თქვენ თმაში ქალარა გამოგვერია“ (ილ. ჰაგვაიაძე, IV, 107).

თმით თრევა ჰრდ. ვისიმე თმა ბელზე დაიხვიოს კაცმა და თმის პატრონი ისე ათრიოს მიწაზე. ზვ. დასჯა, შეურაცხყოფა, წვალება. „მართალია, შეიძლება პირველში სხვა ცნებებშიც, მერე, რაკი ჯვარის დასაწყერად მოვიდოდა, ძალად გადასწერდნენ ჯვარსა. მაგრამ სტუკენინას ემშინოდა: მე ხომ თმით მათრევენო“ (ილ. ჰაგვაიაძე, II, 206).

ძველად ზნობის კანონის დამრღვევი ქალისათვის ერთი სახე სასჯელისა იყო — თმით თრევა ან ცხენის კულზე მომბა ნაწნავისა და ისე თრევა მისი გაქრებული ცხენის საშუალებით. ხოლო გარძელი თმა, თანახმად ანდაზისა — „ქალი თმიანი, მწვადი — მცვრიაანი“ — ყველა ქალს უნდა ჰქონოდა, — თუმო (ცგულისხმება გრძელი თმა) ქალი წარმოუდგენელი იყო.

თმის გაშლა ჰრდ. ქალს თმა დაწულად რომ არ ექნება. ზვ. დარდი, მწუხარება, ტირილი. „თმა გაიშალა, ძირს დაჯდა და აღარც იკრავს გულის პირს“ (აკაკი).

ძველად ქალს უმკველად დიდა თმა უნდა ჰქონოდა, ნაწნავებად. მიცვალებულის ტირილის დროს დასაველეთ საქართველოში ქალები თმის ნაწნავებს გაიშლიდნენ და ისე დასხდებოდნენ ძირს კუბოსთან. თან მოსთქვამდნენ და თან გაშლილ თმაში ხელის თითებს ჩამოისვამდნენ თმის დასაგლეჯად, უარესად თავის გასამწარებლად. აქედან — თმაგაშლილად ჯღომა ხატოვანად ვადაიქცა გამომბატელები მიცვალებულის კუბოსთან ჯღომისა, მისი დატირებისა, უდიდესი მწუხარებისა. აქედანვე წარმომდგარა საშინელი წყევლა: „შენთვის თმაგაშლილიც დავეჯდარვარ“, რაკ უდრის სიკვდილს იმისას, ვისაც ამ სიტყვებით მიმართავენ.

თმის ყალუზე დადგომა ჰრდ. თმის აბურძგვნა, თმის აშლა თავზე, მალა სწორად აწევა. ზვ. მეტისმეტად შემწინება, გულის შეზარება, უზომოდ აღელ-

ვება, შეძრწუნება, გულის გახეთქვა. #სი გლუხკაცის სიკვდილის ამბავი რომ წავეითებე, სწორედ მოგახსენოთ, თმები ყალყზე დამიდგა და კანკალი მომივიდა. ხუმრობაა, კაცის სიკვდილის მიზეზად გახდომა“ (ილ. ჰავეზაძე, IX, 217); #ამ ტახის ხსენებაზედ ქალა-ბიქას (შიშისაგან) თმი სულ ყალყზე დაუდგა“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, I, 36).

თმის წიწა ის. თმათა გლეჯა.

თობა შქენ ჰრდ. და ზკვ. ალუთქვი, აღკვეთე, უარჰყავ. ხელთ აიღე. #ტრანსტირებში ირბინე, თუ არ დაგიშლია, და ქალაღდზე კი თობა, თობა შქენ“ (გრ. ორბელიანი, წერილები, I, 51).

თობა არაბული სიტყვაა და ნიშნავს აღკვეთას, ხელის აღებას რაზედმე. ეს თქმა ქართულში ჯერ კიდევ იხმარებოდა გრ. ორბელიანის დროს, XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

თოთხმეტება (მეთოთხმეტება... თოთხმეტადი) ჰრდ. მეთოთხმეტე რიცხვად გახდომა. ზკვ. უბრალო საქმეზე დავა, გადაკიდება, ჩაიცივება უმიზეზოდ, გადამტერება. ზგლ., #რას მეთოთხმეტები, შე კაი ცაკო, აბა რომ არაფერი დამიშავებია შენთვის?!“

ვახტანგ მეფის კანონთა კრებულის ძალით, ქალი მამის მემკვიდრეობის მეთოთხმეტე ნაწილს ღებულობდა. მეთოთხმეტე ქონებისა — და ისიც ღარიბი კაცისა — მეტად მცირე, თითქმის უმნიშვნელო რამ იყო. ზოგჯერ ამაზე ატეხილი დავა სასაცილო ფორმასაც კი ღებულობდა!.. ზოგჯერ სისხლის ღვრითაც-კი თავდებოდა.

და აი, სწორედ ეს დედო სარჩულად ქართულში ამ სიტყვის გაჩენას: სურათ-ხატოვანად ნიშნავს დავის ატეხას სულ უბრალო საქმეზე, რაც სხენებადაც კი არა ღირს.

მნიშვნელობა ამ ზმნისა თანდათან დაიიარღილა, თანამედროვე ხმარებაში ამ სიტყვას ლანძღვის შინაარსიც კი მიეცა. #აი, შე თოთხმეტაიანოო“, რომ იტყვიან, ნიშნავს: #აი შე უბრალო რაზედმე დავის ამტეხო, კინკულიანოო!..“ **თოკიდან აწყვეტილი ის. თოკიდან გამოშვებული.**

თოკიდან გამოშვებული ჰრდ. თოკით დაბმული რომ აეშვება. ზკვ. გიჟი, თავზეხელაღებული, დასაბმელი, საშიში. #თოკიდან გამოშვებუ-

ლი კაცი ხომ ცუდია და ცუდი...“ (ილ. ჰავეზაძე, III, 138).

თოკი ამ შემთხვევაში გამოზნატებულია ავი, დამთხვეული, თავზეხელაღებული ადამიანის თავშემკაცებელი, დასამორჩილებელი იარაღისა. ასეთი მხარად უნდა იყოს ამ თოკით დაბმული, რომ სხვას არა ავნოს რა. ხოლო თოკიდან გამოშვებული გულისხმობს ავადამიანს, რომელსაც არაფერი უშლის ავნოს მოყვასს, რომელიც არ ერთიღება სხვის ჩავვრას, შევეწროებას.

თოკი მოვუთრიე ჰრდ. თოკის თრევით მოვწიე ჩემკენ ვინმე ან რამე. ზკვ. ჩემს ხელშია, ვერსად წამივია. ზგლ., #იმდენი ვეციაღ, ამ საქმეს თოკი მოვუთრიე და ბოლოს ხელში ჩავვიგდე“.

გაქირ ცხენს საძოვრად რომ უშვებენ, თოკს ალარ შესხნიან ხოლმე ყელიდან და ისე გრძლად მიათრევენ. როცა დაქერა უნდათ, თოკის მეორე წვერს ხელში დაიჭერენ და ნელ-ნელა უთრევენ, სანამ სულ ახლო არ მივლენ და ცხენი ადვილი დასაქერი არ გახდებდა.

ხატოვანად ძნელ საქმეზე ან ფხუკიან კაცზე ითქმის, რომელსაც რითმე ახარებენ, რომ თვალი დარჩეს იმაზე, რითაც ახარებენ და თავის ფხუკიანობას ავიწყებენ. ამასობაში ხელში ჩაივლდებიან და თავიანთ ქუაზე გაატარებენ.

თოკი მომაწყვტებს ჰრდ. თოკი, რაზედაც მიმაგრებული ვიყავი, გაწყვტეს. ზკვ. თავი დამანებეს, მომიშორეს, უშწირად დამტოვეს. ზგლ., #ძალიან გამოვირდა საქმე, თოკი მომაწყვტეს, ყველამ ზურგი მაქცია“.

იგულისხმება, რომ, როცა თოკით ვართ ვიხედმე მიბმული, მისგან გამოველით შველა-დახმარებას, მისი მფარველობა არ მოგვაკლდება, მტრისა და ბოროტისა არ გვერიდება. ხოლო როცა ამ თოკს გაწყვტენ, ჩვენს მფარველს მოგწყვდით, მისი ცვა-ფარვის გარეშე დავრჩებით, და, როგორც დაუფარველს, მტერი ადვილად მოგვერგვა, დაგვჩაგრავს, დაგვიჯანებს.

თოკის წაჭერა ყელში ჰრდ. ყელზე თოკის შემოხვევა და მაგრად ზოჭერა. ზკვ. მეტად გაჭირება, ყელში თოკწაჭერილის მდგომარეობაში ჩავდებთ ვისიმე, ძალის დატანება. #უარესად წაუჭირეს სოფელს თოკი ყელში; ხალხს ხრიტინი-ლა გაუდიოდა“ (ს. მგალობლიშვილი, II, 193); #...ფულის

შონის გზა და კვალი დიხშული აქვთ, ფული კი საჭიროა, თუნდ მარტო იმისათვის, რომ სხვადასხვა ხარჯი და გადასახადი ყელში თოკს უჭიროებს“ (ილ. კეკელიძე, VIII, 90).

თოკა გრებს პრდ. თოკის ორ წვერს ერთიმეორის მოწინააღმდეგე მხარეზე ატრიალებს. სვკ. მიკინმოკინებითაა პარაკობს, პირდაპირ პასუხს გაუბრუნებს, სიტყვას ბანზე აგდებს. შდრ. წწლების გრება.

თოკს დაჰკარგვია პრდ. თოკი (ჩამოსახრობდა) ასტდენია. სვკ. გიქი, ოხერი, თავზეხელაღებული, ავაზაკი, ბოროტისმოქმედი, დასაბმელი.

ირონიულად ითქმის ბოროტმოქმედზე, რომელიც ღირსია ჩამოხრობისა, მაგრამ რომელიც შემთხვევით გადაარჩენილა ამ ჩამოხრობას. როცა ერთი მეორეს გააჯავრებს, შეიძლება გამჯავრებელს გაჯავრებულმა უთხრას: შენ, ვინცა ხარ, თოკს დაჰკარგვიხარო! უფრო კი მესამე პირზე ითქმის: მავანი, რა საჭიროა, თოკს დაჰკარგვიო!

თორნე გაუქრობელი პრდ. თორნე, რომელშიაც ცეცხლი ნიადაგ ანთია, წვა განუწყვეტილია. სვკ. საშიშროება მუღმივი, უბედურება ნიადაგ მოსალოდნელი. შგლ. „ჩემი ყოფა—თორნეა გაუქრობელი, არ ვიცი, რა დღეს დაგიღუპები სულიან-ხორციანად“.

თორნეში ჩაყენება (ვისიმე) პრდ. ვინმე რომ აიძულონ ვახურებულ თორნეში ჩადგეს. სვკ. საშინელი ტანჯვა, უზომო გამწარება. „ჩვენი კლასიდანაც, განკითხვის დღე რომ დადგა (ასე ვიძახოდით საზოგადოდ მაქსიმოვიჩის ეგზამენებს), სამი მოწადე აიყვანეს და ჩააყენეს თორნეში“ (აკაკი, I, 48).

ამ თქმაში თორნე იგულისხმება ვახურებულად, პურის ჩასაკვრელად დამზადებულად. ასეთ თორნეში ჩაყენება ვისიმე უღრის მის ცოცხლივ დაწვას. ხატოვანად კი გულისხმობს უზომო ფიზიკურ ტანჯვას, დიდი წვალებით სიკვდილს.

თოფის მანძილზე პრდ. ის მანძილი, სანამდის თოფის ტყვია მიუწვდება. სვკ. შორს. „ამ პატარას სიკვდილზე ისეთი წივილ-კივილი შეიქნა, რომ

კაცი ერთს თოფის მანძილზე დაიგონებდა“ (რაფ. ერისთავი, III, 36). ესაა ძველებური ზომა მანძილისა ერთი წერტილიდან მეორე წერტილამდე, ანუ თოფის გასროლის ადგილიდან იმ ადგილამდე, საცა თოფის ტყვია მიუწვდება.

თოფის წამალივით იფეთქებს პრდ. უცბად ცეცხლი ეკიდება თოფის წამლის მსგავსად. სვკ. ფიციხა, ცხარია, უცბად იცის გულის მოსვლა. „საკვირველი ხასიათი აქეს! მაშინვე თოფის წამალივით იფეთქებს!“ (გ. ერისთავი, თხზულებები, 374).

თოფნაკრავი პრდ. თოფის ტყვია მოხვედრილი. სვკ. გამწარებული, გააცუხლებული, გაჯავრებული.

თოფვეშ დგომა პრდ. დგომა ისე, რომ თოფი თქვენს ზევით იყოს. სვკ. შეიარაღებული, საომრად მზადყოფი. „მე (პატარა საბერძნეთი) არაფერს დავზოგავო და მინამ ხელში ხმალს ძალით არ ვადამიტეხთო, დიდი და პატარა თოფ-ქვეშ დაუდგებით და ომში ბედსა ვცდითო“ (ილ. კეკელიძე, X, 153).

თრევა პრდ. თრევით ზიდვა. სვკ. ლანძღვა, გაქირღვა, გაკიცხვა. „მანძილავ და მათრევე, მაყუდრებ: რატომ ბინდობ და მნათობო“ (დ. გურამიშვილი, 196).

ძველად ჩვეულებად იყო: დიდი სამარცხვინო საქმის ჩამდგნს ცხენის კულზე გამოაბამდნენ და ისე ათრევივნდნენ გაკუნებულ ცხენს, სანამ სული არ ამოხდებოდა დასასჯელს.

თრიალეთს გაცილება ვისიმე პრდ. თრიალეთს იქით წაყვანა ვისიმე. სვკ. სამშობლოდან გაძევება, ბტრის ხელში ჩავდება ვისიმე. -დაეშუქრა (ჩაფარი): ბატონებთან არ გაამილოთ, თორემ დაგაჭერინებთო. თუნდ დამაჭერინონ, თუნდ არა, თრიალეთსაც რომ გამაცილონ, მაინც ჩემსას ვიტყვი“ (ან. ერისთავი-ხოშტარია, I, 160).

თრიალეთი გარკვეულ ხანაში სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი იყო საქართველოს სამეფოსი. ვისიმე „თრიალეთს გადაცილება“ ნიშნავდა: მის დასჯას მძიმე დანაშაულისათვის, სამუდამოდ დაკარგვას, სამშობლოს მოწყვეტას, ოსმალების („უსჯულოების“) ხელში ჩავდებას, ქართველობაზე ხელის აღებინებას.

თქვენი (შენი) მოწონებული ჰრდ. რაც თქვენ მოგეწონებათ, რაც თქვენ გესიამოვნებათ. სჭვ. ძალიან კარგი, საფერი. „ეს ახალი უმეცრობა რა სათქმელია, ზოგი ძველები მოიკითხეთ! მოგახსენებთ, ზღვია-თქო, და მართლა ზღვია! ასეთი მარგალიტები ამოგვიკრიფოთ ამ ზღვის ძირიდან, რომ თქვენი მოწონებული“ (ილ. ჰავაჟაძე, IX, 147).

თქვენი ნარეციც არ არის ჰრდ. თქვენი ნარეცი იმასა სჯობია. სჭვ. თქვენ გაცილებით სჯობიხართ (ვისაც ვადარებენ), თქვენთან ვერ მოვა. „— ვუი, ვუი, შენ ჩემო თაგო! გაატატა-ხელები ლიფსინიმე, — მაგას რათა ბრძანებთ! ახლანდელი ყმაწვილი ქალები, ერთის გარდა, თქვენი ნარეციც არ არის“ (ლ. არღანიანი, მორჩილი, 123).

თქვენი რისხვა არა მაქვს ჰრდ. თქვენ არ განმირისხდეთ, არ გამოჯაგრდეთ. სჭვ. ცული საქმე არ ჩავიდინე, თქვენი გასარისხებელი არაფერი ვქნა, მართლად მოგახსენებთ. „რა იყო და, მიწა წამართო... ეს ორი თვე კენება... მთელმა სოფელმა იცის, თქვენი რისხვა არა მაქვს!“ (რაფ. ერისთავი, IV, 76).

ფიცის ფორმულაა. ხმარობენ, როცა სუსტი ძლიერს, პატარა — დიდს არწმუნებს რაშიმე ან უნდა დააჯეროს: ეს ასე იყო და არა სხვაგვარად.

თქვენი კითხვით გახლავართ ჰრდ. თქვენ რომ კითხულობთ ჩემს ამბავს, იმიტომ კარგად გახლავართ. სჭვ. თქვენი ზრუნვის წყალობით კარგად გახლავართ. „რასა იქ, ჩემო ბარბალე; ხო კარგათა ხარ? — ეტყოდა ხოლმე ერთს მათგანს ქეთევანი. — თქვენი კითხვით გახლავართ, შენი კენესამე, — ეტყოდა ტუჩებ მოპრუწვით და თავის ქნევით ბაბალე“ (ილ. ჰავაჟაძე, III, 174).

თქვენი სული ჩემს ხელშია ჰრდ. თქვენი სული ჩემს ხელშია მოთავსებული. სჭვ. თქვენი სიკვდილ-სიცოცხლე ჩემზეა დამოკიდებული. „გარბის დაჭრილი, ნაკვები კაცი სასამართლოში. მისდევს ფშატაძეც. ვერაფერს დამაკლებთ, ვერაო, — მფიქრობს ფშატაძე გულში, — თქვენი სული ჩემს ხელშია; მაშინ, რალა ფშატაძე ვიქნები, თუ მოწმეები დუტინობით ვერ ვიშოვენ იმის დასამტკიცებლად,

რომ მაგ კაცისათვის ხელიც არ მიხლია!“ (ვაჟა-ფშაველა, V, 205).

თქვენი ჭირი წაიღო ჰრდ. თქვენი ყოველგვარი სნეულება თან წარიტანა (მიცვალეზღმა). სჭვ. ცოცხალი აღარაა, მოკვდა, წუთისოფელს განეწმორა. „ეს ყმაწვილები იყვნენ ერთის ლარბის ახნაურისეილის შეილები. ამათს დედ-მამას, დიდი ხანია, თქვენი ჭირი წაეღოთ და ესენი-კი ოზლად დარჩენილიყვნენ“ (ილ. ჰავაჟაძე, III, 143).

ძველი რწმენით, როცა კაცი კვდება, მას უკან დარჩენილების ყოველგვარი ჭირი და საღმობანი თან მიჰყვება საფლავში. ამიტომ, როცა უნდათ სთქვან, მაგანი მოკვდაო, ერთდებინ სიტყვა სიკვდილის ხსენებას იმის შიშით, რომ სიკვდილი ხსენებაზე არ დაბრუნდეს და კიდევ არავინ წაიყვანოსო. ამიტომ იტყვიან: თქვენი ჭირი წაიღოო.

„ჩემი ჭირიმც წაუღიაო“, იტყვიან აგრეთვე, როცა ვინმე უნდა დასწყველოს — გამოთქვან სურვილი დასაწყველის ცოცხლად არდარჩენისა. ამავ თქმას ხმარობენ, როცა რამე დაეკარგებათ.

თქვენმა თავმა ქვა გკრათ?! ჰრდ. თქვენმა თავმა ქვა მოგარტყათ? სჭვ. თქვენმა თავმა რა დაგიშავათ, რატომ თქვენთვის არა ზრუნავთ? „თუ, მართლა, მაგისთანა წამალი იცით ქართველებმა, რატომ არ იკეთებთ? თქვენმა თავმა ქვა გკრათ?!“ (აკაკი, I, 261).

თქვენკენ მოიკითხეთ ჰრდ. იკითხეთ თქვენკენ, არის თუ არა ვინმე ასეთი. სჭვ. თქვენ ხართ ისეთი, რადაც მე მიმაჩნიახართ. „ჩემს გამზრდელს სწყენია ეს და უბასუნია: „როგორ თუ სულელიო?! ანგელოზია და ანგელოზს შესცივის! იმათ ეთამაშებაო!.. სულელები ზოგი თქვენკენ მოიკითხეო“ (აკაკი, I, 4).

ეს თქმა დაცინეითია.

თქვენმა (შენმა) მტერმა ნახოს! ჰრდ. თქვენს მტერს-ლა თუ ენახებდა. სჭვ. საშინელებაა, დიდი უბედურებაა, სიკვდილი. „ის თქვენმა მტერმა ნახოს, რაც იმანა (დღემ) ნახა: ოროლი ვაჟიშვილი ქვევრში ჩამხვრიალან!“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, I, 101).



თქვენმა კეთილმან! ჰრღ. თქვენმა სიკეთემ, თქვენმა ბედნიერებამ. ზღვ. ბედნიერი გამყოფოთ, თქვენს კარგადმყოფობას ვფიცავ. „ვერ გათნევ, თქვენმან კეთილმან, აწ ეგმ არმართალია“ (წ. რუსთაველი, 89).

ეს ფიცის ფორმულა ძველად იხმარებოდა. დღეს ამის მაგივრად ვამბობთ: თქვენმა სიკეთემ, თქვენმა გახარებამ, თქვენმა სიცოცხლემ, თქვენმა დღეგრძელობამ, და ამით ვამოვხატავთ ფიცს, როცა რისამე ქვეშაობა უნდა დავამტკიცოთ. „თქვენმა სიკეთემ“ ნაწილია მთელი ფრანკისა, აკლია ზმნა: „იცის“, ე. ი. თქვენმა სიკეთემ იცის, თქვენი სიკეთეა მოწმე იმისა, რომ ეს (რასაც ვამბობ) ასეა, მართალია. ჰგავს მეორე ფიცის ფორმულას: „ღმერთმანი“, რაც შემოკლებულია; მისი სრული ფორმაა: „ღმერთმანი იცის“.

თქვენს მტერს! ის. შენს მტერს!

თქვენც არ მომიკვდეთ! ჰრღ. როგორც არ მინდა თქვენ მომიკვდეთ. ზღვ. ფიცი: არა, თქვენს სიცოცხლეს ვფიცავ. „თუშეა ბევრი მთხოვნელი ჰყავნდა (ოთარაანთ ქვრივის), ბევრი ეხარბებოდა ოთარაანთ ქვრივის ოჯახში შესვლას, მაგრამ—თქვენც არ მომიკვდეთ!—არ გათხოვდა და არა“ (ილ. ჰავჭავაძე, III, 37).

თქმა და ქმნა ერთი იყო! ჰრღ. ითქვა თუ არა, თქმა და ქმნა ერთსა და იმავე ღროს მოხდა, გაკეთდა კიდევ. ზღვ. მაშინვე, მყისვე, ხელად, დაუყოვნებლივ, იმწამსვე. „ძმებმა სთქვეს: ჩვენ რომ სახლში ვისხდეთ, მზად არაფერი მოგვივა, წავიდეთ სადმე, ან სამუშაო ვიშოვოთ, ან და მოჯამაგირედ ვისმე დავუდგეთო. ძალიან კარგია. თქმა და ქმნა ერთი იყო. აღდგენ და გაჰწიეს“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, II, 43); „სოფელმა კარგად იცოდა, რომ ოთარაანთ ქვრივის ტყუილ-უბრალო ბაქიობა და მუქარა არ უყვარდა. იმისი თქმა და ქმნა ერთი იყო“ (ილ. ჰავჭავაძე, III, 36).

თქმულა, გაგონილა? ჰრღ. არც არავის უთქვამს (ასეთი შეუსაბამო რამ) და

არც არავისა სმენია. ზღვ. შეუძლებელია, ასეთი რამ მოხდარიყო.

თხა და მგელი ერთად სძოვდა ჰრღ. თხა და მგელი ერთმანეთის გვერდით იყვნენ და ისე სძოვდნენ ბალახს. ზღვ. მშვიდობა, სიყვარული, ურთიერთის გატანა სუფევდა; შუღლი, მტრობა მოსპობილიყო, მოსისხლე მტერიც კი არავის რას ერაზოდა. „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“ (წ. რუსთაველი, 1664); „ყველგან იმის სამეფოში თხა და მგელი ერთად სძოვდეს“ (ილ. ჰავჭავაძე, I, 169).

თხა და ცხვარია ერთიმეორისათვის ჰრღ. ერთიმეორისათვის ის არიან, რაც თხა არის ცხვრისათვის. ზღვ. ერთიმეორეს არ ენათესავენ.

თხები აუშვა ჰრღ. დამწყვედი თხები გაათავისუფლა. ზღვ. თავს მეტისმეტი თავისუფლება მიანიჭა, ზრდილობის წესები დაარღვია, თავს გავიდა.

აქ იგულისხმება თავშეუვალებელი საქციელი თხებისა, როცა ისინი გაშვებულნი არიან და რაც რამ წინახედნათ, მოუკორტნავეს არაფერს უშეებენ. დადარებული არიან ადამიანს, რომელსაც ავიწყდება ყოველი კანონი წესიერებისა და მართებულებისა.

თხელი (ანუ ცარიელი) ქისის ქონება ჰრღ. ისეთი ქისის ქონება, რომელიც საესე არ არის. ზღვ. სიღარიბე; უგულლობა, გაქირვება. „ჩვენს ქვეყანაზედ მდიდარი არ არის ქვეყნის პირსაო, შივ ცხოვრობს ხალხი მუშაკი, მაგრამ თხლადა აქვს ქისსაო“ (ი. დავითაშვილი, 157).

თხემით ტერფამდე ის. საქონრიდან კოქებამდე.

თხოვნას ძირს არ დაუშვებენ ჰრღ. თხოვნას ძირს არ დააგდებენ. ზღვ. არ გაუტყულებენ, უთუოდ შეასრულებენ. „შე დალოცვილო და, აკი მეც მაგიტომ მოგიტანე ხელმწიფისადაც კაცს, რომ ყველა დიდკაცებთან გავლენიანი ბრძანდებით და ისინი შენს თხოვნას ძირს არ დაუშვებენ“ (დ. მახანელი, „ივ.“, 1899, № 66).

0

ია-ვარდი ვიფენია ჰრდ. ია და ვარდი დაგეფინოს წინ. სჯვ. ხელი მოგემაართოს, როგორც შენი ნება იყოს, ისე წავიდეს შენი საქმე, ლამაზად განვლელ დღენი შენნი, უსიამოვნება არაფერი შეგხვდეს, სიამ-ტკბილობით იყავ; მიბრძანდით, არავინ ვაკავებთ!

ძველად სადმე წამსვლელს გზის დასალოცავად ეტყოდნენ: ია-ვარდი გიფენიაო! ე. ი. იისა და ვარდის, — ამ საუკეთესო ყვავილების, მეტი არაფერი იყაროს შენს გასასვლელ გზაზე, არაფერი გაბრკოლებდეს, მშვიდობით გაგველოს გზაო! მერე ამ თქმამ დაციხვითი ხსიათიცი მიიღო, როცა ვინმე გულს მოიყვანს და მუქარით იტყვის — თქვენთან არ დავრჩებიო, ეტყვიან: წაბრძანდი, შენი ქირიმე, ია-ვარდი გიფენიაო! ამით აგრძნობინებენ: თუ წახვედი, შავებს არ ჩავიცვამთ, ხვეწნით კალთებს არ დავაგლეჯთო.

იალქნების აშვება ჰრდ. ქარის საშუალებით ნავის წასაყვანი ტილოების გაშლა სამგზავროდ. სჯვ. ცუდ ჩვეულებათა განახლება, უხანსად მოქცევა, უშიშროი სიტყვა-პასუხის ხარჯვა, ლანძღვა, კიცხვა. „მეფე კოჯორშია საავარკოდ; ისევე აუშვი ია ლქნები; დიდებულთა ქალ-რძალით არისო გარსშემორტყმული“ (ვ. ბარნოვი, გიორგი სააკაძე, 201).

იარალიხ ასხმა ჰრდ. იარალის დაკიდება ტანზე. სჯვ. საბრძოლველად მომზადება, ომში წასვლა. „იარალი აისხა, შეილესა“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, I, 102).

იარალის დაყრა ჰრდ. ხელიდან გაშვება თოფ-იარალისა. სჯვ. დამორჩილება, დანებება, ბრძოლაზე უარის თქმა. „შენი ტყვე ვარ! ჰა, ხომ ხედავ, იარალი დამიყრა... სასიკვდილოდ ჩემი ნებით შენ წინ თავი დამიხრია“ (აკაკი); „მიინტ ბრძოლა! ჩვენი ვალია, არ დავყაროთ იარალი, სანამ კი სუნთქავს, — ბრძანა ექიმმა და დაარიგა, როგორ უნდა ედარაჯნა განწირულისათვის“ (ვ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 469); „დაიკარგენით აქედან, თორემ იცოდეთ, ცოცხლებს არ გაგიშვებთ არცერთს. ვინა გყავს ეგ გაძმავებული, უნდა ხელში მოგვეცი. უნდა იარალი

დაჰყაროთ, ჩვენს განკარგულებას დამორჩილოთ“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 215).

როცა მტერი მტერს მოერგევა, მოჩუქებულმა საბრძოლველად იარალი ძირს უნდა დაჰყაროს, ბრძოლა შესწყვიტოს, ნომრეც მორჩილება გამოუცხადოს.

იარალში ჩაჯდომა ჰრდ. სხვადასხვა სახის საომარი იარალის გარშემორიგება სხეულზე, ასხმა მრავალი იარალია. სჯვ. საომრად მზადყოფნა, მტრის პირისპირ დიდგომბა. „იარალში ჩამსხდარ იყვენენ ძველისძველი ქართველი ღმერთები სპარსთ დიდი ღმერთის ანარეკლი ქართველთ არმაზი, დასაველეთით მოვლენილი ჯვარცმული ღმერთი“ (ვ. ბარნოვი, არმაზის მსგოფვა, 88).

იბერება ჰრდ. სხეულში ჰაერს იგუბებს. სჯვ. გული მოსდის, ნაწყენია; თავი მოსწონს. შგლ. „რას იბერები, შენისთანები გვინახავს!“.

როცა ადამიანი თავისი ღირსებით სხვებს არამცთუ არა სჯობია, არამედ ვაცილებით ჩამოუვარდება ყველას და მაინც თავი მოაქვს, მაინც თავს იწონებს: მე ვარ, როცა ვარ, ყველამ გზა მიტიეთ, შემომხედეთ ვაეკაცსაო, იბერება, რომ გარეგნულად უფრო მსხვილი გამოჩნდეს, ვიდრე არის, და სხვებს ნიშანი მოუგოს: ვერა ხედავთ, რამოდენა ვარ, თქვენისთანა დაღუპული არ გახლავართო.

იგავად დაღება ქვეყანაზე ჰრდ. ხალხმა საიგავოდ გახადოს რამე. სჯვ. ქვეყნის ალაპარაკება, ქვეყნის ლანძღვა-გინების დამსახურება, ყველასაგან ყბადღება. „მისი ქმარი კი, მეუღლე მისი მოძღვარი, თურმე თითონ ცოლსაც სძარცვავს, ლეჩაქსა ჰხდის თავიდან და მეძაგსა ჰხურავს წაბილწულს; სოფელს აცინებს თავის ცოლზე, ყბად ასაღებადა ჰხდის მას და იგავადა სდებს ქვეყანაზე“ (ვ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 294); „შესაძლო იყო საჯაროდ თავი მოსჭროდა (ქალს), საგმობ-საკიცხავი შექმნილიყო, იგავად დაღებულ იყო მთელ ამ არეში“ (ვ. ბარნოვი, ვარდუხაშვილი, 310).

იგრიჭონის საყვირი ჰრდ. ხმის გადამცემი იერიქონისა. სჯვ. ზომიერად გადამეტებული ხმა, ყვირილი; ყურთა-სმენის წაშლები ღრილი. „სად ჩემი



სტერი, სად მისი იერიქონის საყვირი ი?!" (ავკი).

იერიქონი პალესტინის ძველი ქალაქი იყო. ისრაელელებს, აღთქმის ქვეყანაში რომ შემოდგეს ფეხი, პირველად ეს ქალაქი შეხვდათ. ქალაქს ძალიან კედელი ევლო. თანახმად დაბადებისა, ისუნავემ ღვთის ბრძანებით შეიდ ღღეს ატარა თავისი ჯარი ამ კედლის გარშემო, თან საყვირებს აძახებდნენ. მეშვიდე ღღეს შეიდჯერ შემოუარეს ქალაქს. ისუს ბრძანებით ხალხმა საშინლად შეღრიიალ და ქალაქის კედელიც საშინელი ხმაურით დაინგრა. აქედან დარქვა ყოველ ზომაზე გადამეტებულ ყვირილს იერიქონის საყვირი.

ივანე და პეტრე პრდ. სახელეტი მამაკაცებისა. წყვ. ესა თუ ის კაცი, კერძო ვინმე, კერძო პიროვნება, მავანი, ჩვენ გვინდოდა გვეთქვა, რომ ივანესა და პეტრეს შინაური საქმე, იმათის საკუთარის კერის ვითარება, იმათი ვინაობა ცალკე ლიტერატურის საქმე არ არის!" (ილ. ჰავგავაძე, IX, 39).

ილაჯის გაწყვეტა იხ. ილაჯის წაღება. **ილაჯის წაღება** პრდ. მოთმინების გამოცლა. წყვ. აღლევება, მოთმინებიდან გამოსვლა, თავის მობეზრება, გულის მოყვანილება, გაბრაზება. "ამ ყაწყვილმა უფრო ილაჯი წაიღო! საკვირველია, ღმერთმანი, იმდენი როგორ არ ესმის, რომ თუ ამათთანა ხალხს თავი არ ვაჩვენე, ძალდაც არავინ ჩამაგდებს!" (ავკ. ცაგარელი, კომედიები, 108); "... ილაჯი იყო გაწყვეტილი რუსულში ახალი სიტყვებისა, — მომეტებულად უცხო ქვეყნების სიტყვებისა და ლაპარაკის კილოების შემოტანისაგან; მაგრამ რომელი ახალი ცვლილება მომხდარა ილაჯაუწყვეტლად!" (ილ. ჰავგავაძე, IV, 296).

ილინების მოგება პრდ. გალიას მსგავსი მახის დარწყმა. წყვ. ლალატი, დალუპვა, წახდენა, გაუბედურება, საფრთხეში ჩავდება. "წყუელმან (წუთისოფელმა) ცრუგმან, მაცდურმან ფეხს ქვეშ ილინქა მომიგო" (დ. გურამიშვილი, 55).

ილინქა მახეი, გალიის მსგავსი, ფრინველთ საქერი.

იმაზე ზომ არ ჩამოწყვეტილა საღამი! პრდ. იმაზე ხომ არ ჩამოგლეჯილა სა-

ღამი, ასე ჰგონია, თუ იმან არ მოგვცა საღამი, უსალმოდ დავრჩებით!. წყვ. სხვაც ბევრია მაგის მსგავსი, მისი ოდნობის გაწვევი სხვაც მრავალია. "ახლა რა ვუყოთ, რომ მოსწონსო (ილოს ნინო), იმაზე ხომ არ ჩამოწყვეტილა საღამიო?!" რომელი თვალდასაყენებელი გოგო დაიწუნებს ჩემს წავთვალა ილასაო?!" (ილ. ელფთერიძე, გაროზგელი, 86).

იმათ ეზო-ყურეში დადგრილი ერზო აიკრიფებია პრდ. იმათ ეზოში ერზო რომ დაიღვაროს, ისე შეიძლება აპკრიფოს კაცმა, რომ ერთი ბერო მტკერი თუ ტალახი არ აპყვეს. წყვ. ძალიან დასუფთავებულია, წმინდადაა შენახული იქაურობა.

იმერული აბაზი პრდ. იმერეთში (ქუთაისში) გაკეთებული აბაზი. წყვ. ყალბი, უმნიშვნელო, უფასური; ლალატი, ორგულაობა. "არა და... შენი სიტყვა სწორედ იმერული აბაზია, იო!" (ილ. ელფთერიძე, გაროზგელი, 54).

მე-19 საუკუნის სამოცდაათიან წლებში ქუთაისში ერთ წერეთელს დაუწყია ყალბი ქართული ვერცხლის ორბაზიანების კეთება და გასაღება. გაუგიათ, დაუსჯიათ, მაგრამ მისი მოქრილი ფული კიდევ კარგახანს დადიოდა. ამერეთშიაც გადმოსულა ეს ფული იმერული აბაზის სახელით. შემდეგში ეს სახელი ხატოვანად გამოიტავდა ყოველსავე ყალბს, ნაეშმაკვეს, რომელიც ღირსი არ იყო ნდობისა, ერთგულებისა.

იოტა პრდ. სახელი ბერძნული ანბანის მეცხრე ასოსი. წყვ. ერთი კიანა ნაწილი რისამე, სულ უმცირესი რამ, თითქმის არაფერი. "ვის გმორჩილებენ ციერნი ერთი იოტის წამისად" (შ. რუსთაველი, 836); "იოტის ოდენად არ ვეჭვობ, რომ წინააღდეგი რამ მოხდეს" (გვაგ-ფშაველა, VI, 22).

იოტა სახელია ბერძნული ანბანის მეცხრე ასო ი-სა. მთელს ანბანში იოტა ყველაზე პატარაა. აქედან დარქვა ეს სახელი გადატანილ ყველაზე უმცირეს რასმე.

იარაო საქონელივით ხიარული პრდ. უბატრონო საქონელივით რომ დადის. წყვ. თავაშვებული საქციელი, უწესრიგობა.

იურიკავე ახლა! პრდ. რიკ-ტაფელა ითამაშე. წყვ. საქმე გაფუჭებულია და



ვერ გამოვაკეთებ, არაფერი გეშველებ-
ბო, ვერ იმხიარულებ. „მხოლოდ
სხეული დამდუნებია: აღვომა მინ-
და — ხელფებს ვეღარ ვანძრევე, ხმის
ამოღება მსუსრს — ენა არ მემორჩი-
ლებია. ჰევე, მოლი და ირიკავე
ახლა!“ (აკაკი, I, 205).

რიკაობა რიკ-ტაფელას ანუ ჩი-
ლიკაჯოხის თამაშია. რიკაობა ბავშვე-
ბის საყვარელი სათამაშოა. დიდისათვის
რიკაობა ნიშნავს: უსაქმურობას, დროს
კარგვას ცუდიობაში.

იხარნაკრავი გული ჰრდ გული, რომელ-
საც ისარი აქვს მოხვედრილი. ზვგ. მ-
დახელვლიანებული, გამწარებული,
დაჭრილი, განგმირული, დარღინი,
დაჩაგრული. „ამით (ქარცეით) ვირ-
ჩენდით თავსა, ამითვე ვიფხანდით
ისარნაკრავ, გამწარებულს და
გამბოროტებულს გულსა“ (ილ. ჰავჭა-
ვაძე, III, 22).

ის დღეა და ეს დღე!.. ჰრდ. ერთიანი
ის დღე და ეს დღე. ზვგ. მას აქეთ,
დღემდე, დროის ზედმიწევნით აღნიშ-
ვნა. „ის დღეა და ეს დღე, ჩაიც-
ვა (ოთარაბანთ ქეოივმა) ლურჯი შა-
ლის პერანგი, შავი კაბა, თავზედ შავი
მანდილი მოიხვია და აი ოცი წელი
წაღია, მხიარული ფერი არ მიუკარე-
ბია ტანზედ“ (ილ. ჰავჭავაძე, III, 47).

ის დღე იყო და ის... ჰრდ. სხვა იმის-
თანა დღე არ გამოვრებულა. ზვგ. მ-
მორჩა, გათავდა, რაც იმ დღეს მოხ-
და, იმის შესახებ ლაპარაკი არ ყო-
ფილა მას შემდეგ. „მერე გზაზე ადგა,
შეკეცილი ახალუბი გაისწორა, ქმა-
რი ქვემოთ ჩაიწია და ილიაში ჯოხ-
ამორჩილმა საითკენაც გასწია. ის
დღე იყო და ის... იმ სოფელს
იმის დიდხანს აღარაფერი აღარა
გაუგონია რა“ (ქვეტი, საბავშვო მო-
თხრობები, 105).

იყო და არა იყო რა ჰრდ. კიდევ იყო
რამე და კიდევ არ იყო. ზვგ. სა-
ზღაპრო, სამოცანო, მოგონილი რამე.
„თუ ეს რაღაცნაირი იყო და არა
იყო-რა“ არ არის, მაშინ უნდა ვი-
გულისხმეთ, რომ ავტორი ტყუილა-
და სჩივის მასალის უქონლობას, ან,
პირიქით, ხელთა ჰქონია იმისთანა
მასალა, რომელიც ყველა სხვა მასა-
ლას აღმატება სისრულით. უტყუ-
არობით და ზედმიწევნილობით“ (ილ.
ჰავჭავაძე, V, 33).

ქართული ზღაპარი ამ „იყო და
არა იყო რა“-თი იწყება და ნიშნავს:
რასაც ქვემოთ ვიტყვით, კიდევ იყო
და კიდევ არა, ე. ი. ზღაპარი, ტყუ-
ილია, მოგონილია, ნამდვილი შიგ არა-
ფერიაო.

იცის ბებმა! ზვგ. ყოჩაღია, ყველაფერი
იცის და შეუძლია, მოხერხებულია, ხე-
ლიდან ყველაფერი გამოუვა. „ხში-
რად მაშაჩემს სახარების კითხვა უყ-
ვარდა, მაგრამ იმ კილოთი, რა კი-
ლოთიც წირვანე კითხულობენ ხოლმე,
და ისე გაიტაცებდა ხოლმე კითხვა,
რომ სახარებაში გამოხატულ პირებს
ემუსაიფებოდა. მაგალითად: ჰი, შენს
მადლს“, „გენაცვალე შენს სახელს“,
„იცის ბიჭმა“... (აკაკი, I, 25).

ეს თქმა იხმარება კვების, თავმო-
წონების გამოსახატავად.

იხარე პერო, გახში მტერო!.. ჰრდ. გა-
იხაროს ოჯახმა, მოგვესპოს მტერი.
ზვგ. დაუსრულებელი ქეიფი გავწიოთ;
დიდად გავიხაროთ. „ყველას უნდო-
და, რაიმე გამირობის წყალობით,
განთიადის ცისკარივით გიზღიანა მე-
ფე დლიმზეს ქმარი გამიხაროდა,
ქული გვერდზე მოეგდო და „იხა-
რე ქერო, გახში მტერო
ეძახნა“ (თერგდალეული, ბრძენი ჰალი,
„იგ“, 1901, № 155).

ეს თქმა იხმარება ღზინის დროს.

კ

კაბდო ჰრდ. კაბდოს ზომის ფართობი.
ზვგ. ცოტა, უმნიშვნელო, მცირედი
ფართობი მიწისა. „ოროიღე კაბ-
დო ნაჩიქნი აქვს“ (მელანია, ბნელო,
24).

მიწის მცირე ფართობის გამოსახ-
ტავად ამბობენ: ერთი კაბდო მიწა
აქვსო. ის კაბდოს გადავლება.

კაბდოს გადავლება ჰრდ. კაბდოს გატა-
რება ხნულზე ან კალოზე. ზვგ. და-
ფუნა, გასწორება, განაცამტვერება,
გაოხრება, არაფრის შერჩენა, დალუპ-
ვა, მიწისთან გასწორება. ზვგ. „ჩვენს
სოფელს მტერი შემოესია და რომ
იტყვიან — კაბდო გადაავლო-
ვო, სწორედ ისე დაემართა იქა-



ურობას“. შერ. „კაბდომ იცის სა-
მართალი: მალაღ-ღაბაღს გაასწო-
რებსო“ (ანდახა).

კაბდო ისე, როგორც კვერი, ქარ-
თული სამეურნეო იარაღია, ხმარობ-
დნენ აღმოსავლეთ საქართველოში. შედ-
გება ერთადერთი ფიცრისაგან. ეს ფი-
ცარი, ჩვეულებრივ, იფნისაა ხოლმე,
როგორც ერთ-ერთი მაგარი და მძიმე
ხისა. სიგრძე სავ მეტრამდე ექნება,
განი — ნახევარ მეტრამდე; სქელია. გა-
სწვევა შეიგანაწილში გაყრილი აქვს
ხელნები, რომლის თავები უღელს უფრ-
თდება. ხელნები კაბდოზე მიმაგრებუ-
ლია ფარეშებით ანუ ჭანჭიკებით და
მაგარადაც, რადგან ამ ხელნებს აწვება
მთავარი ძალა. ხელნების ძირთან, ზე-
მოდან, დადებულია სურვილისამებრ
ასაღები და დასაღები ფიცარი კაბ-
დოს სიგრძისა. ამ ფიცარზე ხან მძიმე
ქვეშს აწყობენ და ხანაც ზედ უსხდე-
ბიან სიმძიმისათვის, რომ მიწის გორო-
ხები უფრო ადვილად დააფშენვიინონ
კაბდოს.

კაბდოში შემშულია ხარ-კამეჩი ორი,
სამი და ოთხი უღელიც. განსაკუთრე-
ბით საძირე ხარები უნდა იყოს ლო-
ნივრები.

კაბდოს დანიშნულებაა: დაფშენა,
გასწორება გოროხიან, ოღოროღორო
ნიადაგისა, რომელიც რჩება ხოლმე
მიწის მოხვნის შემდეგ.

აი, როგორ ვახდა თქმა კაბდოს
გადავლებს სინონიმად ვისიმე ან
რისიმე გაქეღვისა, განაღღურებისა,
ნაცრად ქეღვისა, მოსპობისა და გაჩა-
ნაგებისა. კაბდოს გადავლების ნაცვლად
ინმარება აგრეთვე მოკაბდოება.

კაი ბიჭი ხარ მწიფე ტყემლის ძირას!..
(მეგრ. ჯგირ ბოში რქე მონდა ყო-
მურიშ ჯინს) პრდ დიალაქ შეგიძლია
გამოიჩინო კაიბიჭობა მწიფე ტყე-
ლის ქვეშ. სტვ. შხა-შხარეულზე ყვე-
ლა ყოჩალია. შგლ., „შენ, ჩემო კარგო,
ვიცნობთ, რაც კაი ბიჭი ხარ...
მწიფე ტყემლის ძირას!“

როცა ტყემალი მწიფს, ხეს დარხე-
ვაც არ უნდა, ისე ცვივა ძირს და ხის
ქვეშ მყოფს ჭამის მეტი ხელის გან-
ძრევაც არა სჭირია, — მწიფე ტყემალი
პირდაპირ პირში უცვივა.

ეტყვიან ამ სიტყვებს ზარმაც და
თან ტრამბასს, ვინც იძახის: მე ვარ

ბიჭი, რა გინდა, ხელიდან არ გამომი-
ვიდესო!.. ის კი არა, ძირს დაცვენილი
მწიფე ტყემლის უშრომლად ჭამის შნო
თუ-ღა აქვს, მეტი არაფერი!..

კაი თვალთ ნახვა (ვისიმე) პრდ. კეთი-
ლი თვალთ შეხედვა. სტვ. გამარჯ-
ვება განზრახულ საქმეში, ხელის
მომართვა; წყალობა. მოწონება თა-
ვისა. „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირ-
ვებს! ეს კაი თვალთა ვნახე“
(ილ. ჭავჭავაძე, II, 272).

საპირისპირო თქმაა — „ავი თვალთ:
„ავი თვალთ დახედრა“, „ავი თვა-
ლით ნახვა“, „ავი თვალთ ყოფხა-
და სხე.“

კაი კაცი — სუფრაზეო პრდ. კარგი კაცი
სუფრას უნდა უჯდეს. სტვ. კარგი კა-
ცი ღირსია იმისი, რომ კარგს აღ-
გილას იყოსო. „არყით შეყინელი-
ლებულმა კიკოლამ, დაინახა თუ
არა ილო, შესძახა: — ვინც მოვიდეს,
გაუშარჯოს, კაი კაცი — სუფრა-
ზეო!“ (ელ. ჩერჭხიშვილი, „იგ.“, 1891,
№ 186).

ამას იტყვიან, როცა სუფრად სხე-
დან და ამ დროს კაცი ვინმე შემოეს-
წირებათ. ამით შემოსწირებულს ქათინა-
ურს ეუბნებიან და აგრძნობინებენ, რომ
უხარიათ მისი მოსვლა. სუფრაზე სას-
მელ-საქმელად მისი შემოერთება.

კაი ლუქმა პრდ. გემრიელი საქმელია.
სტვ. მიმზიდველი, სახარბიელო რა-
მაა.

კარგი, სახირო, მომგებიანი რამ
საქმე, რაც ადამიანს მოულოდნელად
ჩაუფარდება ხელში, დადარებულია
პირში მოხვედრილ გემრიელსა და
მაძღრისს ლუქმას, რომლის ჭამით გან-
ვიციდით სიამოვნებას.

კაი მელას დაჭერა პრდ. კარგი მელას
შეპყრობა. სტვ. ოსტატურად მოგვა-
რება რამისა, გამარჯვება, მოგება.
„ყოჩაღ, ყოჩაღ, ტატო! — ასე ეძახ-
დნენ ნაცვალს, — შესძახეს ყველამ
ერთხმოდ და დაუმატეს: — შენ უფ-
რო კაი საქმე გავიკეთებია ჩვენზედა,
კაი მელაც დაგეჭერია და
ღირსი ხარ აწამბარში გამოგვიყუა-
ნოთ“ („იგ.“, 1902, № 119).

მელა გარეულ ცხოველებში ყველა-
ზე ეშმაკია, მის დაჭერას დიდი მო-
ხერხება და სიმარჯვე უნდა. გარდა



ამისა, მისი დაჭერა სახარბიელოა მისი ძვირფასი ტყუვისთვისაც. ასე რომ, ამ თქმით გამოიხატება მელას დამპყრის მიერ მელაზე მერი შნოსა და ჭნარის გამოჩენა და ყოველ ძნელ საქმეში თავის სახელება და გამარჯვება.

კაი მეხი დაგცემა ჰრდ. კარგი მეხი მოგხვედრია თავზე. ზგვ. კაი ბედი გქონია, შენი საქმე კარგად წასულა! რა გიჭირს! გწველებია, ნეტავი შენა!.. „ბიჭოს, ეგ კარგი სარგებელია! ეგ კაი მეხი დაგცემია!“ (ნ. ახიანი, 75). შრ. „ქატას ძეხვი თავზე დევიკა და ნეტავი კაი მეხი ყოველთვის დაეცემა!“ (ხალხური ანდახა).

გარდა იმისა, რომ მეხი უარყოფითი მნიშვნელობით იხმარება ენაში, ამასთანავე არის მეხი კარგი თვისებისა, მეხი სანატრელი, სიკეთის მომტანი, ბედნიერების მომნიჭებელი, ბედნიერი, სასიხარულო ამბის მანიშნებელი, რომელიც თავისი სისწრაფით და მოულოდნელობით ემსგავსება ავ მეხს.

იხმარება ეს თქმა, როცა მოულოდნელად და მეხივით სწრაფად რაიმე ბედნიერება შეგვემთხვევა, ხელი მოგვემართება, საქმეში წარგვემატება, უზომოდ ვასახარელ ამბავს გმეტყვიან.

კაინი ჰრდ. თანახმად დაბადებისა — უფროსი შვილი ადამისა და ევასი. ზგვ. კაცისმკვლელი, ბოროტი, გულქვა.

თანახმად დაბადებისა, ადამისა და ევას შვილმა კაინმა მოჰკლა თავისი უმცროსი ძმა აბელი, და ღმერთმაც ამიტომ დასწყევლა.

კაი ფეხის კაც ჰრდ. ვისაც კარგი ფეხი აქვს. ზგვ. ვისაც თან ბედი, იღბალი, წარმატება, გამარჯვება მოჰყვება.

ხალხის ძველი რწმენით, როცა ვინმე საღმრედედგამდა ფეხს, ამ უკანასკნელს თითქოს თან მიჰყვებოდა ან — ბედი, გამარჯვება, წარმატება, ხელის მომართვა ყოველგვარ საქმეში, ან — უბედობა, მარცხი და ზარალი. პირველ შემთხვევაში ამბობდნენ ხოლმე: მაფანი კაი ფეხისააო. მეორე შემთხვევაში იტყობდნენ: მაფანი ცუდი ი ფეხისააო და ამიტომ ყველა ერთდებოდა ასეთს.

თუ ოჯახში ცოლის მოყვანის შემდეგ ოჯახის წევრებს უქულმა წაუფიქროდათ საქმე, ზარალი ზარალს მოჰ-

ყვებოდა, იტყობდნენ: მაფანმა ქალმა ცუდი ფეხი შემოიტანა სახლშიო.

განსაკუთრებით ერიდებოდნენ ცუდი ფეხის კაცის შემოსვლას ოჯახში ახალწელიწად დღეს: მთელი წლის განმავლობაში გაუხარებელი იქნება ეს ოჯახი და ტანჯვა-მწუხარება არ გამოილევია შიგვაო.

როცა გვალვია და ვინმე სტუმრად მოუვით შორიდან, იტყვიან: ეგებნის შენს ფეხზე იწვიმოსო“, ე. ი. შენს მოსვლას წვიმა მოჰყვეს და გვალვას გადაურჩეთო.

კაი ქარი აქვს ჰრდ. კარგი ქარი აქვს შემდგარი. ზგვ. არ გაჩერდება ერთ ალაგას, გაქრება. „გაყიდა (ფშატაქემ მამული), კაი ფასი აიღო, — შეთანის თუმანი ერთბაშად, თუ თქვენც დამეთანხმებით, ამ ფულს ჯიბეში კაი ქარი აქვს. დიალ, ჩაიღო ფული ჯიბეში და გაჰქრა სადღაც“ (ფაი-ფშავლა, V, 292).

ამას იტყვიან ისეთ კაცზე, რომელსაც ფული ჯიბეში არ უდგება ხოლმე, ფულის მფლანგველია.

კაი ხელი ჰრდ. სიკეთის მომტანი ხელი. ზგვ. ლამაზი წერა რომ იცის.

კაი ხელს უჭირავს ჰრდ. კაი ხელს უპყრია რაიმე. ზგვ. მე არ მინდა, შენ გქონდეს; ისეთს უჭირავს, ვისაც შნო აქვს ყველაფრის გაკეთებისა.

როცა ვინმე შემომამძლევს რასმე და მე თავიზიანობას ვიჩენ და არ მინდა გამოვართვა შემოდღეული, უნდა ვუთხრა: „კაი ხელს უჭირავს“, ე. ი. ვისაც უჭირავს, იმაზე ალალია, შესაფერი პატრონია ამ საგნისა, სხვაზე უკეთ მოუვლის და გამოიყენებს, შენ გქონდეს, მე არ მინდაო...

კაკა ჰრდ. ნიგოზი, ლებანი კაკლისა. ზგვ. კარგი, სანუჯვარი, ტკბილი, სასუსნი, პირის ჩასატკბარუნებელი. „აბა, თქვენ იცი, ბიჭებო! დაჰკათ, დაჰკათ მაგ შეჩვენებულს, ცხვირპირიდან სულ სისხლი აღინეთ, რომ პატარა ქეუა ისწავლოს და ერთი კარგი იგემოს — დაჩავგრა რა კაკაც არის!“ (ცვიტი, საბავშვო მოთხრ., 219); „ცამეტი აბაზი ჩემი საწყალი ცოლშვილისათვის კაი კაკა არის!“ (მელანია, ნავარდობა).

კაკანი ჰრდ. დედალი ქათმის ძახილი კვერცხის დადების წინ. ზგვ. წინდა-

წინვე შეტყობინება რისამე კეთების განზრახვის შესახებ. "ერთი ვიკითხოთ, — რა აკაკანებს „Кавказ“-ს ეგრე ლაღად, ეგრე ურცხვად?! (ილ. ჰავევაძე, IX, 325); „ეს ქათამი ჩვენთან კაკანებს, სხვასთან კი კვერცხს სდებსო“ (ხალხური ანბანა).

კაკას ხილის გავლა ჰრე. კაკას ხილს იქით გადაცილება, კაკას ხილს იქით დარჩენა. ზ.ვ. ასავალ-დასავალის დიკარგვა, დაღუპვა კვალწმინდად, უკან ველარ მობრუნება.

ეს თქმა დარჩენილია იმერეთში: იტყოდნენ, როცა საქმე უეჭველად გაფუჭდებოდა და მისი გამობრუნების იმედი არავის ჰქონდა, ან საქონელი დაიკარგებოდა და უნდა გამოეთქვათ მისი პოვნის უიმედობა.

როდინდელია ეს თქმა და რა დავდა საფუძვლად მის გაჩენას?

იმდროინდელია, როდესაც საქართველოში ფეხი მოიკიდა ოსმალეთის ბაზრებისათვის ქართველი ტყვეების გაყიდვამ.

დასავლეთ საქართველოდან ოსმალეთისათვის ტყვეები გაჰყავდათ გურიისამეგრელო-აფხაზეთიდან შავი ზღვის სანაპიროებით, ქვემოიმერეთიდან — კაკას ხილიდან, ხოლო ზემოიმერეთიდან — ლიხის მთაზე, სააბაშიო გზით.

კაკას ხილისაგან მიმოვიდოდნენ საჩხედიოზე, აწინდელ აბასთუმნისაგან მიმავალ ე. წ. ბაღდადის გზით, ანუ ხანის წყლის გაყოფებით. კაკას ხილი ციხე ყოფილა ფერისათვის მთიდან გამომავალი ხანის წყლის ნაპირას, მიუვალ კლდეზე აწინებული, მოსახლდრე ოსმალეთისა. თუ ქვემოიმერეთში მოტაცებულ ტყვეს მდევარი კაკას ხილანდემ მოეწეოდა, კიდევ იმედი უნდა ჰქონოდა მისი დაბრუნებისას; მაგრამ თუ ტყვე კაკას ხილს გაივლიდა, მერმე მისი უკან დაბრუნების იმედის ყოველი ნასახი უნდა წართმეოდა მდევართ, ბელს უნდა შერიგებოდნენ, ხელცარიელნი შინ უნდა დაბრუნებულიყვნენ, შინაურთათვის ეთქვათ: კაკას ხილი გაიარაო და, ბოლოს, მათთან ერთად ვეღალათ ოჯახის წევრის დიკარგვა.

თქმა „კაკას ხილი გაიარა“ შინაარსით იგივეა, რაც კახური თქმა: „ჩაილულის წყალი დაჰლია“. როგორც ქიზიყში მოპარული საქონელი თუ

მდინარე ჩაილურზე იქნებოდა გამოყვანილი, მერე საბოლოოდ დაკარგულად უნდა ჩაეთვალოთ, ისე ტყვეების მოტაცებელი თუ კაკას ხილს ვაცსდებოდა, ამას მოტაცებულთან თავისი თავი სამშვიდობოს ეგულებოდა. ხოლო ტყვეების პატრონისათვის ეს უდრიდა ხელცარიელად დარჩენას იმეტრე, რომ კაკას ხილს იქით იღვინე მომტაცებელთა აგენტები — ოსმალები, რომელნიც ტყვეების მომყვანთ „საქონლის“ სალირალს მისცემდნენ და მერე არჩენილ წაიყვანდნენ ტრაპიზონდს, სტამბოლს და თვით აფრიკის (ალექსანდრიის) ტყვეების ვასაყიდ ბაზრებისაკენაც.

კაკას ხილიდან გზა მიდიოდა სამცხეში. ხოლო კაკას ხილისაგან მიმავალ გზაზე მდებარე ბაღდადი დიდ საეპარო პუნქტად ითვლებოდა. განსაკუთრებით ტყვეებით ვაჭრობა ყოფილა აქ გაჩაღებული, როგორც ამას მოწმობს ვახუშტი თავის გეოგრაფიაში.

კაკას ხილთან 1532 წ. ერთი ისტორიული ამბავიც მომხდარა. აქ მოსულა თავის ჯარით სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი, რომელსაც თან მოჰყვებოდა თავისი და — მარიამი კახეთის მეფის როსტომისათვის მისათხოვებლად, მასთან დამოყვრების მიზნით. როსტომი ქალის წასაყვანად სამცხეს გზით მოსულა აქავე. ამ დროს აქ გაჩენილა იმერეთის მეფე გიორგი, მტრადგადაკიდებული ლევან დადიანზე. დადიანის ჯარის დასაზვერავად მთიდან გადმომდგარი გიორგი მეფე დადიანის მხლებლებს შეუპყრიათ და ლევანისათვის მიუგვრიათ. ლევანისც გიორგი ტყვედ წაუყვანია სამეგრელოში და იქ გაუჩერებია, სანამ მისი შვილი გამოიხსნიდა (იხ. ზერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“, 1940).

კალამი უჭრის ჰრე. მისი კალამი რასმე ნაქერ-ნაქერ აქცევს. ზ.ვ. კალამი ემორჩილება, წერა ემარჯვება, კარგე მწერალია. ზგლ., „მევენმა ლაპარაკი ისე არ იცის, სამაგიეროდ კალამი ძალიან უჭრის“.

კალთა ჰრე. ქალის კაბის, ხოლო მამაკაცის — ჩოხა-ახალუხის წინა ტოტები. ზ.ვ. ცვა-ფარვა, შველა, დახმარება, ხსნა გაპირვებისაგან; შვერდომა, თავის შიფარება. „მეც (ერეკლემ) თქვენი (რუსების) კალთა ვირჩიე ურჯულო თათრის ყმობას!“ (რაფერისთავი, II, 14).



სანამ ბავშვი ფეხს აიდგამდეს, დედას, ნამეტურ თუ ზის, ბავშვი კალთაში უხის და ისე აწოვენს ძუძუს. ბავშვი სიარულს რომ დაიწყებს, ერთავად დედის კალთას ებლაუჭება და უკან აედევნება ხოლმე; ან თუ ცოტახნით მოშორდება დედას და რამე საშიშროება იგრძნოს, დედას მიატანს ტირილით და უმთავრესად მის კალთას ქვეშ ამოფარებას ცდილობს. აქ იგულისხმება, რა თქმა უნდა, ძველებური, განიერი კაბა ქალისა. რაკი კაბა გადაიფარება ბავშვს, ეს უკანასკნელი უშიშარ და საიმედო, ყოველი ხიფათის და განსაცუდელის ამცდენელ ნავთსაყუდელში გრძნობს თავს თვითონ დედაც, საშიშროების წიამს, შვილს კაბის კალთებს გადააფარებდა და მტრის თვალთგან დამალავდა, სწორედ ისევე, როგორც კრუხი, როცა ქორი წამოუჭროლებს. თავის წიწილებს ფრთებს გადააფარებს ხოლმე...

ამიტომაც იქცა კალთა შვილის, დახმარების, ცვა-ფარვის სინონიმად და ამიტომაც წარმოიშვა ქართულში ასეთი თქმები: კალთის დაფარება, კალთის დაქერა, კალთაზე დაკიდება, კალთაზე დაბლაუჭება, კალთას ქვეშ ყოფნა და სხვ.

კალთაწიული ჰრე. ვისაც კაბის კალთა ზევითა აქვს ამართული. ს.ჯვ. მათხვარი. ვლახა, ღარიბი, მოწყალეების ბთხოველი.

ღარიბის, გაჭირებულის, სამოწყალოს, ულუკმაპუროდ დარჩენილის ხეივრი იყო კარდაკარ სიარული და თავის შებრალებინება, — გაიკითხონ და მის მიერ აწიულ კალთაში ჩაუდონ, რასაც გაიმეტებენ.

კალთა ვაგაბათ კალთასა ჰრე. ჩვენი კალთები ერთიმეორეს ვადავაბათ. ს.ჯვ. ერთმანეთი შევიყვართ, დაემოყვარდეთ, ერთიმეორესთან სიამტკბილობით ვიცხოვროთ. „თუ მოყვარე ხარ, მიმოყვარე, კალთა. ვაგაბათ კალთასა“ (ხალაური).

კალთაზე გამომშა ის. კალთის დაქერა.

კალთაზე დაბლაუჭება ის. კალთის დაქერა.

კალთაზე დაკიდება ის. კალთის დაქერა.

კალთაზე დაქიდება ის. კალთის დაქერა.

კალთაზე მოკიდება ის. კალთის დაქერა.

კალთამადლიანი ჰრე. ქა ი, ვისი კალთაი კაბისა მადლსა შვრება. ადამიანი ებრაღვის. ს.ჯვ. მსუბუქი ყოფაქცევის ქალი.

კალთამოჭრილი ჰრე. ვისაც ჩოხის ცალი კალთა მოჭრილი აქვს. ს.ჯვ. შერცხვენილი, აუგიანი, საზოგადოებიდან განდევნილი.

ხეცსურეთში როცა კაცს ზნეობის საწინააღმდეგო დანაშაული დაბრალდებოდა, ასეთს საზოგადოება გაასამართლებდა. ხატობაში, ჯარზე, სახალხოდ გამოიყვანდნენ დამნაშავეს. ერთი დამსწრეთაგანი ააჯაროდ აღიარებდა მის დანაშაულს და მოხუცნი დამნაშავეის ჩოხის ცალ კალთას მიაჭრიდნენ, რაც უღრიდა მის სამუდამოდ შერცხვენას, ზნეობრივად მოსპობას.

ამ ჩვეულების საფუძველი უნდა ვეძიოთ სულ ძველ დროში, როცა პერანგი და იმისი ამხანაგი არ იცოდნენ და ტანის სიწიშვლეს და სასირცხო ორგანოებს ხეცსურს ჩოხის კალთები უფარავდა. ჩოხის კალთის მოჭრა ნიშნავდა იმას, რომ სასირცხო ორგანოები დაუფარავი რჩებოდა. მაშასადამე, კალთამოჭრილი კაცი სირცხვილუული და თითით საჩვენებელი იყო.

გარდა იმისა, რომ კალთა ადამიანის სხეულს ჰფარავდა, იგივე ითვლებოდა გაჭირებულის ცვა-ფარვის სიმბოლოა. შეშინებულ ბავშვებს დედა კალთისქვეშ მოიქცევს ხოლმე, მსგავსად კრუხისა, რომლის ფრთებქვეშ შეიჭუჭკნებიან შეშინებული წიწილები. ადამიანი იმას, ვისაც სთხოვს რასმე, ეტყვის: „შენი მოწყალეების კალთა ვადავაფარეო“. დიდი კაცის ტანისამოსის კალთაზე კოცნა მდაბიოს მხრით უდიდესი პატივისცემის გამომხატველი იყო. მაშასადამე, ჩოხის კალთის მოჭრით ადამიანს უნდა დაჰკარგოდა საშუალება სხვისთვის, ცვა-ფარვის მაძიებელისათვის, ეს კალთა გადაეფარებინა, გამოეჩინა სიქველი, ვაჟკაცობა.

კალთას შემოხიზნება ჰრე. ვინმეს კალთას ქვეშ თავის შეფარება. ს.ჯვ. ვინმეს იუდეით ყოფნა, გაჭირების დროს ვისიმე ცვა-ფარვის მოლოდინი. „შემოვხიზნივარ შენს კალთას,

შენგნითვე ველი რჩენასა!...“ (რაფ. ერისთავი, I, 186).

კალთაში გამოზრდა პრ. კაბის წინა ნაწილში აღზრდა ვისიმე. სკვ. თავის ხელით გაზრდა, მოვლა-პატრონობა. „ეს კაცი განათლებულია, ქალაქში ამბზე ნასწავლი მღვდელი თურემ ორიოდ-ღა არის და ნეტა რატომ არა ცდილობს იქ გადასვლას, რომ ჩემი ბაღლები ჩემს კალთაში იგი დაიზარდნენ“ (ვ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 261); „ამათ პარიზი არ უნახავთ, ამათ უნივერსიტეტი არ ღირსებათ, ესენი არიან ჩვენის ხალხის შვილნი, მის კალთაში იგი გამოზრდილნი“ (ილ. ჭავჭავაძე, VII, 200); „ქალაქში ცალი არა ჰყავს, თვრამეტი წელიწადია, ჩემს კალთაში ვზრდი! და შენ მასწაველი ჩემს ქალს?...“ (ავტ. ცაგარელი, კომედიები, 71).

კალთაში ჩაძინება პრ. ძალით მოსვენება ვინმეს კალთაში. სკვ. უღარიღელობა, უზრუნველობა, საქმის თავიდან მოსხლეტა, სხვის იმედით დარჩენა. „ჩვეულებისამებრ — ჩვეულება ხომ სჯულთ უმტკიცესია, როგორც მოგვსენებათ, — კომისიის კალთაში ჩაიძინებ ს ეს საქმე (ცმაწვილების აღზრდისა)“ „ღრმა ძილითა“, ასე რომ ზარბაზნითაც რომ მიადგეთ, ბოლოს, იქნება, ვერც კი გამოაღვიძოთ“ (ილ. ჭავჭავაძე, VI, 78).

კალთების აკრება პრ. ტანისამოსის (კაბის, ჩოხის) ქვედა ნაწილის აყვება. სკვ. გასაქცევად კარგად მომზადება. „ერთის ასეთის ბრძენის მოწმობას მოვიყვან, რომელსაც ბ-ნი ჟორდანი ვერსად გაეჭკვევა, თუმცა კი კალთებს აიკრებს — როგორმე მოვებურწო და თავი დავიძვრიხოვ“ (ილ. ჭავჭავაძე, IX, 153).

ძველებური კაბა ქალისა თუ ჩოხა მამაკაცისა გრძელი იყო, კოჭებამდე სციმდათ. ასეთი გრძელი სამოელი ჯერ — ნელი სიარულისათვის არ იყო მოხერხებული, თორემ სირბილის დროს არ იყო და არ იყო მოხერხებული და პრაქტიკული, რადგან სულ ფეხებში ეღებოდა ადამიანს. ამიტომ ქალს ან კაცს თუ უნდოდა კარგად გაქცეულიყო, უმჯველად უნდა აეკრიბა კაბისა თუ ჩოხის კალთები.

ასე რომ, კალთების აკრება სინონიმი იყო გასაქცევად მომზადებისა.

კალთიდან გადაყრა (პატივისცემისა) პრ. კალთის დაცლა, პატივისცემის მოშორება. სკვ. უმადურობა, დაუფასებლობა, პატივისცემისა. მკლ. „კოწიასათვის რაც პატივი მიცია, სულ კალთიდან გადამიყარა“. ის. კალთა.

კალთა ითვლებოდა ტანისამოსის ისეთ ნაწილად, რომლის საშუალებით უნდა შეენაბა კალთის პატრონს ნაშოვარი; ამ კალთის საშუალებით უნდა გადაეტანა იგი ერთ ადგილიდან მეორეზე. ვისიმე პატივისცემა გულგონობა, რომ ეს პატივისცემა გროვდებოდა კალთაში და მისი შეუნახველობა, კალთიდან გადაყრა უდრდა პატივისცემის დაუფასებლობას, შეუძლობელ უმადურობას.

კალთით მიცემა პრ. კალთაში ჩაყრის მიცემა. სკვ. ბევრის მიცემა, უხვად გაცემა.

იმ დროის თქმაა, როცა თვლა, გამოწყვა საწყაოთი მაინცა და მაინც არ ემარჯვებოდათ და კალთა ერთგვარი საწყაო იყო.

კალთით ტარება ის. კალთაში გამოზრდა.

კალთის გადაფარება, დაფარება პრ. კალთის ქვეშ მოქცევა ვისიმე ან რისიმე. სკვ. შევლა, დახმარება, დაცვა. გაჭირვებისაგან ხსნა, მხარის დაჭერა. „ღვთისმშობელი ჩარგლისაო, შენი უღური მოახმარე, შენი კაბის კალთა დაფარე“ (ავტ.-ფშაველა VI, 320); „მოწყალებისა გადამაფარე კალთა“ (რაფ. ერისთავი, III, 54); „ფლიდა ესე სოფელი, ფლიდათა საყრელი ხელისა, კარგებსა სჩაგრაგს, უმსგავსეთ-კი — კალთას აფარებს, ჰშეელისა“ (ავტ.-ფშაველა, III, 337).

კალთის დაბერტყვა პრ. კალთაში ჩადებულის გადაყრა ვინმეს თავზე, კალთის დაცალიერება. სკვ. უხევაა, გაკითხვა, ბლომად გაცემა განძისა და ყოველისავე საქიროსი. „უხვი ბუნება ნიჭით სავსე კალთას აბერტყავს თვისაგან შექმნილსა“ (ვ. ბარნოვი, თეთრი გვირგვინი, „ნათობი“, 1939, № 7, გვ. 38).

კალთის დაბეჯვა ის. კალთის დაჭერა.

კალთის დაჭერა, კალთის დაგლეჯა პრ. კაბის ქვედა და წინა ნაწილის დაჭერა ხელით. სკვ. ვისთვისმე შეე-



ლის თხოვნა, ვისიმე ცვა-ფარვის ძებნა. „რაც გინდა სთქვენ, ღონე და ძალა იმისთანა რამ არის, რომ იმის კალთის დაქერას ცხვირ ზევით არავინ იცილებს, თუ შესაძლებელია“ (ილ. ჰაგაუაძე, X, 220); „იმ დღეს ჩემს უფროსს დას კალთა დავაგლიჯე ხვეწნით: კათხვა მასწავლე-მეთქი“ (აკაკი, I, 35).

კალთის მიბერტყვა პრ. კალთისაგან ჩამოშორება, თუ რამ ზედ აკრავს, კალთის გასუფთავება. ს.ჯვ. კავშირის გაწყვეტა, თავიდან მოშორება, ზრუნვა-პატრონობაზე ხელის აღება. „ღედა-ენა და ერობა, შთენილი წინაპართაო. ვინძლო დაიცვათ ეს ორი, არ მიბერტყეთ კალთაო“ (ი. დავითაშვილი, ლექსები, 236).

იგულისხმება, რომ ორი მეგობარი ერთმანეთზე ტანისამოსის კალთებით არის გადაბმული, ე. ი. ერთმანეთთან დაკავშირებული, დაახლოებული, ერთიგორესთან მხარი-მხარში ამომდგარი, ერთიგორესთან ღხინისა და ქირის გამყოფი. ხოლო როცა ერთი მეგობარი მეორეს შემოსწყრება, მათი დამაკავშირებელი კალთები ერთიგორეს უნდა დაშორდეს, ერთმა მეორეს კალთა უნდა მიბერტყოს, ე. ი. თუ რამე სიყვარულის გრძნობა შეიქმნა იმისი, კალთის მიბერტყვით გაწყვეტოს მასთან ყოველივე კავშირი, რაც მათ აერთებდა, რაც მათ სამტკბილობით, ერთი ცხოვრებით აცხოვრებდა, ერთი სიხარულით ახარებდა. ერთი სიმწარით ამწარებდათ. ერთი მეორეს ეტყოდა: კალთა მიმიბერტყავს შენთვისაო! და ამ თქმასთან ერთად თავის სამოსელს კალთას შეარხებდა და სიმბოლურად მოიშორებდა ყოველსავე კეთილ გრძნობას, რაც მის-დაში გულში უტარებდა, და აგრძნობინებდა, რომ ამიერიდან ეს კეთილი გრძნობა და მეგობრობა უნდა შეცვლილიყო მტრობად, სიყვარული — სიძულვილად.

კალმით დახატული პრ. კალმით გამოყვანილი სახე. ს.ჯვ. ძალიან ლამაზი, მშვენიერი.

კალოს გამოყვანა პრ. პურის ლეწვის გათავება. ს.ჯვ. საქმის დამთავრება. შგლ., „კალო დიდი ხანია გამოვიყვანეთ“.

კალობა სასოფლო მეურნეობაში პთავარ და საერთოდ მთელნ წლის მეურნეობის დამაგვირგაინებელ მუშაობად ითვლება, რადგან კალობის შედეგზეა დამოკიდებული სოფლის მეურნის მთელი წლიური შრომის შეჯამება. კალოზე გაღწეული პური გასცემდა პასუხს გლეხის მტერსა და მოყვარესა, კალოზე მომდგარ ათასი ვეარის და ხასიათის გაპირვებასა თუ დაღბინებას. ამიტომაცაა, რომ „კალოს გამოყვანას“ ხატოვანად მიეცა მნიშვნელობა მძიმე რამ საქმის დასრულებისა, მძიმე დე პასუხსაგები მოვალეობის მოხდისა.

კალო შევებათ პრ. კალოზე პურის ლეწვას შევუდგეთ. ს.ჯვ. დავიწყეთ პურის ქამა, სმა, სხოვადოდო—საქმიანობა რამე. შგლ., „ე, სუფრა რომ გავგიშლი, ვიღას ვუცდით, ძუცელი ვალალას ვეაყრის, მოდი, კალო შევებათ... დროა, ჩემმა მზემ“.

კალოს შებმა ჰქვია კალოზე პურის საღეწავად მუშაობის დაწყებას. სასოფლო მეურნეობაში კალოს შებმა ანუ კალობა დიდ ოფლის საწურავ და საშურ, რაც შეიძლება, სწრაფად ასასრულებელ საქმედ ითვლებოდა. ხატოვანად და ხუმრობით ხმარობენ ამ თქმას, როცა უნდათ შეუდგნენ ქამას, სმას, დროს გატარებას და იშვიათად — საქმიანობას.

კამათლის მოხვლა პრ. ნარდის საგორებელ ოთხკუთხე მკვების დაჯდომა მოსაგებად. ს.ჯვ. ხელის მომართვა, წარმატება, მოგება, ხეირი, სარგებლობა, ბედი. „ბედსა ბევრი ვევედრებთ, არ აილოს ჩვენზე ხელი, ხან ვუჩივით, ხან ვემდურით, თუ არ მოგვდის კამათელი (რაფ. ერისთავი, II, 111).

კამათლის მოხვლა ჰქვია, როცა ნარდის საგორებელ კამათლებს (ორს) ვაგორებთ და მოგვიდა იმდენი, რამდენიც გვეპირდება ნარდის ქვების ვადანყვან-გადმოსაყვანად, მოსაგებად. ვამბობთ: კამათლები მოგვდისო, როცა კამათლებს ვაეგორებთ და ისე დაჯდება, რომ მოსაგები იყოს; ან ვიტყვი: კამათლები არ მოგვდისო, როცა კამათელი ცუდად დაჯდება და თამაშობაში ქვებს ზედისხელ მოგვიკლავენ და წაგებაა მოსალოდნელი.

კამერის რქაში ფელომა პრ. კამერის რქაში ჩასვლა და იქ მოთავსება. სველუნახველობა, უფიცობა, ხამობა. მგლ., შენ, ჩემო ძმაო, გეტყობა, კამერის რქაში მჯდარ ხარ! ისე იქცევი, თითქოს შენს სიცოცხლეში არათფერი გინახავსო“.

როგორც კამერი, ისე მისი რქაც წარმოდგენილია დიდად და ღრმად თუ რამე ჩავიდა შიგ, იქიდან უკან ამოსვლა შეუძლებელია სულაც ვერ შესძლოს, შიგ ჩარჩეს, ქვეყნიერებისა ვერა ნახოს რა, და ამიტომაც, რომ უფიც, ხამ, გაუთლელ ადამიანზე იტყვიან—კამერის რქაში მჯდარაო.

კანკალის მოკიდება პრ. კანკალის მოკიდება, დაბლაუჭება. სვე. აკანკალემა, კანკალის დაწყებინება. „მათრახები რომ დატყვრება, ჩხუბად რო გახდება, გული ამიღებს, ტანში ქრუანტელი დამიღის, კანკალს მომიკიდებს“ (ფაფ-ფაფელო, VI, 116).

კანკალმა აიტანა პრ. ქვევიდან ზევითკენ წაიღო კანკალმა. სვე. ძალიან შეეშინდა ან შესცივდა.

კანში აღარ ეტევა პრ. კანი ვიწროა მისი სხეულის დასატევადა. სვე. მეტად მსუქანია; თავს გავიდა, ტოლებს არა კადრულობს; თავი მოსწონს, გაამაყდა. „იომცა მაგდენი რომ შენახვა არა ჰქონდა ქალს თავის მამის ხელმოკლე ოჯახში, არც არათფერი ნებინგრობაში იყო იქ. მაგრამ მაინც კანში არ ეტევა და“ (ე. ბარსოვი, ფერად-ფერადი, 243); „გლებმა ვირი ჩააყენა ყარაულად ბოსტანშია, ვირი გასუქდა ძალიან. აღარ ეტევა კანშია“ (რაფ. ერისთავი, I, 298).

კანქის მორტყმა პრ. საქონლის კანქს მოხვედრება ვისთვისმე, სვე. გარდაცვალება. „ერთი კვირის წინათ მითხრა — თვლიანთ ზურა კანქს მოგვარტყამსო და აი, ასრულდა კიდევ“ (მელანია, ბნლო, 6).

კახეთსა და უმთავრესად, ქიზიყში, ქელესში საკლავის კანქს, მათი გაგებით, როგორც საუკეთესო და საპატრიონაწილს ხორცისას, მღვდელს მიართმევდნენ. ისიც სიამოვნებით ღებულდებდა მას, როგორც მამაპაპითვე შემოღებულ, ჩვეულებით მის მისართმევად დადგენილს. აქედან: კანქის მორტყმა ვადაქცეულია სიკვდილის სინონიმად.

კამის ამოდება (პირში) პრ. ხის როკის გაყრა ტუჩებში. სვე. ვაჩუშება, დადუმება, ლაპარაკის, რაიმეს თქმის აკრძალვა. „კარტის კუნძულის და საბერძნეთის თავგამოდებულმა საქმემ ცხადად დაინახვა ქვეყნის, რომ თამბუცა დიდნი სახელმწიფონი, რომელთაც პირში ქაპი ამოსდეს საბერძნეთს, პირად ერთმანეთის სურვილით აღტყინებულნი არიან...“

(ილ. პავლევიძე, X, 185); აყოველ ამით პსურთ (ერის მეტრთ) შეიღლისარა, მათზე მოზიდული, თავიანთ თავს აარიდონ და გულში თითონ ერსა ჰქრან ვასაწბილებლად, და ისეთი ხერხიანი ფარი იფარონ და საკუთარის ცოდვების მხილებას ამით პირში ქაპი ამოსდონ, ენა მოსქრან“ (ილ. პავლევიძე, ქვთა დაღადი, 91).

კარგად უხეღია თვალეზი პრ. თვალეზი ფართედ აქვს დაღებული. სვე. კარგად არის, ჯანხეა, არათფერი აწუხებს; რამე მოეწონა და უხდა დაეპატრონოს. მოიტაცოს. შეიპყროს.

კარგებისა ვაკადრე პრ. კარგი სიტყვები მოვასხენე. სვე. ცუდი რამეები ეუთხარი, კარგად გამოგვიღანძლე, შევიარცხვინე, ვავინე, ვავთათხე. „რა გინდა, შეილოსან-მეთქი! — ევლუნებოდი, — შენ რა დაგიკარგავს. რას ეძებ?! — კარგებისა რომ ვაკადრე, გაგვაშველეს, როგორც იყო“ (ფაფ-ფაფელო, V, 250).

კარგ ვარსკვლავზე დაბადებული პრ. ბედის მომნიჭებელი ვარსკვლავის გამოჩენის დროს დაბადებული. სვე. ბედნიერი, ცხოვრებაში ხელმომართული, გამარჯვებული, წარმატებული.

ძველი რწმენით, კაცი რომ იბადება, იმავე დროს ცაზე ჩნდება მისი ცხოვრების გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი. ზოგი ვარსკვლავი ბედნიერებას ანიჭებს იმას, ვისაც ეკუთვნის, ვის სახელზედაც გაჩნდა. ზოგი უბედურად წარმართავს თავისი პატრონის დღეს. ამიტომაც, რომ აშობობენ: მაგნი კარგ ვარსკვლავზე დაბადებულიო, ან ცუდ ვარსკვლავზე დაბადებულიო.

კარგი დარი დაუღდა პრ. მზიანი, უწვიმარი დარი დაუღდა. სვე. საქმე კარგად წაუვიდა, საქმიანობაში გაუმარჯვდა, წარმატება ხვდა წილად, ხელო



მოემართა. „ბოლოა მიტომ ჰკლავს ვეკაცსა, რომ ხელთ არა აქვს ხმალია: ჩამიგდეთ ხელში, ძაღლებო, კარგი და გიდგათ დარია“ (ვაჟა-ფშაველა, III, 244).

მიწათმოქმედებებში ამინდს, დარს დიდი მნიშვნელობა აქვს მხენელ-მთესველისათვის. აქედანია ეს თქმაც.

კარგი და პატიოსანი პრ. ყოველივე კარგი და პატიოსანია, რაცა ბრძანეთ. ზღვ. ძალით კარგი, მართალია, ასე იყოს, სიმაართესა ბრძანებთ, თანახმა გახლავართ თქვენი ნათქვამისა. „იტყვიან, იმის კვლობაზედ შეადგინოს (ბანკმა საზღვევის ფულის ჯამი), რასაც თითონ მისესხებელი თხოვლობსო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ხანდისხან მსესხებელი ახირებულად ბევრსა თხოვლობს, ბანკი კი სესხს ძალიან ნაკლებად უბრუნებს“ (ილ. ჭავჭავაძე, VI, 369).

კარგი ქარი უჭროდა პრ. სასიკეთო ქარი ქოიდა მისთვის. ზღვ. გარემოება ხელს უწყობდა, კარგად ცხოვრობდა, გაწირვება არ იცოდა, არაფერი აღარღებდა. „თავადის შაქრო დიდლებულიძის მამა დიდის ყმისა და მანჟლის პატრონი იყო; ამისათვის შაქროს ძალიან კარგი ქარი უქროდა ბატონ-ყმობის დროს“ (მეღაბია, ბნელი, 61).

კარგი ჭოტი დაიჭრა პრ. კარგი რამ ჭოტი. ბუ შეიპყრო. ზღვ. დიდი რამ საწყვენი შეხვდა, მტერი გაახარა, უბედურება დაატყდა თავზე. ზგლ. „ზურგბს დიდი უბედურება დაატყდა თავს; კარგი ჭოტი დაიჭრა!“

ჭოტი, იგივე ბუ, ბუკიოტი, ბუკინა-ჭო, იგივე ღამის მშობებელი მეღამურა ფრინველია, ე. ი. დღისით ვერ ხედავს და თვალმუდისუჭული ხის ტოტზე ზის, საღმე მყუდრო ადგილას და მხოლოდ ღამით გაახელს თვალებს და დაიწყებს თავის გაულისგამაწერილებელ ძახილს: „ჭოტ... ჭოტ“, და თან ნადირობს.

ხალხის ძველი რწმენით, ჭოტი თავის ძახილთან ერთად მსმენელთ უზგაენის ყოველგვარ უბედურებას, რისი წარმოდგენაც კი შეეძლო ცრუმორწმუნე სოფელის ფანტაზიას. თუ შორიდან მოისმოდა ჭოტის ხმა, კიდევ არაფერი, მაგრამ თუ ეზოში შემოფრინდებოდა და სახლშიაც ავიდმოყოფი ჰყავდათ, შეტად ცუდ დღეში ჩაცვივდებოდნენ შინაურები: თითქოს ყოვე-

13. პართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი.

ლი დაძახება ჭოტისა სიკვდილს უახლოებს საბრალო ავადყოფისაო... ამიტომ ანთებულ მუგუხალს ისგროდნენ იმისკენ და თან სწყველიდნენ: შენიანი ამოიქამეო! და იმედი ჭკონდათ — ამ წყველით თავიდან აიშორებდნენ ჭოტის არასასიამოვნო ვადმოძახილს საშუალებით გამოგზავნილ უბედურებას. ასეთი იყო ცრურწმენა.

ჭოტი სოფლად გაზაფხულზე ჩნდება. მისი ხმა ისმის საღამოობით, რაცა სოფელში ყველა სულდგმული დაბინავდება, საერთო ღუმელი ჩამოვარდება, და ამ დღეში იმის მხოლოდ ჭოტის ხმა.

აი, რატომია თვითონ ჭოტი სიბოლო უბედურებისა და ხატოვანი თქმა—კარგი ჭოტი დაიჭრაო—გამომთქმელი ადამიანის კარზე მომდგარ უბედურებისა, ზარალისა, სიკვდილისა...

კარგ ყელში ყოფნა პრ. ყელის ქონება კარგ მდგომარეობაში. ზღვ. მუღამ მამლიად ყოფნა, ჭიმა-სმის უკლებობა, პატივე(რ)მულად ყოფნა. „დაუღუნენ ხელმწიფის ძმები, ემსახურებოდნენ და კარგ ყელში იყვნენ“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები II, 43).

ყელი ადამიანის სხეულის ნაწილია, რომლის მეშვეობით საკმელი ჩადის კუჭში. „კარგ ყელში ყოფნა“, ანუ ყელის კარგი მდგომარეობა გვიჩვენებს იმას, რომ ამ ყელში საკმელი ბლომად, უკლებლად და თავთავის დროზე ჩადის. მისი პატრონი მარად მამლია, შიმშილს არ უჩივის. აქედან ეგ თქმა გახდა სიმამლირის სინონიმად.

კარ-და-კარ მავალი ის კარიმავალი. კარებამდე ვერ ენდობი პრ. რაც კარებამდე მანძილია სახლში, იმდენსაც ვერ ენდობი (ვისმე). ზღვ. სახლს სრულებით არ არის, ცრუა, ტყუალეები იცის, დაუნდობელია. ზგლ. „შენც იტყვი, ფილო კაცი იყოს! კარებამდე ვერ ენდობი, ისეთი ადამიანია, ცრუ და დაუნდობელი“.

ითქმის ცრუ, უპირულ, ტყულის მოყვარე ადამიანზე, ვისაც არ შეიძლება ერთი ბეჭითი ცენდოს კაცი. ასეთზე იტყვიან: კარებამდე ვერ ენდობი კაციო. ამ შემთხვევაში წარმოდგენილია მანძილი კარიდან, რომლის გარშემოც სხედან სახლში, ვიდრე კარამდე. ეს არის უმცირესი ზომა

მანძილისა, რაც კი შეიძლება გაიაროს
კაცმა.

**კარებზე მზისა და წვიმის მეტი არა
მოგეტანება-რა** ჰრდ. წვიმისა და მზის
მეტი ვერაფერს გაგიბედდეს სახლში ძა-
ლათი შემოსვლას. ს.ჯ. ლონიერი ხარ,
ვერაფერს გაკადრებს ტულ რასმე, ყვე-
ლას შენი ერიდება, ყველას შენი
ემინია. „შენ თავისუფალი ფრინველი
ხარ, არაფრისაც გენალელება, კა-
რებზე მზისა და წვიმის მე-
ტი არა მოგეტანება-რა“ (ან.
ერისთავ. ბ. შტაბია, I, 154).

ამ თქმით გამოიხატება ძლიერება,
ლენე, სხვებზე გავლენა ამა თუ იმ ადამ-
იანისა, რომელიც ქედს იხრის და
ფარ-ხმალს ძირს ჰყრის მხოლოდდამხო-
ლოდ ციური პლანეტის—მზისა და
ბუნების მოვლენის—წვიმის წინაშე.
მხოლოდ ეს ორი რამე აკაცინებს თითს,
მხოლოდ ამ ორს რასმე შეუძლია მი-
ეტანოს, ძალა იხმაროს მასზე.

**კარების (კარის) ატალახიანება, მიტა-
ლახიანება, კარებზე ტალახის აყენე-
ბა** ჰრდ. სახლის კარების მოსვრა ტა-
ლახით, ტალახის მოცემა კარებზე.
ს.ჯ. ხშირად სიარული, ხშირად მი-
სვლა ვისთანმე, ხშირი სტუმრობით,
წვევით თუ თხოვნით თავის მობეზ-
რება ვისთვისმე. „ეგენი მარტო აქ
არიან მარდები, საცა თავიანთი სარ-
ფაა: აბა ჩინოვნიცი მოვიდეს, რო-
გორ ყველაფერი უხვად მოჰკრიბონ,
და ვისგან? ვის მიადგებიან და ვის
მიუტრალახებენ კარსა? ჩვენ,
ლარიბებს“ (ს. მგალობლიშვილი, I, 99);
„აბა ერთი სინჯოს რომელიმე ქარ-
თველმა ან სხვამ — მოსამსახურემ, ან
შხარეულმა, ან სხვამ და ცოტა რა-
მეს ჩამორჩეს მის ხაზინ-სომეხსა,
თუ ამ ბატონმა ქვეყანა შესძრას და
სასამართლოს კარებზე და ც ტა-
ლახი არ ააყენოს?“ (ჯაკი).

ეს თქმა ნათელყოფს და ამტკიცებს
იმას, რომ სტუმრობა, ვისიმე სახა-
ხავად და მოსაკითხავად მისვლა უნ-
და ხდებოდეს ზომიერების ფარგლებში
და ამართლებდეს იმ ანდახას სტუმრის
შესახებ, რომელიც ასე იწყება: დილას
ოქრო ხარ, სტუმარო... ყოველივე, რაც
ზომიერებას სცილდება, ხალხის პირი-
საგან იწყვეს დაგმობას, გაკიცხვას, რა-
საც, იმავე ხალხის აზრით, უნდა ერი-
დოს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია

სოფელში სიტკობებით და უყვედრე-
ლად ცხოვრება თავის მეზობლებთან.

კარზე მიყენება ჰრდ. კართან მიყვანა ან
მიტანა ვისამე ან რისამე. ს.ჯ. უშ-
რომლად მოვინებმა რისამე, ხელად
მისვლა, პირდაპირ მიყვანა. „ვა! მე-
ტი რალა ვინდა! ლეერთმა თავის-
თავად მკითხავი კარზედ მოგა-
ყენა ეს რის ნიშანია?“ (ილ. პაპია-
ფი, II, 212).

კარზე მომაყენესო, ვიტყვი, როცა
მოულოდნელად, უშრომლად, უდავი-
დარაბოდ, თავისთავად გაგვიკეთებენ
ან გაგვიკეთდება რამე და ჩვენ მხო-
ლოდ დავგრჩენია მოვიძკათ მზამხარე-
ულად მოსული ყანა. მსგავსადვე, პირ-
ში ვინმემ გემრიელი ლუქმა რამ ჩა-
გვიდოს და ჩვენ კიდევ ის-ლა დავგრჩე-
ნოდეს — ეს ლუქმა დავლეკოთ და ვა-
დავყლაპოთ.

კარზე მომადგა პირი ჰრდ. ჩემი სახლის
კარებთან მოვიდა გაქორეება. ს.ჯ.
გამიქირდა, გაუბედურდი, გაქორეე-
ბას თავს ვერ დადავლწვე. „შენს მახლს
ერთად შენს მამათან კარზე მი-
ადგეს ქირიო“ (ჯაკი).

კარზე მოდგომა გულისხმობს ზედ-
მისვლას ვისთანმე გაქორეებისას თუ
მტრისას, როცა მატერიალური ზარალი
თუ ფიზიკური დაზარება აუცილებელია.

კარზე მომდგარი ჰრდ. ვინც სახლის
კართანაა მოსული. ს.ჯ. ვინც სულ
ახლოსა ნაპოვნი, ადვილი დასასატ-
რრნებელი. „ჩემი ჯანი მაგათ (ჩაფ-
რებმა) შექამეს, სისხლი დამიშრიტეს
და კარზე მომდგარ სიკვდილსაც
კი თავისუფლად სულის ამოძრობას
არ ავსლიანო“ (ქვიტა); „ამისთანა
საქმეებში ასეთი სიფხიზლე და გო-
ნების გამკრიახობა უნდა მოიხმაროს
აღამიანმა, რომ ვერც მტერმა გაიხა-
როს და არც კარზე მომდგარი
გაბტურდეს“ (მ. მაჩხაველი, ძმურა სე-
ლვა, 103).

კარზე მოხული იხ. კარზე მომდგარი.

კარი ჰრდ. განხმულება შესასვლელად
და გამოსასვლელად რაიმე შენობა-
დან. ს.ჯ. შესასვლელი. „მაგრა ამ ეს
მიწის-ყელი, რომელსაც კავკასიას
ენახიან, რომელიც აზიისა და ევრო-
პის კარად ყოფილა უწინ და რომ-
ლის დაპყრობისათვის ბევრი სხვა-
დასხვა ხალხის სისხლი დაღვრილა,
მინც ისევ კარად დარჩა და ხალხ-



თა შორის შუღლისა და ცილების მიზეზად იქნება კიდევც“ (ილ. ჰავაჯაძე, VI, 18).

კარიანი კბილები ჰრდ. კარი რომ აქვთ, ისეთი კბილები. სვც. კბილებს შიგადაშიგ რომ აკლია, არე რომ აქვს დარჩენილი. „ზურაბმა რო როსტომი დანიხა, ცოტა გვეი შეეპარა: დედის ნათქვამი ნიშანი, რომ მამაშენს კარიანი კბილები აქვს, ბექშია წახრილი... ენიშნა“ (თ. რაზიკაშვილი, ხლაძრები, 247).

კარი და ბანი არ დაშიგდო ჰრდ. კარიდანაც მოდიოდა (რისამე სათხოვნელად) და ბანიდანაც ჩამომძახოდა. სვც. არც დღე მისვენებდა და აღარც ღამე, ერთთავად მაწუხებდა, ცვირპირს მაჭამდა, კალთებს მაგლეჯდა თხოვნით. „უფრო პატარა იყო (ილა), როცა მოვდელი მეხვეწებოდა, — დამიყენე მოჯამაგირეთო. ციმფამ კარი და ბანი არ დამიგდო“ (გულანია, ბნელო, 25); „ამიტომ, გაიგოთუ არა, დიკვან მიხას ვეი საშლედლო არისო, კარი და ბანი აღარ დაუგდო“ (ვენ. მენტეშაშვილი, ივ., 1903, № 252).

მიწურში მცხოვრებს ორი მხრით შეიძლება გარედან მოსულნი დალაპარაკებოდნენ: კარიდან, რომელი ერთი-ლა ჰქონდა მიწურს წინიდან, და იმავე მიწურის ბანიდან, მის საკვამლე და სასინათლე ერდოს საშულდებით. მთხოველს თუ კარი დაუხვდებოდა დაკეტილი, შიგნით მყოფთ ერდოდან ჩამოსძახებდა და შეატყობინებდა თავის გაჭირვებას.

ითქმის კაცზე, ვინც თავის მოყვასს ყოველ ნაბიჯზე, ალაგსა თუ ულაგოზე, დროზე თუ უდროოდ არ ასვენებს, თავს აბებრებს თხოვნით, თავგადაკვლით ცდილობს მოყვასს, ამ უკანასკნელის სურვილის წინააღმდეგ, გააკეთებინოს ესა თუ ის საქმე.

კარი დაკეტილია, კარი დახშულია ჰრდ. შესასვლელი დახშულია. სვც. შესვლა არ შეიძლება; უარია, ძნელია, ხელმიუწვდომელია. „აქ ხსენებული ფაქტი ამტკიცებს, რომ მიწათმოქმედთათვის კარი (ბანკისა) არამც თუ დაკეტილია, ღია არის“ (ილ. ჰავაჯაძე, V, 357); „თქვენთვის (მებატონეებისათვის) ეხლა სიმართლის კარი დახშულიაო; რაც არიან ეხლა, გლეხები არიანო“ (ილ. ჰავაჯაძე, II, 271).

კარიშავალი ჰრდ. ვინც სხვათა ოჯახებს კარდაკარ ჩამოუვლის. სვც. გაჭირვებულთ, ღარიბთ, უქონელებს სხვის იმედით მყოფი. მვლ., „შენი ეგობარი ნამდვილი კარიშავალია! მართალია, გაჭირვებულია, მაგრამ არც ეგრე თავის დამცირება ვარჯა“.

კარის გამოხურვა (ვისთვისმე) ჰრდ. კარის მიკეტვა. სვც. შეუშველობა, მეზობლობის შეკვრა, ვისთანმე ურთიერთობის შეწყვეტა, ბოიკოტი, უმზრახობა; აკრძალვა შემოსელისა. „სენი მერე პეტრესაც გადაედო და ცეცხლი მიედო მთელ ოჯახს, დანიწვა და დიდადა, ცოცხლად დასამარხი ვახდა, სოფელმა კარი გამოუხურა, მეზობლობა შეუქრა და თითქმის შეაჩვენა“ (მ. ვახაშვილი, რჩეული ნაწერები, 377).

კარის გაღება (ვისთვისმე) ჰრდ. კარი დახშული რომ არ იყოს. სვც. შინ შეშვება (ვისიმე) სტუმრად, დაშინაურება, დაახლოება, თავისად მიჩინება, გამაპსინძლება, პატივისცემა, სიამ-ტკბილობით დახვეწება. „აბა, „Новое Обозрение“-კი იქნებოდა და ამ ცოცხალ-ცოცხალ ტყუილის მთქმელს ორსავე კარს არ გაუღებდა“ (ილ. ჰავაჯაძე, V, 75); „ის სახლში როგორ მივიღო, როგორ გაეუღლო კარი ა?“ (ვა. ფ. ვეჯა, III, 286); „პეტრე პაძე რა გვარის კაცი იყო, ან რა ხარისხისა, არ ვიცი, პირველში იჩვენებოდა ხალხს დარბაისელ კაცად: ამიტომ ყველამ კარი გაუღო“ (ლ. არდახიანი, 77); „ნეტავი ჩემი სასახლე მალა მთაზედა ამეგო, გამეუღელ და გამომეღელისთვის დღე-ყოველ კარი გამეღო“ (ხალხური).

იგულისხმება, რომ სახლის კარი საერთოდ მიხურულია და ყველას — მტერს თუ მოყვარეს — განუჩრჩველად, სახლში თავისუფლად, შესაძინდლის უკითხავად შესვლა არ შეუძლია. მასპინძლისათვის სასურველ სტუმრად უნდა ითვლებოდეს კაცი, რომ პირველმა მერარეს კარი გაუღოს, შიგ შეუშვას სიამ-ტკბილობით დასახვედრად, გამაპსინძლებლად, პატივსაცემად.

კარის (კარების) დარაკუნება ჰრდ. ხელით ან-სხვა რაიმე მაგარი ნივთით კარზე დარტყმა. სვც. ჩვენდა უნებურად, უკითხავად მოსვლა, მოუ-



ლოდნელად სტუმრება ვისიმე. „ამოვიდა ალიონიც. ღამემ დღეს კარი დაუჩუქუნა“ (ილ. ჭავჭავაძე, III, 63); „ხამთარი რომ კარებს და გვიქაქუნებს, რა პასუხი გავცეთ?“ (ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, 19).

კარისკარად ხიარული პრ. კარდაკარ მიდგომა სახლებში. სტვ. ყველგან სიარული, ყველას ნახვა. „კარგსა შეუღლეს დავებებ, დავდივარ კარისკარადა!“ (პ. უმიჯნაშვილი, I, 316). შტ. კარიმავალი.

კარის შეყრა პრ. კარის ჩამოკიდება. სტვ. უშიშარყოფა, გამაგრება, მტრისათვის შეუვალობა. „ქახეთს კარგა განვამაგრებ, შემოგზულდავ, კარს შევიყრი“ (დ. გურამიშვილი, 46).

ყოველ შენობას, სადაც ადამიანი ცხოვრობს, ან სადაც ამ ადამიანის ქონება ინახება, უმეველად კარი უნდა ჰქონდეს ჩამოკიდებული, შეყრილი როგორც შესასვლელ-გამოსასვლელად, ისე სრულიად დასაკეტავად, რომ გარეშემო ხელი არ მიუწვდეთ პატრონის ნებადაურთველად შესვლისა და დაპატრონებისათვის. ხოლო როცა ვინმე იტყვის: კარი შევიყარე, უნდა ვიცოდეთ, რომ ამისი მთქმელი გამაგრებულია, მტრისა და საერთოდ გარეშესაგან უშიშარ უქმნია როგორც თავი თავისი, ისე თავისი ავლადიდება.

კარის ძირში გვიდგია ვინმე პრ. კარის გვერდით გვიდგას ვინმე. სტვ. სულ ახლოსაა ვინმე ჩვენზე, ჩვენს გვერდითაა; აქვეა. „მაგაზედ ადვილი რა არის, თუ კი ეშველება რამე. მაინც აქვე, კარის ძირში გვიდგია (კიკოლაანთ მიაა)“ (ან. ერისთავ-ხიშტარია, I, 232).

კარი შინ შემოსასვლელი ნაწილია ადამიანის ბინისა. ამ კარის ძირში მდგარ კაცს ზღრუბლზე ფეხის გადაბიჯების მეტი არა უნდა რა, რომ შიგ სახლში შემოვიდეს. მაშასადამე, იგულისხმება: ვინც კარის ძირთან დგას და შიგ შესვლა უნდა, გასასვლელი მანძილი სულ არა აქვს, ადვილად და სწრაფად ეწევა სურვილს.

კარი ღიაა პრ. დაკეტილი არ არის. სტვ. შესვლა თავისუფლად შეიძლება, დამშლელი არაფერია, მენს ნებაზე შეიძლება შეხვიდე. „უფრო სამწუხაროც არა არის, რომ ამ საქციელის მომქმედსა კარი ღია აქვს ჩვენს ჟურნალ-

გაზეთებში და აქაო და კარი ღია არისო, ვისაც რა მოხედება, არახუნებს მოშლილ წისქვილივით“ (ილ. ჭავჭავაძე, VI, 226); „აქ სხენებული დავქტი ამტკიცებს, რომ მიწათმოქმედებისათვის კარი ბანჯისა არამცთუ დაკეტილია, ღია არის“ (ილ. ჭავჭავაძე, VI, 357); „მეფეთაგან სამს იღეწიან გლობაქნი: კარსა ღიასსა, თხოვნისა ბოძებასა და სიხარულით წარვლენასა“ (საბა ორბელიანი, 57).

კაროუნა პრ. სოფლელი ქალის სახელი იმერეთში. სტვ. სოფელი, ტლანქი. გამოუთვლილი ქალი.

კაროუნა გმირი ქალია დ. კლდია-შვილის კომედიისა: „ღარისბანის გასაქირი“.

კარს უკანა ფელომა პრ. კარის მოფარებით ფელომა სახლში. სტვ. მგლოვი-არობა. ზგო, „რაც შარშან საწყალი ჩემი კაცი მოჰიკვდა, იმას აქეთია, კარს უკანა ვზივარ“.

ქველად დედაკაცი რომ დაქვრივდებოდა, კარს უკანა ფედებოდა, რომ არავის დანახებოდა, ან კიდევ კერას აღარა შორდებოდა. მაშასადამე, ეს იყო მისგან გარდაცვალებული ქმრის გლოვის ნიშანი.

კარლია პრ. შენობა თუ ციხე ვალეზული. მიუხეობავი რომ იყოს. სტვ. დაუფარავი. სიმტკიცემოკლებული; უპატრონოდ დატოვებული, დაუცველი, მტრისათვის ადვილად შესასვლელი, ხელმისაწვდომი. „ვამ, ჩემო ყოფნაჲ, სიცოცხლევ, სამეთო ღარხა კარლია“ (ვაჟა-ფშაველა, III, 137).

კარში გამოსავლის დაღვევა პრ. კარიდან გამოსვლის საშუალების წართმევა. სტვ. შევიწროვება. თავისუფლების წართმევა; შეზოკვა. შერცხვენა. „ბაბა, ვინც კი მიჯია და გაპბიდავს! ასე ვავუხადო საქმე, რომ კარში გამოსავალი დავუღლო. ჩემს უნებურად ხელი მტაცოს. აფსუსს, სერეგენიაა-ქალო!“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 269).

კარჩაკეტილ პრ. ვინც კარიდან გარეთ არ გამოდის, შიგაა მომწყვდებული. სტვ. განკერძობებული, დამალული, დაფარული, მორიდებული, უკარგებელი. „თუმცა ყოფილი ეს კარჩაკეტილი იყო, ხმაიმოუღებელი, დაქსაქსული, აქა-იქა ცალ-ცალკე ბეუტივდა, მაგრამ არ შეიძლება თავისი

საქმე კი არ ეკეთებინა, თავისი ნასკვი არ გამოენახავა და იდრე თუ გვიან არ წამოეყენებინა ცხოვრებისათვის გამოსახსნელად“ (ილ. პავლეაძე, IV, 267).

კარწინ პრდ. კარის წინა მხარეს. ზღვიკავე, ახლოს, ხელმისაწვდომ ალაგას. „რაც შეძლებული სიმზობაა, სულ ქალაქში მცხოვრებია, მაშასადამე, გიმნაზია, კარწინა აქვსთ“ (ილ. პავლეაძე, VII, 291).

კატა მოუკვდებდა ხელში პრდ. მის ხელში კატაც კი ვერ გასდლებს შიმშილით. ზვე. მეტისმეტი ღარიბია, საქმელი იმდენიც არა აქვს, კატას ეყოს. „(გლებებს) ახლა არა თუ კატა მოუკვდებდათ ხელში, პირიქით, თავზე კაკალსაც გვიმტვრევენ (თავადებს)“ (ნ. აზიანი). შერ. „კატაც ვერ გაძლებს მის ოჯახში“.

ცხოველებში კატა ცნობილია, როგორც ყველაზე ნაკლებად ჰქონილი. ამ თქმის თანახმად, ვისაც კატის შენახვაც არ შეუძლია, მართლაც რომ ძალზე გაჭირვებულად უნდა ჩაითვალოს.

კატაც ვერ გაძლება მის ოჯახში პრდ. მის ოჯახში კატის გასაძლიმი, საწყაოთი საქმელიც კი არ არის. ზვე. ძალზე ღარიბია, გაჭირვებული, უქონელი, ულუქმპაუროდ დარჩენილი. „ყოველ დღე ლობიო? დღეს უქმე დღეა და ჩვენ ოჯახში კი კატაც ვერ გაძლება!“ (რაფ. ერისთავი, IV, 173).

კატის დაკიდება პრდ. კატის ჩამოკიდება ხეზე. ზვე. წყვენი, შეჩვენება, შერცხვენა; ფიცი. „...ქალის ნათესავები მოიკვეთენ თესლ-ჯილაგის შემბლაღას ქალს, „კატას დაუჭიდებენ“ — დაურჩობენ იმას, ვინც სახლში გაატარებს ნათესავთაგანი ქალს ან იმის ქმარს: „ეს კატა იყოს იმის მკედრისადა, ვინც შენ სახლში შემოგვტოვოს, ან შენი ქმარი იმაკეთოს!“ (ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წიგნობები, 136).

კატის დაკიდების ჩვეულება ხევსურეთშია დარჩენილი, როგორც ამას ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს თავის „ეთნოგრაფიულ წერილებში“. კატა აქ ითვლება უწმინდურ ცხოველად და სასხვერულოდ, შესაწირავად, გამოუსადეგარად. ხევსურები ამ ცხოველის დაკიდებას ორ შემთხვევაში მიმართავენ: როცა ვისმე დანაშაულს რასმე

აბრალებენ და ბრალდებულად ცხდლობს თავი იმართლოს საზოგადოების წინაშე: აიყვანს კატას, დასაბრჩობად ხეზე დაჰკიდებს და იტყვის: თუ დანაშავე ვიყო, ეს კატა დააკვდეს ჩემს მიცვალებულსაო. მიცვალებულისთვისაც ამზე დიდი უბედურება არაფერია. თუ მოფიცარი სტყუის, მიცვალებულის სულს სულეთში არ გაუხარია, წაწყმედა არ ასცდება. გეორგ შემთხვევაა, როცა დასწყველიან, შეაჩვენებენ ვისმე. დასაწყველს დაუჭიდებენ კატას, ე. ი. მიცვალებულის მსხვერპლად კატა იყოსო.

სამეგრელოშიაც არის ამ ჩვეულების მსგავსი. მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ მეორმოცე დღეს საკლავს დაკლავენ და ნაცნობ-მეგობრებს გაუმასპინძლებიან. ამას ჰქვია გეყვილიაფა — თავზე დაკვლა, ხოლო თვითონ საკლავს ვიოყვილარი — თავზე დასაკლავი. უნდა ვიგულისხმეთ, რომ წინათ საკლავი იველია ზედ საფლავზე, უშუალოდ, მიცვალებულის სულის შესაწირავად, საოხად.

ძალი და კატა უწმინდურ ცხოველებად ითვლებოდნენ, რამდენადაც ქართველი მათ ხორცს არა სჭამს, და, მაშასადამე, მათი ხმარება თავზე დასაკლავად, შესაწირავად, მსხვერპლად არ შეიძლება. როცა უნდათ მიცვალებულის სული დასწყველონ, ავიზონ, იტყვიან: ძალი და კატა დააკვდა მავანსო (საფლავზე). ისიც საგულეებელია, რომ დანაშაულისათვის პასუხის საგებინებლად მისი მიცვალებულის საფლავზე კატა ან ძალი დაიკვლოდა.

ხევსურეთში როცა უნდათ ვისმე წაყვედრონ რამე ან შეურაცხყოფა მიაყენონ, მოკლენ მოუქოიან: „ციცა (კატა) ჩამოგირჩეს, შენ რა უნდა მოგკითხოს კაცმაო!“

კატისნათრევი, კატების ნათრევი პრდ. ვინც არ რაც კატას პირში სდებია და ისე უთრევია იქით-აქით. ზვე. ვამხდარი, გასაცოდავებული, დამხვრჩალის სახისა; უშნო, უღამაზო. „კატების ნათრევის დადგმავსა საწყალი გოგო, — დაურთო მესაემე, — საღლა, შეილოსან, ხუმრობა და ეშმაკობა!“ (ნ. ლომოური, მოთხრობები, 69).

კატორა პრდ. ძველებური სავაჭრო ანდა სოომარი გემი საბერძნეთში. ზვე.

დიდი და განუწყვეტელი მუშაობა, წვალება, ჯახიანი.

ეს სიტყვა ბერძნულია (კატერგონ) და ნიშნავს ძველებურ ნაგს, მოგრძოსა და დაბალერდოიანს, რომელიც მიჰყავდით იალქანით ან ხოპებით. ირალიურად ერქვა ვალერა. დამნაშავეთ მიწსჯილენ ამ კატორგას ანუ ვალერაში ჯდომას ხოპების მომსმელად. ეს სიტყვა შემდეგ იხმარებოდა იძულებითი სამუშაოს აღსანიშნავად, ხოლო სურათ-ხატოვანიად ნიშნავს გაწყვლებულ ცხოვრებას, მეტად მიძიმე ხელობას, ადგილს, საცა აღამიანი მერისმეტ უბედურად გრძნობს თავს. მაგალითთა, მეფის დროის რუსეთში ოქროს მადნებში იძულებითი მუშაობა ციმბირში (მდ. ლენაზე).

კაცთა გარეგანი ჰრდ. აღამიანთა გარეშე მდგარი. ზგვ. ნაძირალა, ყოვლად საზიზღარი, აღამიანობისა რომ არაფერი ისცხია. (იგი) განხორციელებული ტარტაროზი, წყეული სულია, რომელიც ისე დაღვეს აღამიანის სისხლს, როგორც წმიდა ზიარებას; ისე დაჰკლავს ზავშვს, უსუსურ ზავშვს, აკვანში, როგორც კრავსა. იგი მხეცია, არაკაცია, კაცთა გარეგანი ა" (ს. მგალობლიშვილი, II, 172).

კაცთარამსგავსი ჰრდ. ვინც კაცთ, აღამიანთა არა ჰგვანან, ზგვ. უხნეო, ბოროტი, აკვაცი, ყოველგვარი აღამიანურ ღირსებას მოკლებული, უქეთური. "დაცეოთოთ კაცთარამსგავსებზე ლაპარაკი, — თქვენი ჭირიმიე, — მარიამ სადა ბრძანდება, — ჰკითხა ბარბარემ აღექსანდრას" (ლ. არდაზიანი, მორჩილი, 133): "საქდებოდა კაცთარამსგავსი: საამი ახლო იყო, ძალიან ახლო" (გ. ბარნოვი, ტფილისის აზრდილები, 191).

კაცი ჰრდ. აღამიანი მამრი. ზგვ. საზოგადო ღირსეული, საზოგადოებისათვის სასარგებლო, ყველასაგან პატივცემული, გულადი და ყოველგვარი სიკეთით შექმული აღამიანი. "იმისი (ქმრის) ზარიანი ხმა რომ ყურს მომხვდებოდა, გული გადამიტრიალდებოდა სიხარულით; ჭირიცა და ლხინიც სულ სიმღერითა და გალობით იცოდა. კაცი იყო, კაცი!.. ვენაცვალე მის ჩრდილს!" (ილ. ჰგვაძე, III, 45); "ამირჩიეს: წადი, რა ვუყოთ, გაგროზგონ... მოითმინე, მო-

იჭირვე, მიეჩვიე და ბოლოს კაცი გამოხეალ" (აკაკი, I, 45); "ან სრულიად დავიღუბები, ჩემ საჩო-საბადლებლსაც დავღუპავ სადმე და მეც თან მიღვები; ან კაცი უნდა გავხდე; ჩაგულდე მაგათ კრიჰაში და მაგათ პარამზობას ბოლო მოველო" (მელანია); "ვინც რომ კაცია, ჩოხა — ჯაჭვია, ქუდი ნაბდისა — ჩაბალახია" (მალხუი).

კაცია და გუნება ჰრდ. ზოგნაირი კაცია და ზოგნაირი გუნებაა. ზგვ. ყველა აღამიანს თავისი გემოვნება აქვს, ზოგს რა მოსწონს და ზოგს რა. "არც ის გამიკვირდება, რომ მან სთქვას კიდევ — ეგ თქვენი ურმული მხოლოდ უხემ სმენას თუ დაატკობს. შეიძლება არცა სტყუოდეს. კაცია და გუნება..." (ილ. ზღვთთერაძე, გაროზილი, 90).

"კაცია და გუნებაო, თორემ ბებერს რა ეზრავუნებო" — ნათქვამია თავქეთია კაცზე, რომლის ხასიათი და გემოვნება უცნაურობით ხასიათდება და ჩვეულებრივი აღამიანისას სრულებით არა ჰგავს.

კაცი ის არის და ქუდიც იმასა ზურავს ჰრდ. მამაკაცია და თავსაც ქუდი უფარავს. ზგვ. ისეთი აღამიანია, რომ ღირსება ქულის ტარებისა, ნამდვილი ვაქკაცია; ღირსეულია ყველაფრით. "კაცი ის არის და ქუდიც იმასა ჰხურავს, ვინც ჭირშიაც და ლხინშიაც თავისზე უწინ სხვას მიჰხედავს" (ლ. მაჩანელი, ძმური სიტყვა, 21); "ბებერი სიკეთე უნდა დაეთესოს კაცსა, რომელსაც ეგრე სიყვარული გარს არტყია ხალხი, კაცი ის არის შენი ჭირიმიე, და ქუდიც იმასა ჰხურავს" (ილ. ჰგვაძე, II, 53). შრდ. ქუდი არა გვხურვია.

კაცის თვალი იმას უკეთესს ვერა ნახავს ჰრდ. კაცს არ შეუძლია თვალით იმისი მჯობნი დაინახოს ზგვ. მეტად კარგია, ძალიან ლამაზია, მშვენიერი.

კაცის თვალის გაუძლომლობა ყურებით ჰრდ. კაცის თვალი რომ დაკამყოფილება ცქერით. ზგვ. სულ უნდა უუროს რასმე, მეტად მშვენიერია. "ქმსოს ყვავილების ბალი, გვემაზედ გაკეთებული, მოირთო, მოიკაზმა. ისე გაჰლამაზდა წითლად მიხეველ-მოხვეული გზებითა, ყვავილების ფერადი-



თა, რომ კაცის თვალი ვერ გაძღებოდა“ (ილ. პავლევიძე, III, 90).

კაცის მოღონა პრლ. კაცის სხეულის დაღონება, სითხედ ქცევა. სტვ. მოკვლა, მსხვერპლად შეწირვა, სიცოცხლის წართმევა. „გლეხკაცობამ ზოგმა მოუწონა დი-ძმის ამისთანა თავმდაბლობა და „გაპატიოსნება“ მიცვალეზღულისა. ზოგი კი იძახდა: „კაცი მთიდნეს და ქვეყანას ამით უბმენ თვალსაო“ (ილ. პავლევიძე, III, 107).

კაცის ცოდვაში ჩადგომა სტვ. ბოროტის ქმნა, დაშავება ვისთვისმე. „არ დაირჩოს-კი, ე დაიხილი, და კაცის ცოდვაში არ ჩაეღგე“ — სთქვა დარეჯანმა და გაიქცა მისასველებლად“ (ვეფა-ფშაველა, V, 49).

კაციც არის და კაციც პრლ. ერთი კაციც არსებობს და მეორეცა. სტვ. კაცსა და კაცს შორის განსხვავებაა, ყველა კაცი ერთნაირი არ არის.

კაციც ვართ პრლ. ადამის შეილები ვართ. სტვ. შეიძლება ყველაფერი დაგვემართოს. კარგიცა და ავიცა, ბევრ რაშიმე შევცდეთ, სძირახი რამ ჩაივინოთ, სიკვდილი არ აგვცდებია, დღეს რომ ცოცხლები ვართ, ზვალ შეიძლება დავიმოცნეთ. „...რა ვიცი, კაციც ვართ, ადამიანი უხანო ენძელაა, სიკვდილი ყურს უქან გვიზის“ (დ მაჩხანელი, „ივ.“, 1697, № 88).

ხუმრობითი თქმაა, მოსაბოროდებლად, სირცხვილის მოსაწმენდად ვისიმე შეცდომისა, ნაკლულივანებრსა თუ სიბეჩავისა.

კაცობა პრლ. ადამიანობა. სტვ. სინდისიანობა, ვეჯაკობა, პატიოსნება, გულადობა, საზოგადოების სასარგებლო წევრად ყოფნა, მოყვასისათვის თავდადებულობა, სიკეთე, სათნოება; სქესობრივი ღონე, პოტენცია. „არა, მე ეხლა რომ მაგონდება იმისი (მღვდლის) საქმეები, მგონია, რომ ცილამ იყო ჩამოსული, რომ კაცს ქვეყანაზე აჩვენოს კაცობა“ (ილ. პავლევიძე, II, 64); — შენ გეუბნები, ჩემთან მოდი-მეთქი: მე ვიცი და ჩემმა კაცობამ, როგორ წამოგაყენებ ფიზზე“ (მელანიძე, ნავარდობა).

კაცს პური არ ეჭმევა (ვისთანმე) პრლ. იმასთან ერთად კაცს არ შეუძლია პური სჭამოს. სტვ. საზიზღარი, გულის ამრევი. „მე ისეთი ცოლი მყავს,

რომ ქრისტიან კაცს პური არ ეჭმევა იმასთან და დახეთ იმ მთიულს, როგორი ლამაზი ცოლი ჰყავსო! — (თ. რაზივაშვილი, ზღაპრები, 40).

კაცური კაცი პრლ. ადამიანის მსგავსი კაცი. სტვ. ვაჟკაცი, გულადი, რიგიანი, ყოველს ღირსებით სავსე.

კაჭკაჭი პრლ. ბელუჩათა ოჯახის ფრინველი, რომელიც ჭია-ღუთი, მარცვლებითა და ხილით ცხოვრობს. სტვ. ლაქლაჭი, ყბედი კაცი, ვინც ბევრს ლაპარაკობს. „ამხიარი კაცი (უაზროდ მოლაპარაკე) — კაჭკაჭია და არა ქეშმარიტი წარმომადგენელი მის მიერ ქალებულის აზრისა“ (ილ. პავლევიძე, VII, 286).

კაჭკაჭს დაჩხავლებს პრლ. კაჭკაჭსაც კი ჩხავილის გუნებაზე დააყენებს. სტვ. ღვინო მეტად მკავევა.

ეს ითქმის ნაკლებღირსებიან, მომეფეო ღვინოზე. ვითომ კაჭკაჭიც კი დაიწუნებსო, ადამიანს პირში არ ჩაეშვებაო!

კბენა პრლ. კბილებით გაპრა სხეულის რომელიმე ნაწილისა. სტვ. დაცინვა, გაბრაზება, შერცხვენა, გულის მოყვანიება. მგლ., „იმ საღამოს კაკატომ ვერ მოისვენა, ჭალი არ ვადარჩენია, რომ არ ეკბინა“.

კბილების გაშინჯვა პრლ. კბილების დათვალერება. სტვ. შეფასება, ღირსება-ნაკლოვანების აწონ-დაწონვა. „წმინდა ქართულს ჯერ-ჯერობით საგულისხმოდ ეს ვაქმაროთ და წმინდა ქართულობის კბილი ახლა გაზეთს ვაგუშოინჯოთ“ („მოამბე“, 1903, № 4, 31).

შინაური საქონლის (ცხენის, ძროხა-ხარის) ხნოვანობის შესატყუადად სინჯავენ ხოლმე კბილებს. აქედან, გადატანით, როცა გვინდა რაიმე საქმე ვავაკრიტიკოთ, შევამოწმოთ, ვაზობთ: კბილები ვაგუშოინჯოთო...

კბილების დაკრევა პრლ. ზედა და ქვედა ტუჩების აწვე-დაწვევა და კბილების გამოჩენა. სტვ. თხოვნა, ხეწნა, თავის შებრალება. „ხელმწიფის შეიღმა ყველა უაზბო, რაც მოხდა. დაუკრიპეს კბილები დევებმა ხელმწიფის შვილს, მაგრამ დედაბრის შვილმა უთხრა დევებს: მე წავალ იმ დევის მოსაძებნელად, და ხელმწიფის შვილს აქ დაგივლებთ“ (თ. რაზივაშვილი, ზღაპრები, I, 124).



კბილების კრაპუნია ის კბილების ღრუკენა.

კბილების ღრუკენა (ვიხედმე) ჰრდ. კბილების გაძაბვა, მკრელად, ფხიანად გადაქცევა კბილებისა. სტვ. გაბრაზება, საჩხუბრად მომზადება, მზადყოფნა ვისთვისმე ზიანის მისაყენებლად. „მგონი ჩვენზე კბილებს ილესავს, რომ გიული წყალზე გაგზავნეთ!.. — ცოტა სიჩუმის შემდეგ იეთარი მოუბრუნდა ქერბალაის და მიტროს“ (შ. არაგვისპირელი, რჩეული ნაწერები, 39).

როცა გვინდა რაიმე მკრელ იარაღს ფხა ავუსხათ, უფრო უკეთესად გამოიყენოთ, უნდა კარგად ვაგულვსოთ. ამის მისვავსებით ვამბობთ — კბილებს ილესავს კაციო. როცა გულმოსულია, კბილებს აღჭრიალებს და ვიხედმე საცემრად მიიწევს. კბილები ადამიანის პირველყოფილ საჭრელ და მტრის მოსაგერიებელ იარაღად ითვლებოდა. ცხოველთათვის კბილები დღესაც ერთადერთი საჭრელი და მტერთან საბრძოლველი იარაღია.

კბილების ღრუკენა ჰრდ. ზედა და ქვედა ყბების კბილების ერთმანეთზე წასმა ხშირად. სტვ. მუქარა, წყარობა, დაქანება შურისძიებისა, ბრაზობა, ზიზღი, შიში, სიწყარე. „შორიდან ბარელამც გულს იმჯილავენ, მუქარას მითვლიან, კბილებს მილრქვენ, მაგრამ რას გახდებოდნენ?!“ (ვახა-ფშაველა, V, 59).

კბილების ჩამტვრევა ჰრდ. კბილები კბილბუდეებში რომ არ გაუჩერო მოწინააღმდეგეს. სტვ. დამარცხება, ჯობნა, მორევნა. „სამაჩაბლოში, კვეხისსა, ლეკებს ჩაამტვრევს კბილებსა“ (რაფ. ერისთავი, II, 7).

კბილებს ამოგაძრბ ჰრდ. კბილებს ამოგაცილი ყბებიდან. სტვ. გავნება, გაზარალებ, დაგამარცხებ, ცუდს დღეს დაგაყენებ, უტემრად არ ვადაშირჩებ.

კბილებს იყრევინებს ჰრდ. თავის კბილებს თვითონვე იშორებს ყბებიდან. სტვ. ძალიან ვეგრობს, ბრაზობს. „მაგრამ მართა კბილებს იყრევინებ და ჯაერისაგან, — ეგრე მიუროტავს მოშლილი მისწვილივით... როგორ თუ კოლა მისწავლობდნადნაც მშრალზე დასვესო?!“ (გვ. მენთეშაველი, „ივ“, 1903, № 255).

კბილებში გაუჯდა ჰრდ. კბილები გა-

ველენთა. სტვ. გაუტბრა, მოეწონა, ემა.

კბილებში ოფლი ადინა ჰრდ. კბილები გაუოფლიანა. სტვ. ცუდი ოფლი დაყენა, საქმე გაუჭირა, დააზიანა, სტემა, უმტრო, მგლ. „ისე გამიჭირა საქმე, რომ სულ კბილებში ოფლი მაღინა“.

არავის სმენია, რომ საღმა კბილებმა გამოჰყოს რაიმე და ისიც ოფლი! რა თქმა უნდა, გაზვიადებული თქმაა, გამომხატველი ადამიანის უზომოდ გაჭირებული მდგომარეობისა, როცა შეუძლებელიც კი შეიძლება დაემართოს კაცს, თუ გინდა ისეთი საქმე, როგორიცაა, მაგალითად, ოფლის მოღენა კბილებში.

კბილზე მოგდება ის კბილის ჩაქედება.

კბილის ვაკვრა ჰრდ. კბილის ოდნე მოეჭრა. სტვ. ვნების მიყენება, ნოდომება დაზარალებისა. „თვითონ თქვენ, უფალო მენობათვე, არა სწერთ, რომ ქართველია ლაქობაში იქნება ქალებს პატარა კბილიც ვამქრასო!“ (რაფ. ერისთავი, III, 171).

კბილი მოეჭრა ჩემს იმედს ჰრდ. რაიმეს დაპატრონების ანდა ვაკეთების იმედი კბილმოჭრილი დარჩა. სტვ. იმედი გამიკრუვდა, უიმედო შევიქვენ, მგლ. „უფიქრობდი, ჩემი საქმე კარგად წავიშეთო, მაგრამ, ამ ჩემს იმედს კბილი მოეჭრა“.

ადამიანს კბილებს სჭრის, ღროვით უჩლუნგებს, ლეკვის უნარს ართმევს მწკლარტე რისამე, განსაკუთრებით უმწიფარი ტყემლისა, მწვინლისა ან ბროწიულის ჭამა. იმედი-კი წარმოუდგენელია, როგორც კბილებიანი. დღევანდის უნარიანი რამ. და რადგან ამა თუ იმ მებარი საქმლის კარგად და ადვილად მონელებისათვის საქროს მისი კარგად დაღეკვა, ხოლო ლეკვის აპარატის მუშაობა-კი შეჩერებულია, იმედის კაცისა ამა თუ იმ საქმის ვაკეთების დროს ფრთებმეკვეცილი რჩება. და აი, იმედის კბილის მოჭრაც ამიტომ გადაქციულა მარცხისა და გაუმარჯვებელობის სინონიმად.

კბილის გამომჩხრეკავი, გამომჩხრეკელი ჰრდ. კბილის გამოსინჯავი, დამთვლიერებული. სტვ. ამა თუ იმ მოქმედების დამწუნებელი, კრიტიკოსი,

სიაგვარგის შემტყობი, ნამდვილი ამბის გამგები. „სოფლის-ჰამია ბობოლენის კირივით ეჯარებათ კბილის გამომჩხრეკაეი. ნასწავლი მამასახლისები რომ დაეყენოთ, სოფელს ველარ გამოვხრათ ჩვენს ქეიფსო“ (იგ., 1894, № 21); „აჲე, მადლობა შენთვისა, უფალო! რამდენი ღვთის გამარისხებელი უსამართლობა ტრიალებს უსამართლო ხალხში და კბილის გამომჩხრეკელი და მთქმელი რომ აღარავინ არის. დღესაც ჩაილურის წყალსა ჰსევამს“ (დ. მახანელი, ძმური სიტყვა, 93).

კბილის გახინჯვა ჰრდ. კბილის დათვლიერება. ზგვ. შეფასება, ავკარგის გაგება, ღირსება-ნაკლოვანების შეცოცხება. „ხნიერია, მაგრამ ჰარმაგია და მხნე! რა უშავს! რამდენია ამისთანა მაგალითი! ესეც არ იყოს. სასიძო უბრალო ვინმე ხომ არ არის, რომ კბილი უშინჯონ“ (ვ ბარნოვი, სამი რომანი, 51); „ამით მეგობრებს თვალეში მტვერი შეაყარა, თვალეში აუბნია და შეიძლება აღარ მისცა კბილები გაეხინჯათ ამ მოლაღობისათვის“ (ს. მგალობლიშვილი, I, 53); „ნაჩუქარ ცხენს კბილები არ გაეშინჯვისო“ (ხალხური).

როცა შინაურ საქონელს (ხარს, ძროხას, ცხენს) ყიდულობენ, კბილებს უსინჯავენ ხნოვანების შესატყობად. აქედან წარმოიშვა ეს თქმაც, როცა რაიმე საგნის ანდა ადამიანის ღირსების შეტყობა სწადიათ.

კბილის დაკარება (რახედმე) ჰრდ. კბილის მოხედრება. ზგვ. ოდნავ ქამა, ძლიერ შედგომა ქამად. მგლ., „ავად რომ ვიყავ, ძთელი ერთი კვირა საქმელისათვის კბილი არ დამიკარებია“.

კბილის მატლი ჰრდ. გაფუჭებულ კბილში გაჩენილი მატლი. ზგვ. მეტისმეტად მწვალებელი, მტანჯველი.

კბილის მოცეხვა ჰრდ. უკბილოდ დარჩენა. ზგვ. დასუსტება, ღონის გამოცლა, მტრისათვის წინააღმდეგობის გაუყვეის უნარის შესუსტება. „ამ ჩაკეთხვამ, ცოტა არ იყო, კბილი მოსტეხა, შეაჩერა ტატე“ (ს. მგალობლიშვილი, I, 215).

კბილის მოჭრა (სხვისათვის) ჰრდ. ვისთვისმე კბილის ნაწილის მოშორება მკრელი იარაღით, კბილის გაღიზი-

ანება ტყემლით, ღიმონით და სხვ. ზგვ. მტკიცე საბუთის წაყენება, გაჩუბება, სამაგვიროს თქმის ღონის წართევა; მობერება, გაანხლება ალღეგება, დაუძლურება. „ბევრჯელ იმათ კარის მეზობელ თომას-თაგვის ვალბას ქმართან ჩხუბს რომ მოუცილოდა, უწინ ამას წააყვედრიდა და ამით მოსკრიდა ხოლმე კბილს“ (ცეკიტი, საბავშვო მოთხარ, 199); „ორს პირველ მიზეზს კბილს მოსკრის ის, რომ, ზემოხსენებული 172 მუხლის ძალით, აწინდელი წილადობილი გლეხის გარდასახვათი ყველგან ალღე გადიკვეთს და განისაზღვრავს ადგილობრივის ჩვეულებების მიხედვითა“ (ილ. კავებაძე, VIII, 32); „უნდროს ლაპარაკში მოეკრა მისთვის (თავის ქალისათვის) კბილი; დაერწმუნებინა, რომ მისი განზრახვა ბავშვური ოცნება იყო, და ამგვარად გაეჩუმებინა“ (მელანი, ნავარდუბა).

კბილის მოჭრას ვუწოდებთ კბილის გაღიზიანებას, ძოდუნებას მუავის, მოუსვლელი ხლის ქამისაგან. კბილის მოჭრის დროს კბილს დროებით ეკარგვის სიმახელი, განღესულობა, გაშასადამე, როცა ვამბობთ: კბილი მოეჭრაო, ვგულისხმობთ, რომ კბილს ღოხე წაერთვა, სუსტი შეიქნა, დაუძლურდა.

კბილის ჩაიღება ჰრდ. კბილის მოღება ვისთვისმე ან რისთვისმე ზგვ. მიზეზის გამოძებნა, ჩაკეობა, შარი, კილოს გამოძება. გადაკიდება. „გრიგოლ პეტროვიჩი მიხვდა, მაგრამ რას იზამდა? კბილს ვერ ჩააკიდებდა, რადგანაც ორნაირად გამოთქვა აზრი (ავტ. ცაგარელმა)“ (ცხოების ფურცელი, 1902, № 1899).

კბილის ჩაიღება იხ. კბილის ჩაკიდება. **კბილი უჭრის** ჰრდ. მკრელი კბილები აქვთ. ზგვ. ქონების გამოყენება შეუძლიათ. „...თორემ ნაზუქი ყელში არც იმათ დაადგებოდით, რადგანაც ღვთის წყალობა თქვენა გაქვსო, იმათაც კარგად უჭრით კბილი და პირშიაც ნერწყვი ბლომად მოსდით სიმსუნავისაგანო“ (ილ. კავებაძე, IX, 348).

კბილმოსაჭედი ჰრდ. რასაც კბილი მოეცილება. ზგვ. საქმელი, სახიერო, ხელმისაქცევი. „არა, თუ კბილმოსაკიდი გაუჩნდა ერთსა სხვისათნა, მირბიან თავგადაგლეჯით სუღიანიჩაღნიკთანა“ (ავტ.-ფშაველა, III, 267).



კბილნაკრეჭად ყოფნა ჰრ. კბილი კბილზე რომ ექნება ადამიანს დაკერილი და ენას ალარ ამოძრავებს. სჭვ. უჩუმრად, დადუმებულად, ხმაამოუღებლად ყოფნა. „ჩვენ ერთმანეთს კბილნაკრეჭად ვართ“ (სტ. მენტეშაშვილი, კინოფური ლექსიკონი, 87).

კბილს კბილზე აცემინებს ჰრ. ზედა ყბის კბილები ქვედა ყბისაზე ეხლება. სჭვ. დიდი სიცივით.

როცა სიცივისაგან ვეძაბებებთ, ზედა ყბა ქვედა ყბას ეხლება, კბილებს რაკარუცი ვააქვთ და ვამბობთ: კბილს კბილზე აცემინებს.

კბილ ქვეშ თქმა ჰრ. კბილებს ქვევიდან ლაპარაკი ისე, რომ პირი ცოტათი იყოს გაღებული. სჭვ. ქედმილტურად, მსმენელის აგდებით, უგულოდ, გაურკვევლად ლაპარაკი. შგლ., „გულმოსული უფროსი კანცელარიის მოხელეს კბილქვეშ ელაპარაკებოდა“.

კბილ ქვეშ მოტანა (ვისიმე) ჰრ. კბილებში დაკირება ვისამე სხეულზე. სჭვ. სასაცილოდ აგდება, გამასხარავება, გაქირდება, გაკილება, გაბასრება, გაკიცხვა, ძვირის თქმა ვიზედზე. შგლ., „ისეთი საქმე დამართა, რომ ყველას კბილქვეშ მოსატანი გახდა“.

იგულისხმება, რომ ადამიანი, ვისაც ვჭირდავთ, კბილებს შორის მოეცემა, განიცდის კბილების მოჭერისაგან გამოწვეული სიმწარეს, ხოლო, გადატანით, ნიშნავს სხვათა თვითში დაკინებებს, გამასხარავებას.

კედელს ნახშირი ჰრ. კედელს ნახშირი წაუსვით! სჭვ. აღნიშნეთ დასახსომებლად ეს (რაიმე) ამბავი, კარგად დაინსომეთ, მოიგონეთ რაიმე ამბავი! „პლატონს. პლატონს ვახლავართ!.. პლატონს ვახლავართ! დარეკო, კედელს ნახშირი, ნახშირი კედელს!.. ასე უნდა, შე პატროსანო კაცო, მოყვრის მივიწყება!.. (დ. კლდიაშვილი, სამანიშვილის დედინაცვალი, 1, 27).

ძველად. როცა წერაკითხვა არ იცოდნენ, რომელიმე დასამახსოვრებელი ამბის აღსანიშნავად, ანდა დიდინის უნახავი კაცის ნახვაზე ან კიდევ ვისიმე საკვირველი მოქმედების გამოსახატავად კედელზე ნახშირს წაუსვამდნენ ხოლმე. აგრეთვე იცან: კერას ნახშირიო! ამის თქმაზე ნახ-

შირს წაუსვამდნენ კერაზე გადასაბუღულ ქვას (ფიქალს).

კედლებს ვახვით! ჰრ. სახლის კედლებს მისწი-მოსწიეთ. სჭვ. ამა თქვენ იცით, როგორ კარგად დაგვიხვდებით (სტუმრებს), სახლის კედლები გაგახხერეთ, მეტი ხალხი დაეტრია.

ამ თქმით აფრთხილებდნენ — ხუმრობით — სტუმრად მიმავალი შინდამხვდურ მასპინძლებს: ვითომ ბეგრნი მოვდივართ, უნდა გეწვიოთ და, ამა, თქვენ იცით. ისე მოახერხეთ, ყველა დავეტოოთ და კარგდაც გაგემასპინძლდეთო...

კევის ლეჭვა ჰრ. კბილების სითეთრისათვის ლეჭვა ერთგვარი მოყვითალო ფისისა. სჭვ. გაურკვევლად, უგემურად, გაუბედავად, უნდომოდ ლაპარაკი. „მისი ლაპარაკი — ერთი რაღაც უგემურად კევის ლეჭვაა. საკუთარი აზრი არაფერში არ აბადია“ (ილ. ჰავაგაძე, IX, 131); „პორტო მოქმედება მთელის თავის სახარო სხით თვალწინ დაუყენეს და ესენი კი კევის ლეჭვის მოჭყენენ, თითქო ამით უნდათ როგორმე გააქარწყლონ საქმე“ (ივ., მეთაური, 1897, № 93).

ხმელთაშუაზღვის ჯრეში იზრდება ერთი პატარა ტანის ხე, რომელიც გამოჰყოფს მასტიკას და ამიტომ მასტიკის ხეს ეძახიან. ჩვენებურად კი კევის ხე ჰქვია. ზოგიერთებს ძალიან უღატ მისი ლეჭვა — კბილებს გვითეთრებს.

როცა კაცს ეს კევი პირში უდგეს და ლეჭავს, და ამავე დროს ლაპარაკს მოინდომებს, მისი ნათქვამი გამოდის ნელი, გაქირვებული, გაუბედავი, ზღაზნია. ამიტომ, რომ „კევის ლეჭვა“ ხატოვანად დაერქვა გაუბედავს, გაუგებარს. ზღაზნით ლაპარაკს, მსმენელს გული ეღევა მის ყურისგდებაში.

კევილეჭვა ჰრ. ვინც კევის ლეჭავს. სჭვ. გაურკვევლად, უგემურად, გაუბედავად, უნდომლად, უგულოდ მოლაპარაკე, ვისაც ლაპარაკი უჭირს, საქმე არ გამოუდის ხელიდან. „ამიტომაც, თუ ზღაპარს, არაკს, ივავს აზრი არა აქვს, უგემური, უმარილოა, როგორც ოხუჯობა კევი-ლეჭვა „გზაგაღისა“, ამ „კვალის“ უგეთიკრო და ბურბუშულა დედა-ბურჯისა“ (ილ. ჰავაგაძე, IX, 272). იხ. კევის ლეჭვა.

კევრზე დგომა პრ. კევრზე გაჩერება პურის საღვწად. სტვ. მეტად ძნელი სამუშაო, შრომითი ჯანის გაგდებინება. „მე რა სიკეთე ვნახე ამ ოხერ სოფელში, რომ ეგებ აქ არ ჩავაბა, კევრზე დგომათ წელი არ მოვწყვიტო“ (ან. ერისთავ-ზოზტარია, ბედის ტრიალი, 60).

კალოზე პურის ლეწვის დროს მთავარი სამუშაოა კევრზე დგომა და დგომით წელის მოწყვეტა. მთელი დღე უნდა უტრიალო კალოს გარშემო, მზის გულზე, შეუსვენებლივ, უნდა იჩქარო, რომ სამუშაოს გათავებას მორჩე, სანამ დარი ხელს გიწყობს და კარგი დარი ავდრად არ შეცვლილა, როცა მუშაობა კალოზე შეუძლებელია ხოლმე. სოფლად სხვა სამეურნეო სამუშაო შეიძლება. დარშიაც ვაკეთო და ავდარშიაც, ვადადებაც შეიძლება მისი, ხოლო თუ ლეწვაა პურისა, იმისი შეჩერება, სხვა საქმისათვის მოცლა, არ შეიძლება, სანამ დარი დარობს. სოფლელი დღესა და ღამეს ასწორებდა კალოზე მუშაობის დროს. ამიტომაც, რომ, როცა მოცლილი ვინმე იტყვის: არა მცალა, მეჩქარებო, დაციხვით შესძახებენ: რა კალო გიბიაო?!

კევრი-ლეწვა პრ. კალოზე მუშაობისა და კევრით პურის ლეწვის დრო. სტვ. ვახურებული მუშაობის, საქმიანობის დრო, როცა უსაქმუროდ გაჩერება არ ეგების. მგლ., „ჩვენკენ ვახურებული კევრი-ლეწვაა, თავის მოფხანა რა არის, იმის დროც კი არა გვაქვს ხოლმე“. შდრ. კევრზე დგომა.

კეთილი და კარგი ღვინი! პრ. სიკეთე და სრული, უნაკლო დროსგატარება. სტვ. დალოცვა მოქვიფეთა: ხელი მოვინართოს ქვიფში ხელი არაფერმა შევიშალოთ; ძალიან კარგი; კეთილი და პატრონისანი. „ხვარამზე, აბა მითხარ, ქალო, გვიცა მართლა შენი ალალი ძმია?—ალერსინად ჰკითხა ნადიმბეგარმა. — დიახ, — მორცხვობის გაუბნდავობით უპასუხა თავბალუნულმა ხვარამზემ.— კეთილი და კარგი ღვინი! ესლა ეს მითხარ...“ (დ. მაჩხანელი, „იგ.“, 1899, № 92).

კეთილის ყურით გაიგონე! პრ. კარგად ისმინე! სტვ. მისმინე თხოვნა, შემისრულე ვედრება. „ღმერთო, კეთილის ყურით გაიგონე და შეისმინე, შენის მადლისა და სა-

ხელის ჰირიმე!“ (დ. მაჩხანელი, „იგ.“, 1903, №23, 24).

კეისრისა კეისარსა და ღმრთისა ღმერთსა პრ. რაც კეისრისაა, კეისარს მიეცით და რაც ღმრთისაა — ღმერთსა. სტვ. თავის კუთვნილი პატრონს უნდა მიეცეს. „უფლისა უფალსა და კეისრისა კეისარსაო. სახარებაში სწერია: კეისრები ჩვენა ვართ, — დაუმატა ელისაბედმა“ (ილ. კავთავაძე, II, 183).

კეისრებად იწოდებოდნენ თვით-მპყრობელი იმპერატორები ძველი რომისა. ზევით ლაპარაკია ფულზე, რომელზედაც ეხატა სურათი ერთ-ერთი რომაელი კეისრისა და რომელსაც ემყმებდებარებოდა პალესტინა.

კეკემალულობა პრ. მალულობის თამაში ბავშვებისა. სტვ. მოტყუებით კეთება საქმისა, გაიდევრობა, სიმართლისა და პირდაპირობისათვის თავისი არიდება. „საიდუმლოებით მოცულხარ, გულს ალხენ ჩემს წყევლებით, კეკემალულობას ვთამაშობთ ბნელაში და ვიმალეობთ...“ (რატ. ერისთავი, II, 75).

გოგოების სათამაშოა, რომლის დროს მოთამაშენი იმალებიან ბნელაში გარდა ერთისა. რომელსაც კეკე ჰქვია, — იგი ცდილობს დამალულები აღმოაჩინოს.

კენჭის ჩაყლაპვა, კენჭებჩაყლაპული პრ. ქვის კენჭების მუცელში მოქცევა. სტვ. საფრთხის, საშიშროების თავდალწევა, გადარჩენა. „პირიგელდ რომ ჩაგვიყვანეს (ქალაქში), კენჭები არ ჩაგვყლაპეს? — როგორ არა! სამი ისეთი კენჭი ჩაყლაპე, რომ ძლივს მოვიწეე. — აღარ დაგცადა ქალაქი? — არა. რაღას დამცდიდა, რომ კენჭებჩაყლაპული ვიყავი! რომ არ ჩამეყლაპა, მაშინ სხვა იქნებოდა“ (ილ. კავთავაძე, II, 228).

ძველად სწამდათ (ქართლ-კახეთში), რომ ვინც პირველად ქალაქში (თბილისში) ჩავიდოდა და კენჭს არ ჩაყლაპავდა. ქალაქი დაცდისო, ე. ი. იქაური ჰავა, წყალი ავად გახდისო, ხოლო კენჭებჩაყლაპულს ხიფათი ასცდებოდა.

კერა პრ. სახლის შუაგული ადგილი, სადაც ცეცხლი უნთიათ. სტვ. სახლი, ოჯახი, ბინა. „ადამიანს მისი „მე“ გაუნადგურეთ, მის საკუთარ კერა-



ზედაც ნუ მოსვენებთ. შინ შეესივნით, სჯიჯგნით და მსწწწით სულიერად და ხორციელად“ (ილ. პავლევიძე, IX, 32). „ის (აშოტი) ხომ ოცნებობდა, მთლად უზრუნველყო ქვეშევრდომნი მტერთაგან, რომ თითოეულს მათგანს ეცხოვრა მშვიდად და ბედნიერად თავის კერაზედ, თავის ეზოში, თავის ხეხილთ ჩრდილოში“ (გ. ბარნოვი, სამი რომანი, 237).

კერა ცენტრალური ადგილია სახლისა, სადაც ანთია ცეცხლი და რომლის გარშემო თავს იყრინან ოჯახის წევრები, რათა ყოველ დღე ამ ცეცხლზე მოხარული თუ შემწვარი საქმელი სკამონ, ზამთრის სიცივეში სხეული გაითბონ.

პირველი ოჯახი, ახლანდელი გაგებით, ვაჩენილია კერაზე დახლებული ცეცხლის გარშემო. უშუალოდ, უკეროდ ძველებური ოჯახი წარმოდგენილი იყო. ქართულში სწორედ ამიტომ გადაიქცა კერა სინონიმად ცოლშვილისა, სახლისა, შინაუბრისა.

კერაზე მიბმა პრ. კერაზე მიმბარება რაიმე საბელით. სტვ. შინიდან გაუსვლელობა, ნიდაც სახლში ყოფნა, სხვაგან წაუსვლელობა. იეს ხმალი პატარსთვის მიწადა ჩემის ამგადარის რაინდისათვის. ეხლაც არ გვახლდა ბრძოლაში; ჭრილობამ და ავადობამ კერას შიბა ვაქცაი“ (გ. ბარნოვი, სამი რომანი, 360).

კერაზე შემოტარება პრ. კერას გარშემო სამჯერ შემოტარება ახლანდელ გარდაწერილი ქალისა. სტვ. ქალის გათხოვება.

ძველ ქართულ საქორწილო ჩვეულებათა თანახმად. ნუფე-პატარძალს ჯვარწერის შემდეგ, ნუფის სახლში რომ მოიყვანდნენ. პატარძალს სამჯერ შემოტარებდნენ კერასა და სახლის დედაბოძს ამით ახალმოყვანილ მომავალ დიასახლისს ეუბნებოდნენ: ერთგული ყოფილიყო კერისა, საოჯახო საქმეებისა. რაც მას ევალებოდა, როგორც დიასახლისს; ყოფილიყო ქმრის მოყვარული და ერთგული, შვილებისათვის კარგად მოეგლო და გაეზარდა. ერთი სიტყვით, ნამდვილი დიასახლისი ყოფილიყო და სამაგალითო მეუღლეობა გაეწია ქმრისათვის. ახალ პატარძალს მეგობარი ქალები რომ შეხვდებოდნენ,

აღერსიანად ჰკითხავდნენ: ვაჟი კერაზე შენოვატარეს?!

აი საიდან ვახდა — „კერაზე შემოვატარეს?!“ აღერსიანად თქმული, ქალის გათხოვებისა და ახალი ცხოვრების დაწყების გამოხატულებად.

კერაზე ცეცხლის დაღვება ის. კერის გაცივება.

კერაზე ცეცხლის შენახვა პრ. კერაზე ცეცხლის ჩაუქრობლობა, განუდგებულობა ნთება ცეცხლისა. სტვ. საქმის ერთგულება, ბოლოს მიღწევა, განიდადებული ცდა მიზნის მისაღწევად. „არ არის ევროპაში დილობა. ტი. რომ ამ თვალთ არ უყურებდეს აღმოსავლეთის საქმესა და კერაზედ ცეცხლს ამ ანგარიშით არ ინახავდეს“ (ილ. პავლევიძე, X, 92).

წინათ, სანამ ასანთი ჩვენი გლეხისათვის ხელმისაწვდომად და ყოველდღიური ხმარებისა და საჭიროების საგნად ვახდებოდა, კერაზე ცეცხლი გაუქრობლად ინახებოდა ხოლმე. დამე, დაწოლის დროს, ნალვერდალს ნაქორში გახვევდნენ და ცეცხლი ამგვარად ინახებოდა კერაზე მეორე დღემდე, როცა ამ ნალვერდისა და ჩინჩხვარის საშუალებით ცეცხლს ხელახლა გააჩაღებდნენ. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა დილას ნალვერდალი ჩანაელებული და გამქრალი დაუხვებოდათ, ან ტალ-კვესით უნდა დაენთათ ცეცხლი ანდა მეზობლისას გადაეგზავნათ ოჯახის ერთ-ერთი პატარა წევრი — ცეცხლის სათხოვრად“. აქედან მიღებულია მეგრული სიტყვა მე დანხორე (მეცეცხლე) მეზობელი, ე. ი. ისეთი მეზობელი, რომელიც სხვებზე ახლოა და რომლისაგან გაჭირვების (უცეცხლოდ დარჩენის) დროს შეიძლება მოხდეს ცეცხლის შოვნა. სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთი მოკეთი, მოამბე; გაჭირვების ტალ-კვესი მეზობელი დაეფასებინათ, პატივცემული ჰყოლოდათ.

კერაზე წყლის დასხმა ის. კერის გაცივება.

კერაჩამქრალი ის. კერის გაცივება.

კერის გაცივება პრ. კერაზე უცეცხლობა. სტვ. ოჯახის წევრების ამოწყვეტა, სახლკარის მოშლა, დაღუპვა. — ამ რამდენიმე კერის წინ რომ სავსე ოჯახი დასტოვა, დოვლათით, სიყ-

ვარულით, სიხარულით და ყოველივე კეთილით მიპობრთვით, ესლა გაცივებულ კერა-ლა მოელის“ (ვ. ბარნოვი, სანი რომანი, 94).

კერაზე ცეცხლი როცა ქრება, იგულისხმება, რომ ეს ცეცხლის გაქრობა გამოიწვია ოჯახის წევრთა მოსპობამ, ამოწყვეტამ. ამიტომ ადვილი მისახვედრია, თუ რადაა ასე მიძიმე მოსასმენი ქართველის ყურისათვის ასეთი წყველა: „კერა დანელებული“, „დაგმოსოს კერა“, „კერაზე წყალი დაგვსხას“, „ჩაბეჭრეს კერა“ და მისთანანი.

კერის დანელება ის კერის გაციება. კერის მკეთებელი პრ. კერის მომწყობი. სვვ. მეოჯახე, ოჯახის ფეხბე-დაწყენებელი, სახლში დოვლათის შემოტანი.

კერის მკეთებელი ჰქვია ხელ-გამომავალ. მუყაით და მზრუნავ ადამიანს, რომელიც ერთად იმის ცდა-შია — ცოლზეილი არ დარჩეს უსმელ-უქმელი. ტანთაუცემელი. მტერსა და მოყვარეს პასუხი ვასცეს, გაქირვების ხმაღამოლებული დაუხედეს; წაერთოდ — ამთავნიეროს ოჯახი, წარმატების გზაზე დააყენოს, ააშენოს...

კერის ნთება პრ. კერაზე ცეცხლის გაჩაღება. სვვ. ოჯახობრივი ცხოვრება, ოჯახის აღსებობა. „ასე გათავდა ამ ოჯახის ცხოვრება, ვაპქრა იმათ სახლში სანთელი, აღარაფინ მოაგონებდა, თუ ოდესმე იმ სახლობაში კერა ნთებულ იყო“ (ალ. ყაზბეგი).

კერის რყევა პრ. კერის ნგრევა, შეკრობის მოშლა, ბარბაცია. სვვ. სერცხვენი, ოჯახური სიწმინდის მოშლა, სახელის გატება, ზნეობის კანონების შელახვა. „მოიხიბლები! სახიფათო შეიქმნება ჩემი ქალისათვის, ჩემის ძვირფასის ოჯახისათვის. კერის რყევას როდი დასთმობს ჩემი გიორგი და...“ (ვ. ბარნოვი, დიდი მოურავი, 23).

კერის ჩაქრობა ის კერის გაციება. კერპად გახდომა (ვისიმე) პრ. მოსავობა კერპისა. სვვ. ვისიმე გადაქცევა თავყვანისცემისა და პატივისცემის საგნად.

კერპი ჰქვია ხისადა თამოსახულეხას, რომელსაც ძველად თავყვანისა ცემდნენ და მსახურებდნენ, როგორც ღვთაებას. ხატოვანად კერპად გახდომას ვერცხვით, როცა ვისსამე ღირსებას გა-

აზვიადებენ და თავყვანისცემის საგნად გაიხდიან.

კერპი პრ. წილი, ხვედრი. სვვ. მოსახმარი, გამოსარჩენი, სასარგებლო.

კეფაზე წვენი არ დამახხა! პრ. თავზე წვენი ვერ დამახხა. სვვ. ვერას დამაკლებ, ვერ შემარცხვენ, ვერას მიზამ.

კეფაზე, თუ თავზე წვენი დასხმა ეკუთვნის ძველებურ სასჯელთა ისეთ კატეგორიას, როგორიცაა თავღაფის დასხმა, პირსახეზე მურის წასმა და სხვ. კეფაზე წვენი დასხამდნენ ისეთ ადამიანს, რომელიც კანონების რომელსამე მუხლს დაარყვედა.

ხატოვანად ეწევილი ნიშნავდა შერცხვენას. ცუდის სახელის მიკერებას. ვისაც წვენი დასხამდნენ კეფაზე, იგი თამამად ვერ გამოპყოფდა თავს მეზობლობაში. სხვები ხომ ერთდებოდნენ ასეთ, და თვითონაც უნდა მორიდებოდა ყველას, სანამ რამდენიმე ხანი გავიდოდა და მეზობლებს დააეიწყებოდათ მისი ცუდკაცობა.

ამ თქმას მუქარის ხასიათი აქვს ერთი მოვრეს ეუბნება: გული რომ მოგდის, ტყუილად მოგდის, ვერას მიზამ, ვერას დამაკლებ, შენი გულის მოყვანა შენთვის შეინახეო.

სამეგრელოში დღემდე დარჩენილი თქმა: „ვიგობი დუს წაწვი“ (დაგასხი თავს წვენი), როცა კაცი ვინმეს გააჯიერებს ან შესარცხვენ დანაშაულს ჩაიდენს.

კეხის შემბრუნება პრ. უნაგირის ხის ჩონჩხის შემოტრიალება. სვვ. ერთხანს ჩუმადყოფნის შემდეგ მოწინააღმდეგის მიერ იერიშის მოტანა, სამაგიეროს გადახდა. უკუღმა გაკეთება საქმისა. წინააღმდეგობა, მტრობა, ხელია შეშლა. მგლ., „ერთხანს თითქო ვკობნიდიო მტერსა, მაგრამ მერე კეხი შემბრუნდა“.

კეხი უნაგირის ნაწილია ხისა, ანუ ხის ჩონჩხი, რომელზედაც მატყლით ან ქათმის ბუმბულით გატენილი ბალიშია და ზედაც მხედარი ჯდება. როცა მხედარი ნორმალურად ზის უნაგირზე, უნაგირის ანუ კეხის ტახტა წინ არის და მხედარი პირისპირ ედგა მტერს თუ გაქირვებას, ხოლო როცა მტერი სძლევდა მხედარს, ამ უკანასკნელს შეაბრუნებინებდა პირს და, მამაადადამე, შეაბრუნებინებდა კეხსაც. და ეს კეხის შემბრუნება ხატოვანად წარმოგვიდგენს



მხედრის დამარცხებას, მის მიერ იარაღის დაყრას, მტრის წინაშე ქედის მოხრას. ამ შემთხვევაში გამარჯვებული დამმარცხებელს ნიშნის მოგებით ეტყუოდა: „აჰა, ხომ შეგაბრუნებინე კეხი?! ახლაც იტყვი — მტერი ვერას დამაკლებსო?! საცა შენი დაიკეხო, იქ ჩემიცა თქვიო!..“

კეხის შებრუნებას ეტყვიან აგრეთვე რაიმე საქმეში დამარცხებას, ხელის მოკარვას..

კვალზე წახვლა პრ. ნათესურის მიხედვით. სვ. მიბაძვა, მიუოლა, ვისიმე მსგავსად კეთება საქმისა. „პირველი (უფროსი ძმა) იმისთანა იერის ყმა-წვილი იყო, რომ კაი კაცის კვალზედ წავიდოდა — შესამჩნევი არა იქნებოდა რა, ავი კაცის კვალზედ დადგებოდა, — ქურდბაცაცობის მეტს ვერაფერს ვერ შესძლებდა“ (ილ. ჭავჭავაძე, III, 4).

კვალ პრ. ნათესურის ადამიანისა ანდა ცხოველის გავლის აღმნიშვნელი, ნიშანი ჭრილობისა, ღარი — სახნისის მიერ დატოვებული მიწის ხენის დროს. სვ. მოგონება, შთაბეჭდილება მახსოვრობაში, ნიშანი, მიკვლევა, შოვნა, ნახვა. „ამის დასამტკიცებლად საკმარისია მარტო იგი ადვილად და უტყუარად შესამოწმებელი გარემოება მოვახსენიოთ, რომლის კვალიც თავისდღეში არ წაიშლება“ (ილ. ჭავჭავაძე, IX, 206).

კვალის არევა პრ. ნათესურის დაბნევა. სვ. შეშლა მიმართულებისა, გზის არევა. ცუდი გზით წახვლა. შგლ., „ერთ ხანს კარგად სწავლობდა ფილო, რერე კვალი აერიო და უსწავლელი დარჩა“.

კვალის დარჩენა პრ. გზაზე სიარულის ნიშნის დატოვება. სვ. ნამოქმედარის მოსაფინარი ნიშნის დატოვება, არსებობის ნიშნის დარჩენა, მისი პოვნის იმედი. „რაკი ეს თხოვნაც საბუთად დასდებია ჯარის გაგზავნას, ან თხოვნას ზომ კვალის რამ უნდა დარჩენოდა ან ძაბრის უფროსის ან გუბერნატორის, ან მთავარმართებლის კანცელარიაში“ (ილ. ჭავჭავაძე, IX, 233).

კვალის კვლევა პრ. ნათესურის მიდევნება. სვ. ძებნა დაკარგულისა, გაუგებარისა, გამოწვლილვა მიუხვედრეულისა. „პოო, მაშ, ბევრი კვალის კვლევა საქირო აღარ ირის. რა-

სა ჰმაღავდი, წელანვე იტყოდი, შე კარგო ადამიანო!“ (ვაჟა-ფშაველა, V, 441).

ძველად საქონელს რომ მოიბარებდნენ, პატრონი მისი აკვალევის მისდევდა, კვალს უკვლევდა, სახამ მოპარულ საქონელს არ მიიგნებდა.

კვალის მიტანა პრ. ნაქურდალის ნათესურების ბოლომდე მისვლა. სვ. დანაშაულის დაბრალება, დამნაშავის აღმოჩენა. „თუ სხვანაირად დიქურ საქმესა, კვალს თქვენზე მოიტანენ. ...თქვენ უსათუოდ დიგეჟურენ, სად იყავით? ვისთან იყავით?“ (ს. მგალობლიშვილი, I, 125).

კვალში ჩაგდება პრ. მიწაში ურმის თვლით ან გუთნით გავლებულ ღარში ჩაყენება. სვ. თავისუფალი სადინელით ტარება, ჩვეული მიმართულებით წაყვანა, განსაზღვრულ სფეროში მოთავსება, ძველი ჩვეულებისათვის დაბრუნება; გაქირვებაში ჩაგდება, დაბრკოლება, ხელის შეშლა. „მოურავმა ხმა აიმაღლა: ყმავე არის (დადანი) მეფეთ-მეფისა, როგორც ყველა სხვა თავადი, მხოლოდ უფრო თავწასული, ლაგამ-ახსნილი; ვაჰ, რომ მაშინ სვიმონ მეფემ ვერ ჩააგდო თავის კვალშიო“ (გ. ბარნოვი, გიორგი სააკაძე, 55).

როცა გუთანი კვალს ავლებს მიწაში, ამ კვალში დგება დიდი კვალის აყოლი, რომელიც კვალში დგომით ერთ დონეზე მიდის გუთნის მეორე, უფრო პატარა, ველის თვალთან ანუ ღირლიტასთან, ეს უკანასკნელი ერთავად მიწის ზედაპირზე მიდის და მიუძღვის საკვეთელს. თუ როგორმე კვალის თვალი კვალიდან ამოვარდა, მაშინვე უნდა ჩააგდონ კვალში, თორემ ხვნის გარძელება დაბრკოლდება, რადგან გუთანი დაალმაკერდება. ცალი (დიდი) თვალი მაღლა შედგება და გუთნის ცალ ფრთას აწეულ მდგომარეობაში გააჩერებს, ხოლო ღირლიტოს მზარე გუთნისა ძირს დაიწევა.

ამის მიმსგავსებით, სურათ-ხატოვანად, ადამიანზე ვიტყვიოთ ხოლმე — „კვალში უნდა ჩააგდონო“, როცა იგი ძველი ჩვეული და ნაცნობი წესით მოქმედებაზე ხელს იღებს და ახალ, უცნობ იკლიბალო გზით სურს სვლა და საქმიანობა.

მეორე მნიშვნელობაც აქვს „კვალში ჩაგდებას“. გუთნით მიწის ხენის დროს

ცალი ხარი უღლისა მოუხნავზე, ყამირზე რომ მიდის, მეორე ხარი — კვალში, პელტგადაბრუნებულ ხნულში მიამიჯებს ფეხებს. რამდენადაც პირველისათვის ადვილია ყამირზე სიარული და წვევა გუთხისა, იმდენად მეორისათვის, კვალში ჩამდვარისათვის, საძნელოა ყოველი ფეხის გადადგმა ნახნავში, როცა ახალმოხნულ მიწაში ეფლობა და იქიდან ფეხის ამოღება საქმეს უჭირებს. მერე ფეხს ხარი ხან სად წამოსდებს პელტებს და ხან სად!..

ამიტომ კვალში ჩასაგდებად ხარების პატრონი ყოველთვის უფრო ღონიერ და მავარ ხარსა თუ კამეჩს არჩევს, რომ, შედარებით სუსტთან, უფრო ადვილად გაუძლოს მან სინელეს და ყამირით მიმავალ ხარს გაუსწოროს მუშაობა.

ამიტომაც ყოველდღიურ ცხოვრებაში „კვალში ჩაგდება“ ამ მეორენაირი მნიშვნელობით გადაიქცა ხატოვანად გაჭირებული ადამიანის ყოფის გამომსახველ თქმად.

კვალში ჩადგომა პრ. ნაფეხურის მიღევნება სვ. მიღვენა, მხილება და ნაშაულისა. „ჩვენ მარტო მის (ნარდონის) უთავბოლო სიბრძნეს ჩავეუდგებით კვალში და ორიოდუ ბრწყინვალე მავალითს კიდევ წარმოვუდგენთ მკითხველს იმისას, თუ რამდენად მივა ხოლმე ლაღი კადნიერება თავმომწონე და თავგასულ უმეტრებისა“ (ილ. პავლევი, V, 168); „ბორკოტი (ზამთარი), ავხენ საწყალ ჩიტ კვალში ჩაუდ ცა მტრულადა, მავრამ ნიბლიაც ცივ ზამთარს ებრძოდა ეშმაკურადა“ (შ. მელიქი, I, 98).

კვალში ჩაფვლა პრ. ხნულის კვალში ჩაღება ვისიმე დასამარხავად. სვ. უგულბელყოფა, კაცად არჩაგდება, ნიზლი, თაკილი. „სამაგიეროდ, იგი მეტისმეტად კმაყოფილი იყო მითი, რომ პირველობდა იმ წრეში“, რომელიც მას პირველად კვალში ჰქვდავდა და თითქმის არც კი მსურდა მიეღო თავის წევრად“ (შელანია, „მოამბე“, 1902, II).

კვამლი (იგივე კომლი) პრ. ნარევი ჰაერისა, წყლის აორთქლებისა და ცოტად თუ ბევრად წვრილი ნამცეცხებისა, რომელთაც ესა თუ ის ნივთი-

ერება წვის დროს გამოჰყოფს და რომელიც ჰაერში იფანტება. სვ. ცალკე სახლი, საცხოვრებელი, მოსახლე; ნაშუსი, სინდისი.

იქ, სადაც მიწურიდან, ქობიდან თუ სახლიდან კვამლი ამოდის (პირველში კერი ან და შემდეგში — ბუნრიდან), იგულისხმებოდა, რომ ენთო ცეცხლი, რომელსაც გარშემო უხსდნენ ოჯახის წევრები, აღამიანები, ერთმანეთთან ნათესაურად დაკავშირებულნი.

ამ სახურავებიდან ამომავალი კვამლის საშუალებით ითვლიდნენ ძველად მოსახლეთა ანუ ბინადართა რიცხვს. რამდენი კვამლიც ამოსდიოდა სახლებს, იმდენი კვამლი (ანუ კომლი) ითვლებოდა ჯერ ამა თუ იმ შორი-შორს მდებარე და შემდეგში შეჯგუფებულ სახლებში ანუ სოფელში. ასე რომ, „კვამლი“ გადაიქცა ოჯახის სურათ-ხატოვან სახელად, მის სინონიმად, ხოლო კვამლქვეშ შეფარებულ მცხოვრებს ანუ მოსახლეს დაერქვა „მეკომური“ ანუ „მეკომლე“.

კვანძი პრ. მკიდროდ გადაწვნა, გადახლართვა ძაფისა, ბაწრისა, ბაბთისა და სხვ. სვ. გაჭირვება, ხლართი რომანისა, ანდა პიესისა. „თურმე ნუ იტყვი, ესე ადვილი ყოფილა იმ კვანძის გახსნა, რომელსაც ხიზნების საქმე წარმოადგენდა“ (ილ. პავლევი, VIII, 155).

კვერის დაკვრა პრ. მკედლის რკინის უროს დაკვრა რაიმე ლითონზე გამოსაქვლად, ამა თუ იმ სახის მისაციემად. სვ. დამოწმება, მოწმედ დადგომა, მიმზრობა, მხარის დაქერა. „— მაშ საეგორგობოთ მოვაწყოთ ქორწილი: მეც მომწონს ქალი, — სთქვა დედამ — რახან შენ ჰქვარი და უკარ. მე რალა მეუქმის!.. მოვიყვანოთ ანანო“ (ვ. ბარნოვი, ფერადფერადი, 114).

პარალელია გატარებული მკედლის გახურებულ რკინასა და აღამიანის ლაპარაკს შორის: გახურებულ რკინას კვერი მაშინვე, გაცივებამდე, უნდა მოხვდეს, რომ გაიქედოს. მსგავსადვე: რაიმე ნათქვამს დამოწმება თანამოსაუბრის მიერ მაშინვე უნდა, რომ დაგვიანებით, დროს გასვლით ეს ნათქვამი არ „გაცივდეს“, ძალა არ დაკარგოს, მისი დამტკიცება მერე ძნელი ან შეუძლებელი არ შეიქნეს.



კვერთხი პრ. მოგრძო მრგვალი ჯოხი, მოწერილო იმდენად, რომ ხელში შეიძლებოდეს მისი დაკერა. სტვ. დასაყრდენი, ბურჯი, იმედი, ძალა, ღონე, შეძლება, ხელმწიფობის ემბლემა. „აბა რომელ შვილს კხედავ ღირსეულს, რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?“ (ნ. ბარათაშვილი, 760); „ამ დროს არა ჰყავს მას სისხლ-გან აღზრდილ-განსწავლული, მისი მისწრაფებით გამსჭვალული, რომ სიბერის დროს შეიქმნას მისთვის კვერთხი საიმედო და სიკვდილის შემდეგ საესებით დანაცვლის მას“ (ვ. ბარათაშვილი, სამი რომანი, 64); „თებრონიას ხელში ივდითი კვერთხი იყო რკინისა, რომლით მწყსიდა წინამძღვარი ურჩთა შემცოდეთ“ (ვ. ბარათაშვილი, სამი რომანი, 673); „მონათა მიჰხვდა სიხარბე მის საჭურჭლისა ძვირისა... ნახე, თუ ოქრო რასა იქნს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა“ (მ. რუსთაველი, 1196).

კვერთხი ანუ ჯოხი—პირველი იარაღი იყო ადამიანისა. პირველყოფილი წინაპარი სიარულის დროს ჯოხსე ეყრდნობოდა და იმავე დროს ჯოხით შეუტევდა მტერს ან მისგან თავის დაცვის შეუღებობდა.

შემდეგში კვერთხი გადაიქცა მპყრობელობისა და ძლიერების სიმბოლოდ: მას ვხედავთ ეკლესიასში — ეპისკოპოსების ხელში, ვხედავთ მეფეთა სასახლეებში, სადაც იგი მეფეთ უპყრით ხელში, როგორც გამომნახტელი ძლიერებისა, სხვაზე ბატონობისა, ძალაუფლებისა.

კვერთხის ჯდომა გულში (მეგრულად: კვერი უხე გურს) პრ. კვერი უხი გულში. სტვ. იმედიანადა, უხარია. არხენინადა, არაფერი აღარდებს, ფიქრი არაფრისა აქვს. შგლ., „იმას რა უშავს, საქმე კარგად წაუვიდა, ფულიც ბევრი მოიგო, ერთი სიტყვით—კვერი უხის გულში“

კვერი ანუ მცირე მრგვალი პური სანუკვარი საქმელად ითვლებოდა და ვისაც იგი გულში აქვს ჩასმული, ე. ი. დაუფლებია და შეეწია შეუძლია მისი, ბედნიერ, სახარბილო, სანატრილ მღგომარეობაში მყოფ კაცად ითვლება, განსაკუთრებით ისეთისაგან, ვისაც ეს კვერი არა ჰქონდა, — უმისობა გულში

დარდად ჩარჩენია, იმისი დარდა-აწუხებს.

ეს თქმა სამეგრელოშიც იხმარება. მიუღებდა საერთოდ ბედნიერ კაცს, ისეთს, ვინც ყველაფრით უზრუნველყოფილია და დარდი არაფრისა აწუხებს. კვერნა დაიჭირა! პრ. კვერნა შეიპყრო, კვერნა ხელთ ივლო, კვერნის პატრონი ვახდა. სტვ. (და ნიშნის მიგებით) დაზარალდა, დასაბრუნდა, საქმე ცუდად წაუვიდა.

კვერნა ძვირფასი ცხოველია თავისი საუცხოო ბეწვის გამო. რამდენადაც ის ძვირფასია, იმდენად ძნელია მისი შეპყრობა. ამრიგად, ეს თქმა ნიშნის მიგებით იხმარება კაცის მიმართ, რომელიც ზარალობს, ხელი ეცარება რისამე გაკეთების, გულის წადლის ასრულების დროს. მაგალითად, ხეცსურეთში ცეცხლაპირის ჩამომსხდარ ბავშვებს ცეცხლის ნაპერწყალი რომ მოხვდება პერანგზე და ამოეწვებათ, სხვა ბავშვები ნიშნის მიგებით ეტყვიან: „კვერნა დაიჭირა მენა პერანგ-მით“. ამავე აზრით იხმარება თქმები: „კი მელა დაიჭირა“ ან „მაჩვი არ დაიჭიროს მავანმაო!“ ორივე ცხოველი ძნელი დასაპყერი ვახლავთ, განსაკუთრებით მაჩვი.

კვერცხში გამოიწივის პრ. კვერცხის შიგნიდან ისმის მისი წივილი. სტვ. ყოჩალია, შნო აქვს ყველაფრის კეთები-სა, გაპირებებს აღვილად დააღწევს თავს, მარჯვეა, ხელიდან ყველაფერი გაიპოვებს. „ყველა წინ მიდის, ყველა სწავლაშია, ერთი ბეწვა ბავშვები კვერცხში გამოწივიან, აქეთ — ვახეთებსა კითხულობენ, იქით — წივნებსა“ (ილ. ჰაბეაშვილი, IV, 253).

ქათმის წიწილი ჩვეულებრივ მაშინ წივის, როცა კვერცხიდან გამოიჩეკება. მაგრამ არის ისეთი ცოცხალი წიწილაც, რომლის წივილი კვერცხიდანვე მოისმის. ცხადია, თქმაც აქედან მოდის. მამსა-დამე, ეს თქმა მიეწერება ისეთ ადამიანს, ვინც სულ პატარაობითვე ყოჩალია. მიტყმერად ცოცხალია, მარჯვეა, ყველაფერი გამოულის ხელიდან.

კვესა პრ. კვესით ცეცხლის გაჩენა. სტვ. მოსწობელი, მახვილგონიერი სიტყვის თქმა. „მოუჯდეს (ბესო) ბუხარს და ტუბილად შიარ-ღეჭესები ჰკვესოსა“ (ნ. მღვიმელი, I, 57).

ახლადფეხადგმული ადამიანისათვის ტალი და კვეის უსოვარ დროიდანვე ითვლებოდა წყაროდ ბედნიერებისა, როგორც ვამჩნევთ ცეცხლისა, რომელსაც მზის შემდეგ მეორე ადგილი ეკუთვნის ხელოვნური სითბოს მიწოდების საქმეში ჩვენი ნახევრად შეუქმნადი და ბუნების სიმკაცრესთან ბრძოლაში უძლური წინაპრისათვის. ხატოვანად და ცეცხლის მიმსგავსებით კვესა ნიშნავს ამსწორებული ლექსის ანდა სიტყვის თქმას. სწორედ ამ აზრითაა ნახმარი ეს ზმნა ჩვენი პოეტის ლექსშიაც, ე. ი. ბესომ არაჩვეულებრივი ლექსები სთქვას, რომ გააცივოს და გაამზიაროს მსმენელი.

კვირადლის სიზმარი პრ. შაბათ ღამით ნანახი სიზმარი. სვ. უმკველად ასასრულბელი რამ, რაც უმკველად ახლდება. „ჯერ სიტყვა არ დავთავებინა შადიმანს, რომ მიჰმართა ქაიხოსრო ჯავახიშვილმა: — ბატონო მეფე, კვირადლის სიზმარია შენი ბრძანება: ჰე, სწრაფად ახლა!“ (ვ. ბარნოვი, გიორგი სააკაძე, 49); „კვირადლის სიზმარიო — ან წუთსა, ან ცრუსაო“ (ხალხური).

კვირადალი ამჟამად მოძველებული სიტყვაა. ნიშნავს დროს შაბათ საღამოდან, როცა ეკლესიაში საღამოს ლოცვის ზარს ჩამოჰკრავდნენ. ამ წუთიდან შაბათის დარჩენილი დრო კვირის (უქმის) ნაწილად ითვლებოდა და მასზე ვრცელდებოდა კვირის ძალა ანუ იგი იყო კვირადალი. ამის შემდეგ შაბათის მთელ საღამოს არ შეიძლებოდა ფიზიკური მუშაობა, კვირადლის უფერი სიტყვა-პასუხი და სხვ. ეს ნაწილი შაბათისა, როგორც განუყოფელი ნაწილი კვირისა, ისევე წმინდად უნდა შენახულიყო, როგორც თვით მეორე დღე — კვირა.

ძველი რწმენით, შაბათ საღამოს ანუ კვირადალზე ნანახ სიზმარს დიდი ძალა ჰქონდა: მას უმკველად უნდა შეესხა ხორცი, ამხდარიყო და ისიც — კვირის შუადღემდე.

ზოგსაც სწამდა, რომ კვირადლის სიზმარი თუ ახდებოდა, მალე (იგულისხმე — კვირა შუადღე) ახდებოდა, ან სულ არ ახდებდა, ტყუილი გამოვაო; გაქირვებული ავადმყოფი თუ კვირადალს გადურჩა, მერე არ მოკვდებაო. არის ერთი ლანძღვის ფორმულა, კვირადალთან დაკავშირებული: „თქვე, კვირა-

დლის დაყრილებოა!“, ე. ი. უკანონოდ გაჩენილებო კვირადალს, როცა ცოლქმრული კავშირი არ შეიძლებაო.

კვირტის გაუზრდელობა პრ. მცენარეულობის უხარებლობა. სვ. მეურნეობის მოსპობა, ხელის დაბანა რაინე მცენარეულობის მოყვანაზე, გაუზრდელობა, რაც რამ პატარაა, რაც რამ კვირტის ოდენაა. „უნდა სოფელმა ეგენი აიბუოს, სამეზობლოდ აღარ გაიხადოს, ხელი იოტი ტოლა საქმეში აღარ გაუმართოს; კრიქაში ჩაუდგეთ; კვირტი არ უნდა გავუზარდოთ, კვირტი“ (ს. მგალობლიშვილი, I, 80).

კვლავ უფრო, კვლავ უფრო! პრ. შემდეგში, მეორეჯერ უფრო მეტი. სვ. მერე უფრო გაგამარჯვებინოს, უფრო მეტი (ნადირი) დაგახოცვინოს.

მონადირეთა დალოცვის ფორმულაა. როცა მონადირე ნანადირევიანად ბრუნდება შინსკენ, ვინც შემოხვდება, კვლავ ამ სიტყვებით ლოცავს და გამარჯვებას უსურვებს, ე. ი. კვლავ რომ წახვიდე სინადიროდ, ამაზე მეტი დავახოცვინოსო (ნადირი თუ ფრინველი). გადატანით ითქმის აგრეთვე სხვა ძნელ და სანატრელ რამ საშოვარზედაც.

კვენხა პრ. ასატირებელი ხმებით ტკივილის, გაქირვების გამოხატვა. სვ. ტანჯვა, გაქირვება, ცუდ დღეში ყოფნა. „აქაც კი ჰდრტვინავს და ჰკვენენის დღეგანდღელს დღის გაქირვებისაგან და გულამღერეულად გასცქერის გერმანიას, რომელმაც ეს დღე მოუვლინა მთელს ევროპას ერთად და აესტრიას საკუთრივ“ (ილ. ჰაფიჯაძე, XX, 61); „თქვენ სხვა ხართ და ჩვენ სულ სხვა, არა გვაქვს რა საერთო მის მეტი, რომ ჩვენს კვენესას თქვენგან ცილიც დავითო“ (აიაკი, ერთობეული, 54); „გამოტრიალდა (აშოტი), უკვენესდა გული: მას უნდოდა ერთ წამს ჰხლებოდა მოყვარულ ცოლს, დაეკოცნა მიმავალს ლოყა“ (ვ. ბარნოვი, სამი რომანი, 278).

კვენისი ჰამა ცირზე პრ. ცერზე მოქერა კბილებისა კვენისის გასაქარვებლად. სვ. გაქირვების გაძლება, სახზე დაუმჩნევლობა სიმწარე ტკივილისა. „გაივილის დაი ბეჩავ ძმით. იასა ნახვენ ხეზედა, ატირდებიან

14. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი.



გულივიძლი, კვენესას აკამენ ცერზედა“ (შ. მღვიმელი, I, 111).

როცა მწარე ტკივილს რასმე განვიციდით, ხან ტუჩებსა ვკბენთ სიმწარის დასაყურებლად და ხანაც კბილებს ვაქერთ ხელის ცერზე და თითქო გვეამებო, შევებას ვგრძნობთო.

კიბე გადამიტეხეს (მეგრულად: კიბე ქეშამტახეს) ჰრღ. კიბე გადამიტეხეს შუაზე. ს.გვ. ზევით ასვლის საშუალება მომისპეს, დამაბრკოლეს, სიარულის საშუალება წამართვეს, ხელი შემიშალეს მიზანს ვეწია. მგლ. „კიბე გადამიტეხეს და დაერჩი პირჩალაგამოვლებული“.

აქ ლაპარაკია ხის კიბეზე, რომელიც შედგება ორი დანდლისაგან, რომელთაც აერთებს ერთმანეთზე ფეხის ნაბიჯის მანძილით დაშორებული და განივად გაყრილი ჯოხები. ასეთი კიბე იხმარება სადმე სიმაღლეზე ასავლელად (ხეზე, სახლის სახურავზე, ჩარდახზე და სხვ.). თუ მთელია კიბე, მაშინ იმის საშუალებით რაიმე სიმაღლეზე ადვილია ასვლა. მაგრამ თუ კიბე ჩატყდა ან ჩასტება ვინმემ, იმისი გამოყენება შეუძლებელია.

ხატოვანად კიბის ჩატება გულისხმობს რაიმე საქმის გასაკეთებლად ხელის შესლას, წინ გადაღობებას, დაბრკოლებას.

კიდეც სკრის და კიდეც ჰკერავს ჰრღ. ზედატანის სამოსელს კიდეც ვამოსკრის და იგივე შეჰკერავს კიდეც. ს.გვ. ყველაფერს თავის ნებაზე აკეთებს, სხვას არაფერს ჰკითხავს. „კიდეც სკრის ეს ჩემი ცოლი და კიდეც ჰკერავს: წილან რას ამბობდა და ეხლა რას ამბობს!?“ (ს. მგალიბლიშვილი, I, 46).

კიდეთ-კიდე ჰრღ. ერთი კიდიდან მეორე კიდეშდე. ს.გვ. ქვეყნის ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე, ყველგან. „შენ გენუაქვი მონახვასა კი დიოთ-კი დიე მოლაზიოცა“ (შ. რუსთველი, 128).

კიდიხ-კიდიზა ჰრღ. ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში გადასვლა. ს.გვ. ერთმანეთს დაშორება, ერთი-მეორისაგან შორიშორს ყოფნა. „თვარა მე ჩემდა, იგ მისდა, დია სჯობს კი დისკი დობა“ (შ. რუსთველი, 1488).

კითხული ჰრღ. წაკითხული ნაწერი ანუ ნაბეჭდი. ს.გვ. საზრუნველოდ დამოკიდებული, მოსავლელი, ყურის სა-

გდებელი. „საბჭოში ცხად იქნა: საქართველოს ცალკე სახელმწიფოდ, მაგრამ სპარსთა კითხული: ან ამოფხვრა ქართველთ ტომისა, განუყრელად შეერთება სპარსეთთან, დასახლება სპარსთა თემებით“ (გ. ბარნოვი, გიორგი სააკაძე, 303); „სად არის კითხული და სამართალი, ჩემო კოკობო ვარდო?!“ („ივ.“, 1905, № 17).

კინწის მოწყვეტა ჰრღ. კისრის მოტება სხეულისაგან, თავის დაკიდება. ს.გვ. დასუსტება, მეტად დაღლა. „აქ ლევანს კინწი მოსწყდა ბევრის ლოთობისა და ღამის ტებისაგან, ძილი მოეკიდა, ნინო დაბლა დასო, თვითონ კალთაზედ თავი დაუდო და ისე დაიძინა“ (რაფ. გრისთავი, III, 24).

კინწი იგივე კისერია.

კიუნად ავდება ჰრღ. კიუნის ატეხა ვიზედმე. ს.გვ. საჭიროდ მზილება, საქვეყნოდ შერკცევენა, აუგის თქმა ხმაილა. „სხვაში არ ვიციოთ და ამ შემთხვევაში—ჩვენი, მის მიერ კი ქინად ავლებული, ლიტერატურა ცოტაოდნად მაგალითს აჩვენებდა: რა არის კრიტიკა და შედარებითი მეთოდი“ (ილ. ჰავევაძე, V, 30).

კისერზე დადება ვალად ის. კისრად ალება.

კისერზე დამაქდიე ჰრღ. კისერზე ქდე გამიკეთე. ს.გვ. მაძულე დავიხსნო. „მოჯამაგირეები ვაიყვანეს, იმდენი საქონელი მოუვლელი მეზოცება, ვენახი მიიხრდება, თქვენი გარჯა და ერთმანეთის დამპირება გავიგე... მუცხომ თქვენი ძმა აზნაური ვარ... დამეხმარეთ და კისერზე დამაქდიეთ“ (ივ. მაჭავარიანი, „ივ.“, 1905, № 105). ის. დაქდევა, ქდე.

კისერზე დაწოლა ჰრღ. მთელი ტანი-თა და სიმძიმით დაწოლა ადამიანის თუ ცხოველის კისერზე. ს.გვ. ვისიმე იძულება იზრუნოს შენთვის, მოგიაროს, გიპარკროს. „ხალს ათასგვარი ხარჯი და გადასახალი აწევს კისერზე. ამისთვის ფული უნდა“ (ილ. ჰავევაძე, VII, 248). ის. კისრად ალება.

კისერზე ყოფნა ის. კისრად ალება. კისერზე ჩამოკიდება ჰრღ. ვისსამე კისერზე დაბლაუქება. ს.გვ. ვამოცხადება სიყვარულის გრძნობისა, თხოვნა განუყრელი მეგობრობისა. „ეხლაა შენი დრო, თორემ ერთი-ორის წლის



შემდეგ, კისერზე და ც რომ ჩამოეკიდო კაცებს, ზედაც არ შემოგხედავენ. ისეთი გოგონებია, რომ შენ იმათ ნარცხათაც არა ღირხარ" (არგ., 1899, № 279).

კისერზე წოლა ის. კისრად აღება.

კისერი გაუსქელდა პრდ. კისერი გაუსქულდა. ს.ჯვ. უკანონო გზით ქონება შეიძინა, მხოლოდ თავისთვის ფიქრობს, სხვისთვის არას დარღობს, გლეჯია. მგლ., „მამასახლისს კისერი გაუსქელდა და სოფელში ქვრივ-ობლების გაქირვება როდი ესინის!“

კისრის გასქელება საზოგადოდ გულისხმობს ადამიანის გასუქებას. გასქელება კისრისა იხმარება ისეთი ადამიანის მიმართ, ვისაც ქონი მიჰკვრია სხეულზე სხვისთვის წახარამეფით, წინაგლეჯით, უხმართებლო გზით შეძენილით; იტყვიან ისეთზე, ვისაც თავის თავის მეტი სხვა არ ახსოვს, ვისთვისაც სხვათა ჭირი ღობეს ჩხირია, სხვათა ცრემლი და კვნემა გულს ვერ მოულობს. დაცინვით იტყვიან: „მავანს კისერი გასქელებიაო“.

კისერი მოხწყდა პრდ. კისერი ტანს მოშორდა, თავი გადაუდგო. ს.ჯვ. ძალზე დაიღალა, ძილი მოერია. „დაღალულს, ნასვამს წინაღობით, უძილოს კისერი ჩქარა მოჰსწყდა და გულიანი ხვრინვა ამოუშვა...“ (შ. არაგვისპირელი, 291).

კისერი მოუტეხია პრდ. კისერიმც მომტერეფია. ს.ჯვ. წყევლა: მოკედის, ნულარ იცოცხლებს. „მე-კი არ ვიცოდი. მარა მე რა მენაღვლება, ყველას კისერი მოუტეხია!“ (ავტ. ცეკარელი, 117); „ჩემს კბილებს!.. მაგათ ხელში რომ მოკვდენ, მაინც არ დაგტოვებ, რაკი ამნაირი საშუალება შეძლევა... რას დავეძებ მაგათ? კისერიც უტეხიათ!..“ (დ. კლდიაშვილი, საშინაშვილის დედინაცვალი).

კისერი შეუშვირა პრდ. კისერი დახარა და გაუწოდა. ს.ჯვ. მორჩილება გამოუტახადა, თავი მოსაკვეთად მისცა.

ძველად ადამიანი რომ მძიმე რასმე დააშავებდა და თვითონაც გრძობდა თავის დანაშაულსა და იმას, რომ ღირსი იყო უდიდესი სასჯელისა — თავის მოკვეთისა, კისერზე ხმალს ჩამოიკიდებდა და კისერს შეუშვირდა იმას, ვის წინაშეც დააშავებდა და ამით ვამოხა-

ტავდა: თავის მოკვეთის ღირსი ვარ და მზადა ვარ მოგაკვეთინოთ თავიო.

კისერმოღერებული პრდ. კისრის წაგრძელება და განზე მოქცევა. ს.ჯვ. თავმომწონე, ამაყი, მელდიღერი. „... მეხი კი დავაყარე თქვენ ტიალთავებს!.. როგორ კისერმოღერებულეები დგანან გუშინდელი მატლები?.. უუ, უწინამც დღე გაგტრობიათ!“ (ილ. ჭავჭავაძე, II, 268).

როცა ზოგიერთ ადამიანს უნდა სხვას აჩვენოს თავისი უპირატესობა, თავი მოაწონოს და სხვებს უთხრას: ჩამოღდექით, გზიდან ჩამომეცალეთ, რა ჩემი ტოლი და ანათალები ხართო, — კისერს უფრო წაიგრძელებს, თავს ცალი მხრით ოდნავ ვადახრის და ქედმალღურად იყურება, თითქო ამბობს: შემომხედეთ ბიკსაო!

ასეთნაირად თავის დაპერას ხატოვანად ვეძახით კისრის მოღერებას ანუ ცდას — კისერი სხვას იმაზე მეტად გრძლად მოვაჩვენოთ, ვიდრე ნამდვილად არის, და ამით გამოვხატოთ ჩვენი ცუდმედიდობა, სიამაყე, თავმომწონეობა.

კისრად აღება პრდ. კისერზე რაიმეს დაღება. ს.ჯვ. რაიმე მოვალეობის შესრულების აღთქმა. „შემომფიცე, რომ ისე უზიარებლად და შეუნდობარს მოჰკლავ, როგორც მე კვდები! შემომფიცე! თუ მე ცოლად იყოს, მე ამიღია კისრად“ (ილ. ჭავჭავაძე, II, 127); „შენ ოღონდ მანამდე დამეხმარე, მერე ჩემს კისერზე იყოს, ძალად ჯვარს გადავეწერ“ (ილ. ჭავჭავაძე, II, 208).

როცა ტვირთის საზიდავად ჯერ კიდევ არ იყო მოწინაურებული საქონელი და ადამიანს უხდებოდა სიმძიმის გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე, მისი კისერი იყო ტვირთის სიმძიმის დასაყრდენი ცენტრალური ადგილი. აქედან მიღებულია ეს თქმაც.

კისრის მოგრება ვისთვისმე პრდ. კისრის რამდენჯერმე მოტრიალება ადამიანისა თუ ცხოველისათვის. ს.ჯვ. ჯობნა, დამარცხება, მოკვლა. „ნუ-კი გგონია — დავებრდი! შენისთანებს კიდევაც მოვუგრებ კისერსა, — გაეუშურა მგელ-ბაზბა“ (ს. მგალობლიშვილი, II, 104).

კისრის მოტეხა პრდ. კისრის მომტერევა. ს.ჯვ. მარცხი, გაუმარჯვებლობა, ხე-



ლის მოცარვა რისიმე, დაღუპვა, ჯგონა, მორევნა; სიკვდილი. „თუ არ მოვტეხო ახლა კი კისერი გეგენას — ბიუოს, მამ შე ალექსი მელიქიჩი აღარ ვიყო“ (მელანია, ნავარდობა).

კისრის მოფხანა ჰრღ. ფრჩხილებით მოქექვა კისრისა. სვკ. სინანული, დაღონება, დაფიქრება, დადარდიანება. „დაბინავდა მღვდელი ლელუაშვილი ხელმწიფესთან. მალე ისე გაუხდა საქმე, რომ მარანი და ბელღები დაუცარიელდა. ხელმწიფეს კისერი მოათხანინა. რა ჰქმნას, როგორ მოიშოროს თავიდან?“ (თ. რახიაშვილი, ზღაპრები, 200).

როცა, ჩვენდა მოვლოდნელად, მარცხი რამ შეგვემთხვევა, საქმე ისე არ წავგვივა, როგორც ჩვენ ვესურდა, გაეჩრდებით, თავს ჩაეჭინდრავთ და წამოვიძახებთ: ვაი, შენ ჩემო თავო! თან კისრის ფხანას და სინანულს მოცუვებით: ეგ რა დაგვიმართაო! დაფიქრებ ფიქრს, როგორ ვუშველოთ გაფუჭებულ საქმეს, კარზე მომდგარ გაქირვებას თავი როგორ დაეაღწიოთ... აქედან მიღებული ხატოვანი თქმაც.

კისრის მოქექვა ის. კისრის მოფხანაკისრის მტვრავით, კისრის ტვხვით (სირბილი) ჰრღ. კისრის ტვხით. სვკ. დაბრკოლებით, გაჭირვებით, წვალებით; სიჩქარით, გაუფრთხილებლობით, თავდაუზოგველი (სირბილი), მეტისმეტი სიჩქარე.

კისრული ჰრღ. კისრიდან გადმოღება. სვკ. ხერხი, ეშმაკობა, დამარცხება. „ნუ თუ სამსონებს გვერდი დაუმშენა პატივცემულმა აეტრომა და იმითში იკადრა ჩადგომა!.. აბა, მართლა, კისრული ასეთი უნდა, აი!“ (ილ. პავლეაძე, IX, 48).

ქიდაობის დროს მოპირდაპირის დასამარცხებლად, სხვა ხერხთა შორის, ხნარობენ კისრულს, რომლის საშუალებით მოქიდავე მოპირდაპირეს თავის კისრიდან დასტყორცვის ძირს.

კიტრის ფახი ჰრღ. კიტრის ღირებულება. სვკ. მეტად მცირე ფასი, უფასურობის სადარი. „ვიციოდი, რომ სიყვარული „მოგატყუე-მომატყუეს“ ბურჟალობა იყო და ამიტომაც კიტრად ვაფასებდი; ახალ-ახალი მენატრებოდა და ძველი აღარ მინდოდა“ (აკაკი, I, 171).

კიტრი ხილად არ ითვლება, თუმცა

პრეტენზია აქვს ხილობისა. ხომ ვაგვიგონია: „მწვანე კიტრივით თავს იჭებსო!“ ერთადერთი მისი ღირსება ისაა, რომ ზაფხულის სიცხეში მაგრილებელი საჭუკელია. ასე რომ, ქართველს, სხვა (შაქრიან) ხილთან შედარებით, კიტრისთვის ფასი არაფერი მიუყლია, და როცა რაიმე საგნის უფასურობა უნდა გამოხატოს, იტყვის: კიტრის ფასად ღირსო.

კლანჭამოხადები ჰრღ. რასაც ქვანჯები გამოედება. სვკ. რაიმე ვნების მისაცუნებელი მიზეზი, დაპატრონების, წართმევის საბუთი. „ჩვენის საზოგადოების მეორე ნაწილმა, უფრო უმრავლესმა, განდევნა სრულად პირველთა დედა-აზრი და ირჩივა საქმის გათავება ისე, რომ გლენსა და ნახატონარის შორის ცოტა კლანჭკამოსადები რამ დარჩენილიყო“ (ილ. პავლეაძე, VIII, 7).

კლანჭის გამოკვრა, მოღება ჰრღ. კლანჭის მოხვედრება. სვკ. განსაზღვრა რაიმე ვნებისა და ზიანის მიყენებისა, დაპატრონება, ხელში ჩაგდება, მოტაცება, წართმევა, შოვნა. „თუნდ ეგ არ იყოს, ხომ მე და თქვენ შეგვიფიცნია, რომ მანამ პირში სული გვიდგა, „მოამბე“ უნდა ვლანძოთ! კლანჭი რომ ვერაფერს გამოკვარ, ეგ მოუგონე, რომ ლობიო — შეკუმანდი არ არის-მეთქი, ნ. ბარათაშვილის ლექსშია“ (ილ. პავლეაძე, IV, 106); „მოღმანე სქედნობდა ის, რომ არამც თუ ლევანის საკუთარ ქონებას ვერ მოსდო კლანჭები, როგორც ფიქრობდა, არამედ სულ უბრალო მიზეზიც კი ვერ უბოვნია, რომ ჯამაგირიდან მაინც დაეხუთნა რამე“ (მელანია, ნავარდობა).

კლდე ჰრღ. ერთნაირი აგებულების ქვის დიდი გროვა, ციკაბოდ ამართული, მოსხლეტილი. სვკ. სიმბოლო გულქვაობისა. უგაძრობელობისა, უღმობელობისა. შეუბრალებლობისა. დადებითი მნიშვნელობით კი: სიმაგრე, სიმტკიცე. „დღულარდუბტ არის დიაცი, მაგრა კლდე ვითა ლოღია“ (შ. რუსთაველი, 1221); „ჩვენ როცა კაცის ხასიათის სიმტკიცე გვირდა გამოგსახოთ, ვამბობთ: კლდეა, სწორედ კლდეო“ (ვაღ-ფშავლა, VI, 23).

კლდემ ქვეშ მომითანა ჰრღ. კლდეზევიდან გადამეფარა. სვკ. დაგულუბ მოვისებ, მოვკვდი. „გზა გამიკაფა მაგრამ ეამმა მიმუზთლა და არ და

მაცალა ზედ გამეფლო... მომიტანა კლდემ ქვეშა და, ხომ ჰხედავ, იცე ვქრები, როგორც ცეცხლი, როცა გარედამ ჰაერი არა შევლის!" (ილ. პავლევიძე, II, 84).

კლდე-ღრეზე გადაიჩეხვა, კლდეზე გადაიჩეხვა ჰრდ. ამბოღებული ადგილიდან ძირს გადაიშლურევა. სტვ. დალუპვა, თავზე დატყდომა დიდი უბედურებისა. დიდი ხიფათის მოსვლა, სიკვდილი. „ღმერთი არ არის თქვენში, — ერთი ღვთის გულისათვის მაინც უბატონიეთ ამის მთქმელსა, თორემ სადავე თუ მიუშვით, ვინ იცის, რა კლდე-ღრეზე გადაიჩეხოს!“ (ილ. პავლევიძე, IX, 130); „გმ. ვაჩაშვილი, ვერ ყოფილხარ შორსმჭვრეტელი! შურისძიებამ და შიშმა დაგაბრმავა, ავაჩქარა და, ლამის, კლდეზე გადაგჩეხოს“ (ვ. ბარნოვი, სამი რომანი, 72);

კლდედან რძე აღინა ჰრდ. კლდისაც კი მოაცემინა რძე. სტვ. მეტისმეტი ვაბრჯეა, მეტადინეა. „უშიშას ახალი კერა ძველ ოჯახებს უნდა დასწორებოდა. დატრიალდა ჯარასავით ვაქაიის დედა. შეღავათი აღარ მისცა თავის თავს. ახალქალობა თუ დაუბორონდა უკვე გატეხილს. აიყოლია რძალიც. კლდედან რძე აღინა მათმა უწყვეტმა შრომამ“ (ვ. ბარნოვი, ფერად-ფეოდაი, 491).

კლდის მონატები ჰრდ. კლდისაგან მოტეხილი ნაწილი. სტვ. მეტად ღონიერი, ძლიერი, ვინც კლდეებზე დგას ბრძოლაში, ანდა ვაჭირებებაში. „ჩვენი გრიგოლ ჯანდიერი მონატები არის კლდისა“ (პ. უმიკაშვილი, I, 116).

კლდის ნაგლეჯი ის. კლდის მონატები, კობიანთ სუფრა ჰრდ. კობიანელების მიერ პურის საქმელად სტუმართათვის გაწეული სუფრა. სტვ. მეტად ლაობიული საქმელ-სასმელი, ხელმოკერილი გამასპინძლება.

კობიანელები აზნაურები იყვნენ. ქალ. დუშეთის ახლოს, სოფ. კობიანთკარში ცხოვრობდა ერთი კობიანელები, რომლის პურმართობა სახელგატეხილი ყოფილა არაგვის ხეობაში ისევე, როგორც ერთი ციციშვილისა (იხ. „ციციანთ სუფრა“) ქართლში. შემდეგ ეგ სიტყვა-თქმა განზოგადდა. **კლდალას ენა** სჯამა ჰრდ. კლდალას ენა საქმელად გამოუყენებია მიახანს.

სტვ. ბევრს ლაბარაკობს, ენად არის გაკრფილი, ლაბარაკით არ იღლები. ძველი რწმენით, თუ პატარას კლდალას ენა აქამეს, ენასაც ძალე ამოიღვამს და საუცხოო ნოლაბარაკეც იქნებო.

კლდალას (კლდარას) უსტვენს ჰრდ. კლდალას ენახის სტვენით. სტვ. უსაქმურია, ზარმაცი, საქმეში მოღუეული, საქმის კეთება ეზარება, დაყილობს, უქნარაა. მგლ. „იმის, ჩემო ძმაო, საქმე აქვს შემოღუეული, მთელი დღე კლდალას (კლდარას) უსტვენს და ჰგონია, რასმე ვაკეთებო“.

იმერეთში, სადაურიცაა ეს თქმა, მწყერზე მიმინოთი ნადარობდნენ. ყანაში აფრენილ მწყერს რომ შეუტყვდნენ მოზინაურებულ მიმინოს, თუ მწყერს დაიქერდა, მიწაზე დაჯდებოდა და წიწკნას დაუწყებდა. თუ მწყერი გაუფრინდებოდა, სადმე მახლობელ ხეზე შემოაჯდებოდა მიმინო. პატრონის ხორცის ნაჭერს დაიქერდა ხელში, მიმინოსაკენ გაიშვირდა და დაუწყებდა სტვენას, წრუწუნს, რათა მიმინო ხიდან ჩამოფრენილიყო. თუ მიმინო კარგად იყო მოზინაურებული, იმ წრუწუნზე მართლა ჩამოფრენილბოდა.

ამის მიმსგავსებით, ერთმა უსაქმურმა კაცმა ვანხმარ მუხაზე მიმჯდარ კლდალას, ანუ როგორც ეძახიან იმერეთში (გურიაშიც), კლდარას სტვენა დაუწყო: იქნება ძირს ჩამოვიყვანო ეს ლამაზი. ქრელი ფრინველი და მწიბვლების წინაშე თავი მოვიწონო — ნახეთ, რა ბიჭი ვარო! მაგრამ კლდალა იმაზე უკვიანი გამოდგა, თავი არ მოატყუებინა და ხეზე დარჩენა, კაკუნი და იქიდან ქიების გამოყვანა განაგრძო, კაცს კიდევ შერჩა სახელი უსაქმურისა, ცაში ვარსკვლავების მთვლელისა. თვითონ თქმა — **კლდალას უსტვენს** — გადაიქცა გამომხატველად უსაქმურობისა, ნაცარქექიობისა.

კლდელი ნინო ჰრდ. სოფ. კლდას მცხოვრები მკითხავი ნინო. სტვ. ყველაფრის მცოდნე, მიხვედრილი, ყველაფრის შემტყობი, შორსმჭვრეტელი.

სოფ. კლდაში (ქვემო ქართლი, აღგეთის ხეობაში) XIX საუკუნის გასულს ცხოვრობდა მომავალი ბედ-იღბლის მკითხავი ქალი ნინო, რომლის ქება და სახელი შორს იყო გასული. ნინოს-



თან საკითხავად მოდიოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ყველა შორეული კუთხიდან. შემდეგში კოდელ ნინოს სახელი ყველაფრის მცოდნეობის სინონიმად გადაიქცა. როცა ვისმე მოსთხოვდნენ რისამე ცოდნას და ის-კი ვერ უპასუხებდა, თავის ვასამართლებლად ეტყოდა: „მე ხომ კოდელი ნინო არა ვარ, ეს ვიცოდეთ!“ ან კიდევ, როცა უბრალოდ რამ იყო გამოსაცნობი და გამოსარკვევი; და ვერ-კი მიხვდებოდნენ, საყვედურის კილოთი ეტყოდნენ: „ამას რა კოდელი ნინო უნდაა?!”.

კოვზისპირა პრ. კოვზის პირის მსგავსი. სვ. ძალზე განზდარი, კნაქა, თხელი. **კოვზის ჩავარდნა ნაცარში პრ.** კოვზის ნაცრით მოსვრა. სვ. ცუდი საქმის დამართება, ხელის მოცარება, გაუმარჯვებლობა, წაგება, ხარალი, დამარცხება, გაუბედურება. „თუ ამ ბიჭმა დუქნის საქმეც ასე თავმინებებულად აწარმოვა, სწორედ წაგებულნი და შექმული იქნება ყოველივე; მაშინ კი ნამდვილად ჩაგვივარდება კოვზი ნაცარში, — ვაფიქრა მწარედ“ (დემიტრი) (გ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 163).

როდესაც კერძის ქამის დროს, კერძის პირას, კაცს კოვზი ხელიდან გაუვარდება და ნაცარში ჩაუვარდება, ქამის პროცესი ბრკოლდება. და დღეს, როცა მოულოდნელად ხელი მოგვეცარება საქმეში, ჩვენი იმედი არ გამართდება, ჩვენს მდგომარეობას ასე გამოვხატავთ: **კოვზი ნაცარში ჩამივარდაო.**

კოკისპირული წვიმა პრ. კოკის პირიდან მომავალი წყლის მსგავსი წვიმა. სვ. დიდი წვიმა, თავსხმა. „მთები და ხეობები გაივსო ჯანლებით და ღრუბლებით; დაუშვა კოკისპირული წვიმა, შეერთებული კლდეთა ტრემლთან“ (ვაჟა-ფშაველა, VI, 326).

კომბალა პრ. კომბალას მსგავსი. სვ. გაუგებარი, შეუსწინელი, უბეში გაუთლელი.

კომბალა საძრახი სიტყვაა. კბნეთში ამ სიტყვას შეუგუნებლობის, სიტლანქის გამოხატველად ხმარობენ.

კომლზე კაცი პრ. და სვ. თითო კომლზე თითო მამაკაცი უნდა იყოს გამოგზავნილი (ლაშქარში, სასაფლო სამუშაოდ და სხვ.). „კვირამდის სოფელში არავის გაუგია პავლეს და

მაროს ამბავი. კვირა-სალამოს სოსიკას ბიჭმა დაიარა მთელი სოფელი და კომლზე კაცი დაჰპატიჟა მაროს ხიზნობაში“ (გ. გაბაშვილი, რჩვეული ნაწერები 55).

კომლი ის კვამლი.

კომების შეცვრა პრ. შუბლის კუნთების შექმუხვა. სვ. გაჭირვება, გარისხება, გაწყრომა, მოწყენა, დაღარდინება, დანაღვლიანება. მკლ., „ვენახის დასეტყვის ამბავი რომ უამბეს ზურაბას, კომები შეიკრა, სახე საშინელი შესახელი გაუხდა“.

რამე დასალონებელი ან უსიამოვნო ამბის გაკონების დროს სახე დავეინაკლებდა, წარბების კუნთები შეერთდება. წარბებს ზემოთ კომები ანუ ბორცვები გაუჩნდება და ერთიმეორეს მიეკვრის, საერთოდ მთელი სახე მეტად საშინელი შესახედავი გახდება.

მთელ ასეთ მდგომარეობას დალონებული, გულმოსული თუ განრისხებული კაცისას ვეძახით წარბების ანუ კომების შეცვრას და ხატოვანად ვგულისხმობთ აღამიანის განრისხებას, გულის მოსვლას, დალონებას, დაფიქრებას. აქედან: **კომებზე შეკრული:** „ა. ცაგარელის პიესების მოსმენის დროს შეუძლებელია კაცმა მოიწყინოს, რაც გინდა კომებზე შეკრული აღამიანი იყოს და დანა პირს ვერ უხსნიდეს“.

კომიტი, კომიტანი პრ. ხისაგან შავად გაჩორკნილი ქურჭელი. სვ. შავი ფული შაურისანის ღირებულებისა. „არც სრომა, დარდი თუ რამე ზრუნვა. სამი კომიტის რძე თუ მაწონი მთელ ოჯახს ჰყოფინს“ (გ. ბარნოვი, თეთრი გვირგვინი; 12); „ყაზანმა ამოიღო ჯიბიდან კომიტანი, რომლისთვისაც სარკიდვან ანაფხეკი ვერცხლის წყალი წაესვა და ვერცხლისფრად დაეფარა“ (ა. ყაზბეგი, I, 83).

რუსეთის იმპერატორ პავლე I-ის (1754 — 1801) და მისი შვილის ნიკოლოზ I-ის (1796 — 1855) დროს მოქრილი სპილენძის შაურიანები მეტად ტლანქი რომ იყო, ჯამის ოდენებით მიძე, თითქმის გაჩორკნილები არიანო. ჩვენში ამ გამოკომიტებულ ფულს XIX საუკუნის მეორე ნახევარში პირდაპირ კომიტს ეძახდნენ.

კორძი შენს ენას! პრ. კორძი გამოვივიდეს ენაზე! სვ. ლაპარაკი აღარ შეგძლოს, დაგამუნჯოს, ენა ჩაგვივარდეს!

კორძი ანუ ხრტილოვანი ხორცმეტი ფრინველთა გამოუღიოთ ენის წვერზე და წყლის დაღვევას უშლის. თვითონ თქმა წყველის ფორმულა და მიმართავენ ისეთ ადამიანს, რომელიც ცუდს, უსიამოვნო, სამწუხარო ამბებს უამბობს მსმენელთ, აზინებს მათ, გულს უხეთქავს ან მეტისმეტ ლაქლაქით ისე მოაბეზრებს ყველას თავს, რომ თავბედს აწყველინებს.

კოჭაობა ფულით პრ. კოჭაობის მაგვირად ფულის ხმარება სათამაშოდ. სტვ. ბევრი ფულის ქონება, იმიდიდრე, ქონებრივი სიჭარბე. „იმინი ცოლი, კეკე, ძალიან ყოყოობს, მამალ ბუზს თავზე არ ისევამს, აქაო და სხვისა ოფლის მონაგარი ფულეებით ვკოჭაობო“ (ფნ. მენტეშაშვილი, „ივ.“, 1902, № 258).

კოჭებამდის ცემა თმისა პრ. ფეხის კოჭებამდე მოწოდენა თმისა. სტვ. მეტად გრძელი თმის ქონა. „სალომე: რა თმა აქვს (კეკელუსს) და! კოჭებამდინა ს ცემა!“ (გ. ერისთავი, IV, 83).

კოჭებში ეტყობა პრ. კოჭებშივე ჩანს რა თვისებისაცაა! სტვ. ცუდია, არ ვარგა.

გაცნობა თუ დაფასება კაცისა ფეხებიდან იციან: იმას უყურებენ, რომ შეიტყონ მისი სიაყარგე. ეს თქმა იხმარება უფრო იმ შემთხვევაში, როცა კაცის დაცინვა უნდათ, მისი ღირსების უარყოფა.

კოჭზე დუდილი პრ. ჩუხჩუხით დუდილი წყლისა, როცა ასროლილ კოჭივით ხტის ორთქლის ბუშტები წყლის ზედაპირზე. სტვ. საქმის კარგად წასვლა, გამარჯვება.

როცა ცეცხლზე შემოდგმული წყალი 100 გრადუსზე დუდილს იწყებს, ორთქლის ბუშტებს ზედიზედ ისვრის, თითქოს კოჭს ათამაშებენ და მარდად და ზედიზედ ისვრიან მაღლა კოჭსაო. წყლის ასეთ სრული დუდილის მდგომარეობას, როცა ის მაღლა ასროლილ კოჭს მოგვაგონებს, ვეძახით კოჭზე დუდილს (წყლისას), ან კიდევ ვიტყვით: კოჭი დაიგლო წყალმაო. აქედან, გადატანით, როცა კაცს რაიმე წამოწყებასა და საქმიანობაში ხელი მოემართება ან ძალზე გაუმარჯვედება, ვიტყვით: კოჭზე დუდილსო (იგულისხმებ: რაიმე საქმე). მაშინაც, როცა სულიერად ძალზე აღივებულა ვინმე,

პირიდან ცოფებსა ჰყრის, ვიტყვით: კოჭზე დუდილსო.

კოჭი დაიგლო წყალმა იხ. კოჭზე დუდილი.

კრავი პრ. ცხვრის შვილი. სტვ. ტკბილი გუნების ადამიანი, სუსტი არსება, უწყინარი. „ნეტა, ღონიერი და ძლიერი ინგლისი რად იკადრებდა სამართალს, როცა მოპირისპირედ უღონო და პატარა პორტუგალია უდგა, საცა, ერთის მხრით, პირდაღებული ვეშაპია და, მეორე მხრით, — მობუზული კრავი. იქ, ეხლანდელს დროში, სამართალს დაეკითხებოდა ვინმე?“ (ილ. ჰეკუვაძე, X, 53).

კრინტი დაძვრა პრ. პირიდან ჰაერის გაშვება ტუჩების საშუალებით. სტვ. სულ მცირე ხმის ამოღება, მისუსტებული ლაპარაკი. „მეორედ აღარ ვაბედო, კრინტი აღარ დასძვრა, თორემ ქვეყანაზე თავსლაფს დაგასხამთ, გამოგაქვებთო“ (ფნ. მენტეშაშვილი, „ივ.“, 1903, № 255); „შინისაგან პირში ენა ჩამივარდა. ახლა, ამასთან, თოფებიც ჩემსკენ გამოიშვირეს (ლეკებმა) და მომამახეს: კრინტი არ დასძვრა, თორემ აქვე გაგაქრობთო, მტაცეს ხელი და შემოქვს მაგრადა“ (მელანი, ნაგარდობა); „მისახურები გაოცდნენ, როცა ნახეს გონჯი, მაგრამ კრინტს როგორ დასძვრავდნენ. თუ ვინმე გაჰმედავდა აუგის თქმას, ენას მოჰკეთდნენ“ (გ. ბარათი, ვარდუნიანები, 231).

კრივის შეცვრა პრ. საკვრელით შევიწროება წისქვილის ღარისა, საიდანაც ხორბალი ჩამოდის წისქვილის ქვის თვალში. სტვ. ლაპარაკის უნარის თუ ხალისის წართმევა, გაჩუქება; უქმელობა. „ვის მოუვა ფიქრად, რომ ბოროტის მხილებას კრიჭა შეუქარას ვისიმე წყენის შიშითა, თუ არ დოყლაპია ლინბერალსა! (ილ. ჰეკუვაძე, ქვათა ღაღადი, 14); „მედაც ღამკარგა, თითქო კრიჭა შეეკრაო, საქმელს აღარ ეკარებოდა“ (ფნ. მენტეშაშვილი, „ივ.“, 1898, № 132); „არ შემცივდა-მეთქი, — ვუთხარო ძლივძლივობით, რადგან სიცივისაგან კრიჭა მქონდა შეკრული. ანკი რა მათქმევიწებდა, შემცივდა-მეთქი?“ (ვაჟა-ფშაველა, V, 63); აქედან: კრიჭა შეეკრული: „ჩვენს ახალგაზრდებს შინისაგან მუხლთ მოჰკვეთოლათ და კრიჭა შეეკრული მუჯებივით



იდგნენ ერთ ადგილას“ (ნ. ლომოური, 155); „დარიკო ხმაგაქმენდილი იუღდა მწუხარებისაგან კრიქა შექრული“ (დ. კლდიაშვილი, სამან. დედინაცვალი, 30).

კრიქაში ჩადგომა პრ. წისქვილის ხეიმირს ამოკრულ და ხორბლის სადენელ ღარში მოთავსება თავისა. სკვ. ხელის შეშლა, მოჭიშპეობა, ჯიბრში ჩადგომა, მეტოქეობა. „ვიდრე ამ კაკების მტვრევის ამბავს კრიქაში ჩაეჭიდებოდა და არაქათს გაეჭყვყვებოდა, საქიროა გავიხსენოთ, რომ ყველა ეს ამ ზამთარს მომხდარა“ (ილ. გვაგავაძე, IX, 214); „დარიკო კრიქაში ჩადგომოდა რამაზს, ესაუბრებოდა, უღომოდა, ცდილობდა წინანდელი ცეცხლი დაეტრიალებინა მის გულში“ (გ. ბარნოვი, ფერად-ფერადი, 477).

კრიქის გახსნა პრ. შეკრული კრიქის განთავისუფლება. სკვ. ვნის ამოდგმენება, ლაპარაკის დაწყებინება. „ფილოსოფიაში და ღვთისმეტყველებაში არ გამოიყვანიდით, — ჩაურთო სიტყვა ელიკომ, რომელსაც ნაცნობ სავანზე ლაპარაკმა გაუხსნა კრიქა“ (გ. ბარნოვი).

კრული პრ. შეკრული, გადაბმული. სკვ. წყეული, შეჩვენებული, უბედური, ხსნის ყოველსავე საშუალებას მოკლებული. „არც ერთი მათგანი არ იყო ისეთი, თვალი შეპვარდნიყო ქალწულს მათზე; გული კრული ასდგერებოდა“ (გ. ბარნოვი, თეთრი გვირგვინი, 24).

კრუხივით შინ ჯდომა პრ. კრუხის მსგავსად სახლში ყოფნა გარეთ გამოუსვლელად. სკვ. როცა კაცს ურჩევნია თავისუფალი დრო შინ გაატაროს, შინ ჯდომის სიყვარული. მგლ., „უცნაური კაცია ჩვენი ტატე, კრუხივით ერთავად შინა ზის, და თუ ვინმემ ძალით არ გაათრია, თვითონ რაც უნდა საქმე ჰქონდეს, გარეთ არ გაიხდეს“.

როგორც ვიცით, როცა კრუხი კვერცხებზე ზის გამოსაჩვენებლად, იქიდან კაცი ვერ აავდებს, ზის გულმოდგინედ კვერცხებზე, ცდილობს სიტომ არაფერ მოაქლოს, დღე-ღამეში ერთხელ თუ ჩამობტება წყლის დასალევად, საკენკის ასაკენად და ისევ საბუღარს მიამაუჭრებს.

კრუხის თავი უჭამია პრ. დაკლული კრუხის თავი საქმელად მიუღია. სკვ.

ბევრი, დაუსრულებელი ლაპარაკი იცის.

კრუხი როცა წიწილებს ზრდის, სულ ხშიანობს გულის გამაწვრილებლად და ამით მტერს ამინებს, რომ მის წიწილებს არაფერი ავნოს.

კრუხის თავის შექმა, თანახმად ზვენი ხალხის ცრუმორწმუნეობისა, ადამიანს უვითარებს ლაპარაკის უნარს და გაუწყნარებელიც ამეტყველებს მოშლილ წისქვილივით. ამრიგად, კრუხის ხშიანობა გადატანილია ისეთ ადამიანზე, ვინც ერთავად ხშიანობს, დაუსრულებელიც ლაპარაკობს, გააქვს და გაშრაქვს და ამით ყველას გულს უწყალბებს.

ამრიგად, ეს თქმა, ლეჩხუშიში გავრინილი, ისმარება ისეთი ადამიანის მიმართ, ვისაც ბევრი ლაპარაკის თავი აქვს, ვინც ძალზე ყბებდა.

კრუხის შალე პრ. კრუხის დასაბმელად მიწაში ჩარკობილი მოკლე ჯობი. სკვ. (და დაცინვით) დაბალი, ფეხებიდან მოცვეთილი (ითქმის მეტად დაბალ კაცზე).

კუბოს კარამდე პრ. კუბოში ჩაწოლის დრომდე. სკვ. სიკვდილამდე, სანამ ცოცხალია, შუდამ. „მე კი... მე მსურს ჩემი ცხოვრება პატივით ვატარო, უმწიკვლოდ მივიტანო ჩემი ქალობა კუბოს კარამდე“ (გ. ბარნოვი, სამი რომანი, 397); „თქვენი აღზრდელნი შვილნი, საქართველოს მსახურებელნი გმირნი და სამშობლო ქვეყნის ყოველ საკეთილო საქმის უსაზღვროდ თავგანწირვით მოყვარულნი ყოფილიყვენ კუბოს კარამდე“ (დ. მანანელი, „ივ.“, 1901, № 224).

კუდაბზიკა პრ. ვისაც კული აბზეკილი მალლა აშვერილი აქვს. სკვ. ამპარტავანი. აქედან: კუდაბზიკობა: „ასეა ადამიანის ბუნება... თავისი თუ არა ეხარჯება-რა, თავის გამოჩენას არაფერი ურჩევნია. კუდაბზიკობა ცხოვრების ერთი ქაბრაკთავანია“ (აკაქი, I, 205).

კუდაკრეფილი ის. კუდამოძუებული.

კუდამდე გატყავებული პრ. ტანზე ტყავშემოცილი. სკვ. აკლებული, გაღარიბებული, გაჭირვებული, მეტად დაზარალებული, ცარიელ-ტარიელად დარჩენილი. „იმოდენა ფოჭტიჟულად გვიმატებს მუდამ წელიწადს მთავრობა, რომ აპალთია დედამიწასთან

გავსწორდეთ, კუღამდე გატყავებულენი“ (დ. მანხანელი, იგ., 1901, № 202).

კუღამდე ტყავის გაძრობა პრე. მთელი სხეულიდან კუღამდე მოშორება ტყავისა. სკვ. ძალზე დაზარალება, მთლად გაღარბება, ყველაფრის წართმევა; ცარიელ ტარიელად დატოვება. „ხეხათესეის მიმდევარი შვილი ხელიდამეცლებდა; ამის დამარხვანზე ვალი დავედება; ვალს ვალი მიემატება და ამის ერთ შვილს კუღამდინ ტყავი გაძვრება“ (ს. მგალობლიშვილი, I, 25).

საქონლის გატყავება როცა უნდათ, კისრიდან იწყებენ და კუღამდე რომ მივლენ, მორჩებიან კიდევ სხეულისათვის ტყავის ჩამოშორებას, ასე რომ, კუღამდე გატყავება ნიშნავს მთლად გატყავებას, ანუ ხატოვანად — სასებით დაზარალებას, ყველაფრის შეძროკლას, ცარიელ-ტარიელად დარჩენას.

კუღამოძუებული პრე. უკანა ფეხებში კულნადებული. სკვ. დარცხენილი, შეწინებული, თავის საშველად გაქცეული. „ჰა და რა არი! წყლან ხედამდი, ბლუნძელაშვილი რარივ კუღამოძუებული წამოვიდა... ფიდუსაც კი ენა ჩაუვარდა“ (ს. მგალობლიშვილი, I, 102); „კუღამოძუებული თანამშრომელი გამოვიდა გარეთ ბუტბუტით. „მოდი და გაიგე ამით თავი და ბოლო!“ (აკაკი, I, 212); „ნიკოს მტერ-დუშმანები წელმოწყვეტილი გველებივით მიხობავდნენ თავიანთ სახლისაკენ, ჩემგან პირში ჩაღამოვლებულები, კუღამოძუებულიენი“ (დ. მანხანელი, იგ., 1899, № 149).

ქურდობაზე რომ მოასწრებენ ძალღს, კულ უკანა ფეხებში ჩაიყოფს, ამოიძუებს, აიკრეფს და ისე გაიქცევა. ასე იქცევა მაშინაც, როცა სხვა ძალებთან ჩხუბი მოუვა, ამ ჩხუბის დროს თავის თავს ძლეულად ჩასთვლის და თავის საშველად გაიქცევა. ეს სიტყვა აღამიანზე ასეთი შემთხვევის დროსაა გადატანილი.

კუღაწარა პრე. ბაწრის მსგავსი (გრძელი) კუდიანი. სკვ. ყველგანწყოფი, ყველგანმძრომელა. „ხეხარამხესთან თითქმის ყოველდღე დაიარებოდა ერთი კუღამაწარა დედაბერი, რომელიც გამოუძახებდა ხოლმე (ხე-

რამხეს) ქობის ხრიხალთან და სულ იმას უჩიჩინებდა უჩუმრა...“ (დ. მანხანელი, იგ., 1899, № 92).

ხრიხალი — ალაყაფის კარის მაგივრად გადებული ხეები.

კუღადაბმულობა პრე. ერთმანეთთან კულიკულს ვადაბმა. სკვ. ერთიმეორისათვის ჩუმიად დახმარება, ან ერთად უჩუმრად კეთება რისამე ისე, რომ სხვამ ვერაფერი გაიგოს და ვერ ჩამორჩეს; საიდუმლოდ გაკეთება რისამე, შეიძლება სააუგოსიც.

სოფლად კუღის აწვევით მიეშველებიან ხოლმე დევიარდნილ საქონელს. თქმა არის: „კუღსაწვევიაო“, ე. ი. თავისით არ შეუძლია თავისთავს უმატრონოს, თუ გარეშე თავი არ მიეშველა.

კუდიანი, კუდიანობა პრე. ცხოველი, რომელსაც ხერხემლის ძვლის ვაგრძელება აქვს. სკვ. ეშმაკი, ცბიერი, გაიძვერა, მატყუარა, გამცურებელი, მეტისმეტი მარჯვე, მოხერხებული და მიხვედრილი. „თუ ეშმაკი იყო, მამ ვარდლამ, რომ ჩვენ ყვორილზე სულ ბოლო დროს, კარი გაგვიღო, ჩემს სახლში რალათ შევიდა?.. ვაი თუ კუდიანი ია!“ (რაფ. ერისთავი, IV, 22); „... ორნი ერთი: ან მართლა ამ უნარს მოკლებულია (თ. გ. თუმანოვი), ან ცოტა თუ ბევრი ლიტერატურული კუდიანობა სცოდნია“ (ილ. ჭავჭავაძე, IX, 33); „დედაკაცს ძველთავანზე დაუწყია ჩხირკედლაობა: ქადაგმკითხაობა, შელოცვა ანუ ექიმბაშობა, ლოცვით და სხვა მრავალი ხრიკები, რითაც გაუეჭვიანებია მამაკაცი. ამიტომ მამაკაცმა არც აცივა, არც აცხელა და ხელობა კუდიანობისათქმის მხოლოდ დედაკაცს დაულოცა“ (ვაგა ფშველა, ეთნოგრაფიული წერილები, 174).

კუდიანს უწოდებენ ადამიანს, რომელსაც, ხალხის ძველი რწმენით, კავშირი აქვს ეშმაკთან, მზაკვართან, და, მათთან ანალოგიით, კული აქვს ხილული. კუდიანის დანიშნულება: ავნოს ადამიანს, ფეხი წაატეხოს ყველაფერში, ხელი მოუცაროს საქმიანობაში, არაფერში გაუმარჯვოს, კუდიანების უფროსის — როკაპის მუდმივი სამყოფელი — ტაბაკოლას მთაა (სამეგრელოში, მარტვილს ახლო), სადაც ყოველ წელიწადს ელიობა ღამეს (ივლისის 20-ს)



დღეობა — კუდიანობა (კეჭეთობა). ცრურწმენით, ქვეყნის ყველა მხრიდან თავს იყრიან კუდიანები და თავიანთი მოღვაწეობის წლიურ ანგარიშს აძლევენ თავიანთ უფროსს. კუდიანების საქმიანობას კუდიანობა ეწოდება.

როცა ორი ან მეტი ადამიანი, სხვათა უჩუმრად, თავისთვის რასმე აქეთებს, სხვის არ უზიარებს, თუ რა აქვს გულში — ვამბობთ: ამათ კუდი - კუდზე აქვთ გადაბმული ან კუდაგადამბულობა აქვთო.

კუდიანობა ნიშნავს ეშმაკობას, მასალაძმე, კუდის გადაბმა კუდზე გულისხმობს ეშმაკის საფერი საქმის კეთებას. ეს თქმა შეეფერება საზოგადოების არასანდო, მოღალატე, გაიძვერა წვევრებს და მათ მიერ განზრახულ საქმეშვეშეშო, საჩუმათო და საძრახ საქმეებს.

კუდვარდა ჰრდ. ვარდის კუდიანი მოსამსახურე ანდა ქალი საზოგადოდ. ზღვ. ძალზე მორთული, ვინც თავის გარეგნობისათვის უფრო ფიქრობს, ვიდრე საქმის გაკეთებაზე. მგლ., „ჩვენი ახლად მოყვანილი რძალი კუდვარდა ვინმეა“.

კუდზე მიბმული ვარ ჰრდ. ვინმეს კუდზე ვარ რამე საბმელით მიკრული. ზღვ. განუშორებელი ვარ, ვდარაჯობ, მგლ., „ერთ წუთს ვერ მოგშორები-ვარ, თითქო კუდზე ვიყო შენზე მიბმული“.

კუდზე ფეხი არ დამადგა ჰრდ. ფეხით კუდს არ შეეხო. ზღვ. ვერას მადნებ, ვერას დამაკლებ, ტყუილად მემუქრები, შენი მუქარა შენთვის შეინახე.

კუდი ავუწიოთ ჰრდ. კუდზე ხელი მოეკიდოთ და მალა აეპართოთ. ზღვ. გაფუჭებულ საქმეს მივეშველოთ, დაცემული წამოვაყენოთ. „მაგან იქ კუდი უნდა აუწიოს იმის მოჯამაგირებს, თუ რა დღისიმეგრეობა უნდა გაუწიოს, — თავის მხრივ გამოელაპარაკა ცოლს ხითათი“ (მგნ. მწთუნაშვილი, „იგ.“, 1898, № 195).

კუდიანი ტყუილი ჰრდ. ტყუილი, რომელსაც ხერხემლის ძვლის გაგრძელება აქვს. ზღვ. ტყუილი, სულ ადვილად დასამტკიცებელი, ცხადი, ყველასათვის შესაძრწმენელი. „აშკარაა, ნამბობი ვითომ და გლებია: ამ ზამთარს წყლები გაგვეყინა, ასე რომ უწყლოდ

დავრჩითო, ან კუდიანი ტყუილია გლებისა, ან ზღაპარია, თვით ავტორისაგან ხელდახელ შეხანხული“ (ილ. ჰაგვაძე, IX, 207).

კუდი ეწვის ჰრდ. კუდზე ცეცხლი ეკიდება. ზღვ. მოუსვენრადია, ეშინია, საფრთხეს მოლოდინ, დანაშაულზე დაიჭირეს, მტყუანია. „...ეგ სუ ქარგი, ტატე, მაგრამ ახლა ის საქმე კი არა ჰქნაით, რო ფიღუათანა კაცები გაიმაგროთ და სხვებს კი ხელი გაუხსნათ, — უთხრა მამასახლისმა, რომელსაც ტატეს ლაპარაკით კუდი მოეწვა და ხმას მოუტკბილა“ (ს. მგალობლიშვილი, I, 206); „განა არა ეხედავთ, კუდი რათ ეწვის ის შემთბევევაში თ. გ. თუმანოვს“ (ილ. ჰაგვაძე, IX, 333); „ხანუმა: კუდი ხომ არ მოგეწვია? ჰა, სონამ შემოგაკეთა?“ (აგნ. ცაგარელი, 18); „მაგ გარსეგან ხამელიეგს რაღა კუდი ეწვევა, მე ვერ გამიგია!“ (მგნ. მწთუნაშვილი, „იგ.“, 1903, № 255).

როცა რამე დანაშაულზე დაგვიქვარენ და თავის დასაძვრენი საშუალება მოსპობილი გვაქვს, ჩვენი დანაშაული სააშკარაოზე გამოტანილი, ჩვენი მდგომარეობა დადარებულია ცხოველისას, რომლის კუდი ცეცხლისაგან იწვის, მისი პატრონი კი უმწეო მდგომარეობაში ევარდება, ცეცხლს ვეღარ აქრობს, ყველა უყურებს, როგორ ეწვის კუდი, ე. ი. დანაშაულის ჩამდენია, უარზე თქმა არ შეუძლია.

კუდი ვერ ამიწვია ჰრდ. კუდის აწვევის ძალა აღარა მაქვს. ზღვ. მეტად ბებერი ვარ, დაესტუდათ, ძალ-ღონე სრულებით გამომეღლი.

კუდით ახაყენებელი იხ. კუდით სათარივეი.

კუდით დაბმა ვირისა ჰრდ. კუდის საშუალებით მიბმა რაზედმე ვირისა. ზღვ. უკულმა კეთება საქმისა, ჩიბრკედლობა უსაქმური, თავქეიფა ადამიანისა. მგლ., „მარტო შენისთანა უსაქმო კაცს მოუვა აზრად — ვირი კუდით დააბას ხოლმე“.

იმთავითვე, რაც ადამიანს ოთხ-ფეხი პირუტყვი მოუშინაურებია, როცა ამ პირუტყვის დაბმა და არსადგაშვება უნდოდა, საბელის ცალ წვერს კისერზე შემოავლებდა ან კიდევ თავზე აღვირით გაუკეთებდა იმავე საბელს და ისე დაბამდა ზაგანე ან მიბამდა რაზედმე.

სანამ მისი იქიდან მოხსნა და სამუშაოდ წაყვანა არ დასპირდებოდა. მაგრამ გამოერეოდა ვინმე ოჩოპინტრე, უსაქმური, ჩხირკედელაობის ტრფიალი, რომელიც ამ საცოდავი პირუტყვის კუდს სხვა ჭეშქციასაც მიაკუთვნებდა, ვიდრე მას ჰქონდა: საბელს მოაბამა ამ კუდზე და საბლს მყოფე წვერით მიაბამდა სადმე ისე, რომ ყოველ გაწევაზე საშინლად უნდა წველებულიყო, მართალია, ყველაფრის მომთმენი, მაგრამ მიინც პირუტყვი — ვირი. და ასეთი კაცის უკუღმართობა ვადაიქცა სინთიმად ჩიტირეკიობისა, გიჟლარობისა, ხეტობისა.

კუდით დაბმა (ვისიმე) პრ. კუდით მიმაგრება რაზედმე. სვ. მაგრად ჩაჭერა ვისიმე; მეტად შეზღუდვა, ადგომის და მოძრაობის საშუალების წართმევა; აბუჩად აგდება. შკლ., „არ შერჩა ნინიკას ქურდობა! წაასწრეს, დაიპირეს და კუდით დააბეს“.

საქონელს ჩვეულებრივ აბამენ რქებით, კისრით, ფეხით; კუდით დაბმა უფრო სასაჯელად ჩაითვლება. კუდით დაბმულს არ შეუძლია აიწყვიტოს.

კუდით დაჭრა (ვისიმე ან რისიმე) პრ. კუდში ხელის წავლება შესაპყრობად (ვისიმე ან რისიმე). სვ. მაგრად შეპყრობა, არგამოშვება. შკლ., „ეს საქმე კუდით დაევიჭირე ისე. რომ მე არ ამცდება“.

კუდით სათრევი პრ. კუდის საშუალებით ძირს დავარდნილი ფეხზე დასაყენებელი. სვ. სუსტი, უნიათო, თვითონ ყოველსავე უნარმოკლებული, სხვის დაუხმარებლად ვერარას გამკეთებელი, დავრდომილი, ღონეგამოცილილი. „ქვეყანამ ქვითკირის სახლები აიშენა შრომითა და გარჯილობითა და ჩემი ქმარი-კი იგეთი კუდით სათრევი მცონარა იყო, რომ ერთი ზურგი კუჭუჭუკ ვერ მოვატანინე ხოლმე ტყიდან და სიცივით ვიყინებოდით ზამთარში“ (დ. მაჩხაველი, „ივ.“, 1903, №23, 24); „კი-აზოს ოჯახს ხომ მით წიხლს არ დასცემდნენ ის იყო, კუდით სათრევი ხაროვით მიღონდილა სამაზროს სასწავლებლის გათავებამდის, რომ კი-აზომაც თქვენი ქირი წაიღო“ (ფნ. მენთეშაშვილი, „ივ.“, 1903, № 253).

როცა საქონელი დავარდება, იმის ხეზე წამოსაყენებლად, პირველ ყოვლისა,

კუდზე მოჰკიდებენ ხელს და ისე წამოსწევენ ხოლმე.

კუდით ქვა ასროლინა პრ. კუდის საშუალებით ქვა ატყორცინა შორს, კუდით ქვა აფანტინა იქით-აქით. სვ. გააქცია, საჩქაროდ თავიდან მოიშორა, გამოეკიდა, აჯობა, დაამარცხა, შეაშინა. „გამოუხტნენ (კობრეს ძმებს) ჯოხებით და კეტებით სოფლებები და სუ კუდით ქვა ასროლინეს!“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, II); „ბოლოს, ვსთქვი: მოდი, ერთი წავედო, დაუჯდები, უყარაულე და დამეროს გაუნაწყრომებ, დავიჭერ და სუ კუდით ქვას ვასროლინებო“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, II, 31). „ახლად წამოვიდნენ მოსვენებულნი სპარსნი და თითქმის სძლიეს შორს წარსულს ქართველებს. ეს რომ დაინახა მეფე ერეკლემ, თითონაც მიამშველა ახალი ჯარი და სპარსელებს ხელახლად სულ კუდით ქვა ასროლინეს“ (მ. იანჭოშვილი, თბილისის აოხრება ალა-შაჰჰადის დროს, 1795).

იგულისხმება: როცა ცხოველი ძალზე მირბის, კუდს ისე ძლიერად აქნევს, რომ ქვებს იქით-აქით ისვრის ხოლმე.

კუდი კუდას აქვთ გადაბმული პრ. ერთის კუდი მეორეს კუდზე გადახლართული. სვ. ერთმანეთს მხარს უჭერენ ტყუილსა და მართალში, ერთმანეთს ჰქომავებენ, ერთმანეთს ჰკერძავენ. „ეგ ვილამ მიმტრო და ტყუილად ამბავი მიუტანა, — სარდლისა და კოლას ერთად აქვსთ კუდი-კუდს გადაბმულიო“ (ფნ. მენთეშაშვილი, „ივ.“, 1903, № 249).

კუდის ამოძვება პრ. კუდის მიკუმშვა მუცლისაკენ. სვ. შეშინება, კრძალვა, თავის მორიდება განსაცდელისათვის, დარცხვენა, თავის საშველად გაქცევა. „ამოძვო კუდი და გაიპარა“ (რაფ. ერისთავი, III, 90); „სანამ კოლა მოაბერებეს რასმე, ისინი მაგას გუდანაბად აჰკიდებენ, კუდს ამოაძვებინებენ, რომ მაგან ამ სოფლის ღრუბელიც ვეღარ დასძლიოს, თვალს ვეღარ მოჰკრასო“ (ფნ. მენთეშაშვილი, „ივ.“, 1903, № 255). აქედან: კუდამოძვებული (იხ.).

კუდის აწევა პრ. დაბლიდან ზევით აშვერა კუდისა. სვ. შეძლება, ღონე. „შენ კი გაიხარე! კუდი ვერ ამიწევი, შეილო, რა თამაშობისა მცხელა“ (აფ. ცაგარელი, კომედიები, 99).



როცა პირუტყვი დაეარნდილა, მთელი სხეული მოღვნილი აქვს, ასე რომ, იმდენი ძალაც კი არა აქვს, კული მალა ასწიოს. პირუტყვის ამ მდგომარეობას არის დადარებული დასუსტებული ადამიანის მდგომარეობა.

კულის გამოშვება პრ. რასმე კული რომ გაუკეთო. ზვ. შეთხზვა, მოგონება ისეთისა, რაც არ არის, სალაპარაკოდ გახდომა, საქმედ ქცევა უწინშენელო რისამე, რაიმე ნათქვამიდან შეუძლებელი დასკვნის გამოტანა. „აბა, რას ამბობ, მამა გიცხონდა, ათას კულის გამოაბამენ“ (გ. ერისთავი, 176); „მაგრამ თ. ივ. მაჩაბლის ამბავი რომ ვიცით, იქნება ამოწერილი სიტყვები თავისებურად გადააბრუნ-გადმოაბრუნის და რაიმე სხვა კული გამოაბას“ (ილ. ჰავაძე, იგ. 1893, № 234).

როცა უწინშენელო ამბავს სალაპარაკო საგნად, საქმედ გაიხდის ვინმე და ყველას ყურადღებას მიაქცევინებს მისთვის, იტყვიან: მავანმა ამ სიტყვას თუ საქმეს კული გამოაბაო.

კული აქ ნახმარია მიმსგავსებით, ანალოგიით. როგორც ვიცით, კული ოთხფეხის სხეულს მობმული აქვს, გამოშვებულია უკან ისე, რომ ძალაუბნებურად იქცევეს ადამიანის ყურადღებას. უწინშენელო საქმე უწინშენელოდვე უნდა დარჩენილიყო, მაგრამ შეიტჩიარა, აბეზარი, შარბინი კაცი თხილის ნაპუკის საღირალ საქმეს თუ სიტყვას გაპბერავს, გააზვიადებს, რწყილს დააწვენს და აქლემს აშობინებს, უკუდოს—კულს გამოაბამს.

კულის გარეთ დარჩენა პრ. ხერხემლის ძვლის გაგრძელების დაუმალობა. ზვ. თავის მოტყუება, ხიფათისათვის თავის დაუღწევლობა. „დახეთ, დახეთ, რა სოროში შეძვრა დაბადების უმაღლ ეს აივრია?“ თუმიკა სოროში მიიშალეთ თავი, კული კი გარეთ დაგრჩათ“ (ილ. ჰავაძე, IX, 227).

კულის მოქნევა პრ. კულის მომართვა დასარტყმელად. ჩვენ მაინც არაფერი გვეშველა: ჩვენ ისევ შიშში დავრჩით, ვაი თუ ნიქოლოზმა კული მოიქნიაო, ასტეროს დანაკარგისათვის ერთი ალიაქოთი-თქვა!“ (დ. კლიაშვილი, II, 10); „ყველა თესლისა და ხარისხის კაცმა პატრივი სცა საქართველოს სახელოვან მეფის სახელს (1898 წ.) და მარტო თ. გ. თუმანო-

ვის ამქრის წარმომადგენლებმა ცხვირი ზევით ასწიეს, აინუნშიაც არ გაიტარეს. ეს ამბავი სამართლიანის გულისწყრომით და არისხვით შეინიშნა ყველამ და თ. გ. თუმანოვმა აქაც თავისებურად კული მოიქნია“ (ილ. ჰავაძე, IX, 342).

კულის ქნევა პრ. კულის მიმოხერხივით-აქეთ. ზვ. ალერსი, მოფერება, თავის დაძვრენა, გაძვერობა, ეშმაკობა, თვალთმაქცობა, მოტყუება.

ოთხფეხი (მაგ., ძაღლი ან კატა...) როცა ადამიანისაგან საქმელს გამოელის, კულს აქნევს ხოლმე და ამით გამოხატავს თავის ალერსს. ადამიანში ეს მოქცევა პირუტყვისა აღძრავს გულუხვობას და მისთვის ყველაფერს გამეტებინებს

კულის ძირამდე ტყავის გაძრობა პრ. სულ მთლად გატყავება. ზვ. უზომოდ ტანჯვა, გაღარიბება, გაუბედურება, უკანასკნელ დღეში ჩაგდება, ყველაფრის წართმევა, არაფრის შეჩენა, ცარიელ-ტარილად დატოვება. „თუ ცოტა რომ შეცდება, კულის ძირამდე ტყავს აძრობენ ხოლმე ლაძღვარ-გინებით“ (ს. შგალობლიშვილი, მოგონებანი, 147).

დაკლულ საქონელს რომ ტყავს აძრობენ, კისრიდან დაჰყვებიან და კულის ძირამდე მიდიან. აქ თავდება საქონლის გატყავება. ადამიანზე რომ იტყვიან — გატყავესო, ნიშნავს: ყველაფერი წაართვის, ქონებრივად გაღარიბებს, გაპირვებულ დღეში ჩააგდეს.

კულში ხელის წავლება პრ. ხელში დაქერა კულისა. ზვ. დაქერა, დაუფლება, თავისად მიჩნევა, დამორჩილება, თავის ნებაზე წაყვანა. „... ესთქვი: ჰა! აი ქვეყანას როდის გაეხსნება-მეთქი გზა „საზოგადოებრივი იდეალუბისაკენ“, აი, (მან) როდის წააგლო კული ხელს იდეალუბის ბოროტს...“ (ილ. ჰავაძე, IX, 257).

კუნტვა პრ. კრუნხვა, ტანის დაპატარავება. ზვ. თავის დამცირება, თავის დამდაბლება.

კურდღლის ძილი პრ. დაძინება, რომელიც ახასიათებს კურდღელს. ზვ. მეტად ფხიზელი ძილი. „ძილის დროს ცხენმა შეჭურუტუნა და ამით გამოაღვიძა კურდღლის ძილისაგან თავისი პატრონი, რომელიც მძინარევე ფეხზე დადგა“ (შგაღია, ბნელი).

საქართველოს
საზოგადოებრივი

კურდღელი მღრღნავი ძუძუმწოვარა ცხოველია. მეტად სწრაფი სირბილი იცის და თან მეტად ფხიზელია, მშობარა, ერთთავად ყურებდაცქვეტილი; კურდღლის ძილი საარაკოდაც გვაქვს და ფხიზელ კაცზე ეამბობთ ხოლმე: კურდღლის ძილი იცისო.

კურდღლობა ჰრღ. კურდღლის მსგავსად მოქცევა. ზგვ. სიცივიტე, ფხიზელობა, სომარჯვე; მშობარობა.

კურტანი **კურტანზე** არ დაადგა ჰრღ. კურტნები ერთიმეორეზე არ მოაქციო. ზგვ. მიხვედრება ამა თუ იმ საეშმაკო საქმის გასაკეთებლად.

რთველი მოახლოებულა. ვენახის თავში ნეველე დგას. ერთმა კაცმა კურტნანი სახედრები ჩაატარა. მეველემ წინდაუხედავად მიიძახა: შენ ახლა ვენახს რომ ჩაუვლი, მწიფე ყურძენს დაინახავ, ღმერთი არ გაგიწყრეს, კურტანი კურტანზე არ დაადგა, ვენახში არ გადახვიდე და ყურძენი არ დაკრიფოო...

მართლაც, მესახედრემ რომ ჩაიარა, დამკრახული ყურძენი დაინახა, მეველეს ნათქვამი ქუაში დაუჯდა და ისე მოიქცა, როგორც მეველემ თავისდაუნებურად ასწავლა: სახედრებს კურტნები მოხალა, ერთი მეორეს დაადგა, ზედ შედგა, იქიდან ვენახში გადავიდა, ყურძენს კარგად მიიძღა, ოამდენიმე მტევანი უბეშიაც ჩაიღო და თან მეველე დალოცა სწავლებისათვის.

დღეს ეს თქმა იხმარება იმ შემთხვევაში, როცა კაცი მოუფიქრებლად მოწინააღმდეგეს იარაღს ხელში დააქერინებს და თავს დააზარალებინებს. ან ასეთი მაგალითიცაა: დედამ ზანდუკში ჩურჩხელა შეინახა და თავის ცელქ, ტკბილეულობისათვის სულწაყვალ შეიღს უთხრა: ზანდუკში ჩურჩხელა რომ შევინახე, არ ამოიღო, თორემ უცემელი არ გადამიჩრებიო.

კუს ნახიჯით სიარული ჰრღ. კუს მსგავსად სიარული. ზგვ. მეტად ნელა, ზღაპრით სიარული. „... განა კუს ნახიჯით ვივლიდი, გავკუნდებოდი!“ (ვახა-ფშაველა, V, 389).

კუტში ნახშირს ვერ გამოარჩევს ის. ძქადში ნახშირს ვერ გამოარჩევს.

კუჭი ეწვის შიმშილით ის. კუჭი უცხვება შიმშილით.

კუჭის ამოვსება ჰრღ. კუჭში ბევრი საქმლის ჩაშვება. ზგვ. არსებობა, გაძლება, სიცოცხლე „საიც ასეთი სილარბე-სილატაჯა, იქ ვაქრობა და აღებმიცემობა რა წყალს დაღვეს, რით ამოვივსებს კუჭსა?“ (ილ. ჰავჯავაძე).

კუჭის მოფხანა ჰრღ. ფრჩხილებით ფხეკა კუჭისა. ზგვ. შიმშილის დაუჩრება, ძუძულის გაძღობა საქმლით. „მოიყვანს (ჩემი ძმა) პურსა, სიმინდს, კუჭს მოფხანს შიმეის ყველას“ (ი. დავითაშვილი, 194).

კუჭის შეტკნობა ჰრღ. კუჭის შეტკნვნა. ზგვ. კუჭის სიცარიელე, უქმელობა, შიმშილი. „იმ ღამეს კიდევ ჰქონდა საქმელი, ნარჩენი სადილისა, მეორე დღეს კი შემოვლია საქმელი და ისევ კუჭი შეტკნა“ (თ. რაზიკაშვილი, ზღაპრები, I, 93).

კუჭი უცხვება შიმშილით, **კუჭი ეწვის შიმშილით** ჰრღ. უქმელობისაგან კუჭი უცარიელდება. ზგვ. შია, ღარიბია, არაფერი ახადია, გაქირეებულია. „ესეც კი მართალია, რომ ბევრ მცობარესაც უცხვება შიმშილით კუჭი“ (დ. მაჩხანელი, ძმური სიტყვა, 16); „პავლის მქადის კუჭი ენატრება, შიმშილისაგან კუჭი უცხვება. თუ აცვია რამე, ისიც ვალითა და ვანშით“ (ფნ. მეთემაშვილი, „გ.“, 1902, № 264); „Новое Обозрение“ შეჰნანის ავტორს „Письма о Грузии“ -სას და თითქოს სწუხს კიდევ, რომ მან თავის ძვირფასი დრო და არანაკლებ ძვირფასი ცოდნა-სიბრძნე შეახარჯა და შეიღია იმისთანა მკვდარ საგანსა, როგორც საქართველოს ძველი ისტორია და არა დღევანდელ პირობოტსა, რომ შიმშილით კუჭი გვეწვის და თავზე სახურავი ქერი არა გვექვს“ (ილ. ჰავჯავაძე, V, 184).

თქმა „კუჭი უცხვება“ ეტლოება თქმას — „კუჭი უხმება“: როცა კუჭში არაფერი ჩადის, მას სითხე, სისველე აკლდება ანუ ხატოვანად, უცხვება. ეს კი იგივეა, რაც უხმება.

კუჭი უხმება შიმშილით ის. კუჭი უცხვება შიმშილით.



ლ

ლაგამახსნილი იხ. ლაგანწყარილი. „ყმავე არის (დადიანი) მეფეთ-მეფისა, როგორც ყველა სხვა თავადი, მხოლოდ უფრო თავწასული, ლ ა გ ა მ ა ხ ს ნ ი ლ ი“ (ვ. ბარნოვი, გიორგი სააკაძე, 55).

ლაგამის ამოღება პრ. პირში ცხენისათვის აღვირის ჯაჭვის ამოღება შესაკვეთლად, დასამორჩილებლად, ანდა სასურველი მიმართულებით სატარებლად. ხვ. შეკვეთა, დამორჩილება, შეჩერება, მიმართულების მიცემა. „დიდმა გლანტონმა 1879 წელს თავისი სახელმოვანი ბილი ირლანდიის მიწათმფლობელობის შესახებ შეიტანა პარლამენტში, პარლამენტს მიაღებინა და მით ჯერ ლ ა გ ა მ ი ა მ ი რ ს დ თ ვ ი თ ე ნ ბ რ ბ ა ს ლ ო რ დ ე ბ ის ა ს...“ (ილ. ჰეგვაძე, X, 44).

ლაგამის მიშვება იხ. ლაგამის წყარა.

ლაგამის წყარა პრ. ლაგამის გამოვლება ცხენის პირიდან. ხვ. წესიერების კანონის უგულვებელყოფა, თავისუფალი, მოურიდებელი, დაუფიქრებელი, უკრძალავი, უთაკილო, თავშეუკავებელი ლაპარაკი, თავწასულობა. „მართალია, მაგრამ ერთობ თავს წავიდა ხუცესი, მთლად წაიყარა ლ ა გ ა მ ი. სწორედ დროა გაახსენოს ვინმემ, რომ არც ისე უძალდა სოფელი, რომ ეგრე გაბედვით დალაჯებს ჟჯოხობთ“ (ვ. ბარნოვი, ფერა-ფერადი, 281).

როცა ცხენი ლაგამს წაიყრის, თავისუფლება ეძლევა და მხედარს არ ემორჩილება. ხატოვანად ლაგამი ეტოლება ზნეობისა და წესიერი ყოფა-ქცევის კანონებს, რომლებიც თავს გვაქმრინებენ წესიერება არ გადავალხობთ და სიტყვით თუ საქმით უხამსობა, რაგინი აღამიანისათვის შეუფერებელი რამ არ ჩავიდინოთ.

ლაგამწამოყრილი ლაპარაკი პრ. ულაგამო პირით ლაპარაკი. ხვ. თავისუფალი, დაუფიქრებელი, მოურიდებელი, უწყისო, უთაკილო, ლალი, კადნიერი, უკრძალველი ლაპარაკი. „გაგონილა ასეთი ლ ა გ ა მ წ ა მ ო ყ რ ი ლ ი ლ ა პ ა რ ა კ ი სამეცნიერო საგნებზედ!..“ (ილ. ჰეგვაძე, V, 88).

ანალოგიანა მორიდებლად მოლაპარაკე აღამიანისა ცხენთან, რომელსაც პირიდან ლაგამი გამოვლებული აქვს

და არაფერი აბრკოლებს აღამიანის ნებაზე აღარ გაიაროს.

ლაგამის ვმევა პრ. თხელ და გრძელ ფურცლად გამომცხვარი პურის მიცემა საქმელად. ხვ. გარტყმა ლოყაში, ცემა. ზგლ., „იმ თავხელს, მეტი გზა არ იყო, თქვენი მოწონებული ლ ა გ ა შ ი ვ ა ქ ა მ ე და ისიც გაჩუმდა!“.

მიმგავსებულია სიბრტყით, ვაშლილად მოქნიული ხელი საქმელ ბრტყელ ლაგამს.

ლაზარეხებრ დახველება პრ. წყალსა თუ წვიმაში გაწუწვა ისე, როგორც ლაზარეს გასწუწვენ ხოლმე. ხვ. მეტისმეტად დასველება წყლისა თუ წვიმისაგან. „ბიძა-ჩემო, ჩქარა წავიდეთ შინისაკენ, თორემ, მე ვიცი — ლ ა ზ ა რ ე ბ ს დაგვამსგავსებს ჩვენ ეს წვიმა“ (ნ. ლომოური, 358); „იცი, კაცო, ჩვენი ქალები ხვალ ლ ა ზ ა რ ე ხ ე აპირებენ დავლას, ე წვიმა რომ არ მოგვივიდა!..“ (ან. ფრისთავ-ხომტარია, 79).

ბუნების მოვლენებთან აღამიანს იმთავითვე განუწყვეტელი ბრძოლა ჰქონია. სოფლის მეურნეობისათვის უსაშინელეს მოვლენად ითვლებოდა გვალვა — წინამორბედი შიმშილისა. ზოგჯერ ზაფხულობით, როცა მთელი კვირაობით, და ხანდახან თვეობითაც, პირს შეიკრავდა ცა, როცა დიდი გვალვა დადგებოდა და საერთოდ მცენარეს, და განსაკუთრებით ქირნახულს, გამოშრალი ნიადაგი ველარ ასაზრდოვებდა, ქართვლები ცდილობდნენ მრავალგვარი ხერხით შეერბილებინათ წყრომმა და რისხვა ბუნებისა, გამოეთხოვათ მისგან მოწყალება, ცისათვის პირი გაეხსნებინებინათ და ესოდენ ნანატრი წვიმა მოჰყურებოდა ნათესობას, რომ კარზე მომდგარი გაქირვება და უპუროდ დაჩრჩნის საშისროება თავიდან აეცილებინათ. ქართლ-კახეთში ერთ ასეთ საშუალებად ითვლებოდა „ლაზარეზე დავლა“, ანუ სიმბოლური დასველება მლოცველებისა წყლით და ამით იძულება პირშეკრულ ცისა „პირის მოხსნისა“ და წვიმის სახით იქ დაგუბებული წყლის გადმონთხვისა დედამიწაზე.

„ლაზარეზე დადიოდნენ“ მხოლოდ და მხოლოდ სოფლის ხანშიშესული დედა-

საქართველო
საქართველო

კაცები. ერთ-ერთი მათგანი ჯერ გააკეთებდა მიწვევას თიხისაგან კაცის მსგავს ტიკინს და პატარა ფიცარზე დასდებდა. ეს ტიკინი მის გამკეთებელ ქალს ორი ხელით მიჰქაინდა. ზოგან თიხის ტიკინის მაგიერ ერთმანეთზე გადაჯვარდინებდნენ ორი ციკვის ისე, რომ ერთი ციკვის პირი მალა ყოფილიყო და წარმოედგინა ადამიანის პირისახე. ტანზე ჩააცვამდნენ ბავშვის კაბას. ქალს ამნაირი ტიკინისათვის იქით-აქით ხელი ეკიდა და ისე მიჰქონდათ. პროცესის მეთაური უკან მისდევდა მორთულ-მოკაზმული ექვსი ქალი ანუ მომღერლები, რომლებიც სიმღერის ხმაზე ამბობდნენ: „ლაზარ მოდგა კარებსაო, ლაზარ ბატონო! აბრიალებს თვალებსაო, ლაზარ ბატონო! ცხრილი ავორებულა¹, ლაზარ ბატონო! წვიმა გაჩქარებულაო, ლაზარ ბატონო! ღმერთო, დაგვნამე, დაგვნამე, ლაზარ ბატონო! მარგალიტის წვიმიათაო, ლაზარ ბატონო! აღარ გვინდა გოროხიო, ლაზარ ბატონო! ესლა მოგვე ტალახიო, ლაზარ ბატონო!“.

პროცესია ამ სიმღერით რიგ-რიგად მიადგებოდა მეკომურთ, რომელთაც წინდაწინვე მომარაგებული ჰქონდათ წყალი „ლაზარეზე“ მოსიარულეთა გასაწუწუვად. საცა კი მიადგებოდნენ, შინაურები დაუზოგველად გადაასხამდნენ წყალს როგორც ტიკინსა, ისე მის მატარებელ ქალს და მგალობელთ. ასე ბოლომდე შემოუფლიდნენ მთელს უბანს. თუ ღელე ან რუ შეხვდებოდათ გასატოპავი, გუთნიან უღელში შეეხებოდნენ, შესტოპავდნენ წყალში და თვითონაც სველდებოდნენ და გუთანსაც წყლით ასველებდნენ.

„ლაზარეზე“ მოსიარულეთ თან დაჰქონდათ ტონარა და კალთა და შიგაჰყრიდნენ მათი სამსახურისათვის სოფელეთა მიერ მიცემულ ფქვილსა და კვერცხებს. მოგროვებულს გაჰყიდდნენ, ხოლო აღებული ფულით შეიძენდნენ ციკანსა და ღვინოს. ციკანს დაჰკლავდნენ წვიმის ბატონ-პატრონის, წინასწარმეტყველი ილიას სახელზე, შესაწირაევად. ამას შემდეგ ეკლესიის ეზოში მწვანეზე სადმე გაშლიდნენ სუფრას და ჭიფის გასწივდნენ.

მთელი სტენა „ლაზარეზე დავლისა“ გამომხატველი იყო თხოვნა-ვედრებისა, რომელიც მიიმართებოდა „პირშეკრული“ ცისადმი, სადაც, ძველი რწმენით, სუფევს „დაბადების“ დიდი ილია წინასწარმეტყველი, ქვეყნიერებაზე წვიმის გამრიგებელი. ძირს უხვად წყლის დაღვრით და ტანისამოსის დასველებით „ლაზარეზე მოსიარულენი“ ცას თითქოს მაგალითს უჩვენებდნენ იმისას, თუ როგორი სიუხვით უნდა წამოსულიყო ზეცით წვიმა და ეს წვიმა როგორ უნდა მოჰკურებოდა ძირს ქვეყანას, რომლის მცხოვრებთ აღარ უნდოდათ „გოროხი“ (ხმელი მიწა), არამედ ახლა სჭიროდათ მიწის დასველება, — სჭიროდათ „ტალახი“, რომ ჭირნახული, გვალვისაგან შეწყუბებული, გამოცრცხლებულიყო და მხველ-მთესველს არ მომშეოდა.

იმავე ძველი რწმენით, „ლაზარეზე დავლის“ შემდეგ, სულ ბევრი, ნახევარდღეს გაეგო, რომ მის ვედრებას გაეკრა, წვიმა — და დიდი წვიმა — მოსულიყო და შველებოდა უწვიმოდ დარჩენილ მოსავალს.

აქედანაა ქართულ მეტყველებაში დარჩენილი თქმა: ლაზარესებრ დასველებული, და ამას ვიტყვიო სანახევროდ დაცინებო — ხატოვანად, როცა ადამიანის სხეულზე სამოსელი წვიმისა თუ წყალში ჩავარდნისაგან თავით-თეხებამდე გასაწურავედაა გამზადარი.

გვალვის დროს წვიმის მოსაყვანად არსებული ქართული ჩვეულების დასაბამი და პირველი წყარო უნდა ვეძებოთ „დაბადებაში“ (მეფთა წიგნი III, თავი 18). ერთ დროს სამარიაში ისრაელებზე მეფობდა აქაბი, რომელიც, „დაბადების“ თქმით, ჰეშმარიტს ღმერთს გადაუდგა თავის ერთად დამსახურებოდა ფინიკელთა ღმერთს ბაალს. ილია წინასწარმეტყველი დამუქრებია აქაბს: შენი უკეთურობისა და ჰეშმარიტ ღვთისაგან განდგომისათვის შენს ქვეყანას მოველინება გვალვა და შიმშილი და სანამ მე არ ვიტყვი, არც ცვარი მოველინება დედამიწას და აღარც წვიმაო.

მართლაც, მთელ სამ წელიწადს გაგრძელებულა გვალვა, გადამხმარა ყოველივე მცენარეული; თურმე საშინლად

¹ უსაქმოდ დარჩენილა.

დაიმშა ხალხი, რომელიც ყველგან დაეძებდა წყალს, ქართველ „ლაზარზე“ მოსიარულეთა მსგავსად, მაშინ მოსულა ილია, ლეთისათვის მსხვერპლი შეუწირავს და ვამოუთხოვია წვიმა. მის პასუხად თურმე „დაბნელდა ღრუბლითა ცა და იქნა წვიმა დიდი“.

საიდან გაჩნდა სახელი ლაზარე?

ლაზარე ბერაული სახელია და გვხვდება სახარებაში (ლუკა XVI, მუხლი 20), სადაც გკითხულობთ ქრისტეს იგავს ეინმე მდიდარსა და გლახაკზე. ეს გლახაკი ლაზარე იყო, ფრიად დავრდომილი და კეთრისაგან დაწყულეზული. იწვა მდიდრის ალყაფის კარებთან და სულ იმას ნატრობდა, როგორმე გამოძღარაყო მისი ტაბლიდან ვადმოცენილი პურის ნამუსრევით.

ქართულ მეტყველებაში ლაზარე საქრამი წოდებაა და სინონიმია ჩაჩულია, ჩაგრულ, უნიათო ადამიანისა, რომელიც თავის უზადრუკობით სხვებში აშკარად ერჩევა, ყველასაგან აბუჩაუ აგდებულია, სულ მუდამ სუფრის ბოლოსაა მიგდებული. მოგვეგონებს იმ საცოდავ, მახინჯ, ადამიანის ძალათა მიმსგავსებულ ტიკინს „ლაზარეს“, გვალვის დროს ყველანი მოურიდებლად წყალს რომ ასხავენ და თავით-ფეხებამდე სწუწავენ.

ასეა აღმოსავლეთ საქართველოში.

ასევე დასავლეთ საქართველოშიც. მაგალითად, სამეგრელოში ლაზა (შემოკლებული ლაზარე) გამოხატელობა გლახაკი, უმწყო, ზარმაცი, მცობარა, მუქთახორა ადამიანისა, რომელიც ყველას დასცინის და საქირდავი გამზდარა.

გვალვის დროს ზეციდან წვიმის გამოთხოვია, რა თქმა უნდა, ქართლკახეთს გარდა, საქართველოს სხვა კუთხეებშიც იცოდნენ, მაგ., სვანეთში, სადაც წყლის კულტი ძლიერადაა შენახული. იქ გვალვის დროს მაღალი მთების კალთებზე მდებარე ერთ-ერთი ბროლივით წმინდა ტბასთან კატას ან ძალს თავს მოსჭირდნენ და სხეულს შიგ ტბაში ვადააგდებდნენ. ამის ჩამდენნი თვალის დახამამებაში უნდა მომორებოდნენ იქაურობას სადმე თავის შესაფარებლად, რადგან ტბა ასეთს გაბინძურებას „ვერ მოითმენდა“, მაშინვე ისეთ საშინელ ქექა-ქუხილს გამოიწვევდა, გეგონებოდათ — ცა დაატყდა, დედამიწასაო; ამას მოაყოლებდა

კოკისპირულ წვიმას, და გვალვისაგან ვადამზმარი მცენარეულობა ისევ სიცოცხლეს დაუბრუნდებოდა.

გვალვის დროს წვიმის მოსაყვანი საშუალებები იყო: აქარაში — ყურბანობა, იმერეთში — გოხჯაობა, გურია-სამეგრელოში — ხატის დაბანვა მდინარეში, ქვემო-იმერეთში — ელიობა — ელის ყვავილიდან ტოტის ჩარქობა ყანაში.

ლაზაათი პრდ. გემო, სიამოვნება. ს.ჯ. და ირონიულად: ტყუილი, მოგონილი ამბავი, ლაზლანდარობა. „რაკი ჯობინობის მოედანზე გაიყვანეს კუტული, რასაკვირველია, მისმა ახალმა მეგობრებმა სხვა ლაზათებიც ჩასძახეს ევროპაში დასაძახებლად“ (ილ. მავჭავაძე, ქვათა ღაღად).

ლაზათ არაბულად გემოს ნიშნავს. ქართულში სიტყვას მოწონებისა და ირონიულად ტყუილის მნიშვნელობა შერჩა.

ლანძღვას მიყოლა პირისა პრდ. სალანძღავად პირის მოწყობა. ს.ჯ. ცუდად სხეებზე, აუგის თქმა, შერცხვენა. „მებადურს რომ მოუსმინო, ცოლმა მიპყო ლანძღვას პირი“ (რაფ. ერისთავი, II, 182).

ლანძღვის გულის პირის მოხსნა პრდ. სალანძღავი სიტყვებით საცე გულის მოკრული თავის გახსნა. ს.ჯ. დაწვება დაუსრულებელი ლანძღვისა. „ავის საქციელის მდევნელი ზრდილობიანი, მართებული, გონება-გახსნილი პატროსანი კაცი რისთვის აღიძვრის ხოლმე დევნად? იმისთვის ხომ არა, რომ, ზოგიერთებსავეთ, სიხარულით ქუდი ჰერსა ჰკრას, აცა, ჩემს საქმეს ძლივს ცუდი ვუპოვნო და ძლივს ჩემს ლანძღვით საცე გუდას პირს მოეუხსნით“ (ილ. მავჭავაძე, IX).

ლაპარაკად გადაქცევა პრდ. ბევრი ენის გამოშმა. ს.ჯ. ბევრი ლაპარაკი, ენის დაუყენებლობა, ენად გაკრეფა. „მაგდანასაც სიამოვნება დაეტყო და ზალიკა ხომ სულ ლაპარაკად გარდაიქცა, სიხარულით ამოიდგა ენა და ხან ამ მთისას გაიძახოდა და ხან იმ მთისას“ (ს. მაგლობლიშვილი 133).

ლაპარაკის გაბმა პრდ. სიტყვების მობმა ერთი-მეორეზე. ს.ჯ. ლაპარაკის გაგრძელება, დიდხანს ლაპარაკი,



დაუსრულებლობა ლაპარაკისა. მგლ., „გააბეეს ლაპარაკი და კი აღარ გაათავის იმ კაიკაცებდა!“

ლაპარაკმა მოიტანა პრე. მოიტანა იქ, სადაც მოლაპარაკეა. ზგვ. ლაპარაკის დროს გაახსენდა, ლაპარაკის დროს მოავიწყდა სულ სხვა რაიმე, რის შესახებაც არც კი ფიქრობდა ლაპარაკის დროს. „ბევრი მომხდარა მაგისთანა შემთხვევა... კარგი მომავონეთ და ლაპარაკმაც მოიტანა“ (რამე. ერისთავი, III, 111).

ლართხი გამოუჩინე ჭიქას პრე. ფსკერი გამოუჩინე ჭიქას. ზგვ. ჭიქა დასცალე, შიგერთი წვეთი ღვინო არ ჩარჩეს.

ლართხი არის ურემში გაწყობილი ფიცარი, ანუ ფსკერი ურემისა, რომელზედაც უდებენ ტვირას. აქ ანალოგიაა ურემის ფსკერსა და ჭიქის ძირს შორის.

ლართხი ჭიქის ან ქვევრის ძირის მნიშვნელობით მეგრულშიაც იხმარებოდა ამ ნახევარი საუკუნის წინათ. „ქვევრი ისე დაუტლიათ, რომ ლართხი გამოუჩინიათ“, — იტყობდნენ ღვინისაგან დაცარიელებულ ქვევრზე. **ლარი და ხაზი არ უნდა პრე.** კანადის შვეული სისწორის გამოსაცნობად კალატოზობაში. ზგვ. საქირო არ არის სისწორის, სინამდვილის მიღება, — ყველაფერი ცხადია, ნათელია. „ამის ცოდნას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა და, — თუ გნებავთ — მეტიც იყო ჩვენის მხრით, რომ სხვები ვიმოწმეთ“ (ილ. ჰაგვაძე, VIII, 116); „როგორა გვინია, ხენე, ვინ იქნებოდნენ ი თეთრცხენა ქაბულები? — ამას რაღა დიდი ლარი და ხაზი უნდა: ერთი იყო არბოს წმ. გიორგი“ (ს. მგალობლიშვილი, წმინც მოკვდა).

ლარის გაბმა, ლარის გატანა პრე. შეეული ბაწრის გაბმა. ზგვ. სისწორის გაგება, საზღვრის ჩვენება, წადილის ასრულება. „მტრის ქვეყანა რომ მთლად გადაჰბუგო და ათასი კაცი შიმშილით ამოადრჩო, სახელოვან საქმედ ჩაგეთვლება. აბა მოდი და ლარი გააბი, ლარს იქით ცოდვებს მოუყარე თავი და ლარს აქეთ — მადლსა!“ (ილ. ჰაგვაძე, VII, 74); „ეს ნერგი დარგულია ჩვენში ჩვენის ყმაწ-

ვილ-კაცობის ხელით — წარსულში, და მომავლის დროების მოღვაწეთა იგი უნდა ჰრწყან თავისი მსურველე ოფლითა. წარსულმა ეს უანდერძა მომაველსა, ეს ლარი გაუბა გზის საჩუქრებლად“ (ილ. ჰაგვაძე, VI, 95); „სახას, ჯიუტობით, კირვეულობით ლარის გატანა სომეხთა მეცნიერთა განუყრელი თვისება ყოფილა?“ (ილ. ჰაგვაძე, ჰათა ლაღლი).

ლაფდახსმული ახ. თავზე ლაფის დასხმა.

ლაფში ამოხვრა პრე. ტალახის მოცხება, ტალახით გათხუწვა. ზგვ. შერცხვნა, გაბიბრუება, სახელის ვატება, გმობა, შეურაცხყოფა. „ნარდონმა“ რუსთაველი განა მარტო ამით ამოსვარა ლაფში, განა მარტო ამის გამო შესვა ვირზედ?“ (ილ. ჰაგვაძე, V, 195).

ლაფში ჩაფლობა პრე. ტალახში მოქცევა. ზგვ. გაქირვებულ მღვდომარეობაში ჩავარდნა, ხელის მოკარვა, ცუდად დასვლა საქმისა, ზარალი, წაგება, დამარცხება. „როგორც იყო, იშოვნა ვალად ყაზარა მიკურტუმოვისაგან ხუთი თუმანი ფული, მაგრამ რაც მოიტანა, ისიც სულ ყაზარას სარგებელსა და ნეუსტოიკებს“ მოუნდებოდა, ჩაიფლო ლაფში და ვეღარ ამოვიდა“ (ს. მგალობლიშვილი, I, 7); „ფარალათოვ, გაწყდეს შენი ვაჭრობა, შე პლუტო! ქვეყნის დამლუპაო! მაიცა, მალე ჩაიფლობი ლაფში, მოხსნია შენი ცოლი ზობრიან ვრტნიკს“ (გ. ერისთავი, 311). შერ. „კამეჩი წვეს და იცოხნის, თავის ამინდი ჰკონია, ლაფში ჩაფლოული ურემი შინმითანილი ჰკონია“ (ნაღბურო).

ლაშფანდურა პრე. ვინც ტუჩებს თანდურივით ათამაშებს. ზგვ. ლაქლაქა, გაუწყნარებელი მოლაპარაკე. მგლ., „შენისთანა ლაშფანდურა ბევრი გვინახავს, მაგრამ ისიც გვინახავს, რომ არაფერი გაუტანიათ!“

ლახვრის სობა გულში პრე. ლახვრით განგმირვა გულისა, ზგვ. სიმწარე, დარდი, ნაღველი, სულიერი ტანჯვა. „ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული“ (შ. რუსთაველი, 4); „ვეცი, რომე აღარა გცალს, შენ ლახვარი სხვა გესობის“ (შ. რუსთაველი, 1017).

15. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი.



ლახტის ქნევა პრ. იქით-აქეთ ტრიალი ლახტისა. ზვ. ბრძოლა, მუქარა. „ეს ამისთანა ლახტის ქნევა ავტორიტეტების შესამუსრავად ცხონებულ პისარევის შემდეგ შემოვიდა რუსეთში“ (ილ. პავლევიძე, VIII, 125).

ლახტი საბრძოლველი იარაღია, მავთულებისაგან დაგრებილი ჯოხია. საშიშ საბრძოლველ იარაღადაც ითვლებოდა. ხოლო ვისაც ლახტი ეპყრა ხელთ და იქნევდა, ძნელად საბრძოლველ და საშიშ ადამიანად მიაჩნდათ.

ლეკებიც დაგხსნიან თავზედა პრ. ლეკნიც წამოსულიყვნენ შენს წინააღმდეგ, ლეკებსაც გაელაშქროთ შენზე. ზვ. დიდი უბედურება დაგტყდომოდეს თავს, საშველი არსაიდან მოგცემოდეს, ხსნა არა გქონდეს გაპირვებისაგან. შტ. „ლეკნიც დაგხსნიან თავზედა, წაერთოთ ცხვიარი, ძროხაი, ტყეიას გარტყავდნენ თავზედა“ (ხალხური).

დიდი წყევლის ფორმულაა, დარჩენილი შიგნით კახეთსა და აგრეთვე ფშავ-ხევსურეთში, როდესაც ჩვენი მეზობლები — ლეკები საქართველოს ამ კუთხეების მკვიდრთა დაუძინებელი და მოსისხლე მტრები იყვნენ. ლეკების გადაძვირებულ ქართველობას ხსენებული ადგილებისას სულ მუდამ ცალ ხელში თოფი უნდა სჭეროდა და მეორე ხელში — ქარქაშიდან ამოდებული ხმალი და მზად ყოფილიყო ლეკებისათვის არ მოეტაცებინებინათ თავიანთი საქონელი და თან მათგან გამოსროლილი ტყვიისათვის ტყვიითვე ეპასუხათ და სიციცხლე შეენარჩუნებინათ. ქართველობას ისე ჰქონდა ლეკებისაგან გამწარებული დღე, რომ ლეკის სახელი საწყევრადაც ვაზდა, როგორც ეს დამოწმებულ თქმიდანაც ჩანს.

ლეკურ-ბუქნას ვათამაშებ პრ. ლეკურად ვაცეკვებ. ზვ. ჩემ ჰქუაზე გავატარებ. „ასის თუმნითა, აბა რას ბრძანებ, სუდსა, პალატას ხელით ვაქანებ, ჩვენ სუდიასა—ა იმ კუქნასა, სულ ვათამაშებ ლეკურ ბუქნასა“ (გ. ერისთავი, 132).

ლეკური სიტყვა პრ. ლეკის მიერ მოცემული პირობა. ზვ. პატიოსანი სიტყვა, ურყველი სიტყვა. ეს თქმა კახეთში ისმის. კახელი

რომ ეტყვის ვისმე: ლეკური სიტყვა მომეცით, ნიშნავს: პატიოსანი სიტყვა მომეცით, შენი მოცემული სიტყვა არ გასტეხოვ.

ლეკური ხმალივით მისვლა პრ. სისწრაფით მისვლა ლეკის ხმლისა. ზვ. დაურიდებლად, ჯიქურად, შემართებით მისვლა მებრძოლისა მებრძოლზე; საქმის რისხველ გავკეთება სასწრაფოდ და თამამად.

ცნობილია ბრძოლაში ლეკური ხმლის ქნევა პატრონის მიერ და მისი მტრელობა.

ლელო, ლელოს გატანა პრ. ბურთავ ობის დროს სათამაშო მოედანზე ბურთის გასატანი ადგილის გადაცილება. ზვ. გამარჯვება, მიზნის მიღწევა. „მოხუცი თუ ახალგაზრდა, ერისკაცი თუ სამღვდელი, ყველა ერთმხრივ მიიწევდა, ერთი ჰქონდა ყველას ლელო!“ (აკაკი).

ძველად საქართველოში ბურთის მოთამაშენი მოედანზე ორად იყოფოდნენ: მოედნის ორივე ბოლო ლელოებად ითვლებოდა. რომელი მხარეც ლელოს გადააცილებდა ბურთს, გამარჯვებულიც ის იყო და იტყოდნენ ხოლმე: ლელო გაიტანაო.

ლენცოფა ხომ არ გიჭამია? პრ. ლენცოფა ხომ არ გიხმარია საქმელად? ზვ. ხომ არ გაგიყდი, ხომ არ გადაიხრე? შტ. „შენ, ჩემო ძმაო, ლენცოფა ხომ არ გიჭამია, რომ ასე აურთე ლაპარაკში!..“

ლენცოფა (Hyosciamus niger) ნარკოტული და შხამიანი მცენარეა. წამლად იხმარება. მისი ნაყოფის ჰემა ადამიანს გადარევს. ამ თქმით მიმართავენ არანორმალურად მოლაპარაკეს ანდა უცნაური საქციელის ადამიანს.

ლერწამტანი პრ. ლერწმის მსგავსი ტანი ადამიანისა. ზვ. ტანწერწერტი, წვრილი, მოხდენილი ტანი (ქალისა). „ზევრი თავადიშვილის ქალი ინატრებდა იმის (ჰეპიას ქალის) ჯერიანებით მოღერებულ ყელსა, იმის გიშრის თვალსა, იმის გიშრის თმასა, ლერწამს ტანსა“ (ილ. პავლევიძე, II, 92).

ქალის სიმშვენიერის ერთი მაჩვენებელთაგანია — ტანადობა, ტანწერწერტობა, ანუ ლერწამტანობა. ხალ-

ხის აზრით, ქალს უნდა ჰქონდეს ტა-
ნი ლერწმის მსგავსი: წვრილი, სწორად
აყრილი, მოხდენილი. მაჩვიის ტაბიკი,
ჯამუხა, დაჯიდა ტანის ქალი საერთო
დაწუნებისა და გაკიღვის საგანია.

ლეღვია ჰრღ. ლეღვის მსგავსი. სკვ.
ზლაზნია, უწადინო, უწნო, დონდლო,
უწენერგო, გაუბედავი.

ლეღვია კახური სიტყვაა. უწო-
დებენ უწნოს, ზლაზნით და უგვანოდ
მოარულს, საქმის კეთებაში უგერგი-
ლოს და უფოლადოს. ლეღვის მწიფე
ნაყოფი სხვა, მაგარ კურკიან ხილთან
შედარებით მეტად რბილია, ხელში ქე-
რის დროს ყოველგვარ ფორმას ღებუ-
ლობს იმისდაიხვედვით, თუ ხელის თი-
თებს შორის რაზაირ მღებარეობაშია.
თვით ხე ლეღვისა ხეებს შორის უკა-
ნასკენელ, უფარგის ხედ ითვლება, არ
ვარგა მასალად: თუ ნედლია — მდგენ-
ობა აკლია, ათასგვარად იგრინება და
იმტვრევა, ხოლო თუ ხმელია, შეშადაც
უხმარია — ბურბუშელასებრ აპრილდე-
ბა და სხვა საწყვავ ხის შემის სიმხურ-
ვალეს ვერ მოსთხოვთ.

აქედანვეა მოლედვა, რაც ნიშ-
ნავს სირბილით, მოდუნებით ლეღვი-
სათვის მიბაძვას; მოლედვილი კა-
ცი — ლეღვის დამსგავსებული, ანუ მო-
დუნებული.

ლეჩაქე ლაფდასხმული ის. ლეჩაქ-
მობდილი.

ლეჩაქის დახურვა (მამაკაცის მიერ)
ჰრღ. მამაკაცის თავის დაფარვა დე-
დაკაცის თავის საფარველით. სკვ.
კაცისათვის მამაკაცურ თვისებათა
წართმევა და ამ თვისებათა წილ სა-
ქალო თვისებათა მიკუთვნება, ქალის
თვისებათა შემოსევა; სასირცხვილო
საქმის ჩადენა, აუგრიანობა, საძრახა-
ობა. „ნიკოლოოზ სად არის, ნიკო-
ლოოზ! — დაიძახეს ქართველებმა: —
ის თუ გვიშველის, თორემ, ლამის, ამ
უსჯულს თათარმა დედაკაცის
ლეჩაქის თავზე დაგვხუროს და
ისე გაგვსიტუმროს შინაო“ (ილ. ჰავ-
ჭავაძე, III, 31); „რაზან ვაეკაცებს ლე-
ჩაქი დაუხურაეს თ და ომს გა-
ურბიან, მაშინ ვინლა უნდა დახედნენ
მტერს წინ, თუ არ დედაკაცები? —
ამბობდა ბებერი“ (გ. ბარნოვი, ტფილი-
სის ანრდილები, 184).

ლეჩაქი ქართველი ქალის ძველი
თავსაბურავია. მისი მატარებელი, თა-

ნახმად ძველი წარმოდგენებისა, გან-
სხვავდება ქულის მატარებელი ვაეკა-
ცისაგან: ფიზიკური ძალ-ღონით, უში-
შრობით, გულადობით, შემმართებ-
ლობით. როცა მშობარა, ჯვანია კაცის
გალანძლვა უნდოდათ, ეტყოდნენ: შენ-
კი დაგვურე თავზე შენი ცოლის ლე-
ჩაქიო! და ეს სიტყვები გამოხატავდა:
შენ მამაკაცი არა ხარ, სავაეკაციო საქმე
არ მოგეთხოვება... ქალი ხარ, ქალი,
ქულის მაგიერ შენი ცოლის ლეჩაქი
უნდა გეხუროსო..

ლეჩაქის მოხდა ჰრღ. თავიდან ლეჩაქის
მოშორება ქალის მიერ. სკვ. უსირ-
ცხვილობა, უნამუსობის გზაზე დად-
გომა, დამუსზე ხელის აღება, ქალის
მიერ სააუგო საქმის ჩადენა. „ჯანა-
ბასაც წადი და დოზანასაც, — დაი-
ჩიფიფა მოხუცებულმა ბაბაღემ, —
მოგეხდია თავზე ლეჩაქი
და მთელს სოფელს შენგან მოსვენება
არა აქვს“ (ნ. ლოშოვი); „მარინე ახ-
ლა თავის ქალს მიუხდა და დაუშინა
თავ-პირის მუშტები. — შე კაპასო,
შე უნამუსოვ, მომხადე ლეჩაქი?
დამილიფე კარში გამოსავალი? — ამ-
ბობდა მარინე გაცხარებული“ (გვა-
ფთაველა, V, 251); „მისი ქმარი კი, მე-
ულღე მისი მოძვარი, თურქთ თი-
თონ ცოლსაც სძაოცავს, ლეჩაქსა
ჰხდის თავიდან და მეძაესა ჰხურავს
წაბილწულს“ (გ. ბარნოვი, თერაფ-
ფერი, 294).

ძველად მოლაღატესა და ცოლ-
ქმრული კავშირის დამორღვევ ქალს თავისი
დანაშაულისათვის თვით სოფელი
სჯიდა: ლეჩაქს, მანდილს ან ჩიქილას,
ქალის ამ ნამუსიანობის სიმბოლოს,
მოხდიდნენ, პირუტყულმა ვირზე შესვამ-
დნენ და სოფელში კარდაკარ ჩამოატა-
რებდნენ. ასეთ ლეჩაქმობდილ ან ჩიქი-
ლამობდილ ქალისათვის ყველას თავზე
ლაფი უნდა დაესხა, პირში ეფურთხე-
ბინა.

ლეჩაქის ყურზე გამობმა ჰრღ. ქალის
მიერ მამაკაცის გამობმა თავის ლეჩა-
ქის ყურზე. სკვ. ქალის მიერ თავის
ქმრის ან და საერთოდ მამაკაცის
დამორჩილება, თავის ნება-სურვილზე
ტარება. „ეს გურიელიც მოუსვენა-
რი, სახელგანთქმული, ვეფხვი, ლომ-
კაცი, დღეს მოკანათოდ ჩემის სურ-
ვილის ლეჩაქის ყურზე მავს
გამობმული“ (აკაკი); „მაშ ეს რა-

ლაა, აი ეს რაინდი, რომ მათი წყალი არ დაეკუროს? გამოვებმეება ჩემს ლეჩაქის ყურს!" (ვ. ბარნოვი, თეორი გვირგვინი, 25). უღრ. „ლენჩაქის მოხდა“.

ლენჩაქის ყურით გამოზრდა ვისიმე ჰრდ. ლენჩაქის ყურზე გამოზრდა ვისიმე და ისე გამოზრდა. ზღვ. შინაურულად, კეთილზნობით გამოზრდა, ცუდ მაგალითებს არიდება. „ჩემი გოგო, ჩემი გასახოვარი ქალი, რომელიც ჩემის ლენჩაქის ყურით გამოზრდი, რომლისათვისაც რამდენი შავზნელი დღე დამიღამ-გამითენებია, იმ წყელს გიგოლა გელაშეილს დღესხველ მოტყუებით გაუტყობებია სისახლის ბერძენისათვის“ (ს. მაკლობლიშვილი, წარსულიდან, „მოამბე“, 1899, I, 5).

ლენჩაქის მოხდა ჰრდ. ლენჩაქო ქალი. ზღვ. უნამუსო, ზნეობის კანონების დამარღვევი ქალი. უნამუსობის გზაზე დამდგარი, გარყვნილი. „დედის გულსაკრავად წყველა-ტირილი და შემოწყობამაც რომ იქით იყოს, არ იცი, როგორ მაშინვე ყბად ამიღებენ ჩვენი ჰორისგულები და ცამდე ალაღ-მართალს ლენჩაქის ხდილს, უნამუსოს დამიძახებენ“ (დ. მაჩანელი, „ივ.“, 1893, № 15); „ფენშიშველა, თავზედ ლენჩაქის ხდილი უგრძნობლად ჰხლის საწყალს სალათას ძილი“ (აკაკი). უღრ. „ლენჩაქის მოხდა“.

ლენჩაქეში გატარება ჰრდ. ლენჩაქის გადატარება. ზღვ. შერცხვება, მაშაკაცის შესაფერი ღირსების წართმევა. „ძალიან მეტყაქება, თუ კნიაზი ბრძანდები! ბევრი თქვენისთანა კნიაზები გაგვიტარებია ლენჩაქეში...“ (ავტ. ცაგარელი, 6).

ლიბრი ჰრდ. ბუნდოვანება თვალის ბროლისა ან მისი გარსისა, რომელსაც მოსდევს ხოლმე სრული ან ნაწილობრივი უსინათლობა. ზღვ. გონებრივი სიბრმავე, სინათლის დაუნახველობა. „უქუქო უმეტარის კაცისთანა თამამი და კადნიერი ლაპარაკსა და სჯაში ძნელად მოიბოვება ქვეყნიერობაზე, და რამოდენადაც ამისთანა ვაჭებატონი ჰუჯაზედ თხლად არის, რამოდენადაც უფრო სქელი ლიბრი აქვს განებრის თვალზე გადაკრული, მით უფრო თამამია, მით უფრო კადნიერი“ (ილ. ჰეგვაძე, IX, 112).

ლილა გახცვეთა იხ. ლილახანის წახლომა.

ლილახანის წახლომა ჰრდ. საღებავის ფერის გახუნება. ზღვ. ფასის დაკარგვა, სინდისზე ხელის აღება, შერცხვება. „თუკა სიყვარულს ისე წახლონიო ლილახანა, რომ შწარედ აცინებს ჩვენს უცინარს და უწუნაოს გომართელსა, მაგრამ მაინც ვაოწმუნებ, რომ მე შენის უსიყვარულობით არ მომდის, როცა გწერ — უნდა ერთმანეთს გავეყარეთ-მეთქი“ (ილ. ჰეგვაძე, IX, 250); „ჩვეულებრივ აუღწერელობით ბრძანებს (მწერალი ქალი): შეიდას ემაწვილსა ზრდის ხელმწიფე და, აბა, თუ ერთი რამ კარგი დასწერთონო! ასე ჰგონია, მწერლობა ლილახანა იყოს“ (ილ. ჰეგვაძე, IV, 54).

ლილახანა საღებავი წამალი. ხატოვანად ლილა იგივეა ნაქსოვისათვის, რაც სინდისი კაცისათვის.

ლილახანის გაცვეთა იხ. ლილახანის წახლომა.

ლილიფარაობა ჰრდ. ლილიფარასებრ (მზეუქურიტასებრ) მოქცევა. ზღვ. პირფერობა, პირმოთენობა, ორგულობა. „ამასთან ფიცი მაგისი; ტყუილი ფიცი, ლილიფარაობა კაცს გონებიდან ვადარევეს“ (ლ. არაბიანი, 164).

ლილიფარა, იგივე მზეუქურეტა (Helianthus annuus), როგორც თეთონ მცენარის სახელი მოწმობს, ეკუთვნის იმ მცენარეთა ჯგუფს, რომელთა ყვავილებს სულ მუდამ მზისაკენ აქვთ შექცეული პირი, თავსა ხრიან იქითკენ. სიტყვაც მზე გადაიხრება ხოლმე, ერთავად მზეს შესცქეროიან, რომ იმისაღად სავსებით მიიღონ მისთა სხივთა ძალა. სიტყვა ლილიფარაობა ანუ ლილიფარას მსგავსად მოქცევა სჭოათბატოვანად ნიშნავს: ვისიმე პირში ყურებას, ვანიადაგებულს და მოჩვენებით ცდას ვისზე — იმლიქვენლოს, იპირმოთენოს. იორგულოს.

ლიტრისათვის ტურის მოტება ზღვ. ლიტრაში მდგარი წყლის ნაწილის გადაღვა. მგლ., „ერთი ე ლიტრას ტურნი მოსტეხე, შენ გარდას... მეც მინდა წყალი დავლიო“.

ძველად. ჰიქების ნაკლებობის დროს, ერთი ლიტრიდან წყალს რიგ-რიგად სვამდნენ. როცა წყლიან ლიტრას ვინმე მოსვამდა, ერთ ნაწილ წყალს გადააქცევდა, ანუ ლიტრას ტურის მოსტეხდა, ე. ი. გადაქცეული წყლით

მორცხდა თავის ნაპირალს და ისე მი-
აწოდებდა მეორეს, მეორეც ასე იზამ-
და, მერე — მესამე და ასე მოიქცეოდა
ყველა, ვინც ამ ლიტრიდან წყალს და-
ღვლედა და მერე სხვისათვის უნდა გადა-
ეწოდებინა თავის პირით მონასევამი
ლიტრა.

ლობიო პრე. ცერცვოვანი ოჯახის მცე-
ნარე, რომელსაც მრავალი სახე აქვს
როგორც საქმელი, ისე დეკორაცი-
ული. სვე. ყველაფერში უწინა ადა-
მიანი, უგერგილო, ყოველსავე უნარს-
მოკლებული, მძიმე, თავის ინიცი-
ატივით არაფრის გამკეთებელი.

ლობიო არ მოგვისხარშა პრე. ლობიო
არ დაგვიშადა საქმელად. სვე. პატი-
ვი არა გვცა; კარგად არ დაგვიხვდა,
შესაფერად არ გაგვიმასპინძლდა.
„აი, მარტის კრიტიკაში ის მართლა
და მშვენიერი ნ. ბარათაშვილის ლექ-
სი მე ცუდად დავანახე მკითხველ-
სა; გამოგილანძღეთ — ლობიო არ
მოგვიხარშა იმეოქი“ (ილ. ჭავჭავაძე,
IV, 108).

სტუმართმოყვარეობის წესი მოით-
ხოვს, რომ მასპინძელმა სტუმრისათ-
ვის („სტუმარი ღვთისაა“) არაფერი
დაზოგოს. თუ სხვა არაფერი აბადია,
ლობიო მაინც უნდა მოუხარშოს და
იმითი სცეს სტუმარს პატივი. ხოლო
თუ ლობიოც არ აქვამა სტუმარს, ამ
უკანასკნელს საბუთი აქვს ასეთი მას-
პინძელი ჰყვიდროს და ყველას უთ-
ხრას — მავანმა ლობიო არ მომი-
ხარშაო, ანუ პატივი სრულებით არა
მცაო.

ლოგინად ჩავარდნა პრე. საკუთარი
სიმძიმითა ზევიდან ქვივით დამზღვე-
ვა სხეულისა ლოგინზე. სვე. ავად
გახდომა. „თანდათან ცუდათა ხდე-
ბოდა. ბოლოს, დღეც დაეთელა,
ლოგინად ჩავარდა და აღარც
ამდგარა“ (თ. კანდლაკი, „ჯეჯილი“,
1896, I).

ლოგინის ალაგება პრე. ქვეშაგები
ტახტს თუ საწოლს რომ მოარიდო.
სვე. ავადმყოფის მორჩენა, წოლისა-
ვან განთავისუფლება. მკლ., „მთელი
ერთი წელიწადი ავადმყოფობდა ტა-
ტი; დღეს ძლივს აალაგა ლოგი-
ნი“.

ლოგინის გაახლება პრე. ახალ ლოგინ-
ში ჩაწოლა. სვე. დაქვრივებული
ქმრის მიერ მეორე ცოლის მოყვანა.

„რა გიჭირს, ჩემო ყველა! ჩქარა
ლოგინს გაიახლება!“ (მ. არაგვის-
პირელი, რჩეული ნაწერები, 213).

როცა კაცს პირველი ცოლი მოუყ-
ვდება და მეორეს შეირთავს, იტყვიან:
მავანმა ლოგინი გაიახლაო.

ლოგინის გათხრა პრე. ლოგინის გადა-
შლა, სვე. ლოგინში ჩაწოლა, ავად გახ-
დომა. „სუ ხო კარგა არ იქნებია
ერთხელაც იქნება, და გახდება ვინმე
ავადა. ჯერ ამ სამ დღეში ერთი
ოცი მინც არ გასთხრის ლო-
გინსა!“ (ნ. ახიანი).

ავადმყოფი კაცი, უმეტეს შემთხვე-
ვაში, ზეზე ვერა დგება და უნდა მიატა-
ნოს ლოგინს, რომ „გასთხაროს“ იგი,
ე. ი. გადაშალოს, მისწიმოსწიმოს და
შიგ ჩაწვეს ისევე, როგორც ამას ვუ-
შერებთ ხოლმე მიწას, როცა მას
ეთხრით, ამონათხარი მიწა ზევით ამო-
გვაქვს, ხოლო ცარიელი ადგილი რი-
სამე შესანახად, დასაფველად გვაქვს
დანიშნული.

ამ თქმის არე მეტად შემოფარგლუ-
ლია: ისმის უმთავრესად გორელთა მე-
ტყველებაში.

**ლოდის აცლა (ახსნა, მოშორება) გუ-
ლიდან პრე.** გულიდან გადაგორება
მძიმე ქვისა. სვე. მწუხარების, ნალ-
ველის, დარღის სიხარულად შეცვლა,
უბედურებიდან ბედნიერებაში გა-
დასვლა. „ასე გგონია, ამ სიტყვებმა
ნახევარი ნაღველი თან წაიღესო, ისე-
თი ლოდი აგეცლებო გული-
დან“ (ილ. ჭავჭავაძე, II, 76); „მოვის-
მინე ყოველი ის, რაც დღეს აქ იყო
თქმული, — დაიწყო ესე თურმე ბამ-
ბერაგერმა, — მოვისმინე და გულზედ
მომეშვა, ლოდი ამეხსნა გული-
დან“ (ილ. ჭავჭავაძე, X, 286); „ოა, რა
ლოდი მოშორდა გულიდან“
(ენგ. მენთემაშვილი, „იფ“, 1904, № 269).

ლოდის დაწოლა გულზე პრე. გულზე
მძიმე ქვის დეფარება. სვე. სულ დი-
დი დარდი, სულ დიდი კაემანი, ნალ-
ველი. „ლიმილით ბრძანა მთავარმა:
მეც მაგას მოველოდიო: თქვენით და
თქვენგან მომეხსნა, გულზე რომ
მაწვა ლოდიო!“ (ავჯი); „მას აქეთ
დაიგდო ნაღველმა. მე-კი ისე დამა-
მასხოვრდა და!.. მას აქეთ დააწვა
რალაცა ლოდი გულზედ და
ველარ აუხსნია“ (ილ. ჭავჭავაძე, III, 62).

ლომე პრ. ყველაზე ღონიერი ოთხფეხი ხორციკამია. სჯვ. ღონიერი, გულადი და შემმართველი კაცი. „მაშინ (პეტრე დიდის დროს) რუსეთის ქვეყანა ჯერ ხელუხლებელი ქვეყანა იყო, ესე იგი, მძინარე ლომიო“ (ილ. ჰავჭავაძე, ქვათა ლაღადი); „ზღვათა მეფე მოახსენებს: „ხელმწიფეო, ლომო, ქველო, მოახლეთა სიცოცხლეო, ვერმჭვრეტელთა შორის მკვლელო“ (მ. რუსთაველი, 1442); „ფრიდონისით გაემართხეს იგი ლომნი, იგი მხენი“ (მ. რუსთაველი, 1493).

ლოქო, ლოქოს ფაჩა პრ. ლოქოს ფაჩა — პატარა ლოქო, ლოქოს შვილი. სჯვ. უუნარო, მოუხერხებელი. „მაგრამ მე მაინც არ ვინძარეოდი, სანამ კიდევ არ მომძახა ზიზლით: „არ გესმის, შე ლოქო, შენაო?!“ (აკაკი, I, 170); „აგერ მოდის ჩვენი ლოქოს ფაჩა! შენ დანახვას ნეტა შვი კატა ან მურა ქოფაკი დამენახა, ჩემო ლოქოვ. ნეტა ვინ დაარქვა ამასეს სახელი?“ („გ.“, 1893, № 26).

ფაჩა პატარა ლოქოა, რომელსაც აქვს ასაკს შეუფერებელი გაბარჯლული უღვაშები და სხვა ნაწილები სხეულისა. ლოქოს ფაჩა — ვითომ საალერსოდ ითქმის, მაგრამ იმავე დროს დაკნინებითიცაა, ზიზლის გამომხატველი.

ლოყაზე ხელის ჩამოკვრა პრ. ლოყაზე ბოტყლად დარტყმა ხელისა ზვეიდან ქვევით. სჯვ. დარდი, მწუხარება, ნაღველი; გლოვა. „განა მაგისთანა უზხეობასაცა სწამებენ? უი — შენ, ჩემო თავო! — დაიძახა მარინემ და ლოყაზე ხელი ჩამოიკრა“ (გ. ბარსოვი, ფერად-ფერადი, 293).

გლოვისა და ტირილის დროს მოტირალნი თმას იგლეჯენ, სახეს იკაწრავენ; ხელებს წაიშენენ ხოლმე შუბლზე და ლოყაზე, გულს იმჯიღავენ; რაც შეიძლება, მეტ სიმწარეს განაცდევინებენ სხეულს, რომ დარდი უფრო თვალსაჩინო გახადონ მაყურებლისათვის, მათი თანაგრძნობა გამოიწვიონ.

ლოკინზე ნაკურთხი პრ. თბილისთან ახლოს, მდინარე ლოკინზე (გარე კახეთი) აქვს მღვდლობა მიღებულიო. სჯვ. უვიცი, უღირსი თავისი თანამდებობისა. „ქალაქში არც კი ჩასულა, ლოკინზე ნაკურთხიო“ (სტ. მენთეშაშვილი, ქიზიური ლექსიკონი, 104).

ძველად მღვდლობის ხარისხის მიღება შეეძლოთ ისეთებსაც, ვისაც შესაფერი ცოდნა არა ჰქონდა, მაგრამ მოქოთამევა შეეძლოთ იმისი, ვინცდაც დამოკიდებული იყო მისი კურთხევა. ქიზიყში, სადაურიცაა ეს თქმა, საზღვარიც კი დაუდვიათ, რომლის იქით არ მიდიოდნენ ასეთები, თუ კი ქრთამის გაღება შეეძლებოდათ. ეს საზღვარი იყო მღ. ლოკინზე (გარე-კახეთი) და იტყოდნენ ასეთი გზით ნაკურთხე: „ირა ღვდილია, ლოკინს არ ვასცილებია, თბილისშიაც კი არ ჩასულა, ქრთამითაა ნაკურთხიო“.

შემდგომში ეს სახელი (ქრთამით ნაკურთხობა) მიემისა ყველას, ვისაც კი ქრთამით, მოსყიდვით ღირსებათა თავისი მდგომარეობა. ბოლოს, ითქმის ყველა უვიცზე, მაგრამ ისეთზე, ვინც ჩემობს რისაზე ცოდნას და საქმით კი მაინც უფორა: ლოკინზე ნაკურთხიო!

ლუარსაბ თათქარიძე პრ. სახელი და გვარი კახელი თავადიშვილისა. სჯვ. კაცი ზარმაკი, უქნარა, სხვისი თაფლით მცხოვრები, მუქთახორა, თავისა და სხვისი ურგები: „ქვეყანა მხოლოდ ლუარსაბ თათქარიძეებით აიესო, რუსეთუმებმა დაამშვენეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივის სამსახურის ასპარეზი“ (ილ. ჰავჭავაძე, VII, 313).

ლუარსაბ თათქარიძე მთავარი გმირია ილია ჭავჭავაძის მოთხოვნისა — „კაცია-აღამიანი?“ იგი ტბიანა საქართველოს ბატონ-ყმობის დროინდელი მებატონისა, უსწაეღელისა და გაუნათლებელისა, რომელიც ღირებულებას არაფერს ჰქმნიდა და არაფერს აკეთებდა. ეს მებატონე ცხოვრობდა მხოლოდ ცხოველური ცხოვრებით: ჰამდა, სვამდა და ეძინა! მისი მასაზროლებელი იყო ყმა, გლეხი.

ლუკმა პრ. საქმელის ნაწილი, რამდენიც პირში ჩაეტევა აღამიანს. სჯვ. სარჩო, საცხოვრებელი, ხარჯი; მცირე რამ. „მკვლარი ვარ ცხოვრებისათვის, მაშრა ვარ, როცა გოგამაც კი უარმყო, სხვის ლუკმით გამოზრდილმა, სხვის ხელში შემეყურებელმა გოგამი!“ (გ. ბარსოვი, ვარდფანჯები, 246); „ჩაივლით ერთ მშვენიერ დღეს თქვენს ქალაქში და დაინახათ ბუზების მღაზიასა. ცუ-



დია თუ? რამდენი მშვენიერი კაცი ლუკმას იშოვნის ბუნების მეოხებითა!" (ილ. ჰეგვაძე, მგზავრის წერილები).

ლუკმაგაწყვეტილი ჰრღ. ვისაც ლუკმა არა აქვს. ზღვ. ძალზე ღარიბი, სარჩოსაბადებელს მოკლებული, უსახსრო, მშვიერი. „მართლა და, არც ისე ლუკმაგაწყვეტილები ვართ, რომ თუ არ თვითელმან ცალკე, ერთად მაინც, საზოგადოებრივად, ღონისძიება არ მოვიკრიფოთ ჩვენის აუცილებელის საჭიროების შესასრულებლად“ (ილ. ჰეგვაძე).

ლუკმა-პური ჰრღ. პურის ნატეხი იმდენი, რამდენიც პირში ჩაეტევა. ზღვ. სარჩო, საცხოვრებელი, სახსარი არსებობისა; მცირე. „მისი ქმარი

შორს მსახურობდა და კარგი ადგილი ეპირა, მაგრამ სიკვდილს შემდეგ თითქმის ულუკმაპუროდ დასტოვა თავისი ცოლშვილი“ (ე. ბარნოვი, ვარდუაჩუბი, 253); „მაშაქატთან ერთად (ქალი) ერთნაირად იბრუნის ლუკმა-პური ისათვის მთელ თავის სიცოცხლეს“ (გ. გაბაშვილი, რჩეული ნაწერები, 154).

ლუკმის მოთლა ჰრღ. საქმლის ნაწილის მოპოვება. ზღვ. ცხოვრების სარჩოს შოვნა, შეძენა. „ყველას უნდა წინათვე როგორმე ფეხმოსაკიდებელი ადგილი დაიპიროს ჩინეთში, რომ როცა დრო მოვა, ახლოს იყოს — დიდი ლუკმა თითონ მოთალოს და სხვამ არ დაასწროს“ (ილ. ჰეგვაძე, X, 202).



ტექნიკური ბ. გორდენიანი
კორექტორი ე. ზუბიაშვილი
კონტროლიორ-კორექტორი შ. ქაიამაძე
გამომშვები ნ. კაკუშაძე

გადაეცა წარმოებას 13/XI-49 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/XI-50 წ. უე 05876.
ანაწყოების ზომა 7,25×12. ქალაქის ზომა 70×108. სასტამბო ფორმათა რაოდენობა
15. სააქტორო ფორმათა რაოდენობა 20. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდენობა
25. ტირაჟი 8.000. შეკვ. № 556.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქპოლიგრაფიკამომცემლობის
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

ზოდინგობელი უმცლრეობა

გვინ- დი	სტრუქონი	არის	უნდა იყოს
VII	3 ქვიმ.	—	დანიონმებული მატალითები დედნებთან შეჯერებულია ნაწილობრივ. ამა თუ იმ თქმის ლექსიკონში მონახვის გასაადვილებლად ბოლოს დაერთვება საკანგებო საძიებელი, რომელშიც მოკრებული იქნება სხვაგვარი დალაგება თქმაში შემავალი სიტყვებისა. 239
5	6 ზემ.	242	აქებდეთ
9	3 ქვიმ.	აქებდით	Tinnunculus
9	26 ზემ.	Tinnunculus	ქვილი მონახა
27	19 ზემ.	ქვილის მონახა	მოყვარე
40	21 ქვიმ.	მოყვარე	გენია, გეჭენია
58	1 ზემ.	გენია	ქვის
66	5 ქვიმ.	ქვის	დალისტანში, დალისტანში გადაკარგვა
93	24 ქვიმ.	დალისტანში გადაკარგვა	ტ. IV ₁
135	18 ზემ.	ნ. 4, ტ. I	ალთ
135	20 ზემ.	ალთა	ბალთ
135	21 ზემ.	ბალთა	ხეცტს
140	28 ზემ.	ხეცტს	ყო
143	18 ქვიმ.	ყო	გმორჩილებენ
184	16 ქვიმ.	გმორჩილებენ	Hyoscyamus
226	18 ქვიმ.	Hyoscyamus	

2 307
/ 40

Т. САХОКИЯ

**ГРУЗИНСКИЕ ОБРАЗНЫЕ
ВЫРАЖЕНИЯ**

ТОМ I

(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР

Тбилиси

1950